# გეოპოლიტიკის საფუძვლები



თბილისი 2009

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის
ESM ბიზნესის სკოლა

ოთარ ქოჩორაძე

# გეოპოლიტიკის საფუძვლები

თბილისი 2009

# ვუძღვნი ჩემ შვილიშვილს მათე მანიას და მის თაობას. გახსოვდეთ, საქართველო მხოლოდ მაშინ აღორძინდება, როდესაც მოქალაქეები ისწავლიან გეოპოლიტიკურ აზროვნებას, ხოლო ლიდერები – გეოპოლიტიკურ მოქმედებას.

წარმოდგენილი სასწავლო კურსი ორიენტირებულია იმ მოწესრიგებული და კონცენტრირებული პოლიტიკური ცოდნის მისაღებად, რომელიც აუცილებელია მართვის მომავალი სპეციალისტების პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, რამეთუ გეოპოლიტიკა არის მეცნიერება მართვის შესახებ. გეოპოლიტიკა ერთდროულად მეცნიერებაცაა და ხელოვნებაც. ხელოვნება, რომელიც ვლინდება ხელისუფლებაში, სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში. მაგრამ ვიდრე ხელს მოკიდებდე ამ საქმეს, უნდა დაეუფლო მართვის ხელოვნებას, გქონდეს პროფესიონალური მომზადება. იყო პროფესიონალი მართვის სფეროში ნიშნავს: იცოდე და შესძლო გამოიყენო გეოპოლიტიკური ცოდნის თეორეტიკული და გამოყენებითი, აქსიოლგიური და ინსტრუმენტალური კომპონენტები, იცოდე მათი როლი და ფუნქციები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადებასა და დასაბუთებაში.

მეცნიერულად გააზრებული გეოპოლიტიკა ემსახურება ქვეყნის ძირითადი ფასეულობების: სახელმწიფოს სუვერენიტეტის, უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის, კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განმტკიცებას და უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ გეოპოლიტიკური ცოდნა მნიშვნელოვანია არა თავისთავად როგორც პოლიტიკური ცოდნა, არამედ უპირველეს ყოვლისა, როგორც საშუალება პიროვნების გაცნობიერებული და აქტიური ჩართვისა სოციუმის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას გააჩნია სასიცოცხლო მნიშვნელობა ადამიანისა და საზოგადოებისათვის.


რედაქტორი: შოთა დოღონაძე, პროფესორი

რეცენზენტი: თენგიზ ენდელაძე, გენერალ-მაიორი

**ISBN 978-9941-0-1096-5**



**© ოთარ ქოჩორაძე. გეოპოლიტიკის საფუძვლები.**
**თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ESM ბიზნესის სკოლა. 2009 წელი.**

# შინაარსი


თავი I
გეოპოლიტიკური ცნობიერება ანუ სივრცის აღქმა ---------------------------------------- 5

თავი II
გეოპოლიტიკის ისტორიული წანამძღვრები ---------------------------------------- 44

თავი III
გეოპოლიტიკური ეპოქები ---------------------------------------- 83

თავი IV
ეკონომიკა და გეოპოლიტიკა ---------------------------------------- 139

თავი V
გეოპოლიტიკა და პოლიტიკური რეალიზმი ---------------------------------------- 157

თავი VI
კლასიკური გეოპოლიტიკა ---------------------------------------- 185

თავი VII
საქრთველო და თანამედროვე პოლიტიკური პროცესი ---------------------------------------- 217

გეოპოლიტიკის ლექსიკონი ---------------------------------------- 255

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები ---------------------------------------- 308

რეზიუმე ინგლისურ ენაზე ---------------------------------------- 310

დანართები ---------------------------------------- 312

## თავი I
## გეოპოლიტიკური ცნობიერება ანუ სივრცის აღქმა

„ისე ისწავლე, თითქოს მარადიული ცხოვრებისთვის იყო გაჩენილი,
მაგრამ იცხოვრე ისე, თითქოს ხვალ უნდა მოკვდე".

**ოტო ფონ ბისმარკი**

ცოდნის საგანძურში დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გეოპოლიტიკას, მეცნიერებას მართვის შესახებ. ამით არის განპირობებული ამ მეცნიერების ცოდნის აუცილებლობა უკლებლივ ყველასათვის. ეს, პირველ რიგში, ეხება ხელისუფალთ, ხელისუფლებისაკენ მსწრაფ პოლიტიკოსებს, რამეთუ ცოდნის გარეშე არ არსებობს პოლიტიკა. მაქს ვებერი სწორედ აღნიშნავდა, რომ „პოლიტიკა თავით კეთდება და არა ტანისა და სულის სხვა რაიმე ორგანოთი". გეოპოლიტიკა ერთდროულად მეცნიერებაცაა და ხელოვნებაც – ხელოვნება, რომელიც ვლინდება ხელისუფლებაში, სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში და ვიდრე ხელს მოჰკიდებდე ამ საქმეს, უნდა დაეუფლო მართვის ხელოვნებას, გქონდეს პროფესიული მომზადება.



**მაქს ვებერი (გერმ., Max Weber) (1864-1920) გერმანელი სოციოლოგი, ეკონომისტი, ისტორიკოსი**

ცნობილი გერმანელი გეოპოლიტიკოსის კარლ ჰაუსჰოფერის აზრით, გეოპოლიტიკა არის სახელმწიფოებრივი სინდისი და ყოველი მოხელე გათვითცნობიერებული უნდა იყოს ამ სფეროში.

გეოპოლიტიკა ეს არის ჰუმანიტარული მასალა, რომელიც აერთიანებს პოლიტიკური ტაქტიკისა და მეცნიერული მეთოდოლოგიის ღირებულებებს. გეოპოლიტიკა არის სტრატეგიული დაგეგმარების უმაღლესი სტადია.

გეოპოლიტიკის მეთოდები და კატეგორიები

გეოპოლიტიკას გააჩნია შეცნობისა და კვლევის თავისი ობიექტი. დღემდე გრძელდება პაექრობა გეოპოლიტიკის საგნის განსაზღვრასთან დაკავშირებით. სხვადასხვა თვალსაზრისი გამოითქმის თვით გეოპოლიტიკის ცნების, საკვლევ პრობლემათა წრის, გეოპოლიტიკის არეალის შემოფარგვლის საკითხებზე. გეოპოლიტიკის ტერმინობრივი განსხვავებულობა უნდა აიხსნას მეცნიერული სკოლებისა და მიმართულების, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის განვითარების დონის განსხვავებით.

ჩვენი აზრით, გეოპოლიტიკა გამომდინარეობს სახელმწიფოზე, სამართალზე, გარემოზე, რელიგიაზე, ომზე და ერზე არსებული ფილოსოფიური მოძღვრებებიდან.

გეოპოლიტიკა არსებობს და ვითარდება მეცნიერების მთელ რიგ დარგებთან მჭიდრო კავშირში, მათი ურთიერთზემოქმედების პროცესში. წარმოუდგენელია გეოპოლიტიკის არსებობა და განვითარება ისტორიასთან, პოლიტიკურ მეცნიერებასთან, გეოგრაფიასთან, ეკონომიკასთან, ფილოსოფიასთან, ფსიქოლოგიასთან, მათემატიკასთან, ინფორმატიკასთან,

ბიოლოგიასთან, ეთნოგრაფიასთან, დემოგრაფიასთან, იურიდიულ და სხვა მეცნიერებებთან უშუალო ურთიერთკავშირის გარეშე.

გეოპოლიტიკას გააჩნია თავისი მეთოდი. ჩვენი აზრით გეოპოლიტიკური მეთოდი ეს არის პოლიტიკური, გეოგრაფიული, ეკონომიკური, სამხედრო ფაქტორების სისტემური ანალიზი და პლანეტარული მასშტაბით სახელმწიფოთა პოტენციალის პროეცირება.

კვლევის გავრცელებული მეთოდებია:

- ისტორიული;
- ნორმატიული – ღირებულებით;
- სტრუქტურულ – ფუნქციონალური;
- ფუნქციონალური;
- ინსტიტუციონალური;
- სისტემური;
- შედარებითი;
- ანთროპოლოგიური;
- სოციალურ – ფსიქოლოგიური;

გეოპოლიტიკური მოვლენების კვლევისა და დასკვნების გაკეთებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამი აუცილებელი ასპექტი:

1) სასურველი, ხშირად იდეალის სახით და იდეალის საფუძველზე პრობლემის გადაწყვეტა;
2) შესაძლებელი, ანუ მისი გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტი;
3) რეალური, ანუ მოცემული საკითხების დამუშავებისა და რეალიზაციის ოპტიმალური ვარიანტი.

გთავაზობთ გეოპოლიტიკური მდგომარეობის ანალიზის მეთოდიკას, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ საერთაშორისო ან რეგიონალურ დონეზე არსებული პრობლემების შესასწავლად:

- მსოფლიოში (რეგიონში) ძალის პოლუსების განსაზღვრა;
- პოლუსებში ძალის ცენტრების განსაზღვრა;
- ძალის ცენტრების ეკონომიკური სიძლიერის ანალიზი;
- ძალის ცენტრების სამხედრო პოტენციალების შეფასება და ანალიზი;

  ძალის ცენტრებში შიდაპოლიტიკური სიტუაციის შეფასება და ანალიზი;

  საერთაშორისო (რეგიონალური) პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება;

  საერთაშორისო (რეგიონალური) პოლიტიკური სიტუაციის განვითარების პროგნოზის შემუშავება.

ქვეყნის შიდა პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზის მეთოდიკა კი ითვალისწინებს შემდეგ პარამეტრებს:

- პოლიტიკური ურთიერთობების სუბიექტების განსაზღვრა;
- პოლიტიკის სუბიექტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობის ანალიზი;

  პოლიტიკის სუბიექტების მიზნებისა და ამოცანების ანალიზი;

  საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში რეალური პროცესებისა და მოვლენების ანალიზი და მათი განვითარების ტენდენციების გამოვლენა:

– ეკონომიკის მდგომარეობის ანალიზი;
– ეროვნული და სოციალურ-კლასობრივი ურთიერთობების

მდგომარეობის ანალიზი;
– საზოგადოებრივი ცნობიერებისა და კულტურული ცხოვრების ანალიზი;
– ქვეყანაში კრიმინალური სიტუაციის ანალიზი;
– შიდა სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი;
– პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმურობის ანალიზი.
- ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება;
- პოლიტიკური სიტუაციის განვითარების პროგნოზი.

გეოპოლიტიკის ძირითადი ფუნქციებია:

- თეორიულ – შემეცერებითი. თეორიულ-შემეცნებითი ფუნქცია დაკავშირებულია გეოპოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების კანონზომიერების ახსნასთან, გეოპოლიტიკური ცხოვრების შინაგანი ტენდენციების და კანონების გამოვლენასთან და შეცნობასთან. ყველაფერი ეს ხელს უწყობს გეოპოლიტიკის შესახებ ცოდნის გამდიდრებას და კონკრეტიზაციას;
- პრაქტიკულ-მმართველობითი. პრაქტიკულ-მმართველობითი ფუნქციის განხორციელება ნიშნავს ხელისუფლებითი სტრუქტურებისათვის იმ მეცნიერულად დასაბუთებული რეკომინდაციების შემუშავებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გეოპოლიტიკური პროცესების მართვის ოპტიმალური მეთოდების განსაზღვრა, პროგრესული რეფორმების გატარება, სოციალური და ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირება;
- იდეურ-აღმზრდელობითი. იდეურ-აღმზრდელობითი ფუნქცია ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და ტევადია, პრაქტიკულად ესაა მსოფლმხედველობრივი ფუნქცია, რომლის მიზანია შეიმუშავოს, დაასაბუთოს და დაამკვიდროს ეროვნული ტრადიციების, ცხოვრების წესის, ისტორიისა და კულტურის შესაბამისი ღირებულებისა და იდეალების სისტემა, უზრუნველყოს საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლება, შექმნას დემოკრატიული საზოგადოების სულიერი წანამძღვრები. ასეთი სისტემა განსაკუთრებით საჭიროა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ახლა დაადგნენ დემოკრატიული განვითარების გზას;
- პროგნოსტიკურ-ორიენტირებითი. პროგნოსტიკურ-ორიენტირებითი ფუნქციის მიზანია საზოგადოების გეოპოლიტიკური ცხოვრების განვითარების ტენდენციების განსაზღვრა, ორიენტაციის სწორად გარკვევა და მისი დაცვა;

გეოპოლიტიკის ძირითად კატეგორიას წარმოადგენს სივრცეზე კონტროლი. გეოპოლიტიკა სწავლობს სახელმწიფოს და სახელმწიფოთა კავშირების (აგრეთვე სხვა პოლიტიკური ინსტიტუტების) მიერ სივრცეზე კონტროლის საფუძვლებს, შესაძლებლობებს, მექანიზმებს და ფორმებს.

იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ რა ზეგავლენას ახდენს სივრცე პოლიტიკურ ურთიერთობებზე, უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავეცნოთ იმ უმნიშვნელოვანეს მექანიზმებს, რომელთა მეოხებითაც ადამიანები გამოიმუშავებენ საკუთარ წარმოდგენებს სივრცეზე.

თანამედროვე გაგებით სივრცე ეს არის მატერიალური პროცესებისა და ობიექტების არსებობის ფორმა, რომელიც ახასიათებს მათ სტრუქტურულობასა და განფენილობას.

სივრცე ეს არის ობიექტების ურთიერთმდებარეობისა და კოორდინაციის ურთიერთობები, რომლებიც არსებობენ დროის რაღაც მომენტში. სივრცე ახასიათებს სხეულების მდებარეობას ერთმანეთთან მიმართებაში, ასახავს ერთდროულად არსებული ობიექტების განლაგების რიგს, მათ განფენილობას, მათ შორის მანძილს, კუთხეებს სხვადასხვა მიმართულებებს შორის.

სივრცეს გააჩნია შემდეგი თვისებები: აბსოლუტურობა, ფარდობითობა, განფენილობა, ტევადობა, უსასრულობა, ერთგვაროვნება.

ტრადიციული გეოპოლიტიკური გაგებით სივრცე შეიცავს თავის თავში როგორც საკუთარ ფიზიკურ სივრცეს (ტერიტორიას), ასევე მის გეოგრაფიულ ველს (გეოგრაფიული ურთიერთკავშირები). თუკი ფიზიკური სივრცისათვის დამახასიათებელია წყვეტილობა, მაშინ გეოგრაფიული ველისათვის დამახასიათებელია უწყვეტელობა. ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ტერიტორია არის არა მარტო სახელმწიფო ტერიტორია, ანუ როგორც საზოგადოებრივი, იურიდიული კატეგორია, ის არის აგრეთვე ბუნებრივი გეოგრაფიული გარემო, რომელშიც არსებობს მოცემული ადამიანური საზოგადოება. ამგვარად, გოპოლიტიკაში ტერმინ "სივრცეს" გააჩნია განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვა. სივრცე არ არის ტერიტორიის სინონიმი. სივრცე უფრო ფართო კატეგორიაა, ვიდრე ტერიტორიის კატეგორია. თავის მხრივ ტერიტორია არის არა მარტო განსაკუთრებული სახის სივრცე. მისთვის დამახასიათებელია არა მარტო სპეციფიკური სივრცული კატეგორიები, არამედ სხვა უამრავი მახასიათებლები, მათ შორის:

- ზომები, ანუ საერთო მოცულობა;
- ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ განფენილობა;
- კომპაქტურობა, ანუ ერთიან მთლიანში კონცენტრირება;
- გეოგრაფიული მდებარეობა მსოფლიო რუკაზე, მათ შორის მდინარეებისა და ზღვაზე გასასვლელების არსებობა;
- დასახლებულობა (მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე, მისი განაწილება ტერიტორიის ცალკეულ მონაკვეთებზე);
- კლიმატური პირობები, ეკვატორთან ან დედამიწის ერთ-ერთ პოლუსთან, ზღვებთან ან სხვა დიდ წყალსაცავებთან სიახლოვე, კონტინენტის სიღრმეში ან კიდეზე მდებარეობა;
- ლანდშაფტის თავისებურებები;
- წიაღისეულის ხასიათი და მათი დამუშავების დონე;
- საზღვრების ხასიათი (იურიდიულად გაფორმებული ან ფაქტიურად არსებული, ბუნებრივი ან ნებისმიერი, საგულდაგულოდ გამაგრებული ან დაუცველი);
- მეზობელი ტერიტორიების ხასიათი (სახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო, მშვიდობისმოყვარე ან აგრესიული პოლიტიკური რეჟიმებით);
- არსებობის დრო.

გეოპოლიტიკაში სივრცის კატეგორიას გააჩნია თავისი სპეციფიკური თვისებები და განსხვავებული მნიშვნელობა ტერიტორიის კატეგორიასთან მიმართებაში. სივრცის კატეგორია უფრო ფართოა, იგი შეიცავს როგორც სახელმწიფოს ტერიტორიას, ასევე მის ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორიასაც. ამის გარდა, სივრცე შეიცავს აგრეთვე სახელმწიფოების, როგორც საერთაშორისო პოლიტიკისა და სამართლის სუბიექტების საგარეო კავშირებს.

მოცემული პრობლემის სიღრმისეული შესწავლა გულისხმობს სივრცის ეკონომიკური და პოლიტიკური ლოგიკის რთული, წინააღმდეგობრივი ურთიერთობების გაცნობიერებას.

ეკონომიკა და პოლიტიკა წარმოადგენენ ადამიანის ყოფიერების შემადგენელ ნაწილებს. ეკონომიკა შეისწავლის საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ფასეულობების შექმნასთან, განაწილებასა და

მოხმარებასთან; ეკონომიკის კუთხით, შეიცავს თავის თავში წარმოების ადგილს (მიწა, შახტები, ფაბრიკები...), საქონლის გაცვლის გზებს (მიმოსვლის ყოველგვარი საშუალებები), ბაზრებს და სხვა. თავის მხრივ, პოლიტიკის ინტერესები კონცენტრირებულია ადამიანებს შორის ურთიერთობების ორგანიზაციაზე კოლექტიური სტრუქტურების ფარგლებში (ანტიკური ქალაქიდან მოყოლებული ერ-სახელმწიფომდე).

პოლიტიკური სივრცე რადიკალურად განსხვავდება ეკონომიკურისაგან, ვინაიდან პირველს არ შეუძლია არსებობა მუდმივობისა და ბარიერების გარეშე, მაშინ როდესაც მეორე იმყოფება მუდმივ მოძრაობაში იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება საქონლისა და მომსახურების მოთხოვნილება და მიწოდება.

ჯერ კიდევ პრეისტორიულ პერიოდში მმართველების ძალაუფლება და სიძლიერე გაიგივებული იყო გარკვეულ ტერიტორიაზე კონტროლთან. მაგალითად, ეგვიპტის ფარაონები ბატონობდნენ ნილოსის ველზე. რით შეიძლება აეხსნათ გარკვეულ ტერიტორიაზე დამკვიდრების სწრაფვა, რომელიც დღემდე რჩება პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად? ჯერ კიდევ პრეისტორიულ პერიოდში სოფლის მეურნეობა, ანუ მიწის რაციონალური ექსპლუატაცია, საშუალებას იძლეოდა შექმნილიყო ჭარბი პროდუქტები, რომლის საფუძველზეც იქმნებოდნენ პოლიტიკური სტრუქტურები.

იმავდროულად საქონლის, ოქროს, ფულის, მომსახურებისა და ინფორმაციის ნაკადები მუდმივად გადაადგილდებიან სივრცეში, ემორჩილებიან დინამიკას, რომელიც არ ექვემდებარება სახელმწიფოს და მასზე მაღლა დგას. მაშინ როდესაც სახელმწიფო ტყვეა საკუთარი ტერიტორიის, საქონლისა და კაპიტალის მოძრაობის გზები მუდმივად გადაადგილდებიან პოლიტიკური და სტრატეგიული კონიუქტურიდან, და რა თქმა უნდა ვაჭრების გათვლებიდან გამომდინარე. მართალია პოლიტიკა ბატონობს ეკონომიკაზე, მაგრამ ეს უკანასკნელი მუდამ ცდილობს თავი დააღწიოს მის ბატონობას.

რესურსებისა და მიმოსვლის საშუალებებზე კონტროლისათვის გაჩაღებული კონფლიქტებისა და ბრძოლის ისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური ბრძოლა მჭიდრო კავშირში იმყოფება რესურსების ფლობისათვის გაჩაღებულ ბრძოლასთან.

– ალექსანდრე მაკედონელიდან მოყოლებული XVI საუკუნის დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებამდე "აბრეშუმის დიდი გზა" წარმოადგენდა სასიცოცხლო მნიშვნელობის არტერიას ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთს შორის, რომელზეც უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა ძვირფასი და იშვიათი საქონელი: აბრეშუმი, სანელებლები და სხვა.



საქონლის მოძრაობა "აბრეშუმის დიდი გზა"-ზე

III-VII საუკუნეებში ბიზანტია და სასანიდური ირანი გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს "მსოფლიო ეკონომიკური ბატონობისათვის", ანუ იმ გზებზე კონტროლისათვის, რომლებითაც ევროპაში ეზიდებოდნენ საქონელს, პირველ რიგში აბრეშუმს, ჩინეთიდან, ინდოეთიდან და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან. XIII საუკუნეში ჩინგის ყაენის მიერ დაარსებული იმპერია მდიდრდებოდა აბრეშუმის გზაზე კონტროლის მეშვეობით, სადაც მონღოლები უზრუნველყოფდნენ ქარავნების უსაფრთხოებას.

XVI საუკუნის დასაწყისიდან ატლანტისა და წყნარი ოკეანეების ჩართვამ საერთაშორისო სავაჭრო კავშირების სისტემაში ნამდვილად მსოფლიო მასშტაბი შესძინა შორეულ აღმოსავლეთსა და ევროპას შორის სახმელეთო და საზღვაო (ინდოეთის ოკეანის გავლით) გზებზე კონტროლის უფლებისათვის მიმდინარე მუდმივ კონფლიქტებს. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ატლანტის ოკეანე გახდა დიდი სახელმწიფოების პაექრობის საგანი. ატლანტის ოკეანეზე კონტროლის უფლებისათვის ერთმანეთს ეომებოდნენ ესპანეთი და პორტუგალია (XVI საუკუნე), შემდეგ ესპანეთი, ჰოლანდია, საფრანგეთი და ინგლისი (XVII საუკუნე), მოგვიანებით საფრანგეთი და ინგლისი (XVIII საუკუნე)... **[Моро Дефарж Ф. Введение в геополитику. М.: Конкорд. 1996]**

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ხდება იმ კონცეფციების ჩამოყალიბება, რომლებიც დაფუძნებულნი არიან საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მოვლენების გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულ გამოვლენაზე. ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ომების პრობლემები. ერთ-ერთ პირველ მცდელობას მოეძებნათ მისი ახსნა და გამოემუშავებინათ მისი აღმოფხვრის საშუალებები წარმოადგენდა იმპერიალიზმის სხვადასხვა კონცეფციების დამუშავება.



**ჯონ ატკინსონ ჰობსონი (ინგ., John Atkinson Hobson)(1858-1940) ინგლისელი ეკონომისტი. ლონდონის ეკონომიკური სკოლის პროფესორი.**

ინგლისელი ეკონომისტი ჯონ ჰობსონი (1858-1940) იყო იმპერიალიზმის, როგორც მოვლენის, ერთ-ერთი პირველი მკვლევართაგანი. იგი "იმპერიალიზმში" გულისხმობდა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების საგარეო ექსპანსიის პოლიტიკას, ბრძოლას კოლონიური სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად და ინდუსტრიის "კაპიტნების" სანუკვარი ოცნებების გამოხატულებას. "იმპერიალიზმი ეს არის იმათი, ვინც აკონტროლებს ინდუსტრიას, სწრაფვა გააფართოონ თავიანთი ჭარბი სიმდიდრის დაბანდება საგარეო ბაზრებისა და საგარეო ინვესტიციების გზით, იმ საქონლისა და კაპიტალისათვის, რომლებსაც ისინი ვერ ყიდიან ან ვერ იყენებენ სახლში". ჰობსონი აღნიშნავს, რომ მისი თანადროული მრეწველობის განვითარების დონის პირობებში დაგროვების დონე და წარმოების შესაძლებლობები წინ უსწრებენ მოხმარების დონეს საზოგადოებაში. და იგი წარმოადგენს იმპერიალიზმის პოლიტიკის მომხრეთათვის ათვლის წერტილს. მათთვის მთავარი არგუმენტი კაპიტალის ინვესტირების აუცილებლობაა: ქვეყნის შიგნით ისინი ვერ ნახულობენ მათი მომგებიანი დაბანდების შესაძლებლობას და იძულებულნი არიან მიმართონ

კოლონიების პოლიტიკურ ანექსიას, როგორც ჭარბი კაპიტალის გამოყენებისათვის საჭირო სივრცის შექმნის საშუალებას. ერთი სიტყვით "იმპერიალისტებისთვის" ასეთი პოლიტიკა გარდაუვალია. **[John Atkinson Hobson. Imperialism (1902). (http://www.marxists.org/archive/hobson/1902/imperialism /index.htm)]**



**ვლადიმერ ლენინი (1870-1924) მარქსიზმის თეორეტიკოსი, პუბლიცისტი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი.**

მონოპოლისტური კაპიტალიზმის თანადროული საინტერესო ანალიზი მოცემული აქვს ვ. ლენინს ნაშრომში "იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" (1916). მის თანახმად ეკონომიკური განვითარება არასოდეს არ არის ერთნაირი, მიუხედავად იმისა თუ რაზე ვსაუბრობთ: საწარმოებზე, ეკონომიკის დარგებზე თუ სახელმწიფოებზე. განვითარების არათანაბარი ხასიათი კაპიტალისტური სისტემის ფარგლებში ქმნის მუდმივად მზარდ წინააღმდეგობებს. კონცენტრაციის პროცესი, სინდიკატებისა და კარტელების წარმოქმნა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახელმწიფოსთან, იწვევს წარმოების სტაგნაციას და საზოგადოებაში პარაზიტული ფენის ზრდას, ამით აიხსნება მუდმივი ბრძოლა გასაღების ბაზრებისათვის, კოლონიებისათვის, გავლენის სფეროებისათვის. მაგრამ სიმდიდრის დაგროვებასა და კონტროლის სფეროს გაფართოებას მივყავართ ახალი კონფლიქტების აღმოცენებამდე კაპიტალისტურ მონოპოლიებს შორის, რომლებიც აწყდებიან ჭარბწარმოების კრიზისს და მიისწრაფვიან ხელში ჩაიგდონ დამატებითი ბაზრები. ერთადერთ გამოსავალს ამ სიტუაციიდან წარმოადგენს ომი, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის თანახმად წარმოადგენს კაპიტალიზმის ბუნების ძირითად მახასიათებელს. [ვ. ლენინი. "იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია". თხზულებანი. გამოცემა მეოთხე. სახელგამი, 1951. გვ. 229-384]

ეხლა ვნახოთ რამდენად შეესაბამებიან ერთმანეთს გეოპოლიტიკური ლოგიკა, ეკონომიკური ლოგიკა, ლენინის მიერ შემოთავაზებულ სქემასა და მსოფლიო ომების "ლოგიკას". ანალიზი გვიჩვენებს შემდეგ კანონზომიერებას.

I მსოფლიო ომის დაწყებამ, თითქოს და დაამტკიცა ლენინის დასკვნების სისწორე. უკიდურესობამდე გამწვავდა ეკონომიკური დაპირისპირება. დიდი ბრიტანეთი, რომლის ეკონომიკური უპირატესობა უდავო იყო XIX საუკუნის ბოლო მეოთხედამდე, შეეჯახა გერმანული ეკონომიკის მძლავრ მეტოქეობას. გერმანელების გამოწვევა აბსოლუტურად აუტანელი იყო, იმიტომ რომ საქმე ეხებოდა მეზობელ ქვეყანას, რომლის ტერიტორიაც დიდი ხნის განმაელობაში წარმოადგენდა საბრძოლო მოქმედებების ძირითად არენას ევროპაში. უფრო მეტიც, აფრიკული კოლონიების გამო მომხდარი შეჯახებების (1876-1912) შემდეგ, აღმოჩნდა, რომ მსოფლიო უკვე გადანაწილებულია, მათ, ვისაც სურვილი გაუჩნდათ დაეკავებინათ ადგილი მზის ქვეშ, დააგვიანდათ. ჩნდება ლოგიკური კითხვა: იყო თუ არა ნამდვილად I მსოფლიო ომი, ომი გასაღების ბაზრებისათვის? ამის გასარკვევად მოვიყვანოთ რამოდენიმე სტატისტიკური მონაცემი:

1914 წლისათვის არსებობდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ევროპულ სახელმწიფოებს შორის. დიდი ბრიტანეთი იყო გერმანული საქონლის უმსხვილესი ექსპორტიორი, თავის მხრივ, ინგლისური ეკონომიკის გასაღების ბაზრებში, გერმანიას ეკავა მეორე ადგილი. "სამარადისო მტრები", საფრანგეთი და გერმანია, აძლიერებდნენ, ისედაც ინტენსიურ, ეკონომიკურ კავშირებს, რაც, თავის მხრივ, არ გამორიცხავდა დაძაბულობის ცალკეულ მომენტებს ორმხრივ ურთიერთობებში, რომლებიც გამოწვეული იყო ნაციონალისტების ქმედებებით (კერძოდ, 1911-1913 წლების საბაყო ომი). გარდა ამისა დაისახა ღრმა განხეთქილების ტენდენცია საქმიან წრეებში. "ერთის მხრივ, მთავრობებთან მჭიდრო თანამშრომლობის გამო, ისინი ატარებდენ საინვესტიციო პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობდა საერთაშორისო კავშირების განმტკიცებასა და კოლონიალური პაექრობის გამწვავებას. მეორეს მხრივ, ისინი საერთაშორისო ვაჭრობაში ნახულობდნენ სარგებელს და სასიცოცხლოდ იყვნენ დაინტერესებულნი მისი შემდგომი განვითარებით".[James Joll, The Origins of the First World War, 1984] როგორ შეიძლება ომისაკენ ისწრაფვოდნენ ისინი, ვინც დარწმუნებულია იმაში, რომ ომი გარდაუვალად გამოიწვევს საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის დანგრევას და მათი პირადი კეთილდღეობის განადგურებას?

1914 წლის ზაფხულში ეკონომიკური საკითხები ნაკლებად აინტერესებდათ პოლიტიკოსებს. მოვლენათა ელვისებური განვითარება ნთქავდა მთელ მათ დროსა და ენერგიას. ამასთან ერთად, მცირე იყო იმათი რიცხვი, ვისაც მიაჩნდა, რომ ომი იქნება ხანგრძლივი და რომ იგი შესძლებს დაარღვიოს სამეურნეო კავშირები და დაამსხვრიოს ჩამოყალიბებული ეკონომიკური წონასწორობა. ომი კი გრძელდებოდა 5 წელი!

II მსოფლიო ომის დაწყებას, კომუნისტური ორიენტაციის მეცნიერები, უკავშირებდნენ კაპიტალიზმის წინააღმდეგობების ახალ გამოვლინებას. მათი აზრით, XX საუკუნის 30-ანი წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, გამწვავდა ურთიერთობები, დეპრესიის ტყვეობაში მყოფ ლიბერალურ-დემოკრატიულ ქვეყნებსა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) და ნაცისტურ გერმანიას შორის.

მაგრამ ისმის კითხვა: ტრაგიზმით აღსავსე 30-იან წლებში, როდესაც ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ იბრძვის საკუთარი თავის გადასარჩენად რა რაციონალურზე, მაგალითად ეკონომიკურ ინტერესებზე შეიძლებოდა ლაპარაკი?

1939 წლის აგვისტოდან 1941 წლის ივნისამდე დაუძინებელი მტრები – ჰიტლერული გერმანია და სტალინის სსრკ – იყვნენ მოკავშირეები (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი). 1941-1945 წლებში ლიბერალურ-დემოკრატიული ქვეყნები დიდი ბრიტანეთი და აშშ – არიან სსრკ-ს მოკავშირეები, იმ სსრკ-ს რომლის ისტორიულ მისია მდგომარეობდა ლიბერალური კაპიტალიზმის განადგურებაში! იმ დროის ეკონომიკური და პოლიტიკური ლოგიკა განუყოფელია ერთმანეთისაგან: როდესაც მიმდინარეობს დასაბამისეული ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის, ეკონომიკა მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტია პოლიტიკის ხელში. [Моро-Дефарж Ф. Введение в геополитику. М.: Конкорд. 1996].

ჩატრებული შედარებითი ანალიზიდან თვალნათლივ ჩანს, რომ:

- გეოპოლიტიკაში სივრცის კატეგორიას გააჩნია თავისი სპეციფიკური თვისებები და განსხვავებული მნიშვნელობა ტერიტორიის კატეგორიასთან მიმართებაში. სივრცის კატეგორია უფრო ფართოა, იგი შეიცავს როგორც სახელმწიფოს ტერიტორიას, ასევე მის ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორიასაც. ამის გარდა, სივრცე შეიცავს აგრეთვე სახელმწიფოების, როგორც საერთაშორისო პოლიტიკისა და სამართლის სუბიექტების საგარეო კავშირებს;

• ტერიტორია მხოლოდ ნაწილია დედამიწის და წარმოადგენს სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელ ბუნებრივ გარემოს, სახელმწიფოში ორგანიზებული საზოგადოების არსებობის მატერიალურ საფუძველს;

• საერთაშორისო პოლიტიკის სივრცულ ფაქტორში მოიაზრება პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული ასპექტების ერთობლიობა;

პოლიტიკური სივრცის ცნება განეკუთვნება ძირითად გეოპოლიტიკურ კატეგორიათა რიცხვს. სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს პოლიტიკური სივრცე. გეოპოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სივრცული ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის. ამ როლში გამოდიან საზღვრები. საზღვრების გეოპოლიტიკური პრობლემა წარმოიშვება ყოველთვის, როგორც კი იწყება ბრძოლა პოლიტიკურ სივრცეზე კონტროლის, მიერთებისა და ათვისებისათვის. საზღვრები, სახელმწიფოებს შორის, წარმოადგენენ მათი ინტერესების პოლიტიკურ-სტრატეგიულ გამმიჯნავ ხაზს. სასაზღვრო სივრცე – ანუ ქვეყნის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნება სახელმწიფო საზღვარს და თავისი ბუნებრივი და სოციალ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, სამხედრო თვალსაზრისით ტაქტიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებს ქმნის.

ეროვნული სახელმწიფოების იურისდიქციის მიღმა მდებარე ტერიტორიებს, საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, ეწოდება საერთაშორისო ტერიტორია და ეს არის სივრცე, რომელზეც არ ვრცელდება რომელიმე სახელმწიფოს სუვერენიტეტი. იგი განისაზღვრება როგორც **res communis**, ანუ ტერიტორია, რომელიც ეკუთვნის ყველას.



**საზღვაო ზონის პარამეტრები საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით (UNCLOS III – 1982 წ.)**

საერთაშორისო ტერიტორიებს, ტარდიციულად, მიეკუთვნება: ღია ზღვა; საჰაერო სივრცე ღია ზღვის თავზე; ეროვნული იურისდიქციის (კონტინენტალური შელფის) მიღმა მდებარე ზღვებისა და ოკეანეების ფსკერი; ანტარქტიდა კოსმოსური სივრცე, მათ შორის მთვარე და სხვა ციური სხეულები.

გაეროს კონვენციამ საზღვაო სამართლის შესახებ მსოფლიო ოკეანე და ზღვები განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის მქონე 9 ზონად დაჰყო: შიდა წყლები; ტერიტორიული ზღვა; მიმდებარე ზონა; განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა; განსაკუთრებული თევზჭერის ზონა; არქიპელაგური წყლები; კონტინტნტური შელფი; ღია ზღვა; ღია ზღვის ფსკერი.

საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად (United Nations Convention on Law of the Sea (UNCLOS), ტერმინი "ღია ზღვა" აღნიშნავს ზღვის ყველა იმ ნაწილს, რომლებიც არ შედიან რომელიმე სახელმწიფოს შიდა წყლებში ან ტერიტორიულ ზღვაში (UNCLOS I 1958 წლის 29 აპრილის კონვენციის სტ.1) ღია ზღვა გახსნილია ყველა ერისათვის და არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება მისი რომელიმე ნაწილი დაუქვემდებაროს თავის იურისდიქციას. ღია ზღვის თავისუფლება, რომელიც კრძალავს რომელიმე ერის მიერ მის დასაკუთრებას, გარანტირებულია შემდეგი პირობებით: ნაოსნობის თავისუფლება; თევზის რეწვის თავისუფლება; წყალქვეშა კაბელებისა და მილსადენების გაყვანის თავისუფლება; ღია ზღვის თავზე ფრენის თავისულება (UNCLOS I - 1958 წლის 29 აპრილის კონვენციის სტ. 2)

1982 წელს მიღებულმა გაეროს კონვენციამ (UNCLOS III), საზღვაო სამართლის შესახებ, გააფართოვა ღია ზღვის თავისუფლების პირობები. იმ დროიდან მოყოლებული, ღია ზღვის თავისუფლება ვრცელდება არა მარტო ზღვისპირა სახელმწიფოებზე, არამედ იმ სახელმწიფოებზეც, რომლებსაც არა აქვთ ზღვაზე გასასვლელი და მათ აქვთ: ნაოსნობის თავისუფლება; ფრენის თავისუფლება; წყალქვეშა კაბელებისა და მილსადენების გაყვანის თავისუფლება (1982 წლის კონვენციის VI ნაწილის დაცვით); ხელოვნური კუნძულებისა და სხვა სახის დანადგარების აგების თავისუფლება, საერთაშორისო სამართლის ნორმებით დაშვებული, (1982 წლის კონვენციის VI ნაწილის დაცვით); თევზის რეწვის თავისუფლება (1982 წლის კონვენციის II განყოფილებაში მოცემული პირობების დაცვით); სამეცნიერო კვლევების წარმოების თავისუფლება, (1982 წლის კონვენციის VI და XIII ნაწილების დაცვით);

საჰაერო სივრცის ზედა საზღვარს წარმოადგენს დედამიწის სივრცის საზღვარი მასსა და კოსმოსს შორის. დედამიწის სივრცის საზღვარში გულისხმობენ ბურთულისმაგვარ ზედაპირს, რომელიც იმეორებს დედამიწის კონფიგურაციას და განლაგებულია მისი ზედაპირიდან (ზღვის დონე) რაღაც ნამძილზე (110 კმ.) **[Ушаков Н.А. Международное право: основные термины и понятия. М.: ИГП РАН, 1996, с.37].**

ეროვნული იურისდიქციის გარეთ მდებარე ზღვებისა და ოკეანეების ფსკერი გაეროს 1982 წლის კონვენციის თანახმად გამოცხადებულია კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობად (1982 წლის კონვენციის პრეამბულის პუნქტი №6). კონტინენტალური შელფის მიღმა მდებარე ზღვებისა და ოკეანეების ფსკერმა მიიღო ზღვის ფსკერის საერთაშორისო რაიონის სახელი და იგი არ ექვემდებარება ეროვნულ მითვისებას, ანუ როგორც არის დაფიქსირებული კონვენციის 137 სტატიაში – არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება პრეტენზია განაცხადოს სუვერენიტეტზე ან სუვერენულ უფლებებზე ან განახორციელოს ისინი ამ რაიონის რომელიმე ნაწილზე ან რესურსებზე და რომ არც ერთ სახელმწიფოს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირს არ შეუძლია მიითვისოს მათი რომელიმე ნაწილი.




კონტინენტალური შელფი

საერთაშორისო ტერიტორიის ამ სახეობის სტატუსს ახასიათებს რამოდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი: ეროვნული იურისდიქციის გამორიცხვა; მასზე საქმიანობა მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ (სტატია №140); მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენება (სტატია №141); ტერიტორიის (რაიონის) რესურსებზე, ეკუთვნის მთელ კაცობრიობას, ყველა უფლების განხორციელება ეკუთვნის საზღვაო ფსკერის სპეციალურ საერთაშორისო ორგანოს (სტატია №153-ს ნაწილი I); რესურსების პარალელური დამუშავება (სტატია №153-ს ნაწილი II, პუნქტი "ბ"); მისი არ ცნობა მსოფლიოს მრავალი წამყვანი სახელმწიფოს მიერ. მაგალითად, 1984 წელს აშშ, დიდმა ბრიტანეთმა, გფრ და კიდევ ხუთმა სახელმწიფომ დადეს სეპარატისტული ხელშეკრულება მსოფლიო ოკეანის პერსპექტიულ რაიონებში მინერალური რესურსების დამუშავების შესახებ და შესაბამისად, იგნორირება გაუკეთეს 1982 წლის კონვენციის ნორმებს.

ანტარქტიკას უკავია დაახლოებით 52,5 მილიონი კვ.კმ. და მოიცავს დაუსახლებელ მატერიკს ანტარქტიდას (13 975 ათას კვ.კმ., მათ შორის 1 582 ათას კვ.კმ. შელფური მყინვარები და კუნძულები, რომლებიც მიეკუთვნებიან ანტარქტიდის მყინვარებს). მიმდებარე კუნძულებს (მათ შორის სამხრეთ ორკნეის, სამხრეთ სენდვიჩის, სამხრეთ შეტლენდის კუნძულები), აგრეთვე ატლანტის, წყნარი და ინდოეთის ოკეანეების ნაწილი, რომელსაც ხშირად უწოდებენ სამხრეთის ან ანტარქტიკულ ოკეანეს. ანტარქტიკის ტერიტორია ძირითადად განლაგებულია სამხრეთ განედის 48-60 გრადუსების არეალში.

არქტიკაში საკუთარი სექტორები გააჩნია, მის მოსაზღვრე, ხუთ სახელმწიფოს: დანიას, ნორვეგიას, კანადას, აშშ-ს და რუსეთს. თითოეული ამ სახელმწიფოს არქტიკულ სექტორს წარმოადგენს სივრცე, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ამ სახელმწიფოს სანაპირო, ხოლო გვერდით ხაზს –მერიდიანები ჩრდილო პოლუსიდან ამ სახელმწიფოების აღმოსავლეთ და დასავლეთ საზღვრებამდე. არქტიკის სექტორის ფარგლებში საზღვაო და საჰაერო ნაოსნობა დასაშვებია მხოლოდ მიმდებარე სახელმწიფოების ნებართვით და მხოლოდ მშვიდობიანი და სამეცნიერო მიზნებით.

კოსმოსური სივრცე ასევე არ ექვემდებარება ეროვნულ მითვისებას. კოსმოსური სივრცე, მთვარისა და სხვა ციური სხეულების ჩათვლით, ღიაა კვლევისა და გამოყენებისათვის. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე თანასწორუფლებიანობის საფუძველზე და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად თავისუფალი დაშვება ციური სხეულების ნებისმიერ რაიონში (1967 წლის 27 იანვარის ხელშეკრულება "სახელმწიფოთა მოღვაწეობის პრინციპები კოსმოსური სივრცის კვლევისა და ათვისების შესახებ" სტატია №1).

საზღვრები წარმოადგენენ სუვერენიტეტების მოქმედების სფეროების გამყოფ ხაზებს. პოლიტიკური საზღვარი, ერთდროულად, წარმოადგენს მოცემული სახელმწიფოს საგარეო გარსს და მის მეზობლებთან კონტაქტის ხაზს. პოლიტიკური, იდეოლოგიური, ლინგვისტური და რელიგიური განსხვავებების მიუხედავად სახელმწიფო საზღვარი წარმოადგენს უნივერსალური ხასიათის ერთადერთ ნორმას.

საზღვრები ხელს უწყობენ სახელმწიფოების მიერ თავის თავის, როგორც ერთი მთლიანის აღქმას, რომელიც განსხვავდება სხვა სახელმწიფოებისაგან და რომელსაც საკუთარ ტერიტორიაზე გააჩნია უცილობელი სუვერენიტეტი.

ადამიანსა და სივრცეს შორის არსებობს მოქნილი დიალექტიკური კავშირი: სივრცე ხელს უწყობს ადამიანის ხასიათის ფორმირებას. თავის მხრივ ადამიანი, მისი შეხედულებები, საქციელი და შრომა მუდმივად ცვლიან სივრცეს. ადამიანი არსებობს დროსა და სივრცეში, რომლებიც მჭიდროდ ურთიერთზემოქმედებენ. დროისა და სივრცის ათვისება იწყება ადრეულ ასაკში.

სივრცე, რომელსაც ითვისებს და ჰქმნის ბავშვი, წარმოადგენს რთულ კომპლექსს, რომელიც თანდათანობით ივსება სასიამოვნო და საშინელი საგნებით, მოგონებებით, სიმბოლოებით. ნებისმიერ ადამიანს, საზოგადოებას (ცივილიზაცია, ერი და ასე შემდეგ) წარმოდგენები და ცნებები სივრცეზე უყალიბდება და ეცვლება დაგროვილი გამოცდილების მეოხებით.

სივრცე წარმოადგენს "ობიექტურ" რეალობას, მაგრამ ადამიანები და მათი ერთობები მას აღიქვამენ საკუთარი "სუბიექტური შეგრძნებების" საშუალებით. სივრცე წარმოადგენს გარემოს ელემენტს, რომლისგანაც ადამიანი ვერ აბსტრაგირდება, მაგრამ ეს ელემენტი ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სხვადასხვანაირად ზემოქმედებს. სამ ფაქტორს აქვს არსებითი მნიშვნელობა არსებულ სიტუაციაში გასარკვევად: ცხოვრების წესს, ცოდნის დონესა და სივრცის ათვისების ტექნიკას და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების ხასიათს. ისტორიული განვითარების პროცესში ამ სამი კატეგორიის ფაქტორები მუდმივად არიან ერთმანეთში გადახლართულნი და მუდმივ ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

სივრცე არსებობს ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ადამიანებს გააჩნიათ საკუთარი მოთხოვნილებები საკვებში, საცხოვრებელში, ურთიერთობებში, რწმენა-წარმოდგენებში და ასე შემდეგ. ამიტომაც ადამიანები იწყებენ საკუთარი სივრცის მოგონებას, ათვისებას, შექმნას, ნგრევას. ეს ურთიერთობები ადამიანსა და სივრცეს შორის წარმოშობენ იმ საკვანძო პროცესებს, რომლებიც შეადგენენ კაცობრიობის ისტორიის ბირთვს.

მომთაბარეებისათვის სივრცე უსასრულობას წარმოადგენდა. ისინი იპყრობენ სივრცეს და ითხრებენ მას, რათა კვლავ ახალი სივრცე დაიპყრონ ახალი ალაფის მოსაპოვებლად. მიწათმოქმედებისაგან განსხვავებით ისინი მუდმივ მოძრაობაში იყვნენ. ისინი ქმნიდნენ უზარმაზარ იმპერიებს (გავიხსენოთ მონღოლთა იმპერია), რომლებიც ისევე მალე ქრებოდნენ, როგორც ნაფეხურები ქვიშაში.



მონღოლთა იმპერია

მიწათმოქმედებისათვის სივრცე შემოიფარგლებოდა მისი მიწის ნაკვეთით, საცხოვრებლითა და სოფლით. ისინი ეკუთვნიან იმ მიწას, რომელსაც ამუშავებენ და რომელიც უზრუნველყოფს მათ არსებობას. საუკუნეების განმავლობაში, თაობიდან თაობაში ისინი იღებდნენ მოსავალს მიწის ერთი და იგივე ნაკვეთიდან, ჩაკეტილები იყვნენ თავიანთ პატარა მიკრო სამყაროში, რომელიც შემოიფარგლებოდა მახლობელი ჰორიზონტით, რომლის იქითაც იმყოფებოდა უცხო და მტრული სამყარო.

მოქალაქეებისათვის სივრცულ განზომილებას წარმოადგენენ ქუჩები და პროსპექტები, ქალაქის კედლები. ისინი ცხოვრობენ და მოძრაობენ ხელოვნურად შექმნილ სივრცეში, სადაც ხელოვნური ფარავს და მალავს ბუნებრივს. ცხოვრების რიტმი ნაკარნახებია არა წელიწადის დროებითა და მზით, არამედ საათის ისრის დინჯი მოძრაობით.

მწარმოებლებისათვის სიმდიდრე ხილულია და ხელშესახები; ხორბალი, მადანი, მანქანები, მოხმარების საგნები და სხვა. XVIII საუკუნის ფიზიოკრატების სწავლების თანახმად ერთადერთ ჭეშმარიტ სიმდიდრეს წარმოადგენდა მიწა, რამეთუ სწორედ მიწა აჭმევს, აცვამს და ათბობს ადამიანს. მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირს მატერიალურ წარმოებას, სიძლიერესა და ტერიტორიაზე კონტროლს შორის. სახელმწიფოს სიძლიერე განპირობებულია რიგი ფაქტორებით: ნედლეულის წყაროების ფლობა (ქვანახშირი, რკინა, ნავთობი). სახელმწიფო-კონტინენტები აშშ და რუსეთი ფლობდნენ უნიკალურ უპირატესობას: ისინი უზრუნველყოფდნენ თავის თავს საკუთარი ნედლეულის წყაროებით ავტარკიის პირობებში. ხოლო სახელმწიფოები, რომლებსაც არ გააჩნდათ მსგავსი უპირატესობა, ისწრაფოდნენ საკუთარი იმპერიების შექმნას (ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიალური იმპერიები, ჰიტლერული გერმანიის "სასიცოცხლო სივრცე", იაპონიის "საერთო აყვავების სფერო").





**ბარონი ფერდინანდ პაულ ვილჰელმ ფონ რიხტჰოფენი, (გერ., Ferdinand Freiherr von Richthofen) (1833-1905) გერმანელი გეოლოგი და მოგზაური, ბერლინის გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი (1873), ტერმინ "აბრეშუმის დიდი გზა"-ს ავტორი (1877)**

ვაჭრებისათვის სივრცე განისაზღვრება არა სიმდიდრის იმ რაოდენობით რომელიც იქ არის, არამედ სასაქონლო და სანედლეულო ბაზრების პოტენციალით. მისი სიმდიდრე იქმნება სავაჭრო ოპერაციების შედეგად. აქედან გამომდინარე სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მიმოსვლის საშუალებებს, კავშირგაბმულობას, სავაჭრო ქსელს, ტერმინალებს. "... იგი ეზიდება საქონელს იქიდან, სადაც მეტია, იქ საცა უჭიროთ და ამ გზით შეელის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყოველგან... ვაჭრობა, იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბინაზედ არ აყენებს კაცს; საცა გამორჩომაა და ხეირი, იქ არის იმისი მამული, იმისი მიწა-წყალი" [ილია ჭავჭავაძე]. ამავე მიზეზის გამო ვაჭრები ძალიან მგრძნობიარენი არიან ყოველგვარი შეზღუდვებისა, რომლებიც აფერხებენ საქონლის, ფულისა და სამუშაო ძალის მოძრაობას. პრეინდუსტრიული ევროპელი ვაჭრების ლოგიკის თანახმად აუცილებელი იყო ყველაზე უსაფრთხო

და იაფფასიანი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება და მათზე კონტროლის განხორციელება. ამისათვის კი საჭირო იყო "აბრეშუმის დიდ გზაზე" უარის თქმა, ვინაიდან მას ევროპელებისადმი მტრულად განწყობილი ისლამური სახელმწიფოები აკონტროლებდნენ. და შორეული აღმოსავლეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზის მოძებნა ან აფრიკის კონტინენტის შემოვლით ან კიდევ ატლანტიის ოკეანის გავლით.

მიწა წარმოადგენს ადამიანის "ბუნებრივ" საბინადროს. მასზე არსებული ორიენტირები (მთები, ხეობები, ველები, მდინარეები), მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში განიცდიან სახეცვლილებას ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე. მიწა შეიძლება მოინიშნოს, გაიმიჯნოს, დაიყოს. მიწაზე მაცხოვრებელი ადამიანი ემორჩილება მითვისების ლოგიკას. ლიბერალური ფილოსოფიის თანახმად მესაკუთრე წარმოადგენს საკუთარი სამფლობელოს აბსოლუტურ პატრონს, სადაც მას გააჩნია განკარგვის სრული თავისუფლება.

მეზღაურებს ესმით, რომ ზღვები არ ექვემდებარებიან მითვისებას. მეზღვაური იყენებს ზღვას საკუთარი საჭიროებისათვის. იგი შეიძლება შეეცადოს კიდეც დაამყაროს მასზე კონტროლი ხმელეთის ელემენტებზე (ყურეები, სრუტეები, კუნძულები) დაყრდნობით. მაგალითისათვის გავიხსენოთ დიდი ბრიტანეთი, რომელიც XVII საუკუნიდან მოყოლებული მეორე მსოფლიო ომამდე ერთპიროვნულად ბატონობდა ზღვებსა და ოკეანეებზე ისეთ საკვანძო გეოგრაფიულ წერტილებზე კონტროლის მეოხებით როგორებიც იყო ლა-მანში, გიბრალტარი, ადენი, ორმუზის სრუტე, სინგაპური, ჰონკონგი. ზღვები და ოკეანეები შეადგენენ დედამიწის ორ მესამედს და სწორედ ამიტომ ძალიან ძნელია ამ უზარმაზარი წყლის სივრცის დაყოფა და დანაწილება.

არსებობს ორი მოსაზრება საზღვაო საზღვრების შესახებ. ერთნი მიიჩნევენ, რომ ზღვები და ოკეანეები წარმოადგენენ ღია სივრცეს, სადაც ყველა ქვეყანას აქვს თავისუფალი ნაოსნობის უფლება. ამ კონცეფციის ყველაზე ერთგული დამცველი იყო ბრიტანეთის იმპერია, რამეთუ მისი უპირატესობა გულისხმობდა აბსოლუტურად შეუზღუდავ თავისუფალ ნაოსნობას, რომლის ერთადერთ გარანტად გამოდიოდა ინგლისის ფლოტი (ელისაბედ I-დან მოყოლებული ინგლისელები მუდმივად თვალყურს ადევნებდნენ, რათა მათი სამხედრო-საზღვაო ძალები უფრო მეტი და ძლიერი ყოფილი, ვიდრე მათი უახლოესი მეტოქეების). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ გახდა, ამ საკითხში, ბრიტანეთის მემკვიდრე.

წარმოდგენილი კონცეფციის მოწინააღმდეგეებად გამოდიან ისინი, ვინც ზღვებსა და ოკეანეებზე ავრცელებს ტერიტორიული მიტაცებების ლოგიკას, რაც წარმოადგენს ნებისმიერი ერი-სახელმწიფოს ბუნებრივ საქციელს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ოკეანეები განიხილებიან არა მარტო როგორც სანაოსნო გზები, არამედ აგრეთვე როგორც ეკონომიკური ინტერესების ზონები (გაზისა და ნავთობის საბადოები, მინერალური ნედლეულის წყაროები და სხვა). ზღვებსა და ოკეანეებზე გავრცელდა საკუთრებისა და სუვერენიტეტის ლოგიკა: ტერიტორიული წყლები ანუ 12 მილიანი სანაპირო ზოლი, რომლის სტატუსი ეროვნული ტერიტორიის სტატუსის ტოლფასია; კონტინენტალური შელფი, რომელიც განიხილება, როგორც შესაბამისი სახელმწიფოს სახმელეთო სამფლობელოების გაგრძელება; 200 მილიანი ეკონომიკური ზონები, სადაც მხოლოდ ზღვისპირა სახელმწიფოს აქვს უფლება მოახდინოს ბიოლოგიური და სხვა სახის რესურსების ექსპლუატაცია.

ავიაციისა და კოსმონავტიკის წარმატებებმა წარმოშვეს ახალი წარმოდგენები სივრცეზე. ადამიანმა პირველად დაინახა საკუთარი პლანეტა გვერდიდან და თვალნათლივ დარწმუნდა იმაში, რომ დედამიწა წარმოადგენს სამყაროს უკიდეგანო სივრცეში დაკარგულ პატარა ბურთულას. ადამიანმა აღმოაჩინა, რომ გარკვეული მანძილიდან ყველაფერი, ის რაც შეადგენს მისი

ცხოვრების საფუძველს (სახლი, ქალაქი, გზები და ასე შემდეგ), გამოიყურება, როგორც არამკაფიო ფერად ლაქათა ერთობლიობა.

ადამიანის გეოპოლიტიკური ცნობიერება ყალიბდება იმ ინსტრუმენტებისა და მეთოდების ზეგავლენით, რომელთა მეოხებითაც ხდება სივრცის შესწავლა. სივრცის შესწავლა არ წარმოადგენს იზოლირებულ პროცესს. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ევოლუციასთან ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის სფეროში.





ერატოსფენი (ძვ.ბერძ., Ἐρατοσθένης) (276-194 ძ.წ.) ბერძენი მათემატიკოსი, ასტრონომი, გეოგრაფი

დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებამდე დედამიწის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იყო შესწავლილი და გადატანილი გეოგრაფიულ რუქებზე. ყველაზე ცნობილ რუქას წარმოადგენდა ერატოსფენის (276-194 ძ.წ.) მიერ შედგენილი რუქა. ის იყო ალექსანდრიის მთავარი ბიბლიოთეკარი, პირველი მეცნიერი, რომელმაც დიდი სიზუსტით განსაზღვრა დედამიწის წრეხაზი. ამ რუქაზე გამოსახული იყო ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის აუზი, ნახევარკუნძული სომალი, არაბეთის ნახევარკუნძული და სპარსეთის ყურე.



კლავდიუს პტალომეუსი (ძვ.ბერძ., Κλαύδιος Πτολεμαῖος) (90-168) ალექსანდრიელი მათემატიკოსი, ასტრონომი, გეოგრაფი

რამოდენიმე საუკუნის შემდეგ ალექსანდრიელმა ასტრონომმა და გეოგრაფმა პტალომეუსმა (90-168) შეადგინა რუქა, რომელიც ძალიან ჰგავდა ერატოსფენის რუქას და რომელიც გამოიყენებოდა XVI საუკუნემდე.







**მარტინ ბეჰაიმი (გერ., Martin Behaim) (1459-1507) გერმანელი მეცნიერი, ნეგოციანტი, ზღვაოსანი. უძველესი კომპასის შემქმნელი**

XVI საუკუნის განმავლობაში ევროპელებმა დააგროვეს უხარმაზარი ინფორმაცია დედამიწის შესახებ. ადამიანის ჰორიზონტის გაფართოებას ხელი შეუწყო კომპასის ფართო გამოყენებამ. გენუელ, ვენეციელ, ფლორენციელ და ბარსელონელ კარტოგრაფთა დინასტიებს რუკებზე გადაჰქონდათ ახალ აღმოჩენათა შედეგები, რომლებიც ძირითადად შეიცავდნენ მონაცემებს სანაპირო ზოლის შესახებ. დგება დიდი მოგზაურობების ეპოქა: კოლუმბი მიემართება (1492-1498) საიდუმლოებით მოცული დასავლეთისაკენ. ვასკო და გამამ შემოუარა აფრიკას და მიაღწია ინდოეთამდე, მაგელანმა და ელკანომ (1519-1522) განახორციელეს პირველი მოგზაურობა დედამიწის გარშემო.





**ფერნანდო მაგელანი (პორტ., Fernão de Magalhães , ესპ., Fernando (Hernando) de Magallanes ) (1480-1521) პორტუგალიური წარმოშობის ესპანელი ზღვაოსანი.**



**ამერიგო ვესპუჩი (იტალ., Amérigo Vespucci) (1451-1512) იტალიელი მოგზაური.**

1507 წელს გერმანელმა კარტოგრაფმა მარტინ ვალდზემიულერმა გამოაქვეყნა მსოფლიოს რუქა, სადაც აღნიშნული იყო დასავლეთ ნახევარსფეროში არსებული მიწა, რომელსაც მან დაარქვა ამერიკა (ფლორენციელი ამერიგო ვესპუჩის სახელი). 1570 წელს გამოვიდა ფლამანდიელი ორტელიუსის მიერ შედგენილი **Theatrum orbis terrarum** (პირველი მსოფლიო ატლასი). რუქაზე აღინიშნა დედამიწის მთელი ზედაპირი, ყველა კონტინენტის ადგილმდებარეობა და პროპორციები.



ჯეიმს კუკი (ინგ., James Cook) (1728 —1779) ბრიტანელი მკვლევარი და ზღვაოსანი



ჟან ფრანსუა გალო, გრაფი დე ლაპერუზი (ფრ., Jean François Galaup, comte de La Pérouse) (1741-1788) სახელგანღქმული ფრანგი ზღვაოსანი

გეოგრაფიული ცოდნა გახდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტორი. ინგლისისა და საფრანგეთის სამეფო ხელისუფლება ყოველნაირად ხელს უწყობდა კუკის (1768-1779) და ლაპერუზის (1785-1788) სამეცნიერო ექსპედიციების პაექრობას წყნარი ოკეანის შესწავლისას.

გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად დედამიწა სულ უფრო და უფრო იძენდა ერთიანი სივრცის სახეს, დაკავშირებულს საზღვაო და სახმელეთო კომუნიკაციებით, სადაც ღვივდებოდა ევროპულ სახელწიფოთა დაპირისპირება კოლონიალურ სამფლობელოთა მაქსიმალურად გაფართოებისათვის. მაგალითად დედამიწის პირველი განაწილება მოხდა, რომის პაპის ალექსანდრე VI-ის ლოცვა-კურთხევით, ესპანეთსა და პორტუგალიას შორის 1493-1494 წლებში ტორდესილიასის ხელშეკრულებით (ესპ., **Tratado de Tordesillas**, პორტ., **Tratado de Tordesilhas**).







ალექსანდრე VI (ლათ., Alexander PP. VI) (1431-1503) რომის პაპი (1492-1503)

ყოველ ეპოქას და ცივილიზაციას გააჩნია საკუთარი შეხედულებები და წარმოდგენები სივრცეზე. ძ. წ. VI საუკუნეში ჩინელი მხედართმთავარი, სტრატეგი და მოაზროვნე სუნ ძი ნაშრომში "ომის ხელოვნება"(ჩინ., 孫子兵法,) განიხილავს ადგილმდებარეობის 6 ტიპს და სივრცის 9 ტიპს, რომლებიც უნდა იცოდეს სტრატეგმა წარმატებული სამხედრო პოლიტიკის წარმოებისათვის.



სუნ ძი (ჩინ., 孫子)
(ძ.წ. VI ან IV საუკუნე)

სუნ ძი-ს ნამდვილი სახელი იყო უ. იგი დაიბადა ცი-ს სამეფოში. იგი იყო მთავარ ხო ლიუიუ-ს დაქირავებული მხედართმთავარი უ-ს სამეფოში. უ-ს ჯარებმა მისი ხელმძღვანელობით გაანადგურეს ჩუ-ს ძლიერი სამეფო და ხელში ჩაიგდეს მისი დედაქალაქი ინ-ი. გაანადგურეს სამეფოები ცი და ძინი. ამ გამარჯვებების შედეგად უ-ს სამეფო იმდენად გაძლიერდა, რომ შევიდა ცივილიზებული ჩინეთის იმ სამეფოთა რიცხვში, რომლებსაც მართავდნენ ჩჟოუ-ს დინასტიის მეფეები, ხოლო მთავარი ხო ლიუიუ შევიდა "ჩჯუხოუ"-ს (ოფიციალურად აღიარებული დამოუკიდებელი სამფლობელოების მმართველები) შემადგენლობაში. სუნ ძი-ს, როგორც მხედართმთავრის პროფესიონალიზმზე ყველაზე კარგად მეტყველებს ვეი ლაო ძი-ს (ძ. წ. IV საუკუნე) შემდეგი სიტყვები: "იყო ადამიანი, რომელსაც ჰყავდა სულ 30 000-იანი ჯარი, და ცისქვეშეთში მას ვერავინ შეედრებოდა. ვინ არის ეს? ვპასუხობ: სუნ ძი".



ტრაქტატი "ომის ხელოვნება"-ს (ჩინ., 孫子兵法,)

მთავარ ხო ლიუიუ-ს თხოვნით სუნ ძი-მ დაწერა ტრაქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ "ომის ხელოვნება" (ჩინ., 孫子兵法,). ეს არის ძველი ჩინეთის ყველაზე ცნობილი ტრაქტატი, რომელიც ეძღვნება პოლიტიკასა და სამხედრო სტრატეგიას. იგი წარმოადგენს "სამხედრო ფილოსოფიის სკოლის"(ბინ-ძია-ს) ძირითად ტექსტს. შედგება 13 თავისაგან: (1. წინასწარი გათვლები; 2. ომის წარმოება; 3. სტრატეგიული თავდასხმა; 4. ფორმა; 5. ძლევამოსილება; 6. სისავსე და სიცარიელე; 7. ბრძოლა ომში; 8. ცხრა

სახეცვალება; 9. ლაშქრობა; 10. ადგილის ფორმები; 11. ცხრა ადგილი; 12; საცეცხლე თავდასხმა; 13. ჯაშუშების გამოყენება.)

სუნ ძი-ს ზოგადი მეთოდოლოგია აერთიანებს თავის თავში სოციალური ჰომეოსტაზის შენარჩუნების კონფუციანურ საფუძვლებსა და სამყაროსეული დაო-ს დაოსისტურ დიალექტიკას, ინ-იან-ის სკოლის კოსმიურ ციკლიზმს, ლეგისტურ პოლიტიკურ მეცნიერებასა და მო-ისტების მართეელობით პრაგმატიზმს. მოცემული სინთეზი, რომელიც წარმოადგენს ომს (ბინ-ს), ერთის მხრივ, როგორც "სახელმწიფოს დიად საქმეს", "სიკვდილისა და სიცოცხლის ნიადაგს, არსებობისა და დაღუპვის გზას (დაო-ს)", და მეორეს მხრივ "მოტყუების გზა"-ს, განზოგადებულია 5 პრინციპში:

- "გზა" (ხალხისა და მმართველის ერთსულოვნება);
- "ცა" (დროის შესატყვისობა);
- "მიწა" (ადგილის შესატყვისობა);
- "სარდალი" (სწორი ხელმძღვანელობა, ეს კი არის გონი (ჭკუა), მიუკერძოებლობა (სამართლიანობა), ჰუმანურობა, ვაჟკაცობა, სიმკაცრე);
- "კანონი" (ორგანიზებულობა და დისციპლინა).

მოცემულ ცნებებს გაიაზრებენ და მათ რეალიზებას ახდენენ შემდეგი 7 გათვლით:

- ფლობს თუ არა მმართველი "დაო"-ს (გზას);
- გააჩნია თუ არა მხედართმთავარს უნარი;
- "ცისა" და "მიწის" თვისებურებების გაცნობიერება;
- კანონებისა და ბრძანებების შესრულებადობა;
- ჯარის სიძლიერე;
- მეთაურებისა და ჯარისკაცების გაწვრთნის (განსწავლულობის) ხარისხი;
- დაჯილდოებისა და დასჯის სამართლიანობა.

სუნ ძი ნაშრომში განიხილავს ადგილმდებარეობისა და სივრცის ტიპებს:

"... ადგილი ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს ღია, არსებობს ფერდობი (დამრეცი), არის დაღარული, არის დაბლობი (ტაფობი), არის მთაგორიანი, არის მოშორებული.

როცა მეც შემიძლია მივიდე და მასაც შეუძლია მოვიდეს, ასეთ ადგილს ღია ადგილი ჰქვია. ღია ადგილზე, უპირველეს ყოვლისა დაბანაკდი ამაღლებულ ადგილზე, მის მზიან მხარეს. მოაწყვე გზები სურსათ-სანოვაგის შემოსატანად. თუ ამ პირობებში იბრძოლებ, შენთვის ხელსაყრელი იქნება.

სადაც წასვლა იოლია და მობრუნება ძნელი, ასეთ ადგილს ფერდობი (დამრეცი) ეწოდება. ფერდობზე თუ მოწინააღმდეგე ბრძოლისათვის მზად არ არის და შენ გაილაშქრებ, – შენ გაიმარჯვებ. ხოლო თუ მოწინააღმდეგე მზად არის საბრძოლველად, გაილაშქრებ და ვერ გაიმარჯვებ. უკან დაბრუნება ძნელი იქნება; სარგებელი არ იქნება.

როდესაც გალაშქრება ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის, ასეთ ადგილს დაღარული ეწოდება. დაღარულ ადგილზე მაშინაც კი არ გამოხვიდე, როცა მოწინააღმდეგე რაიმე სარგებელს მოგცემს კიდეაც. გაიყვანე ჯარი და წადი; აიძულე მოწინააღმდეგე სანახევროდ წამოვიდეს შენსკენ და თუ მაშინ დაარტყამ ეს შენთვის ხელსაყრელი იქნება.

... დაბლობზე (ტაფობზე), თუ შენ პირველი დაბანაკდები, აუცილებლად მთლიანად დაიკავე იგი და ისე დაელოდე მოწინააღმდეგეს; თუ ის დაგასწრებს

და პირველი დაბანაკდება ამ ველზე და დაიკავებს მას, ნუ მიჰყვები მაშინ, როცა მას ველი მთლიანად ჯერ არ დაუკავებია.

მთაგორიან ადგილზე, თუ შენ პირველი დაბანაკდი, აუცილებლად მოთავსდი სიმაღლეზე მზიან მხარეს და ისე დაელოდე მოწინააღმდეგეს; თუ მოწინააღმდეგემ დაგასწრო და პირველი დაბანაკდა იქ, გაიყვანე ჯარი და წადი იქიდან, ნუ გაჰყვები მას.

მოშორებულ ადგილზე, როცა ძალთა თანაფარდობაა, მძიმეა მოწინააღმდეგის ბრძოლაში გამოწვევა და თუ დაიწყებ ბრძოლას, ვერაფერს ისარგებლებ.

ამ ექვს პუნქტს შეიცავს მოძღვრება ადგილის შესახებ. სარდლის უმაღლესი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მან ეს უნდა იცოდეს".

"– გაფანტულობის ადგილები, არამდგრადობის ადგილები, სადავო ადგილები, ადგილები შერევის, გზაჯვარედინები, სერიოზული მდგომარეობის ადგილები, უგზოობის ადგილები, გარემოცვის (ალყის) ადგილები, სიკვდილის ადგილები.

როცა თავადები საკუთარ მიწაზე იბრძვიან, – ეს იქნება გაფანტულობის ადგილი; როდესაც სხვის მიწაზე შედიან, მაგრამ ღრმად არ მიდიან, – ეს იქნება არამდგრადი ადგილი; თუ მე მას დავიპყრობ და ეს ჩემთვის სასარგებლო იქნება, მაგრამ თუ ის დაიპყრობს მას, ეს მისთვის სასარგებლო იქნება, – ეს არის სადავო ადგილი; თუ მეც შემიძლია გავიარო ამ ადგილზე და მასაც შეუძლია გაიაროს, – ეს იქნება შერევის ადგილი; როცა თავადის მიწა სამივეს ეკუთვნის და ვინც პირველი მიაღწევს ამ მიწამდე, ყველაფერს მოიპოვებს ცისქვეშეთში, – ეს იქნება გზაჯვარედინი; როდესაც სხვის ტერიტორიაზე ღრმად შედიან და ზურგში მრავალ გამაგრებულ ქალაქს ტოვებენ, – ეს იქნება სერიოზული მდგომარეობის ადგილი; როდესაც მთებით და ტყეებით, ხრამებითა და ციცაბოებით, ლამიანით და ჭაობებით დაფარული, – საერთოდ ძნელად გასავლელი ადგილებით მიდიან,– ეს იქნება უგზო ადგილი. როდესაც გზა, რომლითაც შედიან – ვიწროა, ხოლო გზა, რომლითაც მიდიან (გადიან) – შემოსავლელია (არაპირდაპირია); როცა მას მცირე ძალებით შეუძლია თავს დაესხას ჩემს დიდ ძალებს, – ეს იქნება ალყის ადგილი; როდესაც ბრძოლაში ებმებიან სწრაფად, ცოცხლები რჩებიან, ხოლო როცა ბრძოლაში სწრაფად არ ებმებიან, იღუპებიან, – ეს იქნება სიკვდილის ადგილი.

.. ამიტომ გაფანტულობის ადგილზე ნუ იბრძოლებ;
არამდგრადობის ადგილზე შეტევაზე ნუ გადახვალ. სადავო ადგილზეც
შეტევაზე ნუ გადახვალ;
შერეულ ადგილზე კავშირებს ნუ დაკარგავ;
გზაჯვარედინებზე ურთიერთობები დაამყარე;
სერიოზული მდგომარეობის ადგილებზე ძარცვე;
უგზო ადგილებში იარე;
ალყის ადგილზე იახროვნე (იფიქრე);
სიკვდილის ადგილზე იბრძოლე". [სუნ ძი. ტარქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ. თბილისი. 2000. გე. 57,60]

ადამიანსა და ისტორიაზე ბუნებრივი გარემოს (კლიმატი, ნიადაგი, მდინარეები, ზღვები და სხვა) ზეგავლენაზე მსჯელობდნენ ჰეროდოტე, ჰიპოკრატე, თუკიდიდე, პოლბიუსი, სტრაბონი, არისტოტელე.

მაგალითად არისტოტელე (384-322) ნაშრომში "პოლიტიკა" ხაზს უსვამდა კუნძულ კრეტას გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის განსაკუთრებულ ხასიათს: "კრეტა, თავისი ადგილმდებარეობით, მოწოდებულია იბატონოს საბერძნეთზე".



**აბდურაჰმან იბნ ჰალდუნი (1332-1406) არაბი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი**

XVI საუკუნის არაბი გეოგრაფი იბნ ჰალდუნი ერთმანეთს უკავშირებდა ადამიანური ერთობის სულიერ ძალებს, მათ უნარს დარაზმულიყვნენ და ებრძოლათ ძლიერი იმპერიების დასაარსებლად და შესანარჩუნებლად და იმ იმპულსებს, რომლებიც წარმოიშვებიან ბუნებრივი გარემოდან.



**ჟან ბოდენი (ფრ., Jean Bodin) (1530—1596) ფრანგი პოლიტიკოსი, სამართალმცოდნე, ფილოსოფოსი**

ფრანგი მეცნიერი ჟან ბოდენი (1530-1596) ნაშრომში "ექვსი წიგნი სახელმწიფოს შესახებ" ცვლილებებსა და განსხვავებას სახელმწიფოებრივ მოწყობაში ხსნიდა სამი მიზეზით: ღვთის ნებით, ადამიანური თავნებობით და ბუნების ზეგავლენით. პირველ ადგილზე, ზეგავლენის სიძლიერის მიხედვით, ის აყენებდა გეოგრაფიულ მიზეზებს, ხოლო გეოგრაფიულ ფაქტორებში – კლიმატს. დედამიწას იგი ჰყოფდა სამ ნაწილად: ცხელ – ეკვატორულ, ცივ – პოლარულ და საშუალო – ზომიერ ნაწილებად. მისი აზრით ხალხების ხასიათი, პირველ რიგში, დამოკიდებული არის მათი განვითარების კლიმატურ პირობებზე. ჩრდილოეთში ცხოვრობენ ფიზიკურად უფრო ძლიერი და მებრძოლი (ბრძოლისუნარიანი, ბრძოლის დაუოკებელი ჟინით შეპყრობილი) ადამიანები, სამხრეთში – უფრო ნიჭიერები. ჟან ბოდენის აზრით, თუ ისტორიას სწორედ გავიაზრებთ, დავინახავთ, რომ უდიდეს მხედართმთავრებს ჩრდილოეთი წარმოშობს, ხოლო სამხრეთი – ხელოვნებას, ფილოსოფიასა და მათემატიკას.



**შარლ ლუი მინტესკიე (ფრ., Charles-Louis Montesquieu) (1689-1755) ფრანგი სამართალმცოდნე, ფილოსოფოსი**

ფრანგი განმანათლებელი **შარლ ლუი მონტესკიე** (1689-1755) მიიჩნევდა, **რომ ცივ კლიმატურ პირობებში** ადამიანები უფრო **ზნეობრივები** არიან. **ზომიერ კლიმატში – ზნეობრივად არამდგრადი.** რამეთუ ამ კლიმატის არა საოთანადოდ გამოკვეთილი თვისებები ვერ აძლევს მათ მდგრადობას. **ცხელი კლიმატი ასუსტებს ადამიანების** ხასიათს, რასაც მივყავართ **მონობის** განვითარებამდე.

XVII-XVIII საუკუნეებში გეოგრაფია გარდაიქმნა ორგანიზებულ, **სტრუქტურირებულ** მეცნიერებად. დაიწყო მისი სწავლება უამრავ სამეცნიერო **ცენტრებში.** მის პროგრესს ხელი შეუწყო სამეცნიერო ექსპედიციებმა, **ინფორმაციის** დაგროვებამ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ვიწრო სპეციალიზაციამ (ცალკე დისციპლინებად გამოიყო **გეოლოგია, ბოტანიკა, ასტრონომია** და სხვა).

XIX საუკუნეში დაიწყეს დაგროვებული ინფორმაციის კლასიფიცირება და **სისტემატიზირება.** მოყვარულთა ადგილი დაიკავეს პროფესიონალებმა. დაიწყო **გეოგრაფიული ბუმი: პარიზში** (1821), **ბერლინში** (1828), **ლონდონში** (1830), **რუსეთში** (1845), **ნიუ-იორკში** (1852) დაარსდა გეოგრაფიული საზოგადოებები. **გეოგრაფიის სწავლება** დაიწყეს უნივერსიტეტებში. გამოიცა სამეცნიერო ნაშრომები: 1818 წელს **არსენევის** მოკლე საყოველთაო გეოგრაფია, 1810-1829 წწ. **კონრად მალტ-ბრიუნის** მსოფლიო გეოგრაფიის კურსი. დაარსდა **სპეციალიზირებული** ჟურნალები: 1891 წელს პარიზში – **Annales de geographie, 1893 წელს** ლონდონში – **Geographical Journal**. გეოგრაფიის სფეროში **თანამშრომლობამ** მიიღო საერთაშორისო ხასიათი: 1871 წელს **ანტვერპენში ჩატარდა პირველი გეოგრაფიული კონგრესი,** 1922 წელს დაარსდა **საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირი.**

ადამიანების გეოგრაფიულმა ცნობიერებამ განიცადა საგრძნობი **ცვლილებები** წიგნების, გაზეთების, ფოტოსურათებისა და ფილმების მეოხებით, **რომლებიც** საშუალებას იძლეოდნენ უკეთ გაეცნობოდნენ შორეულ ქვეყნებს: **მსოფლიოს პირველი თანამედროვე ატლასი** (1817), ცნობილი გერმანული **ბიბლიოთეკის "Baedeker"**-ის პირველი ტომი (1839), **Michelin**-ის პირველი **საგზაო რუქები და გზამკვლევი** (1901), **ჟიულ ვერნის, მაინ რიდის, ფენიმორ კუპერის** წიგნები და სხვა.





**ჟიულ გაბრიელ ვერნი (ფრ., Jules Gabriel Verne) (1828-1905)**
**თომას მაინ რიდი (ინგ., Thomas Mayne Reid) (1818-1883)**
**ჯეიმს ფენიმორ კუპერი (ინგ., James Fenimore Cooper) (1789-1851)**

XIX საუკუნეში, ევროპაში ზოგადი განათლების განვითარების შედეგად, **ეროვნული ცნობიერების** უმნიშვნელოვანესი კომპონენტები **ხდებიან გეოგრაფია, ლიტერატურა და ისტორია.** ერისადმი ინდივიდის კუთვნილება **გულისხმობს მასზე მოცემული** ერის **ენის, კულტურის, ზნე-ჩვეულებების, წარსულისა და სივრცული რეალიების** გადამწყვეტ ზეგავლენას. ამით აიხსნება სასკოლო

გეოგრაფიული რუქების უზარმაზარი მნიშვნელობა მასზე ასახული სამშობლოთი, მისი ტერიტორიით, მისი საზღვრებით და კოლონიებით, თუკი რა თქმა უნდა, ისინი აქვს. XX საუკუნის დასაწყისში ნებისმიერი პატარა ინგლისელი მსოფლიოს ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს, ბრიტანეთის იმპერიისადმი კუთვნილების გამო. პირველი მსოფლიო ომის წინ ფრანგი მოსწავლეები ყოველდღიურად ხედავდნენ გეოგრაფიულ რუქებზე თავიანთ ქვეყანას გერმანელების მიერ ანექსირებული ელზასისა და ლოთარინგიის გარეშე (ეს პროვინციები შავად იყო გაფერადებული), სამაგიეროდ ფრანგული დროშები "ამშვენებდნენ" ალჟირს, ინდოჩინეთსა და აფრიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

ისტორიკოსები, გეოგრაფები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, მწერლები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში, კერძოდ ადამიანისა და სივრცის ურთიერთმიმართების გაცნობიერების პროცესში. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:



**ჟიულ მიშლე (ფრ., Jules Michelet) (1798-1874) ფრანგი ისტორიკოსი**

"ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული გეოგრაფიასთან. ჩვენ არ შეგვიძლია ვისაუბროთ ფეოდალურ ან პროვინციალურ ისტორიაზე, თუკი არ დავახასიათებთ თითოეულ პროვინციას. მაგრამ ასევე არასაკმარისია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების გეოგრაფიული მონაცემების უბრალო გადმოცემა. უპირველეს ყოვლისა წარმოდგენილი უნდა იყოს ამ პროვინციების ნაყოფი ანუ მათ ისტორიასთან დაკავშირებული ადამიანები და მოვლენები". [ჟიულ მიშლე (1798-1874 წწ.), საფრანგეთის ისტორია, წიგნი III, საფრანგეთის სურათი, 1833-1867].



**ფრიდრიხ რატცელი (გერ., Friedrich Ratzel) (1844-1904)**
**გერმანელი გეოგრაფი, ეთნოლოგი, სოციოლოგი.**

"ბიოგეოგრაფია სახელმწიფოს განიხილავს, როგორც დედამიწის ზედაპირზე სიცოცხლის გავრცელების ფორმას. სახელმწიფო, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი არსება, მიდრეკილია რიგი ფაქტორების ზემოქმედებისაკენ. ის, რაც ხელს უწყობს ადამიანების გავრცელებას დედამიწაზე, აგრეთვე ხელს

უწყობს მათი სახელმწიფოების გაფართოებას. ძალიან იშვიათია სახელმწიფოების წარმოშობის შემთხვევები პოლარულ ოლქებსა და უდაბნოებში. სახელმწიფოები პრაქტიკულად არ ვითარდებიან ტროპიკულ ზონებში, უღრან ტყეებსა და მაღალმთიანეთში, მაგრამ გააჩნიათ ზრდის მდგრადი ტენდენცია მოსახლეობის მდგრადი ზრდის პირობებში. მუდმივი ცვლილებები სახელმწიფოს ხასიათსა და მოცულობაში თვალნათლივ მეტყველებენ იმ ფაქტზე, რომ ისინი ცოცხლობენ და განიცდიან ევოლუციას. სახელმწიფოებრივი საზღვრები განხილული უნდა იყოს, როგორც ორგანული და არაორგანული მოძრაობის გამოვლინება; ელემენტარულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს გააჩნიათ უჯრედოვანი ქსოვილის სტრუქტურა... თვალშისაცემია სიცოცხლის ფორმათა მსგავსება, დაკავშირებული ნიადაგთან... სახელმწიფო არის ცოცხალი ორგანიზმი არა მარტო იმიტომ, რომ წარმოადგენს ხალხის ცხოვრების გარკვეულ ტერიტორიაზე მიბმის მექანიზმს, არამედ იმიტომაც, რომ ეს კავშირი თანაზიარობის შედეგად იმ დონემდე ძლიერდება, რომ ხალხი და ტერიტორია წარმოადგენს ერთიან მთლიანს, როდესაც ერთის წარმოდგენა მეორეს გარეშე შეუძლებელია. ცხოველთა და მცენარეთა სამყაროში ყველაზე სრულყოფილი არის ის ორგანიზმი, რომლის ნაწილებიც წირავენ საკუთარ დამოუკიდებლობას მთლიანის შესანარჩუნებლად. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო წარმოადგენს უკიდურესად არასრულყოფილ ორგანისმს... რაც უფრო მაღალია სახელმწიფოს განვითარების დონე, მით უფრო მეტს ცდილობს იგი თავი დააღწიოს საკუთარ ორგანულ საფუძველს. მაშასადამე, სახელმწიფოს შედარება ცოცხალ ორგანიზმთან უფრო სამართლიანია, იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია პრიმიტიულ სახელმწიფოზე, და ნაკლებად სამართლიანია როდესაც ვგულისხმობთ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოს... ხალხმა უნდა იცხოვროს და მოკვდეს იმ მიწაზე, რომელიც მას ბედმა არგუნა, დაემორჩილოს საკუთარ ხვედრს". [ ფიდრიხ რატცელი (1844-1904 წწ.), პოლიტიკური გეოგრაფია, 1897].



ნიკო ნიკოლაძე (1843-1928)
ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

"ქვეყნის პოლიტიკას – როგორც მისი ბუნების ნამდვილ ძალებს – ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს. პოლიტიკა ახალ მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება. სანამ შავი ზღვიდან გასასვლელი სრუტე ოსმალოს ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით – რუსეთი, ბევრიც რომ ვიწრიალოთ, იმ პოლიტიკას ვერ ავცილდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრეს გმირებს, ბევრი ცდის, ძებნის და მსხვერპლის შემდეგ.

უკეთესი, რომ შესაძლო ყოფილიყო, განა დაემალებოდათ? ჩვენზე ცოტად სწყუროდათ, ეითომ, დამოუკიდებლობა, საკუთარი გეირგეინი ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ?.. რა ძალამ და აუცილებლობამ ეს დევები გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს". [ნიკო ნიკოლაძე, ჩემ პოლიტიკაზე. 1913].



მიხეილ ჯავახიშვილი (1880-1937) ქართველი მწერალი

"თავდაპირველად ერთი რამ უნდა გავიხსენოთ და დავიხსომოთ: ყველა ერის ისტორია – წარსული, აწმყო და მომავალიც – განუწყვეტელი ჯაჭვით არის გადაბმული მისი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასთან. ამ ფაქტორს ყოვლად უძლეველი და გარდაუვალი ძალა აქვს. მას თანაბრად ერთვის ამავე ერის ხასიათი და პოტენციალური წონა. აი, ეს ფაქტორები ჰქმნიან და ხსნიან ამა თუ იმ ერის წარსულსაც და მყობადსაც.

ძველი ბერძნები პამირის მთიანეთზე ვერ შეჰქმნიდნენ ბრწყინვალე ელინურ კულტურას. სამაგიეროდ ვერც მონგოლები გასწევდნენ ინგლისელობას. რომაელების კონიოქრება და იმპერია ვერ დაარსდებოდა სოლომონის კუნძულებზე, ხოლო ევროპაში ინდო-გერმანელების ნაცვლად ჩინელები რომ მოსულიყვნენ, მსოფლიოს ისტორია სულ სხვა გზებით წავიდოდა.

... მსოფლიო კულტურის მდინარე მუდამ ზღვის ნაპირებს მისდევს. რამდენადაც უფრო გრძელია რომელიმე ქვეყნის საზღვაო ხაზი, იმდენად უფრო ძლიერია ამ ხალხის საერთო კულტურა ან წარსულში, ან ეხლაც, ან მომავალში. გაიხსენეთ ძველი საბერძნეთი, რომი, ჩინეთი ან ეხლანდელი ინგლისი, ამერიკა და იაპონია. როცა კოლუმბმა ახალი ქვეყანა აღმოაჩინა და კულტურის ცენტრი ჩაკეტილ ზღვებიდან ოკეანეში გადაიტანა, იტალიის საზღვაო ქალაქებმა საგარეოდ იგლოვეს თავიანთი მომავალი დაქვეითება. და მათი გლოვა და შიში მალე გამართლდა. ბევრმა ხალხმა შეაკლა თავი ზღვისთვის და საზღვაო გზებისთვის ბრძოლას: საბერძნეთმა, ფინიკეთმა, კართაგენმა და მრავალმა სხვამაც. ინგლისმა რიგ-რიგად მოუჭრა ეს გზები თავის მეზობლებს – ჰოლანდიას, პორტუგალიას, ესპანეთსა და საფრანგეთსაც – და მხოლოდ ზღვების წყალობით დაიმკვიდრა დღევანდელი ადგილი. უკანასკნელი მსოფლიო ომის საბოლოო სათავეც აქ არის: გერმანიასაც ისევ ინგლისმა მოსჭრა ზღვებისკენ – დიდი ბაზრებისაკენ გაწვდენილი მარჯვენა. და რუსეთის გაზრდა და განუწყვეტელი ომებიც – პეტრე დიდიდან მოყოლებული უკანასკნელ დიდ ომამდე – გამოწვეული იყო ჯერ ზღვის მოპოვების, შემდეგ საზღვაო ხაზის გაფართოებისა და ბოლოს შავი ზღვიდან გასვლის უძლეველი წყურვილით.

შავი ზღვის ნაპირებზე არ გაშლილა და ვერც გაიშლებოდა მსოფლიო მასშტაბის ცივილიზაცია. მხოლოდ ბერძნებმა და გენუელებმა ოდნავ შთაბერეს მას სიცოცხლის სული, რადგან ხელში ეჭირათ მისი გასაღებიც – ბოსფორი და დარდანელი. ამ მხრივ პორტი ზღვას უდრის – ვისაც ეს გასაღები ხელში აქვს,

და ჩაკეტილ ტბად უნდა ჩაითვალოს იმისთვის, ვინც მის ნაპირებზე მოსახლეობს." [მიხეილ ჯავახიშვილი. მასალები ლექციისათვის. 1927 წ. 26 თებერვალი. წერილები. თბილისი, 1980. ტ.VI, გვ. 56-57]



იუხან რუდოლფ ჩელენი (1864–1922) შვედი მეცნიერი და პოლიტიკოსი, იურისტი და სახელმწიფოთმცოდნე.

"გეოპოლიტიკა – არის მეცნიერება სახელმწიფოს, როგორც სივრცეში განფენილი გეოგრაფიული ორგანიზმის შესახებ. სახელმწიფო, როგორც ქვეყანა, როგორც ტერიტორია ან როგორც იმპერია. ამ პოლიტიკური მეცნიერების მუდმივ ობიექტს წარმოადგენს უნიფიცირებული სახელმწიფო, იგი მიისწრაფვის გააცნობიეროს მისი არსი, მაშინ როდესაც პოლიტიკური გეოგრაფია ასახავს ინფორმაციას პლანეტაზე, როგორც ადამიანთა ერთობების არსებობის ადგილზე". [რუდოლფ ჩელენი. სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმა. 1916 წ. – ნეოლოგიზმი "გეოპოლიტიკა"-ს ავტორი].



პოლ ვიდალ დე ლა ბლანში (1845-1918) ისტორიკოსი, გეოგრაფი. ფრანგული გეოპოლიტიკური სკოლის დამაარსებელი

"გეოგრაფია მოწოდებულია ახსნას, თუ როგორ ურთიერთმოქმედებენ და ერწყმიან ერთმანეთს დედამიწის სხვადასხვა ნაწილებში ის ფიზიკური და ბიოლოგიური კანონები, რომლებიც მართავენ სამყაროს... ისინი მნიშვნელოვნაწილად წარმოადგენენ ადამიანური მოღვაწეობის შედეგს, რომელიც ბუნებრივ ფაქტორებს ანიჭებს აუცილებელ ერთობას... გეოგრაფიული ინდივიდუალურობა არ წარმოადგენს ბუნების მიერ მოცემულ რაღაც მოცემულობას; იგი არის მხოლოდ ის რეზერვუარი, სადაც სძინავს ბუნების მიერ ჩადებულ ენერგიას, რომლის გაღვიძებაც მხოლოდ ადამიანს შეუძლია". [პოლ ვიდალ დე ლა ბლანში. აღმოსავლეთ საფრანგეთი, 1919 წ.].



**კარლ ჰაუსჰოფერი (გერ., Karl Haushofer) (1869-1946)**
**გერმანელი გეოგრაფი და სოციოლოგი. გეოპოლიტიკის გერმანული სკოლის ფუძემდებელი.**

გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერული პოლიტიკისა და დედამიწის ზედაპირის ნებისმიერი სივრცული გარდაქმნის საფუძველი, განსაკუთრებით მდიდარი კულტურის მქონე ხალხისათვის, რომელმაც განიცადა შემაძრწუნებელი შერყევა და იმყოფება ჭარბდასახლებული კონტინენტის ცენტრში, შესაძლოა წარმოადგენს საერთო სასიცოცხლო სივრცეში მყოფი მილიონობით ადამიანის შეხედულებათა შეთანხმების ერთერთ იშვიათ საშუალებას, თუნდაც იმ საკითხებში, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ყველასათვის.

გეოპოლიტიკური სფეროს სიღრმისეული შემეცნება თავისუფალი უნდა იყოს პარტიული წინასწარშექმნილი აზრისაგან, ერთნაირად მართებული როგორც უკიდურესი მემარცხენეებისათვის ასევე უკიდურესი მემარჯვენეებისათვის, რათა ნებისმიერმა, რომელიც ფლობს აუცილებელ გამოცდილებასა და გეოპოლიტიკურ ცოდნას, განახორციელოს სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, პოლიტიკური შეხედულებებისა და პარტიული კუთენილების მიუხედაეად...

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ჩვენ ზოგიერთ საუკეთესო გეოპოლიტიკურ ნაშრომს ვხვდებით, როგორც კაპიტალიზმის მომხრე ანგლო-საქსურ ქვეყნებში, ასევე მათ მოსკოველ მოწინააღმდეგეებთან. გეოპოლიტიკური შრომები, თავისი არსით, არ უნდა იყვნენ დამოკიდებული მათი ავტორების საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, პარტიულ კუთვნილებაზე, და იმ ადგილზე დედამიწის ზურგზე, სადაც ისინი განგების ნებით აღმოჩნდნენ". **[კარლ ჰაუსჰოფერი, 1931 წელს ბერლინის რადიოთი გამოსელის ტექსტი].**

"პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და თავდაცვითი პოლიტიკა შენდება გეოპოლიტიკური ფაქტორების გათეალისწინებით. შესაძლოა, გეოპოლიტიკა მოდიდან გამოვიდა, მაგრამ გლობალური გეოგრაფიული რეალიების პოლიტიკური ინტერპრეტაცია მნიშვნელოვან, თუმცა ზოგჯერ მცირედშესამჩნევ როლს თამაშობს პრობლემების გადაწყვეტის ჩვენებურ მიდგომაში".
**[ კოლინ ს. გრეი, ბირთეული ეპოქის გეოპოლიტიკა, 1977 წ.].**



**რაიმონ არონი (ფრ., Raymond Aron) (1905-1983) ფრანგი სოციოლოგი, პოლიტოლოგი, ფილოსოფოსი**

**"რა შეუძლია ამოიღოს გეოპოლიტიკამ კონკრეტული რეალობიდან, სცენის სქემატიზმიდან, მსახიობთა სტრატეგიიდან და დიპლომატიიდან? გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს დასახული მიზნების მისაღწევად გარკვეული საშუალებების გამოყენების საშუალებას. სახელმწიფოები საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან საგარეო ექსპანსიის განსახორციელებლად ახდენენ რესურსების, ანუ ადამიანების, წარმოების საშუალებების, იარაღის მობილიზებას. მაგრამ ექსპანსიის მიმართულება, ისევე, როგორც საგარეო საფრთხის მიმართულება, უკვე არის ასახული გლობუსზე, თუკი გეოგრაფს სწორად შეუძლია შეაფასოს ის ბუნებრივი ფაქტორები, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის აყვავებისა და სიძლიერის გარანტიას. გეოპოლიტიკა, თავის თავში აერთიანებს დიპლომატიური და სტრატეგიული ურთიერთობების გეოგრაფიულ სქემატიზაციას, რესურსების გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ანალიზთან, დიპლომატიური პოზიციების ინტერპრეტაციასთან, რომელიც ითვალისწინებს როგორც მოსახლეობის ცხოვრების წესს (მკვიდრი, მომთაბარე, მიწათმოქმედი, მეზღვაური), ასევე გარემოს ხასიათს". [რაიმონ არონი (1905-1983 წწ.), ომი და მშვიდობა ერებს შორის, 1962 წ.].**

გეოპოლიტიკური ცნობიერება, ანუ სივრცის, როგორც სიძლიერის გამოვლენის სფეროს შემეცნება, უპირველეს ყოვლისა სამთავრობო წრეებში ვრცელდებოდა.



**გაიუს იულიუს ცეზარ ოქტავიანე ავგუსტუსი (ლათ., Gaius Iulius Caesar Octavianus)**
**(ძ.წ. 63 - ჩე.წ.19) რომის იმპერატორი**

ახალი წელთაღრიცხვის 2 წელს რომის იმპერატორმა **ოქტავიანემ** საკუთარ ხალხს წარუდგინა **მსოფლიოს რუქა. ეს იყო პირველი მცდელობა** გამოესახათ მთელი სამყარო, უფრო სწორად **რომაელებისათვის იმ დროს** ცნობილი სამყაროს ნაწილები. მასზე ასახული იყო **მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის აუზი,** მიუხედავად იმისა, რომ რომაელებს ჰქონდათ **მეტ-ნაკლებად** რეგულარული კავშირები **სპარსეთთან, ინდოეთთან, ჩინეთთან.**

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, რასაც მოჰყვა ცოდნის **უზარმაზარი** მოცულობის დაკარგვა, შუასაუკუნეების ევროპა, **ძირითადად დაკავებული** საკუთარი თავით, დანაწევრებული უამრავ ფეოდალურ **სამფლობელოებად ვეღარ** ფლობს სივრცის აღქმის ფართო ჰორიზონტს. თითოეული **სამთავრო,** სუზერენიტეტისა და ვასალური დამოკიდებულების ურთულესი **სისტემის** ნაწილი, გააფთრებით იბრძვის საკუთარი **სამფლობელოების შენარჩუნებისა და** გაფართოებისათვის (**კაპეტინგები** საფრანგეთს **ილ-დე-ფრანსის გარშემო,** **პლანტაგენეტები** ინგლისს ლონდონის გარშემო, **ჰოჰენშტაუფენები გერმანიას,** **ბაგრატიონები** საქართველოს ქუთაისის გარშემო და სხვა).

სივრცეზე წარმოდგენების კარდინალური **ცვლილებებისათვის საჭირო გახდა** რამოდენიმე მდგომარეობის თანხვედრა: ინდოეთისა და **ჩინეთისაკენ შემოვლითი** **გზების ძიება,** ვინაიდან გზაჯვარედინი ევროპას, **აზიასა და აფრიკას შორის** **ისლამს ჰქონდა** ჩაგდებული ხელში; მნიშვნელოვანი **პროგრესი ზღვაოსნობის** **ტექნიკაში — ასტრონომიული ნავიგაციის** განვითარება, **რომელიც საშუალებას** აძლევდა ზღვაოსნებს უპრობლემოდ ევლოთ ზღვებსა და ოკეანეებში.



**ევროპა 1756 წელს**
**შვიდწლიანი ომის დაპირისპირებული კოალიციები:**
**I. პრუსია, ინგლისი, პორტუგალია, ჰანოვერი, ჰესენ-კასელი, ბრაუნშვეიგი, იროკეზების ლიგა.**
**II. ავსტრია, საფრანგეთი, რუსეთი, ესპანეთი, საქსონია, შვედეთი, ნეაპოლის სამეფო, სარდინიის სამეფო.**

შვიდწლიანი ომი (1756-1766) გახდა პლანეტარული მასშტაბის პირველ კონფლიქტი. ევროპის, კანადის, ინდოეთის საბრძოლო მოქმედების თეატრებზე ერთმანეთს დაეჯახა ინგლისისა და საფრანგეთის გლობალური ამბიციები.



ლუი XV (ფრ., Louis XV) (1710-1774)
საფრანგეთის მეფე



გეორგ II (ინგ., George II) (1683-1760)
ინგლისისა და ირლანდიის მეფე



ფრიდრიხ II დიდი (გერ., Friedrich II der Große) (1712-1786)
პრუსიის მეფე



მარია ტერეზია(გერ., MariaTheresia)(1717-1780)
რომის საღმრთო იმპერიის იმპერატორი



ელისაბედ რომანოვი (რუს., Елизавета Романова)
(1709-1762) რუსეთის იმპერატორი

ინგლისი, გარდა იმისა, რომ ფლობდა სამფლობელოებს რამოდენიმე კონტინენტზე, იყო პირველი სახელმწიფო, რომელსაც მსოფლიო მასშტაბით ჰქონდა ორგანიზებული თავისი სტრატეგია. ინგლისს დასახული ჰქონდა მიზანი: მას სურდა არა მარტო ყველაზე მეტი ტერიტორიების ფლობა (ყველა რჯულის დამპყრობლების ტრადიციული ოცნება), მას უნდოდა აგრეთვე ზღვებსა და ოკეანეებზე, საერთაშორისო მიმოსვლის გზებზე უპირობო კონტროლის დაწესება. ამით აიხსნება ის ქიციანი მისწრაფება, რომლითაც ლონდონი ხელიდან არ უშვებდა სრუტეებს გიბრალტარიდან კეთილი იმედის კონცხამდე და სუეციდან სინგაპურამდე. ამ გლობალურ დაპირისპირებაში საფრანთეთი

დაამარცხა ინგლისელთა მკაფიო სტრატეგიამ და ძალთა მაქსიმალურმა კონცენტრაციამ. პარიზის ხელშეკრულების თანახმად (1763) საფრანგეთმა დაკარგა თავისი სამფლობელოების დიდი ნაწილი (კანადა, ლუიზიანა, ტერიტორიები მისისიპის აღმოსავლეთით...). ეს დაპირისპირება გაგრძელდა საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის მმართველობის პერიოდში 1815 წლის ჩათვლით. საფრანგეთმა და მისმა კონტინენტალური იმპერიის პროექტმა კვლავ მარცხი განიცადა. ზღვათა მბრძანებელი ბრიტანეთი კვლავაც ზეიმობდა.

სახელმწიფო არის გეოპოლიტიკური ცნობიერების ფორმირების ადგილი. თანამედროვე სახელმწიფოს წარმოშობამ და განმტკიცებამ, რომელშიც ვლინდება სამი გეოგრაფიული ფაქტორის მჭიდრო ურთიერთმოქმედება, ხელი შეუწყო ადამიანების მიერ ხმელეთის მთელი სივრცის, როგორც დიდი სახელმწიფოების ინტერესების შეჯახების ერთიან ველად აღქმას.

ეს გეოგრაფიული ფაქტორებია:

**საზღვრები – სუვერენიტეტების მოქმედების სფეროების გამყოფი ხაზები.**

პოლიტიკური საზღვარი, ერთდროულად, წარმოადგენს მოცემული სახელმწიფოს საგარეო გარსს და მის მეზობლებთან კონტაქტის ხაზს. თანამედროვე საზღვრები დგინდებიან სახელმწიფოებრივი მექანიზმის, რომელსაც გააჩნია უნარი განახორციელოს სუვერენიტეტი მოცემულ ტერიტორიაზე და მართოს მისი მოსახლეობა, შექმნის პარალელურად. საგარეო გარსი მიუთითებს სუვერენიტეტის განხორციელებისა და მისი გამოვლინების ზღვარს: მოცემული სახელმწიფოს ფულის ბრუნვა, მისი მოქალაქეების ჯარში გაწვევა, ხანდახან ოფიციალური ენის მოქმედების სფერო. საზღვარი აგრეთვე ასრულებს ქვეყნის ტერიტორიის აღმნიშვნელ სიმბოლურ ფუნქციას. ისტორიული საზღვრები იქმნებოდნენ ან გარეშე ძალების ზემოქმედებით, ან კიდევ – მეზობელ სახელმწიფოებთან შეჯახებების შედეგად. პოლიტიკური, იდეოლოგიური, ლინგვისტური და რელიგიური განსხვავებების მიუხედავად სახელმწიფო საზღვარი წარმოადგენს უნივერსალური ხასიათის ერთადერთ ნორმას.

საზღვრის თანამედროვე გაგება – სუვერენიტეტების მოქმედების სფეროს გამყოფი ხაზები, – აღმოცენდა ბიუროკრატიული სუვერენული სახელმწიფოების განმტკიცებასთან ერთად. სხვა კონტინენტების კოლონიზაციის პერიოდში ევროპელებმა დანარჩენ სამყაროსაც გაავრცელეს ტერიტორიების ზუსტი გამიჯვნის საკუთარი კონცეფცია და მთელი დედამიწა დაიფარა საზღვრებით, რომლებიც გავლებული იყო კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე: იმპერიებს შორის გამყოფი ხაზები (ესპანეთისა და პორტუგალიას შორის სამხრეთ ამერიკაში, რუსეთისა და ჩინეთის შორის ციმბირში, კოლონიალურ სახელმწიფოებს შორის აფრიკაში...) ან იმპერიების შიგნით, სადაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების საზღვრები გადაიქცნენ სახელმწიფო საზღვრებად მაგალითად: ინგლისის კოლონიები. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე გაყოფილი იქნა ინდოეთსა და პაკისტანს შორის); პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (1919-1920) ევროპაში დაიწყო საზღვრების რადიკალური გადასინჯვა და წარმოიქმნა 9 ახალი სახელმწიფო (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ავსტრია, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ფინეთი, სერბია-ხორვატია-სლოვენიის სამეფო ანუ იუგოსლავია).

საზღვრები ხელს უწყობენ სახელმწიფოების მიერ თავის თავის, როგორც ერთიანი მთელის აღქმას, რომელიც განსხვავდება სხვა სახელმწიფოებისაგან და რომელსაც საკუთარ ტერიტორიაზე გააჩნია უცილობელი სუვერენიტეტი.

ერი-სახელმწიფოს სუვერენიტეტი გულისხმობს საკუთარ ტერიტორიასა და მასზე მაცხოვრებელ მოსახლეობაზე კონტროლის განსაკუთრებულ უფლებას;

გამორიცხავს ეროვნული სახელმწიფოს რამენაირ დაქვემდებარებას ზეეროვნული ორგანოებისადმი.

სახელმწიფო უნდა გახდეს ერთგვაროვანი, მოახდინოს საკუთარი სივრცის უნიფიცირება, რათა აღიქვას თავისი თავი როგორც ერთიანი მთლიანი და ამ სახითვე იქნეს აღქმული სხვა სუბიექტების მიერ. ამით აიხსნება ცენტრალური ხელისუფლების მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ადგილობრივი თავისებურებების ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ: რელიგიური, კულტურული, ენობრივი და ასე შემდეგ. სახელმწიფო ხელისუფლება მეთოდურად სპობს ყველაფერ იმას, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეროვნულ ერთობას. მსოფლიოს ყველა სახელმწიფო მიდის მსგავსი უნიფიკაციის გზით, თუმცა რიგ შემთხვევებში ცენტრალური ხელისუფლება, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მიდის კომპრომისზე რეგიონებთან. ფეოდალური დაქუცმაცებულობის პირობებში (ამომავალი მზის ქვეყნიდან მოყოლებული ნისლოვან ალბიონამდე) – დაიმიოებისათვის, მანდარინებისათვის, რაჯებისათვის, ხანებისა და ფაშებისათვის, ერისთავებისა და თავადებისათვის, ბოიარებისა და დიდი თავადებისათვის, მარკგრაფებისა და კურფიურსტებისათვის, დონებისა და გრანდებისათვის, სისხლის პრინცებისა და ჰერცოგებისათვის, ბარონებისა და ლორდებისათვის – პროვინციები და რეგიონები წარმოადგენდნენ, მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ტერიტორიის ფრაგმენტებს, რომლებსაც იპყრობდნენ ან კარგავდნენ, გამარჯვების ან დამარცხების შესაბამისად. სიტუაცია კარდინალურად იცვლება, როდესაც ჩნდება ეროვნული იდეა. სახელმწიფოს ტერიტორია ხდება წმინდა: იგი უკვე ეკუთვნის ხალხს და არა მონარქს.

ერის კულტის პარალელურად XIX საუკუნეში გავრცელდა სივრცის მისტიკა.

რა გვაქვს ჩვენ მხედველობაში?: ზოგიერთმა ხალხმა ოცნება დაიწყო ეგრეთ წოდებულ სრულყოფილ ტერიტორიებზე.



ჟორჟ ჟაკ დანტონი (ფრ., Georges Jacques Danton) (1759-1794)
საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწე

საფრანგეთმა, რევოლუციური ომების პერიოდში, დანტონის ზეგავლენით, მოითხოვა "ბუნებრივი საზღვრების" დამკვიდრება. ეს ნიშნავდა სახელმწიფო საზღვრის გავლებას ბუნებრივი დაბრკოლებების გასწვრივ ანუ რეინის მთელი მარცხენა სანაპიროს ანექსიას. "ბუნებრივი საზღვრების" მითი ასახავს ნებისმიერი კონტინენტალური სახელმწიფოს გულისტკივილს იმის შესახებ, რომ იგი არ მდებარეობს რომელიმე კუნძულზე, ანუ არ ფლობს უცილობელ ტერიტორიულ საზღვრებს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს აბსოლუტური უსაფრთხოების გარანტიას.

გერმანია, 1848 წლიდან მეორე მსოფლიო ომამდე, ავადმყოფური სიმწვავით აღიქვამდა საკუთარი სახელმწიფო საზღვრებისა და გერმანელთა განსახლების საზღვრების შეუსაბამობას. ევროპის ცენტრში მყოფ გერმანიას სურდა ჰქონოდა

საკმარისი სივრცე, რათა გაეერთიანებინა ყველა გერმანელი ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. ამ აკვიატებულმა იდეამ, ადოლფ ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მიიღო პოლიტიკური და სამხედრო დოქტრინის სახე. შედეგი: მეორე მსოფლიო ომი.

ზოგადად, ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორია წარმოგვიდგება, როგორც არასრულყოფილი, არასაკმარისი. ხშირ შემთხვევაში იგი მოიცავს ეროვნულ უმცირესობათა განსახლების ადგილებს, რომლებიც უცხოელებად გრძნობენ თავს ამ სახელმწიფოში; პარალელურად, ეროვნული საზღვრების მიღმა, ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც სურთ იცხოვრონ ამ ქვეყანაში (ეროვნულ უმცირესობათა და ირედენტიზმის მუდმივი პრობლემა). დღესაც არიან ძალები, რომლებიც არა მარტო უარყოფენ რეალური სამყაროს არასრულყოფილებას, არამედ ცდილობენ მიაღწიონ შეუძლებელ "სრულყოფილებას" (გასული საუკუნის 90-იან წლებში ეს გამოვლინდა "ეთნიკურ წმენდებში" ფერგანას დაბლობში, სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, იუგოსლავიაში და სხვა).

სივრცის მისტიკა წარმოშობს ტერიტორიული დაპყრობების მოთხოვნილებას და გარდაქმნის სახელმწიფოებრივ საზღვრებს ახალი ექსპანსიის ხაზებად. თავის დროზე ეს ტენდენცია გამოვლინდა რუსეთში ციმბირისა და შუა აზიის მიწების ხელში ჩაგდებით, ხოლო შეერთებულ შტატებში – ეგრეთ წოდებული "ველური" დასავლეთის დაპყრობით.

თანამედროვე პირობებში ადამიანების გეოგრაფიული ცნობიერების ორგანიზება ხდება სამი ძირითადი ელემენტის გარშემო:

- **დედამიწის ტერიტორიის ზღვრული ხასიათი.** ჩვენი თანამედროვეობის ბევრი მოვლენა და პრობლემა უბიძგებს ადამიანებს მსოფლიო განიხილონ, როგორც ერთიანი მთელი. ეს ნიშნავს, რომ პრობლემა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გადაწყვეტილი, თუ მთელი კაცობრიობა, ან მისი უდიდესი ნაწილი, გამოიმუშავებს ერთიან მიდგომას მათ გადასაწყვეტად. პრობლემები კი უამრავია: **განიარაღება** (ბირთვული იარაღისა და სარაკეტო ტექნოლოგიების გავრცელება), **გარემოს დაცვა** (ატმოსფეროს, ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურება, ტროპიკული ტყეების განადგურება, ნარჩენების უკანონო გადაადგილებები), **ეკონომიკური და ფინანსური საკითხების დარეგულირება** (კაპიტალის მოძრაობა), **პლანეტის რესურსებსა და მათ მოხმარებას შორის წონასწორობის დარღვევა.**
- **დაპყრობა და გაყოფა.** სამყარო, როგორც გეოგრაფიული სივრცე დიდი ხანია რაც გამოკვლეულია, დაპყრობილია, დაყოფილია. დღევანდელ დღეს ღია ზღვების, სამხრეთ პოლუსისა და კოსმოსური სივრცის გარდა ყველაფერი განაწილებული არის სუვერენულ სახელმწიფოებს შორის.

  **საზღვრების გამჭვირვალობა.** სასაზღვრო ხაზი სულ უფრო და უფრო გამჭვირვალე გახდა: ხდება ფულის, სამუშაო ძალის, ინფორმაციის... გადაადგილება. ოფიციალური საზღვრების გვერდით წარმოიშვებიან მოძრავი საზღვრები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში სხვადასხვანაირად ყალიბდებიან.

სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, ანუ სახელმწიფოს ადგილმდებარეობა ძალის ძირითად ცენტრებთან მიმართებაში, შეიძლება იყოს **ცენტრალური** (ძალის ცენტრი), **პერიფერიული**, **ბუფერი** (ძალის ცენტრებს შორის შუალედური მდებარეობა).

**ტერიტორიის ფორმა** – იდეალურ ტერიტორიას წარმოადგენს წრე. გაჭიმული ტერიტორიის მქონე სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

**ტერიტორიის მოცულობა** – სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს რესურსების **ისეთი კრებული, რომ** დამოუკიდებლად მართოს ეკონომიკური პროცესები.

ტერიტორია, რომელსაც აკონტროლებს ან ცდილობს გააკონტროლოს **სახელმწიფომ**. ხასიათდება უპირველეს ყოვლისა ცენტრსა და ტერიტორიას **შორის კავშირების** განვითარების დონით. სივრცეს, რომელსაც აკონტროლებს **სახელმწიფო** ან სახელმწიფოთა კავშირი ეწოდება **გეოპოლიტიკური ველი. გთავაზობთ მსგავსი** ველების შემდეგ კლასიფიკაციას:

- **ენდემური ველი** (ბერძნული – **endemos-ადგილობრივი**) – სივრცე, რომელსაც სახელმწიფო აკონტროლებს დიდი ხნის განმავლობაში. ამ ტერიტორიის კუთვნილება მოცემული ეროვნული ერთობის მიერ აღიარებულია მეზობლების მიერ.
- **სასაზღვრო ველი** – ტერიტორია, რომელიც იმყოფება მოცემული სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, მაგრამ არ არის სათანადოდ ათვისებული დემოგრაფიულად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად. ხშირ შემთხვევაში ამდაგვარ ველს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობებით დასახლებული სივრცე. მოსაზღვრე სახელმწიფოები საეჭვოდ მიიჩნევენ ამ ტერიტორიების კუთვნილების საკითხს, მაგრამ არ განიხილავენ მათ, როგორც საკუთარ ტერიტორიებს.
- **ჯვარედინი ველი** – სივრცე, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს რამოდენიმე მოსაზღვრე სახელმწიფო.
- **ტოტალური ველი** – ეროვნული ერთობის კონტროლის ქვეშ მყოფი უწყვეტი სივრცე.
- **გეოპოლიტიკური საყრდენი წერტილი** – ტერიტორია, რომელიც იმყოფება ტოტალური ველის მიღმა, რომელსაც აკონტროლებს რომელიმე სახელმწიფო, მაგრამ ამ ტერიტორიისაკენ მიმავალ კომუნიკაციებს აკონტროლებს სხვა სახელმწიფო ან სახელმწიფოები.
- **მეტაველი** – სივრცე, რომელსაც ერთდროულად რამოდენიმე სახელმწიფო ითვისებს. ხშირ შემთხვევაში მსგავსი ათვისება მიმდინარეობს გარედან გეოპოლიტიკური ზეწოლის პირობებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ გეოპოლიტიკურ სივრცეზე კონტროლის **მრავალფეროვანი** ფორმები ცნობილია ოდითგანვე. ესენია: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, საკომუნიკაციო, რელიგიური და სხვა. თანამედროვე პირობებში დიდ როლს თამაშობენ საინფორმაციო-იდეოლოგიური, ტექნოლოგიური და კულტურულ-ცივილიზაციური კონტროლის ფორმები. კონტროლის ეს ფორმები ხშირ შემთხვევაში გამოიყენება სხვადასხვაგვარი კომბინაციური შეხამების სახით, რამეთუ **გეოპოლიტიკური მიდგომა** მოითხოვს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთმოქმედების ყველა ფაქტორის გათვალისწინებას. ეს ფაქტორებია: **გეოგრაფიული, ეკონომიკური, სამხედრო, დემოგრაფიული, პოლიტიკური, კულტურულ-რელიგიური, ეთნიკური, ინფორმაციული.**

**გეოპოლიტიკური პარადიგმებია:**

- **კლასიკური პარადიგმა – ღერძული დაპირისპირება, როდესაც მოქმედებს** "ორი ბლოკის ან პოლიტიკური სისტემის ლოგიკა", აგრეთვე განვითარებული ჩრდილოეთისა და განვითარებადი სამხრეთის (ცენტრისა და პერიფერიების) დაპირისპირება;
- **რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის კონცეფცია – დღეს-დღეობით მიაჩნიათ, რომ** არსებობს ექვსი ძირითადი ძალის ცენტრი: **აშშ და რუსეთი, ჩინეთი** და იაპონია, ევროპა და არაბული სამყარო. თუმცა **ზოგიერთი** ანალიტიკოსი (**ჰენრი კისინჯერი**) ყურადღებას ამახვილებს **ინდოეთის** განუხრელად მზარდ როლზე, ვინაიდან არაბულ სამყაროს

ისინი მიიჩნევენ უფრო ძალთა კონგლომერატად, ვიდრე გეოპოლიტიკური ზემოქმედების ერთეულის ორგანულ ერთობად.



**ჰენრი ალფრედ კისინჯერი (ინგ., Henry Alfred Kissinger) (1923) ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, საერთაშორისო ურთიერთობის სფეროს ექსპერტი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1973)**

მეორეს მხრივ კი, მუსლიმური სამყარო შეიძლება გამოვიდეს, როგორც წარმოუდგენლად ძლიერი ფაქტორი. (მაგალითად; უკვე სახეზეა საერთაშორისო მოვლენებზე მდიდარი კულტურულ-ისტორიული პოტენციალის გამოყენების მცდელობა – "დიდი ირანი", "დიდი თურქეთი", დიდი თურქმენეთი", "ესპანეთის დიდი მომავალი" და სხვა).

• ცივილიზაციათა დაჯახების პარადიგმა – სადაც სისტემაწარმომქმნელი და ჩამოყალიბების დინამიზმისადმი დაქვემდებარებული პრინციპების სახით აღებულია ეთნიკური, რელიგიური, სოციოკულტურული უნივერსალიები. ცნობილმა გერმანელმა გეოპოლიტიკოსმა კარლ შმიტმა განჭვრიტა, რომ მომავალში შეიძლება იყოს ისტორიული განვითარების სამი ალტერნატივა; 1. ერთი ზესახელმწიფოს მიერ მსოფლიო ტოტალური ჰეგემონიის დამყარება – მიწის ნომოსი, ანუ ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც იგივე გლობალური უნივერსალიზმია; 2. სივრცული ქაოსის ალტერნატივა; 3. გეოპოლიტიკურ სივრცეთა ინტერესების ბალანსის ალტერნატივა – დიდი სივრცეების არსებობა (Grossraum).



**კარლ შმიტი (გერ., Carl Schmitt) (1888-1985) გერმანელი პოლიტოლოგი, იურისტი, სოციოლოგი, სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკური მოაზროვნე**

მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ კატეგორიას წარმოადგენს ძალთა ბალანსი. გეოპოლიტიკური ურთიერთობები – ეს არის განსხვავებულ მსოფლიო ძალათა შედარებითი ერთობა და ბრძოლა. ხშირ შემთხვევაში ეს არის საპირისპიროთა ბრძოლა: ხმელეთი და ზღვა, ცენტრი და პერიფერია. მსოფლიო ისტორიულ პროცესში ერთობა იშვიათ და დროებით მოვლენას წარმოადგენს. უინსტონ ჩერჩილის თანახმად ინგლისს არა ჰყავს მუდმივი მეგობრები და მოკავშირეები, მას აქვს მხოლოდ მუდმივი პოლიტიკური (გეოპოლიტიკური)

ინტერესები. ერთადერთი რაც არის მუდმივი ეს არის დაპირისპირებულთა ბრძოლა.



სერ უინსტონ ლეონარდ სპენსერ-ჩერჩილი (ინგ., *Sir Winston Leonard Spencer-Churchill*)(1874-1965) დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1940-1945), ნობელის პრემიის ლაურეატი (1953)

მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება პოლიტიკური სივრცის ცნება, რომელიც შემოფარგლულია საზღვრებით. სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს პოლიტიკური სივრცე. გეოპოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სივრცული ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის. ამ როლში გამოდიან საზღვრები. საზღვრების გეოპოლიტიკური პრობლემა წარმოიშვება ყოველთვის, როგორც კი იწყება ბრძოლა პოლიტიკურ სივრცეზე კონტროლის, მიერთებისა და ათვისებისათვის. საზღვრები, სახელმწიფოებს შორის, წარმოადგენენ მათი ინტერესების პოლიტიკურ-სტრატეგიულ გამმიჯნავ ხაზს. სასაზღვრო სივრცე – ანუ ქვეყნის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნება სახელმწიფო საზღვარს და თავისი ბუნებრივი და სოციალ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, სამხედრო თვალსაზრისით ტაქტიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებს ქმნის.

ფრიდრიხ რატცელის მტკიცებით, საზღვარი წარმოადგენს სახელმწიფოს პერიფერიულ ორგანოს და როგორც ასეთი, მეტყველებს ამ ორგანიზმის ზრდაზე, ძალასა და სისუსტეზე, აგრეთვე მასში ცვლილებებზე. მისი აზრით საზღვარი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული არსობა. ისინი წარმოადგენენ ცოცხალ ორგანიზმებს და ადამიანის სხეულის დამცავი ორგანოების (მაგალითად კანი) მსგავსად ფართოვდებიან და იკუმშებიან.



ლორდი ჯორჯ ნატანიელ კერზონი (ინგ., George Nathaniel Curzon) (1859-1925) ინგლისელი პუბლიცისტი, მოგზაური, სახელმწიფო მოღვაწე

საზღვრების პრობლემის შესწავლის ერთ-ერთ პიონერად ითვლება ლორდი ჯორჯ ნ. კერზონი (1859-1925). ინდოეთის ვიცე-მეფედ ყოფნის პერიოდში მან კარგად შეისწავლა გამიჯვნის აზიური გამოცდილება. იგი აღნიშნავდა, რომ აზიის სხვადასხვა ხალხები თავს არიდებენ საზღვრების მკაცრ ფიქსაციას, რაც მრავალწილად დაკავშირებული იყო მათ მომთაბარე ცხოვრების წესთან და ყოველგვარი რეგლამენტირებული დებულების მიუღებლობაზე. სახელმწიფოთა

შორის წამოჭრილი მწვავე სასაზღვრო დავების გადასაწყვეტად მან წამოაყენა ბუფერული წარმონაქმნების შექმნის იდეა.

საზღვარი ასრულებს გარკვეულ ფუნქციებს: არასასურველ პირთა გადაადგილების შეზღუდვა ან აკრძალვა, მეზობელ სახელმწიფოთა მცხოვრებლებთან კონტაქტების თავიდან აცილება, დამნაშავეებისა და კონტრაბანდისტების დაკავება, იმპორტისა და ექსპორტის დაბეგვრა, შემოტანილი საქონლის კვოტებზე კონტროლი, ვალუტის მოძრაობაზე კონტროლი, სანიტარული კონტროლი, ფრენაზე კონტროლი და სხვა.

გეოპოლიტიკის ძირითად კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე ინტერესის ცნება. ინტერესები შეიძლება იყოს: კლასობრივი, ეროვნული, სახელმწიფოებრივი. ერი-სახელმწიფოს არსებობის პირობებში ხდება ამ ინტერესების თანხვედრა.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაშინ ბევრი პრობლემა ავტომატურად იხსნება, რამეთუ უმთავრესი სახელმწიფოებრივი ინტერესები ჩამოყალიბებულია საერთაშორისო დოკუმენტებში: გაერო-ს წესდებაში, ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტში და სხვა. საერთაშორისო სამართლის მსგავს წყაროებში დაფიქსირებულია ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მათი ფიზიკური გადარჩენის პირობები, საზღვრების ხელშეუხებლობა, საშინაო საქმეებში გარეშე ძალების ჩარევის დაუშვებლობა და სხვა.

ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების სახით შეიძლება გამოდიოდეს სანედლეულო ბაზის გაზრდა და მის საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკური, სამხედრო, საფინანსო, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სიმძლავრეების გაზრდა; მისი გეოპოლიტიკური გავლენის გაზრდა, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა; საზოგადოების კულტურული, ზნეობრივი, ინტელექტუალური პროგრესი.

სახელმწიფოებრივი ინტერესების შინაარსის ფორმირებას ახდენს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკა, შიდაპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, ეროვნულ-კულტურული და ცივილიზაციური თავისებურებები, მსოფლიო თანამეგობრობაში ქვეყნის ავტორიტეტის დონე. ამასთან ერთად განსაკუთრებულ როლს თამაშობს გეოგრაფიული, ბუნებრივ-სანედლეულო და ეკონომიკური ფაქტორები.

გეოპოლიტიკური ინტერესების მთელი კომპლექსი განხილული უნდა იყოს დინამიკაში. ამასთან ერთად დიდი ხვედრითი წონა აქვთ საერთაშორისო სამართლის ნორმებით დაფიქსირებულებს. სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის ის ინტერესები, რომლებიც არ არღვევენ სხვა სახელმწიფოების ინტერესებს. "სახელმწიფოებრივი ინტერესის" შინაარსი ობიექტურია, მაგრამ მის ინტერპრეტირებას ახდენენ სუბიექტები – ჰეგემონი სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ამ სახელმწიფოებში ძალის მთავარ ცენტრებს წარმოადგენენ მძლავრი ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთა ძირითადი საზრუნავია ბუნებრივი რესურსები და მზა პროდუქციის გასაღების ბაზრები.

განხილულ კატეგორიასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება გეოპოლიტიკის საბაზო ცნება – სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაციის მექანიზმი. ამ საკითხის განხილვისას დგება კანონზომიერი კითხვა: პოლიტიკის, ზნეობისა და სამართლის რა პრინციპები და ნორმები უნდა იყოს პრიორიტეტული ამ ინტერესების დაცვის პროცესში? მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პირველ ადგილზე დგანან პრაგმატული ინტერესები, რომლებიც მიიღწევა ყოველგვარი მორალური ნორმებისა და პრინციპების გათვალისწინების გარეშე.

აქ უპრიანია გავიხსენოთ პოლიტიკური რეალიზმის კლასიკოსის ნიკოლო მაკიაველის მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში: "როდესაც საქმე

სამშობლოს ინტერესებს ეხება, თავი შეიკავეთ იმაზე მსჯელობისაგან სამართლიანია ეს და ეს გადაწყვეტილება თუ უსამართლო, ლმობიერია თუ სასტიკი, საქებია თუ საძრახისი: ანგარიში არ უნდა გავუწიოთ არავითარ თვალსაზრისს და მივიღოთ მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომელიც ხელს უწყობს მისი არსებობისა და თავისუფლების შენარჩუნებას" (ნიკოლო მაკიაველი. მთავარი. თბილისი. 1984). განსხვავება მხოლოდ ერთ რამეშია: ერთნი, გეოპოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოები ან სახელმწიფოთა ჯგუფები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ყველაფერი და ერთბაშად, ხოლო მეორენი – ნაწილ-ნაწილ და ეტაპობრივად. ერთნი იყენებენ აქტიურ ექსპანსიას, მეორენი – მცოცავ ექსპანსიას.

სახელმწიფოებრივი ინტერესები წარმოშობენ ხალხებისა და ქვეყნების ამა თუ იმ სახის ქმედებებს. ეს ქმედებები შეიძლება ატარებდნენ თავდაცვით ან შეტევით, დაპყრობით ან განმანთავისუფლებელ ხასიათს. გეოპოლიტიკაში ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება ექსპანსიის კატეგორია, რომელშიც ნაგულისხმევია რაიმე ტერიტორიული შენაძენი ან სამხედრო-პოლიტიკური გავლენის სფეროს დამკვიდრება. ექსპანსია შეიძლება იყოს: სამხედრო, ეკონომიკური, საფინანსო, კულტურულ-იდეოლოგიური, საინფორმაციო და სხვა სახის. თანამედროვე პირობებში ექსპანსიის ძირითად სახეებს წარმოადგენენ: ტერიტორიული – ხმელეთისა და ზღვის სანედლეულო რესურსებისათვის ბრძოლა და ბრძოლა ბიორესურსებისათვის ანუ თვითგადარჩენისათვის.



რენდალ კოლინზი (1941) ამერიკელი სოციოლოგი, ფილოსოფოსი, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი

ყურადსაღებია რენდალ კოლინზის მიერ ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური დინამიკის პრინციპები:

- სიდიდე და უპირატესობა რესურსებში ხელს უწყობს ტერიტორიულ ექსპანსიას; სხვა თითქმის თანაბარი პირობების შემთხვევაში დიდი, უფრო დასახლებული და რესურსებით მდიდარი სახელმწიფოები, სამხედრო გზით, ფართოვდებიან უფრო მცირე და ღარიბი სახელმწიფოების ხარჯზე;
- გეოპოზიციური ანუ "განაპირა" უპირატესობა ხელს უწყობს ტერიტორიულ ექსპანსიას; სახელმწიფოები, რომლებსაც უფრო ნაკლები მტრები ჰყავთ ძირითადი მიმართულებების მიხედვით, ფართოვდებიან იმ სახელმწიფოების ხარჯზე, რომლებსაც უფრო მეტი მტრები ჰყავთ თავიანთი საზღვრების სიმრავლის გამო;
- გეოგრაფიული რეგიონის შუაში მყოფ სახელმწიფოებს აქვთ ტენდენცია დროთა განმავლობაში დაიყონ მცირე ერთეულებად;
- კუმულატიურ პროცესებს მივყავართ გრძელვადიან გამარტივებამდე (ანუ რეგიონის მთელი ტერიტორიის დამორჩილება ორი-სამი დამპყრობელის მიერ), მასშტაბური შეიარაღებისადმი სწრაფვით და გადამწყვეტი ომებით რამოდენიმე მოწინააღმდეგეს შორის;

- უზომო გაფართოებას (overextension) მივყავართ სარესურსო დაძაბულობამდე და სახელმწიფოს დაშლამდე.

გეოპოლიტიკის კატეგორიების სიტემა, მისი პრობლემატიკის გამდიდრებასთან ერთად, სწრაფად ფართოვდება. ძველ ცნებებთან – გავლენის სფერო, ძალთა ბალანსი, ბუფერული ზონა, სატელიტი ქვეყნები, დაშინება, მარგინალური სარტყელი – ერთად შემოვიდა ახალი ცნებები – ინტეგრაცია-დეზინტეგრაცია, ეროვნული ინტერესები, ინტერესთა დინამიკური წონასწორობა, კარიბჭე-ქვეყანა (ეს კატეგორია "კარიბჭე-ქვეყანა" შემოიღო ცნობილმა ამერიკელმა გეოპოლიტიკოსმა ს.კოჰენმა. მისი მიხედვით ეს არის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე ქვეყანა, ფუნქციებისა და სტრუქტურის მიხედვით გარდამავალი ეკონომიკით, რომელიც იმყოფება დიდი ქვეყნებისა და მათი ბლოკების პირისპირ და შეუძლია ითამაშოს შუამავლის როლი თავისი მსხვილი პარტნიორების დაახლოებაში).

გეოპოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიას წარმოადგენს გეოსტრატეგია – გეოპოლიტიკით დასაბუთებული სახელმწიფო მოღვაწეობის მიმართულება საერთაშორისო არენაზე.

სივრცის გეოგრაფიული თავისებურებების შესაბამისად შეიძლება გამოვყოთ სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და კოსმოსური გეოსტრატეგია.

მასშტაბების მიხედვით გეოსტრატეგია შეიძლება იყოს გლობალური, მაკრორეგიონალური, ლოკალური.

გეოპოლიტიკა სასიცოცხლო მნიშვნელობის ფენომენია. ჩვენი დიდი სურვილია მკითხველი დავარწმუნოთ გეოპოლიტიკური ცოდნის დაუფლებასა და მისი გამოყენების აუცილებლობაში.

## P.S.

"უმეცრებაა ჩვენი საშიში მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია. განათლება, სწავლა, ცოდნა – ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას. კვალში ჩაუდგეს, ხალხს მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს, ვისაც წამალი აქვს, ვისაც მკურნალობა შეუძლიან. მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე, – ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ეხლა. თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისთვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გაეფანტოთ".

ილია ჭავჭავაძე

## თავი II
## გეოპოლიტიკის ისტორიული წანამძღვრები

**"Man fragt ums Was, und nicht ums Wie. Ich müsste keine Schiffahrt kennen: Krieg, Handel und Piraterie, Dreieinig sind sie, nicht zu trennen".**
**Johann Wolfgang von Goethe**

პოლიტიკური რეალობის დინამიკა და სახელმწიფო მოღვაწეთა შემოქმედებითი ნება ხშირად ბევრ რამეს ცვლიან. მსოფლიო პოლიტიკაში მუდმივად აქვს ადგილი მრავალრიცხოვან წარმატებულ და წარუმატებელ მცდელობებს შეცვალონ სამყარო სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე.

XIX-XX საუკუნეების თავისებურებას წარმოადგენდა ელვისებური ცვლილებები ცხოვრების ყველა სფეროში, რამოდენიმე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შეცვლა, სადაც თითოეულის წინაშე დგებოდა საკუთარი სიძნელეები და შეზღუდვები. და ის ვინც საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად ხელმძღვანელობდა მოძველებული და არაადეკვატური წარმოდგენებით, მეთოდებითა და თეორიებით, თვითონვე ჰქმნიდა წანამძღვრებს საკუთარი დამარცხებისათვის.

ამიტომ არსებული პრობლემების ანალიზისას ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, დასაწყისში, მოკლედ განვიხილოთ არსებული ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური სისტემები, მათი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. ამისათვის კი გამოვიყენოთ ისტორიული გამოცდილების მეთოდი.

მსოფლიოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალ ისტორიას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მის პრეინდუსტრიულ გარდამავალ ეტაპს, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავენ XVI – XVIII საუკუნეებს. ამ დროს იწყება რადიკალური ცვლილებები ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში. პირველად კაცობრიობის ისტორიაში მსოფლიო პოლიტიკა გახდა ჭეშმარიტად მსოფლიო (ყველა ქვეყნები და ხალხები ჩაებნენ საერთაშორისო ურთიერთობებში, ამ ურთიერთობების ობიექტების ან სუბიექტების სახით). თავისწლოვანი პაუზის შემდეგ ევროპამ დაიბრუნა პოლიტიკური და ეკონომიკური ლიდერის სტატუსი. შუა საუკუნეების მდორე, შენელებული, ტრადიციული და თანდათანობითი განვითარება იცვლება კრიზისებისა და რევოლუციების, მზარდი არამდგრადობისა და მოუწესრიგებლობის, დაჩქარებული ისტორიული ტემპის ეპოქით: ერთმანეთს უპირისპირდებიან ძველი და ახალი ტრადიციები,სულიერი ცხოვრების ფორმები; სოციალური, ეროვნული და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტები; ფართოვდება ოიკუმენეს საზღვრები, რამაც თავის მხრივ გააფართოვა ბაზრის საზღვრები და გზა გაუხსნა კაპიტალიზმს; ანტიკური ხანის შემდეგ პირველად მოხდა ადამიანის პიროვნული "მე"-ს აღორძინება, რამეთუ მას მიენიჭა თავისუფალი არჩევანის უფლება, არნახული გასაქანი მიეცა გონით შემოქმედებას, რამაც თავის მხრივ კარდინალურად შეცვალა წარმოდგენები გარესამყაროზე და მისი შეცნობის შესაძლებლობებზე.

პრეინდუსტრიული გარდამავალი პერიოდის ისტორიაში წარუშლელი ფურცლები ჩაწერა:

– ევროპულმა აღორძინებამ (XIV-XVII), რომელიც თავისი მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება შევადაროთ ძველი საბერძნეთის პირველ ინტელექტუალურ რევოლუციას ( ჩვ.წ.-მდე VI –IV);

– დიდმა სამეცნიერო რევოლუციამ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე მეცნიერებას ცოდნის სხვადასხვა სფეროებში. სამეცნიერო გადატრიალება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ზოგადტექნიკურ რევოლუციასთან, რამეთუ იგი საზრდოობდა პრაქტიკის მიღწევებით და თავის

მხრივ აკმაყოფილებდა მის მოთხოვნილებებს, ეს კი იწვევდა: ბაზრის სეგმენტების განმტკიცებასა და გაფართოებას; ვაჭრობაში, მრეწველობაში, საზღვაო ტრანსპორტსა და ნაწილობრივ სოფლის მეურნეობაში (საძოვრების შემოღობვების პროცესი ინგლისში) კაპიტალიზმის ჩამოყალიბებასა და კაპიტალის პირველად დაგროვებას. მეცნიერების განვითარებას სტიმულს აძლევდა მზარდი წარმოების მოთხოვნილებები. სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ზღვაოსნობის საჭიროებებმა წარმოშვეს გამოყენებითი ცოდნის პროგრესი. გაჩნდა უფრო სრულყოფილი საათი, გამოიგონეს მიკროსკოპი, ტელესკოპი, თერმომეტრი, ვერცხლის წყლის ბარომეტრი.

ნამდვილი რევოლუცია მოხდა ასტრონომიაში. სამყაროს გეოცენტრისტული სისტემის ნაცვლად, რომლის თანახმადაც XVI-XVII საუკუნეებში დედამიწა მოიაზრებოდა სამყაროს ცენტრად, შემუშავდა სამყაროს ჰელიოცენტრული წყობის იდეა. შეიქმნა უფრო სრულყოფილი კალენდარი. გარდატეხა მოხდა მათემატიკის, ფიზიკისა და მექანიკის განვითარებაში. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქიმიამ, ბიოლოგიამ, ფიზიოლოგიამ, მედიცინამ.

მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნება ჰუმანიტარული სფეროც. გაჩნდა ახალი ფილოსოფია, რომელიც ამ დროს აერთიანებდა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ დისციპლინებს. ამ ფილოსოფიური შეხედულებების უდიდესი წარმომადგენლები იყვნენ ფრენსის ბეკონი და რენე დეკარტი.



ფრენსის ბეკონი (ინგ., Francis Bacon) (1561-1626) ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე



რენე დეკარტი (ფრ., René Descartes) (1596-1650) ფრანგი მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ფიზიოლოგი, ფილოსოფოსი

გაჩნდნენ ისეთი ჰუმანიტარული მეცნიერებები, როგორიცაა იურისპრუდენცია, ისტორიოგრაფია, არქეოლოგია, ნუმიზმატიკა, პედაგოგიკა. თვისობრივად ახალ რანგში ადის პოლიტიკური მეცნიერება, რომლის განვითარებაშიც წარუშლელი კვალი დატოვა ნიკოლო მაკიაველიმ.

ცოდნა კონცენტრირებული და სისტემური სახით მიეწოდება საზოგადოებას იმ დროინდელი ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში: სორბონა – საფრანგეთი, პადუაში (სადაც გალილეო გალილეი ასწავლიდა) – იტალია, სალამანკა – ესპანეთი, კემბრიჯი და ოქსფორდი – ინგლისი, ლეიდენი – ჰოლანდია, უფსალა – შვედეთი.

– დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, რამაც სისტემატიური ხასიათი შესძინა საზღვაო მოგზაურობებს და საბოლოო ჯამში დასაბამი მისცა მსოფლიო კოლონიალური იმპერიების ჩამოყალიბებას, რომელთა შორის პირველები იყვნენ ესპანეთი, პორტუგალია და ინგლისი. საფუძველი ეყრება ევროპისა და აღმოსავლეთის ურთიერთობების ახალ ფორმას. დიდი ხნის განმავლობაში ევროპა შედარებით კარჩაკეტილად ცხოვრობდა. კავშირები აღმოსავლეთთან ძირითადად ვაჭრობით შემოიფარგლებოდა.

პირველი სერიოზული შეხვედრა დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციებს შორის მოხდა XI –XIII საუკუნეებში ჯვაროსნული ომების დროს, მაგრამ მაშინ ევროპამ უკან დაიხია.

მეორე დიდი გარღვევა სწორედ დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა მოახდინა. საწყის ეტაპზე, ანუ XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში ინიციატივა ხელში ჩაიგდეს ესპანელებმა და პორტუგალიელებმა. ლეგენდარული ინდოეთის ძიებაში ისინი აკეთებდნენ სულ ახალ გეოგრაფიულ აღმოჩენებს: 1456 წელს პორტუგალიელებმა მიაღწიეს მწვანე კონცხამდე; 1486 წელს ბ. დიასის ექსპედიციამ აფრიკის კონტინენტს სამხრეთიდან შემოუარა; 1492 წელს კოლუმბმა ესპანეთის დროშის ქვეშ გადაკვეთა ატლანტის ოკეანე და აღმოაჩინა ამერიკა; 1498 წელს ვასკო და გამამ შემოუარა აფრიკის კონტინენტს და მშვიდობიანად მიაღწია ინდოეთამდე.



ქრისტოფორე კოლუმბი (ესპ., Cristóbal Colón)
(1451-1506) ესპანელი ზღვაოსანი



ვასკო და გამა (პორტ., Vasco da Gama)
(1469-1524) პორტუგალიელი მეზღვაური

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების მეორე ეტაპზე XVI საუკუნის შუაგულიდან XVII საუკუნის შუაგულამდე ინიციატივა ხელში ჩაიგდეს ჰოლანდიელებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა. XVII საუკუნეში აღმოაჩინეს ავსტრალია. ევროპელებმა თავიანთი გემებით შემოუარეს ამერიკასა და აზიას. გაფართოვდა ადამიანების ცოდნა ქვეყნებისა და ხალხების შესახებ. ევროპაში სწრაფი ტემპებით ვითარდება მრეწველობა, ვაჭრობა, საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები. ხმელთაშუაზღვისპირეთის წამყვანმა სავაჭრო-ფინანსურმა ცენტრებმა დათმეს პოზიციები და პირველობის გვირგვინი დაუთმეს ჯერ ჰოლანდიას, ხოლო მოგვიანებით კი ინგლისს, რომლებიც აღმოჩნდნენ ახალი სავაჭრო გზების ცენტრში. ძვირფასი ლითონების დენადობამ ევროპაში გამოიწვია ფასების რევოლუცია, კვების პროდუქტებისა და წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის გაძვირება.

უფრო მრავალფეროვანი გახდა ევროპელების რაციონი. ევროპაში გამოჩნდა სიმინდი, ლობიო, პომიდორი, კარტოფილი, წიწაკა, კაკაო. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები მძლავრი სტიმული გახდა ახალი სამეცნიერო გამოგონებებისა და აღმოჩენებისათვის, რომელთა უმრავლესობაც უშუალო კავშირში იყო ხელოსნობასა და მანუფაქტურულ წარმოებასთან (ხელოსნური წარმოება ამ დროისათვის უკვე დაყოფილია დაახლოებით 100-ზე მეტ დარგად და ქვედარგად). განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამთო საქმე და მეტალურგია, გემთმშენებლობა და ქსოვილების წარმოება. ხელით შრომასთან ერთად უკვე იყენებენ ზოგიერთ მექანიზმებსა და მანქანის ელემენტებს: წყლის ბორბალი, ქარის წისქვილები, საქაჩები სამთო საქმეში, სავენტილაციო მოწყობილობა, ქვანახშირის სადნობი ღუმელები, მექანიკური ურო ლითონის დასამუშავებლად, სახარატო და საბურღი ჩარხები. გაჩნდა ქსოვილების ახალი სახეობები. იტალიასა და საფრანგეთში (ლიონი) განვითარდა აბრეშუმის

წარმოება, ხოლო ინგლისში წმინდა და უხეში მაუდის წარმოება. ამქრულ წარმოებას ცვლის მანუფაქტურა. გემთმშენებლობაში დაიწყეს ახალი ტიპის გემების აგება: ესპანური გალეონები, პორტუგალიური კარაველები, ინგლისური ბარკენტინები, ჰოლანდიელებმა გამოიგონეს პონტონები და მცურავი დოკი. სამხედრო ფლოტში მწყობრში ჩადგა მძლავრი შეიარაღების მქონე სამგემბანიანი ხომალდები. ქსოვილების წარმოებაში ვერტიკალური საქსოვი დაზგა შეცვალა ჰორიზონტალურმა.



ესპანური გალეონი



პორტუგალიური კარაველა



გენუელების კარაკა

– ეროვნული სახელმწიფო. აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებული პრიორიტეტი მოიპოვა ეროვნული ინტერესის პრინციპმა (წამყვან ქვეყნებში წარმოიშვა მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მთავარი მიზანია ეროვნული კეთილდღეობა და უსაფრთხოება), რომელიც საფუძვლად დაედო საგარეო პოლიტიკურ დაგეგმარებას. ეროვნული ინტერესის კონცეფცია, ჩამოყალიბებული რეალიზმისა და ძალის ბალანსის რაციონალურ კატეგორიებში, საბოლოოდ წყვეტს კავშირს, შუა საუკუნეებში საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ გაბატონებულ იმ შეხედულებასთან, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებრივი ინტერესები უნდა დაქვემდებარებოდა რაიმე ამაღლებულ მიზნებს, როგორიც იყო მაგალითად ჯვაროსნული ომების მიზანი: უფლის საფლავის განთავისუფლება. ყველა აღნიშნული ცვლილება დაკავშირებული იყო ევროპის წამყვანი სახელმწიფოების სოციალური სტრუქტურის ცვლილებასთან: ხელისუფლების სათავეში მოსული ეროვნული ბურჟუაზია ცდილობს საკუთარ სამსახურში ჩააყენოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა.

პრეინდუსტრიული ევროპული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი იყო შემდეგი პრინციპები:

– მოდერნიზაცია, ანუ წინამორბედი ტრადიციული ცივილიზაციის საფუძვლების ნგრევა. იმ პერიოდის მოდერნიზაციაში მოიაზრებოდა: ურბანიზაცია, (აღნიშნულ პერიოდამდე ევროპის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ სოფლის მაცხოვრებლები 80–90%) ქალაქების არნახული ზრდა, რომლებმაც პირველად მიაღწიეს ეკონომიკურ სიჭარბეს სოფელთან შედარებით და გარიყეს ისინი მეორე პლანზე. ევროპის ყველაზე დიდი ქალაქი იყო პარიზი, სადაც თავმოყრილი იყო 300 000-ზე მეტი მცხოვრები, ნეაპოლი – 270 000, ლონდონი და ამსტერდამი 100 000 – იანი ქალაქები, რომი და ლისაბონი – 50 000 – იანი ქალაქები;

– ინდუსტრიალიზაცია, წარმოებაში მანქანების მზარდი გამოყენება, რომლის დასაწყისიც დაკავშირებულია სამრეწველო გადატრიალებასთან ინგლისში (XVIII საუკუნის მიწურული), სწორედ მანქანამ განაპირობა ევროპელების ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობა სხვა ცივილიზაციებზე; პოლიტიკური სტრუქტურების დემოკრატიზაცია, როდესაც საფუძველი ეყრებოდა სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების

წარმძღერებს; ბუნებისა და საზოგადოების შესახებ ცოდნის ზრდა და სეკულარიზაცია ანუ ცნობიერების გამიწიერება.

სამხედრო და პოლიტიკური კონფლიქტების ფონზე პრეინდუსტრიულ პერიოდში მიმდინარეობდა აგრეთვე ერთიანი საერთოევროპული ისტორიული სივრცის ფორმირება. ევროპაში ინგლისის, საფრანგეთისა და ესპანეთის გარდა, ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული "მიწების შეგროვება". აღნიშნული ქვეყნების პოლიტიკა სულ უფრო და უფრო ემორჩილებოდა ეროვნულ ინტერესებს, რაც თავის მხრივ იწვევდა აგრესიისა და კონფლიქტური სიტუაციების ზრდას. არსებული კონფლიქტები გამოწვეული იყო: სასაზღვრო დავებით, დაკავშირებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესთან და მათი საზღვრების დადგენასთან; დინასტიური პრეტენზიები, გამოწვეული მონარქიული ქორწინებებითა და მიღებული მემკვიდრეობებით, სახელმწიფოებრივი და პიროვნული უნიებით; სავაჭრო წინააღმდეგობებით.

გამწვავდა წინააღმდეგობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის ლიდერის როლის მოსაპოვებლად, რამაც თავის მხრივ გამოიწვია 1494-1559 წლების იტალიური ომები. XVI-XVII საუკუნეებში მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა დანიასა და შვეციას შორის ბალტიის ზღვისათვის, რომელიც დამთავრდა შვეციის გამარჯვებით.

საფუძველი ეყრება ადამიანის მოწოდებისა და როლის შესახებ წარმოდგენების ახალ სისტემას. წინამორბედი ტრადიციული ცივილიზაციის ადამიანი დარწმუნებული იყო მისი გარემომცველი ბუნებისა და საზოგადოების სტაბილურობაში, არსებული სიტუაცია მის მიერ აღიქმებოდა, როგორც საღვთო კანონების შესაბამისად არსებული რაღაც უცვლელი. მისგან კარდინალურად განსხვავდება პრეინდუსტრიული ცივილიზაციის ადამიანის ცნობიერება. ადამიანს მიაჩნდა, რომ საზოგადოება და ბუნება, არათუ შესაძლებელია, არამედ სასურველია რომ კონტროლდებოდეს, და მით უმეტეს უნდა იცვლებოდეს. განსხვავებული ხდება აგრეთვე დამოკიდებულება სახელმწიფო ხელისუფლებისადმი. ხალხის თვალში მან დაკარგა ღვთიური შარავანდედი. ხელისუფლებაზე უკვე მსჯელობენ მისი მოქმედების შედეგების მიხედვით. შემთხვევითი არ არის, რომ პრეინდუსტრიული პერიოდი ეს არის რევოლუციების, სამყაროს ძალისმიერი გზით გარდაქმნის შეგნებული მცდელობების, ეპოქა.

იცვლება პიროვნება, ადამიანის ტიპი. პრეინდუსტრიული ეპოქის ადამიანი მობილურია, სწრაფად ეგუება ცვლილებებს. იგი თავის თავს უკვე აცნობიერებს, როგორც დიდი ერთობის (კლასის ან ერის) შემადგენელ ნაწილად. მიმდინარეობს ცვლილებები მასობრივი ცნობიერების ღირებულებათა სისტემაში. უფსკრული მასობრივ ცნობიერებასა და ინტელექტუალური ელიტის ცნობიერებას შორის მცირდება წიგნიერების ზრდისა და მოგვიანებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარების ხარჯზე.

ცნობიერებაში მომხდარმა გადატრიალებამ დასაბამი მისცა ახალი ტიპის პიროვნების, ბურჟუაზიული პიროვნების გამოჩენას. მისთვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია ინდივიდუალისტური ცნობიერება, რომლის შესაბამისად პიროვნება იძენს დამოუკიდებელ ღირებულებას და ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობების სრულფასოვანი სუბიექტი. ადამიანის მიერ გაკეთებული არჩევანი არის მისი პიროვნული და არა ღვთის მიერ ბოძებული ბატონის ან მისი პატრიარქალური თემის მიერ გაკეთებული არჩევანი. მისთვის ადამიანის პიროვნებას, მის უფლებებსა და ინტერესებს გააჩნიათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა.

სოციალური წარმომავლობა უკვე ფატალურად აღარ განსაზღვრავს ადამიანის ბედს. ბევრი რამ უკვე დამოკიდებულია მის შრომისმოყვარეობასა და უნარზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება რწმენას საკუთარ ძალებში. შემთხვევითი არ არის, რომ 1719 წელს გამოსული დანიელ დეფოს "რობინზონ კრუზო"

წარმოადგენდა თავისი დროის ყველაზე კარგ ილუსტრაციას, რამაც განაპირობა მისი დიდი პოპულარობა. (რომანის გმირის პროტოტიპი იყო შოტლანდიელი მეზღვაური ალექსანდრე სელკირკი, რომელიც ხომალდის დაღუპვის შემდეგ 4 წლის განმაელობაში მარტოდ-მარტო იმყოფებოდა ხუან-ფერნანდოს არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე).




დანიელ დეფო (ინგ., Daniel Defoe) (1660-1731)
ინგლისელი მწერალი და პუბლიცისტი

პირადი აქტიეობისა და პირადი წარმატების იდეები ყველაზე კარგად შეესაბამებოდა განვითარებადი ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ახალი ელიტის როლზე. ახალ პირობებში ელიტარულობის უფლებას იძლეოდა არა გვარიშვილობა და ტიტული (თუმცა ახალი ბურჟუები ხშირად ყიდულობდნენ ტიტულებს), არამედ პირადი ღირსებები. ფული გახდა წარმატების მთავარი კრიტერიუმი. გამდიდრებისაკენ სწრაფვამ დაისადგურა ადამიანების ცნობიერებაში და გახდა მათი ცხოვრების ძირითადი მიზანი.

ფული იძლეოდა არა მარტო რაიმე მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. XVIII საუკუნეში სიმდიდრე, განსაკუთრებით პროტესტანტულ ქვეყნებში, აღიქმებოდა როგორც ღვთის მადლი. სიმდიდრე გზას უხსნიდა ადამიანს დამოუკიდებლობისაკენ. სიმდიდრე გულისხმობდა გარკვეულ ვალდებულებებს და მუდმივ ძალისხმევას მისი გაზრდისათვის. სახეცვლილება განიცადა სიმდიდრისაკენ მიმავალმა გზამ. წინამდებარე ეპოქის ადამიანი ეძებდა განძს, დაკავებული იყო ალქიმიით, იმედი ჰქონდა მეფის წყალობის, სამხედრო ალაფში თავისი წილის და ასე შემდეგ. არც პრეინდუსტრიული პერიოდი იყო თავისუფალი ავანტურისტული სულისკვეთებისაგან, მაგრამ ადამიანის ცხოვრების მთავარ პრინციპს მაინც წარმოადგენდა ყოველდღიური შეუპოვარი შრომა. პრეინდუსტრიული პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ლოზუნგს წარმოადგენდა ბენჯამინ ფრანკლინის ხატოვანი გამოთქმა: დრო ფულია.

შეიცვალა ადამიანთა ყოფა-ცხოვრების პირობები. დაქორწინება დაიწყეს მოწიფულ ასაკში. ანგარებით ქორწინება გახდა ცხოვრების ნორმა. ოჯახში იყო 5-7 ადამიანი. ცდილობდნენ ჰყოლოდათ იმდენი ბავშვი რამდენის გაზრდას და აღზრდასაც შეძლებდნენ. შეიცვალა ქცევის ნორმები. წახალისებას იმსახურებდა თავშეკავებულობა, თვითკონტროლი და გრძნობების გონებისადმი დაქვემდებარება. თვით ყოფაც უფრო კომფორტული გახდა. ადამიანებმა დაიწყეს საათების, სარკეების, ქოლგების, ცხვირსახოცების, სასადილო მაგიდასთან ცალკეული სერვიზებისა და მოწყობილობების გამოყენება.

პრეინდუსტრიული პერიოდის ძირეული ცვლილებები შეეხო ეკლესიასაც. დაიწყო რეფორმაცია, ანუ ეკლესიის განახლება, რომელსაც თან სდევდა

მრავალი რელიგიური დებულებისა და დოგმატის ნგრევა და იმავდროულად რელიგიური გრძნობების არნახული აღმაფრენა.

რომის კათოლიკური ეკლესია განიცდის ღრმა კრიზისს, რომელმაც მოიცვა მისი ძირითადი მოძღვრებები, კულტი, ინსტიტუტები. იგი გამოწვეული იყო ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოშობით, როდესაც ეკლესიამ დაკარგა მონოპოლია განათლებაზე და სამეცნიერო წარმატებებზე. დიდი როლი ითამაშა აგრეთვე თვით საეკლესიო მოღვაწეების ქცევამაც: პაპებისა და კარდინალების სიხარბემ, ფუფუნებამ და თავაშვებულობამ, სისტემატურმა გამოძალვებმა, ინდულგენციებით ვაჭრობამ.

ეკლესიის კრიზისს აძლიერებდა ბურჟუაზიის უკმაყოფილება, რამეთუ მას სჭირდებოდა იაფი ეკლესია, თავადაზნაურობა ესწრაფოდა მისი ქონებისა და მიწების ხელში ჩაგდებას. რეფორმაციის შედეგად აღმოცენდა ქრისტიანობის მესამე მიმდინარეობა პროტესტანტობა, რომელიც თავის მხრივ ლუთერანობად, კალვინიზმად და ანგლიკანურ ეკლესიად დაიყო.






მარტინ ლუთერი (გერ., Martin Luther)(1483-1546) გერმანული რეფორმაციის ფუძემდებელი და ბელადი, გერმანული პროტესტანტული მიმდინარეობის, ლუთერანობის, დამაარსებელი

რეფორმაციის სამშობლო იყო გერმანია, სადაც აღმოცენდა ლუთერანობა, ქრისტიანული მოძღვრება, რომელიც ატარებს მისი დამაარსებლის სახელს.

მარტინ ლუთერი იყო საქსონიის ქალაქ ვიტენბერგის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორი. მან უნივერსიტეტის სასადილოს კარებზე მიაჭედა დოკუმენტი, ეგრეთ წოდებული 95 თეზისი ინდულგენციების წინააღმდეგ, სადაც ამტკიცებდა, რომ ღვთის მადლის მიღება შესაძლებელია ეკლესიის შუამავლობის გარეშეც და რომ არა საეკლესიო საიდუმლოებები არამედ ადამიანის პიროვნული არჩევანი და პირადი რწმენა უხსნის მას გზას მადლისაკენ. მარტინ ლუთერის ეს დებულებები ატაცებული იქნა საზოგადოების სხვადასხვა ფენების მიერ.



ჟან კალვინი (ფრ., Jean Calvin) (1509-1564)
ფრანგი ღვთისმეტყველი. კალვინიზმის დამაარსებელი

ლუთერზე შორს თავის სწავლებაში წავიდა ჟან კალვინი, ჟენევაში მცხოვრები ფრანგი ემიგრანტი. მან ჩამოაყალიბა კალვინიზმის ძირითადი დოგმატი აბსოლუტური ბედისწერის შესახებ. კალვინის თანახმად, ადამიანის

ბედი ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაში წინასწარ არის განსაზღვრული მისი შექმნის მომენტიდან. რჩეულებს ელით ცხონება, დანარჩენებს კი სამუდამო ტანჯვა. იმის განსაზღვრა, ადამიანი დაწყევლილია თუ ღვთის მიერ კურთხეული ძალიან ადვილია: რამდენად შეესაბამება მის მიწიერ ცხოვრებას წარმატება ან წარუმატებლობა. ამიტომ ადამიანი პასიურად კი არ უნდა ელოდებოდეს ბედის აღსრულებას, არამედ მუდმივად უნდა შრომობდეს, რამეთუ შრომა არის ღვთის მადლი, სიზარმაცე კი ერთ-ერთი უდიდესი ცოდვა. პროტესტანტიზმის შრომითი ეთიკა, რომელიც მოიცავდა: ღვთისმორწმუნეობას, თვითშეზღუდვასა და მომჭირნეობას, აქტიურ მწარმოებლურ საქმიანობასა და სიმდიდრის გამართლებას, სავსებით შეესაბამებოდა საბაზრო კაპიტალიზმის სისტემის რაციონალიზმსა და ეფექტურობისაკენ სწრაფვას. ასევე სავსებით შეესაბამებოდა ახალი დროის მოთხოვნებს ეკლესიის დემოკრატიული მოწყობის იდეა, რომელიც წამოაყენეს პროტესტანტებმა: ეკლესიის ძირითად უჯრედად ცხადდებოდა მორწმუნეთა თემი, რომელიც თვითონ ირჩევდა თავიანთ მამასახლისებსა და პრესვიტერებს ყველაზე გავლენიანი წევრებისაგან. კალვინიზმი ძალიან პოპულარული გახდა ნიდერლანდებში, ინგლისში, შოტლანდიაში, სამხრეთ საფრანგეთში.

ინგლისმა ჯერ კიდევ რევოლუციამდე განიცადა საკუთარი რეფორმაცია, რომელიც თავისი არსით არ იყო ისეთი რადიკალური, როგორც კალვინიზმი, მაგრამ მისი მეოხებით ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ანგლიკანური ეკლესია. ეს იყო რეფორმაცია ზემოდან, რომლის მიზანს წარმოადგენდა მონარქიის განმტკიცება და რომის პაპის ძალაუფლებისაგან თავის დაღწევა. ინგლისის თავადაზნაურობაც იყო დაინტერესებული საეკლესიო მიწების სეკულარიზაციით. ანტიკათოლიკურად იყო განწყობილი მესამე წოდებაც. კათოლიკებთან განხეთქილების საბაბი გახდა ჰენრიხ VIII განქორწინება ეკატერინე არაგონელთან და მისი ქორწინება დედოფლის სეფექალ ანა ბოლეინზე 1553 წელს, რომელიც არ სცნო რომის პაპმა.



**ჰენრი VIII ტიუდორი (ინგ., Henry VIII) (1491-1547) ინგლისის მეფე**



**ანა ბოლეინი (ინგ., Anne Boleyn) (1507-1536) ჰენრი VIII ტიუდორის მეორე ცოლი, ელისაბედ I დედა**

ამ პროცესმა დიდი პრობლემები და სირთულეები შეუქმნა რომის კურიას. ეკატერინე არაგონელი იყო იმპერატორ კარლოს V ნათესავი, რომლის რისხვასაც ძალიან უფრთხოდა რომის პაპი. ამის გარდა, ინგლისელები უკმაყოფილონი იყვნენ ადგილობრივი ეკლესიის საქმეებში რომის კურიის ჩარევით. მთავრობა და პარლამენტი სასტიკი წინააღმდეგი იყო ინგლისის საეპისკოპოსო კათედრებზე უცხოელების დანიშვნით. ჯერ კიდევ 1351 წელს გამოცემული იქნა **"De provisoribus"**, სტატუტი, რომლის თანახმადაც უცხოელებს ეკრძალებოდათ საეპისკოპოსო კათედრების დაკავება. 1352 წელს "პროვიზორები", ანუ ის პირები, რომლებიც რაღაც მაქინაციების წყალობით დანიშნული იყვნენ საეპისკოპოსო კათედრებზე რომის პაპის მიერ, გამოცხადებული იქნენ კანონგარეშედ.

ინგლისის სამეფო კარი აძლიერებს ზეწოლას სამონასტრო მოწათმოქმედების ინსტიტუტზე, ჯერ კიდევ 1279 წელს გამოიცა სტატუტი **"De viris religiosis"**, რომელიც კრძალავდა საეკლესიო მიწათმფლობელობის შემდგომ ზრდას. რომელიც საბოლოო ჯამში დასრულდა სეკულარიზაციით XVI საუკუნეში.

1521 წელს ჰენრიხ VIII რომში გზავნის, მისი ბრძანებით მარტინ ლუთერის წინააღმდეგ დაწერილ ოპუსს, სადაც დაცულია კათოლიკური ეკლესიის სწავლება შვიდი საიდუმლოების შესახებ. რომის პაპმა ლუთერანობის წინააღმდეგ მიმართული ამ ქმედებისათვის ჰენრიხი დააჯილდოვა ოქროს ვარდით და მიანიჭა მას "რწმენის დამცველის" ტიტული, ხოლო მარტინ ლუთერმა კი გვარიანად გამოლანძღა. სულ მალე ჰენრიხმა თხოვნით მიმართა რომის პაპს განქორწინების თაობაზე, რაზეც სასტიკი უარი მიიღო. 1533 წელს გამოიცა სტატუტი, რომელიც აუქმებდა რომის პაპის იურისდიქციას ინგლისზე. 1534 წელს გამოიცა **"The Act of Supremacy"** (უზენაესობის აქტი), რომლის თანახმადაც, მეფე გამოცხადდა ინგლისის ეკლესიის მეთაურად.



**ეკატერინე არაგონელი (ესპ., Catalina de Aragón) (1485-1536)**
**ინგლისის დედოფალი, ჰენრი VIII მეუღლე**

ამ აქტის თანახმად არცერთი კათოლიკური დოგმატი არ იქნა გაუქმებული, უბრალოდ შეიცვალა საეკლესიო მართვის ფორმა. 1539 წელს გამოცემულ "ექვსკუდაში" შენარჩუნებული იყო კათოლიკური სჯულის სწავლების ძირითადი პრინციპები. 1543 წელს გამოცემულ "სამეფო წიგნში" მოცემული ოფიციალური დოგმატები ძალიან ახლოს იდგნენ კათოლიციზმის პრინციპებთან. რომის პაპთან განხეთქილება არ ნიშნავდა ჰენრიხისათვის კათოლიციზმთან კავშირის გაწყვეტას, ინგლისში კვლავაც გრძელდებოდა პროტესტანტების დევნა. ინგლისის სამეფო რეფორმაციის ძირითადი არსი მდგომარეობდა შემდეგში: საეკლესიო ქონების ხელში ჩაგდება.

პარლამენტმა მოიწონა მეფის განქორწინება და მისი ახალი ქორწინება, გამოაცხადა ინგლისის ეკლესიის დამოუკიდებლობა რომის კათოლიკური ეკლესიისაგან, ხოლო მეფე ამ ახალი ეკლესიის მეთაურად. რამოდენიმე წლის შემდეგ ანა ბოლეინი სიკვდილით დასაჯეს სახელმწიფო ღალატის ბრალდებით, ხოლო დამოუკიდებელი ანგლიკანური ეკლესია მისი იდეით: ერთი ღმერთი, ერთი მეფე, ერთი რწმენა, ერთი აღმსარებლობა დარჩა.

რეფორმაციამ განაახლა ქრისტიანული ეკლესია, გახადა იგი ახალი დროისათვის უფრო შესაბამისი, ცენტრში დააყენა ადამიანის პიროვნება, ენერგიული, სამყაროს გარდაქმნისაკენ მიმართული და საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებელი. მაგრამ ინდივიდუალიზმის წახალისებასთან ერთად მან პიროვნება მოაქცია რელიგიურ. ღირებულებებზე დაფუძნებული მორალის მკაცრ ჩარჩოებში.



ჰენრი VIII

ჰენრი VIII ცოლები:



ეკატერინე არაგონელი



ანა ბოლეინი



ჯეინ სეიმური



ანა ფონ კლევე



ეკატერინე ჰოვარდი



ეკატერინე პარი

საზოგადოებაში მიმდინარე გრანდიოზულმა ცვლილებებმა უშუალო ზეგავლენა მოახდინეს საერთაშორისო ურთიერთობებზე:

– პირველად საერთაშორისო ურთიერთობებმა მიიღეს მსოფლიო ხასიათი;

– საერთაშორისო პოლიტიკა ფაქტობრივად გახდა ევროპული პოლიტიკის დანამატი. მსოფლიოს ბედ-იღბალს ფაქტიურად განაგებდნენ ერთი მუჭა ევროპული სახელმწიფოები, ხოლო დანარჩენები როგორც ევროპაში ისე მის გარეთ წარმოადგენდნენ დიდი სახელმწიფოების ჰეგემონური მისწრაფებების მხოლოდ და მხოლოდ ობიექტებს.

– რადიკალური ცვლილებები განიცადა საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურამ, პირველ რიგში ევროპაში. წვრილი ფეოდალური სენიორიები და უზარმაზარი ფეოდალური იმპერიები წარსულს ჩაბარდნენ. მათი ადგილი დაიკავა ეროვნულმა სახელმწიფოებმა, რომლებიც გახდნენ ახალი ისტორიის საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი სუბიექტები;

– ბურჟუაზიული გახდა არა მარტო საგარეო პოლიტიკა, არამედ მისი მიზნებიცა და მეთოდებიც. დინასტიური და რელიგიური ომები შეცვალეს სავაჭრო და კოლონიურმა ომებმა, ხოლო სამეფო კარის ინტრიგები (ტალეირანი) – საპარლამენტო დებატებმა და კამპანიებმა პრესაში (ბისმარკი, კავური, დიზრაელი, ვიტე).



ოტო ფონ ბისმარკი (1815-1998)
გერმანიის იმპერიის I კანცლერი (1871)



გრაფი ემილიო ბენზო დი კავური (1810-1861)
იტალიის სამეფოს I პრემიერ-მინისტრი (1861)



ბენჟამენ დიზრაელი (1804-1881)
დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1868)



გრაფი სერგეი ვიტე (1849-1915)
რუსეთის იმპერიის პრემიერ-მინისტრი (1905)

ცვლილებები შეეხო ადამიანური ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროს, მათ შორის სამხედრო პოლიტიკასაც. ეს უკანასკნელიც ბურჟუაზიული გახდა. რადიკალურად შეიცვალა თანაფარდობა ეკონომიკასა და სამხედრო სიძლიერეს შორის. მრავალი საუკუნის განმავლობაში კავშირი სახელმწიფოს ეკონომიკურ აყვავებასა და მის სამხედრო სიძლიერეს შორის არ ატარებდა პირდაპირ ხასიათს. წარსული ეპოქების სახელმწიფო მოღვაწეებს მიაჩნდათ, რომ ძლიერი და აყვავებული ეკონომიკა იწვევს ზნე-ჩვეულებების გაზიზებას, რაც თავის მხრივ იწვევს მებრძოლი სულის შესუსტებას. საერთაშორისო ურთიერთობები ძირითადად მეტად მარტივი სქემით ვითარდებოდა. მშიერი და ღატაკი, მაგრამ მებრძოლი ტომები ანადგურებდნენ გაზიზებულ და გაზულუქებულ ცივილიზაციებს, იკავებდნენ მათ ადგილს და რამოდენიმე თაობის შემდეგ თავად ხდებოდნენ აზიზები და განებივრებულები. ეხლა ისინი ხდებოდნენ, თავის მხრივ, ახალი მშიერი და მეომარი ტომების ლუკმა და ასე უსასრულობამდე.

ახალმა დროებამ თავისი კორექტივები შეიტანა მასში. კაპიტალისტურმა ეპოქამ პირველად დაამყარა პირდაპირი და უშუალო კავშირი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და მის სამხედრო სიძლიერეს შორის, და შესაბამისად თუ რა როლს ასრულებს ის საერთაშორისო არენაზე. უფრო მეტიც, სწორედ ახალი ისტორიის პერიოდში დაიწყეს ეკონომიკური ბერკეტების

გამოყენება საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ყოველივე ამან განაპირობა საერთაშორისო ურთიერთობებში ეკონომიკის როლის გაზრდა. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ დიდი ბრიტანეთის მაგალითი. უსუსური სახმელეთო არმიის მიუხედავად მან მიაღწია საერთაშორისო ურთიერთობებზე ჰეგემონობას ისეთი წმინდა ეკონომიკური ფაქტორების მეოხებით, როგორიცაა მრეწველობა, ვაჭრობა, ინვესტიციები, ზღვაოსნობა, ფინანსები. ამ პერიოდიდან მოყოლებული ნათლად გამოიკვეთა ერთი რამ: ჰეგემონი საერთაშორისო ურთიერთობებში შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის ჰეგემონი.

შეიცვალა თანაფარდობა სახმელეთო და საზღვაო სიძლიერეს შორის, არმიასა და ფლოტს შორის. ფლოტი შეიარაღებული ძალების მეტად სპეციფიური სახეობაა. უძველესი დროიდან დღემდე ფლოტი წარმოადგენს ძალიან ძვირადღირებულ სიამოვნებას. ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში ერთი მეზღვაურის შეიარაღება და შენახვა ყოველთვის უფრო ძვირი იყო ვიდრე ერთი ჯარისკაცის. გაწეული დანახარჯების კომპენსირებას ფლოტი ახერხებდა მაღალი მობილურობისა და საცეცხლე სიძლიერის ხარისხით. ახალი ისტორიის ეპოქაში გაჩნდა ფორმულა მსოფლიო ოკეანეზე კონტროლი = სამხედრო საზღვაო ფლოტი + სავაჭრო ფლოტი + საზღვაო ბაზები = ზღვებზე კონტროლი = მსოფლიოზე კონტროლი.

ზღვებზე ბატონობამ წარმოშვა დაუძლურების ახალი სამხედრო სტრატეგია, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში შესანიშნავად იყენებდა დიდი ბრიტანეთი, განადგურების სტრატეგიის ნაცვლად.

ახალმა ისტორიამ თავისი კორექტივები შეიტანა საზღვაო და სახმელეთო დიდი სახელმწიფოების დიხოტომიაში. თუკი ადრე საზღვაო სახელმწიფოები ყოველთვის მარცხდებოდნენ სახმელეთო სახელმწიფოებთან ბრძოლაში (ათენი-სპარტა, ნოვგოროდი-მოსკოვი), ახალი ისტორიის რეალიებმა კარდინალურად შეცვალა სიტუაცია: უძლეველი არმადის განადგურება 1588 წელს, ესპანეთის დამარცხება ნიდერლანდებთან ომის დროს, საფრანგეთის დამარცხება ესპანეთის მემკვიდრეობისათვის (1700-1714) ომის დროს.

პრეინდუსტრიული პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო საერთოევროპული მოდერნიზაცია. იმდროინდელი საზოგადოების მოდერნიზაციის ერთ-ერთ გზას წარმოადგენდა რევოლუცია. იგი წარმოადგენს მოდერნიზაციის ერთ-ერთ ასპექტს. (რევოლუცია წარმოადგენს საზოგადოების სწრაფ, მოძალადეობრივ და ფუნდამენტალურ ტრანსფორმაციას).

XVI-XVIII საუკუნეებში ევროპაში მოხდა სამი დიდი რევოლუცია: ნიდერლანდების (1566-1609) – გრძელდებოდა 43 წელი; ინგლისის (1640-1660) – გრძელდებოდა 20 წელი; საფრანგეთის (1789-1794) – გრძელდებოდა 5 წელი.

პრეინდუსტრიული პერიოდის ყველა ამ რევოლუციას ჰქონდა საერთო წანამძღვრები:

– რევოლუცია ხდება იმ დროს, როდესაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წინააღმდეგობაში მოდის უძრავ, გახევებულ პოლიტიკურ სისტემასთან;

– როდესაც საზოგადოება ვარდება უმძიმეს კრიზისულ სიტუაციაში (ომში დამარცხების გამო, მთავრობის წარუმატებელი პოლიტიკა და სხვა), რაც თავის მხრივ ქმნის რევოლუციურ სიტუაციას;

– ადამიანთა ცნობიერება მზად უნდა იყოს ცვლილებებისათვის. ადამიანებს უნდა სჯეროდეთ სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლის სარგებლიანობისა და შესაძლებლობის. ყველა რევოლუციისათვის წამყვან იდეას წარმოადგენს სამართლიანი სოციალური მოწყობა.

ნიდერლანდების ერთიანი ისტორია მე-15 საუკუნის ბოლომდე არ ჰქონია. კარლოს დიდის იმპერიის დაშლის შემდეგ დღევანდელი ნიდერლანდების

უდიდესი ნაწილი საღმთო რომის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. დაპყრობებისა და ქორწინების პოლიტიკით ნიდერლანდების ძირითადი ნაწილი (სამხრეთ ნიდერლანდების, დღევანდელი ბელგიის ჩათვლით) საბოლოოდ ბურგუნდიის ჰერცოგის კარგი ფილიპეს (The duke Philip the Good of Burgundy) მმართველობის ქვეშ გაერთიანდა.

ფილიპემ, რომის იმპერატორის მაქსიმილიან I ჰაბსბურგელის ვაჟმა, ნიდერლანდები დედისგან, მარია ბურგუნდიელისგან, მიიღო მემკვიდრეობით. მათმა ვაჟმა კარლოსმა, 1500 წელს გენტში დაბადებულმა, მემკვიდრეობით მიიღო ესპანეთი, ნიდერლანდები, ავსტრია და იტალიის ნაწილი. 1530 წელს იგი გახდა საღმთო რომის იმპერიის იმპერატორი, კარლოს V. იგი იმ იმპერიის მმართველი იყო სადაც მზე არასოდეს ჩადიოდა "imperio en el que nunca se pone el sol". ეს ფრაზა შემდგომში ბრიტანეთის იმპერიასთან მიმართებაში გამოიყენებოდა. [http://andromeda.rutgers.edu/~dspencer/IntroEcon/Sec04Sp04/GroupJHolland.htm]

ესპანეთის შემადგენლობაში შემავალი საჰერცოგო ნიდერლანდები განვითარებული, მდიდარი მხარე იყო, თუმცაღა ნიდერლანდების ყველა პროვინცია ერთნაირად განვითარებული არ ყოფილა. ესპანეთისთვის ნიდერლანდები შემოსავლის წყაროს – "მეწველ ძროხას", წარმოადგენდა, რომელიც ოთხჯერ მეტ შემოსავალს აძლევდა, ვიდრე ყველა მისი კოლონია ერთად აღებული. თავისი მეფობის ბოლო პერიოდში კარლოს V წელიწადში 2 მილიონ გულდენზე მეტ თანხას იღებდა ნიდერლანდებისგან და ყველა სამხედრო ხარჯები, არსენალის მშენებლობის ჩათვლით 4 მილიონს აღწევდა წელიწადში. ქალაქებთან შედარებით სოფლების მდგომარეობა უარესი იყო. სოფლის მოსახლეობას გადასახადებს მიწათმფლობელი ფეოდალები უწესებდნენ. 1500-1580 წ/წ-ში ფასებმა საშინლად მოიმატა, ხოლო ხელფასები განახევრდა. ფლანდრიისა და ჰოლანდიის 25-33% გლეხი გაჭირვებული იყო და დაქირავებულ მუშახელად ან გემზე მეზღვაურად მუშაობდა, ან კიდევ უარეს შემთხვევაში მათხოვრობდა. ქალაქების ქუჩები ათასობით მათხოვრით იყო სავსე.

ესპანეთის მმართველობა ნიდერლანდებში ეყრდნობოდა როგორც შეიარაღებულ ძალას, ისე კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც ფეოდალურ რეჟიმსა და ესპანეთის მმართველობას იცავდა.

XVI საუკუნის დასაწყისში რეფორმაცია დაიწყო. კალვინიზმა პოპულარობას საფრანგეთში მიაღწია და ნიდერლანდებში გავრცელდა. 1550 წელს რომის საღმრთო იმპერიის იმერატორმა კარლოს V მიიღო ეგრეთ წოდებული „სისხლიანი ბრძანებულება" (ნიდრ., de Bloedraad), რომელმაც დასაბამი მისცა უსასტიკეს რელიგიურ რეპრესიებს. ღრმად მორწმუნე კათოლიკე ფილიპე II (ესპანეთის ტახტზე მას შემდეგ ავიდა როდესაც მამამისმა, კარლოს V 1555 წელს ტახტზე უარი განაცხადა) თავის მოვალეობად მიიჩნია პროტესტანტიზმის მკაცრი ხერხებით ჩახშობა და ნიდერლანდების რომის პაპისათვის დაბრუნება. ფილიპე II მიაჩნდა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ქვეყნები მისი რწმენისანი უნდა ყოფილიყვნენ. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ესპანეთის ხელისუფლებამ ნიდერლანდების წინააღმდეგ ეკონომიკური რეპრესიების გატარება დაიწყო: დააწესეს მაღალი საბაჟო ტარიფი ესპანური მატყლის შემოტანაზე, ჰოლანდიელ ვაჭრებს ესპანურ კოლონიებში შესვლას და ვაჭრობას უკრძალავდნენ. ნიდერლანდების მრეწველობა და ეკონომიკა სერიოზულ ზარალს განიცდიდა, ამასთანავე გაძლიერდა ინკვიზიცია. ნიდერლანდების თავადობამ პეტიცია წარადგინა ინკვიზიციისა და ერეტიკოსების წინააღმდეგ მიღებული კანონების გაუქმების მოთხოვნით.

მრეწველობის განვითარებითა და ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებით ნიდერლანდების ბურჟუაზია ფეოდალურ ესპანეთს დაუპირისპირდა. რაც

ბურჟუაზიულ რევოლუციაში გადაიზარდა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ანტი-ესპანური ომების სახე მიიღო.



**კარლოს V ჰაბსბურგი (ლათ., Carolus V) (1500-1558 წ) საღმთო რომის იმპერიის იმპერატორი**



**ფილიპე II ჰაბსბურგი (ესპ., Felipe II) (1527-1598) ესპანეთის მეფე, კარლოს V ვაჟი**





**საღმთო რომის იმპერიის იმპერატორების (ჰაბსბურგიების) გერბი და ესპანელი ჰაბსბურგიების დროშა**

1566 წელს დაწყებულმა ჯანყმა ნიდერლანდების 17 პროვინციიდან 12 მოიცვა. ესპანეთის ჯარებმა ქვეყნის ოკუპაცია მოახდინეს. პროტესტანტებმა ჰოლანდიაში 400 კათოლიკური ეკლესია დაანგრიეს. ამან ფილიპე აიძულა მკაცრი ზომები მიეღო. ამისათვის ჰერცოგი ალბა გამოიყენა, რომელიც ნიდერლანდების რეგენტად დანიშნა.





**ფერნანდო ალვარეს დე ტოლედო, III ჰერცოგი ალბა (ესპ., Fernando Álvarez de Toledo, III Duque de Alba) (1508-1582) უწარჩინებულესი კასტილიელი გრანდი, ესპანელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი**

ჰერცოგი ალბა 16 წლის ასაკიდან მოყოლებული მონაწილეებს კარლოს V ყველა ლაშქრობაში (საფრანგეთი, იტალია, აფრიკა, უნგრეთი, გერმანია), სადაც მრავალჯერ ისახელა თავი. მაგრამ ყველაზე "დიდი" და სისხლიანი სახელი მან მოიპოვა ნიდერლანდებში მეფისნაცვლად ყოფნის პერიოდში (1567-1673). აქ იგი ჩამოვიდა ფილიპე II სპეციალური ინსტრუქციით: ხელში ჩაეგდო ქვეყნის წარჩინებული მოქალაქეები, სიკვდილით დაესაჯა ისინი, ხოლო მათი ქონება კი

ხაზინაში ჩაებარებინა და რაც ყველაზე მთავარია მთელი სიმკაცრით დაეცვა კათოლიკური ეკლესიის ინტერესები.

ალბამ სპეციალური ტრიბუნალი შექმნა და ქვეყანაში ტერორისტული რეჟიმი დაამყარა. "ერეტიკოსების" ჩამოხრჩობა და მათი ქონების კონფისკაცია ესპანეთის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროდ იქცა. 1571 წელს შემოღებული იქნა ალკაბალას (Alcabala or Alcavala) საგადასახადო სისტემა: 1% ყველანაირ მოძავ და უძრავ ქონებაზე, 5% მოძრავი ქონების გაყიდვიდან, 10 % ყოველი საქონლის გაყიდვიდან. ასეთმა დარტყმამ შეაჩერა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება. ამას მოჰყვა უმუშევრობა, შიმშილი და შედეგად ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ომი. 1567-1573 წლებში 2 ათასი კაცი დაისაჯა სიკვდილით და საუკუნის ბოლოს 40 ათასი ადამიანი გადასახლდა.

ალბამ მოყტუებით დააპატიმრა და სიკვდილით დასაჯა გრაფი ეგმონტი და გრაფი ჰორნი, უილიამ და ლუდვიგ ორანელები ხელიდან დაუსხლტნენ და დაიწყეს ომი გერმანიიდან.

ესპანეთის პოლიტიკის ოპოზიციას სათავეში უილიამ ორანელი ჩაუდგა, რომელიც წყნარი უილიამის სახელით არის ცნობილი. ჯანყის დროშა 1568 წელს აღიმართა, მაგრამ უილიამის ჯარმა ალბას გაწვრთნილ ჯარს ვერ აჯობა. მას გერმანიაში მოუხდა უკან დახევა. 1569 წელს ზღვაში გავიდნენ და ესპანურ ხომალდებს თავს ესხმოდნენ. საბოლოოდ, ალბამ აიღო აჯანყებული ქალაქები და ხალხის ამოხოცვა დაიწყო. ერთ-ერთი ქალაქის აღება ჰოლანდიებმა იმით შეაჩერეს, რომ დამბა გახსნეს და ქალაქი ზღვის წყლით დატბორეს. 1576 წელს ესპანელებმა ანტვერპენში 7 ათასი ადამიანი ამოხოცეს. ამან ისეთი ეროვნული სული აღძრა, რომ ჰოლანდიისა და ზელანდიის კალვინისტური პროვინციები სხვა პროვინცებთან ერთად გაერთიანდნენ გენტის კავშირში (1576) ესპანელების გასადევნად.

ამ ძალებმა შექმნა კოალიცია ესპანეთის მეფისა და რომის პაპის წინააღმდეგ მიმართულ ჯანყში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ XVI საუკუნეში ჰოლანდიამ გააკეთა მძლავრი ნახტომი თავის ცივილიზაციურ განვითარებაში, რომელიც დასრულდა ჰოლანდიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადებით და ამ პროცესს ხელი ვერ შეუშალეს ვერც კათოლიკურმა ეკლესიამ, ვერც ესპანეთის სამეფო კარმა და ვერც მათმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ იმ დროინდელი ევროპის აღიარებული მხედართმთავრები: ჰერცოგი ალბა, დონ ხუან ავსტრიელი და ალესანდრო ფარნეზე.






**დონ ხუან ავსტრიელი (ესპ., Don Juan de Austria) (1547-1578)**
**ესპანელი მხედართმთავარი, კარლოს V და ბარბარა ბლომბერგის უკანონო ძაჟი**

დონ ხუანი იყო კარლოს V და რეგენსბურგის ბურგომისტრის ქალიშვილის ბარბარა ბლომბერგის უკანონო ვაჟი. კარლოსმა იგი არ ცნო სიცოცხლეში, თუმცა თავის ანდერძში აღიარა იგი თავის ვაჟად. ფილიპე II-მ,

რომელიც აღმერთებდა მამას, მიიწვია დონ ხუანი სამეფო კარზე და საკმაოდ კარგად ექცეოდა. დონ ხუანმა განათლება მიიღო "დიდი კარდინალის" ფრანსისკო ხიმენეს დე სისნეროსის (ესპ., Francisco Jiménez de Cisneros)(1436-1517) მიერ ალკალა დე ენარესში (ესპ., Alcalá de Henares) დაარსებულ უნივერსიტეტში.

მან გაუცრუვა იმედი მამასა და ძმას, როდესაც მოღვაწეობის სფეროდ აირჩია არა სასულიერო არამედ სამხედრო კარიერა. 1566 წელს იგი გახდა "ოქროს საწმისის" ორდენის 245-ე კავალერი, 21 წლის ასაკში ფილიპე II მას ნიშნავს ესპანეთის ხმელთაშუაზღვის ფლოტის გენერალ-ადმირალად და ავალებს მას ბერბერელი მეკობრეებისაგან ხმელთაშუა ზღვის გაწმენდას. მეფის დავალება დონ ხუანმა ბრწყინვალედ შეასრულა. სულ მალე იგი პირადად მონაწილეობს აჯანყებული მორისკების წინააღმდეგ მიმართულ სადამსჯელო ოპერაციაში და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ იღებს გალერას ციხესიმაგრეს.



ლეპანტოს საზღვაო ბრძოლა 1571 წლის 7 ოქტომბერი

მიღწეულმა წარმატებებმა დონ ხუანს თავბრუ დაახვიეს, იგი გახდა უაღრესად პატივმოყვარე და თავკერძა, მოინდომა ყველგან და ყველაფერში ყოფილიყო გამარჯვებული. როდესაც თურქები თავს დაესხნენ ვენეციის კუთვნილ კუნძულ კვიპროსს, აღმოსავლეთში ქრისტიანობის დასაცავად ჩამოყალიბდა "საღვთო ლიგა". თურქებმა 1571 წელს აიღეს კვიპროსი. იმავე წლის 7 ოქტომბერს მოკავშირეთა (ესპანეთი, ვენეციის რესპუბლიკა, რომის პაპი, მალტის ორდენი, გენუა, სიცილია, ნეაპოლი, სავოია, ტოსკანა და პარმა) 300-მდე ხომალდისაგან შემდგარმა ფლოტმა, რომელსაც დონ ხუანი მეთაურობდა, პატრაიკოსის სრუტეში, ლეპანტოს მახლობლად აღმოაჩინა თურქეთის ფლოტი, რომელსაც ხემძღვანელობდა ალი ფაშა მუეძინზადე (თურქ., Müezzinzâde Ali Paşa) ხანგრძლივი და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ თურქეთის ფლოტი განადგურებული იქნა (224 ხომალდი და 15 000 მეზღვაური). 117 თურქული გალერა ხელში ჩაიგდეს ქრისტიანებმა, ამასთავაე ტყვეობიდან გაანთავისუფლეს 12 000 მონა ქრისტიანი.

1573 წლის შემოდგომაზე დონ ხუანმა აიღო ტუნისი. ფილიპე II უბრძანა მას ქალაქის კედლების დანგრევა, რადგანაც არ უნდოდა საკუთარი ძალების დაქსაქსვა მოშორებით მყოფი ქალაქის უიმედო დაცვისათვის. დონ ხუანმა კი გადაწყვიტა სწორედ აქ, მამამისის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე, დაეარსებინა საკუთარი სამეფო. ამიტომაც მან გაამაგრა ქალაქის კედლები და თხოვნით მიმართა ფილიპე II: ელიარებინა იგი ტუნისის მეფედ და დახმარებოდა. რაღა თქმა უნდა მან უარი მიიღო. სულ მალე, იმ დროს როდესაც დონ ხუანი იმყოფებოდა იტალიაში, ფილიპე II საშუალება მისცა თურქებს დაეკავებინათ ტუნისი. დონ ხუანი კი არ ცხრებოდა და სულ ახალ-ახალი ავანტურებით ჰქონდა თავი დაკავებული. იგი იყო სიცილიის, ნეაპოლისა და მილანის გენერალ-ვიკარიუსი (ფაქტიურად მეფის ნაცვალი). ამ დროს იგი ადგენს გეგმას,

რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა რომის პაპი: გაანთავისუფლოს პატიმრობაში მყოფი მარია სტიუარტი და დაქორწინდეს მასზე. მაგრამ იმ დროს ფილიპე II სხვა პრობლემები აწუხებდა.

1576 წელს დონ ხუანი დაინიშნა აჯანყებული ნიდერლანდების მმართველად. უმოკლეს დროში მან, აჯანყებულ ჰოლანდიელებთან ერთად, ხელი მოაწერა ეგრეთ წოდებულ "უვადო ედიქტს", რომლის თანახმადაც იგი ჰპირდებოდა მათ ქვეყნიდან ესპანური ჯარების გაყვანას იმ შემთხვევაში, თუკი ამბოხებულები აღიარებდნენ დონ ხუანის, როგორც გუბერნატორის უფლებამოსილებებს და დააბრუნებდნენ ქვეყანაში კათოლიკურ ეკლესიას. რაც, ბუნებრივია, მიუღებელი აღმოჩნდა ჰოლანდიისა და ზელანდიის პროვინციებისათვის. შურისძიების გრძნობით აღტყინებული დონ ხუანი დაუბრუნდა საყვარელ სამხედრო სფეროს და სულ მალე წაართვა ამბოხებულებს ნამიური. მაგრამ იგი აღმოჩნდა ორაზროვან სიტუაციაში. მეფე მას აღარ უგზავნიდა არც სამხედრო და არც ფინანსურ დახმარებას. დაძაბული სიტუაცია განიმუხტა მისი უეცარი სიკვდილით 32 წლის ასაკში. ნიდერლანდების მეფისნაცვლის პოსტზე იგი შეცვალა იმ დროის შემდგომმა სახელოვანმა ესპანელმა მხედართმთავარმა ალესანდრო ფარნეზემ.




ალესანდრო ფარნეზე (იტ., Alessandro Farnese) (1545-1592) ესპანელი მხედართმთავარი, ნიდერლანდების მეფისნაცვალი (1578), პარმისა და პიაჩენცოს ჰერცოგი (1586)

იგი იყო პარმის ჰერცოგის ოტავიო ფარნეზეს (რომის პაპის პავლე III შვილიშვილი) და მარგარიტა პარმელის (საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის კარლოს V უკანონო ქალიშვილი) ვაჟი. იზრდებოდა მადრიდის სამეფო კარზე. 1565-1571 წლებში დედასთან (ნიდერლანდების იმდროინდელი მმართველი) ერთად ცხოვრობდა ნიდერლანდებში. 1565 წელს ცოლად შეირთო პორტუგალიის ინფანტა მარია. მონაწილეობდა "საღვთო ლიგის" საბრძოლო ოპერაციებში თურქების წინააღმდეგ, თავი გამოიჩინა ლეპანტოსთან გამართულ საზღვაო ბრძოლაში. მისი საბრძოლო თვისებებით აღფრთოვანებულმა დონ ხუანმა მიიწვია იგი ფლანდრიაში სადაც ისევ გამოიჩინა თავი და 1578 წლის 31 იანვარს ჟამბლუსთან გამართულ ბრძოლაში (ესპანელებს ჰყავდათ – 17 000, ხოლო აჯანყებულებს – 25 000) გაანადგურა ამბოხებულები (ესპანელებმა დაკარგეს – 20, ხოლო ამბოხებულება – 10 000).

ხონ ხუანის გარდაცვალების შემდეგ (1571 წლის 1 ოქტომბერი) ალესანდრო ფარნეზე დაინიშნა ნიდერლანდების მეფისნაცვლად. აი აქ უკვე გამოვლინდა მისი არა მარტო სამხედრო, არამედ სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიჭიც. მან მკვეთრად გამიჯნა ერთმანეთისაგან უტრეხტის უნიით (1579 წლის 23 იანვარი) გაერთიანებული პროტესტანტული ჩრდილოეთის პროვინციები (ჰოლანდია, ზელანდია, უტრეხტი, გელდერნი, გრონინგენი, გენტი, ფრისლანდია – მეთაური უილიამ ორანელი) და სამხრეთის ის პროვინციები სადაც მოსახლეობის უმრავლესობა კათოლიკეები შეადგენდნენ. ორანელთან

და მის მომხრეებთან იგი მზად იყო ებრძოლა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ხოლო სამხრეთის მოსახლეობასთან (1579 წლის 6 იანვრს ჩამოყალიბებული არასის უნიის წევრები – ენო, არტუა, დუე, ლილი, ორში და სხვები) კი მზად იყო კომპრომისებზე წასასვლელად.




არასის უნიის წევრები (ყვითელი), უტრეხტის უნიის წევრები (ლურჯი)

ამ ბრძნული პოლიტიკის შედეგმაც არ დააყოვნა. უკვე 1579 წლის მაისისათვის მან აღადგინა მშვიდობა სამხრეთის პროვინციებში, გაიყვანა იქიდან საოკუპაციო (ესპანური და იტალიური) ჯარები, ხოლო უტრეხტის ლიგის პოზიციები დაასუსტა იმით, რომ 1579 წლის 29 მაისს წაართვა მათ მაასტრიხტი. მან შეგნებულად განაცხადა უარი ესპანეთიდან და იტალიიდან დამხმარე ძალების მიღებაზე (რითაც დაიმსახურა სამხრეთელების სრული ნდობა) და ბრძოლას განაგრძობდა მხოლოდ ფლამანდიელებისაგან დაკომპლექტებული 15 ათასიანი ჯარით (ესენი ძირითადად იყვნენ ცუდად გაწვრთნილი ახალწვეულები). სიტუაციიდან გამომდინარე მან შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა. იგი თავს არიდებდა ხანგრძლივ ალყასა და მომქანცველ მანევრებს და უფრო მოლაპარაკებებით ცდილობდა მიზნის მიღწევას. ამ ტაქტიკურმა სვლამაც გაამართლა და 1581 წლის ნოემბრისათვის იგი დაეუფლა ტურნესა და მთელ რიგ სხვა გამაგრებულ პუნქტებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ფარნეზემ დაიმსახურა სამხრეთ პროვინციების სრული ნდობა თავისი ბრძნული ქმედებებით. მან დაარწმუნა მათი წარმომადგენლები დაებრუნებინათ ნიდერლანდებში ესპანელი და იტალიელი ჯარისკაცები, რის შედეგადაც მან გააძლიერა თავისი არმია 60 ათას კაცამდე და 1582 წლის დასასრულისათვის იერიში მიიტანა უილიამ ორანელის არმიაზე. 1583 წლის შუაგულისათვის მან ხელში ჩაიგდო დისტი და ვესტერლო (მათზე გადიოდა ბრიუსელიდან ანტვერპენში მიმავალი გზა). 1584 წლის პირველ ნახევარში მან ანტვერპენს ზღვიდანაც შემოარტყა ალყა. ბრიუგე და იპრი (უძველესი სავაჭრო ცენტრები) მომენტალურად დანებდნენ მოწინააღმდეგეს, ხოლო ანტვერპენის ალყა კი 13 თვეს გრძელდებბოდა. 1585 წლის 17 აგვისტოს ქალაქი დანებდა.

ესპანეთ-ინგლისის ომის დროს ფილიპე II უბრძანა ალესანდრო ფარნეზეს მზად ყოფილიყო ინგლისში დესანტირებისათვის. დიდი არმადის სამარცხვინო განადგურებამ თავზარი დასცა ფარნეზეს. მან დაშალა სამხედრო ბანაკი დიუნკერში, რომელიც გამზადებული იყო ინგლისში შესაჭრელად. იგი ისევ ჩრდილოეთ პროვინციებისაკენ აპირებდა თავისი მახვილის მიმართვას, მაგრამ ამ დროს კლავენ საფრანგეთის მეფეს ანრი III და საფრანგეთში იწყება ბრძოლა პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის. ფილიპე II ბრძანებით ალესანდრო ფარნეზე დახმარებას უწევს კათოლიკებს და თავისი ნიდერლანდური არმიით ათავისუფლებს პარიზს პროტესტანტებისაგან. 1592 წლის 20 აპრილს ხელმძღვანელობს კათოლიკების მთავარი ქალაქის რუანის დებლოკირებას და

კვლავ ამარცხებს საფრანგეთის მომავალ მეფეს ანრი IV. ბრძოლის დროს იგი მძიმედ დაიჭრა ხელში და იძულებული გახდა ჯარის მართვის სადავეები გადაეცა საკუთარი ვაჟისათვის რანუჩოსათვის. ჭრილობა გაუმიზეზდა, მძიმედ დაავადდა და სულ მალე გარდაიცვალა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, დაწყებული პროცესის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. უტრეხტის უნიით 1579 წელს გაფორმდა ჩრდილოეთ ნიდერლანდების 7 პროვინციის კავშირი ესპანეთის წინააღმდეგ, რომელიც გამოვიდა ესპანეთის იმპერიის შემადგენლობიდან დაერქვა ჰოლანდია.

დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ჰოლანდია იკავებს პირველ ადგილს ევროპაში თავისი ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით. ჰოლანდიისათვის პირველადი დაგროვების ძირითადი წყარო გახდა საგარეო-საშუამავლო ვაჭრობა. იგი ინტესიურ ვაჭრობას ეწეოდა სკანდინავიასთან, ჩრდილოეთ გერმანიასთან, პოლონეთთან, ლიტვასთან, რუსეთთან, ინგლისთან, სამხრეთ ევროპასთან. ჰოლანდიას ჰყავდა ყველაზე დიდი ფლოტი ევროპაში და შესაბამისად, გემთმშენებლობა იქ წარმოადგენდა მრეწველობის ყველაზე წამყვან დარგს. დიდი განვითარება მიიღო მაუდის მრეწველობამ, ტილოსა და აბრეშუმის წარმოებამ, ტყავის დამუშავებამ და ფუფუნების საგნების წარმოებამ. საქვეყნოდ იყო განთქმული ჰოლანდიური მაქმანები. ჰოლანდიამ სახელი გაითქვა უმაღლესი ხარისხის კვების პროდუქტების წარმოებით: რძე და რძის პროდუქტები, ყველეული, შაქარი (რომელსაც 50-ზე მეტი საწარმო აწარმოებდა).

ქვეყნის ეკონომიკურმა განვითარებამ სტიმული მისცა სავაჭრო-საფინანსო სისტემის გარდაქმნას. ანტვერპენი გახდა უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი, სადაც გაიხსნა მსოფლიოში პირველი სავაჭრო ბირჟა. იგი გახდა ევროპის უმდიდრესი ქალაქი. აქ თავმოყრილი იყო ევროპის უმსხვილესი საფინანსო სახლების ოფისები. შემთხვევითი არ იყო, რომ XVI საუკუნე ჰოლანდიაში აღიარებული იყო ანტვერპენის საუკუნედ. მომდევნო საუკუნე გახდა უკვე ამსტერდამის საუკუნე. იგი გახდა მსოფლიოს ფინანსური ცენტრი. 1609 წელს შეიქმნა ამსტერდამის ბანკი, რომელიც ატარებდა ფართომასშტაბიან საკრედიტო ოპერაციებს, ადგენდა ფასებს საქონელზე, ანაწილებდა კრედიტებს ევროპის ქვეყნებისათვის.

ჰოლანდიის ეკონომიკური განვითარების ახალმა ტენდენციებმა თავისი ასახვა ჰპოვეს სოფლის მეურნეობაში. მისი განვითარების ინტესიური ხასიათი მრავალწილად განპირობებული იყო ქვეყნის ტერიტორიული შეზღუდულობით. მიწა ჰოლანდიელებს, დანიელ დეფოს მოსწრებული ნათქვამის შესაბამისად, ქათმების გამოსაკვებადაც კი არ ჰყოფნიდათ. ჰოლანდიელებმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს მეცხოველეობაში, მებოსტნეობაში, მებაღეობაში, მეყვავილეობაში. XVII საუკუნეში ჰოლანდიამ დაიწყო სპეციალიზირება მეყვავილეობაში და ამავე საუკუნის 20-30-იან წლებში განიცადა ტიტების ციებ-ცხელება, რომლის თანმხლები პროცესი წარმოადგენდა მასობრივი სპეკულაცია. მაგალითად იშვიათი ჯიშის ტიტის “ვიცე–მეფის” ერთ ბოლქვში მყიდველს უნდა გადაეხადა: 2 ურემი ხორბალი, 4 ურემი ჭვავი, 4 ხარი, 8 ღორი, 12 ცხვარი, 50 ლიტრი ღვინო, 4 კასრი ლუდი, 2 კასრი ზეთი, 1000 ფუნტი ყველი, საწოლი ჩარდახით და თეთრეულის კომპლექტით, 1 თოფი ნაჭერი და ვერცხლის თასი.

ჰოლანდიის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრეთვე მეთევზეობა, რომელშიც ყოველწლიურად დასაქმებული იყო 100-120 ათასი ადამიანი.

ჰოლანდიის მიერ კაპიტალის დაგროვების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის კოლონიალურ სისტემას. XVI-XVII საუკუნეებში ჰოლანდიის უდიდეს კოლონიებს წარმოადგენდნენ ნიდერლანდების გვიანა და კაპის ოლქი სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში. ხელში ჩაიგდეს ცეილონი და გამაგრდნენ ინდონეზიის კუნძულებზე. 1602 წელს შექმნილმა ნიდერლანდების

ოსტ-ინდოეთის (ნიდ., Verenigde Oostindische Compagnie) კომპანიამ გააჩაღა ფართო კოლონიალური ვაჭრობა, რომლის ხელსაყრელობაზეც მეტყველებს ერთი ფაქტი: XVII საუკუნეში ნიდერლანდებში იყო ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი შემოსავალი მთელ დასავლეთ ევროპაში.




ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანია (ნიდერ.,Verenigde Oostindische Compagnie)

ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანია (ნიდერ.,Verenigde Oostindische Compagnie) დაარსდა 1602 წელს და იარსება 1798 წლამდე. იგი ახორციელებდა ვაჭრობას (მათ შორის ჩაით, სპილენძით, ვერცხლით, ტექსტილით, ბამბით, აბრეშუმით, კერამიკით, სანელებლებით, ოპიუმით) იაპონიასთან, ჩინეთთან, ცეილონთან, ინდონეზიასთან. კომპანიის მიერ დაარსებული იყო სავაჭრო ფაქტორიების მთელი ქსელი – კეთილი იმედის კონცხზე, სპარსეთში, ბენგალიაში, მალაკაში (მალაიზია), ჩინეთში, სიამზე (ტაილანდი), ფორმოზაზე (ტაივანი). კომპანიის ადმინისტარციის რეზიდენცია, 1619 წლიდან, იმყოფებოდა ბატავიაში (ჯაკარტა) კუნძულ იავაზე, რომელიც გახდა ჰოლანდიის აზიური სამფლობელოების დედაქალაქი. კომპანიის განკარგულებაში იყო ექვსი სათავო ოფისი (პალატა) მეტროპოლიაში, მათ შორის ამსტერდამსა და როტერდამში. მას მართავდა 17 ვაჭრისაგან შემდგარი საბჭო.

ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანია იყო მსოფლიოში პირველი სააქციო საზოგადოება, რამეთუ მან პირველმა წამოაყენა წინადადება დამფუძნებლების წილობრივი პასუხისმგებლობის შესახებ (შესაბამისად მოგების განაწილებაში წილობრივი მონაწილეობა) იმ ხომალდების ბედზე, რომლებიც მთელ მსოფლიოში ეძებდნენ ახალ მიწებს, ძვირფასეულობასა და სანელებლებს. ეს კი თავის მხრივ დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ სტატისტიკის თანახმად ყოველი სამი ხომალდიდან უკან მხოლოდ ერთი ბრუნდებოდა (დანარჩენები ხდებოდნენ ფორს-მაჟორული მდგომარეობის მსხვერპლნი: მეკობრეები, ქარიშხალი და ასე შემდეგ). ამასთან ყოველ ბედნიერ ხომალდს, რომელმაც შეძლო დაბრუნება, მოჰქონდა უზარმაზარი მოგება. ამგვარად მეანაბრის შესაძლო მოგების პროცენტი დამოკიდებული იყო მისი შენატანის თანხაზე, რომლის საზომიც ხდებოდა მსოფლიოში პირველი აქციები. აქციის საწყისი ღირებულება შეადგენდა 3 გულდენს (3 ურემი ხორბლის ფასი). სულ გამოშვებული და გაყიდული იყო 2153 აქცია – 6,5 მილიონი გულდენის ღირებულების. უკვე 1604 წელს აქციების ფასმა შეადგინა პირველადი ღირებულების 110%. 1610 წელს, როდესაც ევროპაში პირველად ჩამოიტანეს ჩაი, მისმა ფასმა შეადგინა პირველადი ღირებულების 130%. შემდგომში აღინიშნებოდა წლიურად 10%-ანი მატების ტენდენცია. ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიის არსებობის პირველი 120 წლის მანძილზე აქციების კურსი გაიზარდა 1260%-მდე, თუმცა შემდგომში აღინიშნა კლების ტენდენცია. 1644

წლამდე დივიდენდები აქციონერებს ეძლეოდათ ნატურით (ძირითადად სანელებლებით), შემდგომში კი მხოლოდ ფულით. 1669 წლისათვის კომპანია იყო მსოფლიოში ყველაზე მდიდარი კერძო ფირმა. მის განკარგულებაში იყო: 159 კომერციული ხომალდი, 40 სამხედრო ხომალდი, 50 000 თანამშრომელი, 10 000-იანი კერძო არმია.

ჰოლანდიის სამრეწველო ბაზისა და მისი მრეწველობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობა შეფერხდა მის არსენალში ორი ძირითადი კომპონენტის – ნედლეულისა და სამუშაო ძალის – უკმარისობის გამო. მისი საგარეო ვაჭრობის საშუამავლო ხასიათმა განაპირობა ჰოლანდიის ეკონომიკის დამოკიდებულება ევროპის მეზობელი ქვეყნების სამეურნეო და პოლიტიკურ კონიუნქტურაზე.

დაიწყო ჰოლანდიის ეკონომიკური დაღმასვლა რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. პირველ რიგში ეს იყო ვაჭრობის სუსტი სამრეწველო ბაზა – ქვეყანას საკმარისი არც ნედლეული ჰქონდა, არც ტერიტორია და არც მუშახელი. იმ პერიოდის ევროპის ეკონომიკაში დიდ მნიშვნელობას იძენდა მძიმე მრეწველობა, ჰოლანდიას კი არ ჰქონდა არც ქვანახშირის და არც შავი ლითონის საბადოები. თუმცაღა მისი ვაჭრობა, გემთმშენებლობა და ნაოსნობა ვითარდებოდა. მრეწველობის განვითარების დონით ჰოლანდია სულ უფრო და უფრო რჩებოდა ინგლისს. კაპიტალის მხოლოდ კრედიტში და ვაჭრობაში ჩადება მრეწველობის განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვაჭრობას ჰოლანდიაში ძირითადად საშუამავლო ხასიათი ჰქონა. იგი თავისი პროდუქტებით იმდენად არ ვაჭრობდა, როგორც სხვა ქვეყნები და ამგავარად დაფუძნებული იყო არა იმდენად თავისი ეკონომიკის მაღალ დონეზე განვითარებზე, რამდენადაც სხვების ჩამორჩენილობაზე. ეკონომიკაში ვაჭრობის დიდი როლის გამო, ჰოლანდიის მეურნეობა დიდად იყო დამოკიდებული მეზობელ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე, პროტექციონისტური ტარიფები, ომები და ა.შ. დიდ გავლენას ახდენდა ჰოლანდიაზე. ინგლისის კოლონიებთან ვაჭრობის შეზღუდვამ, კრომველის სანავიგაციო აქტმა (1651) და სხვა სავაჭრო შეზღუდვებმა ძლიერი დარტყმა მიაყენა ჰოლანდიის ეკონომიკას. სავაჭრო კაპიტალის განვითარება ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში ზღუდავდა ჰოლანდიის სავაჭრო კაპიტალის მოქმედების სფეროს.

1651 წლის სანავიგაციო აქტს ერთი კონკრეტული მიზანი ჰქონდა და ერთ კონკრეტულ მდგომარეობაზე იყო მიმართული: ჰოლანდიური გემების მიერ კოლონიალური პროდუქტებისა და თევზის ინგლისში იმპორტის აკრძალვა. ამას გარდა კანონს უნდა აღეკვეთა ჰოლანდიელების მიერ ინგლისში იტალიური აბრეშუმის, თურქული ანგორის მატყლის, ესპანური პროდუქტების, ბერძნული ყურძნის, ნეაპოლის ზეითუნის ზეთისა და კანარის ღვინის შემოტანა. კანონი კრძალავდა ჰოლანდიური გემების მიერ სხვადასხვა პროდუქტების გადატანას სამხრეთ ევროპიდან ინგლისის ნავსადგურებში და კარიბის ზღვაში არსებულ ინგლისურ კოლონიებში ვაჭრობას. სანავიგაციო აქტმა ნიდერლანდებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ეს ძირითადად ზღვების თავისუფლების პრინციპით **Mare Liberu**-ით იყო გამოწვეული. სანავიგაციო აქტი რაღაც უბრალო აქტი კი არ იყო, არამედ უფრო დიდი გეგმის ნაწილი, რომელიც ჰოლანდიის რესპუბლიკის ინგლისისთვის დაქვემდებარებას ისახავდა მიზნად. ამ აქტის მეშვეობით ინგლისელებმა შეიარაღებული გემებით ჰოლანდიის სავაჭრო გემებზე ნადირობა გამოაცხადეს (**Witch Hunt**). 1651 წელს არა ნაკლებ 140 ნიდერლანდული გემი დააკავეს და ბრალად სანავიგაციო აქტის დარღვევა წაუყენეს. კაპიტნები ამუნიციისა და იარაღის ირლანდიასა და შოტლანდიაში გადატანაზე, ინგლისის მეამბოხეებთან ვაჭრობაში, კარიბის ზღვაში ვაჭრობაში და მსგავს საქმეებში დაადანაშაულეს. ინგლისის პარლამენტში გაპროტესტების მიუხედავად, არაფერი იცვლებოდა. ნიდერლანდებში მდგომარეობა დაიძაბა,

რადგან ქვეყანა მსოფლიო ვაჭრის პოზიციასაც კარგავდა. ჰოლანდიის ფლოტი ტრომპისა და დე რუიტერის მეთაურობით 1652 წლის მაისში იწყებს საბრძოლო მოქმედებებს ლა-მანშის სრუტეში ინგლისელების წინააღმდეგ. მაგრამ ჰოლანდიელებს თვით დე რუიტერის გენიამაც კი ვერ უშველა.



მიხაილ ადრიანსზონ დე რუიტერი ( ნიდ., Michiel Adriaenszoon de Ruyter) (1607-1676) სახელგანთქმული ჰოლანდიელი ადმირალი

"ვაჭრობა... საჭიროა ერის ცხოვრებისათვის, იმდენად, რამდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდან, სადაც მეტია, იქ საცა უჭირთ და ამ გზით შველის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყოველგან. ხოლო ვაჭრობა, წესიერად გაწყობილი, ამის მეტს სამსახურს ვერ გაუწევს ადამიანს და ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბინაზედ არ აყენებს კაცს; საცა გამორჩომაა და ხეირი, იქ არის იმისი მამული, იმისი მიწა-წყალი. ამიტომაც ერი, მარტო ვაჭრობაზედ მიქცეული, დარღვეულია, გაქსაქსული, გაფანტული... ამისთანა ერს უცილობელ ბედად ის უწერია, რომ სხვის კედლად უნდა იყოს, სხვა ერს შეეხიზნოს, სხვისით იცხოვროს. ამიტომაც საპოლიტიკო მოქმედებისათვის იგი ღონე-მოკლებულია, ერთად ყოფნისათვის ნიადაგი არა აქვს და ხელცარიელია, თუნდაც ჯიბეები ოქროებით ჰქონდეს გატენილი. ამისთანა ერის ეკონომიკური ყოფა-ცხოვრებაც იმ ერზედ არის დამოკიდებული, რომელსაც შეჰკედლებია და რომელსაც ხელთ უპყრია მიწა და გუთანი, იმიტომ, რომ ვაჭრობა არა ჰქმნის სიმდიდრესა; მას მარტო ერთის ადგილიდამ მოჭარბებული სიმდიდრე გადააქვს მეორე ადგილას, საცა ნაკლებია იქიდამაც-საიდამაც გადააქვს და იქიდამაც – საცა მიაქვს. ამ სახით, ვაჭრობა ერის სიმდიდრის გაძლიერებაში არის თვითმოქმედი მონაწილე. მაშასადამე, იგი, როგორც საპოლიტიკო, ისე საეკონომიკო საქმეებში, მუდამ სხვის მაყურებელია, სხვის პირში მაცქერალი და ნამდვილ განათლებულ ვაჭარს ყოველთვის წინ გამოსახული ისა აქვს, რომ მისი კეთილდღეობა იმ ერის ბედთან არის შეხორცებული, რომელსაც შეჰხიზნებია. ამიტომაც იგი არ ერიდება და თავისად მიაჩნია იმ ერის ჭირიცა და ლხინიცა. საცა ამ დონეზე ვაჭარი არ დამდგარა, საცა გულში ჩაუდვია მარტო თვისი გამდიდრება იმ გზით, რომ ერი გააღარიბოს, იქ ვაჭარი თვალში ეკლად უჩანთ. უცხო თესლის ვაჭარი სტუმარია მკვიდრი ერისა. სტუმარმა მასპინძელს არასოდეს არ უნდა გაუბედოს, აქაურობის ბატონობა მე მინდაო. შეიძლება სტუმარი ძმად მოითავსოს კაცმა, მაგრამ მის ბატონად გახდომას – კი მოკვდება და არ იკადრებს" ილია ჭავჭავაძის ამ დებულების მართებულობა სულ მალე დაეტყო ჰოლანდიას და მოხდა გარდაუვალი: XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჰოლანდიას თანდათანობით წინ უსწრებს ინგლისი და დგება ლონდონის საუკუნე.

ინგლისის ეკონომიკური განვითარებისათვის მძლავრ სტიმულს წარმოადგენდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და მსოფლიო სავაჭრო გზების ეპიცენტრის გადაადგილება. მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება ინგლისურ მატყლზე, ფასებმა აიწია ინგლისის მაუდზე, რამაც შესაძლებელი გახადა შალის ქსოვილების საკუთარი წარმოების განვითარება და ექსპორტის

გაფართოება. ინგლისმა დამოუკიდებლად შეძლო კაპიტალის პირველადი დაგროვებისა და განვითარებადი მრეწველობის უზრუნველყოფა ნედლეულითა და სამუშაო ძალით. ეს პრობლემა ინგლისელებმა გადაწყვიტეს გლეხებისათვის მიწების ჩამორთმევით. ეს გახდა ინგლისში კაპიტალის პირველადი დაგროვების საფუძველი: ანუ მწარმოებელი ჩამოაცილეს წარმოების საშუალებებს.

ინგლისელმა ლენდლორდებმა მეცხვარეობის განვითარებისათვის აუცილებელი საძოვრების გაფართოებისათვის შემოღობვებით ძალით წაართვეს გლეხებს მიწები. მიწის გარეშე დარჩენილი გლეხები იძულებული ხდებოდნენ გამხდარიყვნენ დაქირავებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო მუშები. იქმნებოდა მუშა ხელის ბაზარი. ლენდლორდები, როგორც წესი, თვითონ არ იყვნენ დასაქმებულნი სოფლის მეურნეობაში. მიწას არენდით აძლევდნენ ფერმერებსა და მსხვილ მესაქონლეებს, რომლებიც იყენებდნენ რა დაქირავებულ სამუშაო ძალას, ხდებოდნენ კაპიტალის მფლობელები. იმავდროულად ინგლისში შემოიღეს უმკაცრესი კანონები მაწანწალების წინააღმდეგ: მარტო XVII საუკუნეში მაწანწალობისათვის ინგლისში სიკვდილით დასაჯეს 72 ათასი ადამიანი. მიწების ძალით გადანაწილებამ დამატებითი ბიძგი მიიღო რეფორმაციის დროს საეკლესიო მიწების სეკულარიზაციის შედეგად. დაიხურა 3 ათასი კათოლიკური მონასტერი, მათი მიწები კი კონფისკირებული იქნა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

შემოღობვების გარდა, კაპიტალის პირველადი დაგროვებისათვის, ინგლისში განვითარება ჰპოვა სხვა გზებმაც. სახელმწიფო სესხის სისტემა იყო ამ გზათაგან ერთ-ერთი. სამეფო კარის, არმიის, ფლოტისა და ომების წარმოებისათვის საჭირო თანხებს დიდ პროცენტიანი სესხის სახით იღებდნენ მევახშეებისაგან, ვაჭრებისა და მეწარმეებისაგან. მეორე გზას წარმოადგენდა პროტექციონიზმი, როდესაც მთავრობა აწესებდა მაღალ საბაჟო გადასახადებს იმპორტზე და დაბალ ტარიფებს საექსპორტო პროდუქციაზე, ამასთანავე კრძალავდა ნედლეულისა და კვების პროდუქტების გატანას. ეს იყო ევროპაში იმ დროს ძალზე პოპულარული მერკანტილისტური ეკონომიკური თეორიის პრაქტიკაში განხორციელების კლასიკური მაგალითი. **New Encyclopadia Britannica**-ში ვკითხულობთ: "[მერკანტილიზმი] ხაზს უსვამს, რომ სიმდიდრის მოპოვება, განსაკუთრებით სიმდიდრისა ოქროს სახით, წარმოადგენდა ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს...მერკანტილისტული პოლიტიკის მიერ ნაკარნახები სავაჭრო პოლიტიკა, ძალიან მარტივი იყო: ექსპორტის მხარდაჭერა, იმპორტის შემცირება, და ექსპორტის დომინირების შედეგად მოგებული თანხების ოქროთი აღება".



ჰენრი VII ტიუდორი (ინგ., Henry VII) (1457-1509) ინგლისისა და ირლანდიის მეფე (1485-1509) ტიუდორების დინასტიის პირველი წარმომადგენელი

ვაჭრობის მნიშვნელობის ზრდამ განაპირობა მისი სულ უფრო მზარდი ზეგავლენა ინგლისის საგარეო პოლიტიკაზე. ჰენრიხ VII მეფობის პერიოდში (1485-1509) დაიდო ორი სავაჭრო ხელშეკრულება ნიდერლანდებთან, ანტვერპენის მეოხებით ინგლისური მაუდის საბითუმო და საცალო ვაჭრობის შემდგომი განვითარების მიზნით. უკვე მზა ნაწარმის (მაუდის) და არა ნედლეულის (მატყლის) გატანა ხდება ინლისის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი.



ჰანზის კავშირი

ჰენრიხ VII დანიშნა ინგლისელი კონსული პიზაში, რომელიც გახდა ხმელთაშუაზღვისპირეთში ინგლისური ვაჭრობის ცენტრი. ინგლისური მაუდი და მატყლი კონკურენციას უწევს ვენეციურ ნაწარმს. ჩრდილოეთში ინგლისელი ვაჭრები ჰანზის კავშირს უწევენ კონკურენციას. ბალტიისპირეთში ინგლისური ვაჭრობის განმტკიცების მიზნით ინგლისის მთაერობა ცდილობს, სეპარატული სავაჭრო ხელშეკრულების დადებით, რიგა ჩამოაცილოს ჰანზას. ეროვნული ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, ინგლისის მთავრობა ართმევს ჰანზელ ვაჭრებს სავაჭრო შეღავათებსა და პრივილეგიებს, ხოლო 1598 წელს ხურავს ჰანზელთა სავაჭრო ფაქტორიას ლონდონში და აიძულებს მათ დატოვონ ინგლისი.


ჩრდილოეთის გზა

ინგლისის მთავრობამ გამოსცა კანონები ვაჭრობისა და ზღვაოსნობის წასახალისებლად. ჯერ კიდევ 1552 წელს ინგლისელების ვილოუბისა და ჩენსლერის საზღვაო ექსპედიციამ აღმოაჩინა გზა თეთრი ზღვის გავლით

არხანგელსკამდე. ეს ექსპედიცია იყო ნაწილი ინგლისელთა ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისა აღმოეჩინათ ჩრდილოეთის გზა ინდოეთამდე. მართალია მათ ეს ვერ განახორციელეს, სამაგიეროდ შეაღწიეს მოსკოვის სამეფოში. ამ გზით ინგლისურ მაუდს გზა ეხსნებოდა კავკასიისა და შუა აზიისაკენ. ინლისელმა ვაჭრება მიაღწიეს თბილისსა და სამარყანდამდე.

ინგლისელების მიზანმიმართული სწრაფვა ინდოეთისაკენ არ შემოიფარგლებოდა მარტო აღმოსავლეთის მიმართულებით. ცნობილი ინგლისელი ზღვაოსანი დევისი შეეცადა აღმოეჩინა ჩრდილო–დასავლეთის გზა. სამჯერ იმოგზაურა დევისმა 1585 წლიდან მოყოლებული და მიაღწია გრენლანდიამდე, აღმოაჩინა სრუტე, რომელიც ატარებს მის სახელს.



**ჯონ კაბოტი (ინგ., John Cabot) (1450-1499)· იტალიური წარმოშობის ინგლისელი ვაჭარი და ზღვაოსანი. კანადის პირველი მკვლევარი**

ინგლისელ მკვლევართა პირველი მცდელობა მიეღწიათ ინდოეთამდე წარიმართა ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის ჩრდილოეთ დასავლეთის მიმართულებით. 1496 წელს ჯონ კაბოტმა თავის ვაჟებთან ერთად ინდოეთის ძიებაში აღმოაჩინა ნიუფაუნდლენდი და შეისწავლა კანადის აღმოსავლეთ სანაპირო. 1553 წელს ჰიუ ვილოუბის მცდელობა მარცხით დამთავრდა და მისი დაღუპვის შემდეგ, მისი თანაშემწე რიჩარდ ჩენსლერი ინდოეთის ნაცვლად აღმოჩნდა არხანგელსკში (ჩრდილოეთ რუსეთი). შემდეგ იყო **ფრობიშერის, დევისის, ჰუძონის** და ბაფინის მცდელობების მთელი კასკადი, მართალია მათ ინდოეთამდე ვერ მიაღწიეს, მაგრამ უკვდავყვეს თავისი სახელი აღმოჩენებით ჩრდილოეთ ამერიკის არქტიკულ სარტყელში. პირველი ინგლისელი რომელმაც მიაღწია ინდოეთამდე 1579 წელს, იყო სალსეტის იეზუიტების კოლეგიის რექტორი თომას სტივენსი. 1583 წელს სამი ინგლისელი ვაჭარი (ფიტჩი, ნიუბერი და ლიდსი) შეეცადა დაემყარებინა სავაჭრო ურთიერთობები ინდოეთთან, მაგრამ არმოჩნდნენ პორტუგალიელების ციხეში გოაში. მხოლოდ ფიტჩმა მოახერხა ინგლისში დაბრუნება, ხოლო დანარჩენი ორი კი სამუდამოდ დარჩა ინდოეთში.

ტიუდორების სამეფო დინასტიამ მაქსიმალურად შეუწყო ხელი ინგლისში ზღვაოსნობისა და საზღვაო ვაჭრობის განვითარებას. სავაჭრო კომპანიებს მიეცათ მრავალი შეღავათი, პრივილეგია და მონოპოლია. სამეფო კარი უშუალოდ მონაწილეობდა ხელსაყრელ სავაჭრო ოპერაციებში. საზღვაო ვაჭრობის განვითარებაში უზარმაზარი როლი ითამაშა უძველესმა ინგლისურმა კომპანიამ **"Company of Merchant Adventurers"** (სრული სახელი ინგ., Mystery and Company of Merchant Adventurers for the Discovery of Regions, Dominions, Islands, and Places unknown) (1551). იგი იყო ინგლისური შალით ვაჭრობის მონოპოლისტი, ჰანზის მთავარი კონკურენტი, რისთვისაც ჯერ კიდევ პირველმა ტიუდორებმა ამ კომპანიას მრავალი შეღავათი და პრივილეგია მისცეს. კომპანიის წარმატებები აღიქმებოდა, როგორც თავისებური ეროვნული ტრიუმფი. ელისაბედის მეფობის პერიოდში ამ კომპანიის გვერდით აღმოცენდა მრავალი

ახალი კომპანია, რომელთა სახელებიც კი თვალნათლივ მეტყველებს, თუ რა მიმართულებით ვითარდებოდა ინგლისელთა სავაჭრო მისწრაფებანი.

ესენია: მოსკოვის, თურქეთის, ესტლანდიის, მაროკოს, გვინეის, ვესტ-ინდოეთის და 1600 წელს დაარსებული ოსტ-ინდოეთის საქვეყნოდ ცნობილი კომპანია (**British East India Company**). ესენი იყვნენ სავაჭრო კაპიტალის მძლავრი ორგანიზაციები ამა თუ იმ ქვეყანასთან ვაჭრობის მონოპოლიური უფლებით. პარლამენტის წინააღმდეგობის მიუხედავად, რომლის აზრითაც სამეფო კარს არ ჰქონდა უფლება მონოპოლიაზე პატენტების გაცემისა, ხელისუფლება მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს უქმნის ამ კომპანიებს. კომპანიები აფინანსებენ ექსპედიციებს, ნახულობენ უზარმაზარ მოგებას, რომლის ნაწილსაც გადასცემენ სამეფო ხაზინას.




ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია (ინგ., **British East India Company**)

ბრიტანეთის (ლონდონის) ოსტ-ინდოეთის კომპანია (ინგ., **British East India Company**) იყო სააქციო საზოგადოება, შეიქმნა ელისაბედ I დეკრეტით 1600 წლის 31 დეკემბერს, რომელსაც მიენიჭა დიდი პრივილეგიები ინდოეთში სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლად. ფაქტიურად კი ეს იყო კომპანიისათვის მონოპოლიის უფლების მინიჭება. საწყის ეტაპზე კომპანიაში იყო 125 აქციონერი, ხოლო მისი კაპიტალი შეადგენდა 75 ათას ფუნტ სტერლინგს. უკვე 1612 წლისათვის მისი კაპიტალი გაიზარდა 400 000 ფუნტ სტერლინგამდე. 1698 წელს აღმოცენდა ახალი სავაჭრო საზოგადოება (**General Society trading to the East Indies** – 2 000 000 ფუნტი სტერლინგის კაპიტალით), მაგრამ 1709 წელს იგი გაერთიანდა ლონდონის კომპანიასთან. მას მართავდა გუბერნატორი და დირექტორთა საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებული იყო აქციონერთა კრების წინაშე. სულ მალე კომპანიის წმინდა კომერციული ინტერესები გადაიზარდა უფრო მნიშვნელოვან რამეში: კომპანიამ მიიღო სამთავრობო და სამხედრო ფუნქციები და ამ ფუნქციების მატარებელი იყო 1858 წლამდე.

1612 წელს კომპანიის შეიარაღებულმა ძალებმა სუოლთან ბრძოლაში დაამარცხეს პორტუგალიელები. 1615 წელს კომპანიის წარმომადგენლებმა, ინგლისის მეფის იაკობ I სახელით, მოლაპარაკებები აწარმოეს ინდოეთის იმპერატორ ჯახანგირთან და მიიღეს მონოპოლიური უფლებები სუარტაში (საზღვაო პორტი მდინარე ტაპტის შესართავში არაბეთის ზღვის სანაპიროზე, კამბეის ყურეში. იგი გახდა ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის დედაქალაქი, შემდგომში დედაქალაქი გადაიტანეს ბომბეიში (1687). 1759 წლიდან სუარტა ფაქტიურად გადავიდა ინგლისის გამგებლობაში) და ინდოეთის სხვა რეგიონებში კომპანიის ფაქტორიების შესაქმნელად. 1647 წლისათვის კომპანიას ინდოეთში უკვე 23 ფაქტორია აქვს. იმ დროინდელ ევროპაში დიდი მოთხოვნილება იყო

ინდურ ქსოვილებზე (ბამბისა და აბრეშუმის ნაწარმი). კომპანიას ინდოეთიდან ძირითადად გაჰქონდა ქსოვილები, ჩაი, მარცვლეული, საღებავები (ინდიგო), ბამბა, ხოლო მოგვიანებით – ოპიუმი ბენგალიიდან.



**რობერტ კლაივის შეხვედრა მირ-ჯაფართან პლასისთან ბრძოლის შემდეგ**

შვიდწლიანი ომის დროს 1756-1763 წწ., რომელსაც სერ უინსტონ ჩერჩილმა სამართლიანად უწოდა “პირველი მსოფლიო ომი” **[Bowen, HV (1998). War and British Society 1688-1815. Cambridge, United Kingdom: Cambridge University Press, 7. ISBN 0-521-57645-8.]**(ეს იყო პირველი კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც მიმდინარეობდა არა მარტო ევროპაში, არამედ აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაშიც. მეომარი სახელმწიფოები ძირითადად იყვნენ ევროპელები, არაევროპელები კი იროკეზების ტომების კონფედერაცია და ბენგალია), ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ჯარებმა, რობერტ კლაივის (Robert Clive) (1725-1774) მეთაურობით, 1757 წელს პლასისთან (Plassey) გამართულ ბრძოლაში გაანადგურეს ბენგალიის მმართველის სურადჯა-უდ-დოულის ჯარები. (კლაივის განკარგულებაში იყო სულ 1000 ევროპელი, 2000 სიპაი და 8 ზარბაზანი, ხოლო მოწინააღმდეგეს ჰყავდა 35000 ქვეითი ჯარისკაცი, 15000 ცხენოსანი და 50 ზარბაზანი). სურადჯა-უდ-დოულის ნაცვლად ტახტზე აიყვანეს მირ ჯაფარი, კლაივის კრეატურა, რისთვისაც კლაივმა აიღო უზარმაზარი თანხა. კომპანიამ დაამყარა სრული კონტროლი ბენგალიაზე და კონფისკაცია გაუკეთა ბენგალიის ხაზინას (ამოღებული იყო 5 მილიონ 260 ათასი ფუნტი სტერლინგის ღირებულების ძვირფასეულება). რობერტ კლაივი გახდა ბენგალიის პირველი ინგლისელი გუბერნატორი (1758). ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია კლაივს უხდიდა 222 958 რუპიის ოდენობის წლიურ რენტას. რობერტ კლაივმა ჩაუყარა საფუძველი ბრიტანეთის ინდოეთის შექმნას.

ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია თავის ინდურ სამფლობელოებში ატარებდა **“The Great Calamity period”**-ს პოლიტიკას, რომლის შედეგად ნადგურდებოდა ტრადიციული ხელოსნობა, დეგრადაციას განიცდიდა მიწათმოქმედების კულტურა. ყოველივე ამან კი გამოიწვია 40 000 000 ინდუსის სიკვდილი. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსის ბრუკს ადამსის გაანგარიშებით ინგლისელებმა ბენგალიიდან, მარტო პირველი 15 წლის განმავლობაში, გაზიდეს 1 მილიარდი ფუნტი სტერლინგის ღირებულების ფასეულობები. ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, საკმარისია გავიხსენოთ ცნობილი ფრაზა გოეთეს “ფაუსტიდან”: **“ომი, ვაჭრობა, მეკობრეობა სამი სახეა ერთი არსისა”.[ Johann Wolfgang von Goethe.http://www.wissen-im-netz.info/literatur/goethe/faust/2teil/05.htm]**

1840 წლისათვის ინგლისელები აკონტროლებენ ინდეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს. 1857 წელს მოხდა სიპაების აჯანყება (ინდოეთში მას უწოდებენ I ომს დამოუკიდებლობისათვის). აჯანყების ჩახშობის შემდეგ 1858 წელს

ბრიტანეთის იმპერიამ დაამყარა პირდაპირი ადმინისტრაციული კონტროლი თავისი კოლონიის მთელ ტერიტორიაზე, ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის პროტესტის მიუხედავად. გენერალ-გუბერნატორმა მიიღო ვიცე-მეფის ტიტული და ინდოეთის მართვას ანხორციელებდა, დედოფლის სახელით, საბჭოსთან ერთად (საბჭოში იყო 5 წევრი). კომპანიის ჯარები გაერთიანდნენ სამეფო ჯარებთან, გაუქმდა ინდოეთის განსაკუთრებული ფლოტი. 1874 წელს მოხდა ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ლიკვიდაცია.

ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია სერიოზულ ოპერაციებს აწარმოებდა ჩინეთშიც. ევროპელების პირველი ინტენსიური ურთიერთობა ჩინეთთან იწყება 1520 წლიდან, როდესაც ესპანელებმა გახსნეს პირველი სავაჭრო ფაქტორიები ქალაქ ნინგ-ფო-ში. 1522 წელს პორტუგალიელებმა დაარსეს კოლონია მაკაო მდინარე სი-ნიანგის (მარგალიტის მდინარე) დელტაში მდებარე კონძულზე. ვაჭრების პარალელურად ჩინეთში აღწევენ მისიონერები, ძირითადად იეზუიტები, ქრისტიანობის გასავრცელებლად. 1644 წელს ჩინეთი დაიპყრეს მანჯურებმა, შეიცვალა მმართველი დინასტია, მაგრამ ამას გაელენა არ მოუხდენია სავაჭრო ურთიერთობების შემდგომ გაფართოებაზე, პირიქით ისინი იღებენ უფრო და უფრო ინტენსიურ ხასიათს. 1662 წელს ინგლისელებმა და ფრანგებმა, ჩინეთის მთავრობის ნებართვით, დაარსეს ახალი სავაჭრო ფაქტორია კანტონში. ჩინეთში გამოცხადებული აღმსარებლობის თავისულების შედეგად ქრისტიანულმა სწავლებამ შეაღწია ხალახის ფართო მასებში. XVIII საუკუნიდან მკვეთრად შეიცვალა ჩინეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა. ჩინეთში დაიწყეს ქრისტიანების დევნა და ევროპელების შევიწროვება. 1757 წლიდან ევროპელებს საერთოდ აეკრძალათ ჩინეთთან ვაჭრობა მაკაოსა და კანტონის პორტების გარდა. და აქაც ყველა სავაჭრო შეთანხმება უნდა განხორციელებულიყო ჩინელი ვაჭრების საგანგებო სავაჭრო საზოგადოების გუნხანის შუამავლობით (აერთიანებდა 13 სავაჭრო ფირმას), რომლებიც ანგარიშვალდებულნი იყვნენ ჩინეთის მთავრობის წინაშე. მსგავსი პოლიტიკა მაქსიმალურად ზღუდავდა ვაჭრობას, ვინაიდან იგი მთლიანად კონცენტრირებული იყო ერთ ხელში და გამორიცხავდა თავისუფალ კონკურენციას. არადა ევროპაში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა ჩინური ნაწარმი, განსაკუთრებით ჩაი, რომლის სწრაფი ტრანსპორტირებისათვის შეიქმნა სპეციალური, უსწრაფესი ხომალდები ეგრეთ წოდებული "ჩაის კლიპერები".



ჩაის კლიპერი "მედინა" 1850 წ.



ჩაის გაშრობა ჩინეთში 1860 წ.

საუკუნეების განმავლობაში საქონლის ექსპორტი ჩინეთიდან დომინირებდა იმპორტზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ ევროპის უმაღლეს საზოგადოებაში უდიდესი მოთხოვნილებით სარგებლობდნენ ჩინური ჩაი, აბრეშუმის ქსოვილები და ფაიფური. უცხოელები საქონელს ჩინეთში ვერცხლით იძენდნენ. 1784 წელს

ინგლისის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, შეემცირებინათ საბაჟო გადასახადების ოდენობა ჩინეთიდან შემოტანილ საქონელზე, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ჩინეთიდან შემოტანილი საქონლის მასისა და ინგლისიდან ჩინეთში ვერცხლის მასის გადენის ზრდა. ამ გადაწყვეტილების მიღება ნაკარნახევი იყო მთავრობის ნებით მოესპოთ კონტრაბანდული ვაჭრობა. შედეგმაც არ დააყოვნა: მკვეთრად შემცირდა კონტრაბანდული ვაჭრობა, გაიზარდა საბაჟო ანაკრებები, საგრძნობლად გაიზარდა ჩინეთთან სავაჭრო ოპერაციების საერთო მოცულობა და მკვეთრად გაიზარდა ინგლისის ფულადი სისტემიდან ვერცხლის გადინება. ეს უკანასკნელი კი ინგლისის მთავრობის მიერ განიხილებოდა, როგორც საფრთხე ბრიტანული ფულადი სისტემისათვის და მთლიანობაში მთელი ბრიტანული ეკონომიკისათვის. აქედან გამომდინარე ბრიტანეთის მმართველი წრეები ცდილობდნენ შეეცვალათ ჩინეთსა და ბრიტანეთს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობების სტრუქტურა, ხოლო ინგლისელი ვაჭრები ცდილობნენ მოეძებნათ საქონელი, რომელსაც ექნებოდა მოთხოვნა ჩინეთის ბაზარზე და რომლის ექსპორტითაც შესაძლებელი იქნებოდა ჩინეთიდან ექსპორტირებული ჩაის, ფაიფურისა და აბრეშუნის საფასურის ანაზღაურება.

ბრიტანელებს უნდა გადაეწყვიტათ ურთულესი პრობლემა: შეეცვალათ ბრიტანეთსა და ჩინეთს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობების სტრუქტურა ისე, რომ არ დარღვეულიყო ბრიტანული მერკანტილისტური პოლიტიკის პრინციპები. ეს მართლაც ურთულესი პრობლემა გახლდათ: ჩინეთის, ფანტასტიკურად ტევადი, ბაზარი ორიენტირებული იყო ადგილობრივ წარმოებაზე. ჩინელებს ჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი მოისურვებდნენ და ეს თავისთავად უსარგებლოს ხდიდა ყოველგვარ ვაჭრობას საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან. XVIII საუკუნის დასასრულისათვის ბრიტანელები შეეცადნენ შეეცვალათ სავაჭრო ურთიერთობების კონფიგურაცია შორეულ აღმოსავლეთში: ინგლისიდან ინდოეთში ჩამოჰქონდათ ქარხნული წარმოების ქსოვილები, ხოლო ინდური საქონელი გაჰქონდათ ჩინეთს ბაზარზე, მაგრამ ჩინელებს არც ერთი უნდოდათ და არც მეორე.

გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო და ინგლისელებმაც ბოლოს და ბოლოს იპოვეს საქონელი, რომელიც გადაჭრიდა მათ პრობლემებს. ეს საქონელი იყო ოპიუმი, რომლის ტრადიციული მწარმოებელი და ექსპორტიორი ჩინეთში იყო დიდი მოგოლების იმპერია, ჯერ კიდევ მანამდე ვიდრე იგი გადაიქცეოდა ბრიტანეთის კოლონია.



ოპიუმის პლანტაცია ინდოეთში

ოპიუმი, ძლიერმოქმედი ნარკოტიკი, მიიღება Papaver somniferum-ის ანუ მაკისაგან. ოპიუმის პირველი ხსენება დაკავშირებულია ძველი წელთაღრიცხვის 500 წელთან, მესოპოტამიაში. იგი გამოიყენებოდა ძველ საბერძნეთში და მის ტკივილგამაყუჩებელ თვისებებზე საუბრობდა პიპოკრატე. ჩვენი წელთაღრიცხვის

I ათასწლეულში ოპიუმის მოხმარება გაერცელდა აღმოსავლეთის ქვეყნებში კერძოდ ინდოეთში, ჩინეთში. ტრადიციულ მედიცინაში, მორფინული ალკალოიდების დიდი შემცველობის გამო, გამოიყენებოდა როგორც ძლიერი ტკიეილგამაყუჩებელი საშუალება. იგი იწვევს ძლიერ ნარკოტიკულ დამოკიდებულებას.

ოპიუმი, როგორც სამედიცინო საშუალება ცნობილი იყო ჩინეთში VIII საუკუნიდან. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ოპიუმი ჩინეთში ჩამოიტანეს არაბმა ვაჭრებმა. მაგარმ მისი როგორც ნარკოტიკული საშუალების გაერცელება დაკავშირებულია XVIII საუკუნესთან, ტაივანზე ჰილანდიელების ოკუპაციის პერიოდთან. ოპიუმის მოწევა გავრცელდა სამხრეთ ჩინეთის სანაპიროს მთელ რიგ პროვინციებში და XVIII საუკუნის დამლევისათვის იგი გახდა იმ დონის სერიოზული საზოგადოებრივი პრობლემა, რომ მასზე უკვე სერიოზელად დაფიქრდნენ სამთაერობო წრეები.

ინგლისელმა ვაჭრებმა ოპიუმი, როგორც ყველაზე მოსახერხებელი საქონელი, აირჩიეს ინგლისსა და ჩინეთს შორის სავაჭრო ბალანსის გამაწონასწორებელი საშუალება. ინთოეთში ოსტ-ინდოეთის კომპანიამ მონოპოლია დააწესა ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანაზე. გლეხები ვალდებულნი გახადეს, გადასახადის სახით, ეწარმოებინათ და შემდგომში კოპანიისათვის ჩაებარებინათ ოპიუმის ყააყჩოს მოსავალი. კომპანიის პატენტის მქონე ვაჭრები ახდენდნენ მის ტრანსპორტირებას ჩინეთის სანაპიროზე. აქ ოპიუმი გადაეცემოდა ჩინელ ვაჭრებს, რაღა თქმა უნდა ვერცხლის საფასურად, რომელსაც შემდგომში იყენებდნენ ინგლისელებისათვის საჭირო პროდუქციის შესაძენად. ამგვარად, ინგლისელების ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, პრობლემა გადაწყდა: ვერცხლი განაგრძობდა ბრიტანული ეკონომიკის კვებას და ამავდროულად იზრდებოდა იმპორტი ჩინეთიდან.

მაგრამ არსებულ სიტუაციას ჰქონდა თავისი არასახარბიელო ზნეობრივი მხარე, რასაც მშვენივრად აცნობიერებდენნ როგორც ევროპაში, ისე ჩინეთში. ოპიუმით ვაჭრობა ორივე ქვეყნის საზოგადოების მიერ აღიქმებოდა როგორც ამორალური, უღირსი გზა კომერციული პრობლემბის გადასაწყვეტად. ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ხელმძღვანელობამ აკრძალა ოპიუმის გავრცელება ბრიტანეთის ინდოეთში, ხოლო მისი ჩინეთში შეტანა გამოაცხადა კომერსანტების კერძო საქმედ. ჩინეთში არაერთხელ აიკრძალა ოპიუმის შემოტანა იმპერატორის ბრძანებულებით, კერძოდ (1796 წ. 1800 წ.), მაგრამ ის უზარმაზარი მოგება, რომელსაც ნახულობდნენ ვაჭრები, ოსტ-ინდოეთის კომპანია და ბრიტანეთი მთლიანობაში, უბიძგებდა მათ შემდგომი ქმედებებისკენ. საინტერესოა ჩინეთში ოპიუმის შეტანის დინამიკა: XVIII საუკუნის 40-იანი წლები – 400 ყუთი ოპიუმი, XIX საუკუნის 40-იანი წლები – 40 000 ყუთი ოპიუმი. ოპიუმის ვაჭრობით მიღებულმა მოგებამ გადაფარა აბრეშუმისა და ჩაის იმპორტით მიღებული მოგება. 1836 წლისათვის ოპიუმის ვაჭრობით მიღებულმა ბრიტანელების მოგებამ შეადგინა 18 მილიონი ლიანი ვერცხლით, ხოლო ოსტ-ინდოეთის კომპანიის, ოპიუმის ვაჭრობით, მიღებულმა მოგებამ შეადგინა კომპანიის მთელი მოგების ერთი მეათედი.

ჩაის შესაძენად, ჯერ კიდევ 1711 წელს დაარსდა სავაჭრო წარმომადგენლობა კანტონში. ჩაის თავდაპირველად ყიდულობდნენ ვერცხლით, შემდეგ მას ცვლიდნენ ოპიუმზე, რომელიც მოჰყავდათ ინდოეთში კომპანიის კუთვნილ პლანტაციებზე. ჩინეთის ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, 1799 წლისათვის, კონტრაბანდული ოპიუმის ბრუნვამ შეადგინა 900 ტონა წელიწადში. 1838 წლისათვის იგი გაიზარდა 1400 ტონამდე წელიწადში.





ოპიუმით დატვირთული გემები    კონტრაბანდული ოპიუმი სინ იანგის დელტაში 1840

ამის საპასუხოდ ჩინეთის მთავრობამ დააწესა სიკვდილით დასჯა ოპიუმის კონტრაბანდისათვის. ინგილესებმა ეს არაფრად ჩააგდეს და აგრძელბდნენ თავიან საქმეს ძველებურად. 1839 წელს ჩინეთის მთავრობის კომისარმა ლინ ძე სიუემ ყადაღა დაადო და შემგომში გაანადგურა კონტრაბანდული ოპიუმი, ხოლო მათი შემომტანი ინგლისის ქვეშემრდომები კი დააპატიმრა. ამის საპასუხოდ 1839 წლის 3 ნოემბერს ინგლისის ფლოტმა მოახდინა მდინარე სიძიანის ყურეში მყოფი ჩინური გემების მომბარდირება. დაიწყო ეგრეთ წოდებული I ოპიუმის ომი.



ნანკინის სამშეიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა 1842 წ.

ამ ომში ბრიტანეთის გამარჯვებამ შესაბამისი ასახვა ჰპოვა 1842 წლის 29 აგვისტოს ნანკინის სამშვიდობო ხელშეკრულებაში, რომლის თანახმადაც ჩინეთმა გადაიხადა 21 000 000 მილიონი დოლარის ოდენობის კონტრიბუცია, გადასცა ბრიტანეთს კუნძული ჰონკონგი და გახსნა ჩინური პორტები ინგლისური ვაჭრებისათვის. ამ ომმა საფუძველი ჩაუყარა ჩინეთის სახელმწიფოს შემდგომ დესტაბილიზაციას, სამოქალაქო დაპირისპირებას, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ქვეყნის დაკაბალება ევროპული სახელმწიფოების მიერ და მოსახლეობის გრძელვადიანი დეპოპულიზაცია. (1842 წლისათვის ჩინეთის მოსახლეობა შედაგენდა 413 მილიონ ადამიანს, 1881 წელს კი – 380 მილიონს).





ჰონკონგი 1846 წელს    პორტი ფუჯოუ (გახსნეს ევროპელებისათვის 1842 წელს)

კაპიტალის დაგროვების უმნიშვნელოვანეს გზას წარმოადგენდა აგრეთვე კოლონიალური ექსპანსია. კოლონიალური დაპყრობები ინგლისმა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დაიწყო, მაგრამ ფართო მასშტაბიან კოლონიალურ ექსპანსიას იგი იწყებს მხოლოდ XVII საუკუნედან ჩრდილოეთ ამერიკასა და ინდოეთში. ინგლისი მდიდრდება კოლონიებიდან ოქროსა და ვერცხლის გამოზიდვით, ყაჩაღური ვაჭრობითა და მეკობრეობით. ამ პერიოდის ინგლისის ცხოვრების წესის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს სახელგანთქმული მეკობრეების დრეიკისა და რეილის ბიოგრაფიები.



სერ ფრენსის დრეიკი (ინგ., Francis Drake) (1540-1596) ზღვაოსანი და კორსარი



სერ უოლტერ რეილი (ინგ., Sir Walter Raleigh) (1552-1618) ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, კარისკაცი, კორსარი და პოეტი

სერ ფრენსის დრეიკი (ინგ., Francis Drake) (1540-1596). ელისაბედ I ეპოქის დროინდელი ზღვაოსანი და კორსარი. პირველი ინგლისელი, რომელმაც (1577-1580) შემოუარა დედამიწას. ამ გმირობისათვის დედოფალმა მას უბოძა რაინდის ტიტული და ბაკლენდებ-ის მამული იელვერტონში. 1588 წელს გრაველინის საზღვაო ბრძოლაში გაანადგურა ესპანეთის "უძლეველი არმადა" (ესპ., "Grande y Felicísima Armada" "დიდი და ყველაზე ბედნიერი არმადა", უფრო ცნობილია, როგორც "უძლეველი", "Armada invencible"). (1586-1588) ესპანეთის მიერ, ინგლისის დასაპყრობად, შექმნილი ფლოტი (130 სახაზო გემი). არმადას ხემძღვანელობდა ალონსო პერეს დე გუსმანი, ჰერცოგი მედინა-სიდონია.

ფრენსის დრეიკი დაიბადა დევონშირის საგრაფოში, ფერმერის ოჯახში. მამამისი ედმუნდ დრეიკი შემდგომში გახდა მღვდელი. დრეიკების ოჯახი 1549 წელს საცხოვრებლად გადადის კენტის საგრაფოში. ფრენსისი 13 წლის ასაკში მეზღვაურია, ხოლო 20 წლისა უკვე გემის კაპიტანი ხდება. 1567 წელს მონაწილეობს ჯონ ჰოკინსის ექსპედიციაში გვინეასა და ვესტ-ინდოეთში, რომლის დროსაც ინგლისელების გემებს თავს დაესხნენ ესპანელები. გაჩაღებულ ბრძოლაში გადარჩა მხოლოდ დრეიკის ხომალდი, დანარჩენები ჩაძირეს.

1572 წელს ფრენსის დრეიკმა მოაწყო საკუთარი ექსპედიცია ვესტ-ინდოეთის ესპანურ სამფლობელოებში. შთამბეჭდავეია ამ ექსპედიციის შედეგები: დრეიკმა ხელში ჩაიგდო და გაძარცვა ქალაქი ნომბრე დე დიასი (პანამის ყელი), კარტახენას ყურეში ხელში ჩაიგდო გემები, გაძარცვა და გადაწვა ქალაქი პორტობელო, ხელში ჩაიგდო ესპანელების "ვერცხლის ქარავანი" (30 ტონა ვერცხლი). 1573 წლის 9 აგვისტოს ფრენსის დრეიკი ტრიუმფით დაბრუნდა პლიმუტში.

1577 წელს დედოფლის ბრძანებით ფრენსის დრეიკი სათავეში უდგება ექსპედიციას, რომლის მიზანიც იყო ამრიკის წყნარი ოკეანის სანაპიროების შესწავლა და ახალი მიწების აღმოჩენა. ექსპედიციაში იყო ხუთი გემი. დრეიკი

მეთაურობდა 100 ტონიან ფლაგმანს "პელიკანს". დრეიკმა შემოუარა ცეცხლოვან მიწას და შევიდა წყნარ ოკეანეში. (სრუტე ცეცხლოვან მიწასა და ანტარქტიდას შორის ატარებს მის სახელს). წყნარ ოკეანეში დრეიკმა დაარბია ესპანელთა პორტები, მათ შორის ვალპარაისო. 1579 წლის 17 ივნისს დრეიკი გადმოსხდა სან-ფრანცისკოს რაიონში (სხვა ვერსიის თანახმად ორეგონში) და გამოაცხადა ის ინგლისის ტერიტორიად ("ახალი ალბიონი"). რემონტისა და სურსათ-სანოვაგის მარაგის შევსების შემდეგ დრეიკმა გადალახა წყნარი ოკეანე და მიადგა მოლუკების კუნძულებს, შემოუარა აფრიკას და 1580 წლის სექტემბერში დაბრუნდა ინგლისში.

სერ უოლტერ რეილი (ინგ., Sir Walter Raleigh) (1552-1618). ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, კარისკაცი, კორსარი და პოეტი. სახელი გაითქვა ესპანეთის ფლოტზე კორსარული თავდასხმებით, რისთვისაც ელისაბედ I მას, 1585 წელს, მიანიჭა რაინდის ტიტული. (ლეგენდის თანახმად, უოლტერ რეილიმ, სამეფო ეტლისაკენ მიმავალ გზაზე დედოფალს წუმპეში ფეხი რომ არ დაესვარა, თავისი უძვირფასესი მოსასხამი დაუფინა ფეხქვეშ).

1584 წელს რეილიმ დააარსა პირველი ინგლისური კოლონია ამერიკაში, მდინარე როანოკზე, და დაარქვა მას ვირჯინია (დღეს ეს ტერიტორია არის ჩრდილოეთ კაროლინაში). აქ დაიბადა პირველი ინგლისელი ბავშვი ამერიკაში, ვირჯინია დერი.

უზარმაზარი მოგება მოჰქონდა მონებით ვაჭრობას, რაშიც ინგლისმა პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში. (ყველა რჯულის მონათმფლობელების მიერ მარტო აფრიკის კონტინენტიდან XVII-XIX საუკუნეებში ამერიკაში მონად გაყიდეს დაახლოებით 10 მილიონი ადამიანი, რომელთაგანაც ათასობით ადამიანი ტრანსპორტირების დროს დაიღუპა. ამერიკელმა მწერალმა ალექს ჰალემ წიგნში Roots (ფესვები), და 1977 წელს გამოსულ მის ტელევერსიაში, ხატოვნად აჩვენა ეს საშინელი ტრაგედია).

ესპანეთისა და პორტუგალიისაგან განსხვავებით ინგლისი არ პარაზიტირებდა ნაძარცვი ქონების ხარჯზე. მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯებოდა მრეწველობის განვითარებაზე, განსაკუთრებით მაუდის წარმოებასა და გემთმშენებლობაზე. XVII საუკუნეში ინგლისის ექსპორტის 90% შეადგენდა მაუდი და მატყლი.



ელისაბედ I ტიუდორი (ინგ., Elisabeth I) (1533-1603)
ინგლისისა და ირლანდიის დედოფალი



ელისაბედის I ავტოგრაფი

ელისაბედის მეფობის პერიოდში, რომელიც ქვეყანას მართავდა 45 წლის განმავლობაში, აშენდა ყველაზე დიდი სამხედრო ფლოტი. მაგრამ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მწვავდებოდა დაპირისპირება საუკუნოვან ტრადიციებსა და ახალ რეალობებს შორის.

ინგლისში პოლიტიკურ ხელისუფლებას ფეოდალური არისტოკრატია ფლობდა. ძალაუფლება კონცენტრირებული იყო მეფის ხელში, რომელსაც მიაჩნდა, რომ ხელისუფლება მას ღმერთმა მიანიჭა და არანაირი მიწიერი კანონებით არ შეიძლება მისი შეზღუდვა. მაგრამ ინგლისში მეფის ხელისუფლება პარლამენტით იზღუდებოდა, კერძოდ მეფე პარლამენტის სანქციის გარეშე ვერ აჰკრეფდა გადასახადებს. პარლამენტი უკმაყოფილო იყო აგრეთვე მეფის ეკონომიკური პოლიტიკით. მეფესა და პარლამენტს შორის ურთიერთობის გამწვავება მიმდინარეობდა საზოგადოებაში **პურიტანიზმის** იდეების გავრცელების ფონზე (პურიტანებს უნდოდათ ინგლისის ეკლესიის გაწმენდა ყოველივე იმისაგან, რაც შემორჩა კათოლიკური ეკლესიისაგან: ეპისკოპოსების ხელისუფლება, მღვდელმსახურების მდიდრული სამოსელი, საზეიმო ღვთისმსახურება და სხვა). ეს იყო უკვე მომხდარი რეფორმაციის თავისებური რეფორმაციის მცდელობა.

1603 წელს გარდაიცვალა ინგლისის დედოფალი ელისაბედი, რომელმაც სამწუხაროდ, არ დატოვა პირდაპირი მემკვიდრე. ტახტზე ავიდა მარიამ სტიუარტის ვაჟი იაკობ I. მისი მმართველობის წლები (1603-1625 წწ.) აღინიშნება მუდმივი კონფლიქტებით პარლამენტთან.




**ჩარლზ I სტიუარტი (ინგ., Charles I) (1600-1649)**
**ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის მეფე**

იაკობის სიკვდილის შემდეგ მისი პოლიტიკა გააგრძელა მისმა ვაჟმა ჩარლზ I-მა. ახალი მეფით უკმაყოფილება გაიზარდა, როდესაც მან ცოლად მოიყვანა საფრანგეთის მეფის ჰენრი IV ქალიშვილი პრინცესა ჰენრიეტა-მარია, (კათოლიკე) და დაიწყო კათოლიკებისადმი სიმპატიების გამომჟღავნება. კონფლიქტი უკიდურესად გამწვავდა, როდესაც მეფემ მოსთხოვა პარლამენტს სახსრების გამოყოფა, რათა ინგლისს მონაწილეობა მიეღო ოცდაათწლიან ომში. პასუხად პარლამენტმა მეფეს მიართვა ბილი უფლებების შესახებ, რომელშიც მოითხოვდა პარლამენტის პატივისცემას და ყველა ინგლისელის პირადი თავისუფლების უფლების დაცვას. მეფემ, მართალია ხელი მოაწერა ბილს, მაგრამ სულ მალე დაითხოვა პარლამენტი და 11 წლის განმავლობაში ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანას. გაძლიერდა პურიტანების დევნა, ახალი თავადაზნაურობა (ჯენტრი) ჩამოაცილეს სახელმწიფო საქმეებს, კრიზისი დაიწყო მრეწველობასა და ვაჭრობაში, გაძლიერდა ემიგრაცია.

რევოლუციას დასაბამი მისცა ინგლისის მიერ შოტლანდიისათვის გამოცხადებულმა ომმა. შოტლანდიელების, რომელთა უმრავლესობა პურიტანები იყვნენ, უკმაყოფილება გამოიწვია მცდელობამ შემოეღოთ შოტლანდიაში ღვთის მსახურება ანგლიკანური წესის მიხედვით. მეფე იძულებული გახდა ორჯერ ზედიზედ მოეწვია პარლამენტი, ომისათვის საჭირო სახსრების მოსაძიებლად. მეორე მოწვევის პარლამენტი 12 წელი არ დაშლილა. იგი მოითხოვდა მეფის ხელისუფლების შეზღუდვას, რასაც მეფე არ თანხმდებოდა. იგი გაემგზავრა

ჩრდილოეთ ინგლისში პარლამენტის წინააღმდეგ ჯარის შესაგროვებლად. ასე დაიწყო პირველი სამოქალაქო ომი (1642-1646).



ოლივერ კრომველი (ინგ., Oliver Cromwell) (1599-1658)
ინგლისის რევოლუციის ბელადი, მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე

ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ხანგრძლივი პარლამენტის მომხრე მრგვალთავიანები (ისინი ატარებდნენ მრგვალად შეკრეჭილ თმებს) და მეფის მომხრე როიალისტები ანუ კავალერები (უმრავლესობას შეადგენდნენ არისტოკრატები). თავდაპირველად სამხედრო ფორტუნა მეფის მხარეზე იყო, მაგრამ როდესაც მრგვალთავიანებს სათავეში ჩაუდგა ოლივერ კრომველი, ომის ბედი სხვანაირად დატრიალდა. მეფის არმია განადგურებული იქნა ორ ძირითად ბრძოლაში ნეიზბისთან (1645) და პრესტონთან (1648) გამარჯვებულებმა 1649 წელს სიკვდილით დასაჯეს მეფე, გააუქმეს მონარქია, ლორდთა პალატა და ინგლისი გამოაცხადეს რესპუბლიკად.

პოლიტიკური ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ინდეპენდენტებმა, რომლებიც გამოხატავდნენ ახალი თავადაზნაურობისა და რადიკალური ბურჟუაზიის ინტერესებს. გარკვეული გავლენით სარგებლობდნენ ლეველერები (ქალაქის წვრილი მესაკუთრეები) და დიგერები (ქალაქისა და სოფლის ღარიბი ფენა). ორივე ეს მოძრაობა განადგურებული იქნა და 1653 წელს ინგლისში დამყარდა ოლივერ კრომველის სამხედრო დიქტატურა, პროტექტორატი. ინგლისის პროტექტორის ძალაუფება უფრო მეტი იყო, ვიდრე მეფის ძალაუფლება რევოლუციამდე. კრომველის გარდაცვალების შემდეგ 1660 წელს მოხდა მონარქიის რესტავრაცია. ახალმა მეფემ ჩარლზ II აღიარა ახალი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ყველა პრივილეგია. 1688-1689 წლებში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. ინგლისის სამეფო გვირგვინი გადასცეს უილიამ ორანელს, ჰოლანდიის პროტესტანტ სტატჰაუდერს (ნიდ., Stadhouder-მმართველს).



უილიამ III, ორანის პრინცი (ნიდ., Willem III, Prins van Oranje) (1650-1702)
ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის მეფე (1689)

ასე დასრულდა ინგლისის რევოლუციასთან დაკავშირებული მოვლენების მთელი რიგი: დამყარდა კონსტიტუციური მონარქია, გამოცხადდა ვაჭრობისა და მეწარმეობის თავისუფლება, რიგი პოლიტიკური უფლებები. ინგლისში დაიწყო სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესი. მოდერნიზაციის პროცესი სწრაფად ვითარდებოდა ეკონომიკაშიც, რომელიც დასრულდა XVIII საუკუნის სამრეწველო გადატრიალებით და ინგლისმა ერთხელ და სამუდამოდ დახურა თავისთვის რევოლუციების თემა და გადაულოცა ის საფრანგეთს.

XVIII საუკუნე გახდა საფრანგეთის საუკუნე, სადაც 1788-1789 წლებში უკიდურესობამდე დაიძაბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია. გაძლიერდა კრიზისი, რომელმაც მოიცვა მრეწველობა, ვაჭრობა. კრიზისის გაძლიერებას იწვევდა 1788 წლის მოუსავლიანობა, სახელმწიფო ხაზინის გაბანკროტება, ლუი XIV-ს მფლანგველობა.

ძირითადი მიზეზი კი მდგომარეობდა შემდეგში: არსებული წესებით გამოწვეული უკმაყოფილება, რომელმაც მოიცვა მთელი ქვეყანა. უკმაყოფილების სიღრმისეული მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ არსებული ფეოდალურ-აბსოლუტური სისტემა აღარ შეესაბამებოდა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მოთხოვნილებებს. მოსახლეობის 99% შეადგენდა მესამე წოდება, ხოლო 1%-ს კი პრივილეგირებული სამღვდელოება და თავადაზნაურობა. მესამე წოდებაში შედიოდნენ: ბურჟუაზია, გლეხობა, ქალაქის მუშები, ხელოსნები, ღატაკები. მათ აერთიანებდათ პოლიტიკური უფლებების უქონლობა და საზოგადოებრივი ცვლილებების სურვილი.

არსებული სიტუაციის განმუხტვის მიზნით მეფემ მოიწვია გენერალური შტატები, რომელიც უკანასკნელი 175 წლის განმავლობაში არავის მოუწვევია. მესამე წოდების წარმომადგენლებმა 17 ივნისს თავისი თავი გამოაცხადა ეროვნულ კრებად, ხოლო 9 ივლისს კი დამფუძნებელ კრებად. მეფემ არ სცნო ეს გადაწყვეტილება და დაიწყო ვერსალსა და პარიზში ჯარების თავმოყრა, მაგარამ პროცესის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. 14 ივლისს აჯანყებულებმა გაანთავისუფლეს ბასტილიის ტუსაღები. დაიწყო საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რადიკალური ბურჟუაზია. ორი კვირის განმავლობაში საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე დამხობილ იქნა ძველი წყობილება. 26 აგვისტოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია.



**ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია (ფრ., *Déclaration des Droits de l'Homme et du Citoyen*). მიღებული იქნა 1789 წლის 26 აგვისტოს**

გამოცხადდა პიროვნების თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, უსაფრთხოებისა და ჩაგვრისადმი წინააღმდეგობის გაწევის უფლება. საკუთრების უფლება გამოცხადებული იქნა წმიდათაწმიდა უფლებად, მოხდა საეკლესიო საკუთრების ნაციონალიზაცია, განადგურებული იქნა წოდებრივი დაყოფა, გაუქმებული იქნა საერო და საეკლესიო ტიტულები, გაუქმდა ფეოდალური ვალდებულებები და ამქრობები, გამოცხადდა მეწარმეობის თავისუფლება და ახალი ადმინისტრაციული დაყოფა (საფრანგეთი დაიყო 83 დეპარტამენტად).




საფრანგეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1789 წ. შემდეგ

საფრანგეთის რევოლუციაში შეიძლება გამოიყოს სამი ეტაპი:

– 1789 წლის 14 ივლისიდან 1792 წლის 10 აგვისტომდე. (ძალაუფლება ხელში ჩაიგდო მსხვილმა ბურჟუაზიამ და თავადაზნაურობამ. 1791 წლის სექტემბერში ლუი XVI ამტკიცებს ახალ კონსტიტუციას, მყარდება კონსტიტუციური მონარქია. დამფუძნებელი კრება წყვეტს თავის საქმიანობას და ადგილს უთმობს საკანონმდებლო კრებას. ლოზუნგით სამშობლო საფრთხეშია! საფრანგეთმა დაიწყო ომი ავსტრიისა და პრუსიის წინააღმდეგ).

– 1792 წლის 10 აგვისტოდან 1793 წლის 2 ივნისამდე (პარიზის კომუნის ხელმძღვანელობით) დაიწყო სახალხო აჯანყება. დაიხურა მონარქისტული გაზეთები, გაუქმდა ქონებრივი ცენზი, 21 წელს მიღწეულმა ყველა მამაკაცმა მიიღო საარჩევნო ხმის უფლება. საკანონმდებლო კრება იღებს გადაწყვეტილებას: ჩამოერთვას მეფეს ხელისუფლება და მოწვეული იქნას ეროვნული კრება (კონვენტი). ფაქტიურად 1792 წლის 11 აგვისტოს საფრანგეთში მოხდა მონარქიის ლიკვიდაცია.

სექტემბერში მუშაობა დაიწყო კონვენტმა. რევოლუციის პოლიტიკური ხელმძღვანელობა გადადის მემარჯვენეების ანუ ჟირონდისტების ხელში, რომლებიც წარმოადგენდნენ სავაჭრო-სამრეწველო და სამიწათმოქმედო ბურჟუაზიის ინტერესებს (ბრისო, ვერნიო, კონდორსე) და შეადგენდნენ კონვენტის უმრავლესობას. მათ უპირისპირდებოდნენ იაკობინელები ანუ მემარცხენეები. ისინი გამოხატავდნენ ბურჟუაზიის დემოკრატიული ფენების ინტერესებს (რობესპიერი, დანტონი, მარატი). მიუხედავად შინაგანი წინააღმდეგობისა კონვენტმა მიიღო ორი დადგენილება საკუთრების ხელშეუხებლობისა და მონარქიის გაუქმების შესახებ. 1792 წლის 21 სექტემბერს საფრანგეთი

გამოცხადდა რესპუბლიკად, რომლის დევიზიც გახდა: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა (ფრ., **Liberté, Égalité, Fraternité**)



ლუი XVI ბურბონი (ფრ., Louis XVI)
(1754-1793) საფრანგეთის მეფე



მარია-ანტუანეტა (ფრ., Marie-Antoinette)
(1755-1793) საფრანგეთის დედოფალი

1793 წლის 21 იანვარს რევოლუციის მოედანზე კონვენტის განაჩენის საფუძველზე გილიოტინით თავი მოჰკვეთეს ლუი კაპეტს (ლუი XVI), ხოლო ოქტომბერში კი დედოფალ მარია ანტუანეტას.

– 1793 წლის 2 ივნისიდან 1794 წლის 18 ივლისამდე. დამყარდა იაკობინელთა დიქტატურა. კონვენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია, სადაც საფრანგეთი გამოცხადდა რესპუბლიკად. რეორგანიზებული იქნა არმია, რამაც მრავალწილად განაპირობა ფრანგების გამარჯვება პრუსიასა და ავსტრიასთან მიმდინარე ომში. გაძლიერდა წინააღმდეგობა თვით იაკობინელთა რიგებში. ქვეყანა დაიღალა იაკობინური ტერორით. 1794 წლის 27 ივლისს მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. რობესპიერმა და მისმა მომხრეებმა გილიოტინაზე დაასრულეს თავისი სიცოცხლე. 1795 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც ძალაუფლება გადაეცა ხუთასის საბჭოს დირექტორიასა და უხუცესთა საბჭოს. ამ უკანასკნელმა არმიის მთავარსარდლად დანიშნა ბრიგადის გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტე.





**ნაპოლეონ I ბონაპარტე (ფრ., Napoléon I Bonaparte) (1776-1821) საფრანგეთის რევოლუციური არმიის გენერალი, საფრანგეთის რესპუბლიკის პირველი კონსული, საფრანგეთის იმპერატორი 1804-1815 წლებში**

ფრანგული ბურჟუაზიის ფულით ხელისუფლებაში მოსული ნაპოლეონი შეეცადა მსოფლიო ჰეგემონიის დამყარებას. იგი ცდილობდა გადაექცია საფრანგეთი ოკეანური გეოპოლიტიკური ბლოკის ბირთვად. იმპერატორმა სცადა ინგლისის განადგურება, კონტინენტალური ბლოკადის მეოხებით, მაგრამ უშედეგოდ. ჩამოყალიბდა ანტიფრანგული კოალიცია: დიდი ბრიტანეთი, პრუსია, ავსტრია, რუსეთი. კოალიციის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად ნაპოლეონმა

გამანადგურებელი მარცხი განიცადა. 1814 წლის 1 მარტის შომონის ტრაქტატით საფუძველი ჩაეყარა ევროპის ომისშემდგომი მოწყობის პრინციპებს, რომლებიც დაფიქსირებული იქნა ვენის კონგრესზე 1814-1815 წლებში. ვენის კონგრესმა ჩამოაყალიბა კაცობრიობის ისტორიაში საერთაშორისო ურთიერთობების პირველი მდგრადი სისტემა – ევროპული კონცერტი.



ევროპული კონცერტის შემოქმედები

**P.S.**



იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე (გერ., Johann Wolfgang von Goethe) (1749-1832) გერმანელი პოეტი და მოაზროვნე

”Nur mit zwei Schiffen ging es fort,
Mit zwanzig sind wir nun im Port.
Was große Dinge wir getan,
Das sieht man unsrer Ladung an.
Das freie Meer befreit den Geist,
Wer weiß da, was Besinnen heißt!
Da fördert nur ein rascher Griff,
Man fängt den Fisch, man fängt ein Schiff,
Und ist man erst der Herr zu drei,
Dann hakelt man das vierte bei;
Da geht es denn dem fünften schlecht,
Man hat Gewalt, so hat man Recht.
Man fragt ums Was,
und nicht ums Wie.
Ich müsste keine Schiffahrt kennen:
Krieg, Handel und Piraterie,
Dreieinig sind sie, nicht zu trennen”.

Johann Wolfgang von Goethe.

## თავი III
## გეოპოლტიკური ეპოქები

«ადამიანი უკვდავია, სულის ცხონება მას წინ ელოდება. სახელმწიფოს კი უკვდავება არ გააჩნია. იგი შეიძლება გადარჩეს ან ეხლა, ან არასოდეს».

კარდინალი რიშელიე

გეოპოლიტიკის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ყოვლისმომცველი სფეროს შემეცნებისათვის აუცილებელია განვიხილოთ ისტორიული გამოცდილების საკითხი. ისტორიული გამოცდილება წარმოადგენს თანამედროვე სოციალური გამოცდილების საფუძველს, განსაკუთრებით კი პოლიტიკურის, რადგანაც პოლიტიკის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მისი ისტორიულობა.

გეოპოლიტიკური ცნობიერება წარმოუდგენელია ისტორიული გამოცდილების ფართო გამოყენების გარეშე. ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში ძალაუფლების მრავალი სტრუქტურა, ძალაუფლებრივ ურთიერთობათა დაწერილი და დაუწერელი კანონები ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს ისტორიული გამოცდილების ბაზაზე, რადგანაც წარსული თავის პრაქტიკაში შეიცავს პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და მოქმედების ამა თუ იმ ნორმებს, ეტალონებს და იდეალებს.

ისტორიულ-პოლიტიკური გამოცდილება შეადგენს პოლიტიკური ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის ემპირიულ საფუძველს, რადგანაც იგი გულისხმობს საზოგადოებაში მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობებს.

გეოპოლიტიკურ შემეცნებასთან მიმართებაში წარსულის გამოცდილება ასრულებს სამივე ფუნქციას. იგი წარმოადგენს გეოპოლიტიკური შემეცნების საფუძველს, კრიტერიუმსა და მიზანს.

კაცობრიობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ერთმანეთის თანამიმდევრულად ცვლად ძალოვან ველებს ანუ გეოპოლიტიკურ ეპოქებს. თითოეულ გეოპოლიტიკურ ეპოქას გაჩნია თავისი ძალთა ბალანსი, გავლენის არეალები, საზღვრები.

ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული გამოცდილება საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ გეოპოლიტიკური ეპოქის ანუ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

1. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა არის მსოფლიო განვითარების პროდუქტი. იგი წარმოიშვება ქვეყნებსა და ხალხებს შორის მუდმივი და მდგრადი ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბების შედეგად;
2. სისტემა ამავდროულად არ დაიყვანება ამ ურთიერთკავშირების ერთობლიობაზე; მას გააჩნია საკუთარი ხარისხობრივი მახასიათებლები და გარკვეულ ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების საერთო განვითარებაზე;
3. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ძირითად ღერძს წარმოადგენენ დიდი სახელმწიფოები, რომლებიც აწესებენ მოცემულ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში "თამაშის წესების" წერილობით (საერთაშორისო სამართალი) და დაუწერელ ნორმებს, რომლებიც ფაქტიურად აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების ყველა სუბიექტისათვის;
4. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა გარკვეულ წილად წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების მოღვაწეობის

რეგულატორს. მის მიერ გარანტირებულია საერთაშორისო ცხოვრების ნაწილობრივი სტაბილურობა.

5. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა ვეღარ ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობების რეგულატორისა და საერთაშორისო სტაბილურობის გარანტის ფუნქციას იმ შემთხვევებში, როდესაც წესები, რომელთა საფუძვეზეც არის დაფუძნებული მოცემული სისტემა, წინააღმდეგობაში მოდიან ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების ლიდერების ინტერესებთან;
6. უკვე ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის დაშლა წარმოადგენს დიდი სახელმწიფოების – "სტატუს კვოსა" და "რევიზიონიზმის" მომხრეების – დაპირისპირების შედეგს, რამეთუ "რევიზიონისტები" თავს შევიწროვებულად გრძნობენ ამ სისტემის მიერ დაწესებული ნორმებითა და წესებით;
7. როგორც წესი, ერთი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის მსხვრევას და ახალი სისტემის ჩამოყალიბებას თან ახლავს მსოფლიოში გავლენისათვის ბრძოლის ახალი რაუნდი;
8. ვერანაირი ზნეობრივი, სამართლებრივი ან იდეოლოგიური შეზღუდვები ვერ გახდებიან დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური მიზნების განხორციელების დამამუხრუჭებელი ხუნდები თუკი ისინი გრძნობენ საფრთხეს საკუთარი უსაფრთხოების ან უმნიშვნელოვანესი ეროვნული ინტერესებისათვის.

მსოფლიოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალ ისტორიას, რამეთუ სწორედ ამ პერიოდში ევროპის ისტორია იძენს მსოფლიო ისტორიის ხასიათს, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავენ XVII-ს.-სა და XX საუკუნის დასაწყისს, პირველ მსოფლიო ომამდე. ამ დროს იწყება რადიკალური ცვლილებები ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში. პირველად კაცობრიობის ისტორიაში მსოფლიო პოლიტიკა გახდა ჭეშმარიტად მსოფლიო (ყველა ქვეყნები და ხალხები ჩაებნენ საერთაშორისო ურთიერთობებში, ამ ურთიერთობების ობიექტების ან სუბიექტების სახით).

ევროპაში ძალის მთავარი ცენტრები გახდნენ ესპანეთი, პორტუგალია, ჰოლანდია, ხოლო ცოტა მოგვიანებით მსოფლიოს გადანაწილებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ინგლისი, საფრანგეთი და შვეცია. ამ პერიოდში აღმოცენებული ეროვნული სახელმწიფოები საკუთარი ქვეყნის საზღვრებს ადგენდნენ ენობრივი ნიშნისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული ზღუდეების მიხედვით. ამდაგვარმა მსოფლიო წესრიგმა, ჩამოყალიბებულმა გეოპოლიტიკურმა ველმა, იარსება თითქმის 150 წელი, საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციამდე. XVII საუკუნის მიწურულისათვის ჩაესვენა ესპანეთის, პორტუგალიის, ჰოლანდიისა და შვეციის დიდების მზე, ხოლო XVIII საუკუნის მიწურულისათვის – პოლონეთის (პოლონეთი, როგორც სუვერენული სახელმწიფო ორი საუკუნით საერთოდ გაქრა ევროპის პოლიტიკური რუქიდან). პოზიციები განიმტკიცეს საფრანგეთმა და ინგლისმა, ძალას იკრებდა პრუსია და რუსეთი.

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს საფუძველი ჩაეყარა ოცდაათწლიანი ომის შემდეგ, 1648 წელს საერთაშორისო ურთიერთობების ვესტფალიის სისტემით. ამ დროისათვის ევროპაში ძირითადად უკვე ჩამოყალიბდნენ ეროვნული სახელმწიფოები და სამყარო შევიდა თავისი განვითარების ახალ სტადიაში: იწყება სამრეწველო განვითარება და ფეოდალური დაქსაქსულობის ადგილს იკავებს მკაცრად ცენტრალიზებული დინასტიური ძალაუფლება. საგარეო პოლიტიკის სფეროდან ამოღებული იქნა იდეოლოგიური კომპონენტი. რელიგია აღარ წარმოადგენდა საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორს. ადგილს იმკვიდრებს ეროვნული ინტერესების ლოგიკაზე დაფუძნებული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა. დიპლომატიაში მოხდა ნამდვილი რევოლუცია და მთავარი რევოლუციონერის როლში ევროპას მოევლინა არმან ჟან დიუ პლესი, ჰერცოგი რიშელიე, საფრანგეთის სამეფოს პირველი მინისტრი. სწორედ მან დააყენა "სახელმწიფოებრივი ინტერესის" (მოგვიანებით "ეროვნული ინტერესის"), როგორც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი ორიენტირის საკითხი.




**არმან ჟან დიუ პლესი, ჰერცოგი რიშელიე (ფრ., Armand-Jean du Plessis, duc de Richelieu) (1585-1642) საფრანგეთის სამეფოს პირველი მინისტრი, კარდინალი**

მოხდა უპრეცენდენტო გარღვევა შუასაუკუნეობრივ ცნობიერებაში. ამ მომენტამდე დასავლეთ ევროპის მოსახლეობის მიერ სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთობა განიხილებოდა, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები, და არა როგორც სამოქალაქო სამართლის სფეროს ურთიერთობები. შუასაუკუნეების იურისტებსა და პოლიტიკოსებს (რომის იმპერიის იურიდიული სისტემის მემკვიდრეებს) მიაჩნდათ, რომ ერთადერთ სუვერენს წარმოადგენს საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი, ხოლო ერთადერთ სულიერ ლიდერს – რომის პაპი.





**ურბან VIII (ლათ., Urbanus PP. VIII) (1568-1644) ერისკაცობაში მაფეო ბარბერინი (იტალ., Maffeo Barberini) რომის 235-ე პაპი (1623-1644)**

კარდინალ რიშელიეს მირ გამოცხადებულმა პრინციპმა ყირაზე დააყენა ყველაფერი. მან მხარი დაუჭირა გერმანელ პროტესტანტ თავადებს ოცდაათწლიანი (1618-1648) ომის დროს, საკუთარი, უფრო სწორედ საფრანგეთის ინტერესებიდან გამომდინარე: რეინის მარცხენა სანაპიროზე გასვლა, რასაც იგი განიხილავდა საფრანგეთის ბუნებრივი საზღვრების (პირენეები, ვოგეზები, ალპები) კიდევ ერთ ბასტიონს. რიშელიესა და მის თანაშემწეებს მიაჩნდათ, რომ საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება სუსტი და დანაწევრებული გერმანია (სამი საუკუნის შემდეგ, 1990 წელს, როდესაც დადგა გერმანიის გაერთიანების საკითხი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა როლან დიუმამ განაცხადა: **"ჩვენ ისე გვიყვარს გერმანია, რომ გვინდა, ის ორი იყოს".).**



**ფრანსუა დიუ ტრამბლე, მამა ჟოზეფი (ფრ., François Leclerc du Tremblay, le père Joseph) (1577-1638)კაპუცინების ორდენის ბერი, ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, "რუხი კარდინალი" ("Eminence grise ").**

კარდინალ რიშელიესათვის და მისი თანამოაზრეებისათვის (მამა ჟოზეფი, კარდინალი მაზარინი, კოლბერი და სხვები) არ არსებობდა არც ნორმანდია, არც ბურგუნდია, არც გასკონია, არც შამპანი. მათთვის არ არსებობდა არც რომის საღვთო იმპერია და არც რომის პაპის კურია. მათთვის არსებობდა

მხოლოდ საფრანგეთი და მისი დიდებისათვის ისინი მზად იყვნენ ყველაფრისათვის.



**კარდინალი ჯულიო რაიმონდო მაზარინი (იტალ., Giulio Raimondo Maz(z)arino) (1602-1661) საფრანგეთის სამეფოს პირველი მინისტრი, კარდინალი.**

და ამის ყველაზე ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს უკვე აღნიშნული ფაქტი: კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი იერარქიის წარმომადგენლებმა (რიშელიე, მაზარინი, მამა ჟოზეფი) საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის, მისი სამოციქულო უდიდებულესობის ფერდინანდ II წინააღმდეგ მხარი დაუჭირეს "ღვთისგან გადმობილ ერეტიკოსებს"!!!

კარდინალ რიშელიეს პოლიტიკის შედეგები განამტკიცა ვესტფალიის სამშვიდობო ხელშეკრულებამ (1648) საფრანგეთმა მიიღო ელზასი, მეცი, ტული და ვერდენი. იმპერატორი იძულებული იყო ედიარებინა პროტესტანტული სათავადოების არსებობა გერმანიაში. საერთაშორისო ურთიერთობებში განმტკიცდა პრინციპი **cuius regia eius religio** – "ვისიც არის ხელისუფლება, იმისია რწმენა". ეს იყო სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პრინციპი, გადმოცემული რელიგიური ტერმინებით იმ პერიოდში გამეფებული უკიდურესი რელიგიური მსოფლმხედველობის გამო.



**ჟან-ბატისტ კოლბერი (ფრ., Jean-Baptiste Colbert) (1619-1683) ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე**

ნათქვამია "დრონი მეფობენ და არა მეფენიო" და საფრანგეთსაც დაუდგა მძიმე დღეები, ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომის (1701-1714) პერიოდში. უტრეხტის (1713) და რამშტადის (1714) სამშვიდობო ხელშეკრულებებმა დააფიქსირეს ძალათა ახალი თანაფარდობა ევროპაში. ბურბონებს ნება დართეს დარჩენილიყვნენ ესპანეთში, ოღონდ ერთი პირობით, საფრანგეთის მეფე იმავდროულად ვეღარ იქნებოდა ესპანეთის მეფე. გარდა ამისა, ესპანეთმა დაუთმო: ჰაბსბურგებს –ნეაპოლიტანიის სამეფო, სარდინია, ტოსკანის ნაწილი, მილანის საჰერცოგო და ესპანეთის ნიდერლანდები; ბრანდენბურგის ჰერცოგს – ესპანეთის ჰელდერნი; სავოიის ჰერცოგს –სიცილია; ინგლისს – გიბრალტარი და მინორკა. საფრანგეთმა გამოიყვანა თავისი ჯარები ლოთარინგიიდან, წავიდა ტერიტორიულ დათმობებზე ჰაბსბურგების სასარგებლოდ ნიდერლანდებში და დაუთმო თავისი კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისს. ამდაგვარად

საფრანგეთმა დაკარგა XVII საუკუნის პირველ ნახევარში დაპყრობილი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი და, ყველაზე მთავარი, უნარი დაემყარებინა საკუთარი ჰეგემონია ევროპაში.



**ლუი XIV დე ბურბონი, "მეფე მზე" (ფრ., Louis XIV Le Roi Soleil) (1638-1715) საფრანგეთისა და ნავარის მეფე**

XVII-XVIII საუკუნეებში ევროპაში გაჩნდა ახალი სოციალური ძალა – ბურჟუაზია. იგი გახდა უზარმაზარი კაპიტალის მფლობელი და შეუპოვრად მიისწრაფოდა პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ბურჟუაზიის ფულმა, ფაბრიკებსა და ქარხნებში წარმოებულმა დაბალფასიანმა პროდუქციამ დაამხეს ფეოდალური წყობილება საფრანგეთში და ხელისუფლების სათავეში მოიყვანეს ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელიც შეეცადა მსოფლიო ჰეგემონიის დამყარებას. ნაპოლეონი ცდილობდა გადაექცია საფარანგეთი ოკეანური გეოპოლიტიკური ბლოკის ცენტრად, მაგრამ ამაოდ დაშვრა. მან ვერ შესძლო ინგლისის მოგუდვა სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა მეთოდების მეოხებით. შეიქმნა მძლავრი ანტიფრანგული ბლოკი და ნაპოლეონი სასტიკად დამარცხდა. უძლეველი ფრანგული არმია დამარცხებული იქნა ბრიტანული კომერციული კრედიტის, ბრიტანული სავაჭრო ფლოტისა და ბრიტანული სამხედრო ფლოტის მეოხებით.



**არმან ჟან დიუ პლესი, ჰერცოგი რიშელიე (ფრ., Armand-Jean du Plessis, duc de Richelieu) (1585-1642) საფრანგეთის სამეფოს პირველი მინისტრი, კარდინალი. ვესტფალიის სისტემის ჭეშმარიტი შემოქმედი**

ურბან VIII, როდესაც გაიგო რიშელიეს გარდაცვალების შესახებ, ვითომ უთქვამს: "თუ ღმერთი არსებობს . მის წინაშე კარდინალ რიშელიეს ბევრ რამეზე მოუწევს პასუხის გება. თუ არა. რას იზამ, მან ცხოვრება მარჯვედ განვლო!"

## ვენის სისტემა ანუ ევროპული კონცერტი (1815-1918)

გეოპოლიტიკური ძალების ახალ განლაგებას დასაბამი დაუდო ვენის კონგრესმა (1814-1815). იწყება საერთაშორისო ურთიერთობების ვენის სისტემის ეპოქა ანუ ევროპული კონცერტი.



ევროპა ვენის კონგრესის შემდეგ

გეოპოლიტიკურ ძალთა ახალი განაწილების საფუძველი გახდა გეოგრაფიული სივრცის კონტროლის იმპერიული პრინციპი. ახალი საერთაშორისო წესრიგის მთავარი ელემენტები გახდნენ ევროპული წონასწორობის პრინციპი, ესპანური მემკვიდრეობისათვის წარმოებული ომის მთავარი შედეგი, და XVIII საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებული ყველაზე ძლიერი სახელმწიფოების მდგრადი ჯგუფი, ანუ ეგრეთ წოდებული დიდი სახელმწიფოები. მსოფლიოს ძალის ცენტრები გახდნენ დიდი ბრიტანეთის კოლონიალური იმპერია (მსგავსი სტატუსი გამოცხადებული იქნა 1876 წელს), გერმანიის იმპერია (1871 წლიდან), საფრანგეთის კოლონიალური იმპერია (თუმცა საფრანგეთი რესპუბლიკად რჩებოდა), ავსტრია-უნგრეთის და რუსეთის იმპერიები. 1877 წელს თურქეთის სულთანმა მიიღო "ოსმალთა იმპერატორის" ტიტული. თურქეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მახლობელ აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში.

XIX საუკუნის შუა პერიოდამდე ევროპაში დომინირებული მდგომარეობა ეკავა რუსეთს. სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა ყირიმის ომის (1853-1856) დროს, როდესაც რუსეთის წინააღმდეგ გამოვიდა ფაქტიურად მთელი ევროპა. ეს იყო კანონზომიერი გეოპოლიტიკური გათვლა, ვინაიდან ბალტიისა და შავი ზღვა ფაქტიურად გადაიქცეოდა რუსეთის შიდა ტბებად და ორი წამყვანი გეოპოლიტიკური რეგიონის, ატლანტიისა და ხმელთაშუა ზღვის გასაღები რუსეთს ექნებოდა ჯიბეში ჩადებული. ამ ომში დამარცხების შემდეგ სახეცვლილებას განიცდის ვენის სისტემა. დაიშალა "წმინდა კავშირი" (რუსეთის, ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის იმპერატორების გაერთიანება).

ბოლო მოეღო რუსეთის დომინირებას ევროპაში. რუსეთი იწყებს ევროპულ გეოპოლიტიკურ ველში ბალანსირების პოლიტიკის გატარებას. ხან პრუსიას უჭერს მხარს საფრანგეთის წინააღმდეგ, ხან საფრანგეთს – გერმანიის წინააღმდეგ. მსგავსმა პოლიტიკამ უფრო მეტი შედეგები მოუტანა რუსეთს, ვიდრე აშკარა ჰეგემონისტურმა პოლიტიკამ. 70-იანი წლების ბოლოს რუსეთი, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, უმოკლეს დროში ანადგურებს თურქეთის არმიას, არა მარტო ანთავისუფლებს ბულგარეთს, არამედ გენერალ სკობელევის მეთაურობით ფაქტიურად იღებს სტამბოლს, მაგრამ ევროპის წამყვანი სახელმწიფოები, გეოპოლიტიკური კეთილგონიერებიდან გამომდინარე, კვლავაც არ აძლევენ რუსეთს საშუალებას ხელში ჩაიგდოს სრუტეები. ყოველივე ეს კი

მანიშნებელი იყო იმის, რომ მართალია რუსეთი ჯერ კიდევ რჩებოდა დიდ სახელმწიფოთა ელიტარული კლუბის წევრად, მაგრამ ის უკვე აღარ იყო სახელმწიფო-ლიდერი, ანუ ჰეგემონი.




ალექსანდრე II რომანოვი (რუს., Александр II Романов) (1818-1881)
რუსეთის იმპერატორი (1855-1881)

საერთაშორისო ურთიერთობებთან მიმართებაში ჰეგემონიის კონცეფციის თანახმად (ჰეგემონიის კონცეფცია შემუშავებული იყო საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაჩინო წარმომადგენლების რ. კოჰეინის, რ. გილპინის, ო. ჰოლსტის, ჯ. იკენბერის მიერ), სწორედ ჰეგემონი სახელმწიფო განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურას, რამეთუ წინ უსწრებს სხვა დიდ სახელმწიფოებს თავისი სამხედრო, ეკონომიკური და ტექნოლოგიური სიძლიერის პარამეტრების მიხედვით. აღსანიშნავია ერთი გარემოება, ჰეგემონი არ ნიშნავს თავკერძა დესპოტს, რომელიც ძალით ახვევს თავს თავის ნებას სხვა სახელმწიფოებს. ჰეგემონის მიერ დამყარებული წესრიგი ხელსაყრელი ან თუნდაც მისაღები უნდა იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა წევრებისათვის და მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა უმრავლესობის მზადყოფნა შეურიგდეს ჰეგემონის მიერ დამყარებულ საერთაშორისო რეჟიმს, აძლევს ჰეგემონს საშუალებას შეინარჩუნოს მსოფლიო არენაზე ლიდერის პოზიცია.




ვიქტორია (ინგ., Victoria) (1819-1901) დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალი (1837) ინდოეთის იმპერატორი (1876) ჰანოვერის დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი

აღნიშნული დებულების ყველაზე კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის მაგალითი. აღნიშნულ ეპოქაში დიდი ბრიტანეთის იმპერია, იყო "იმპერია, რომლის თავზეც მზე არასოდეს არ ჩადიოდა", "ზღვათა მპყრობელი", "მსოფლიოს სახელოსნო" და მარტო ეს ეპიტეტებია საკმარისი იმის გასააზრებლად, თუ რა სტატუსი ჰქონდა დიდ ბრიტანეთს. მსოფლიოში უძლიერესი ბრიტანული ფლოტი და ეკონომიკა საშუალებას აძლევდა მას დაეჩოქებინა ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც გაბედავდა ევროპული წონასწორობის დარღვევას, იქნებოდა ეს ნაპოლეონისეული საფრანგეთი, ნიკოლოზისეული რუსეთი, თუ კაიზერისეული გერმანია. დიდი ბრიტანეთის

ჰეგემონისტული ფუნქცია არა მარტო აღნიშნული წონასწორობის შენარჩუნებაში მდგომარეობდა. უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბრიტანულ ვაჭრობას, მრეწველობასა და ფინანსებს მსოფლიო ეკონომიკის წინსვლისათვის. სწორედ "ევროპული კონცერტის" დროს ჩამოყალიბდა მსოფლიო ბაზარი (ჯერ სასაქონლო, ხოლო შემდეგ კაპიტალის) და ინგლისმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის ჩამოყალიბებაში. ლონდონს შეეძლო თავი არ შეეწუხებინა მსოფლიოს საქმეებში ლიდერის სტატუსის შელახვაზე იმ დრომდე, ვიდრე სამრეწველო რევოლუციაში წამყვანი პოზიციები ეკავათ ბრიტანულ სამრეწველო სტანდარტებს და საერთაშორისო ანგარიშსწორების ძირითად საშუალებად იქნებოდა ბრიტანული ფუნტი. ამ დროსაც არ დაუხანებია, როდესაც პირველი მსოფლიო ომის წლებში მსოფლიო ფინანსურმა ცენტრმა ლონდონიდან გადაინაცვლა ნიუ-იორკში.

ჩრდილოეთ ამერიკის ეკონომიკის ისტორიული განვითარების ფესვები მიდის XVI-XVIII საუკუნეების ევროპელი ემიგრანტების სამეურნეო საქმიანობიდან. ამ დრომდე ამერიკის კონტინენტზე სახლობდნენ აბორიგენული ტომები. კოლუმბის მიერ ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის შემდეგ აქ დაიწყო ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებიდან მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია და ამერიკის მიწების კოლონიზაცია. თავდაპირველად გავრცელებული იყო ეგრეთ წოდებული ჩარტერული კომპანიები, რაც ნიშნავდა ამა თუ იმ მეწარმისათვის მეფის მიერ სიგელის (ჩარტერის) მინიჭებას საქმიანობის დასაწყებად, და ამ ჩარტერის მიხედვით მათ ეძლეოდათ არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი უფლებებიც. მაგრამ არამომგებიანობის გამო ინგლისელმა ინვესტორებმა ძალიან მალე უმნიშვნელოვანესი კოლონიები – ჯეიმსტაუნი და პლიმუტი, ადგილობრივ მოსახლეობას გადააბარეს და კოლონისტები დარჩნენ საკუთარი თავის ამარა. მათ უნდა შეექმნათ საკუთარი ცხოვრება, საკუთარი საზოგადოება და საკუთარი ეკონომიკა.



**აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაცია**

ადრეული კოლონიური გამდიდრების წყაროს, ძირითადად ბეწვეულის მოპოვება და ვაჭრობა წარმოადგენდა. კოლონიების ზრდას თან მოჰყვა დამხმარე ინდუსტრიის განვითარება, ბიძგი მიეცა სხვადასხვა სპეციალიზებული სახის მეწარმეობის შექმნას.

XVIII საუკუნისათვის ჩამოყალიბდა და სტაბილური გახდა რეგიონალური ეკონომიკური მოდელი: ნიუ-ინგლანდის კოლონიები ძირითადად მისდევდნენ გემთმშენებლობას და მეზღვაურთა მომზადებას, მერილენდის, ვირჯინიისა და ორივე კაროლინას პლანტაციებში მოჰყავდათ თამბაქო, ბრინჯი და ინდიგო; ნიუ-იორკის, პენსილვანიის, ნიუ-ჯერსისა და დელავერის კოლონიებში მარცვლეულისა და ბეწვის ტრანსპორტირება ჭარბობდა. ცხოვრების დონე სამივე რეგიონში ძალიან მაღალი იყო – გაცილებით მაღალი, ვიდრე ინგლისში. ამის მიუხედავად და იმის გამო, რომ კოლონიებში მოგების ნახევას დიდი დრო

სჭირდებოდა, ბევრმა ინგლისური კაპიტალის ინვესტორმა თავი გაანება საქმიანობას და სამოქმედო არე ისევ ადგილობრივ მეწარმეებს დარჩათ.

ამის შედეგად 1770 წლისათვის ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიები ეკონომიკურად და პოლიტიკურად მზად აღმოჩნდნენ, გამხდარიყვნენ ახლადაღმოცენებული თვითმმართველობის მოძრაობის ნაწილი. ამერიკული რევოლუცია თავისი მოტივაციით პოლიტიკურიც იყო და ეკონომიკურიც. მისი მამოძრავებელი ძალა იყო "სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების ხელშეუხებლობის" ლოზუნგით შეიარაღებული ახლადაღმოცენებული საშუალო ფენა. 1775 წელს დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და 1783 წელს გამოცხადდა ახალი ქვეყნის – ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა.

კონსტიტუციით, ამერიკის სახელმწიფოს მთელი ტერიტორია, მენის შტატიდან ჯორჯიამდე და ატლანტის ოკეანიდან მისისიპის დაბლობამდე, ერთ სავაჭრო სივრცეში მოექცა. არ უნდა ეარსება არავითარ სატარიფო და საგადასახადო შეზღუდვას. შეიქმნა ეროვნული ბანკი.

ელი უიტნის მერ 1793 წელს ბამბის საწმენდი მანქანის გამოგონებამ, რომელიც აცალკევებდა ბამბის ნედლეულს თესლისა და სხვა ნარჩენებისაგან, გამოიწვია ბაზრის უსწრაფესი ზრდა. სამხრეთელი პლანტატორები ყიდულობდნენ მიწებს წვრილი ფერმერებისაგან, რომელთაგან ბევრი დასავლეთით ილტვოდა. ხელისუფლებამ შექმნა ეროვნული გზები, როგორიცაა კამბერლენდის გზაგასაყარი (1818) და ერის სანაოსნო არხი (1825). ის ეხმარებოდა ფერმერებს პროდუქციის ბაზრამდე მიტანაში. 1835-დან დაიწყო ამერიკის ეკონომიკის დაქვეითება, ვაჭრობის დაცემა.

მაგრამ შეერთებულ შტატებზე მძლავრად იმოქმედა ევროპის XVIII და XIX საუკუნეების ინდუსტრიულმა რევოლუციამ. ახალმა გამოგონებებმა და კაპიტალის ინვესტირებამ შექმნა ახალი წარმოებების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის წინაპირობები. სატრანსპორტო სისტემების განვითარებამ ბევრად გაზარდა ვაჭრობის შესაძლებლობები.

1825 წლიდან მოყოლებული, როდესაც ნიუ იორკ სიტი ერის არხის საშუალებით დაუკავშირდა დიდ ტბების რეგიონს, დაიწყო სხვადასხვა შტატების მთავრობების აქტიური მონაწილეობა შინაგანი სატრანსპორტო სისტემის განვითარებაში. დაიწყო სუბსიდიებისა და სესხების გაცემა არხებისა და საგზაო მშენებლობისათვის. განვითარდა კომუნიკაციები, შეინიშნებოდა ინდუსტრიული ზრდა.

XIX საუკუნის II ნახევარს მოჰყვა ახალი აღმოჩენებისა და გამოგონებების ტალღა. გაიზარდა ბიზნესის ინტერესების გავლენა მთავრობაზე.

ბაზრის გაფართოებამ, ბუნებრივია, წარმოშვა მოთხოვნილება ახალი სივრცეების ათვისებისა. ამიტომ ამერიკელმა ბიზნესმენებმა და პოლიტიკოსებმა დაიწყეს ზრუნვა მსოფლიო ბაზრების დაპყრობაზე. ეკონომიკურ საფუძვლებს დაემატა იდეოლოგიური წინამძღვრები, რომლებიც ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკის თეორეტიკოსებმა ჩამოაყალიბეს და რომელსაც იზიარებდნენ რიგი ამერიკელი პოლიტიკოსები.

XIX საუკუნის ამერიკა რელიგიურ-მისტიკურ საბურველში იყო გახვეული. ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებასა და აზროვნებაში დიდ როლს თამაშობდნენ პროტესტანტი მისიონერები. მათი რელიგიურ-პოლიტიკური იდეები უზარმაზარ გავლენას ახდენდა XIX საუკუნის ამერიკის სახელმწიფო ცნობიერების ჩამოყალიბებაზე. ზოგიერთი იდეა შემდგომი პერიოდის სახელმწიფო პოლიტიკაშიც აისახა.

ამერიკაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას პროტესტანტები შეადგენდნენ, პოპულარული იყო საყოველთაო ხსნის იდეა, რასაც განამტკიცებდა კონტინენტის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი დაშორება

ევროპისაგან. ამერიკელები მიიჩნევდნენ, რომ "ცათა სასუფეველი დადგებოდა ძალიან მალე და დადგებოდა უცილობლად ამერიკაში. ქვეყანაში თავის გადარჩენის იდეიდან ერთი მოკლე ნაბიჯი იყო სამყაროს გადარჩენის იდეამდე."
[А. М. Шлезингер, «Циклы американской истории», Москва, 1992]

ამერიკისა და ანგლოსაქსური რასის მესიანისტური იდეის შესახებ მრავალი გავლენიანი ავტორი წერდა. მათი იდეები სახელმწიფო კონცეფციისა და სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე იქნა აყვანილი.

ჯერ კიდევ 1845 წელს ჯონ ო'სალივენმა ჩამოაყალიბა ამერიკის სასიცოცხლო სივრცის კონცეფცია.

იგი ამტკიცებდა, რომ შეერთებულ შტატებს ჰქონდა ღვთისაგან ბოძებული დანიშნულება, დამკვიდრებულიყვნენ და განვითარებულიყვნენ მთელ ჩრდილოეთ ამერიკაში. სჯეროდა, რომ ამერიკელებს ღმერთმა მიანიჭა მისია, გაევრცელებინათ რესპუბლიკური დემოკრატია მთელ ჩრდილოეთ ამერიკაში და რომ ეს ყველაფერზე, მათ შორის, საერთაშორისო კანონებსა და შეთანხმებებზე მაღლა იდგა. სჯეროდა, რომ ამერიკული დემოკრატიის გავრცელება გარდაუვალი იყო და იგი მოხდებოდა იარაღისა და ძალის გამოყენებით, რამდენადაც ხდებოდა ანგლო-საქსების მიგრაცია ახალი ტერიტორიების ასათვისებლად.

მისი იდეები განავრცო ჯოსაია სტრონგმა, რომელიც თვლიდა, რომ ამერიკა უნდა გახდეს მსოფლიოს უდიდესი იმპერია.

XIX საუკუნეში ფ.ჯ. ტერნერმა, ბრუკს ადამსმა და ადმირალმა ალფრედ მეჰენმა საფუძველი ჩაუყარეს ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიის აუცილებლობის იდეას. მონროს დოქტრინის გამოცხადების შემდეგ, 1898 წლიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყო უკვე გარეკონტინენტული ტერიტორიების მიტაცება.

"მონროს დოქტრინამ" წინ წამოსწია, დასავლეთ ნახევარსფეროში, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ძირითად პრინციპად მსოფლიოს "ამერიკულ" და "ევროპულ" სისტემებად გადანაწილების იდეა. იგი ითვალისწინებდა, რომ ტერიტორიები დასავლეთ ნახევარსფეროში არ უნდა განიხილებოდეს ნებისმიერი ევროპული სახელმწიფოს მიერ მომავალი კოლონიზაციის ობიექტად. "ამერიკის კონტინენტები", – აცხადებდა მონრო, – "ამიერიდან არ შეიძლება განხილულ იქნან როგორც რომელიმე ევროპული სახელმწიფოს მომავალი კოლონიზაციის ობიექტები".
[http://usainfo.state.gov/usa/inffousa/facts/democrac/50.htm]

მონრო პირდაპირ მიუთითებდა იმაზე, რომ ევროპული სახელმწიფოების ნებისმიერი ჩარევის მცდელობას ამერიკის კონტინენტის ქვეყნების საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატები ამიერიდან განიხილავდა, როგორც მისკენ მტრულად მიმართულ პოლიტიკურ აქტს.

მონროს დოქტრინა წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის გარდამტეხ მომენტს: ამით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიისაკუთრა უფლება, დაეცვა ამერიკის კონტინენტის ერთიანობა, ე. ი. ფაქტობრივად ერეოდა ლათინური ამერიკის ქვეყნების საქმეებში, აქცევდა მათ თავის პროტექტორატებად.

მონროს დოქტრინის დროშის ქვეშ, რომელიც ექსპანსიის იდეოლოგიური ინსტრუმენტი გახდა, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ "ახალი სამყაროს" ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ექსპანსია.

მონროს დოქტრინის განვითარების პირველი ეტაპი – 1823 წელს მისი გამოცხადებიდან XIX საუკუნის მიწურულამდე – ემთხვევა ამერიკული დიდი სივრცის, ე. ი. დასავლეთ ნახევარსფეროზე ამერიკული ჰეგემონიის სფეროს პრინციპების ჩამოყალიბებას და დაფუძნებას; ეს არის ამერიკის შეერთებული

შტატების დასავლეთ ნახევარსფეროში შეჭრის დასაწყისი, რომლის არსი – ამერიკის კონტინენტის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური დაკაბალებაა. აშშ სწორედ მონროს დოქტრინას დაეყრდნო, როდესაც 1895 წელს ვენესუელას დაეხმარა ბრიტანეთის გვინეასთან სასაზღვრო დავაში, ამერიკის ამ ნაწილში ოქროს აღმოჩენის შემდეგ. სახელმწიფო მდივანმა რიჩარდ ოლნიმ მოითხოვა, რომ ბრიტანეთი დამორჩილებოდა პრობლემის მისეულ გადაწყვეტას და განაცხადა, რომ აშშ პრაქტიკულად სუვერენია კონტინენტზე. 1896 წელს ბრიტანეთი, შეერთებულ შტატებთან კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო, რამდენადაც ამავე დროს მას ჰქონდა გერმანიასთან გართულებები სამხრეთ აფრიკაში.



რიჩარდ ოლნი აშშ-ს სახელმწიფო მდივანი (1895-1897)

მეორე ეტაპი იწყება XIX საუკუნის 80-იანი წლებში და მთავრდება ამერიკის ჰეგემონიის გაფართოებით, კონსოლიდაციითა და აბსოლუტიზაციით. ლათინური ამერიკის სახელმწიფოები ხდებიან ამერიკის შეერთებული შტატების პროტექტორატები, აღეკვეთებათ მატერიალური სუვერენიტეტი, ეკონომიკურად დამოკიდებულები ხდებიან შეერთებულ შტატებზე, და უნარჩუნდებათ მხოლოდ დამოუკიდებლობის გარეგნული, სიმბოლური ატრიბუტები. სენატორი ლოჯი 1895 წლის მარტში ჟურნალ „ფორუმში“ გამოქვეყნებულ სტატიაში აცხადებს, რომ მომავალში „რიო გრანდედან ყინულოვან ოკეანემდე უნდა არსებობდეს ერთი დროშა და ერთი ქვეყანა“. [И.Н.Панарин «Дипломатия и геополитика», http://www.panarin/com/doc/5] ამ ეტაპის აპოგეა არის – ესპანეთის წინააღმდეგ 1989 წლის ომი მისი კოლონიების მისატაცებლად და მონროს დოქტრინაში პრეზიდენტ რუზველტის 1904 წლის დამატება.

ამ პერიოდის განმაევლობაში ყალიბდება ამერიკული დიდი სივრცის ორგანიზაციის პრინციპები, ასევე, კონტინენტზე ამერიკის ბატონობის შეუზღუდავი პოლიტიკური და იურიდიული საფუძვლები. ეს პრინციპები გამოხატულია მონროს დოქტრინის სხვადასხვა დამატებებში, ოლნის დამატებით დაწყებული, პანამის შექმნით და თეოდორ რუზველტის დამატებით დამთავრებული.

მესამე ეტაპი ემთხვევა პრეზიდენტ ვილსონის მიერ უნივერსალიზმის იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, პარიზის საზავო კონფერენციაზე პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რომელიც ვერსალის საზავო ხელშეკრულებით [И. Н.Панарин «Дипломатия и геополитика», http://www.panarin/com/doc/5] დასრულდა, ერთა ლიგის გადაქცევის გეგმით ანგლო-საქსონური მსოფლიო ბატონობის ინსტრუმენტად და ევროპის პირველ დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, რომელიც, ვილსონის მოთხოვნით, დასრულდა მისი ცნობილი 14 პუნქტის ჩართვით ერთა ლიგის წესდებაში. ამ დროისათვის ლათინური ამერიკა საბოლოოდ დამორჩილებული იყო.

მესამე ეტაპი – ესაა ამერიკის გაჭრა ევროპასა და აზიაში. მონროს დოქტრინა ტოვებს ამერიკის კონტინენტის საზღვრებს და ბატონობის რეგიონული პრინციპიდან მსოფლიო დოქტრინად იქცევა. როგორც კარლ შმიტმა აღნიშნა თავის ნაშრომში "დიდი სივრცე უნივერსალიზმის წინააღმდეგ",

როდესაც ვუდრო ვილსონმა 1917 წლის 22 იანვარს გამოაცხადა, რომ მონროს დოქტრინა მთელი მსოფლიოსა და კაცობრიობისათვის უნივერსალური პრინციპია, ამით გაიჟღერა მსოფლიო ჰეგემონიის დამყარებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სწრაფვამ. მონროს დოქტრინა ვუდრო ვილსონისათვის ახალ მსოფლიო წესრიგს ნიშნავდა. ამ დოქტრინის განვითარება დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობისა და გავლენის სფეროებისა და მათი ექსტრა-ტერიტორიული იურისდიქციის სულ უფრო მეტად ზრდასთან, ჯერ ამერიკის კონტინენტზე, შემდეგ კი მის საზღვრებს გარეთაც.

I მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ გამოუვიდა მსოფლიო ბატონობის დამყარება. სამაგიეროდ, ერთა ლიგის წესდების 21-ე მუხლი გამორიცხავდა მისი იურისდიქციიდან ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის სფეროს, – დასავლეთ ნახევარსფეროში შექმნილ კოლონიურ იმპერიას, რამაც განადგურებამდე მიიყვანა იმ დროს მოქმედი საერთაშორისო უფლება, **Jus Publicum Europeanum**. მონროს დოქტრინის ფაქტობრივი ჩართვა ერთა ლიგის წესდებაში (21-ე მუხლი) იყო ევროპაზე ამერიკის შეერთებული შტატების პირველი გამარჯვება და მანამდე მოქმედი, 1648 წლის ვესტფალიის ზავითა და 1815 წლის ვენის კონგრესს შორის პერიოდში, ისტორიულად ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართლის გაბატონებული პრინციპების განადგურების დასაწყისი.

1900 წელს წიგნში "ამერიკის ეკონომიკური ბატონობა" ისტორიკოსი ბრუკს ადამსი გამოვიდა ანგლო-საქსონური რასიზმის პროპაგანდით და მოწოდებით, გადაექციათ წყნარი ოკეანე ამერიკის შიდა ზღვად. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, უკვე დანაწილებული მსოფლიოს გადანაწილებისათვის მზარდი ბრძოლის პერიოდში, ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს ექსპანსიისა და აგრესიის კულტს ამერიკული იმპერიალისტური სწრაფვის თანახმად.



**ბრუკს ადამსი (ინგ., Brooks Adams)(1848-1927) ამერიკელი ისტორიკოსი**

ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ისტორიკოსთა ჯგუფმა ბრუკს ადამსის მეთაურობით დაიწყო ამერიკული პოლიტიკური სისტემის "გამორჩეულობისა" და "ღვთის რჩეულობის" იდეის საფუძვლის ჩაყრა. გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების "უფლება" და "მოვალეობა" დაემყარებინა თავისი პოლიტიკური სისტემა მთელ მსოფლიოში. "რჩეული ხალხის" რწმენით და მის მიმართ მსოფლიოს წინაშე მონიჭებული ძალაუფლებით ისტორიკოსების ამ ჯგუფმა შეიმუშავა მსოფლიოზე ამერიკული ექსპანსიონიზმის იდეოლოგიური საფუძვლები.

თავის ლექციებში "ანგლო-საქსური რასის ბედის განსაზღვრა" ისტორიკოსი ჯონ ფიქსე, რომელსაც ვაშინგტონზე დიდი გავლენა ჰქონდა, დარწმუნებით აცხადებდა იმ დღის სიახლოვის შესახებ, როცა ამერიკული სისტემა გადაიჭიმებოდა "პოლუსიდან პოლუსამდე" და "ორივე ნახევარსფეროზე" დამყარდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობა. თავის 1890 წელს გამოსულ წიგნში "პოლიტიკური მეცნიერება და შედარებითი

კონსტიტუციური სამართალი" ჯონ ბარჯესი წერდა, რომ სახელმწიფოთა პოლიტიკური ორგანიზაცია განისაზღვრება მოსახლეობის რასობრივი ხასიათით. ანგლოსაქსები წარმოადგენენ ყველაზე პოლიტიკურ რასას, – აცხადებდა ბარჯესი, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში ყველაზე პოლიტიკური ქვეყანაა. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე დგას ამოცანა, გააერცელოს თავისი სისტემა მთელ მსოფლიოში. სხვა ქვეყნები იძულებული უნდა გახდნენ დამორჩილდნენ, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი საშუალების გამოყენებით. ბარჯესმა ჩამოაყალიბა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ექსპანსიის პროგრამა, რაც გულისხმობდა ამერიკის შეერთებული შტატების პროტექტორატს ლათინურ ამერიკაზე, წყნარი ოკეანის კუნძულებსა და აღმოსავლეთ აზიაზე.

ჯეიმს სტრონგმა, პროტესტანტმა მისიონერმა, ჩამოაყალიბა ანგლოსაქსების სხვა ხალხებზე პოლიტიკური უპირატესობის რასობრივი დოქტრინა და დაუკავშირა იგი სოციალ-დარვინიზმს.

შეიმუშავა ამერიკის შეერთებული შტატების "ბედის განსაზღვრულობის" თეოლოგიური ინტერპრეტაცია, რომელიც აერთიანებდა ამერიკული მისიონერობის ტრადიციასა და ამერიკის "ღვთის რჩეულობის" კალვინისტურ დარწმუნებულობას და ამერიკულ იმპერიალიზმს განიხილა როგორც "შემოქმედის ნებას", რომლის მიმართაც, როგორც ღმერთის მიმართ, არ შეიძლებოდა შეწინააღმდეგება. სტრონგი თავის 1885 წელს გამოქვეყნებულ წიგნში "ჩვენი ქვეყანა: მისი შესაძლო მომავალი", ირწმუნებოდა, რომ მსოფლიო შევიდა ისტორიული განვითარების ახალ სტადიაში – არნახული რასობრივი ბრძოლის სტადიაში. ანგლო-საქსონური რასა, რომელიც ფლობს უნიკალურ ენერგიას, განავითარებს რა თავის თავში აგრესიულ ხასიათს, რაც აუცილებელია მისი პოლიტიკური ინსტიტუტების გასავრცელებლად, მიელებს მთელ სამყაროს. სტრონგი იქამდეც მივიდა, რომ ამერიკის მსოფლიო ბატონობის დამყარებას, ისევე როგორც პრეზიდენტმა ვილსონმა 20 წლის შემდეგ, უწოდა ამერიკის შეერთებული შტატების მისია – გაექრისტიანებინა მსოფლიო.





**ჯონ მილტონ ჰეი (ინგ., John Milton Hay)(1838-1905) ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მწერალი "Open Door Policy"-ს ავტორი. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი (1898-1905)**

ჯონ ჰეი იმპერიალისტურ ექსპანსიას განიხილავდა, როგორც "კოსმიური ტენდენციების" ნიშანს. "არც ერთ ადამიანს, არც ერთ პარტიას არ ძალუძს წინ აღუდგეს ამ კოსმიურ ენერგიას" წერდა იგი. იმ პერიოდში მიიჩნევდნენ, რომ ექსპანსიონიზმი – ეს ანგლოსაქსური რასის არსია, ბუნების კანონია და ერი ვერ გადარჩებოდა, თუ ამ კანონს არ დაექვემდებარებოდა. დარვინის მიერ აღმოჩენილი ბუნების კანონები, აქცევენ იმპერიალისტურ ექსპანსიას ამერიკის შეერთებული შტატების ბიოლოგიურ იმპერატივად. სახელმწიფო ბიოლოგიურ ორგანიზმს ჰგავს. გადარჩენისათვის ბრძოლაში ბიოლოგიური ორგანიზმი ან იმარჯვებს, არ იღუპება. ანგლო-საქსების რასობრივი უპირატესობის გამო,

ამერიკის შეერთებულ შტატებს გამარჯვება უწერია. .[И. Н. Панарин «Дипломатия и геополитика», http://www.panarin/com/doc/5]

XIX საუკუნის 90-იან წლებში მრავალფეროვანი სტატიებით, რომლებიც აღანთებს ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიონიზმს, გამოდის ისტორიკოსი ფრედერიკ ჯექსონ ტერნერი, რომელსაც ადმირალ მეჰენთან და ისტორიკოს ბრუკს ადამსთან ერთად ამერიკული გეოპოლიტიკის მამად და ამერიკული ექსპანსიონიზმის მთავარ თეორეტიკოსად აღიარებენ, რომლის "მცოცავი საზღვრების" თეორიამ, ხორცშესხმული „ღია კარის" პოლიტიკაში, განსაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში. ტერნერმა უზარმაზარი გავლენა მოახდინა წამყვან ამერიკელ პოლიტიკოს-ექსპანსიონისტებზე: სახელმწიფო მდივანმა ჯონ ჰეიმ, რომელმაც ჩამოაყალიბა თავისი "ღია კარის" ნოტები 1899 -1900 წლებში, მონროს დოქტრინის ეს დამატება დააფუძნა ტერნერის გეოპოლიტიკურ იდეებზე. რუზველტის 1904 წლის მონროს დოქტრინის დამატება ამავე იდეებს ეყრდნობოდა – ამერიკული საზღვრების გაფართოების კატეგორიულ იმპერატივს. და ბოლოს, ვილსონისეული უნივერსალიზმი წარმოადგენს "საზღვრის თეზისისა" და "ღია კარის" დოქტრინის დანართს უკვე გლობალური მსოფლიოს მასშტაბით.

ტერნერი თვლიდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ აქვს დადგენილი საზღვრები – საზღვრები მოძრავია. ტერნერისათვის საგარეო პოლიტიკური ექსპანსია წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარებისათვის ძირითად პირობას. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიული მისია, ამ ქვეყნის "განსაზღვრული ბედი" – ესაა მუდმივად გააფართოოს თავის საზღვრები, სანამ მთელი მსოფლიო არ იქნება ამერიკული. „ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიული ცხოვრების ძირითად ფაქტს წარმოადგენდა ექსპანსია... საგარეო პოლიტიკის დინამიკის იმპერატივები: ატლანტისა და წყნარი ოკეანეების დამაკავშირებელი პანამის არხის გათხრა, ამერიკის შეერთებული შტატების "საზღვაო ძლევამოსილების" ჩამოყალიბება, ამერიკული გავლენის გავრცელება გარშემო კუნძულებსა და უახლოეს ქვეყნებზე, მეტყველებს იმაზე, რომ ექსპანსიონიზმი გრძელდება." ტერნერი ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ წარმოადგენს გეოგრაფიულად დაფიქსირებულ სივრცეს. ამერიკის შეერთებული შტატები – ესაა შეუწყვეტელი ექსპანსიონიზმის გეოპოლიტიკური პროცესი. ტერნერისათვის ამერიკის შეერთებული შტატები, უპირველეს ყოვლისა, გეოპოლიტიკური გაგებაა და ამ ქვეყნის ისტორიული არსი და ბედი გამოიხატება საგარეო ექსპანსიის დინამიკაში. გეოპოლიტიკური ექსპანსიონიზმი ტერნერისათვის არის ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ყოფიერების ძირითადი ფორმა. ეროვნული არსებობა – ეს დაპყრობაა. ეროვნული არსებობა, უპირველეს ყოვლისა, ელინდება შეუწყვეტელ ბრძოლაში ახალი გეოგრაფიული სივრცის დასამორჩილებლად, ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივად მოძრავი საზღვრის გადასაადგილებლად. [И. Н. Панарин «Дипломатия и геополитика», http://www.panarin/com/doc/5]

ამერიკის ისეთი პრეზიდენტები, როგორიც თეოდორ რუზველტი და ვუდრო ვილსონი იყვნენ, განიცდიდნენ ტერნერის იდეების გავლენას, რაც აისახებოდა კიდეც მათ პოლიტიკაზე.

წიგნებსა და სტატიებში ვილსონი იმეორებდა ტერნერის იდეას, რომ დასავლეთ ნახევარსფეროს ხელში ჩაგდებისა და კონტინენტური საზღვრების ჩაკეტვის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატები უნდა ესწრაფვოდეს ახალი საზღვრების დაპყრობას, რომლებიც ამერიკის კონტინენტის საზღვრებს გარეთაა. ტერნერის ახლო მეგობარმა ვილსონმა არაერთგზის აღიარა: „ყველაფერი, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების ახალი საზღვრების შესახებ ვწერდი,

ტერნერის გაელენითაა დაწერილი“ [И. Н. Панарин «Дипломатия и геополитика», http://www.panarin/com/doc/5] ტერნერის გეოპოლიტიკური იდეები – ესაა გასაღები ამერიკის საგარეო პოლიტიკის გაგებისათვის მთელი XX საუკუნის განმავლობაში.

ტერნერი წერდა ისეთი ადამიანების აღზრდის აუცილებლობის შესახებ, რომელთაც შეეძლებოდათ ყველა ამერიკელის გაერთიანება ექსპანსიონიზმის ”იდეალების” გარშემო. ტერნერისათვის ამერიკელ იდეალისტად ყოფნა ნიშნავდა რწმენას ამერიკის გლობალური ექსპანსიონიზმის შესახებ და მოქმედებას ამერიკის მსოფლიო ბატონობის დასამყარებლად. ასეთი იდეალისტის პროტოტიპად იგი მიიჩნევდა კოვბოის და ველური დასავლეთის პიონერ-დამპყრობს, რომელთაც “აგრესიული სიმხნევე” ჰქონდათ, ხოლო “ნაჯახი და ვინჩესტერი” დაპყრობის სიმბოლოები იყო. მაგრამ თუ ძველად ამერიკელი იდეალისტი ნაჯახითა და ვინჩესტერით იპყრობდა ველურ დასავლეთს, სპობდა ურჩობის ყველანაირ გამოვლინებას, ახალი იდეალისტიც ”მხნე აგრესიულია”, მაგრამ იგი უკვე შეიარაღებულია ადმირალ მეჰენის “საზღვაო ძლევამოსილებით”, ვილსონისეული უნივერსალიზმით – და უკვე მიემართება მთელი მსოფლიოს დასაპყრობად.

1903 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “ამერიკის ისტორია და მისი გეოგრაფიული პირობები” ელენ სემპლმა წამოაყენა “პოლიტიკურ-გეოგრაფიული მიზიდულობის” კანონი. მან ჰავაის კუნძულების ანექსია, დიდი ანტილიის კუნძულებზე შეჭრა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსია გამოაცხადა მხოლოდ ამ კუნძულების გეოგრაფიული მდებარეობის კანონის შედეგად, ამერიკის კონტინენტთან მისი სიახლოვის გამო.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სახელმწიფო, მოსახლეობის მხრიდან პოლიტკიკური მხარდაჭერის მიღების მიზნით, ინტენსიურად იყენებდა მასმედიას, განსაკუთრებით რადიოს, რომელიც შეერთებული შტატების თითქმის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა და მოსახლეობისათვის ინფორმაციული უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება იყო. კუბის, ჰავაის კუნძულების, ფილიპინების, პუერტო რიკოს დაპყრობისათვის ბრძოლას, ანუ მსოფლიოს გადანაწილებისათვის პირველი ბრძოლას, პროპაგანდა ასახავდა, როგორც “განმათავისუფლებელ ბრძოლას” ფილიპინების, კუბისა და პუერტო რიკოს “დასაცავად”. ამ იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილად იქცა ინგლისური ენის სემანტიკური სუბვერსია, აგრესიისა და დაპყრობის წარმოდგენა, როგორც დაცვა, მეურვეობა, და სხვა. ანუ, როგორც წერდა კარლ შმიტი, ამერიკული ექსპანსიონიზმის იდეოლოგიამ დაიწყო პოლიტიკურ თეოლოგიად გადაქცევა. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში ექსპანსიონისტური ტენდენციები განსაკუთრებით გაძლიერდა პრეზიდენტ თეოდორ რუზველტის პერიოდში, რომელიც აღიარებდა მეჰენის დოქტრინას ანგლოსაქსების უპირატესობის შესახებ ზღვაზე და პრეტენზია ჰქონდა ანგლოამერიკელების ხელმძღვანელობაზე მთელი მსოფლიოსათვის.








თეოდორ რუზველტი (ინგ., Theodore Roosevelt)(1858-1919)
აშშ-ს 26-ე პრეზიდენტი (1901-1909). ნობელის პრემიის პირველი ამერიკელი ლაურეატი (1906)

თეოდორ რუზველტს, რომელიც აღიარებდა რასობრივი ექსპანსიის იდეებს, სჯეროდა, რომ ველური დასავლეთის დაპყრობა თეთრი მოსახლეების მიერ წარმოადგენდა რასობრივ ომს თეთრ ანგლოსაქსებსა და ინდიელებს შორის, რაც ბოლომდე მივიდა, ანუ, "ინდიელთა პრობლემის" საბოლოო გადაწყვეტამდე, ანუ, სხვა სიტყვებით, გენოციდამდე. ანგლოსაქსური რასის ზრდის ბიოლოგიური კანონები ახლა ნებას იძლეოდნენ დასავლეთის დაპყრობიდან მზერა მიეპყროთ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებს გარეთ არსებულ დაუპყრობელ ტერიტორიებზე.

მიისწრაფოდა რა გამოეყენებინა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალები იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა კონტროლი ამერიკის პროტექტორატების მოსახლეობაზე დასავლეთ ნახევარსფეროში, თეოდორ რუზველტის მთავრობამ გადაწყვიტა უზრუნველეყო ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გადასროლის შესაძლებლობა საჭირო ადგილებში ისე, რომ არ შემოევლო სამხრეთ ამერიკის კონტინენტისათვის, არამედ, ეს მოეხერხებინა უკვე დიდი ხნის წინ დაპროექტებული პანამის არხის საშუალებით. კოლუმბიის უარის შემდეგ, რომლის ტერიტორიაზეც უნდა გასულიყო პანამის არხი, იმ მოთხოვნაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მუდმივი არენდით მიეცათ პანამის ვიწრო ყელი, პანამაში მოხდა აჯანყება, რომლის შედეგადაც გამოცხადდა ახალი სახელმწიფო – პანამა. მის დასაცავად გაიგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გემები. მალევე, იმავე 1903 წელს, ხელი მოეწერა პანამა-ამერიკის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც პანამის არხის ზონა ამერიკის შეერთებული შტატების ხელში გადავიდა.

ფაქტობრივად ბრუკს ადამსი იყო "ცივი ომის" ერთ-ერთი პირველი იდეოლოგი. იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამერიკის მსოფლიო ბატონობის დამყარების გეგმები, რომელიც გეოპოლიტიკური აუცილებლობით მოიცავდა ჰეგემონიასა და კონტროლს ევრაზიის კონტინენტზე, გარდაუვლად მივიდოდა რუსეთთან კონფლიქტამდე. ადამსი გამოდიოდა რა სოციალური დარვინიზმის პოზიციიდან, თავის სტატიაში "ახალი ინდუსტრიული რევოლუცია" აცხადებდა, რომ ამერიკელებმა უნდა გაიგონ, რომ ეს იქნება არა სასიცოცხლო, არამედ სასიკვდილო ბრძოლა უკვე არა ცალკეული ერის, არამედ მთელი კონტინენტის წინააღმდეგ. მსოფლიოში არ არის ადგილი სიმდიდრისა და იმპერიის ორი ცენტრისათვის. ერთმა ორგანიზმმა უნდა გაიმარჯვოს და უნდა გაანადგუროს მეორე. სუსტი ორგანიზმი უნდა დაიღუპოს. ბრუკს ადამსმა და ადმირალმა მეჰენმა ჩამოაყალიბეს ამერიკის მიერ ევრაზიის დაპყრობის გეოპოლიტიკური სტრატეგია, რომლისკენაც ისწრაფვოდა ამერიკის შეერთებული შტატები მთელი XX საუკუნის განმავლობაში.

თავის წიგნში "ამერიკული იმპერია" 1911 წელს ადამსი წერდა ამერიკის მსოფლიო იმპერიის შექმნისა და ამერიკული იმპერიის მიერ ევრაზიის გეოპოლიტიკური სივრცის ხელში ჩაგდების აუცილებლობის შესახებ.

ამერიკის იმპერიის მთავარ მტერს ბრუკს ადამსი კონტინენტურ ევროპაში ხედავდა.

"ჩანს რომ მოვიდა ის დრო, როცა ორი მტრული სისტემა ერთმანეთს შეეტაკება, და დაიწყება ბრძოლა არსებობისათვის... მოგვეწონს თუ არა, მოგვიწევს ვიბრძოლოთ საერთაშორისო გაცვლის ადგილისათვის, ან, სხვა სიტყვებით, იმპერიის ადგილისათვის. ჩვენი მეტოქე (საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი) სიკვდილის პირასაა და სულს ღაფავს... თუ უკან დავიხევთ მის წინაშე, დაგვახრჩობს". [http://www.panarin/com/doc/5]

რეზიუმეს სახით შეიძლება ითქვას, რომ 1861-1865 წლების სამოქალაქო ომამდე აშშ-ს "მონათმფლობელთა მონას" ეძახდნენ და ეს მართალი იყო. ინგლისელთა ბატონობისაგან 1783 წელს განთავისუფლებული 13 ამერიკული კოლონია ძირითადად აგრარული ქვეყანა იყო, სადაც მაღალინტენსიური საპლანტაციო მეურნეობის მქონე სამხრეთი ჰეგემონის როლს თამაშობდა კავშირში. მაგალითად: 1856 წლამდე აშშ-ს 16 პრეზიდენტიდან 11 სამხრეთელი იყო; 1860 წლისათვის (აბრაამ ლინკოლნის გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში) ფედერალურ მთავრობაში უმაღლესი პოსტები ეკავათ 543 სამხრეთელს და 386 ჩრდილოეთელს, მაშინ როდესაც ჩრდილოეთში ცხოვრობდა 20 მილიონი ადამიანი, ხოლო სამხრეთში კი 9 მილიონი (მათ შორის 4 მილიონი შავკანიანი მონა). შესაბამისად აშშ-ს საგარეო პოლიტიკა ატარებდა უფრო მონათმფლობელურ, ვიდრე ბურჟუაზიულ ხასიათს. იგი მიზნად ისახავდა ტერიტორიულ ექსპანსიას: ომი მექსიკასთან (1846-1848 წწ.) და შედეგად ტეხასის, კალიფორნიის, ნიუ-მექსიკოს ანექსია. მონათმფლობელებს ახალი მიწები სჭირდებოდათ და ფედერალური მთავრობაც ცდილობდა მათი სურვილების დაკმაყოფილებას.






ჯეიმს მონრო (ინგ., James Monroe) (1758- 1831) აშშ-ს მეხუთე პრეზიდენტი (1817-1825) ლუიზიანის ყიდვის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მონროს დოქტრინის ავტორი

აშშ-ს მიერ გატარებულ აქტიურ რეგიონალურ და ტერიტორიული ექსპანსიის პოლიტიკას საფუძვლად დაედო ისტორიაში პირველი გეოპოლიტიკური პარადიგმა მონროს დოქტრინა (1823), რომელიც წარმოადგენდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯ.კ. ადამსის მიერ ჩამოყალიბებული "ამერიკული სისტემის" დოქტრინის (1821) პრაქტიკულ გამოხატულებას. აშშ-ს მიერ გატარებული დიდი სახელმწიფოს რეგიონალური პოლიტიკა მიზნად ისახავდა დასავლეთ ნახევარსფეროში ჰეგემონობას და რეგიონის საქმეებში სხვა დიდი სახელმწიფოების ჩარევის აღკვეთას. მონროს დოქტრინა წარმოადგენდა არა მარტო გლობალური სივრცული აზროვნების ნიმუშს, იგი იმავდროულად იყო დედამიწის ახალი სივრცული კონფიგურაციის განსაზღვრა. როგორც კი დასავლეთ ნახევარსფერო, იდეოლოგიურად განისაზღვრა როგორც ახალი სამყარო, რომელშიც შეერთებული შტატები კრძალავენ სივრცობრივად უცხო ძველი სამყაროს ქვეყნების ჩარევას, გაჩნდა ახალი საერთაშორისო სამართლის შექმნის აუცილებლობა, რამეთუ აშშ-ს გადაქცევამ წამყვან იმპერიალისტურ სახელმწიფოდ, საბოლოო ჯამში დაანგრია jus publicum Europdeum – ევროცენტრისტული მართლწესრიგი.







**ჯონ კუინსი ადამსი (ინგ., John Quincy Adams) (1767-1848 წწ.) აშშ-ს სახელმწიფო მდივანი (1817-1825) აშშ-ს მეექვსე პრეზიდენტი (1825-1829) (აშშ-ს დიდი სახელმწიფო ბეჭედი)**

XIX საუკუნის დასასრულისათვის აშშ-მა დაიწყო უკვე ბურჟუაზიული საგარეო პოლიტიკის გაატრება, რომლის ძირითადი პრინციპი იყო **THE BUSINESS OF AMERICA IS BUSINESS**: 1867 წელს რუსეთისაგან ყიდულობენ ალიასკას, 1889 წელი – პანამერიკული კონფერენციის ორგანიზაცია, 1898 წელი – ომი ესპანეთთან; ფილიპინების ფაქტიური ანექსია; კუბასა და პუერტო-რიკოზე კონტროლის დაწესება. ყოველივე ეს ნიშნავდა რომ აშშ შემობრუნდა აქტიური საერთაშორისო პოლიტიკისაკენ და დარტყმის მთავარ მიმართულებად აირჩია წყნარი ოკეანის მიმართულება. პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის უოლტერ მაკ-დოუგალის მოსაზრების თანახმად 1898 წლამდე აშშ იცავდნენ საკუთარ ღირებულებებს, ხოლო ესპანეთთან ომის შემდეგ დაიწყეს მათი გავრცელება მთელ სამყაროში ( **Walter A. McDougall. Back to Bedrock.// Foreign Affairs. – Vol. 76, N.2, March/April 1997.**).

XIX საუკუნემ წარმოშვა ახალი ტიპის დიდი სახელმწიფო დიდი ბრიტანეთი, რომელმაც მიუხედავად მის განკარგულებაში მყოფი უბადრუკი სახმელეთო არმიისა, გადამწყვეტ ზეგავლენას მიაღწია საერთაშორისო არენაზე ისეთი წმინდა ეკონომიკური ფაქტორების მეოხებით, როგორებიცაა: ვაჭრობა, ინვესტიციები, ზღვაოსნობა, მრეწველობა, ფინანსები. და ყველაზე მნიშვნელოვანი: XIX საუკუნედან მოყოლებული ჰეგემონი საერთაშორისო ურთიერთობებში შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის ვინც იყო ჰეგემონი მსოფლიო ეკონომიკაში.




**ბრიტანეთის იმპერია 1897 წ.**

ევროპული კონცერტის, როგორც საერთაშორისო სისტემის ძირითადი მახასიათებლები იყო:

I. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება დამოკიდებული იყო ხუთი ევროპული დიდი სახელმწიფოს ნება-სურვილზე. ესენი იყვნენ: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, პრუსია (გერმანია), ავსტრია (ავსტრია-უნგრეთი), რუსეთი. არაევროპული სახელმწიფოები, ისევე როგორც მცირე ევროპული სახელმწიფოები, ამ დროისათვის ევროცენტრისტული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სუბიექტებიდან გადაიქცნენ ამ სისტემის ობიექტებად. მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ იმას, რაც ხდებოდა ევროპაში. ევროპელებს შეეძლოდ უსასრულოდ ეკინკლავეთ ერთმანეთთან, მაგრამ როგორც კი საქმე შეეხებოდა აბორიგენებს ყოველგვარ განხეთქილებას ბოლო ელებოდა. მაგალითად: 1882 წლის 13 სექტემბერს ინგლისელებმა თელ-ელ-ქებირთან გაანადგურეს ეგვიპტელი ნაციონალისტების არმია. ამ ბრძოლის შემდეგ ინგლისელთა უპირატესობა ეგვიპტეში აშკარა გახდა. ეს იყო საფრანგეთის სერიოზული მარცხი, რომელიც ასევე იბრძოდა, ნაპოლეონიდან მოყოლებული, ეგვიპტეში გავლენის მოსაპოვებლად. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სუეცის არხი ფრანგების მიერ იყო აგებული. და აქ იწყება ყველაზე საინტერესო. საფრანგეთის პრეზიდენტმა გრევიმ შემდეგი კომენტარი გაუკეთა ბრიტანელთა ამ გამარჯვებას: “მე მიმაჩნია უაღრესად მნიშვნელოვნად, რათა არ იყოს თუნდაც მცირე ეჭვი იმაში, რომ მუსლიმურ ან არაბულ ჯარებს შესწევთ უნარი წინააღმდეგობა გაუწიონ ევროპელებს ბრძოლის ველზე”.




ჟიულ გრევი (ფრ., Jules Grévy) (1807-1891)
საფრანგეთის III რესპუბლიკის პრეზიდენტი (1879-1887)

II. ყველა ევროპული დიდი სახელმწიფოს ინტერესები, ინგლისისა და რუსეთის გარდა, კონცენტრირებული იყო ძირითადად ევროპაზე, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობდა მსოფლიოს ინტენსიური კოლონიზაცია. დიდ სახელმწიფოთა არაევროპული საქმიანობა არ იწვევდა მათი პრიორიტეტების ფუნდამენტურ ცვლას და მათი დიპლომატიის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა, და იმის არდაშვება, რომ კონტინენტზე რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს დაეკავებინა დომინირებული მდგომარეობა.

III. “ევროპული კონცერტის” ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა ძალთა ბალანსის პრინციპის მხაედაჭერა. პასუხისმგებლობა შიდაევროპული ბალანსის შენარჩუნებაზე ეკისრებოდათ დიდ სახელმწიფოებს. ამ პასუხისმგებლობის რეალიზაცია ხდებოდა მრავალრიცხოვანი კონფერენციების მეოხებით, სადაც არეგულირებდნენ იმ საკითხებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ მშვიდობას. ამ კონფერენციებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1856 წლის პარიზის კონფერენციას, 1871 წლის ლონდონის, 1878 წლის ბერლინისა და 1919 წლის

ვერსალის კონფერენციებს, რომლებმაც მოახდინეს დიდ სახელმწიფოებს შორის ძალთა თანაფარდოების კოდიფიცირება.

IV. ანექსიები და კონტრიბუციები ძველებურად რჩებოდა საერთაშორისო პრაქტიკის ფორმებად, მაგრამ დიდ სახელმწიფოთა მმართველები უკვე აღარ განიხილავდნენ, როგორც რეალურ მიზანს, რომელიმე დიდი სახელმწიფოს დანაწევრებისა და ლიკვიდაციის საკითხს. მაგალითად: რუსეთის მარცხი ყირიმის ომის დროს, ავსტრიის მარცხი 1866 წელს, საფრანგეთის მარცხი პრუსია-საფრანგეთის ომის დროს, გერმანიის დამარცხება პირველი მსოფლიო ომში არ გახდა ამ სახელმწიფოების პოლიტიკური რუქიდან გაქრობისა და დიდ სახელმწიფოთა ელიტარული კლუბიდან მათი გარიცხვის მიზეზი.




ნაპოლეონ III ბონაპარტე (ფრ., Napoléon III Bonaparte) (1808-1873)
საფრანგეთის I პრეზიდენტი (1848) საფრანგეთის იმპერატორი (1852-1870)

V. საერთაშორისო ურთიერთობების ვენის სისტემა უაღრესად მდგრადი აღმოჩნდა.

VI. დიდ სახელმწიფოთა ელიტარული კლუბის მიერ გაზიარებული პრინციპების ერთობლიობა გამოირჩეოდა ჰომოგენურობით. მართალია ზარბაზნები რჩებოდნენ "მეფეთა უკანასკნელ არგუმენტად", მაგრამ მათი გამოყენება "ევროპული კონცერტის" სისტემის ფარგლებში გარკვეულ ზღვარამდე იყო შეზღუდული.

VII. XIX საუკუნე, "ევროპული კონცერტის" საუკუნე, იყო კლასიკური დიპლომატიის აყვავების ხანა. ამ პერიოდის მთავრობები შველას სწორედ დიპლომატიაში ეძებდნენ, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ "ევროპული კონცერტის" სისტემა ძირითადად მოიცავდა პოლიტიკურ სფეროს. ამ პირობებში საგარეო პოლიტიკაზე შიდა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ზეგავლენა ძირითადად თავს იჩენდა საგანგებო, კრიზისულ სიტუაციებში. დიპლომატია, რომლის მეოხებითაც ყალიბდებოდა საერთაშორისო ურთიერთობები, სარგებლობდა გარკვეული ავტონომიით. ეს უზრუნველყოფდა, საგარეოპოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მანევრირების თავისუფლებას, რამეთუ არ იყო მკაცრად განპირობებული შიდაპოლიტიკური ხასიათის მოვლენებით.

VIII. "ევროპული კონცერტის" უდაო დამსახურება არის იმ ნორმატიული აქტების ჩამოყალიბება და მიღება, რომლებიც მშვიდობიანი გზით წყვეტდნენ საერთაშორისო ხასიათის სადავო საკითხებს; ომის წარმოების წესები და კანონები: 1864 წლის ჟენევის კონვენცია, 1868 წლის სანკტ-პეტერბურგის დეკლარაცია, 1874 წლის ბრიუსელის დეკლარაცია, 1899 წლისა და 1907 წლის ჰააგის კონვენცია. ამავე პერიოდში დაინერგა საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში მოლაპარაკებები შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ (1899 წლის კონფერენცია).

IX. 1815 წლიდან დაწყებული "ევროპული კონცერტის" ხუთი დიდი სახელმწიფო განსაზღვრავდა მსოფლიოს ბედს. ამ კვინტეტის თავისებურება მდგომარეობდა არა მარტო მათ კულტურულ ერთობასა და ინტერესთა თანხმობაზე, კიდევ უფრო მეტად ეს ეხებოდა სამრეწველო მოდერნიზაციის გატარების ხარისხს. ინგლისი ყველაზე ადრე შევიდა სამრეწველო რევოლუციის ორომტრიალში, მას ფეხდაფეხ მისდევდნენ საფრანგეთი, ავსტრია და პრუსია, ხოლო რუსეთი შედარებით ნაკლებად მონაწილეობდა ამ პროცესში.





ვილჰელმ I ჰოჰენცოლერი (გერ., Wilhelm I) (1797-1888)
პრუსიის მეფე (1861) გერმანიის იმპერატორი (1871)

დიდი ბრიტანეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ უპირატესობას საფრთხე შეექმნა 1870 წელს, როდესაც ასპარეზზე გამოვიდა ოტო ფონ ბისმარკის მიერ გაერთიანებული გერმანია, რომელმაც წინ გაუსწრო ინგლისს ეკონომიკური განვითარების პარამეტრების მიხედვით. იქმნება კრიზისული სიტუაცია: "ევროპული კონცერტიდან" გამოიკვეთა ლიდერი, რამაც აიძულა დანარჩენი სახელმწიფოები გაერთიანებულიყვნენ თავდაცვისათვის.





ფრანც იოსებ I (გერ., Franz Josef I) (1830-1916) ავსტრიის იმპერატორი (1848)
ავსტრია-უნგრეთის დუალისტური მონარქიის იმპერატორი (1867-1916)

ლიდერი—გერმანია (თავის მოკავშირე ავსტრიასთან ერთად) უკვე პრეტენზიას აცხადებს არა მარტო კონტინენტალურ ეკონომიკურ უპირატესობაზე, არამედ პოლიტიკურ ზეგავლენაზეც. გერმანიის მეთაურობით შეიქმნა ეგრეთ წოდებული "სამთა კავშირი": გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა მის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის ერთ ბლოკად გამოსვლა ("ანტანტა"). შექმნილი ბლოკების მიზანს, ერთის მხრივ, წარმოადგენდა გავლენის სფეროების გადანაწილება, ხოლო მეორეს მხრივ ამ გადანაწილების არ დაშვება ახალგაზრდა, აგრესიული სახელმწიფოების სასარგებლოდ. წონასწორობის დარღვევამ გამოიწვია სისტემის მოშლა. მსოფლიო კონფლიქტის მსვლელობის

პროცესში, გერმანიის წინააღმდეგ მიიწვიეს აშშ "ევროპულ კონცერტში", რამაც შიგნიდან ააფეთქა ეს სისტემა. გერმანიამ და აშშ-ა, ორივემ თავ-თავიანთი მხრიდან, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მოსპეს მეტერნიხის, ტალეირანის, კასტელრისა და ალექსანდრე I ქმნილება.

"ევროპული კონცერტის" შემომქმედები



კლემენტ ვენცელ ლოთარ ფონ მეტერნიხი
(გერ., Klemens Wenzel Lothar von Metternich)
(1773-1859)
ავსტრიელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი



შარლ მორის დე ტალეირან-პერიგორი
(ფრ., Charles Maurice de Talleyrand-Périgord)
(1754-1838)
ფრანგი პოლიტიკოსი, დიპლომატი



არტურ უესლი, I ჰერცოგი ველინგტონი
ინგ., (Arthur Wellesley, 1st Duke of Wellington)
(1769-1852)
ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე,
მხედართმთავარი დიდი ბრიტანეთის
პრემიერ-მინისტრი (1828-1830)



ალექსანდრე I რომანოვი
(რუს., Александр I Романов)
(1777-1825)
რუსეთის იმპერატორი (1801-1825)



რობერტ სტიუარტი, ვიკონტი კასლრი, მარკიზი ლონდონდერი
(ინგ., Robert Stewart, Viscount Castlereagh, 2nd Marquess of Londonderry)
(1769-1822) დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (1812-1822)

ვერსალის ეპოქა დაიწყო პირველ მსოფლიო ომში (1914-1918) გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ. კარდინალურად შეიცვალა გეოპოლიტიკურ ძალთა განლაგება. არსებობა შეწყვიტეს გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, რუსეთისა და თურქეთის იმპერიებმა.

მათ ნანგრევებზე აღმოცენდნენ ახალი სახელმწიფოები, რომლებიც მოექცნენ გამარჯვებული სახელმწიფოების გავლენის სფეროში.




ევროპა I მსოფლიო ომის წინ

განვიხილოთ პირველი მსოფლიო ომის ეკონომიკური და სოციალური შედეგები. ომის დამასრულებელ ეტაპზე მასში მონაწილეობას იღებდა 33 სახელმწიფო (1,5 მილიარდი ადამიანი, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 90%), მათ შორის არაევროპული სახელმწიფოები ჩინეთი, იაპონია, აშშ, ლათინური ამერიკის ქვეყნები. გლობალური მასშტაბის ომის შედეგად დაიღუპა 10 მილიონი და დასახიჩრდა 20 მილიონი ადამიანი. ამას დაემატა ომის შემდეგ გრიპის, ტიფისა და სხვა ეპიდემიების შედეგად დაღუპული 18 მილიონი ადამიანი. დაიხარჯა კოლოსალური თანხები ომის წარმოებისათვის: ბრიტანეთის იმპერია – 23 მილიარდი დოლარი, გერმანია – 19 მილიარდი დოლარი, აშშ – 17,1 მილიარდი დოლარი, საფრანგეთი – 9,3 მილიარდი დოლარი, რუსეთი – 5,4 მილიარდი დოლარი. პირდაპირი სამხედრო დანახარჯებისა და დანაკარგების პარალელურად უნდა გათვალისწინებული იყოს აგრეთვე არაპირდაპირი ხასიათის დანაკარგები და ხარჯები: ომის წლებში არწარმოებული ეროვნული პროდუქტი, არდაბადებული მოსახლეობა, მოსახლეობის კლება ომის უბედურებებისა და ომისშემდგომი გაღატაკების შედეგად. მოკლედ რომ ვთქვათ ევროპის სოციალურ-ეკონომიკურმა სისტემამ განიცადა საშინელი დარტყმა.

არანაკლებ მდგომარეობაში აღმოჩნდა ევროპული კონცერტის სისტემაც. ვერსალის კონფერენციის დაწყებამდე 5 დიდი სახელმწიფოდან ერთმა (ავსტრია-უნგრეთი) შეწყვიტა არსებობა, ორი (გერმანია და რუსეთი) ტრადიციული მონარქიული რეჟიმების დამხობის შედეგად იმყოფებოდნენ ღრმა შიდა კრიზისის სიტუაციაში. ამიტომაც წესრიგის დაცვის ამოცანა დააწვა საფრანგეთსა და ინგლისს. თუმცა სულ მალე ნათელი გახდა, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკური, სამხედრო-ტექნიკური და დემოგრაფიული რეალური წონა არასაკმარისია აღმოცნდა ამ ფუნქციის შესასრულებლად. ასპარეზზე გამოვიდა ახალი მსოფლიო ლიდერი აშშ.

XIX საუკუნის დასასრულისათვის აშშ გახდა უძლიერესი ეკონომიკური სახელმწიფო. 1913 წლისათვის წარმოების საერთო მოცულობის მიხედვით აშშ უსწრებდა ინგლისს 2,5 ჯერ; ფოლადის წარმოების მიხედვით აწარმოებდა იმდენს რამდენსაც გერმანია, ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი ერთად აღებული. შეერთებულ შტატებს ჰქონდა არა მარტო ინდუსტრიული, არამედ ტექნოლოგიური უპირატესობაც: XX საუკუნის დასაწყისისათვის შტატებში იწარმოებოდა უფრო მეტი ავტომობილი და ტელეფონი ვიდრე მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში. კონვეირული წარმოების შედეგად, ყოველწლიურად ამერიკელები აწარმოებდნენ რამოდენიმე ასეულ ათას ავტომანქანას. კონვეირული წარმოება იყო არა მარტო გენიალური ტექნიკური გამოგონება, არამედ ეს იყო ინდუსტრიალიზმის ახალი ფილოსოფია, რომელიც სულ მალე მოედო მთელ მსოფლიოს. ანუ უკვე ამერიკული ცხოვრების წესი გახდა უნივერსალური მისაბაძი მთელი მსოფლიოსათვის და არა ევროპული. 1920 წლისათვის შეერთებული შტატები აწარმოებდნენ 10%-ით უფრო მეტ სამრეწველო პროდუქციას ვიდრე ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და იაპონია ერთად აღებული.

ცვლილებები შეეხო საფინანსო სფეროსაც. მსოფლიო ომამდე ლონდონი ითვლებოდა მსოფლიოს საფინანსო დედაქალაქად, ხოლო ფუნტი სტერლინგი კი უნივერსალური სახის მსოფლიო ვალიუტად. 1914 წლისათვის უცხოური ინვესტიციები ამერიკულ ფასიან ქაღალდებში აჭარბებდნენ 5,5 მილიარდ დოლარს, ხოლო ამერიკული კაპიტალი სხვა ქვეყნებში – 2,5 მილიარდ დოლარს.

1915-1920 წლებში აშშ-ს აქტიურმა საგადასახადო ბალანსმა შეადგინა 17,5 მილიარდი დოლარი: ანტანტის ქვეყნები აქტიურად ყიდულობდნენ აშშ-ი მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებს, ჭურვებს, კვების პროდუქტებს და სხვა. 1921 წლისათვის შტატებისადმი ევროპელთა დავალიანებამ შეადგინა, იმ დროისათვის, ასტრონომიული თანხა 15 მილიარდი დოლარი. და ევროპელთა საკუთრებამ სამხრეთ ამერიკაში თანდათანობით დაიწყო ამერიკელთა ხელში გადასვლა. მსოფლიოს უახლეს ისტორიაში შიექმნა პარადოქსალური სიტუაცია ევროპა ეკონომიკურად დამოკიდებული გახდა არაევროპულ ძალის ცენტრზე.



**ხიროხიტო (1901-1989) იაპონიის 124-ე იმპერატორი (1926-1989)**

პირველი მსოფლიო ომის შედეგად მკვეთრად გაძლიერდა იაპონია: სამჯერ გაიზარდა საგარეო ვაჭრობის მოცულობა, ორჯერ გაიზარდა ფოლადისა და ცემენტის წარმოება. აშშ-ს მსგავსად იაპონია გადაიქცა ერ-კრედიტორად. იმავე პერიოდში იაპონია გადაიქცა მსოფლიოში უდიდეს გემთმშენებელ ქვეყანად. მაგალითად 1919 წლისათვის მათ ააგეს 650 ათასი ტონა წყალწყვის გემები და შეეიდა მსოფლიოს უმსხვილეს ინდუსტრიალურ ქვეყანათა რიცხვში. იაპონიამ განიმტკიცა პოზიციები დიდ სახელმწიფოთა პრივილეგირებულ კლუბში და ამიერიდან ტოკიოს გარეშე აღარ წყდებოდა უსაფრთხოების არცერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემა შორეულ აღმოსავლეთში.

იაპონიის, როგორც სახელმწიფოს განვითარება, სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია მისი ბუნებივ-გეოგრაფიული მდგომარეობით. იგი არის კუნძულებზე განლაგებული სახელმწიფო. მისი კუნძულოვანი მდებარეობა განსაზღვრავს ეროვნული ცხოვრების წესსა და სხვა სახელმწიფოებთან მისი ურთიერთობის ხასიათს, როგორც მშვიდობიან, ასევე ომიანობის დროს. იაპონია ოდითგანვე გამოირჩევა კარგი სტრატეგიული მდებარეობით – ცენტრალური კონცენტრირებული პოზიციით, საიდანაც მას შეეძლო თავისი ძალების გადასროლა ნებისმიერი საფრთხისაგან თავდასაცავად.

იაპონიის კუნძულოვანი ხაისათი, ბუნებრივი რესურსების სიმწირე, ინდუსტრიალიზაცია, ნედლეულისა და საგარეო ბაზრების აუცილებლობა – აი რა ფაქტორები განსაზღვრავდა მის ქმედებებს. იგი მსოფლიო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც დასავლეთის სახელმწიფოებს მთელი ტერიტორიები უკვე მიტაცებული ჰქონდათ. იაპონიამ (1895) ჩინეთს წაართვა ფორმოზა (ტაივანი), 1904-1904 წლების რუსეთ-იაპონიის ომის შედეგად კი ჩამოყალიბდა, როგორც მსოფლიო ბატონობაზე პრეტენზიების მქონე სახელმწიფო. 1910 წელს მოახდინა კორეის ანექსირება. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, დაიპყრო გერმანიის კოლონიები წყნარ ოკეანეში, რომელსაც მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ვერსალის ხელშეკრულებით კი მიაღწია ამ ტერიტორიებზე სამანდატო უფლებას. გაიზარდა ნაციონალური სიამაყის გრძნობა, რაც მოგვიანებით იმპერიალიზმში გადაიზარდა, 1934 წელს კი იაპონიამ გამოაცხადა თავისი პან-აზიური დოქტრინა, ანუ მოინდომა შორეულ აღმოსავლეთში საკუთარი წესრიგის დამყარება.

ამავე დროს, იაპონია დიდად იყო დამოკიდებული ექსპორტზე – შემოჰქონდა რიგი საქონლის 50-100%, მათ შორის ნავთობის. იგი ისეთი სამრეწველო საქონლის შექმნით იყო დაკავებული, რომელთა დამზადება სწრაფად და იაფად შეიძლებოდა აზიის ბაზრებზე გასატანად. დიდი ომის შემთხვევაში კი სწრაფად უნდა მოეხდინა მძიმე მრეწველობის განვითარება, რათა ეპასუხა მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნისათვის.

XX საუკუნის დასაწყისის იაპონიის სახელმწიფო იდეოლოგიაში მრავალი ელემენტის ნაზავი იყო. მისი ფესვები მომდინარეობს ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან. XII საუკუნეში, ფეოდალიზმის დროს ჩამოყალიბდა სამხედრო არისტოკრატია, რომელსაც საკმაო სამოქალაქო და პოლიტიკური ძალაუფლება ჰქონდათ. ისინი ზრუნავდნენ იმისათვის, რომ დაემკვიდრებინათ ისეთი სოციალური წარმონაქმნი, ხელისუფლების სტრუქტურა და სამართლებრივი საფუძვლები, რომელიც მათ ძალაუფლების სათავეში დარჩენის საშუალებას მისცემდა. სამურაის კულტის განვითარებამ და სიოგუნატის აღმოცენებამ შემდგომში იმპერატორის კულტის ზრდა გამოიწვია.

იაპონიის ეროვნული იდეოლოგიის, როგორც ასეთის, ფესვები ტოკუგავას ეპოქაში იკარგება.

ამ პერიოდში ყალიბდება ორთოდოქსული, დოგმატური, თანმიმდევრული იდეოლოგია, რომელიც კონფუციანიზმის საფუძვლებს ეყრდნობა. ერის განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტად განათლება მიიჩნევა. კვლევები მიმდინარეობს ზნეობრივ ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიასა და ერენულ ისტორიაში, სამხედრო ხელოვნებასა და პოლიტიკაში.

ტოკუგავას პერიოდში დიდი ინვესტიციები იდება განათლების სფეროში, განსაკუთრებით ეროვნული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, არსდება ბიბლიოთეკები და არქივები. ამ კულტურულ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს კონფუციანისტური ან ნეოკონფუციანისტური იდეოლოგია.

ამ დროს მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრია შოჰეიკოს სკოლა, რომელიც ტოკუგავას ადმინისტრაციამ დააარსა. ეს სკოლა არის იმ პერიოდის უმაღლესი სასწავლებელი. ამას გარდა, იქმნება 375 კერძო სკოლა და

ოფიციალური ნებართვით იხსნება 1400 სკოლა, მათ შორის რამდენიმე ტაძრის სკოლა (ტერაკოია), რომლებიც იმდროინდელმა რელიგიურმა ისტებლიშმენტმა დააარსა.



ამატერასუ ომიკამი (იაპ., □ □ □ □ ,) ამომავალი მზის ქალღმერთი

ამ სკოლებში ამუშავებენ იაპონიის სახელმწიფო იდეოლოგიის საკითხებს, მიმდინარეობს კვლევები რელიგიურ საკითხებშიც. ხდება ამ იდეების შერწყმა ადგილობრივ ისტორიულ და ლიტერატურულ კულტურასთან. მოგვიანებით ეს კვლევები ორ შტოდ გაიყო: იაპონიის ლიტერატურის "მეცნიერულ გამოძიებად", ანუ ლიტერატურული კუთხით განვითარდა, მეორე კი თეოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებით – სინთოიზმს მიძღვნა. ჰირატა აცუტანემ შეიმუშავა კოკუტაკოს დოქტრინა, რომელიც იაპონიას აცხადებდა კამის ქვეყანად და ამტკიცებდა სამეფო დინასტიის უნიკალურობას. იგი ამბობდა, რომ იაპონიას სინთოიზმი უნდა გამოეცხადებინა ერთადერთ რელიგიად სახელმწიფოში.





ჯიმუ ტენო (იაპ., 神武天皇)(ძ.წ.660-585)
იაპონიის პირველი ლეგენდარული იმპერატორი

მეიძის რევოლუციის შემდეგ იაპონიაში უკვე არსებობდა ერთიანი ლიდერი (იმპერატორი), რომელსაც დიდი ძალაუფლება გააჩნდა და შეეძლო მანევრული მმართველობა ჰომოგენური ეროვნული განათლების, რელიგიის უზრუნველსაყოფად და გამოეწვია მოსახლეობის სიამაყის ზრდა ქვეყნის წარსული ისტორიის გამო. იაპონიის იმპერატორი არის იაპონიის იდეოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა. მას გამსაკუთრებული კავშირი აქვს სახელმწიფო სინთოიზმის სახით წარმოდგენილ ეროვნულ რელიგიასთან და მილიტარისტებთან, როგორც იმპერატორის გაღმერთების კულტის ცენტრს და ამომავალი მზის ქალღმერთის ამატერასუ ომიკამისა და პირველი ღვთიური და მითიური იმპერატორის ჯიმუს შთამომავალს. ჩინეთ-იაპონიის პირველი

კონფლიქტიდან წყნარი ოკეანის ომამდე იმპერატორი წარმოადგენდა უმაღლეს მეთაურს და მთავარსარდალს, 1945 წლის აგვისტომდე.

მეიძის რესტავრაციის შემდეგ დაიწყო მონოპოლიების შექმნის ბუმი. ნაწილობრივ ეს მოხდა სახელმწიფო ინვესტიციების გამო, რამდენადაც მონოპოლიები ემსახურებოდნენ იაპონიის მსოფლიო ეკონომიკურ ძალად გადაქცევის მიზანს. თვით სახელმწიფოც ფლობდა ზოგიერთ მონოპოლიას, დანარჩენს – ძაიბაცუ, ანუ სამრეწველო არისტოკრატია. მონოპოლიები ქმნიდნენ ეკონომიკის ცენტრალურ ბირთვს, ნაწილობრივ მათ აკონტროლებდა სახელმწიფო.

იაპონიის ძაიბაცუ (იაპ., 財閥 საკუთრება-ტერმინი, რომელიც აღნიშნავს კონგლომერატს, ან "ფინანსურ კლანს") ანუ საბანკო და სამრეწველო არისტკრატია, სათავეს იღებს ბაკუფის მონოპოლიების საიაჭრო ადმინისტრაციაში, სიოგუნატის დროს. ეს იყო ეკონომიკის ერთპიროვნული კონტროლი. რომელშიც არსებობდა სახელმწიფო და კერძო მონოპოლიის საერთო პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებული იყო სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან. კერძო მონოპოლიებს ფლობდა ზოგიერთი ოჯახური კლანი, როგორიცაა მიცუბისი (იაპ., 三菱), მიცუი (იაპ., 三井), პირველ მათგანს ჰქონდა გავლენა საზღვაო ძალებზე, მეორეს – არმიაზე. ეს და სხვა კლანები (სუმიტომო-იაპ.,住友, იასუდა-იაპ.,安田) დიდი გავლებით სარგებლობდნენ ცენტრალურ მთავრობაზე. ისეთი ტრადიციული პარტია, როგორიცაა სეიუკაი, მხარს უჭერდა მიცუის ინტერესებს, მინსეიტოს პარტია კი იცავდა მიცუბისის ინტერესებს. ეს ჯგუფები ეკონომიკის კონტროლით ახორციელებდნენ გარკვეულ კონტროლს ეროვნულ ბიუჯეტსა და პოლიტიკურ ადმინისტრაციაზე.

იაპონიის იდეოლოგიური სტრუქტურის ფესვები ქვეყნის ღრმა წარსულში იკარგება. ეს არის წარსულისა და თანამედროვეობის უნიკალური ნაზავი.

მეიძის პერიოდში შეიქმნა ერთიანი იდეოლოგია მაღალი მორალური ეროვნული ღირებულებების სულისა და იაპონური ეთიკის შესანარჩუნებლად. ამ პერიოდის იაპონელი მოაზროვნეები დასავლურ ღირებულებებს ამორალურად თვლიდნენ, თუმცა საინტერესოდ მიიჩნევდნენ სოციალური დარვინიზმისა და ბისმარკის დროის გერმანიის სახემწიფო ორიენტაციის იდეებს.

ტრადიციონალისტები აღიარებდნენ განათლების მნიშვნელობას. 1872 წელს იმპერიული ბრძანებით, იაპონიის საგანმანათლებლო სისტემა დაფუძნდა დასავლურ საგანმანათლებლო სისტემაზე, მაგრამ ახდენდა სინთოისტური იდეალებისა და საზოგადოებისა და პიროვნების მორალის კონფუციანისტური დოქტრინების უნიფიცირებას იაპონიის ეროვნული რეკონსტრუქციის უზრუნველყოფის მიზნით. 1890 წელს იმპერატორმა გამოსცა "განათლების საიმპერიო ედიქტი", სადაც ყველა სინთოისტური და კონფუციანისტური ღირებულებები შეერწყა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემას სახელმწიფოს სამსახურისათვის.

მიმდინარეობს ადგილობრივი ისტორიის, რელიგიისა და კულტურის ეგზალტაცია ისეთ მილიტარისტულ იდეებთან, როგორიცაა ბუშიდოს კოდექსი, და მისი დანერგვა განათლების სისტემაში. მაგრამ ამ განათლების სისტემის მთავარი არსი გამოჩნდა მეიძის რევოლუციის განხოციელების შემდეგ, როცა მოხდა ომის კოდექსი ინტეგრირება ეროვნული განათლების სისტემაში და იმპერატორმა ბრძანა იაპონიის იმპერიული არმიისა და საზღვაო ფლოტის რესკრიპტის დაწერა. იგი მიიჩნეოდა ქვეყანაში პოლიტიკისა და რელიგიის უკანასკნელ სიტყვად და ყველა ქვეშევრდომი ვალდებული იყო, რომ სცოდნოდა იგი. ეს საფუძველს უყრიდა იმპერატორის თაყვანისცემის კულტს, მხარს უჭერდა მომავალში ერთიანი სახელმწიფო რელიგიის შექმნას, და განამტკიცებდა იაპონიის მილიტარიზმის იდეოლოგიურ საფუძვლებს. ამ პერიდში დაიბადა "ძლევამოსილი ქვეყნის, უმდიდრესი ერის" დოქტრინა და

მოხდა სამთავრობო და კერძო მონოპოლიების შექმნა ერთიანი, ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი, მსოფლიოსათვის სამაგალითო ქვეყნის ფორმირებისათვის. და ამისი ერთ-ერთი საფუძველი სწორედ განათლება იყო. ეს იდეოლოგიური ხაზები გრძელდება შოვას პერიოდის განმავლობაში, როცა მილიტარისტებმა შექმნეს მილიტარისტული დოქტრინა ეროვნული განათლებისათვის, ხელი შეუწყეს მილიტარისტული და პოლიტიკური ხასიათის ახალგაზრდულ ასოციაციებს და სამხედრო ნაწილებში შექმნეს ახალგაზრდული სექციები.



ტორიი (იაპ., 鳥居)სინთოიზმის სიმბოლო

იაპონიის სახელმწიფო რელიგიის – სინთოიზმის იდეოლოგიური საფუძვლები მეიძის რესტავრაციაში დევს, როცა იაპონიის მთავრობამ განავითარა მეტად ცენტრალიზებული და იდეოლოგიური სახელმწიფო კონცეფცია, ერთი ცენტრალური და უნიკალური რელიგიით. მთავრობამ, პოლიტიკურმა მოაზროვნეებმა და თეოლოგებმა გადაწყვიტეს, რომ ჩამოეყალიბებინათ ერთი ცენტრალიზებული რელიგიური აპარატი, რომელსაც გააკონტროლებდნენ ცენტრალიზებული სახელმწიფოსათვის და გადააქცევდნენ ერის უპირველეს და უმთავრეს რელიგიად, ანუ მოხდებოდა ეროვნული წარმოდგენების, ადგილობრივი მითების, განათლების, ფილოსოფიის, ადგილობრივი კულტურისა და ეროვნული ღირებულებების ადმინისტრირება. ეს სტრუქტურა პასუხისმგებელია იმპერატორისა და სამეფო ოჯახის გაღმერთების კულტის ეროვნული წარმოდგენის მორალურ მხარდაჭერაზე. შეუერთდა რა ამ მორალურ მცდელობებს, მთავრობამ მოახდინა ზოგიერთი დაწესებულების ორგანიზება ეროვნული რელიგიური საწყისების გამოსაკვლევად და ადგილობრივ საპოლიციო სამსახურებს, როგორიც იყო კომპეიტო და ტოკიოს რეგულარული პოლიცია, აგრეთვე იაპონიის არმიასა და საზღვაო ძალებს, მისცა მორალური ცენზორობის სპეციალური უფლება, რათა დაეცვათ ახალი რელიგიური სტრუქტურა.

იაპონიის მილიტარიზმ-სოციალიზმი არის იაპონური ეროვნული იდეოლოგიის ის ელემენტი, რომელიც სიოგუნატის დროიდან იღებს სათავეს, როცა ჩოსუს კლანმა მიიღო ომის დეპარტამენტის მმართველობა. ეს არის მილიტარიზმის შერწყმა, რომელსაც სურს საგარეო დაპყრობები და მძლავრი სამხედრო სახელმწიფოს შექმნა, სახელმწიფო სოციალიზმის ელემენტებთან. ისინი გამოხატავდნენ სამურაისა და მისი ღირსების კოდექსის "ბუშიდოს" ღირებულებებისა და იაპონიის მილიტარიზმის უზენაესობას, მათი მიზნებისათვის ერთიანი მძლავრი ელიტარული ერისა და ისეთი მთავრობის შექმნას, რომელსაც სათავეში ეყოლებოდა ერთი სამხედრო ლიდერი, ან – იმპერატორის სახით ერთიანი ძლევამოსილი სიმბოლო.

როგორც ვხედავთ, იაპონიის პოლიტიკაში ერთმანეთს მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული მრავალი სხვადასხვაგვარი ელემენტი. მთლიანობაში ეს ქმნიდა

მონოლითურ კონცეფციას, საკმაოდ მტკიცე იდეოლოგიურ ბაზისს, რომელსაც დაეფუძნა იაპონიის პოლიტიკა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის I ნახევარში.

ევროცენტრისტულმა მსოფლიო წესრიგმა, ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკურის პარალერურად, განიცადა აგრეთვე იდეოლოგიური საფუძვლების რყევა. ევროპული კონცერტის დეიდეოლოგიზირებული "პოლიტიკური რეალიზმის" ეპოქა, მისი პრინციპებითა და არისტოკრატიული ჰომოგენურობით, თამაშის საერთო წესებით წარსულს ჩაბარდა. პირველმა მსოფლიო ომმა წერტილი დაუსვა დეიდეოლოგიზირებულ საერთაშორისო წესრიგს, რამეთუ ძალიან დიდი იყო ზღვარი რეალურად არსებულ სინამდვილესა და სისტემის მორალურ-პოლიტიკურ საფუძვლებს შორის. და მოხდა გარდაუვალი. ამ პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობები უკვე დაფუძნებულია არა "მამა-პაპურ" realpolitik-ზე არამედ იდეოლოგიაზე.

იმ დროს არსებული წამყვანი იდეოლოგიური მიმდინარეობებისათვის (ლიბერალური, კომუნისტური, ნაციონალ-სოციალისტური) აბსოლუტურად მიუღებელი იყო რეალისტური პარადიგმა, რომლის შესაბამისადაც საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ სუბიექტებს წარმოადგენდნენ სახელმწიფოები (პირველ რიგში დიდი სახელმწიფოები), რომელთა ურთიერთობები დაფუძნებული იყო მსოფლიოში საკუთარი ძალაუფლებისა და გავლენის გაფართოებაზე. ლიბერალებისათვის მსოფლიო წარმოადგენდა დემოკრატიისა და ტოტალიტარიზმის ასპარეზს, კომუნისტებისათვის საერთაშორისო ურთიერთობები წარმოადგენდნენ კლასობრივი ბრძოლის კიდევ ერთ გამოვლინებას, ნაცისტებისათვის საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა "რასებს შორის ბრძოლა". იდეოლოგიურ პარადიგმაზე აგებულმა საერთაშორისო ურთიერთობებმა კაცობრიობა მიიყვანა მეორე მსოფლიო ომამდე.





თომას ვუდრო ვილსონი (ინგ., Thomas Woodrow Wilson) (1856-1924)
აშშ-ს 28-ე პრეზიდენტი (1913-1921) აღიარებული ისტორიკოსი და პოლიტოლოგი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1919)

ვერსალის სისტემას ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარა პარიზის სამშვიდობო კონფერენციამ და მასზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა. კონფერენცია გაიხსნა 1919 წლის 18 იანვარს. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია (გერმანიასთან უშუალოდ მეომარი ქვეყნები); კერძო ინტერესების მქონე ქვეყნები (ბრიტანეთის დომინიონები, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები) და ევროპის ზოგიერთი ქვეყანა; ქვეყნები, რომლებმაც ომი გამოუცხადეს გერმანიასა და მის მოკავშირეებს, მაგრამ ომში მონაწილეობა არ მიუღიათ (ჩინეთი და იაპონია).



ერთა ლიგის დროშა

1919 წლის 14 თებერვალს მიიღეს ერთა ლიგის (პირველი ნამდვილად საერთაშორისო ორგანიზაცია, საკუთარი სტრუქტურითა და შტატით) წესდება სამშვიდობო ხელშეკრულების პირველი 26 სტატიის საფუძველზე. შეერთებული შტატებისათვის ეს ნიშნავდა, ერთა ლიგის მეოხებით, მსოფლიო ლიდერად გახდომა, ინგლისს უნდოდა საკუთარი კოლონიალური სისტემის შენარჩუნება, ხოლო საფრანგეთს — ევროპაში ჰეგემონობა.

ერთა ლიგის წესდება წარმოადგენდა პოლიტიკური იდეალიზმის ყველაზე თვალსაჩინო დოკუმენტს. აღნიშნული იყო, რომ ამიერიდან ყველა ქვეყანა თავის ურთიერთობებს ააგებს საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით და აღარ მიმართავს საომარ მოქმედებებს. VIII სტატიაში საუბარი იყო ქვეყნების ვალდებულებაზე შეემცირებინათ შეიარაღება. X სტატიაში დეკლარირებული იყო ტერიტორიული მთლიანობის გარანტიის პრინციპი და ერთა ლიგის წევრ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის აღიარება. XI სტატია ითვალისწინებდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც შეეძლო გამოეყენებინა ერთა ლიგას მისი წევრების წინააღმდეგ ომის საფრთხის ან დაწყების შემთხვევაში. XVI სტატია ითვალისწინებდა ერთა ლიგის წევრების ერთობლივ გამოსვლას აგრესორის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედებები გასცდებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს და საფრთხეს შეუქმნიდა მშვიდობას. XXII სტატიით გერმანიის კოლონიები და თურქეთის ვასალური სამფლობელოები გადაეცა დიდ სახელმწიფოებს სამანდატო ტერიტორიების სახით, რათა მოემზადებინათ ეს ქვეყნები თვითმმართველობისათვის.


ვერსალის სასახლე

1919 წლის 28 ივლისს ვერსალის სასახლის სარკეებიან დარბაზში (1871 წლის იანვარში ოტო ფონ ბისმარკმა აქ გამოაცხადა გერმანიის იმპერიის შექმნა) ხელი მოეწერა ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებას (ძალაში შევიდა 1920 წლის 10 იანვარს). იგი გახდა ახალი გეოპოლიტიკური ეპოქის ვერსალის სისტემის საფუძველი. ამ ხელშეკრულებით ახალ საერთაშორისო სისტემაში იმდენი შენელებული მოქმედების ნაღმი იყო ჩადებული, რომ მშვიდობა მსოფლიოში მხოლოდ 20 წლის განმავლობაში იქნა შენარჩუნებული (მხედველობაში თუ არ მივიღებთ ლოკალური ხასიათის ომებს: იტალია — აბისინია, იაპონია — ჩინეთი, სსრკ — ფინეთი და სხვა).

ყველაზე დიდ ნაღმს წარმოადგენდა ვერსალის ანტიგერმანული დებულებები:

საარის მხარე 15 წლით გადაეცა საფრანგეთს (სამხედრო რეჟიმი); რეინის ზონის დემილიტარიზაცია საფრანგეთის საოკუპაციო რეჟიმით 15 წლიანი ვადით; ტერიტორიული დათმობები ბელგიის, დანიის, ლიტვისა და პოლონეთის სასარგებლოდ; ყველა კოლონიალური სამფლობელოს დაკარგვა; რეპარაციები (მოკავშირეთა 1921 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად 132 მილიარდი ოქროს მარკა, ხოლო 1924 წლის დაუესის გეგმის შესაბამისად 50 მილიარდი ოქროს მარკა); გერმანიის შეიარაღების შეზღუდვა (100 ათას კაციანი რეიხსვერი; გენერალური შტაბისა და სამხედრო აკადემიის გაუქმება; ტანკების, ავიაციისა და წყალქვეშა ფლოტის აკრძალვა); გერმანიის მორალური დამცირება (ვერსალის ხელშეკრულების 231-ე სტატიის თანახმად პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დააკისრეს გერმანიას).

არანაკლები სიმწვავის იყო ანტირუსული დებულებები: "ძლიერი პოლონეთის" სასარგებლოდ დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის გადაცემა; "ძლიერი რუმინეთისათვის" ბესარაბიის გადაცემა.




"ღვთის სახელმწიფოების" წარმომადგენლები: ვილჰემ II, მეჰმედ V და ფრანც იოსები

ახალი გეოპოლიტიკური ეპოქის არსში გარკვევისათვის მოკლედ მიმოვიხილოთ გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან დადებული ხელშეკრულებები:

სენ-ჟერმენის ხელშეკრულება – ავსტრიასთან (ხელი მოეწერა 1919 წლის 10 სექტემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1920 წლის 16 ივლისს): 30 ათასიანი არმიის ყოლის უფლება; გერმანიასთან გაერთიანების აკრძალვა; სუდეტის ოლქი გადაეცა ჩეხოსლოვაკიას; კარინტია, კრაინა და სამხრეთ ტიროლი – იტალიას.

ნეიის ხელშეკრულება – ბულგარეთთან (ხელი მოეწერა 1919 წლის 27 ნოემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1920 წლის 9 აგვისტოს): 20 ათასიანი არმიის ყოლის უფლება; 2,2 მილიარდი ოქროს ფრანკის ოდენობის რეპარაციები; დაკარგა ეგეოსის ზღვაზე გასასვლელი და დასავლეთ თრაკია, სამხრეთ დობრუჯა და იუგოსლავიის მოსაზღვრე ზოგიერთი ტერიტორია.

ტრიანონის ხელშეკრულება – უნგრეთთან (ხელი მოეწერა 1920 წლის 4 ივნისს, ხოლო ძალაში შევიდა 1921 წლის 26 ივლისს): 35 ათასიანი არმიის ყოლის უფლება; ტრანსილვანია და აღმოსავლეთ ბანატი გადაეცა რუმინეთს; სლოვაკია და კარპატებისქვეშა რუსეთი – ჩეხოსლოვაკიას; დასავლეთ ბანატი, ბაჩკუ და ხორვატიის ნაწილი – იუგოსლავიას.

სევრის ხელშეკრულება – თურქეთთან (ხელი მოეწერა 1920 წლის 10 აგვისტოს, ხოლო ძალაში არ შევიდა): თურქეთის იმპერიის ლიკვიდაცია; აღმოსავლეთ თრაკია და იზმირის რაიონი გადაეცა საბერძნეთს; დოდეკანეზის კუნძულები და სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიაში გავლენის სფერო – იტალიას; კილიკია და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში გავლენის სფერო –

საფრანგეთს; კვიპროსი და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში გავლენის სფერო – ინგლისს; ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლია გადაეცა სომხეთის რესპუბლიკას; სრუტეების ზონის სრული დემილიტარიზაცია და საერთაშორისო კომისიის კონტროლისადმი დაქვემდებარება; სრუტეების სრული ინტერნაციონალიზაცია.



თურქეთის იმპერიის ეროვნული დევიზი იყო "მარადიული სახელმწიფო" (دولت ابد مدت Devlet-i Ebed-müddet)

ლოზანის ხელშეკრულება – თურქეთთან (ხელი მოეწერა 1923 წლის 24 ივლისს): ანკარამ აღიარა თურქეთის იმპერიის ლიკვიდაცია; თურქეთს გადაეცა აღმოსავლეთ თრაკია; დიდმა სახელმწიფოებმა უარი სთქვეს თურქეთის შიდა საქმეებზე კონტროლის განხორციელებაზე.



ლოიდ ჯორჯი, ვიტორიო ორლანდო, ჟორჟ კლემანსო და ვუდრო ვილსონი

შემოღებული იქნა ეგრეთ წოდებული სამანდატო სისტემა. კოლონიალურმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო უასფრთხოების ახალი ორგანიზაციისაგან – ერთა ლიგისაგან – მიიღეს მანდატები კოლონიების მართვისათვის, რომლებსაც ამიერიდან "სამანდატო ტეროტიროიები" ეწოდათ. ერთა ლიგის მანდატები დაყოფილი იყო "A", "B" და "C" კატეგორიებად. მაგალითად "C" კლასის მანდატი საშუალებას აძლევდა მის მფლობელს სამანდატო ტერიტორია ემართა საკუთარი ეროვნული კანონების შესაბამისად და არ დაეშვა სამანდატო ტერიტოირაზე უცხოური კაპიტალი. მანდატები შემდეგნაირად იქნა განაწილებული: დიდმა ბრიტანეთმა მიიღო პალესტინა, მესოპოტამია, ტანგანიკა, ტოგოსა და კამერუნის ნაწილი; საფრანგეთმა – სირია, ლიბანი, ტოგოსა და კამერუნის დანარჩენი ნაწილი; ბელგიამ – რუანდა და ბურუნდი; იაპონიამ – მარშალის, კაროლინისა და მარიანის კუნძულები; სამხრეთ აფრიკის კავშირმა – გერმანიის ყოფილი სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა; ავსტრალიამ – ნაირუს კუნძული, ახალი გვინეას გერმანიის ყოფილი ნაწილი და

ეკვატორის სამხრეთით მდებარე კუნძულები; ახალმა ზელანდიამ – სამოას სამხრეთით მდებარე კუნძულები.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ 1918 წლის დასასრულისათვის ევროპულმა კონცერტმა, იმ სახით რა სახით ის არსებობდა 1815-1914 წლებში, შეწყვიტა არსებობა.

1918 წელს ავსტრია-უნგრეთი, გერმანია და რუსეთი გაქრნენ მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან, როგორც დიდი სახელმწიფოები;

ინგლისი და საფრანგეთი, ევროპული კონცერტის დარჩენილი წევრები, აღმოჩდნენ. ეკონომიკურად და ფინანსურად, არაევროპულ ძალის ცენტრზე (აშშ-ზე) დამოკიდებულები, რაც თავისთავად გამორიცხავდა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას მათ სრული დამოუკიდებლობას; ევროპული კონცერტის ფილოსოფიურ საფუძვლებს (პოლიტიკურ რეალიზმს) დაუპირისპირდა იდეოლოგიური გამოწვევა (ლენინის დეკრეტი მშვიდობის შესახებ და ვილსონის 14 პუნქტი).



ვლადიმერ ულიანოვი-ლენინი (რუს., Владимир Ульянов- Ленин) (1870-1924) საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი

სამწუხაროდ პირველი მსოფლიო ომის სისხლიანი გაკვეთილები საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რათა დიდ სახელმწიფოებს ერთხელ და სამუდამოდ ამოეღოთ საკუთარი არსენალიდან ომი და აგრესია, როგორც საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტის ინსტრუმენტები. პირიქით, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, დიდმა სახელმწიფოებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა არსებულ წინააღმდეგობებსა და წარმოქმნილ არამდგრადობას მიეღო მზარდი და გლობალური ხასიათი. შედეგმაც არ დააყოვნა, და ისევე როგორც 25 წლის წინ, თავი იჩინა შიდა წინააღმდეგობამ იმავე მიზეზით და 1939 წელს მოხდა ახალი აფეთქება – მეორე მსოფლიო ომი წამყვან დასავლურ სახელმწიფოებს შორის – მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის.

## იალტა-პოტსდამის სისტემა (1945-1992)

მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, როგორც ლოკალური ხასიათის მქონე, მაგრამ სულ მალე მან მიიღო გლობალური ომის სახე. მასში მონაწილეობდა 60-ზე მეტი ქვეყანა (დედამიწის მოსახლეობის 4/5). ომში დაიღუპა 50 მილიონზე მეტი ადამიანი. მეორე მსოფლიო ომი იყო ლოგიკური შედეგი იმ პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდნენ დიდი სახელმწიფოები ვერსალის სისტემის პერიოდში. ნაციზმის წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ვერსალის ხელშეკრულების ანტიგერმანული დებულებები. ნაცისტებმა გერმანელი ერის დარაზმვისა და მასში რევანშისტული განწყობის გაღვივებისათვის მთავარ არგუმენტად გამოიყენეს გერმანიის ეროვნული დამცირების იდეა.





**ეროვნული დევიზი "ერთი ხალხი, ერთი იმპერია, ერთი ბელადი"**
**"Ein Volk, ein Reich, ein Führer"**



**ადოლფ ჰიტლერი (გერ., Adolf Hitler) (1889-1945)**
**გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის ფიურერი (ბელადი) (29.07.1921), გერმანული ნაციზმის ფუძემდებელი, გერმანიის ფიურერი და რაიხსკანცლერი (02.08.1934), გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი II მსოფლიო ომის დროს.**

კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა, რომლის შექმნასაც ცდილობდა ერთა ლიგა, არაქმედითი აღმოჩნდა მისი იდეალისტური ხასიათის გამო, რამეთუ პრობლემის გადაწყვეტისადმი იდეოლოგიური მიდგომა და დაინტერესებული მხარეების ინტერესეთა სხვადასხვაობა განაპირობებდა მათ მიერ გატარებული ღონისძიებების არაქმედით ხასიათს.

აშშ არ შედის მისივე ინიციატივით შექმნილ ერთა ლიგაში. ტოვებს რევოლუციებითა და მრავალპარტიული დაპირისპირებებით მოცულ ევროპას და აცხადებს "იზოლაციას", თუმცა მაინც ერევა ევროპის შიდა საქმეებში ეკონომიკისა და ფინანსების მეოხებით

დასავლეთს არ სჯეროდა სსრკ-ს, ხოლო ამ უკანასკნელს კი დასავლეთის. შედეგად მივიღეთ რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი: ევროპის გავლენის სფეროებად დაყოფა სსრკ-სა და გერმანიას შორის. მაგრამ სულ მალე დაწყებულმა გლობალურმა დაპირისპირებამ (გერმანიის თავდასხმა სსრკ-ზე) დროებით გვერდზე გადადო იდეოლოგიური საკითხები. დასავლეთმა, და

უპირველეს ყოვლისა დიდმა ბრიტანეთმა შეძლო კეთილგონივრულად მისდგომოდა სსრკ-სადმი მხარდაჭერის საკითხს: 1941 წლის ივლისს (ომის დაწყებიდან 20 დღის შემდეგ) ინგლისის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ხოლო სულ მალე დიდი ბრიტანეთი, აშშ და სსრკ შეთანხმდნენ ერთად ებრძოლათ გამარჯვებამდე. "დიდი სამეულის" (სსრკ, აშშ, ინგლისი) ერთობლივი ძალისხმევის შედეგად განადგურებული იყვნენ "ღერძის სახელმწიფოები" (გერმანია, იტალია, იაპონია და მათი მოკავშირეები). ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე გადაწყდა მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის საკითხები. ეს საკითხები განიხილებოდა "დიდი სამეულის" ლიდერთა (სტალინის, რუზველტის და ჩერჩილის) შეხვედრებზე. ჩვენი პრობლემატიკისათვის მნიშვნელოვანია იალტისა და პოტსდამის შეხვედრები.



ჩერჩილი, რუზველტი, სტალინი (1945 წლის 4-11 თებერვალი იალტა)

1945 წლის 4–11 თებერვალს იალტაში ჩატარდა ანტიჰიტლერული კოალიციის ლიდერთა კონფერენცია, რომელსაც კონსპირაციის მიზნით დაერქვა "მაგნეტო". ეს იყო სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის მეორე შეხვედრა (პირველი შედგა თეირანში 1943 წელს). კონფერენციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ საბრძოლო მოქმედებები გაგრძელდება გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციამდე. განხილული იქნა ომისშემდგომი გერმანიის ოკუპაციისა და მასზე კონტროლის ფორმები: შეთანხმდნენ, რომ სსრკ მოახდენდა გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილის ოკუპაციას, აშშ – სამხრეთ-დასავლეთის, ინგლისი – ჩრდილო-დასავლეთის. მათ მიიწვიეს საფრანგეთი მონაწილეობა მიეღო გერმანიის ოკუპაციაში. კონფერენციაზე დაადგინეს, რომ დიდი ბერლინის რაიონი ოკუპირებული იქნება დიდი სამეულის მიერ.



თეირანის კონფერენციის მონაწილეები: სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი. (1943 წ. 28 ნოემბერი-1 დეკემბერი). "დიდი სამეულის" პირველი კონფერენცია

გერმანიასთან მიმართებაში შეთანხმებული პოლიტიკის გატარების მიზნით გადაწყდა ბერლინში შექმნილიყო ცენტრალური საკონტროლო კომისია, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა უზენაესი ძალაუფლებით გერმანიაში. ამ კომისიაში უნდა შესულიყვნენ გერმანიის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრკ-ს, აშშ-ს და ინგლისის ჯარების მთავარსარდლები. სახელმწიფოთა მეთაურებმა მიიღეს გადაწყვეტილება გერმანიიდან რეპარაციების ამოღების შესახებ. რეპარაციებს პირველ რიგში მიიღებდნენ ის სახელმწიფოები, რომლებმაც გადაიტანეს ომის მთელი სიმძიმე, განიცადეს დიდი დანაკარგები და ორგანიზაცია გაუკეთეს მტერზე გამარჯვებას. რეპარაციები ამოღებული უნდა ყოფილიყო სამი სახით: ქვეყნის ეროვნული სიმდიდრიდან 2 წლის განმავლობაში ერთდროულად უნდა ამოეღოთ მოწყობილობა, ჩარხები, გემები, რკინიგზა, საწარმოთა აქციები (ეს ამოღება ძირითადად უნდა ჩატარებულიყო გერმანიის სამხედრო პოტენციალის მოსპობის მიზნით); ყოველწლიური სასაქონლო მიწოდებები მიმდინარე პროდუქციიდან იმ პერიოდის განმავლობაში, რომელსაც მოგვიანებით დაადგენდნენ; გერმანელი ტყვეების შრომა. [სსრკ-ს პრეტენზიები გერმანიისადმი შეფასებული იქნა საგანგებო სახელმწიფო კომისიის მიერ 679 მილიარდ მანეთად, ხოლო სსრკ-ს მთელი მატერიალური დანაკარგები – 2 ტრილიონ 600 მილიარდ მანეთად. გერმანელებმა და მათმა მოკავშირეებმა სსრკ-ში გაანადგურეს 1710 ქალაქი და 70 ათასი სოფელი]. ამ გაანგარიშების გათვალისწინებით რუზველტმა შესთავაზა რეპარაციების თანხა ყოფილიყო 20 მილიარდი დოლარი, აქედან 10 მილიარდი – სსრკ-ს.

რუზველტმა და ჩერჩილმა წამოაყენეს წინადადება გერმანიის დანაწევრების შესახებ (ჩერჩილს უნდოდა გერმანიისაგან პრუსიის გამოყოფა და სამხრეთ-გერმანული სახელმწიფოს დაარსება, რუზველტს – გერმანიის დაყოფა 5-7 სახელმწიფოდ), მაგრამ ამის წინააღმდეგ წავიდა სტალინი და ეს წინადადება არ მიიღეს.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს (აშშ-ს დელეგაციის წარდგინებით) "დეკლარაცია განთავისუფლებული ევროპის შესახებ". იგი ითვალისწინებდა დიდ სახელმწიფოთა შეთანხმებულ პოლიტიკას და ერთობლივ ქმედებებს, განთავისუფლებულ ევროპაში ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე. ნაციზმისა და ფაშიზმის განადგურებას. მასში დადასტურებული იყო პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო ატლანტიკური ქარტიის ხალხთა უფლებას აერჩია მმართველობის ფორმა, სადაც დაცული იქნებოდა მათი სუვერენული უფლებები და თვითმართველობა.



**გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (ინგ., United Nations) (1945)**

იალტის კონფერენციაზე დადგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საკითხი. მისი შექმნის აუცილებლობა წარმოიშვა ჯერ კიდევ თეირანის კონფერენციაზე, როდესაც სამი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა გამოხატეს მზადყოფნა თავის თავზე აეღოთ პასუხისმგებლობა შეექმნათ ისეთი მსოფლიო, რომელიც დაიმსახურებდა პლანეტის ყველა ხალხის მოწონებას. გათვალისწინებული იყო უშიშროების საბჭოს მიერ ვეტოს დადების უფლება გადაწყვეტილებების მიღების დროს, დაზუსტებული იქნა თანხმობის ფორმულა

კენჭის ყრის დროს და დადგინდა კონფერენციის ჩატარების თარიღი – 1945 წლის 25 აპრილი სან-ფრანცისკო.

განხილული იქნა იაპონიის წინააღმდეგ სსრკ-ს მონაწილეობის საკითხი. შორეული აღმოსავლეთის საკითხებთან დაკავშირებით 1945 წლის 11 თებერვალს მიღებულ შეთანხმებაში აღინიშნა, რომ გერმანიის განადგურებისა და ევროპაში ომის დამთავრების შემდეგ სსრკ ჩაებმება იაპონიის წინააღმდეგ ომში შემდეგი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში: შენარჩუნებული იქნება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის (შიდა მონღოლეთის) სტატუს-კვო (მასზე პრეტენზიას აცხადებდა ჩან კაიშის მთავრობა; პორტსმუტის (1905 წ.) ზავის გადასინჯვა და სსრკ-ს სამხრეთ სახალინის დაბრუნება, პორტ დაირენის ინტერნაციონალიზაცია და ამავდროულად სსრკ-ს ინტერესების უზრუნველყოფა ამ პორტში, პორტ-არტურის არენდის აღდგენა, იგი გახდებოდა სსრკ-ს სამხედრო-საზღვაო ბაზა; ჩინეთთან ერთად ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზისა და სამხრეთ-მანჯურიის რკინიგზის (მისასვლელი დაირენთან) ექსპლუატაცია; 1875 წლის პეტერბურგის ტრაქტატის დენონსაცია და სსრკ-ს კურილიის კუნძულების დაბრუნება (იმ მომენტისათვის ეკუთვნოდა იაპონიას).

1945 წლის 25 აპრილს სან-ფრანცისკოში მოწვეული იქნა გაერთანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია, რომელზეც დაარსებული იქნა მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო იმ 26 სახელმწიფომ, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1942 წლის 1 იანვარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციას, ქვეყნებმა, რომლებმაც ომი გამოუცხადეს გერმანიას და ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა (მთლიანობაში 50-ზე მეტი ქვეყანა). სსრკ-დან მისი წევრები გახდნენ რსფსრ, ბელორუსია და უკრაინა. დიდი ბრიტანეთის მხრიდან წარმოდგენილი იყო მისი 4 დომინიონი. 1945 წლის 26 ივნისს მიღებული იქნა გაეროს წესდება. გაეროს დაარსება წარმოადგენდა ნაციზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ომში ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვების შედეგს.



**პოტსდამის კონფერენციის მონაწილეები: ჩერჩილი, ტრუმენი, სტალინი. 1945 წ. ცეცილიენჰოფის სასახლე**

ბერლინის მახლობლად, პოტსდამში (1945 წლის 17 ივლისი – 2 აგვისტო) ჩატარდა "დიდი სამეულის" (სტალინი, ჩერჩილი/ეტლი, ტრუმენი) უკანასკნელი კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეებმა უპირველეს ყოვლისა განიხილეს ევროპაში მშვიდობიანი დარეგულირების საკითხები. საჭირო გახდა ისეთი საერთაშორისო ორგანოს შექმნა, რომელიც მოამზადებდა სამშვიდობო ხელშეკრულებებს იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან და ფინეთთან (და მათი შემდგომი მიღების საკითხი გაეროში), ხოლო შემდგომ ეტაპზე კი გერმანიის მშვიდობიანი დარეგულირების საკითხებსაც განიხილავდა. მოილაპარაკეს დაეარსებინათ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, სსრკ და ჩინეთი).

სამი დიდი სახელმწიფოს მთავრობამ თავის თავზე აიღო ვალდებულება გაესამართლებინა ნაცისტური სამხედრო დამნაშავეები. განისაზღვრა ღონისძიებები გერმანიის სამხედრო პოტენციალის გასანადგურებლად, ქვეყნის დემილიტარიზაციის, დენაციფიკაციისა და დემოკრატიზაციისათვის. გათვალისწინებული იყო ყველა ნაცისტური ორგანიზაციის, გენერალური შტაბის, ოფიცერთა კორპუსის დაშლა. კონფერენციაზე დაადგინეს გერმანიის დაყოფა საოკუპაციო ზონებად. დიდ სახელმწიფოთა ლიდერებმა გადაწყვიტეს გერმანია განეხილათ, საოკუპაციო ზონებად დაყოფის მიუხედავად, როგორც ერთიანი ეკონომიკურად მთლიანი სახელმწიფო. გადაწყდა შექმნილიყო მთელი გერმანიისათვის ერთიანი დეპარტამენტები (ფინანსთა, საგარეო ვაჭრობის და ეკონომიკის), რომლებიც იმოქმედებდნენ საკონტროლო საბჭოს ხელმძღვანელობით. რეპარაციების საკითხთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ გერმანიას მაქსიმალურად აენაზღაურებინა მოკავშირეებისათვის მიყენებული ზარალი.



კლემენტ რიჩარდ ეტლი (ინგ., Clement Richard Attlee) (1883-1967) ბრიტანელი პოლიტიკური მოღვაწე, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1945)

განხილული იქნა იაპონიასთან ომის დამთავრების საკითხიც. სსრკ-მა დაადასტურა თავისი მზადყოფნა ომში მონაწილეობის შესახებ და 26 ივლისს აშშ-ა, დიდმა ბრიტანეთმა და ჩინეთმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელიც მოუწოდებდა იაპონიას დაუყოვნებლივ კაპიტულაციისაკენ. სსრკ-მა მოახდინა 1941 წლის 13 აპრილის იაპონია-სსრკ-ს თავდაუსხმელობის პაქტის დენონსირება (1945 წლის 5 აპრილი). მოკავშირეთა ერთობლივი ძალისხმევის შედეგად 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს, სადაც მან მთლიანად სცნო პოტსდამის დეკლარაცია და თანხმობა განაცხადა მასში დაფიქსირებულ ყველა პირობაზე.



ჰარი ს. ტრუმენი (ინგ., Harry S. Truman) (1884-1972) აშშ-ს 33-ე პრეზიდენტი

პოტსდამში ხელმოწერილმა ხელშეკრულებათა სისტემამ დააფიქსირა ძალთა ახალი ბალანსი, რომელიც წარმოიშვა ევროპაში გერმანიასა და მის მოკავშირეებზე გამარჯვების შემდეგ. ამ სისტემამ განსაზღვრა ახალი საზღვრები, ახალ გეოპოლიტიკურ ძალთა განლაგება. ფაქტიურად პოტსდამში კონსტატირებული იყო, რომ მსოფლიო გახდა ბიპოლარული: სსრკ და მისი მოკავშირეები (კონტინენტალური ძალის წარმომადგენლები) და აშშ და მისი

მოკავშირეები (ძირითადად საზღვაო ძალის წარმომადგენლები). პოტსდამის გეოპოლიტიკური ეპოქის შინაარსი სწორედ ამ პოლუსების დაპირისპირებამ განსაზღვრა. ამ ეპოქის მთავარ მახასიათებელს ის წარმოადგენდა, რომ ორი მძლავრი ბლოკის დაპირისპირება მიმდინარეობდა ცივი და ბირთვული ომის ბალანსირების ზღვარზე. საჰაერო და კოსმოსური სივრცის როლი ძირფესვიანად შეიცვალა შემდეგი ფაქტორების ზეგავლენით: ავიაციის სრულყოფა, სარაკეტო იარაღის გაჩენა, ლაზერული და ნეიტრონული იარაღი, კოსმოსური იარაღის გაჩენა. პლანეტაზე აღარ დარჩა მიუწვდომელი წერტილები ისეთი იარაღისათვის როგორიცაა რაკეტები, ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, კომპიუტერული სისტემები, ინტერნეტი და სხვა.

კაცობრიობის ისტორიაში დადგა ახალი ფაზა – "ცივი ომის" ეპოქა.

ტერმინი "ცივი ომი" პირველად, 1947 წელს კონგრესის დებატებში გამოსვლისას იხმარა ამერიკელმა ფინანსისტმა და პრეზიდენტის მრჩეველმა ბერნარდ ბეირაქმა (Baruch), ხოლო ლიტერატურაში და მასმედიაში დაამკვიდრა მეცნიერმა, ჟურნალისტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ უოლტერ ლიპმანმა (Lippman). ამით მათ აშშ-სსრკ ურთიერთობების სპეციფიკის აღნიშვნა სურდათ, განსხვავებით გერმანიასთან "ცხელი" ომისა.

სავარაუდო იყო, რომ ომის შემდეგ გაგრძელდებოდა ამერიკა-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის (Roosevelt) მიერ წამოყენებული "კოლექტიური უსაფრთხოების" იდეის ფარგლებში. თანამშრომლობის იდეა ითვალისწინებდა ამ ზესახელმწიფოების მიერ პასუხისმგებლობის განაწილებას ომის შემდგომი მსოფლიოს უსაფრთხო მოწყობის და მშვიდობიანი განვითარებისთვის.



ფრანკლინ დელანო რუზველტი (ინგ., Franklin Delano Roosevelt) (1882-1945) აშშ-ს 32-ე პრეზიდენტი

მაგრამ სსრკ ტოტალიტარული სახელმწიფო იყო, მოუქნელი იდეოლოგიური და პოლიტიკური პრიორიტეტებით (მათ შორის ე.წ. "მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" იდეით), რომლებიც საბჭოელებს კიდევ უფრო გაუმყარდათ "სამამულო" ომში გამარჯვების შედეგად. ომის შემდგომ სტალინმა, გამარჯვებულის პოზიციებიდან, კიდევ უფრო გააძლიერა საერთაშორისო ექსპანსიის პოლიტიკა. კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპაში წითელი არმიის მიერ გათავისუფლებულ ტერიტორიებზე მოყვანილ იქნა მემარცხენე ორიენტაციის რეჟიმები. არ წყდებოდა მცდელობები კომუნისტური ძალების გასამარჯვებლად საბერძნეთში, თურქეთში, აზიასა და სხვა რეგიონებში.

მეორე მხრივ, II მსოფლიო ომის დასრულებისას ამერიკა ყველა ნიშნით მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო აღმოჩნდა. გერმანია, იაპონია და იტალია დამარცხებულ იქნენ, საფრანგეთმა ოკუპაციის ყველა უარყოფითი შედეგი გადაიტანა, სსრკ გაპარტახებული იყო. ხოლო ბრიტანეთი – გაკოტრებული. ამის

საპირისპიროდ აშშ-ს ეკონომიკა ომის დროს, მუშაობდა რა სამხედრო შეკვეთებზე, კიდევ უფრო მომძლავრდა. 1945 წლისთვის იგი მსოფლიოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნახევარზე მეტს აწარმოებდა. ამ პირობებში სწორედ ამ სახელმწიფოს უნდა ეკისრა მსოფლიო ლიდერის როლი.

დაპირისპირება დაიწყო, როცა შეერთებულმა შტატებმა გააცნობიერა ხიფათი, რომელიც საბჭოთა კავშირის მხრიდან ემუქრებოდა. მან ეს ხიფათი შეაფასა როგორც მისი, მსოფლიოს ლიდერის, გეოპოლიტიკურ ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საფრთხე.

მსოფლიო ომის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ ბრიტანეთმა დაიწყო დიდი სამეულის იდეიდან გამომდინარე საერთაშორისო ურთიერთობების "გაფუჭება". ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ერნესტ ბევინი (Bevin) მეთოდურად მუშაობდა სსრკ-ს წინააღმდეგ საგარეო საქმეთა მინისტრების რეგულარულ შეხვედრებზე. უინსტონ ჩერჩილმა (Churchill) 1946 წელს ფულტონის ცნობილ გამოსვლაში ცნობილი ფრაზა "რკინის ფარდა" ახსენა, რითაც ევროპის ორად გაყოფა აღნიშნა. 1947 წელს ბრიტანეთმა შეატყობინა აშშ-ს, რომ იგი ვეღარ შეძლებდა ჯარების ყოლას საბერძნეთსა და თურქეთში. ამან ასახვა ჰპოვა პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის (Truman) სიტყვაში, სადაც მან დახმარება აღუთქვა თავისუფალ ხალხებს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. ტრუმენის დოქტრინა პირდაპირ სსრკ-ზე იყო მიმართული და ცივი ომის დასაწყისს მოასწავებდა.




**ჯორჯ კეტლეტ მარშალი (1880-1959) აშშ-ს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი (1953) ხიროსიმასა და ნაგასაკიზე ატომური იერიშის ინიციატორი**

ბრიტანეთისთვის აღნიშნული გარემოება დიდ დიპლომატიურ წარმატებას წარმოადგენდა. აშშ-მ, როგორც იქნა, გაიცნობიერა და აღიარა მსოფლიო ლიდერის პასუხისმგებლობა, 1948 წელს ბრიტანეთმა მარშალის გეგმის განხორციელების კოორდინაცია ითავა, ხოლო მომდევნო წელს ჩრდილო ატლანტიკური კავშირის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ერთი სიტყვით, შეიქმნა ახალი მსოფლიო აშშ-ს თაოსნობით, რომელთანაც ბრიტანეთს "განსაკუთრებული ურთიერთობები" ჰქონდა, როგორც სსრკ-ს იზოლაციაში ნდობით აღჭურვილ პარტნიორს. ამით ბრიტანეთმა გადაწყვიტა მთავარი ამბიციური საკითხი – იგი დარჩა პირველი კატეგორიის ქვეყნად. არ არის გასაკვირი, რომ ზოგიერთ სპეციალისტს ცივი ომი ბრიტანეთისთვის მთავარი მიზნის მიღწევის გზაზე "თანამდევ ეფექტად" მიაჩნდა.

ცივი ომის ამგვარი ინტერპრეტაცია შედარებით კარგად ხსნის იმ სწრაფ ტემპებს, რითაც 1947 წელს "ერთიანი მსოფლიოს" ბიპოლარულ სისტემად გარდაქმნა მოხდა. მართალია, ყოველივე ეს მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის

მოვლენებს. სამაგიეროდ კარგად წარმოაჩენს ცივი ომის დასაწყისის პოლიტიკურ პროცესებს.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ცივი ომი განასახიერებდა ბიპოლარულ (ორპოლუსიან) მსოფლიო გეოპოლიტიკურ წესრიგს. ასეთი ორპოლუსიანი გეოპოლიტიკური წესრიგი სხვა პერიოდებშიც იქმნებოდა, კერძოდ, დამახასიათებელი იყო XX საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიოსათვის, როდესაც "პოლუსებად" გვევლინებოდნენ ბრიტანეთი და გერმანია. II მსოფლიო ომის წინ, 1938 წელს მიუნხენში, ჯერ კიდევ, ეს ორი ქვეყანა წყვეტდა მსოფლიო ომის თავიდან აცილების ბედს, მაგრამ, უკვე ათი წლის შემდეგ, 1948 წლის ბერლინის მოლაპარაკებაზე ანალოგიური პრობლემის წინაშე იდგა მსოფლიოს ორი ახალი "პოლუსი" – აშშ და სსრკ. მაშინ, მათ შორის მოლაპარაკება იმდენად გამწვავდა, რომ ბევრს ახალი მსოფლიო ომი გარდაუვალი ეგონა. ათწლეულის განმავლობაში ყველაფერი შეიცვალა – ახალი ლიდერები, ახალი მეტოქეები, ახალი მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი.

გაკვირვებას იწვევდა ის, თუ რა სწრაფად მოხდა II მსოფლიო ომში გამარჯვებული კოალიციის წევრების გარდაქმნა დაპირისპირებულ მხარეებად. 1947 წელს ცივი ომი უკვე ყველასთვის თვალსაჩინო გახდა.

ფრედ ჰალიდეი (Halliday) ცივ ომში ოთხ ფაზას გამოჰყოფს:

პირველი ფაზა მოიცავს 1947-1953 წლების პერიოდს, როდესაც სახელმწიფოებს შორის კონფრონტაცია რიმლენდში (მხარეებს შორის გამყოფ სარტყელში) ხდება. ამ ფაზას მან "პირველი ცივი ომი" უწოდა. აღნიშნულ პერიოდში ადგილი ჰქონდა "ცხელ" და "ცივ" ურთიერთობებს – 1947 წლის კრიზისი საბერძნეთსა და თურქეთში, 1948 წლის ბერლინის ბლოკადა და კორეის ომი 1950-იანი წლების დასაწყისში.

- მეორე პერიოდი, რომელსაც ავტორმა "ცვალებადი ანტაგონიზმის ფაზა" უწოდა, მოიცავდა 1953-1969 წლებს. ეს პერიოდი კრიზისებითა და უმაღლესი დონის შეხვედრებით ხასიათდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ისიც მოიცავდა "ცხელ" და "ცივ" ელემენტებს. კონფლიქტებმა რიმლენდიდან ახლო აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გადაინაცვლეს. ამავე დროს, ერთ-ერთი უმთავრესი კონფრონტაცია მსოფლიო კუნძულის (ევრაზია და აფრიკა ერთად) გარეთ კუბაზე გაჩაღდა.

მესამე პერიოდი მოიცავს 1969-1979 წლებს. ამ დროს პოლიტიკური კლიმატი აშკარად დათბა. დეტანტის (პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვის) დროს დამკვიდრდა პრობლემების მოლაპარაკების გზით მოგვარების ფორმა. კონფლიქტური სიტუაციები გრძელდებოდა ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ ამას დაემატა ახალი უთანხმოებანი აფრიკის სამხრეთსა და ცენტრალურ ამერიკაში.

1979 წლის შემდეგ იწყება ახალი ფაზა, რომელსაც ავტორი "მეორე ცივ ომს" უწოდებს. ამ დროს პოლიტიკური კლიმატი გაცივებას იწყებს. ახლო აღმოსავლეთი რჩება კონფრონტაციის მნიშვნელოვან კერად, მაგრამ სამხრეთი აფრიკა და ცენტრალური ამერიკა ორ სახელმწიფოს შორის დაპირისპირებაში ხელ უფრო აქტიურ როლს თამაშობს. ამ მომენტისთვის ცივმა ომმა დაკარგა მაკინდერისეული სტრუქტურა და ნიკარაგუადან ავღანეთამდე გლობალური მასშტაბები შეიძინა.

მართალია, ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, მაგრამ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით

მისი ლიდერობა მაინც შეზღუდული იყო საბჭოთა კავშირის მეტოქეობით. ფაქტობრივად, ცივი ომი წარმოადგენს აშშ-ს არასრულყოფილი ჰეგემონიის – ორპოლუსიანი გეოპოლიტიკური წესრიგის ნიმუშს. "დასავლეთ" პოლუსს წარმოადგენდა აშშ, ხოლო "აღმოსავლეთ" პოლუსს – სსრკ.

მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის ორპოლუსიანი ხასიათი მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბირთვული, პირველ ყოვლისა, სტრატეგიული ბირთვული იარაღის არსებობამ. აშშ-ს ჰეგემონიის შეზღუდულობის მაჩვენებელია მისი და ბრიტანეთის, წინა პერიოდის ჰეგემონის, მიერ გატარებული ძალთა ბალანსის პოლიტიკის შედარება. ბრიტანეთის მიერ თავისი ჰეგემონური მდგომარეობის შესანარჩუნებლად გამოყენებული ძალთა ბალანსის პოლიტიკა გულისხმობდა მოვლენების გარეთ ყოფნას და მეტოქე ქვეყნების დიპლომატიურ მანიპულირებას. ცივი ომის დროს აშშ-ც მიმართავდა ძალთა ბალანსის პოლიტიკას, მაგრამ იგი თვითონ აღმოჩნდა ძალთა ბალანსის შემადგენელი ნაწილი, და ამის გამო, მუდმივად ხდებოდა მისი ჩათრევა სახიფათო დაპირისპირებებში.

ორი, იდეოლოგიურად დაპირისპირებული გეოპოლიტიკური პოლუსის არსებობამ განაპირობა ცივი ომის დროინდელი მსოფლიოს სტრუქტურირება პოლუსების გარშემო.

აშშ-ს პირველი რიგის მოკავშირეები იყვნენ დასავლეთის განვითარებული სახელმწიფოები: დასავლეთი ევროპა, კანადა, იაპონია, ავსტრალია. შემდეგ იდგნენ სახელმწიფოები, რომელთანაც ამერიკასთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ: ისრაელი, მექსიკა, საუდის არაბეთი, ეგვიპტე ნასერის შემდეგ, ირანი შაჰის დროს. შედარებით მოშორებით იდგნენ განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ტაქტიკური თვალსაზრისით იღებდნენ ამერიკის დახმარებას.

აშშ-ს მოკავშირეთა უმეტესობა შედიოდა მის მიერ შექმნილ სამხედრო პოლიტიკურ ბლოკებში (NATO, CENTO, SEATO, ANZUS-ი), რომელთა მიზანი საბჭოთა ბლოკის სამხედრო აგრესიის შემთხვევაში თავისი წევრების კოლექტიური თავდაცვა, ფაქტიურად კი საბჭოთა ექპანსიის შეკავება, იყო. აღნიშნულ ბლოკების ყველა წევრს არ ჰქონდა ერთნაირად მჭიდრო ურთიერთობა აშშ-სთან, როგორც დასავლეთის ლიდერთან. მაგალითად, ნატოს წევრებს შორის მისი ყველაზე ახლო მოკავშირე დიდი ბრიტანეთი იყო, ხოლო ყველაზე ნაკლებად "ერთგული" ურთიერთობა საფრანგეთს ჰქონდა.

საბჭოთა კავშირი აერთიანებდა სოციალისტურ ქვეყნებს. ნატოს საპირწონედ შეიქმნა ე.წ. ვარშავის ხელშეკრულების თავდაცვითი ორგანიზაცია, რომელშიც, სსრკ-თან ერთად შევიდნენ აღმოსავლეთ ევროპის მისი სატელიტი სოციალისტური სახელმწიფოები. საბჭოთა კავშირს ორმხივი პოლიტიკური ხელშეკრულება ჰქონდა არაევროპულ სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნებთან: კუბასთან, ჩრდილოეთ ვიეტნამთან, ჩრდილოეთ კორეასთან. სოციალისტური ქვეყნებიდან ზოგიერთი გამოვიდა აღმოსავლური ბლოკიდან სსრკ-თან პოლიტიკური წინააღმდეგობის გამო: იუგოსლავია (1950-იანი წლების დასაწყისში), ჩინეთი და ალბანეთი (1960-იანი წლების დასაწყისში).

სსრკ მიზნად ისახავდა თავისი გავლენის გავრცელებას ახალ არალებზე. ამისათვის იგი ცდილობდა თავის ბლოკში გაეერთიანებინა აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის კოლონიური მდგომარეობიდან ახლადგანთავისუფლებული და განვითარებადი ქვეყნები. განსაკუთრებით ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნა ამ მხრივ დეკოლონიზაციის მეორე ტალღის დროს, 1950-70-იან წლებში. სსრკ აქტიურად ეხმარებოდა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ კოლონიებს და

შედეგად ბევრმა ქვეყანამ განთავისუფლების შემდეგ განვითარების ე.წ. სოციალისტური გზა აირჩია, რის შედეგად გარკვეული დროით საბჭოთა ექსპანსიის პლაცდარმს წარმოადგენდა. თუმცა ბოლომდე სოციალიზმს თითქმის არცერთი მათგანი არ შერჩა.

ამ დიქოტომიიდან ვარდებოდა მიუმხრობლობის მოძრაობა, რომლის იდეოლოგიური საფუძველი შექმნა და ბანდუნგის (ინდონეზია) კონფერენციაზე (1955წ.) ჩამოაყალიბა ინდოეთის პირველმა პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ ხოლო მოძრაობის შექმნის ინიციატორები მასთან ერთად გახდნენ იუგოსლავიის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო და ეგვიპტის პრეზიდენტი ჰამალ აბდელ ნასერი.




ჯავაჰარლალ ნერუ (1889-1964)



ჰამალ აბდელ ნასერი (1918-1970)




იოსიპ ბროზ ტიტო (1892-1980 )

ამ მოძრაობის მიზანი იყო ცივი ომის დროინდელი მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგისთვის დამახასიათებელი ორპოლუსიანობისგან თავის დაღწევა. მოძრაობის იდეოლოგთა აზრით, განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს არ ემსახურებოდა რომელიმე პოლუსისკენ ლტოლვა. განვითარებად ქვეყნებს თავიანთი განსაკუთრებული გზა უნდა ჰქონოდათ. ამის გამო, მოძრაობა თავის პრიორიტეტებად აცხადებდა საკუთარი წევრების ინტერესების დაცვას იმდროინდელ გეოპოლიტიკურ კოლიზიებში, - ძლიერი სახელმწიფოების მხრიდან აგრესიის და საერთოდ, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებას, სუსტი ქვეყნების დახმარებას დამოუკიდებლობის მოპოვებასა და შენარჩუნებაში.

ეს მოძრაობა 90-ინ წლებამდე, ფაქტიურად ცივი ომის დასრულებამდე მოქმედებდა, თუმცა ყველაზე აქტიური ხანა 50-60 წლებში ჰქონდა. ამ პერიოდში მისი გავლენა ისეთი ძლიერი იყო, რომ ზოგი მკვლევარი ფიქრობდა, ასე გაგრძელების შემთხვევაში, სამხრეთი აზია, როგორც ამ მოძრაობის საკვანძო არეალი, ცივი ომის დროინდელი გეოპოლიტიკური სტრუქტურის მესამე პოლუსად შეიძლებოდა ქცეულიყო.

გეოპოლიტიკური კონკურენციის (ჰეგემონობისთვის ბრძოლის) სიმწვავემ განაპირობა გლობალური (მთელი მსოფლიოს მასშტაბით) დაპირისპირება ყველა მიმართულებით.

კონფლიქტების კრიტიკულ ზონებად ის არეალები იქცეოდა, სადაც მოხდებოდა ტერიტორიული ბალანსის გარღვევა. ანუ, როცა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მტრული პოლიტიკური ან იდეოლოგიური წარმონაქმნი ჩნდებოდა. ასეთი ტიპის კონფლიქტებს ადგილი ჰქონდა: აღმოსავლეთ გერმანიაში (1953), გვატემალაში (1954), უნგრეთში (1956), კუბაზე (1961წ), დომინიკის რესპუბლიკაში (1965), ჩეხოსლოვაკიაში (1968), სამხრეთ ვიეტნამში (1964-1975), გრენადაზე (1983).

ცივი ომის შედეგები:

1. ცივი ომი იყო გეოპოლიტიკური წესრიგი, მას ახასიათებდა სტაბილური, დაბალანსებული ურთიერთობები, თავისებურად გაწონასწორებული მსოფლიო სისტემა. სამხედრო ბალანსი მცირედი ფლუქტუაციით ხასიათდებოდა. ბირთვული იარაღი მკაცრად იყო შეზღუდული.
2. ცივი ომის დასრულება მოხდა მშვიდობიანი გზით. შემდგომი – თანამედროვე პერიოდი ესაა ტიპიური გეოპოლიტიკური ტრანზიცია, ანუ გარდამავალი მდგომარეობა ახალი წესრიგისაკენ. მან ბევრი რამე მიიღო მემკვიდრეობით ცივი ომისგან.
3. ცივი ომის დასრულების შემდეგ გამარჯვებული, – ამერიკის შეერთებული შტატები, მსოფლიოს სრული ჰეგემონი გახდა.
4. შენარჩუნდა დასავლეთის ბლოკის უსაფრთხოების მთავარი ბურჯი – ნატო. უფრო მეტიც, იგი იზრდება ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნების ხარჯზე, თუმცა მოწინააღმდეგის გაქრობის შემდეგ, თვით ბლოკის მიზნები და ამოცანები შეიცვალა.
5. დაპირისპირების მოშლის შემდეგ ახლებურად ყალიბდება მსოფლიოს გეოპოლიტიკური სტრუქტურა:
   - აღმოსავლეთი, როგორც ბლოკი გაქრა;
   - აღმოსავლეთი ევროპა შეერწყა დასაელეთს თუმცა პერიფერიაზე რჩება;
   - შეიმჩნევა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, – ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების, დრეიფი დასაელეთისკენ. არის მოსაზრება, რომ ახალი გადანაწილება და ახალი გლობალური კონფლიქტები მოხდება ფასეულობათა შეჯახების საფუძველზე (S.Huntington);
   - ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად ხდება ჩინეთის ფაქტორის გათვალისწინება სხვადასხვა დონის გეოპოლიტიკურ გათვლებში;
   - ცივი ომის დასრულებამ დააჩქარა ევროპის ინტეგრაცია;
   - ბლოკის გარეშე დარჩენილ "აღმოსაელთის" ყოფილი ქვეყნები დაუცველად გრძნობენ თავს, ამის გამო, აქა თუ იქ, იჩენს თავს ახალი ალიანსების შექმნის განზრახვები: რუსეთი-ირანი-ინდოეთი-ჩინეთი; რუსეთი-ბელორუსი-სომხეთი; სუუამი (საქართველო-უკრაინა-უზბეკეთი-აზერბაიჯანი-მოლდოვა) და სხვ.

1985 წლიდან ახალი "დათბობა" დაიწყო. ითვლება, რომ 1992 წლიდან, როდესაც უკვე აღარ არსებობდა ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარე – სსრკ, ხოლო რუსეთის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად უარყო მილიტარისტული საგარეო პოლიტიკა, ცივი ომი დასრულდა. [გოგი ხომერიკი. გეოპოლიტიკა. თბილისი. 2004]

## თანამედროვე გეოპოლიტიკურ ტრანზაცია

ნებისმიერი გეოპოლიტიკური პროცესი (პირველ რიგში მსოფლიო ომი), რომელიც მთავრდება საზღვრების დანაწილებით, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენის ზონების გადანაწილებით, უცილობლად იწვევს ახალი გეოპოლიტიკური კონფიგურაციის შექმნას. იგი აფიქსირებს ახალ გეოპოლიტიკურ ატრიბუტებს და ამ პროცესის მონაწილეთა პოტენციალს, მათი ურთიერთობის ახალ დონეს და ახალი გეოპოლიტიკური ციკლის დასაწყისს, რომელიც უზრუნველყოფს (გლობალური მასშტაბით) მსოფლიო თანამეგობრობის, როგორც ურთულესი გეოპოლიტიკური სისტემის განვითარებას.

მსოფლიო ომი პრინციპულად ცვლის დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების დარეგულირების მასშტაბს, დინამიკასა და ხასიათს. ბრძოლა ლიდერობისათვის, ერთდროულად მოიცავს რამოდენიმე კონტინენტს, გამოირჩევა იარაღის სიმძლავრითა და შედეგების ტრაგიკულობით.

ადრე წარმოებული ომებისაგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად სპონტანურად წარმოიშობოდნენ მსოფლიო ომები საგულდაგულოდ დაგეგმილი და მომზადებული იყო არა მარტო სამხედრო-პოლიტიკურად, არამედ იდეოლოგიურადაც. მათი აღმოცენების თეორეტიკულ წანამძღვრებს საფუძვლად ედო გეოპოლიტიკური დოქტრინები, რომლებიც მეცნიერულად ასაბუთებდნენ ახალი მსოფლიო წესრიგის ძალისმიერი დამყარების აუცილებლობასა და გადაუვალობას.

დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული გეოპოლიტიკური წინააღმდეგობა გახდა საბაბი სამი მსოფლიო ომის წარმოშობისათვის (I მსოფლიო ომი, II მსოფლიო ომი, "ცივი ომი"). სწორედ გეოპოლიტიკა გახდა დიდი სახელმწიფოების იდეოლოგია, ხოლო მსოფლიო ომი მათ შორის არსებული გეოპოლიტიკური წინააღმდეგობების გლობალური გადაწყვეტის საშუალება.



ბორის ელცინი (რსფსრ)



ლეონიდ კრავჩუკი (უსსრ)



სტანისლავ შუშკევიჩი (ბსსრ)

იალტა-პოტსდამის გეოპოლიტიკური ეპოქა დასრულდა 1991 წლის 8 დეკემბერს, როდესაც ბელოვეჟში ხელი მოაწერეს სსრკ-ს დაშლის დოკუმენტს. მომავალი გეოპლიტკური წესრიგის (ან უწესრიგობის) ყურადსაღები ანალიზი მოცემული აქვს ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული ჯონ ოლინის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის დირექტორის სამუელ ჰანთინგტონის მიერ 1993 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში "ცივილიზაციათა შეხლა".

სამუელ ჰანთიგტონის აზრით უახლოესი მომავლის გლობალურ პოლიტიკაში განმსაზღვრელი იქნება კონფლიქტები განპირობებული არა ეროვნული (როგორც XIX ს.-ში) და არა იდეოლოგიური (როგორც XX ს.-ში) არამედ კულტურული ფაქტორებით. მსოფლიო პოლიტიკას წარმართავს ცივილიზაციათა პაექრობა და შეჯახება. მას მიაჩნია, რომ "ცივი ომის" დამთავრების შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკა გამოდის თავისი დასავლური ფაზიდან და მისი მთავარი მოტივი ხდება დასავლური და არადასავლური ცივილიზაციების შეჯახება. ამიერიდან არადასავლური ცივილიზაციები ისტორიის ობიექტებიდან გადაიქცევიან მის სუბიექტებად. ცივილიზაციების ეპოქის დადგომიდან მსოფლიო აღარ იყოფა "პირველ", "მეორე" და "მესამე" სამყაროდ. ქვეყნების დაჯგუფება მოხდება არა მათი პოლიტიკური ან ეკონომიკური სისტემების მიხედვით, არამედ გარკვეული კულტურისა და ცივილიზაციისადმი კუთვნილების მიხედვით.



**სამუელ ფილიპს ჰანთინგტონი (ინგ., Samuel Phillips Huntington)(1927) ამერიკელი სოციოლოგი და პოლიტოლოგი. ჟურნალ "Foreign Affairs" დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი**

ჰანთინგტონის მიხედვით ცივილიზაცია – ეს არის კულტურული ერთობა. იგი განისაზღვრება საერთო ობიექტური ელემენტებითა (ენა, ისტორია, რელიგია, წეს-ჩვეულებები) და ადამიანთა სუბიექტური თვითიდენტიფიკაციით; ამასთან ცივილიზაციისადმი კუთვნილება წარმოადგენს ამდაგვარი იდენტიფიკაციის ყველაზე ფართო დონეს. ცივილიზაციას გააჩნია შიდა დაყოფა და შეიძლება შეიცავდეს სუბცივილიზაციებს (დასავლური ცივილიზაცია – ევროპული და ჩრდილოამერიკული ცივილიზაციები). ესეთი თვითიდენტიფიკაცია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გახდება მომავალში, და მსოფლიო მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება შვიდი ან რვა ძირითადი ცივილიზაციის ურთიერთმოქმედებით. ესენია: დასავლური, კონფუციანური (ჩინური), იაპონური, მუსლიმური, ინდუისტური, სლავურ-მართლმადიდებლური, ლათინურ-ამერიკული და შესაძლოა აფრიკული. მომავლის უმნიშვნელოვანესი ძალოვანი კონფლიქტები მოხდება ამ ცივილიზაციათა გამყოფ ხაზებზე.

ჰანთინგტონი შემდეგნაირად ასაბუთებს სიტუაციას:

– ცივილიზაციათა შორის განსხვავება დაფუძნებული ისტორიის, ენის, კულტურის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია რელიგიის სხვაობაზე, წარმოადგენს ფუნდამენტალურ სხვაობას; სხვადასხვა ცივილიზაციის წარმომადგენელ ადამიანებს გააჩნიათ განსხვავებული წარმოდგენები ღმერთსა და ადამიანს შორის, ინდივიდსა და ჯგუფს შორის, მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის, და თვით ცოლსა და ქმარს შორის ურთიერთობებზე. მათ გააჩნიათ განსხვავებული აღქმა ისეთი ფასეულობებისა, როგორიცაა უფლებები და ვალდებულებები, თავისუფლება და ძალაუფლება, თანასწორობა და იერარქია. ეს განსხვავებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განსხვავება პოლიტიკურ იდეოლოგიებსა და რეჟიმებს შორის. სწორედ მათ გამოიწვიეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი და სასტიკი კონფლიქტები.

– დროთა განმავლობაში სამყარო პატარავდება და სხვადასხვა ცივილიზაციის წარმომადგენელთა შეტაკებები ხშირდება, რასაც თავის მხრივ მივყავართ ერთი ცივილიზაციისადმი კუთვნილების გაცნობიერების ინტენსიფიკაციასა და სხვა ცივილიზაციისაგან გამორჩეულობისაკენ (ამერიკელები უფრო მწვავედ რეაგირებენ იაპონურ ინვესტიციებზე, ვიდრე უფრო მეტიოდენობის ევროპულ და კანადურ ინვესტიციებზე).

– ეკონომიკური მოდერნიზაციისა და სოციალური ცვლილებების პროცესები შლიან ლოკალურ განსხვავებებს და ასუსტებენ ეროვნულ სახელმწიფოს, როგორც თვითიდენტიფიკაციის წყაროს. ეს პირველ რიგში იწვევს იმას, რომ წარმოქმნილ ნიშას ავსებს რელიგია, ხშირ შემთხვევაში "ფუნდამენტალისტური" მიმდინარეობის ფორმით. XX საუკუნის

დასასრულისთვის სამყაროს დესეკულარიზაცია გახდა ერთ-ერთი განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორი. რელიგიის ამდაგვარი აღორძინება უზრუნველყოფს იდენტურობის საფუძველს, რომელიც აღემატება ეროვნულ საზღვრებს და უზრუნველყოფს ერთობას ცივილიზაციის შიგნით.

– დასავლეთი ახდენს ცივილიზაციური აზროვნების ზრდის სტიმულირებას და ამით პროვოცირებას უკეთებს არადასავლურ სამყაროში ძირძველური ტენდენციების ზრდას (ისლამის როლის ზრდა მახლობელ აღმოსავლეთში, პროდასავლური კურსის ოპოზიცია რუსეთში, იაპონიის "გააზიურება" და საკუთარ თავში ჩაღრმავების ტენდენცია). ამის გარდა, მოდერნიზაციასთან ერთად მიმდინარეობს ეროვნული ელიტების დევესტერნიზაცია.

– კულტურული მახასიათებლები და განსხვავებები უფრო ნაკლებად ექვემდებარებიან ცვლილებებს, ვიდრე პოლიტიკური და ეკონომიკური. ამ დებულების საილუსტრაციოდ ჰანტინგტონს მოჰყავს სსრკ-ს მაგალითი, სადაც კომუნისტები გახდნენ დემოკრატები, ღარიბები – მდიდრები და პირიქით, მაგრამ რუსებს არ შეუძლიათ გახდნენ ესტონელები, ხოლო აზერბაიჯანელებს სომხები. დღეს მსოფლიოში საკვანძო მნიშვნელობა მიიღო კითხვამ "ვინ ხარ შენ?" და არასწორ პასუხს ამ კითხვაზე, ბოსნიიდან მოყოლებული კავკასიამდე, მივყავართ ერთ დასასრულამდე: ტყვია შუბლში! შეიძლება იყო ნახევრად ფრანგი და ნახევრად არაბი, მაგრამ შეუძლებელია იყო ნახევრად კათოლიკე და ნახევრად მუსულმანი, – აღნიშნავს ჰანთინგტონი.

– სულ უფრო მზარდი ეკონომიკური რეგიონალიზმი, რომელიც, ერთის მხრივ, აძლიერებს ცივილიზაციურ აზროვნებას, მეორეს მხრივ, ვერ იქნება წარმატებული ერთიანი ცივილიზაციური ჩარჩოების გარეშე. მაგალითად ევროპული თანამეგობრობა, დაფუძნებული ერთიან ევროპულ კულტურასა და დასავლურ ქრისტიანობაზე. აღმოსავლეთ აზიაში იაპონია აწყდება წინააღმდეგობას მსგავსი ეკონომიკური ერთიანობის შექმნისას და ეს განპირობებული არის მისი საზოგადოებისა და ცივილიზაციის უნიკალურობით.

საერთო კულტურა კი აადვილებს ეკონომიკური ურთიერთობების სწრაფ გაფართოებას, ერთი მხრივ, ჩინეთის და მეორე მხრივ ჰონკონგის, სინგაპურის, ტაივანის და სხვა ქვეყნებში არსებულ ჩინურ თემებს შორის. რეგიონში იაპონიის დომინირების მიუხედავად აზიის ჩინეთზე დაფუძნებული ეკონომიკა სწრაფად იკრებს ძალას, როგორც ინდუსტრიის, კომერციისა და ფინანსების ახალი ეპიცენტრი. ამ სტრატეგიულ არეალში თავმოყრილია ტექნოლოგიებისა და საწარმოო საშუალებების მნიშვნელოვანი რაოდენობა (ტაივანი), ჯერ გამოუყენებელი შესაძლებლობანი წარმოების, მარკეტინგისა და სერვისის სფეროში (ჰონკონგი), შესანიშნავი საკომუნიკაციო ქსელი (სინგაპური) და მიწის, რესურსებისა და მუშახელის უდიდესი მარაგი (კონტინენტური ჩინეთი)... გუანჯოუდან სინგაპურამდე და კუალა-ლუმპურიდან მანილამდე განფენილი ეს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საკომუნიკაციო ქსელი – რომლის ფუნქციონირებაც ხშირად ტრადიციული კლანების მიერ დაფინანსებაზეა დამოკიდებული – უკვე განიხილება აღმოსავლეთი აზიის ეკონომიკის ხერხემლად.

ცივილიზაციური ფაქტორებით არის განპირობებული კონფლიქტები ყოფილ სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე. "ჩვენ" – "ისინი" დაპირისპირებამ შეცვალა წარსულს ჩაბარებული იდეოლოგიური ორიენტირები. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: დასავლეთის მცდელობა დაამკვიდროს საკუთარი ლიბერალური ღირებულებები უცილობლად იწვევს რელიგიურ და კულტურულ ფაქტორებზე დაფუძნებული სხვა ცივილიზაციების საპასუხო რეაქციას.

მიკროდონეზე ცივილიზაციათა შეხლა ვლინდება შესაბამისი ჯგუფების სასტიკ ბრძოლაში ცივილიზაციების გამმიჯნავი ხაზის გასწვრივ, რათა დაამყარონ კონტროლი ტერიტორიაზე და ერთმანეთზე.

მაკროდონეზე – სხვადასხვა ცივილიზაციათა წარმომადგენელ სახელმწიფოთა დაპირისპირებაში, რათა იბატონონ ან დაამყარონ კონტროლი საერთაშორისო ორგანიზაციებზე ან მესამე ქვეყნებზე.

ჰანთინგტონი მიიჩნევს, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროპის იდეოლოგიური დაყოფა შეცვალა კულტურულმა: დასავლური ქრისტიანობა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მართლმადიდებლობა და ისლამი. ევროპის ყველაზე მნიშვნელოვან გამყოფ ხაზად ჰანთინგტონი მიიჩნევს დასავლური ქრისტიანობის აღმოსავლეთ საზღვარს 1500 წლისათვის. ეს ხაზი გადის თანამედროვე საზღვარზე რუსეთსა და ფინეთს შორის, რუსეთსა და ბალტიის სახელმწიფოებს შორის, ბელორუსიისა და უკრაინის ტერიტორიაზე გამოჰყოფს რა მის დასავლეთ, კათოლიკურ რეგიონებს აღმოსავლურისაგან, რუმინეთს აჭრის მის მნიშვნელოვან ნაწილს ტრანსილვანიას, გადის ყოფილ იუგოსლავიაზე, თითქმის ზუსტად ემთხვევა სლოვენიის, ხორვატიის, სერბიის და ჩერნოგორიის დღევანდელ საზღვრებს; ამდაგვარად ბალკანეთზე ეს ხაზი ემთხვევა ჰაბსბურგებისა და ოტომანთა იმპერიების ისტორიულ საზღვრებს. ამ ხაზის ჩრდილოეთით და დასავლეთით მყოფი ხალხები არიან პროტესტანტები ან კათოლიკეები, რომლებიც ნაზიარები არიან ევროპული ცივილიზაციის ყველა ნიმუშს (ფეოდალიზმი, რენესანსი, რეფორმაცია, განმანათლებლობა, საფრანგეთის რევოლუცია, ინდუსტრიალური რევოლუცია), ეკონომიკურად უფრო განვითარებული არიან და დგანან ერთიანი ევროპული ეკონომიკისა და დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების გაერთიანების ზღურბლზე. ხოლო ამ ხაზის სამხრეთით და აღმოსავლეთით მცხოვრები მართლმადიდებლები თუ მუსულმანები სულიერად და ისტორიულად მიეკუთვნებოდნენ ოტომანთა ან რუსეთის იმპერიებს და მათ მხოლოდ მსუბუქად შეეხო დანარჩენ ევროპაში მიმდინარე მოვლენები; ისინი, როგორც წესი, ეკონომიკურად უფრო სუსტად არიან განვითარებული და უფრო ნაკლები ენთუზიაზმით აღიქვამენ სტაბილური დემოკრატიული სისტემის მშენებლობის პერსპექტივებს. ამგვარად, კულტურის "ხავერდის" ფარდა ცვლის იდეოლოგიის რკინის ფარდას: ამ ახალი დაყოფის სერიოზულობაზე თვალნათლივ მეტყველებს იუგოსლავიის მაგალითი.

ჰანთინგტონი გამოჰყოფს რამოდენიმე პოტენციალურ ცივილიზაციათა შეჯახებას. პირველ რიგში დასავლეთისა და ისლამური ცივილიზაციების ურთიერთობა, რომლებიც თითქმის 1300 წელია უპირისპირდებიან ერთმანეთს. არაბულ სამყაროში დასავლეთის შეღწევა უფრო აძლიერებს ანტიდასავლურ ტენდენციებს (ერაყის ომი), ხოლო დემოგრაფიული ფაქტორებით განპირობებული არაბთა მიგრაცია დასავლეთ ევროპაში იწვევს იქ ნაციონალიზმისა და რასიზმის ზრდას. მეორეს მხრივ, ისლამური ცივილიზაცია სამხრეთში უპირისპირდება ქრისტიან შავკანიანებს (სამოქალაქო ომი სუდანში, ომი ჩადში, კონფლიქტები ნიგერიაში – დაპირისპირებული მხარეები გაყოფილი არიან რელიგიური კუთვნილების მიხედვით). და ბოლოს, ჩრდილოეთში ისლამური ცივილიზაცია უპირისპირდება მართლმადიდებლურს (ბოსნიის ომი, სერბებისა და ალბანელების დაპირისპირება, გამწვავებული ურთიერთობები ბულგარელებსა და თურქულ უმცირესობებს შორის, ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტი, სომხეთ-აზერბაიჯანის ომი, დაძაბული ერთიერთობები რუსებსა და მუსულმანებს შორის შუა აზიაში, რუსეთის ჯარების მიერ რუსების ინტერესების დაცვა კავკასიასა და შუა აზიაში). საუბარი არის ისლამური ბლოკის "ნახევარმთვარეზე", რომელიც განფენილია აფრიკიდან შუა აზიამდე და ყოველი მხრიდან სისხლიანი საზღვრები აქვს.



კონფუცი (ძ. წ. 551-479) ჩინელი მოაზროვნე და ფილოსოფოსი. მისმა მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩინურ ცივილიზაციაზე.

აზიაში ცივილიზაციების შეჯახება ვლინდება აგრეთვე ინდუსებსა და მინორიტარულ მუსულმანურ ჯგუფებს შორის ინდოეთში. "კონფუციანური" ჩინეთი ატარებს აქტიურ პოლიტიკას ტიბეტის ბუდისტებისა და თურქ-მუსულმანურ უმცირესობებთან მიმართებაში.



დენ სიაოპინი (Dèng Xiăopíng) (1904-1997) ჩინეთის კომპარტიის მოღვაწე. ჩინეთის ფაქტიური ხელმძღვანელი 1970-1990 წლებში.

ჰანთინგტონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცივი ომის დამთავრების შემდეგ ჩინეთი შევიდა ამერიკასთან "ახალი ცივი ომის" ფაზაში (დენ სიაოპინი) რომელიც დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა დაცვის, ვაჭრობისა და იარაღის გავრცელების ცივილიზაციურ ფაქტორებზე. იგივე შეიძლება ითქვას ურთიერთობების გაუარესებაზე იაპონიასა და ამერიკას შორის, სადაც კულტურული სხვაობა ამწვავებს ეკონომიკურ კონფლიქტს. ამავე დროს არანაკლები სიმწვავის ეკონომიკური დაპირისპირება არსებობს ამერიკასა და ევროპას შორის, მაგრამ მას არ ახასიათებს ისეთი აშკარად გაოხატული პოლიტიკური სიმკვეთრე და ემოციური ინტენსიურობა, რამეთუ სხვაობა ამერიკულ და ევროპულ კულტურას შორის არც თუ ისე დიდია, როგორც ამერიკულსა და იაპონურს შორის.

ცივილიზაციათა შეჯახება შეიძლება ატარებდეს ძალისმიერ ან არაძალისმიერ ხასიათს. ამერიკული და ევროპული სუბცივილიზაციების, აგრეთვე დასავლური ცივილიზაციისა და იაპონური ცივილიზაციის ურთიერთობა მარტოოდენ ეკონომიკური პაექრობით განისაზღვრება, მაშინ როდესაც ევრაზიის კონტინენტზე ცივილიზაციათა შეჯახებას მივყავართ ძალადობისა და კონფლიქტების გაჩაღებასთან (რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია ისლამური ცივილიზაციის მიერ კონტინენტზე თავის მეზობლებთან შეჯახებისათვის).

"მსოფლიოს სურათის" მკვეთრი იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილება აუცილებლად იწვევს იმ ძირითადი პრინციპების

შეცვლას, რომელთა მეოხებითაც იქმნებიან კოალიციები და ხდება თანამშრომლობის ორგანიზება. ამიერიდან ესეთ პრინციპს წარმოდგენს არა პოლიტიკური იდეოლოგია და არა ტრადიციული ძალთა ბალანსი, არამედ ცივილიზაციური ერთობა ეგრეთ წოდებული "მონათესავე ქვეყნების სინდრომი" (ხ. გრინუეის მიხედვით). ეს ტენდენცია უკვე გამოვლინდა სპარსეთის ყურის, ბოსნიისა და კავკასიის კონფლიქტებში, რომლებიც ჯერ არ იყვნენ სრულმასშტაბიანი ომები ცივილიზაციათა შორის, მაგრამ თავის თავში უკვე ატარებდნენ ცივილიზაციათა გაერთიანების ელემენტებს და კონფლიქტის გაწელვასთან ერთად, სულ უფრო მძლავრად ვლინდებოდნენ. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ იუგოსლავიის კონფლიქტი, სადაც მოკავშირეებს ირჩევდნენ არა იდეოლოგიური შეხედულებების მიხედვით, არამედ კულტურული და რელიგიური პრინციპების მიხედვით: კათოლიკურ ხორვატიას მხარი დაუჭირა გერმანიამ, ვატიკანმა და მთლიანობაში დასავლურმა ცივილიზაციამ; რუსეთმა აირჩია შუალედური კურსი (სერბიის მხარდაჭერა + დასავლეთთან კავშირის შენარჩუნება); მუსულმანური სამყარო, თავის მხრივ, ბოსნიის მხარეზე დადგა. მოკავშირეების ასეთმა განლაგებამ, თავის მხრივ, გამოიწვია ფინანსებით, შეიარაღებითა და, რიგ შემთხვევებში, მოხალისეებით მხარდაჭერა. ამგვარად, ცივილიზაციათა საზღვარზე მომხდარი ლოკალური კონფლიქტი გადაიზარდა მასშტაბურ ომში. მომავალ რეალობაში, ხაზგასმით აღნიშნავს ჰანთინგტონი, უადგილო იქნება ამა თუ იმ ცივილიზაციის საყვედური "ორმაგი სტანდარტის" გამო (მაგალითად მუსულმანთა საყვედური დასავლეთისადმი, რომელიც ატარებს განსხვავებულ პოლიტიკას ერაყთან და ბოსნიასთან მიმართებაში): დაპირისპირებულ ცივილიზაციათა სამყარო – ეს რა თქმა უნდა არის "ორმაგი სტანდარტების" სამყაროა, სადაც ერთი გამოიყენება მონათესავე ქვეყნებთან მიმართებაში, მეორე – სხვა ცივილიზაციებთან. "თუ 30-იანი წლების ესპანეთში ერთმანეთს ეომებოდნენ ფაშისტური, კომუნისტური და დემოკრატიული იდეოლოგიები, 90-იანი წლების იუგოსლავიაში იბრძვიან მუსულმანური, მართლმადიდებლური და კათოლიკური ცივილიზაციები. მომავლის ომები – ეს, უცილობლად, ცივილიზაციათა ომები იქნება".

დღეისათვის დასავლეთის ცივილიზაცია იმყოფება თავისი სიძლიერის ზენიტში. დასავლეთი მართავს უსაფრთხოების საერთაშორისო პოლიტიკურ დაწესებულებებსა და ინსტიტუტებს, და იაპონიასთან ერთად – საერთაშორისო ეკონომიკურ ინსტიტუტებს. გაერო-ს უშიშროების საბჭოსა და სსფ-ს გადაწყვეტილებები, რომლებიც ასახავენ დასავლეთის ინტერესებს, მსოფლიოს მიეწოდება, როგორც მსოფლიო თანამეგობრობის ნების გამოვლენა. თვით ფრაზა "მსოფლიო თანამეგობრობა" გახდა, "თავისუფალი სამყაროს" ნაცვლად, საყოველთაოდ გამოყენებულ ევფემიზმად, რომელიც მოწოდებულია გლობალური ლეგიტიმურობა მიანიჭოს იმ მოქმედებებს, რომლებიც ასახავენ აშშ-სა და დასავლური სახელმწიფოების ინტერესებს. დასავლეთი ეფექტურად იყენებს საერთაშორისო ორგანიზაციებს, სამხედრო სიძლიერესა და ეკონომიკურ რესურსებს მსოფლიოს ისეთი მართვისათვის, რომელიც უზრუნველყოფს დასავლეთის ბატონობას, დაიცავს დასავლურ ინტერესებს და მხარს დაუჭერს დასავლურ პოლტიკურ და ეკონომიკურ ფასეულობებს – ესეთია დასვლური ცივილიზაციის ხედვა სხვა ცივილიზაციების მიერ და ისინი მართალი არიან, ამბობს ჰანთინგტონი.

აქედან გამომდინარე, არსებობს კონფლიქტების ორი ფუნდამენტალური წყარო დასავლეთსა და სხვა ცივილიზაციებს შორის: ბრძოლა სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერებისათვის და განსხვავება კულტურებში, ანუ ძირითად ფასეულობებსა და რწმენაში. ზედაპირულად ჩანს, რომ დასავლური კულტურა, ერთი შეხედვით, მთელ მსოფლიოში არის გავრცელებული, მაგრამ სინამდვილეში არსებობს სიღრმისეული

ფუნდამენტალური განსხვავება დასავლურ კონცეფციებსა და სხვა ცივილიზაციებში გაბატონებულ კონცეფციებს შორის. ისეთ დასავლურ იდეებს როგორიცაა ინდივიდუალიზმი, ლიბერალიზმი, კონსტიტუციონალიზმი, ადამიანის უფლებები, თანასწორობა, თავისუფლება, კანონის ძალაუფლება, დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, როგორც წესი, არა აქვთ დიდი რეზონანსი ისლამურ, კონფუციანურ, იაპონურ, ინუისტურ, ბუდისტურ ან მართლმადიდებლურ კულტურებში. უფრო მეტიც, დასვლეთის მცდელობა დაამკვიდროს ეს ფასეულობები სხვა ცივილიზაციებში აწყდება წინააღმდეგობას, იწვევს ადგილობრივი ტრადიცებისაკენ შემობრუნებას (ახალგაზრდების მიმართვა რელიგიური ფუნდამენტალიზმისაკენ). თვით დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმები (დასვლური კულტურის პროდუქტი), არადასავლურ ცივილიზაციებში ვითარდებოდნენ, როგორც წესი, დასავლური კოლონიზაციის ან დასავლური ბატონობის შედეგად.

ჰანთინგტონი აკეთებს შემდეგ დასკვნას: მომავლის მსოფლიო პოლიტიკის ღერძი იქნება კონფლიქტი **The West against the rest** და არადასავლური ცივილიზაციების პასუხი დასავლურ ძლიერებასა და ფასეულობებზე. ამ პასუხმა შეიძლება მიიღოს სამი ფორმა:

– იზოლაციის კურსი, "დასაელური გახრწნილობისაგან" თავდაცვის მიზნით საზოგადოების ჩაკეტვა და დასავლეთის მიერ მართვად მსოფლიო თანამეგრობაზე უარის თქმა (ჩრდილოეთ კორეა, ბირმა);

– დასავლეთთან შეერთების, მისი ფასეულობებისა და წყობილების მიღების მცდელობა;

– "მოდერნიზაცია ვესტერნიზაციის გარეშე" შესაძლებლობა, ანუ დასავლეთის "გაწონასწორება" ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების განვითარების მეოხებით, დასავლეთის წინააღმდეგ მიმართული თანამშრომლობა სხვა არადასავლურ ცივილიზაციებთან და ამავდროულად საკუთარი ფასეულობებისა და საკუთარი წესწყობილების შენარჩუნება.

არიან ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ კულტურული ჰომოგენობის მნიშვნელოვანი დონე, მაგრამ დაყოფილნი არიან სხვასხვა ცივილიზაციებისადმი მათი საზოგადოების კუთვნილების მიხედვით. ამ ტიპის ქვეყნებს ჰანთინგტონი უწოდებს **torn country** - "გახლეჩილ ქვეყნებს". როგორც წესი, ამ ქვეყნების ლიდერები მიისწრაფვიან ჩაერთონ დასავლეთის სახელმწიფოთა რიცხვში, მაგრამ ამ ქვეყნების ისტორია, კულტურა და ტრადიციები არ წარმოადგენენ დასავლურს. კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს თურქეთი: იმ დროს, როდესაც თურქეთის პოლიტიკური ტრადიცია, ქემალ ათათურქიდან დაწყებული, ორიენტირებულია ქვეყნის მოდერნიზაციის, სეკულარიზაციისა და ვესტერნიზაციისაკენ (ნატოში გაწევრიანება, ერაყის ომში მონაწილეობა დასავლეთის მხარეზე), თურქული საზოგადოების ნაწილი მხარს უჭერს ისლამის გაძლიერებას და მიაჩნიათ, რომ თავისი არსით, თურქეთი არის მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმური საზოგადოება (აქედან–უარი ევროკავშირში გაწევრიანებაზე). თურქულ ელიტას თავისი თავი მიაჩნია ევროპელად, ხოლო დასაელეთს კი არა, – დასკვნას აკეთებს ჰანთინგტონი.

ყველაზე დიდ "გახლეჩილ ქვეყანას" წარმოადგენს რუსეთი. კვლავ აქტუალური გახდა საკითხი, თუ ვის ეკუთვნის რუსეთი: დასავლეთს თუ აღმოსავლეთს. რუსეთის ელიტა და საზოგადეოება დაიყო ამ კითვაზე პასუხის მომხრეთა კუთვნილების მიხედვით. ნაწილს სურს გადააქციოს რუსეთი "ნორმალურ" დასავლურ ქვეყანად. მათ ოპონენტებად გამოდიან ევრაზიელები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ რუსეთი არის "უნიკალური ევრაზიული ცივილიზაციის" ქვეყანა. ისინი აკრიტიკებენ არსებული რეჟიმის "ატლანტისტურ" საგარეო პოლიტიკას, დასავლეთისადმი რუსეთის სტრატეგიული ინტერესების დამორჩილებას, სამხედრო სიძლიერის შემცირებას,

ტრადიციული მოკავშირული ვალდებულებების უგულებელყოფას, ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების არარუსულ სულისკვეთებაზე. უფრო რადიკალური შეხედულებების მომხრეები ქადაგებენ ვულგარულ ნაციონალიზმს, გამოთქვამენ აშკარა ანტიდასავლურ და ანტისემიტურ შეხედულებებს, მოითხოვენ რუსეთის სამხედრო სიმძლავრეების გაზრდას და უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარებას ჩინეთთან და მუსულმანურ ქვეყნებთან...

საკუთარი ცივილიზაციური იდენტურობის ხელახლა განსასაზღვრად (დასავლურ ცივილიზაციაზე პერეორიენტირება), "გახლეჩილმა ქვეყანამ" უნდა დააკმაყოფილოს სამი მოთხოვნა:

– ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა მხარს უნდა უჭერდეს და ისწრაფვოდეს ამ პერეორიენტაციისაკენ;

– ქვეყნის მოსახლეობას უნდა სურდეს ახალი ცივილიზაციური იდენტურობის მიღება;

– დასავლურ ცივილიზაციაში დომინირებული მდგომარეობის მქონე ჯგუფების პოზიტიური განწყობა "გახლეჩილი ქვეყნის" საკუთარ ცივილიზაციაში მიღებისადმი.



**ტოკიოში მდებარე იასუკუნის ტაძარი ("ქვეყნის მშვიდობის ტაძარი") (1869) სინთოისტური რელიგიის ცენტრი. ტაძარში ინახებოდა იმპერატორის ძალაუფლების ატრიბუტები ხმალი და სარკე**

დასავლურ ცივილიზაციაში გაწევრიანების მსურველთათვის წარმოქმნილი წინააღმდეგობები მრავალი ფაქტორით არის განპირობებული. ისინი მინიმალურია ლათინური ამერიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, უფრო რთულია სსრკ-ს ყოფილი მართლმადიდებლური ქვეყნებისათვის, და ძალიან დიდია მუსლიმური, კონფუციანური, ინდუისტური და ბუდისტური საზოგადოებებისათვის. იაპონიას, რომელმაც შეინარჩუნა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობები, უკავია დასავლეთის ასოცირებული წევრის უნიკალური ადგილი. ქვეყნები, რომლებსაც საკუთარი კულტურისა და არსებული სიმძლავრეების გამო არ სურთ ან არ შეუძლიათ შეუერთდნენ დასავლეთს, მეტოქეობას უწევენ მას, ანვითარებენ საკუთარ ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკური სიმძლავრეებს შიდა განვითარების სტიმულირებისა და სხვა არადასავლურ სახელმწიფოებთან კოოპერაციის მეოხებით. მსგავსი თანამშრომლობის ყველაზე მკაფიო მაგალითად ჰანთინგტონს მიაჩნია ისლამურ-კონფუციანური ურთიერთობები, აღმოცენებული დასავლური ინრეტესების, ფასეულობებისა და სიძლიერესთან დაპირისპირების მიზნით. მაშინ, როდესაც რუსეთი და დასავლეთი ამცირებს შეიარაღებას, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა და მახლობელი აღმოსავლეთის რიგი სახელმწიფოები ხდებიან "იარაღის სახელმწიფოებად", მით უმეტეს, როდესაც დარღვეულია სტაბილური სამხედრო ბალანსი საბჭოთა და ამერიკულ ბლოკებს შორის. აქედან გამომდინარე ჰანთინგტონს მიაჩნია, რომ ცივი ომის შემდეგ დამდგარ ფაზაში ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს შეიარაღებაზე კონტროლის სფეროში წარმოადგენს

შემდეგი პრობლემა: არ დაუშვან არადასავლურ საზოგადოებებში ისეთი სამხედრო პოტენციალის განითარება, რომელიც დაემუქრება დასავლეთის ინტერესებს. დასავლეთი ცდილობს მიაღწიოს ამას საერთაშორისო შეთანხმებების, ეკონომიკური ზეწოლისა და იარაღისა და სამხედრო ტექნოლოგიების გადაადგილებაზე კონტროლის მეშვეობით.

დასავლეთი, ითავლისწინებს რა მისადმი მტრულად განწყობილი კონფუციანური და ისლამური ქვეყნების მხრიდან მომავალ პოტენციალურ საფრთხეს, იყენებს შემდეგ მეთოდებს: ხელშეკრულებები ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ (სწორედ ამ ტიპის იარაღი და მისი მიზნამდე მიტანის პირდაპირი და ირიბი საშუალებები – ბალისტიკური რაკეტები, ელექტრონიკა და სხვა – წარმოადგენენ დასავლეთისათვის სერიოზულ საფრთხეს); დამსჯელი სანქციების გამოყენების მუქარა იმათ წინააღმდეგ ვინც ხელს უწყობს მაღალტექნოლოგიური იარაღის გავრცელებას და პირიქით, დახმარების გაწევა მათთვის, ვინც არ მონაწილეობს ამ პროცესში.

მეორეს მხრივ არადასავლური ერები იცავენ თავიანთ უფლებებს ნებისმიერი ტიპის შეიარაღების შეძენასა და წარმოებაზე, რომლებიც აუცილებელია მათი უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის. გარდა ამისა მათ სათანადო დასკვნები გამოიტანეს ინდოეთის თავდაცვის მინისტრის პასუხიდან კითხვაზე, თუ რა გაკვეთილი მიიღო მან სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომიდან: "არ ეომო შეერთებულ შტატებს, თუკი ბირთვული იარაღი არა გაქვს!" – აღნიშნავს ჰანთინგტონი. მგვარად, არადასავლური ქვეყნები ბირთვულ და ქიმიურ იარაღს განიხილავენ, როგორც ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში დასავლეთის დომინირების პოტენციური გაწონასწორების საშუალებას.

დასავლეთისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს ჰანთინგტონი ხედავს ჩინეთის საქმიანობაში, რამეთუ მას უკვე გააჩნია ბირთვული იარაღი; პაკისტანსა და ინდოეთს – ამ არაღის შექმნის შესაძლებლობა; ჩრდილოეთ კორეა, ირანი, ერაყი, ლიბია და ალჟირი, როგორც ჩანს, უკვე რეალურად ცდილობენ მის ხელში ჩაგდებას. ჩინეთი გახდა იარაღისა და ტექნოლოგიების მთავარი ექსპორტიორი: ლიბიასა და ერაყს მიაწოდა ნედლეული, რომელიც შეიძლებოდა ბირთვული იარაღისა და ნერვული გაზის საწარმოებლად გამოყენებულიყო; დაეხმარა ალჟირს ბირთვული იარაღის საწარმოებლად გამოსადეგი რეაქტორის აშენებაში; მიჰყიდა ირანს ბირთვული ტექნოლოგია; დაუფარავად გადაიტანა პაკისტანში 300 მილის რადიუსში მოქმედი რაკეტების კომპონენტები. გარკვეული დროის მანძილზე ჩრდილოეთ კორეაშიც მოქმედებდა ბირთვული იარაღის პროგრამა და მან უახლესი რაკეტები და ტექნოლოგია მიჰყიდა სირიასა და ირანს. იარაღისა და სამხედრო ტექნოლოგიის გადინება, როგორც წესი, ხდება აღმოსავლეთ აზიიდან შუა აზიისაკენ. თუმცა შეიმჩნევა მოძრაობა საპირისპირო მიმართულებითაც, მაგალითად პაკისტანმა ჩინეთს მიაწოდა "სტინგერის" ტიპის რაკეტები.

ამგვარად კონფუციანურ-ისლამური სამხედრო კავშირი უკვე დადასტურებული ფაქტია და მიზნად ისახავს მისი წევრების უახლესი იარაღითა და ტექნოლოგიით აღჭურვას დასავლეთის სამხედრო ძლიერებასთან დასაპირისპირებლად. შეიარაღებულმა ქიშპობამ დასავლეთსა და ისლამურ-კონფუციანურ სახელმწიფოებს შორის ახალი ფორმა მიიღო: ერთი მხარე (ისლამურ-კონფუციანური ბლოკი) გამალებით იარაღდება, ხოლო მეორე (დასავლეთი) თანაფარდობის მიღწევას კი არ ცდილობს (როგორც "ცივი ომის" წლებში), არამედ ამ მზარდი შეიარაღების შეზღუდვას და იმავდროულად საკუთარი სამხედრო პოტენციალის შემცირებას.

სამუელ ჰანთინგტონი გამოყოფს იმ საკვანძო მომენტებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მსოფლიოს განვითარების ანალიზის დროს უახლოს მომავალში:

– არსებობს რიგი ცივილიზაციებისა, რომელთა შორის არსებული განსხვავებანი აშკარაა და უკიდურესად მნიშვნელოვანი; იდეოლოგიური და თვითიდენტიფიკაციის სხვა ფორმების დაცემის შემდეგ გაფართოვდება ცივილიზაციური ცნობიერება; ცივილიზაციათა კონფლიქტი, როგორც გლობალურად გაბატონებული ფორმა, გააძევებს იდეოლოგიურ, თუ სხვა სახის კონფლიქტებს.

– საერთაშორისო ურთიერთობები, რომლებიც წარსულში წყდებოდნენ დასავლური ცივილიზაციის ფარგლებში, მომავალში განიცდიან სწრაფ დევესტერნიზაციას; ახალ საერთაშორისო ურთიერთობებში არადასავლური ცივილიზაციები ისტორიის ობიექტებიდან გადაიქცევიან მის სუბიექტებად.

– საერთაშორისო პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ინსტიტუტები ამიერიდან ეფექტურ ფუნქციონირებას შესძლებენ მხოლოდ ერთი ცივილიზაციის ჩარჩოებში; სხვადასხვა ცივილიზაციის დაჯგუფებათა შორის კონფლიქტები უფრო ხშირი, ხანგრძლივი და სასტიკი იქნება, ვიდრე კონფლიქტები ერთი ცივილიზაციის ფარგლებში; ეს კი ყველაზე საეჭვო და სახიფათო წყაროა ამ ესკალაციისა, რამაც შეიძლება გლობალურ ომებამდე მიგვიყვანოს.

– მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ღერძი იქნება თანაფარდობა "დასავლეთსა და დანარჩენებს" შორის (The West against the rest).

– "გახლეჩილი ქვეყნების" ელიტები შეეცდებიან საკუთარი ქვეყნები აქციონ დასავლეთის ნაწილად. მაგრამ ხშირ შემთხვევაში, დიდ წინააღმდეგობას წააწყდებიან.

– უახლოეს მომავალში კონფლიქტის ძირითადი წყარო გახდება წინააღმდეგობა დასავლეთსა და რამდენიმე ისლამურ-კონფუციანურ სახელმწიფოს შორის.

ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარე ჰანთინგტონი აკეთებს შემდეგ დასკვნებს დასავლეთისათვის: მოკლევადიან უპირატესობის მისაღწევად და ხანგრძლივ-სტრატეგიულ – თანაცხოვრებისათვის გამიზნულ დასკვნებს.

მოკლევადიანი უპირატესობის მიღწევა:

– გამთლიანება და თანამშრომლობა საკუთარი ცივილიზაციის ფარგლებში, განსაკუთრებით მის ევროპულ და ჩრდილო ამერიკულ შემადგენელ ნაწილებს შორის;

– მან უნდა მოახდინოს დასავლურ ცივილიზაციაში აღმოსავლეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის იმ საზოგადოებების ინტეგრირება, რომელთა კულტურა ახლოა დასავლეთთან;

– შეინარჩუნოს და განავითაროს ურთიერთობა რუსეთთან და იაპონიასთან;

– არ დაუშვას ლოკალური, შიდაცივილიზაციური კონფლიქტების გადაზრდა დიდ შიდაცივილიზაციურ ომებად;

– შეზღუდოს კონფუციანური და ისლამური სახელმწიფოების სამხედრო ძლიერების ზრდა;

– ზომიერად შეამციროს საკუთარი შეიარაღება და შეინარჩუნოს სამხედრო უპირატესობა აღმოსავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში;

– გამოიყენოს განსხვავებანი და კონფლიქტები კონფუციანურ და ისლამურ ქვეყნებს შორის;

– მხარი დაუჭიროს სხვა ცივილიზაციების იმ ჯგუფებს, რომლებიც სიმპათიას გამოხატავენ დასავლური ღირებულებებისა და ინტერესებისადმი;

– გააძლიეროს ის საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც გამოხატავენ და აკანონებენ დასავლურ ინტერესებსა და ღირებულებებს, ხელი შეუწყოს ამ ინსტიტუტებში არადასავლური სახელმწიფოების ჩართვას.

ხანგრძლივ-სტრატეგიული – თანაცხოვრებისათვის გამიზნული დასკვნები გულისხმობს სხვა საშუალებების გამოყენებას:

– დასავლეთმა უნდა აღიაროს, რომ არადასავლური ცივილიზაციები შეეცდებიან მოახდინონ მოდერნიზაცია ვესტერნიზაციის გარეშე (დღეისათვის ეს ჯერჯერობით მარტო იაპონიამ შესძლო);

– არადასავლური ცივილიზაციები კვლავაც შეეცდებიან მიაღწიონ თანამედროვე ქვეყნების სტატუსს (კეთილდღეობა, ტექნოლოგიების გაუმჯობესება, კვალიფიკაციის ამაღლება, დანადგარებისა და იარაღის სრულყოფა) დასახელებული ატრიბუტების შეთავსებით და შეთანხმებით საკუთარ ტრადიციულ კულტურასა და ფასეულობებთან;

– არადასავლური ცივილიზაციების ეკონომიკური და სმხედრო ძლიერება დასავლეთთან მიმართებაში გაიზრდება და დასავლეთი იძულებული გახდება შეეგუოს ამ ცივილიზაციების არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ მათი ფასეულობანი და ინტერესები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება;

– საკუთარი ინტერესების დასაცავად დასავლეთმა არა მარტო უნდა შეინარჩუნოს თავისი ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობა, არამედ უფრო ღრმად უნდა გაიგოს არადასავლურ ცივილიზაციათა საფუძველში ჩადებული სიღრმისეული, რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებები და ცხოვრების წესი;

– გარკვეული მცდელობა გახდება საჭირო როგორც დასავლეთის, ისე სხვა ცივილიზაციების მხრიდან, ერთმანეთში განსხვავების გარდა მსგავსების შესამჩნევადაც;

– რეალურ მომავალში ჩვენ ვერ დავინახავთ უნივერსალურ ცივილიზაციას, ეს იქნება სხადასხვა ცივილიზაციათა სამყარო, სადაც თითოეულ მათგანს მოუწევს სხების გვერდით თანაცხოვრების სწავლა.



**სამუელ ჰანთინგტონის მსოფლიო ცივილიზაციები**

**დასავლური, კონფუციანური (ჩინური), იაპონური, მუსლიმური, ინდუისტური, სლავურ-მართლმადიდებლური, ლათინურ-ამერიკული და შესაძლოა აფრიკული**

# P.S.

**"არც ერთი ერი იმის უკეთესის ღირსი არაა, რაც მას დაუმყარებია თავათ".**

**კონსტანტინე გამსახურდია**

## თავი IV
## ეკონომიკა და გეოპოლიტიკა

"დიდი ერები არასოდეს ღარიბდებიან კერძო პირების არაკეთილგონიერების ან მფლანგველობის გამო, მაგრამ ისინი ხშირად ღატაკდებიან სახელმწიფო ხელისუფლების უგუნურობისა და მფლანგველობის შედეგად".

ადამ სმიტი

სივრცეზე კონტროლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკა.

ტერიტორიის კონტროლისათვის აუცილებელია მისი ათვისება და განვითარება, ამისათვის კი საჭიროა რომ სახელმწიფო საიმედოდ აკონტროლებდეს საკუთარი ქვეყნის ეკონომიკას და მართავდეს მას ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

გასული საუკუნის დასაწყისში გაბატონებული იყო კლასიკური ანუ მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმი. მისი კლასიკური ანალიზი მოცემული აქვს კარლ მარქსს თავის "კაპიტალიში", სადაც მას განხილული აქვს საქონლის ორმაგი ბუნება. ერთის მხრივ, საქონელს გააჩნია სამომხმარებლო ღირებულება, ანუ ემსახურება ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მეორე მხრივ, სხვადასხვანაირ საქონელს გააჩნია საერთო საზომი – ღირებულება ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ საქონლის წარმოებისათვის საჭირო საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო.



კარლ ჰენრიხ მარქსი (გერ., Karl Heinrich Marx) (1818-1883)
გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, პოლიტიკური ჟურნალისტი

ნატურალურ-საგნობრივი (ნივთობრივი) ფორმის მიხედვით საზოგადოებრივი პროდუქტი იშლება წარმოების საშუალება "ა"-დ და მოხმარების საგნებად "ბ"-დ. საქონლის ღირებულება იქმნება შრომით წარმოების პროცესში, ხოლო ვლინდება იგი გაცვლის პროცესში, რომელიც ხორციელდება ფულის მეოხებით. ხდება სტიქიური დარეგულირება, ღირებულების დადგენა ბაზრის მეოხებით. ამასთან ერთად მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია პირდაპირი ანუ უბრალო სასაქონლო გაცვლა. სამუშაო ძალა გადაიქცევა საქონლად. მის მიერ წარმოებული ერთობლივი პროდუქტი S–ს ღირებულება იყოფა სამ ნაწილად: $S = C + V + m$

აქ, C – მუდმივი კაპიტალია, ანუ შენობების, მოწყობილობის მანქანების ღირებულება (ძირითადი კაპიტალი); ნედლეულისა და საწვავის ღირებულება (დამხმარე კაპიტალი); V – ცვალებადი კაპიტალი-სამუშაო ძალის ღირებულება; m – ზედმეტი ღირებულება – რომელიც იქმნება დაქირავებული მუშების აუნაზღაურებელი შრომით და რომელსაც ითვისებს კაპიტალისტი.

მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის პირობებში კაპიტალისტი, როგორც წესი წარმოადგენს წარმოების ერთპიროვნულ მფლობელს. იგი თვითონ არეგულირებს ზედმეტი ღირებულების გამოყენების საკითხებს და შეძლებისდაგვარად თანაფარდობას C, V, m-ს შორის.

კლასიკური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები, ეკონომიკური პროცესების სტიქიური ხასიათი. ამდაგვარ პირობებში მიმდინარეობენ თვითორგანიზაციის პროცესები და წარმოიქმნებიან დროებითი სტრუქტურები, რომლის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ ჭარბწარმოების პერიოდული დამანგრეველი კრიზისები, რომლებიც წარმოადგენენ კლასიკური კაპიტალიზმის (თავისუფალი ბაზრის) მუდმივ თანმხლებს.

კლასიკური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია მთელი რიგი წინააღმდეგობები. მათში ძირითადს წარმოადგენს შეურიგებელი წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის, ექსპლუატატორებსა და ექსპლუატირებულებს შორის. როგორც ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ფორმულიდან ჩანს, მათი ინტერესები დიამეტრულად საპირისპიროა: მეტი V – ნაკლები m, და პირიქით – მოგება იზრდება ექსპლუატაციის ზრდასთან ერთად. გამოსავალს მუშები ხედავენ კლასობრივ ბრძოლაში, რომლის ინტენსიურობაც თანდათანობით იზრდებოდა.

მეორე წინააღმდეგობა – ეთნოსებს შორის წინააღმდეგობა, რაც შეიძლება უფრო მეტი მატერიალური სიმდიდრის წილის მისაღებად. აქ უკვე ერთი ეთნოსი ცხოვრობს სხვების ხარჯზე. მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები მნიშვნელოვანწილად ცხოვრობდნენ კოლონიებისა და სუსტადგანვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ხარჯზე. რის შედეგადაც სულ უფრო და უფრო მზარდ და შეურიგებელ ხასიათს იძენდა ანტიკოლონიალური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა.

მესამე და მთავარი წინააღმდეგობა. მატერიალური სიმდიდრის წარმოების შეზღუდულობა კლასიკური კაპიტალიზმის დროს, მუშათა ექსპლუატაციის ამაღლების გარკვეული ზღვარის არსებობა, საზოგადოების უმაღლესი ფენების მომხვეჭელობის დაუოკებელმა წყურვილმა წარმოშვა მოგების შეზღუდვისა და თვით მისი შემცირების პერსპექტივა. ამის დაშვება კი არ შეიძლებოდა. გამოსავალს ხედავდნენ მსოფლიოს გადანაწილებაში, უძლიერესის ბატონობაში. დაძაბულობა გროვდებოდა და მას მოჰყვა აფეთქება – პირველი მსოფლიო ომი, რომელიც წარმოადგენდა კლასიკური კაპიტალიზმის წინააღმდეგობების გადაწყვეტის კანონზომიერ და გარდაუვალ საშუალებას.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ხდება იმ კონცეფციების ჩამოყალიბება, რომლებიც დაფუძნებულნი არიან საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მოვლენების გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულ გამოელენაზე. ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ომების პრობლემები. ერთერთ პირველ მცდელობას მოეძებნათ მისი ახსნა და გამოემუშავებინათ მისი აღმოფხვრის საშუალებები წარმოადგენდა იმპერიალიზმის სხვადასხვა კონცეფციების დამუშავება.



**ჯონ ატკინსონ ჰობსონი (ინგ., John Atkinson Hobson)(1858-1940) ინგლისელი ეკონომისტი. ლონდონის ეკონომიკური სკოლის პროფესორი.**

ინგლისელი ეკონომისტი ჯონ ჰობსონი (1858-1940) იყო იმპერიალიზმის, როგორც მოვლენის, ერთერთი პირველი მკვლევართაგანი. ინგლის-ბურების ომის დროს ის, როგორც "მანჩესტერ გარდიანის" კორესპონდენტი, იმყოფებოდა სამხრეთ აფრიკაში და "შიგნიდან" აკვირდებოდა ამ კონფლიქტს.

1902 წელს გამოცემულ წიგნში "იმპერიალიზმი" ((Imperialism, 1902) ჰობსონი აკეთებს შემდეგ დასკვნებს. იმპერიალიზმის პოლიტიკის გადარდაუვალობა მისი აზრით შეცდომაა. მას მიაჩნია, რომ სამრეწველო პროგრესი კი არ მოითხოვს ახალი ბაზრებისა და კაპიტალის დაბანდების სფეროების გახსნას, არამედ მოხმარების შესაძლებლობების არათანაბარი განაწილება, რომელიც ზღუდავს ქვეყნის შიგნით საქონლისა და კაპიტალის აბსორბციას. ჭარბდაგროვების, რომელიც წარმოადგენს იმპერიალიზმის ღერძს, ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი ყალიბდება რენტის, მონოპოლიური მოგებისა და შემოსავლის ჭარბი ელემენტებისაგან, რომელსაც არ გაჩნია ლეგიტიმური raison d'estre, რამეთუ იგი არ ხვდება მათ, ვინც მათ ჰქმნის "თავით და ხელებით".

იმპერიალიზმის ერთადერთ წამლად ჰობსონი მიიჩნევს "სოციალურ რეფორმას", რომელიც მიმართული იქნება ერის კერძო და საზოგადოებრივი მოხმარების სტანდარტების გაზრდისაკენ, რათა მისცეს მას შესაძლებლობა იცხოვროს წარმოების ყველაზე მაღალი სტანდარტების შესაბამისად. სოციალური რეფორმირების პროგრამა, როგორც საზოგადოების შიგნით არათანაბარი განაწილების ავადმყოფობისაგან განკურნების საშუალება, უნდა მოიცავდეს ხელფასის დონის ზრდას ან გადანაწილებას, დაბეგვრასა და სახელმწიფო შემოსავლების მეოხებით რეგულირებას.



**ვლადიმერ ლენინი (1870-1924) მარქსიზმის თეორეტიკოსი, პუბლიცისტი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი.**

მონოპოლისტური კაპიტალიზმის თანადროული საინტერესო ანალიზი მოცემული აქვს ვ. ლენინს: "1. წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია, განვითარების ისეთ მაღალ საფეხურამდე მისული, რომ მან შექმნა მონოპოლიები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სამეურნეო ცხოვრებაში; 2. საბანკო კაპიტალის შერწყმა სამრეწველოსთან და ამ

"ფინანსური კაპიტალის" ბაზაზე ფინანსური ოლიგარქიების შექმნა; 3. კაპიტალის გატანას, საქონლის გატანისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება; 4. იქმნება კაპიტალისტების საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირები, რომლებიც მსოფლიოს ინაწილებენ, და 5. დამთავრებულია დედამიწის ტერიტორიული განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის". [ვ. ლენინი. "იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" (1916)] როგორც ვხედავთ, ლენინის პოლიტიკური დასკვნები სულ სხვა ხასიათს ატარებს. იგი იმპერიალიზმს განიხილავს, როგორც კაპიტალიზმის განვითარებაში კანონზომიერად და ობიექტურად მიღწეულ უმაღლეს მონოპოლისტურ სტადიას, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. ლენინისათვის ასევე მიუღებელია იმპერიალიზმის სოციალური რეფორმირების რეცეპტი. მისი დასკვნა არის ერთსახოვანი: სოციალისტური რევოლუცია, რომელიც მოსპობს ავადმყოფობის პირველსაწყისს – კერძო საკუთრებას.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ყალიბდება საზოგადოების სხვა ტიპი – სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. თუმცა მისი ელემენტები ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გაჩნდნენ. სამრეწველო წარმოების ზრდასთან ერთად თავი იჩინა წინააღმდეგობებმა, რომლებიც დაკავშირებული იყო კაპიტალის შესაძლებლობების შეზღუდულობასთან და წარმოების ერთპიროვნული მეპატრონის კომპეტენტურობასთან, წვრილი წარმოების ქაოსურობასთან.

საუკუნის დასაწყისში ვითარდებოდა მონოპოლისტური გაერთიანებების თვითორგანიზაციის პროცესი. თავისუფალ კონკურენციას ცვლის მონოპოლიათა ბატონობა, რომლებიც ჯერ დამკვიდრდნენ მძიმე მრეწველობაში, ხოლო დროთა განმავლობაში თავის კონტროლს დაუმორჩილეს მეურნეობის ყველა დარგი. მოხდა სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმა. საუკუნის დასაწყისში დამთავრდა მსოფლიოს კოლონიალური დაყოფა, დანაწილებული იქნა გასაღების ბაზრები და ნედლეულის წყაროები. გაჩნდა მონოპოლისტური ზემოგებების მიღების შესაძლებლობა (შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერების ხარჯზე, ფინანსური ოპერაციების ხარჯზე, კაპიტალის გატანა სხვა ქვეყნებში). ამასთან ერთად წვრილი წარმოებების მთელი მასა აღმოჩნდა მონოპოლიებისაგან დამოკიდებული, რომლებმაც მიაღწიეს წარმოების განსაზოგადებისა და ორგანიზაციის მაღალ დონეს. სახელმწიფოებრივი რეგულირება ხორციელდებოდა, პირველ რიგში, მონოპოლიების ინტერესებისათვის.

პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდა ეგრეთ წოდებული "ოქროს სტანდარტი", ანუ ოქრო ასრულებდა ფულის ყველა ფუნქციას, ხოლო ქაღალდის ფული, თავისი არსით წარმოადგენდა მის წარმომადგენლებს და თავისუფლად იცვლებოდა ოქროზე მასზე აღნიშნული ოქროს ოფიცილური შემცველობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე არ არსებობდა პრობლემები სავალუტო კურსის დადგენასთან მიმართებაში. იგი დაფუძნებული იყო ოქროს პარიტეტზე. ოქროს წერტილების მექანიზმს ფუნქციონირება შეეძლო მხოლოდ ოქროს თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის პირობებში ფიქსირებულ ფასად და კიდევ ერთი, არ უნდა ყოფილიყო არავითარი შეზღუდვა მის გატანაზე. "ოქროს საუკუნე" (1870-1914), იყო ისტორიაში "ყველაზე თავისუფალი კაპიტალიზმის" პერიოდი, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის დამახასიათებელი იყო ვალუტების ფიქსირებული კურსი.



**ბრიტანული სოვერენები**

პირველი მსოფლიო ომის დროს წარმოშობილმა ინფლაციამ შეუძლებელი გახადა ვალუტის ოქროზე გადაცვლის მექანიზმის შენარჩუნება და გამოიწვია "ოქროს სტანდარტი"-ს კრახი. XX საუკუნის ოციან წლებში იგი აღორძინდა ცოტა ხნით მოდიფიცირებული შეკვეცილი სახით. 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია მისი კრახი. 1931 წელს დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა გაეუქმებინა ფუნტი სტერლინგის ოქროზე "მიბმის" მექანიზმი. იწყება დევალვაციების პერიოდი, ვალუტათა პარიტეტების პერიოდული კორექტირება, სავალუტო კონტროლის გაძლიერება და საიმპორტო შეზღუდვები.



დოლარი

1944 წელს შეიქმნა ბრეტონ-ვუდსის სავალუტო სისტემა. მის მიზანს წარმოადგენდა გაეერთიანებინა ოქროს სტანდარტისათვის დამახასიათებელი სიმტკიცე და ცვალებადი კურსების სისტემისათვის დამახასიათებელი მოქნილობა. დაფიქსირდა ყველა მონაწილე ქვეყნის ეროვნულ ვალუტებში ოქროს ოფიციალური შემცველობა და აქედან გამომდინარე განისაზღვრა ვალუტათა ურთიერთპარიტეტები. მაგრამ არ იყო დაფიქსირებული ქაღალდის ფულის ოქროზე გაცვლის ვალდებულება, ამიტომაც ოქროს წერტილების მექანიზმმა შეწყვიტა ფუნქციონირება. სამაგიეროდ ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების მონაწილეებმა მიიღეს შეთანხმება არ დაეშვათ სავალუტო კურსის გადახრა პარიტეტიდან + – 1%. საგადასახადო ბალანსის ავტომატური გათანაბრება უნდა მომხდარიყო შემოსავლებისა და ფასების მეოხებით, როგორც რეაქცია სავალუტო რეზერვების ცვლაზე. მხოლოდ "ფუნდამენტალური დისბალანსის" შემთხვევაში უნდა მომხდარიყო პარიტეტის შეცვლა. XX საუკუნის 60-ან წლებში გამოიკვეთა ინფლაციის ტემპების დაჩქარების ტენდენცია. ინფლაციის გაძლიერება და განსხვავების ზრდა მის ტემპებში იწვევდა პარიტეტების პერიოდულ გადასინჯვას. 1948–1967 წლებში 109 ქვეყანამ შეცვალა ეროვნული სავალუტო კურსი. ვალუტის საშუალო გაუფასურებამ შეადგინა 48,2%. 48 ქვეყანამ ჩაატარა საკუთარი ვალუტის ორი და უფრო მეტი დევალვაცია. ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების თანახმად მხოლოდ აშშ იძლეოდა გარანტიას გადაეცვალა საკუთარი ვალუტა ოქროზე ფიქსირებული კურსით. მაგრამ დოლარების წარდგენა გადასაცვლელად შეეძლო მხოლოდ სხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკს. გარდა ამისა ასეთი რამ განიხილებოდა, როგორც "არამეგობრული" აქცია აშშ-ს მიმართ და ხორციელდებოდა ძალიან იშვიათად. (თუმცა, საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა მსგავსი საშუალებით საგრძნობლად შეავსო საფრანგეთის ოქროს მარაგი).



**შარლ დე გოლი (ფრ., Charles de Gaulle) (1890-1970) ფრანგი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. II მსოფლიო ომში საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის სიმბოლო. V რესპუბლიკის პრეზიდენტი (1959-1969)**

XX საუკუნის 60-ან წლებში აშშ მოიცვა ინფლაციამ და ოქროს საბაზრო ფასმა გადააჭარბა ფიქსირებულ ფასს. აქედან გამომდინარე აშშ-ს აღარ შეეძლო ხელოვნურად შეენარჩუნებია ფიქსირებული ფასი. 1971 წლის 15 აგვისტოს აშშ-ს პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა გააუქმა ოქროსა და დოლარს შორის არსებული კავშირი. აშშ-ს დოლარი დარჩა თავისი უზრუნველყოფის გარეშე. 1971 წლის დეკემბერში მიღებული იყო გადაწყვეტილება დოლარის დევალვაციის შესახებ (პირველი ომისშემდგომ პერიოდში). 1973 წლის მარტიდან დომინირებული გახდა მცურავი სავალუტო კურსის რეჟიმი. (პრინციპულ გამონაკლისს წარმოადგენს ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი სავალუტო სისტემის კურსების რეჟიმი).

ახალი სავალუტო წესრიგი ოფიციალურად (მცურავ კურსზე გადასვლასთან ერთად) განმტკიცებული იქნა 1976 წელს იამაიკაზე, ქალაქ კინგსტონში, ჩატარებულ კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში. იამაიკის სისტემა არ გამორიცხავს შეთანხმებას "მოდიფიცირებული" სახის ფიქსირებულ კურსზე. მასში გათვალისწინებულია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრ ქვეყანას შეუძლია, სურვილის მიხედვით, საკუთარი ვალუტის პარიტეტის განმსაზღვრელ კრიტერიუმად აირჩიოს ან რომელიმე ვალუტა, ან სავალუტო "კალათა". ამით ისარგებლეს ევროპულმა ქვეყნებმა და 1999 წელს შექმნეს ევროპული სავალუტო სისტემა და ვალუტის ახალი ერთეული – ევრო (EURO).



**ევრო**

კაპიტალის გატანამ ინტენსიური ხასიათი მიიღო XIX საუკუნის ბოლო მესამედში და გახდა საერთაშორისო ეკონომიკური ოპერაციების დამახასიათებელი ფორმა (კოლონიალურ ექსპანსიასთან ერთად). 1914 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე საზღვარგარეთ კაპიტალდაბანდებების რიცხვი გაიზარდა 1/3-ით (თუმცა იმავდროულად მიაღწია მხოლოდ 1930 წლის დონეს). შემდგომ 10 წელიწადში მოხდა მათი გაორმაგება, ანალოგიური მაჩვენებლები მიღებული იქნა 6-7 წლის შემდეგ. XX საუკუნის 60-ანი წლების შუაში გაიზარდა 4 ჯერ, ხოლო 80-იან წლებში მათმა საერთო მოცულობამ შეადგინა 500 მილიარდი დოლარი. 1990 წელს – მიაღწია 1,7 ტრილიონი დოლარის ზღვარს. 1995 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 2,8 ტრილიონი დოლარი, 1999 წელს – 4,1 ტრილიონი დოლარი. მარტო

1998 წელს მატებამ შეადგინა 650 მილიარდი დოლარი, ზრდის საერთო ტენდენციეს შენარჩუნების პირობებში [Щетинин В.Д. Экономическая дипломатия. М.,2001. გვ.122]

თავდაპირველად ინგლისსა და საფრანგეთს ამ სფეროში კონკურენტები არ ჰყავდა. შემდგომში ექსპორტიორი ქვეყნების რიცხვის ზრდასთან ერთად იცვლებოდნენ ლიდერებიც.

[გთავაზობთ პირდაპირი ინვესტიციების მსოფლიო ბაზარზე ლიდერთა ცვლის დინამიკას:

– XX საუკუნის პირველი ათწლეული – ინგლისი, საფრანგეთი, აშშ, გერმანია, ჰოლანდია, ბელგია, იტალია, იაპონია;

– XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრული – აშშ, ინგლისი (თუ გავითვალისწინებთ სამხედრო სესხებს ინგილი პირველ ადგილზე იქნება, ხოლო აშშ მეორეზე), საფრანგეთი, ჰოლანდია, შვეიცარია, გერმანია;

– XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარი – ინგლისი, აშშ, ჰოლანდია, საფრანგეთი, შვეიცარია, ბელგია, გერმანია, იაპონია, იტალია;

– XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარი – აშშ, ინგლისი, კანადა, ჰოლანდია, საფრანგეთი;

– XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარი – აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, კანადა, შვეიცარია, გფრ, ბელგია, ჰოლანდია, იტალია;

– XX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარი – აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გფრ;

– XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარი – აშშ, ინგლისი, გფრ, შვეიცარია, იაპონია, ჰოლანდია;

– XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარი – აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, კანადა, შვეცია;

– XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარი – აშშ, ინგლისი, გფრ, ჰოლანდია, იაპონია, კანადა, საფრანგეთი, შვეიცარია;

– XX საუკუნის 90-იანი წლების დასასრული – აშშ, ინგლისი, გერმანია, იაპონია, ჰოლანდია, საფრანგეთი, შვეიცარია, კანადა, ბელგია-ლუქსემბურგი, შვეცია;

ლიდერთა ცვლას აქვს ადგილი იმპორტიორ ქვეყნებს შორისაც. დღეისათვის ლიდერთა ათეული, რომლებიც იღებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ასე გამოიყურება: აშშ, ინგლისი, ჩინეთი, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია-ლუქსემბურგი, ბრაზილია, კანადა, იტალია.

საინტერესო გეოგრაფიული მახასიათებელი აქვს კაპიტალის გატანისა და შემოტანის გეოგრაფიულ სტრუქტურას:

– სამ პოლუსიანი სისტემა (აშშ, ევროკავშირი, იაპონია);

– მასში შედის "დიდი შვიდეულის" ყველა ქვეყანა;

– იაპონიის მონაწილეობა მხოლოდ ექსპორტში (იმპორტით თითქმის რუსეთის დონეზეა);

– ჩინეთის სერიოზული აღზევება (ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმპორტიორებში, ამსთან ჰონკონგის საგანგებო ადმინისტრაციული რაიონის გათვალისწინებით იგი გაასწრებდა ინგლისს და გავიდოდა მსოფლიოში მეორე ადგილზე აშშ-ს შემდეგ).

"ტრიადაზე" მოდის ინვესტიციების გატანისა და შემოტანის საერთო მოცულობის დაახლოებით 4/5, რაც არსებითად უფრო მეტია მათ ხვედრით წილზე საგარეო ვაჭრობაში. "ტრიადის" შიგნით მიდინარეობს კაპიტალის ურთიერთგადახლართვა, ურთიერთ ვაჭრობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მსოფლიო ვაჭრობა მთლიანობაში. "ტრიადის" სახით ყალიბდება მსოფლიო მეურნეობის ახალი, უფრო მაღალი სართული საკუთარი შრომის საერთაშორისო დანაწილებით და ეროვნულ, რეგიონალურ და საერთასორისო

დონეებზე რეგულირების საკუთარი მექანიზმით, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიოსამეურნეო სტანდარტებს].

არამდგრადობის დაძლევისათვის საჭიროა ბაზრის სტიქიის მოთოკვა. სიტუაციიდან გამომდინარე სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა. ზოგჯერ საჭიროა ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, ზოგჯერ კი პირიქით მისი ერთგვარი შეჩერება. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოები კონკრეტული ამოცანებიდან და სიტუაციიდან გამომდინარე თავიანთ ეკონომიკურ პოლიტიკაში ახდენენ სხვადასხვა ღონისძიებების რეალიზაციასა და ეყრდნობიან განსხვავებული თეორეტიკული სკოლების პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

აქ შეიძლება გამოვყოთ ა. ჰიტლერისა და ფ. რუზველტის გზები. მათი ქვეყნები 30-ანი წლების დასაწყისში ფართო მასშტაბიანი კონფლიქტის ზღვარზე აღმოჩნდნენ.



ადოლფ ჰიტლერი (გერ., Adolf Hitler) (1899-1945) გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის ფიურერი (ბელადი). გერმანიის რაიხსკანცლერი (1933-1945)

ა. ჰიტლერმა შემოიღო ფართო მასშტაბიანი სახელმწიფოებრივი რეგულირება და მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს გერმანიის ეკონომიკის აღმავლობის საქმეში. მან გამოიყენა დიქტატურა და რასობრივი პრინციპი – გერმანული ენის უპირატესობა სხვა ერებთან მიმართებაში. ამ საფუძველზე გერმანიაში შესაძლებელი გახდა სოციალური პარტნიორობა სხვადასხვა კლასებს შორის.

ფ.რუზველტმა 1932 წლიდან შემოიღო უმკაცრესი ეკონომიკური რეგულირების ღონისძიებები. იგი ეყრდნობოდა ჯონ კეინსის თეორიას, რომლებიც მან ჩამოაყალიბა 1936 წელს წიგნში "დასაქმებულობის, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია".



ფრანკლინ დელანო რუზველტი (ინგ., Franklin Delano Roosevelt) (1882-1945) აშშ-ს 32-ე პრეზიდენტი (1933-1945)

ეკონომიკურ სფეროზე მოდის ხელისუფლებრივი სტრუქტურების აქტიობის უმეტესი ნაწილი. ეს ვლინდება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და რეალიზაციის ფორმით. შემთხვევით არ არის, რომ 1929-1933

წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ უმრავლეს ქვეყანათა მთავრობები ძალიან სერიოზულ ყურადღებას უთმობენ თავიანთ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებას.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ხდება კაპიტალისტური საზოგადოების ხარისხობრივი ცვლილება. ჩამოყალიბდა პოსტინდუსტრიული საზოგადოება (ინფორმაციული საზოგადოება, თანამედროვე კაპიტალიზმი, სამომხმარებლო საზოგადოება). ამ საზოგადოებაში ჩნდებიან ახალი მომენტები: წინა პლანზე გამოდის ინფორმაცია, მეცნიერება ხდება უშუალო საწარმოო ძალა, ეკონომიკა იძენს ზერთულ ხასიათს.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების ეკონომიკის არსს წარმოადგენდა ჭარბი ზედმეტი ღირებულების მიღება. იგი აღმოცენდება საწარმოთა ცალკეულ ჯგუფში წარმოების დანახარჯების შემცირების ხარჯზე. ამ საწარმოებში დრო, რომელიც იხარჯება პროდუქტის წარმოებაზე უფრო დაბალია, ვიდრე საზოგადოებრივად აუცილებელი (საშუალო), რომელიც განსაზღვრავს ღირებულებას (ან იწარმოება უნიკალური პროდუქტი). შრომის წარმოების უფრო მაღალი წყარო იქმნება, როგორც წესი, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე, ხოლო ზოგჯერ კი წარმოების ორგანიზაციის მეთოდების სრულყოფის ხარჯზე. მაგრამ როგორც კი ფართოდ დაიწყება სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევები (ათვისებული მწარმოებელთა ძირითადი მასის მიერ), ჭარბი ზედმეტი ღირებულება ქრება.

საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულება, ზემოთ მოყვანილი ფორმულისაგან განსხვავებით უკვე შედგება არა სამი, არამედ ოთხი შემადგენლობისაგან:

მუდმივი კაპიტალი C ;

ცვალებადი კაპიტალი V ;

ზედმეტი ღირებულება m ;

ჭარბი ზედმეტი ღირებულება m+ ;

m+ -ის მიღება ხდება არასტაციონალური ეფექტის ხარჯზე. მაგრამ საქმის არსი მდგომარეობს არა ერთჯერად ღონისძიებაში, არამედ იმაში რომ მაქსიმალური მოგების მისაღებად უნდა ინერგებოდეს სულ ახალ-ახალი წინმსწრები ტექნოლოგიები. ჭარბი ზედმეტი ღირებულების საფუძველზე მაქსიამლური მოგების მიღების პრინციპი თანდათანობით ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. აღმოცენდა "სამომხმარებლო საზოგადოება", სადაც იქმნება მოხმარების სულ ახალ-ახალი საგნები და თვით მოთხოვნილებები. მოქმედებს პერმანენტულად ცვლადი მოდის, კერპების, "ვარსკვლავების" მთელი ინდუსტრია.

თანამედროვე ეკონომიკის მკვეთრი შეცვლა ("რეფორმირება") შეუძლებელია. მისი შემდგომი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ეტაპობრივი გარდაქმნების საფუძველზე.

პოსტინდუსტრიალურ საზოგადოებაში კლასიკური კაპიტალიზმის ეკონომიკის შედარებით ქაოტური მდგომარეობა იცვლება ეკონომიკის სტრუქტურული რეგულირებით. დიდ გავლენას იძენს სახელმწიფო აპარატი, რომელიც ანაწილებს შეკვეთებს, ახორციელებს ეკონომიკური რეგულირების პოლიტიკას. თავის მოღვაწეობაში სახელმწიფო ეყრდნობა კორპორაციებს, უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს მათ ინტერესებს. საწარმოო ძალების ძირეული ცვლილებების შედეგად გასული საუკუნის შუა პერიოდიდან წამყვანი როლის თამაში დაიწყეს ახალმა ტექნოლოგიებმა, მეცნიერებამ, ინფორმაციულმა უზრუნველყოფამ. ადრე არსებულ წარმოების ორ ჯგუფს ("ა" – წარმოების საშუალებათა წარმოება და "ბ" – მოხმარების საგნების წარმოება) დაემატა

ახლად აღმოცენებული მესამე ჯგუფი "გ" – სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის საშუალებების წარმოება.

წარმოების გიგანტური მასშტაბების პირობებში ხელსაყრელი ხდება სახსრების გარედან მოზიდვა (სახელმწიფო, წვრილი მეანაბრეები). იქმნება ძირითადი კაპიტალის სამი სახე: სახელმწიფო, სააქციონერო და კერძო. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფოს წილი აღწევს 30%, ხოლო სააქციო კაპიტალი უმსხვილეს კორპორაციებში იძენს კოლექტიური საკუთრების ხასიათს. ასე მაგალითად, "ჯენერალ მოტორსში" ნებისმიერი აქციონერის შენატანი საერთო კაპიტალის 1%-ზე ნაკლებია, ხოლო აქციონერთა რაოდენობა მილიონს აღემატება.

მართვის სისტემაში ცვლილებებს "მენეჯერული რევოლუცია" ეწოდა, რამაც ფაქტობრივად, მესაკუთრესთან ერთად, წარმოშვა ეკონომიკური ძალაუფლების მეორე ფორმა.

ჭარბი ზედმეტი ღირებულების მისაღებად საჭიროა ორგანიზაციის მაღალი დონე და აქ ერთ-ერთ ცენტრალურ მომენტს წარმოადგენს ის სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც სწავლობს წარმოების მართვის ტექნიკურ-ორგანიზაციულ და სოციალურ ასპექტებს.

მენეჯმენტი საშუალებას იძლევა გადაწყვეტილი იქნას მთელი რიგი კონკრეტული პრობლემები:

– განისაზღვროს მართვის მიზნები და ამოცანები;
– დაიყოს ამოცანები კონკრეტული სახის ოპერაციებისათვის;
– სხვადასხვა ქვედანაყოფების ურთიერთქმედების კოორდინირება;
– იერარქიული სტრუქტურის სრულყოფა;
– გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპტიმიზაცია;
–ხელმძღვანელობისა და მოღვაწეობის მოტივაციის ეფექტური სტილის ძიება.

ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ეფექტურობის მკვეთრი გაუმჯობესება.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მოგების ზრდა მრავალწილად უზრუნველყოფილი იყო ბუნების ხარჯზე და არა მუშათა ექსპლუატაციის გაძლიერების ხარჯზე.

ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის დონე და ხასიათი განპირობებულია პოლიტიკური გარემოთი, ანუ პოლიტიკური მართვის ფორმითა და პოლიტიკური რეჟიმით, პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათითა და მისი ლეგიტიმურობის ხარისხით, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონით, პოლიტიკური ელიტის დონით, საერთო ეროვნული მასშტაბის პოლიტიკური ლიდერის პიროვნებით და ა.შ.

საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას არ შეუძლია ფუნქციონირება პოლიტიკური პროცესების შესაბამისი ეკონომიკური უზრუნველყოფის გარეშე.

საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ უნივერსალურ მოვლენას. ნობელის პრემიის ლაურეატის ჯეიმს ბიუკენენის აზრით, უაზრობაა ეკონომიკური კატეგორიების - გადასახადები, ფინანსები, ბიუჯეტი, კრედიტი და ასე შემდეგ - ანალიზი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შესწავლის გარეშე.

ეკონომიკური სფეროს განვითარებაში საზოგადოების პოლიტიკური სისტემის როლზე საუბრისას აუცილებელია გვახსოვდეს, რომ შესაბამისი პოლიტიკური წანამძღვრების გარეშე ნებისმიერი ეკონომიკური გარდაქმნები შეუძლებელია. გაბატონებული პოლიტიკური რეჟიმით და პოლიტიკური მმართველობის ფორმით არის განპირობებული საზოგადოების ეკონომიკური სისტემის განვითარების ფორმა. მაგალითად: ტოტალიტარიზმს შეესაბამება

ადმინისტრაციულ-ბრძანებლობითი სისტემა, დემოკრატიულს კი - თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა; ეკონომიკური ზრდისათვის ყველაზე ხელსაყრელ პირობებს უზრუნველყოფენ მმართველობის რესპუბლიკური ფორმა და დემოკრატიულ რეჟიმიანი საპარლამენტო მონარქია.

პოლიტიკური სისტემის ზემოქმედება ეკონომიკაზე არ დაიყვანება მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. იგი უფრო ფართოა. კერძოდ ცვლილებებმა პოლიტიკურ სისტემაში და პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციაში შეიძლება მოახდინონ არსებითი ზეგავლენა ეკონომიკაზე. როგორც წესი, სამთავრობო კრიზისები იწვევენ ეკონომიკური პროცესების პარალიზებას და ფასიანი ქაღალდების ბაზრის დესტაბილიზაციას.

პოლიტიკური სისტემის ზემოქმედება ეკონომიკურზე ნაკარნახევია ობიექტურად აუცილებელი პირობებით:

- ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს მონაწილეობა, ანუ საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურების განვითარებისათვის სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა, რაც განპირობებულია იმით, რომ საქმიანი აქტივობის მთელი რიგი დარგები და სფეროები იმყოფებიან კერძო მეწარმეთა ინტერესების მიღმა მათი არარენტაბელობისა და რისკის მაღალი პროცენტის გამო. არადა ამ დარგების გარეშე შეუძლებელია მთლიანობაში ეკონომიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირება. საქმე ეხება საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებსა და მომსახურების სახეებს: საქალაქო ტრანსპორტი, წყალმომარაგების სისტემა, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახური, პოლიციის სამსახური, სამეცნიერო კადრების მომზადება, სოციალურად დაუცველი ფენებისათვის სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობა, ფუნდამენტური სამეცნიერო გამოკვლევები და ასე შემდეგ.
  საზოგადოების ეკონომიკური სისტემის მიმართ სახელმწიფოს მიერ გარკვეული პოლიტიკის გატარება განპირობებულია აგრეთვე იმით, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა წარმოშობს სულ ახალ-ახალ ფორმას მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, რომლებიც ზიანს აყენებენ ეკონომიკური სისტემისა და მისი ცალკეული ნაწილების განვითარებას. ეს ფორმებია: კარტელები, კვოტების სისტემა, უხარისხო პროდუქციის რეალიზაციის მცდელობა, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვისათვის ხელის შეშლა, ეკოლოგიური გარემოს დაბინძურება და ასე შემდეგ.
- ამ მოვლენათა თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა: ანტიმონოპოლიური კანონი, გარემოს დაცვის სახელმწიფოებრივი პროგრამები, მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებისა და განვითარების ღონისძიებები და ა.შ. ყველა ამ ღონისძიებათა საბოლოო მიზანს წარმოადგენს დინამიური სტაბილურობის უზრუნველყოფა.
- ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების აუცილებლობა დაკავშირებულია ე.წ. "შეზღუდული რესურსების" პრობლემასთან. ეკონომიკურ თეორიაში ეს მოვლენა ცნობილია scarce resources-იშვიათი რესურსების ცნების სახით. კემპბელ მაკკონელი და სტენლი ბრიუ იძლევიან მის შემდეგნაირ განსაზღვრებას: ეს არის "მიწის, კაპიტალის, შრომისა და მეწარმეული უნარის ნაკლებობა (შეზღუდულობა) ადამიანთა განუსაზღვრელი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის". ეს აუცილებელს ხდის სახელმწიფოებრივ ჩარევას დასახელებულ რესურსთა განაწილების საქმეში, რათა გათვალისწინებული იყოს საზოგადოების ყველა სოციალური ფენის ინტერესი. ამ ამოცანის განხორციელება წარმოადგენს

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის მუდმივ ფუნქციას. აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუტების ამოცანას წარმოადგენს შეზღუდული რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხების გადაწყვეტა.

ეკონომიკურ სფეროში პოლიტიკური ინსტიტუტების ჩარევის აუცილებლობა განპირობებულია საბაზრო მექანიზმის არასრულყოფილებით თვითორგანიზაციასა და თვითრეგულირებაში.

ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად საბაზრო ეკონომიკას თავად შეუძლია მრავალი წინააღმდეგობის გადაწყვეტა და კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლა ულმობელი და სასტიკი მეთოდებით, რომლებიც ძალიან ძვირად უჯდება საზოგადოებას: წარმოების ვარდნა, საყოველთაო გაბანკროტება, მასობრივი უმუშევრობა და ა.შ. საკმარისია გავიხსენოთ 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. მსგავს სიტუაციებში უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელმაც, მართალია, შეიძლება ვერ აიცილოს თავიდან ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ შეუძლია არსებითად შეარბილოს კრიზისული სიტუაციები ეკონომიკაში.

სიტუაციიდან გამომდინარე სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა. ზოგჯერ საჭიროა ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, ზოგჯერ კი პირიქით, მისი ერთგვარი შეჩერება. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოები კონკრეტული ამოცანებიდან და სიტუაციიდან გამომდინარე თავიანთ ეკონომიკურ პოლიტიკაში ახდენენ სხვადასხვა ღონისძიებების რეალიზაციას და ეყრდნობიან განსხვავებული თეორეტიკული სკოლების პრაქტიკულ რეკომენდაციებს. მაგალითად, აშშ-ს ეკონომიკური პოლიტიკა ვითარდებოდა ჯ. კეინსის თეორეტიკული დასკვნების შესაბამისად, რომლებიც მან ჩამოაყალიბა 1936 წელს წიგნში "დასაქმებულობის, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია".



ჯონ მეინარდ კეინსი (ინგ., John Maynard Keynes) (1883-1946) ინგლისელი ეკონომისტი

რონალდ რეიგანის ადმინისტრაცია თავის ეკონომიკურ მოღვაწეობაში დაეყრდნო სულ სხვა თეორეტიკულ დებულებას ეგრეთ წოდებული "მონეტარიზმს", რომელიც ამტკიცებდა ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოებრივი ჩარევის მკვეთრ შეკვეცას. შედეგმაც არ დააყოვნა. ქვეყანამ შეძლო უმოკლეს დროში დაეძლია ნეგატიური მოვლენები სამეურნეო სფეროში (ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის ტემპების მკვეთრი შემცირება).

ამ მიმართებით მეტად შთამბეჭდავი და ყურადსაღებია რონალდ რეიგანის რვაწლიანი საპრეზიდენტო მმართველობა (1980-1988). მისი ეკონომიკური პროგრამა იმდენად ორიგინალური და სპეციფიკურია, რომ ისტორიაში შევიდა "რეიგანომიკის" სახელით. ამ პროგრამით გათვალისწინებული ამოცანების გადაწყვეტა თვით ყველაზე გამოცდილ ეკონომისტებსაც კი არარეალურად მიაჩნიათ. იგი ითვალისწინებდა ისეთი პრობლემების კომპლექსურ გადაწყვეტას (ინფლაციის ზრდის ტემპებისა და უმუშევრობის დონის მკვეთრი შემცირება, ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია), რომელთა ერთდროული

განხორციელება უბრალოდ შეუძლებელი იყო წინა წლების პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე. მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი რამ, დასახული ეკონომიკური პროგრამა ძირითადად წარმატებით იქნა რეალიზებული.



**რონალდ რეიგანი (ინგ., Ronald Reagan) (1911-2005)**
**აშშ-ს 40-ე პრეზიდენტი (1981-1989)**

წარმატების მიზეზი იყო პროექტის გაბედული ხასიათი, არაორდინალურობა და ყოველი დეტალის დიდი გულმოდგინებით მოფიქრება, და რაც ალბათ ყველაზე მთავარია, მისი ავტორის უზარმაზარი პოლიტიკური ინტუიცია და ალღო. (აქ საინტერესოა ერთი მომენტი: დამკვირვებლები და მკვლევარები დღესაც ხაზს უსვამენ რონალდ რეიგანის შემდეგ პირად თვისებებს: პრეზიდენტობის პერიოდში 2-3 საათზე მეტს არ მუშაობდა; იყო ცრუმორწმუნე და გატაცებული იყო ასტროლოგიით; არ გააჩნდა ანალიტიკური გონება; ხშირად ურევდა ერთმანეთში გამონაგონსა და რეალობას; არ იყო კარგად ინფორმირებული და არასოდეს არ ესწრაფოდა დეტალებში ჩაწვდომას).

მივაქციოთ ყურადღება "რეიგანომიკის" ერთ საინტერესო დეტალს. პროგრამა ითვალისწინებდა გადასახების დონის შემცირებას. ეს ერთი შეხედვით, მარტივი გათვლაა: გადასახების შემცირებას უნდა მოეხდინა წარმოების ზრდის სტიმულირება. შესაბამისად, საწყის ეტაპზე გადასახადების შემცირების გამო საბიუჯეტო შემოსავლების შემცირება უახლოეს მომავალში კომპენსირებული იქნებოდა ამ შემოსავლების ზრდის ტენდენციით წარმოების გამოცოცხლებისა და აღმავლობის პირობებში. აი აქ იყო სწორედ "ძაღლის თავი" დამარხული. როგორ უნდა გადაეტანა სახელმწიფოს ბიუჯეტში ფინანსური სახსრების მიზიდვის შემცირების ეტაპი? ესეც იყო მოფიქრებული. მიღებული იქნა გაბედული და მოულოდნელი გადაწყვეტილება: დეპოზიტური განაკვეთები გაიზარდა 21%-მდე (საშუალოდ მათი დონე არ აღემატებოდა 5-6%). შედეგი: ამერიკის ბანკები გაივსო უცხოეთიდან შემოსული კაპიტალით, რამაც საშუალება მისცა შეერთებულ შტატებს აუღელვებლად, და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ეკონომიკური დანაკარგების გარეშე, დალოდებოდა ბიუჯეტში საგადასახადო მიღებების შემცირების გამო წარმოების დადებითი ზრდის მომენტს.

ფართო გაგებით გეოპოლიტიკა წარმოადგენს მეცნიერებას სოციუმის უსაფრთხოების შესახებ. სოციუმის უსაფრთხოება ნიშნავს ადამიანთა თანასწორობას ღირსებაში, რათა თითოეულმა მოქალაქემ მიიღოს ის, რაც მას ეკუთვნის. ნებისმიერ ადამიანს გააჩნია სიცოცხლისა და ბედნიერების უფლება. სიცოცხლის უფლება არის ადამიანის ყველაზე მთავარი უფლება. დედამიწაზე არაფერია მასზე უფრო წმინდა და ურყევი. მისი ხელყოფა კი წარმოადგენს უდიდეს დანაშაულს. იცოცხლო, არ ნიშნავს ტანჯვა-წამებას, არ ნიშნავს უბადრუკ არსებობას აკვნიდან სამარემდე. იცოცხლო - ნიშნავს თავისუფლად გაიარო ცხოვრების გზა და მიიღო მის ყოველ ეტაპზე სწორედ ის, რაც

ყველაზე უფრო მეტად შეესაბამება ჩვენს ფიზიკურ და ზნეობრივ წყობას. [პოლიტიკა. პოლიტიკური აზრის კვინტესენცია. თბ., 1999. გვ.67]

ეროვნული მასშტაბის ეკონომიკური პროგრამა გამოირჩევა, როგორც წესი ნოვატორობით, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით, დასახულ ამოცანათა მასშტაბურობითა და სიმამაცით, მათი ცხოვრებაში განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების ძიების დასაბუთებით.

უპირველეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა და ამის საფუძველზე შემუშავებული იყოს ისეთი ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება ეროვნულ ინტერესებსა და ეროვნული ცხოვრების წესს, და გადაიქცევა ერის კულტურისა და მოღვაწეობის ღრმა შინაგან შინაარსად, მის საარსებო მოთხოვნილებად.

ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა ჰქონდეს ყოვლის მომცველი და სისტემატიური ხასიათი, რაც გულისხმობს:

- საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ისეთი ოპტიმალური მოდელის შერჩევას, რომელიც სხვებზე უფრო მეტად შეესაბამება ქვეყნის სინამდვილეს, მის ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებს;
  გამოკვეთილ სამეურნეო მექანიზმის შექმნას;
  მართვის სისტემის სრულყოფას;
  მტკიცე მფარველობითი სისტემის შემოღებას;
  სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქციის, კერძოდ: რეგულირების, კონტროლის, წახალისების, დასჯის და ასე შემდეგ ამოქმედებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც კი აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, რადგანაც ეკონომიკის სტიქიურობა აუცილებლად გამოიწვევს დარგების არათანაბარ განვითარებას, რასაც შედეგად მოჰყვება ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისი, გაკოტრება დიდი მასშტაბით და უმუშევრობის დონის ზრდა. ამის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია, პოლიტიკური ხელისუფლება სახელმწიფო მექანიზმების მეშვეობით, ისე ჩაერიოს ეკონომიკის განვითარებაში, რომ არ შეზღუდოს კერძო მეწარმეთა თავისუფალი მოქმედების სფერო.

არსებობს ეკონომიკაზე ზემოქმედების ოთხი ძირითადი ფაქტორი:

1) საგადასახადო სისტემა;
2) ზოგიერთი პრიორიტეტული დარგის დოტაცია;
3) ფასების რეგულირება;
4) ლიცენზიები და ემბარგო საგარეო ვაჭრობაზე.

დასახელებული ფაქტორების გათვალისწინებით პოლიტიკურ ხელისუფლებას საშუალება ეძლევა, ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დარგების დაჩქარებული განვითარება ან არარენტაბელური დარგების განვითარების ტემპების დამუხრუჭება, რომელთა შენარჩუნებით მოსალოდნელია არასახარბიელო დარგობრივი სტრუქტურის მიღება.

ეროვნული ეკონომიკის რეგულირება ისე უნდა მოხდეს, რომ მან ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მეწარმეთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ზრდას, უმუშევრობის დონის შემცირებას, კერძო ინიციატივის გამოვლენას, თვისებრივად ახალი, მაღალი კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას და წარმოებაში ახალი ტექნოლოგიური პროცესების ზრდას, მატერიალურ ფასეულობათა აუცილებელ განვითარებას.

სახელმწიფოს მონაწილეობას საზოგადოების ეკონომიკური სისტემის განვითარებასა და რეგულირებაში განაპირობებს აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობა და განვითარება. ეკონომიკურ სფეროში

ფუნქციონირებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ფართო ქსელი. ისინი წარმოქმნილნი არიან არასახელმწიფოებრივი (სამრეწველო, სავაჭრო, ფინანსური და სხვა) წარმოებების მიერ და მათი მიზანია ამ ორგანიზაციებში შემავალი საწარმოების უფლებებისა და ინტერესების დაცვა საშინაო და საგარეო ბაზარზე, მათი ეკონომიკური პოზიციების განმტკიცება, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოქმედებაზე კონტროლი და სხვა. ამ ამოცანებს სამოქალაქო საზოგადოება ახორციელებს სახელმწიფოსაგან ავტონომიურად და იძულებული ხდება მიმართოს მას მოთხოვნებით, სურვილებითა და თხოვნებით. შედეგი სახეზეა: სამოქალაქო საზოგადოების მეოხებით სახელმწიფო ურთიერთობას ამყარებს ეკონომიკური სფეროს ასიათასობით საწარმოსთან და ახორციელებს იმ პოლიტიკას, რომელიც პასუხობს მთელი საზოგადოების ინტერესებს.

ეკონომიკური სისტემის ზეგავლენა პოლიტიკურზე ელინდება შემდეგ ძირითად ასპექტებში:

პოლიტიკური ხელისუფლება საწყის ფაზაშივე აქტიურად ეყრდნობა ეკონომიკური სისტემის შესაძლებლობებს. საკმარისია გავიხსენოთ საარჩევნო კომპანიების ორგანიზაციისა და ჩატარებისთვის საჭირო უზარმაზარი ფინანსური სახსრები. ამა თუ იმ პოლიტიკოსის, პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ბლოკის ხელისუფლებაში მოსვლა განპირობებულია იმ ეკონომიკური ღონისძიებების პროგრამით, რომელთა რეალიზაციასაც ისინი კისრულობენ - ხელისუფლების მოპოვების შემდეგ. როგორც წესი, ეს წინასაარჩევნო ეკონომიკური პროგრამები აუცილებლად უნდა შესრულდეს, და სრულდება კიდეც ნორმალურ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, რადგანაც ელექტორატი მათ აღიქვამს როგორც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების რეალურ პროგრამას. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ ელექტორატის ხარჯზე ხდება წინასაარჩევნო კომპანიების დაფინანსება: ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც (გადასახადის გადამხდელთა ფული) და ნაწილობრივ კერძო პირთა და ორგანიზაციათა შემოწირულობის სახით.

პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმურობა, მისი აღიარება და მხარდაჭერა ქვეყნის მოსახლეობის მიერ უშუალო კავშირშია არა მარტო პოლიტიკური ძალაუფლების დაუფლებასთან, არამედ მის შენარჩუნებასთან და იმ მიზნების განხორციელებასთან, რომელთაც სახავდნენ ხელისუფლებაში დამკვიდრებული პოლიტიკური ძალები. "...საქმე მარტო ბრძოლაში როდი მდგომარეობს. ყველაზე უფრო მძიმე და გავლენიანი საქმე... იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოიხმარს რომელიმე პარტია თავის გამარჯვებას, რას გაარიგებს და გააწყობს ის, როცა ბრძოლის ასპარეზი ხელში დარჩება, როგორ გამოიყენებს თავის გავლენას და დააგეირგვეინებს თავის შრომას, რაც უფრო ხეირიანად და დაუფანტველად ხმარობს თავის ძალას გამარჯვებული პარტია, მით უფრო ხანგრძლივია მისი გავლენა, მით უფრო და უფრო სუსტდება მისი მოწინააღმდეგე პარტია, მით უფრო ძლიერდება საზოგადოების მყუდროება და ბედნიერება". [პოლიტიკა. პოლიტიკური აზრის კვინტესენცია. თბ., 1999. გვ.103]

ხალხი უეჭველად მხარს დაუჭერს იმ პოლიტიკურ ხელისუფლებას, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ სტაბილურობას, კეთილდღეობის ზრდას, ოპტიმალურ გარემოს მეწარმეობისათვის, მოქალაქეთა სოციალურ დაცვას. ხოლო თუკი სახელმწიფო უძლურია დააკმაყოფილოს მოსახლეობის სურვილები, მაშინ პოლიტიკური ხელისუფლება კარგავს ლეგიტიმურობას, ანუ ხალხის მიერ აღიარებასა და მხარდაჭერას.

ეკონომიკურ სფეროზე მოდის ხელისუფლებრივი სტრუქტურების აქტივობის უმეტესი ნაწილი. ეს ვლინდება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და რეალიზაციის ფორმით. შემთხვევით არ არის, რომ 1929-1933

წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ უმრავლეს ქვეყანათა მთავრობები ძალიან სერიოზულ ყურადღებას უთმობენ თავიანთ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებას.

- მასშტაბური პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ისეთები, როგორიცაა რეფორმების ჩატარება, მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნის პროექტების განხორციელება და ასე შემდეგ მოითხოვენ მტკიცე და დასაბუთებულ ეკონომიკურ უზრუნველყოფას.

- ეკონომიკური სისტემის დონე და განვითარების მდგომარეობა ახდენს პოლიტიკური პროცესებისა და ღონისძიებების სტიმულირებას, მაგალითად: რეფორმები, გარდაქმნები, ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ("ნეპი").

ამ პირობებში პოლიტიკური ხელისუფლების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. პოლიტიკური სტაბილურობისკენ ისწრაფვიან არა მარტო სახელისუფლო სტრუქტურები და პოლიტიკური ელიტა, მასში აგრეთვე დაინტერესებულია საზოგადოების მთელი ეკონომიკური სისტემა საბაზრო ეკონომიკით: მცირე და საშუალო ბიზნესი, ბანკები, სააქციო საზოგადოებები, ადგილობრივი მეწარმეები და უცხოელი ინვესტორები. არავის ხელს არ აძლევს დესტაბილიზაცია: წარმოების მოცულობის ვარდნა, ინფლაციური პროცესების ზრდა, ვალუტათა კურსის მკვეთრი ცვლილებები, საკრედიტო სისტემის კრიზისი და სხვა.

სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს რთულ პროცესს, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი შემადგენელია "საშუალო კლასის" ყოველმხრივი განვითარება. თანამედროვე პირობებში ყველა სახელმწიფოთა მთავრობები ატარებენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშემწყობ პოლიტიკას, ხელს უწყობენ იმ პირთა რიცხვის ზრდას, რომლებიც უძრავი ქონების მესაკუთრეები არიან. მაგალითად: მარგარეტ ტეტჩერის პრემიერ-მინისტრად გახდომამდე დიდ ბრიტანეთში (1979) ოჯახების მხოლოდ 35%-ს ჰქონდათ საკუთარი სახლი, მისი თანამდებობიდან წასვლის მომენტში ეს რიცხვი გაიზარდა 65%-მდე (1990).



**ბარონესა მარგარეტ ჰილდა ტეტჩერი (ინგ., Margaret Hilda Thatcher). (1925) ინგლისის პრემიერ-მინისტრი (1979-1990). "რკინის ლედი".**

პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთზემოქმედების სპექტრი საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. ამ ურთიერთქმედებებში ცენტრალური ადგილი უკავია ეკონომიკურ პოლიტიკას. კ. მაკკონელისა და ს. ბრიუს განსაზღვრებით ცნება "ეკონომიკური პოლიტიკა" - economic policy - არის მოქმედებათა კურსი, რომლის მიზანია პრობლემის კორექტირება ან მისი წარმოშობის თავიდან აცილება".

ამ პოლიტიკის სუბიექტად გამოდის პოლიტიკური ხელისუფლება, პოლიტიკური სტრუქტურები. ზემოქმედების ობიექტს წარმოადგენს მთლიანად ეკონომიკური სისტემა ან მისი ცალკეული რგოლები. ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება იყოს რევოლუციური, რეფორმისტული, კონსერვატიული.

ეკონომიკური პოლიტიკის როგორც კატეგორიის და როგორც რეალური ცხოვრების ფენომენის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ვარაუდობს რა გარკვეული მიზნის მიღწევას (კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლა, ეკონომიკური განვითარების ტიპების დაჩქარება), იგი ეხება მრავალრიცხოვან სამეურნეო სფეროებს: ფინანსებს, კრედიტს, ფულად მიმოქცევას, საგადასახადო სისტემას, მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ინვესტიციებს და ა.შ. თითოეული ამ მონაკვეთის ჩარჩოებში საერთო ეკონომიკური პოლიტიკა კონკრეტიზირდება და ხდება მისი რეალიზაცია საბიუჯეტო-ფინანსური, ფულად-საკრედიტო, საგადასახადო, სტრუქტურული, სამრეწველო, აგრაგული, საინვესტიციო, საგარეო-ეკონომიკური და სხვა პოლიტიკის სახით. მოცემული მიმართულებები წარმოადგენენ საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ქვესისტემებს.

ეკონომიკური პოლიტიკის სტრუქტურაში არსებული თითოეული ქვესისტემა შეიძლება გახდეს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ეკონომიკურ სისტემაზე ზემოქმედების მძლავრი საშუალება. ამ მიმართულებაში ძალზე მნიშვნელოვანია საბიუჯეტო-ფინანსური, ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკა. ცნობილი გერმანელი ეკონომისტი ფ. ნოიმარკი ნაშრომში "ბიუჯეტის ფორმირების თეორია და პრაქტიკა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბიუჯეტი ასრულებს ხუთ ფუნქციას: 1) საფინანსო-პოლიტიკურს; 2) პოლიტიკურს; 3) სამართლებრივს; 4) საფინანსო-საკონტროლოს; 5) ეკონომიკურ-პოლიტიკურს. ამასთან ერთად მას ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია ბიუჯეტის პოლიტიკური ფუნქცია, ვინაიდან მისი მეოხებით სახელმწიფოს შეუძლია ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას ჩააქროს არაერთი სოციალურ-კლასობრივი კონფლიქტი, ხელი შეუწყოს კომპრომისების მიღწევას, დაამყაროს პოლიტიკური სტაბილურობა.

ფინანსთა პოლიტიკური კონცეფციის ავტორი, იტალიელი ეკონომისტი ე. მორსელი ამტკიცებს, რომ ფინანსური კანონები დაფუძნებული არიან პოლიტიკურ, სამართლებრივ და მორალურ კრიტერიუმებზე. მისი აზრით ფინანსები წარმოადგენენ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ცხოვრებაში რაციონალურად გატარების საშუალებას, იმ მიზნების რეალიზაციის ტექნიკურ იარაღს, რომლებისკენაც მიისწრაფვის სახელმწიფო. უდავო არის ერთი რამ, პოლიტიკური ფაქტორი თამაშობს დიდ როლს ფინანსური სისტემის განვითარებაში.

ცენტრალური ადგილი ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს შორის ეკუთვნის ეკონომიკის სტაბილიზირებას, ანუ იდეალში ეკონომიკური სისტემის სტაბილურ განვითარებას. დასავლურ ლიტერატურაში საფინანსო, საკრედიტო და საგადასახადო სისტემები განიხილებიან, როგორც ეკონომიკური სისტემის სტაბილიზატორები. რაც ნიშნავს იმას, რომ შეიძლება მათი მართვა პოლიტიკური ხელისუფლების სურვილის მიხედვით. არ შეიძლება მათი როლის დაყვანა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების რეგულატორამდე. მათ გააჩნიათ უფრო ფართო შესაძლებლობები. მაგალითად: პოლიტიკური ხელისუფლების მიერ, რეფორმებისა და რევოლუციების გარეშე, ქვეყანაში საკუთრების სხვადასხვა ფორმების შეფარდების ცვლა საგადასახადო სისტემის მეოხებით. აშშ-ში დღეისათვის ფაქტიურად აღარ არსებობენ ცალკეული პირების ხელში მყოფი მსხვილი ფირმები. მიზეზი უბრალოა: ფიზიკური პირის შემოსავლებზე დაწესებული გადასახადი მრავალჯერ აღემატება კორპორაციების ანუ სააქციო საზოგადოებების შემოსავლების გადასახადს. შედეგი: ყველა კერძო ფირმა გახდა სააქციო საზოგადოება, ანუ საკუთრების ერთი ფორმა შეიცვალა მეორეთი.

სახელისუფლო სტრუქტურები ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებენ ორი გზით:

- ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედება საკანონმდებლო საშუალებების მეოხებით;

ეკონომიკის რეგულირება მისივე შემადგენელი ნაწილებით (ფინანსები, კრედიტი, გადასახადები და ასე შემდეგ).

მათი ერთობლივი გამოყენება საშუალებას აძლევს სახელმწიფოს:

- აიცილოს ღრმა ეკონომიკური ჩავარდნები და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ეკონომიკური აღმავლობა;
- გააკონტროლოს ის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესები, რომლებსაც შეუძლიათ გადაიქცნენ დამანგრეველ ძალად (უმუშევრობა, ინფლაციის ზრდა, საბიუჯეტო დეფიციტი);
- ეკონომიკის ახალი დარგების განვითარების სტიმულირება, სტრუქტურული გარდაქმნის განხორციელება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხვედრითი წონისა და ამით "საშუალო კლასის" რაოდენობრივი ზრდისადმი ხელშეწყობა.

ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ურთიერთქმედებისა და ურთიერთდამოკიდებულების საკითხი დაკავშირებულია ისეთ პრობლემებთან, როგორიცაა ეკონომიკური ძალაუფლების პოლიტიკურ ძალაუფლებად გადაქცევა.

როდესაც საუბრობენ პოლიტიკურ ხელისუფლებაზე, მხედველობაში აქვთ კონკრეტული პოლიტიკური ინსტიტუტები: პარლამენტი, საპრეზიდენტო ხელისუფლება, მინისტრთა კაბინეტი, უზენაესი სასამართლო და ასე შემდეგ, ანუ პოლიტიკური ხელისუფლების რეალიზაციის მთელი აპარატი.

ეკონომიკური ძალაუფლება არ არის რაიმე ფორმალიზებული, წარმოდგენილი შესაბამისი ინსტიტუტების მიერ. ეს არის სიმდიდრის, კაპიტალის ძალაუფლება, კაპიტალის წარმომადგენელთა უნარი მოახდინონ ზეგავლენა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე, და სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე მთლიანობაში. კაპიტალის უფრო ხელსაყრელი გამოყენების მიზნით, ისინი სხვადასხვა საშუალებებით (დაინტერესებული ჯგუფების შექმნა პარლამენტში, მაღალ პოლიტიკურ პოსტებზე არჩევა) ზემოქმედებას ახდენენ მთავრობაზე. ამგვარად ხდება ეკონომიკური ძალაუფლების გარდაქმნა პოლიტიკურად. ანუ კ. მარქსის "კაპიტალის" ერთ-ერთი ცნობილი დებულების პერიფრაზა რომ მოვიყვანოთ: **კაპიტალისტები იმიტომ კი არ არიან კაპიტალისტები, რომ ფლობენ პოლიტიკურ ძალაუფლებას და მართავენ სახელმწიფოს, პირიქით, ისინი ხდებიან ძალაუფლების მფლობელნი და სახელმწიფოს მმართველნი იმიტომ, რომ კაპიტალისტები არიან.**

**P.S.**



**ადამ სმიტი (ინგ., Adam Smith) (1723-1790) შოტლანდიელი ეკონომისტი, ფილოსოფოსი, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი**

## თავი V
## გეოპოლიტიკა და პოლიტიკური რეალიზმი

**"პოლიტიკის მთავარი საშუალება ძალადობაა"**
**მაქს ვებერი**

პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციის მომხრეები თვლიან, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ ეროვნული ინტერესები, თვითონ ეს სფერო კი ხასიათდება **"სუვერენიტეტების პლურალიზმით". ძალა და ძალთა ბალანსი გვევლინება** საერთაშორისო პოლიტიკის დამარეგულირებლად.



**ნიკოლო მაკიაველი (იტალ., Niccolò Machiavelli) (1469-1527)**
**იტალიელი მოაზროვნე, მწერალი, სახელმწიფო მოღვაწე**

ნიკოლო მაკიაველის თვალსაზრისით, პოლიტიკური მოღვაწეობის სფერო ეთიკის იდეალური სამყარო კი არ არის, არამედ რეალური, დროსა და სივრცეში კონკრეტულად არსებული, ცოცხალი, დინამიური და მუდმივად ცვალებადი სინამდვილე. პოლიტიკის სფეროში ადამიანები ხელმძღვანელობენ ქცევის სპეციფიკური მოტივებით. აქ წარმატების მიღწევა დამოკიდებულია არა რელიგიურ სათნოებებსა და აზრთა კეთილშობილებაზე, არამედ ამა თუ იმ მოვლენებისა და ქმედებების განჭვრეტისა და სწორი გათვლის უნარზე. სახელმწიფო მართვის ხელოვნება გულისხმობს მსოფლიოს მამოძრავებელი ანტაგონისტური ძალების გაგებას, მათი ფარული მექანიზმის ცოდნასა და რეგულირებას. სახელმწიფო მოღვაწე ესაა კაცი, რომელსაც შეუძლია აწონ-დაწონოს ეს ძალები, დაიურვოს და საკუთარ მიზნებს მიუსადაგოს ისინი.

მაკიაველიმ შეიმუშავა პოლიტიკის რეალური ხედვის პრინციპი, რომელიც დაფუძნებულია ობიექტური ისტორიული აუცილებლობისა და კანონზომიერების პრინციპზე. მას მაკიაველი უწოდებს fortuna-ს (ბედს). მაგრამ ბედი ფატალურად არ განსაზღვრავს ადამიანის ყველა საქციელს. სწორედ ამიტომ პოლიტიკის საფუძვლად, ბედის ცნებასთან ერთად იგი მიიჩნევს virtu-ს ანუ პირად ენერგიას, რომელიც ძალის, მოხერხებულობისა და კეთილსინდისიერების სახით ვლინდება ადამიანში.

ისტორიული პროცესის უწყვეტლობა მაკიაველის მიხედვით, ესაა სიკეთისა და ბოროტების მარადიული ჭიდილი, მათი დაუსრულებელი მონაცვლეობა, ეს მონაცვლეობა პერიოდულ გადატრიალებათა თუ კატასტროფათა მეშვეობით ხორციელდება, რომლებიც პირწმინდად ანგრევენ წარსულ ეპოქათა განვითარების ყველა შედეგს, თვით მათ ხსოვნასაც კი აქრობენ ადამიანთა სულში, რათა მომდევნო თაობებმა ყველაფერი თავიდან დაიწყონ და ხელახლა შეავსონ იმავე შინაარსით ჯერ კიდევ დაუწერელი ისტორიის სუფთა ფურცლები.

ნიკოლო მაკიაველიმ პოლიტიკურ მეცნიერებაში შემოიტანა ახალი პოლიტიკური ცნება **stato** (სახელმწიფო), მისთვის **stato** არის არა კონკრეტული სახელმწიფო, ქვეყანა, ხელისუფლება, ძალაუფლება და ასე შემდეგ, არამედ **საზოგადოების პოლიტიკური ფორმა მთლიანობაში.**

მაკიაველის აზრით, სახელმწიფოს არ გააჩნია თვითკმარი და თავისუფალი საფუძველი. ის ადამიანის მიერ არის შექმნილი და მხოლოდ მათი თავისუფალი ნების წყალობით ენიჭება არსებობაც, ქმედითობაცა და დანიშნულებაც.

სახელმწიფოს აქვს მკვეთრად გამოკვეთილი და თავისუფალი ფუნქცია. იგი უწინარეს ყოვლისა ადამიანის აღზრდისა და პირველყოფილი ბარბაროსობის მდგომარეობიდან ცივილიზებული არსების რანგში მის აყვანას ისახავს მიზნად. პოლიტიკა ადამიანის ბუნების ანარეკლია. ადამიანის ბუნების სპეციფიკური თვისება კი ეგოიზმია. ეგოიზმისაგან იღებს დასაბამს ქვენა გრძნობების, მდაბიო ინსტიქტების, უკეთური ზრახვებისა თუ მისწრაფებების სიმრავლე, რომელთა შორის უმთავრესია ანგარება და პატივმოყვარეობა. უსაზღვროა ადამიანის სურვილები და მოთხოვნილებები, მაგრამ საზღვრულია და სასრული მათი ხორცშესხმისა და დაკმაყოფილების მისეული შესაძლებლობები. საკუთარი შესაძლებლობების შეზღუდულობა და არსებობისათვის ბრძოლის სიმკაცრე აიძულებს ადამიანებს შექმნან საზოგადოებრივი თანაცხოვრების ისეთი ფორმა, როგორიცაა სახელმწიფო. სახელმწიფო არ არის ადამიანთა მექანიკური გაერთიანება. ის ძირეულად ცვლის მათი ცხოვრების წესს. სწორედ სახელმწიფო ასწავლის ადამიანს, რომ არაფერი ისე არ ეწინააღმდეგება თანაცხოვრებასა და თანაარსებობას, როგორც ეგოისტური მისწრაფებების აღვირახსნილობა, და რომ სწორედ ამიტომ საჭიროა მათი დაურვება. საკუთარ ვნებებსა და სურვილებთან ადამიანების ამ ჭიდილიდან აღმოცენდა მორალი, კანონიერება, რელიგია.

თავაშვებული ეგოიზმის ალაგმვისას სახელმწიფო ძირითადად ეყრდნობა მორალს, რომელიც ალტრუისტული სულისკვეთებით ზრდის კაცს და მოყვასის ინტერესებისადმი პატივისცემასა და საზოგადო სიკეთისადმი სამსახურს უწესებს ქცევისა და მოქმედების უზენაეს ნორმად და საზომად. მაკიაველის აზრით, მორალი და ზნეობა სხვა არა არის რა, თუ არა იმ წესების ერთობლიობა, რომელიც საზოგადო სიკეთის ინტერესებიდან გამომდინარეობენ და თანაცხოვრების მოთხოვნით არიან განპირობებულნი. მორალი ადამიანთა არასრულქმნილების გამაწონასწორებელ ფაქტორად გვევლინება და მიზნად ისახავს, სწორედ ამ არასრულქმნილების აღმოფხვრის გზით, ადამიანებში ისეთი თვისებების გამომუშავებასა და განვითარებას, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია სახელმწიფოს ფარგლებში მათი თანამშრომლობა თუ თანაარსებობა და რომლებიც ბუნებამ არ გაიმეტა მათთვის.

სახელმწიფოს არსენალში არის კიდევ ერთი მძლავრი იარაღი - კანონები, საზოგადოების უზენაესი ავტორიტეტით დადგენილი და ხელისუფლების მიერ სანქცირებული სავალდებულო ნორმები, რომელთა მეშვეობითაც ის ბოჭავს და გასაქანს არ აძლევს საზოგადოების წევრთა ინდივიდუალური მიზნების მავნე ტენდენციებს და სასჯელის შიშით აღკვეთს მათ ქმედებას. ეს ორი სოციალური ძალა - მორალი და კანონიერება - ერთმანეთზეა დამოკიდებული და ერთმანეთს განაპირობებს.

მორალსა და კანონებს მხარს უმაგრებს რელიგია. რელიგია ზნეობრივი კანონის საკრალიზაციას ახდენს და აიძულებს ადამიანებს აღიარონ მისი დამოუკიდებლობა კაცთა თვითნებობისაგან. თუმცა რელიგია, სანამ ის მარტოოდენ ქადაგებით ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს ადამიანებზე, ვერ ახერხებს მათი ეგოისტური მისწრაფებების ალაგმვას, და მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფოს ხელში პოლიტიკური იარაღის როლს ასრულებს, ანდა როცა

შეიარაღებული წინასწარმეტყველის პირით მეტყველებს, ის უკვე უფრო მეტია, ვიდრე ხმა უდაბნოში მღაღადებლისა.

მაკიაველის პოლიტიკურ მოძღვრებას საფუძვლად უდევს მისი ისტორიული დიალექტიკა; ბოროტებამ, ანუ გარემომცველ მტრულ სინამდვილეში ადამიანის უმწეობამ და მისი ვნებების აღვირახსნილობამ, დასაბამი მისცა სიკეთეს სახელმწიფოს, მორალს, რელიგიას. თავის მხრივ ეს სიკეთე ახალი ბოროტების სათავე ხდება; ადამიანები ადვილად ივიწყებენ წარსულის გაკვეთილებს და თვითონვე ანადგურებენ თავიანთ ნაღვაწს. ცივილიზებული საზოგადოების ყველა სიკეთე - კანონიერება, ზნეობა, სარწმუნოება ადამიანებში თანდათანობით იწვევს კმაყოფილებას, უკვე მიღწეული კეთილდღეობით ტკბობას, მცონარობას, უმოქმედობას. ანუ ყოველივე ის, რაც თავის დროზე სამოქალაქო სიქველეთა აღზრდის ძირითადი ფაქტორი იყო, ახლა უკვე მოქალაქეთა ბიწიერების მიზეზად გვევლინება.

ნიკოლო მაკიაველისათვის ყველაზე დიდ ღირებულებას წარმოადგენდა იტალია. იგი აღმერთებდა და მთელის არსებით თაყვანს სცემდა თავის წმიდათა-წმიდა მამულს, თავის მრავალტანჯულ სამშობლოს. საკუთარ უმდიდრეს პირად ცდაზე დაყრდნობით მან შეძლო ჩაეგონებინა თანამემამულეებისათვის, რომ საომარ წარმატებებს განაპირობებენ არა მარტო ფული, მიუვალი ციხე-სიმაგრეები, სამხედრო ტექნიკა და კარგად გაწვრთნილი ლაშქარი, არამედ მორალური ძალებიც - პატრიოტიზმი და სულის დისციპლინა.

ნიკოლო მაკიაველიმ გაბედულად გაუსწორა თვალი უნუგეშო და უსიხარულო სინამდვილეს, პირუთვნელად განსაჯა იტალიის დაცემის სავალალო სურათი და თავის თანამედროვეების კომპრომისული და კოსმოპოლიტური განწყობის საპირისპიროდ ჩამოაყალიბა საკუთარი პატრიოტული კონცეფცია, რომელშიც სამშობლოს ცნებას სრულიად უჩვეულო მნიშვნელობა და განზომილება ენიჭება.



ფრანჩესკო დე სანკტისი. იტალიელი ისტორიკოსი

ფრანჩესკო დე სანკტისი წერს: "მაკიაველი ერთგვარ ღვთაებად სახავს სამშობლოს. ის მორალსა და კანონზედაც უმაღლესია. მსგავსად იმისა, როგორც ასკეტების ღმერთი ნთქავდა პიროვნებას, მსგავსად იმისა, როგორც ინკვიზიტორები ღვთის სახელით კოცონზე წვავდნენ მწვალებლებს, მაკიაველის თვალსაზრისით, სამშობლოს გულისთვის ყველაფერი დასაშვებია; ის, რაც დანაშაულად ითვლება კერძო ცხოვრებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქების ღირსია. ღმერთი ზეციდან მიწაზე ჩამოვიდა და სამშობლო დაერქვა, და ის უწინდებურად შიშის ზარს სცემდა ადამიანებს. მისი ნება, მისი ინტერესები, აი, რა გახლდათ უზენაესი კანონი".

თვით მაკიაველი შემდეგნაირად აფიქსირებს ამ საკითხთან მიმართებაში თავის პოზიციას; "როდესაც საქმე სამშობლოს ინტერესებს ეხება, თავი შეიკავეთ იმაზე მსჯელობისაგან სამართლიანია ეს და ეს გადაწყვეტილება თუ უსამართლო, ლმობიერია თუ სასტიკი, საქებია თუ საძრახისი; ანგარიში არ

უნდა გავუწიოთ არავითარ თვალსაზრისს და მივიღოთ მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომელიც ხელს უწყობს მისი არსებობისა და თავისუფლების შენარჩუნებას".

საერთაშორისო ურთიერთობებში პოლიტიკური რეალიზმის ფუძემდებლად გვევლინება ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, ჰანს მორგენტაუ (1904-1980). მისი წიგნი ("Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace" "ერთაშორის პოლიტიკური ურთიერთობები. ბრძოლა ხელისუფლებისა და მშვიდობისათვის".) გამოიცა 1948 წელს და იქცა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კლასიკად. ამ წიგნში აისახა ის არსებითი ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობდა საერთაშორისო არენაზე გასული საუკუნის 40-50-იან წლებში. ერთა ლიგის კრახმა და მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებამ, შემდგომ კი "ცივმა ომმა" აშკარად ილუზიური გახადა ისეთი საერთაშორისო წესრიგის შენების მცდელობა, რომელიც დამყარებული იქნებოდა მხოლოდ უნივერსალურ ღირებულებებსა და სახელმწიფოთა საერთო ინტერესებზე. მორგენტაუ არ უარყოფდა მშვიდობიანი, ჰარმონიული საერთაშორისო წესრიგის აღმშენებლობის საჭიროებას. ამასთანავე აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები შორს არიან იდეალურისაგან, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ""უწყვეტი ძალისხმევა მიმართული საკუთარი ერის სიძლიერის შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის სხვა ერების დაუძლურების ხარჯზე". [1,5]



ჰანს იოახიმ მორგენტაუ (ინგ., Hans Joachim Morgenthau) (1904-1980)
ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი

მორგენტაუმ თავის ნაშრომით საფუძველი ჩაუყარა, საერთაშორისო ურთიერთობების დეტალურად დამუშავებულ თეორიას, როგორც დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგს. პოლიტიკური რეალიზმის თეორიის ძირითადი დებულებები (საერთაშორისო პოლიტიკა, როგორც ბრძოლა ძალაუფლებისათვის, სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესების არა თანხვედრა და აქედან გამომდინარე საერთაშორისო გარემოს კონფლიქტური ნიადაგი) საკმაოდ აქტუალური აღმოჩნდა პრაქტიკოსი პოლიტიკოსებისათვის.

თავის ცნობილ ნაშრომში ჰანს მორგენტაუ აყალიბებს პოლიტიკური რეალიზმის ძირითად პრინციპებს. თავდაპირველად ავტორი ამკვიდრებს აზრს, რომ საერთაშორისო პოლიტიკას საფუძვლად უდევს პოლიტიკური ქცევის კანონები, რომელთა ფესვები ადამიანთა ბუნებაში უნდა ვეძიოთ.

მორგენტაუს აზრით, პოლიტიკური იდეების ისტორია, ეს არის ბრძოლა ორ შეხედულებას შორის ადამიანის ბუნებაზე, საზოგადოებასა და პოლიტიკაზე. ერთი თვალსაზრისის წარმომადგენლებს სჯერათ რაციონალურ და იმავდროულად ზნეობრივ პოლიტიკურ პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკური წესრიგის არსებობის შესაძლებლობის. მათ სჯერათ ადამიანური ბუნების თანდაყოლილი სიკეთისა და მიაჩნიათ რომ რეფორმებისა და განათლების გზით შესაძლებელია საზოგადოების სრულყოფა. ხოლო მეორე თვალსაზრისის, პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ სამყარო

არასრულყოფილია. რაციონალურად დასაბუთებული პოლიტიკური წესრიგის შესაქმნელად აუცილებელია გაეითვალისწინოთ ადამიანის ბუნების არასრულყოფილება. თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელია ინტერესთა კონფლიქტები, ესე იგი ყველა პლურალისტური საზოგადოების არსებობის პრინციპები ეფუძნება ინტერესთა ბალანსს, შეკავებისა და წონასწორობის სისტემას.

ჩვენი აზრით, ადამიანის საზოგადოებრივი არსებობიდან გამომდინარეობს კონფლიქტების გარდაუვალობა. შეიძლება დავასახელოთ ადამიანთა შორის წამოჭრილი კონფლიქტების სამი ძირითადი წყარო:

პირველი წყარო: არსებობს, ალბათ რაღაც ბიოლოგიური მექანიზმი, რომელსაც ძალუძს მზადყოფნაში ჰქონდეს ენერგიის გარკვეული რაოდენობა, რომელიც საკმარისია, რათა პასუხი გასცეს ყველაფერს, რაც გაღიზიანებს. ეს ენერგია საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მიმართული იქნეს ზედმეტად გათავხედებული მეტოქის ან მტაცებელი ცხოველის წინააღმდეგ. როდესაც გარემო არ გვაძლევს საშუალებას დავხარჯოთ იგი იმ მიზნების განსახორციელებლად, რომლისთვისაცაა განკუთვნილი, ის კი არ ქრება ან იბნევა, არამედ ხდება აგრესიულობისა და ჭირვეულობის მიზეზი. ამ სიტუაციის ყველაზე მარტივი ახსნა "ჭარბი ენერგიის" არსებობაში მდგომარეობს. ადამიანი ხდება კონფლიქტური. ამრიგად. ადამიანი ის არსებაა, რომელიც მუდამ მზადყოფნაშია დავისა და კონფლიქტებისათვის.

მეორე წყაროა ადამიანის თავისუფლებისა და მათ წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის სიმრავლის შერწყმა. არჩევანი აუცილებელია, ვინაიდან პრობლემები დაბეჯითებით მოითხოვენ გადაწყვეტას, მაგრამ არჩევანი შეიძლება სულ სხვა იყოს, თუ მოცემული საზოგადოების წევრები იცავენ თავის არჩევანს და მზად არიან მობილიზება გაუკეთონ თავის ენერგიას სხვაზე ზემოქმედებით, სხვაზე ზეწოლით, რის შემდეგადაც წარმოიქმნება კონფლიქტები. კონფლიქტის პირველი წყარო ადვილად ერწყმის მეორეს - ანჩხლი ხასიათი ეძებს მიზეზს კონფლიქტისათვის. მაშინაც, როდესაც ერთი მხარე გულწრფელად და შეგნებულად არ ეთანხმება სხვის არჩევანს და თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამ არჩევანისადმი მისთვის სარწმუნო არგუმენტებით ასაბუთებს, სიტუაცია შეიძლება დაიძაბოს ისე, რომ მობილიზება გაუკეთოს დაგუბებულ აგრესიას და გამოიწვიოს ღია კონფლიქტი. საბაბის ძიებისა და დარწმუნების ორ პოლუსს შორის მრავალი შუალედური საფეხური არსებობს. კონფლიქტის ეს წყაროები დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანებისათვის, რომლებსაც არ ძალუძთ სხვის ქმედებას ან მსჯელობას ადვილად დაეთანხმონ. ასეთი მდგომარეობა წარმოუდგენელია სხვა ცხოველურ გაერთიანებებში, ვინაიდან მხოლოდ ადამიანია ერთადერთი თავისუფალი არსება სხვა დანარჩენ ცოცხალ ორგანიზმებს შორის, რომელიც თვითონ ქმნის თავის ადამიანურობას კულტურის მეშვეობით.

მესამე წყარო: ინდივიდები და ჯგუფები სტიქიურად ისწრაფიან რაღაც სიკეთისაკენ, რომელიც თითოეულს ისეთი რაოდენობით უნდა, რომ შეიძლება ყველას არ გასწვდეს. სიკეთე იშვიათია და მისი განაწილება ხდება კონფლიქტის მიზეზი. ყველაფერი სასურველი და იშვიათი შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ.

1) ძალაუფლება, რომელიც დროებით შეიძლება განისაზღვროს როგორც შესაძლებლობა სხვას მოახვიო შენი სურვილი; ძალაუფლება თავისი ბუნებით იშვიათია და განაწილებულია არათანაბრად, ვინაიდან ყველას რომ ჰქონდეს განუსაზღვრელი ძალაუფლება ან ყველა რომ ფლობდეს მას, მაშინ ერთის ძალაუფლება მოისპობდა მეორის მიერ და საერთოდ არ იარსებებდა არავითარი ძალაუფლება.

2) პრესტიჟი, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ როგორც ინდივიდის ან ჯგუფის თვისება გამოიწვიოს სხვებში აღფრთოვანების გრძნობა. პრესტიჟიც, როგორც ძალაუფლება, იშვიათია და განაწილებულია არათანაბრად იმავე მიზეზების გამო. იგი გაქრებოდა, თუ ყველა მოისურვებდა გამოეწვია სხვებში ერთნაირი ან უსაზღვრო აღფრთოვანება.

3) სიმდიდრე, რომელიც წარმოადგენს მატერიალური ფასეულობისა და მომსახურების ერთიანობას. სიმდიდრე მოწოდებულია დააკმაყოფილოს მოთხოვნილებები და სურვილები. იგი შეიძლება მიითვისონ, როგორც ინდივიდებმა, ისევე დაჯგუფებებმა. სიმდიდრეც იშვიათია, ვინაიდან იგი შეზღუდულია, ერთი მხრივ, საშუალებათა ურთიერთდამოკიდებულებით, მეორე მხრივ – მოთხოვნილებებითა და სურვილებით; ამასთან სურვილებს არ გააჩნია არავითარი შინაგანი შეზღუდვები. ადამიანური თავისუფლება სურვილებს უსაზღვროდ განავრცობს, იზრდება რა სპირალისებურად: ერთს სურს ფლობდეს სხვაზე არანაკლებს, მეორეს კი უნდა ჰქონდეს ბევრად მეტი, ვიდრე დანარჩენს. სიმდიდრის თანაბარი განაწილება თეორიულად სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება ადამიანთა სხვადასხვანაირი სურვილების გამო.

ადამიანს ამოძრავებს გაურკვეველი ვნებები: პატივმოყვარეობა, სიხარბე, სიძუნწე, თავმომწონეობა, სიამაყე, შური და ა.შ. ეს ვნებები "ამკობს" ადამიანს და ხდება მტრობის მიზეზი ინდივიდებსა და დაჯგუფებებს შორის. გასაგებია, რომ კონფლიქტის ეს წყარო შეიძლება შეუერთდეს პირველ ორ წყაროს. ვნებებით შეპყრობილი ადამიანი ადვილად პოულობს დავის მიზეზს, ეძნელება სხვისი სურვილის გათავისება, ფეთქებადი და კონფლიქტურია.

კონფლიქტი ერთ-ერთი განზომილებაა ადამიანის ყოფისა, ვინაიდან ადამიანი თავისუფალი, მიზანდასახული და საზოგადოებრივი არსებაა, რომელიც ცდილობს თავისი საკუთარი მიზნების განხორციელებას და ამით ძალაუნებურად წარმოშობს კონფლიქტურ სიტუაციებს სხვებთან მიმართებაში.

თავისთავად კონფლიქტი არც კარგია, არც ცუდი. იგი მოცემულობაა რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს და რომელსაც კაცობრიობა გვერდს ვერ აუვლის, ძალიანაც რომ ეცადოს. ამასთან ერთად კონფლიქტი პრობლემაა. კონფლიქტისათვის დამახასიათებელი სტრუქტურა არის ორთაბრძოლა, ინდივიდსა და გაერთაინებას ან ინდივიდებსა და გაერთიანებებს შორის. კონფლიქტის ყველა მონაწილეს სურს გამარჯვება, ამისათვის კი მან მეტი საშუალება უნდა გამონახოს და მეტი მოხერხებულობა გამოიჩინოს, ვიდრე მოწინააღმდეგემ. მან ისეთი ხერხებიც უნდა გამოიყენოს, როგორიცაა ძალმომრეობა და გაიძვერობა. თითოეული ცდილობს ამ ხერხების ჭარბი დოზებით გამოყენებას. წარმოიქმნება ესკალაცია, დაუოკებელი სწრაფვა უკიდურესობისაკენ, რაც მთავრდება ომით და კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილის დაღუპვითაც კი. ესკალაცია გარდაუვალია იმიტომ, რომ არ არსებობს არავითარი შინაგანი შემაკავებელი ძალა, რომელიც შეაჩერებს კონფლიქტ-ორთაბრძოლას. ეს ძალა ყველა დანარჩენი ცოცხალი არსებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ადამიანს არ გააჩნია სწორედ იმიტომ, რომ იგი თავისუფალია, გენეტიკურად არ არის დაპროგრამებული. კონფლიქტების აღზევების დროს დგება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ამ ცნების სრული მნიშვნელობით, ვინაიდან ადამიანები იძულებული არიან ერთად იცხოვრონ უკიდურესი უთანხმოების არსებობის შემთხვევაშიც კი. მათ წინაშე დგას ძნელად გადასაწყვეტი ყოველდღიური პრობლემა: როგორ იცხოვრონ ერთად ისე, რომ არ დახოცონ ერთმანეთი? ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ პოლიტიკას შეუძლია. პოლიტიკა კი, მხოლოდ ადამიანებს ხელეწიფებათ. [ჟან ბეშლერი. დემოკრატია. თბილისი, 1998]

იან შჩეპანსკი გვთავაზობს ამ პრობლემის თავისებურ ხედვას. მისი აზრით:

"კონფლიქტი სოციალური პროცესია, რომელშიც ინდივიდი ან ჯგუფი ისწრაფვის მიაღწიოს საკუთარ მიზნებს (მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ინტერესების რეალიზაციას) იმ გზით, რომ მოიშოროს, მოსპოს ან დაიმორჩილოს სხვა ინდივიდი ან ჯგუფი, რომელიც მსგავს ან იდენტურ მიზნებს ესწრაფვის. კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას, აგრეთვე, ჯგუფებს შორის, როდესაც ჯგუფები ისახავენ სხვადასხვა მიზანს, მაგრამ მათი რეალიზაციისათვის სურთ ისარგებლონ ერთი და იმავე საშუალებებით. კონფლიქტში ყოველთვის არის მოწინააღმდეგის გაცნობიერება, ზუსტად განსაზღვრულია სიტუაცია, რომელშიც მოწინააღმდეგის შეფასება ხდება იმ წინააღმდეგობის მეშვეობით, რომელიც არსებობს ორივე ჯგუფის მისწრაფებებსა და მიზნებს შორის.

კონფლიქტი წარმოიშობა ანტაგონიზმის, ერთმანეთის ღირებულებათა სისტემების დაპირისპირებული განსაზღვრისა და შიშის გრძნობიდან წარმოშობილი აკვიატებული ნეგატიური აზრის საფუძველზე. სქემატურად: თუ ა ბ-ს განსაზღვრავს იმგვარად, რომ ბ ემუქრება ა-ს ღირებულებებს, მაშინ ა-ს ბ-ს მისწრაფებებს განსაზღვრავს, როგორც მისთვის ბ-ს ღირებულებათა თავსმოხვევის მისწრაფებებს, მაშინ წარმოიშობა ანტაგონიზმი. ანტაგონიზმი უცხოების მიმართ, მაგალითად, ჩვეულებრივ წარმოიშობა ირაციონალური, ნეგატიური აკვიატებული აზრებისა და უცხოს, როგორც მისთვის საშიშის განმარტების ნიადაგზე. ამრიგად, ანტაგონიზმი ნეგატიური განწყობილებისა და შეფასებების კომპლექსია, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მოწინააღმდეგის მოშორების ან დამორჩილების ქმედებანი. ანტაგონიზმი შეიძლება გაჩნდეს ინტერესთა ობიექტური დაპირისპირებულობის საფუძველზე, მაგრამ კონფლიქტად იქცევა მხოლოდ ერთ-ერთი პარტნიორის მიერ ამ დაპირისპირებულობის გაცნობიერების შემდეგ.

კონფლიქტი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით. ბრძოლა კონფლიქტის ფორმაა, რომელშიც მოწინააღმდეგენი მიისწრაფვიან ცხადყონ თავიანთი უპირატესობა. ბრძოლაა სპორტული შეჯიბრებები, ჭადრაკის პარტია, მაგრამ მან შეიძლება შეიძინოს სხვა ფორმებიც – ეკონომიკური, პოლიტიკური ბრძოლა. ბრძოლის მიზანია აიძულოს მოწინააღმდეგე მოახდინოს კაპიტულაცია – აღიაროს მოწინააღმდეგის უპირატესობა და მიიღოს პირობები, რომლებიც ამ მიღებიდან გამომდინარეობენ მოცემულ კონკრეტულ დარგში. ომი კი შეიარაღებული ბრძოლაა პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისათვის. ამიტომ, თუ ბრძოლა საყოველთაო მოვლენაა ყველა საზოგადოებაში და ყველა ისტორიულ პერიოდში, ომი ჩნდება მხოლოდ პოლიტიკურად ორგანიზებული სახელმწიფოების წარმოშობასთან ერთად და შეიძლება წარმოვიდგინოთ ისტორიული სიტუაცია, როდესაც აღარ იქნება ომები, როგორც პოლიტიკური კონფლიქტების გადაჭრის მეთოდი.

კონფლიქტები შეიძლება წარმოიშვას ყველგან, სადაც არსებობს საპირისპირო ინტერესები, მიზნები, ღირებულებათა სისტემების დაპირისპირებული განსაზღვრებანი, ურთიერთგამომრიცხავი მოქმედების ნიმუშებისა და შეფასებათა კრიტერიუმები. ცნობილია კლასობრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური, მორალური და სხვა კონფლიქტები.

ნებისმიერი ჯგუფის ფარგლებში შეგუების, თანამშრომლობის, მეტოქობის და კონფლიქტების პროცესები მუდამ მიმდინარეობს, ამასთან ისინი ინარჩუნებენ გარკვეულ წონასწორობას. თუ მოცემული ერთობის არსებული ორგანიზაციისა და კონტროლის სისტემის ფარგლებში ეს პროცესები ისეთ წონასწორობას ინარჩუნებენ, რომ სოციალურ წესრიგს, რომელიც უზრუნველყოფს წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ჯგუფის განვითარებას, საფრთხე არ

ემუქრება, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს პროცესები მიმდინარეობენ სოციალურად ორგანიზებული ფორმით. მაგრამ თუ ამ წონასწორობის მერყეობის ზღვარი დარღვეულია, ისე, რომ წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას საფრთხე ემუქრება და კონტროლის სისტემა ეფექტიანად აღარ მოქმედებს, მაშინ ჩნდება სოციალური დეზორგანიზაციის მდგომარეობა. [იან შჩეპანსკი. სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები. თბილისი, 1997]

კონფლიქტების ძირითადი პრობლემა, ანუ ის რომ ადამიანები უკიდურესი ანტაგონიზმის პირობებშიც კი იძულებულნი არიან ერთად იცხოვრონ და გადაწყიტონ უმთავრესი საკითხი, მდგომარეობს იმაში, როგორ იცხოვრონ ერთად ისე, რომ არ დახოცონ ერთმანეთი? ეს შეუძლია გადაწყვიტოს მხოლოდ პოლიტიკას, მეცნიერულ დონეზე გააზრებულ პოლიტიკური მართვის ოპტიმალურ მექანიზმს.

პოლიტიკური რეალიზმის პირველი პრინციპი დაკავშირებულია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში პოლიტიკური მოღვაწეობის ხასიათის ფარდობითობასთან. მორგენტაუ პოლიტიკურ რეალიზმში გულისხმობდა ისეთ პოლიტიკურ დოქტრინას რომელიც ეფუძნება, ადამიანის ბუნების წინააღმდეგობრივი მხარეების გათვალისწინებას და იმის აღიარებს, რომ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები სამართლიანი და ზნეობრივი პოლიტიკური წესრიგის მშენებლობისათვის. პოლიტიკური რეალიზმი ასევე ეფუძნება დებულებას, რომ ნებისმიერი ქმედება საზოგადოების სრულყოფის მიზნით – ესაა სარისკო მოღვაწეობის ნაირსახეობა.

პოლიტიკური რეალიზმის მეორე პრინციპს წარმოადგენს ძალის კატეგორიით გამოხატული ეროვნული ინტერესები. ეროვნული ინტერესების კონცეფცია შესაძლებლობას გვაძლევს განეიხილოთ საერთაშორისო პოლიტიკა, როგორც შედარებით დამოუკიდებელი სფერო ისეთი დარგებისაგან როგორიც არის ეკონომიკა. რელიგია, და ეთნიკური ურთიერთობები. მორგენტაუ აღნიშნავს, რომ მსგავსი თეორეტიკული დაშვების გარეშე შეუძლებელია შეიქმნას პოლიტიკის თეორია. [1,5] სწორედ ინტერესის ცნება, ახსნილი ძალაუფლებისა და სიმძლავრის ტერმინებში შესაძლებელს ხდის საერთაშორისო ურთიერთიებისა და საერთაშორისო პოლიტიკის თეორეტიკულ აღქმას.

პოლიტიკური რეალიზმის მესამე პრინციპი ათავისუფლებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას ორი მცდარი აზრისაგან – გამოეიკვლიოთ მოტივები და განზრახვები, რომლებიც საფუძვლად უდევს პოლიტიკურ ქმედებებს და ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების იდეოლოგიური უპირატესობის შესწავლა. მცდარია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც საგარეო პოლიტიკის შემეცნების გასაღებად მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწის მოტივები გვევლინება. არ შეიძლება საგარეო პოლიტიკის განხილვა ფსიქოლოგიური ფენომენების პრიზმით.



არტურ ნევილ ჩემბერლენი (ინგ. Arthur Neville Chamberlain) (1869-1940)
დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1937-1940)

მორგენტაუ აღნიშნავს, რომ ისტორიული მაგალითები არ გვიჩვენებენ მკვეთრად ერთმნიშვნელოვან კორელაციებს საგარეო–პოლიტიკური მოღვაწეობის მოტივებსა და რეალურ შედეგებს შორის. “პოლიტიკური ლიდერების კეთილი სურვილები არ წარმოადგენენ მათ მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკის ზნეობრიობისა და ეფექტურობის გარანტიას”. [1,6] რეალური პოლიტიკური გამოკვლევებისათვის მნიშვნელობა აქვს რეალური პოლიტიკური ქმედებების ანალიზს, ასევე იმას, თუ რამდენად ესადაგება ეს ქმედებები დეკლარირებულ მიზნებს.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია ორიენტირებული უნდა იყოს პოლიტიკოსების ისეთი თვისებების შესწავლაზე, როგორიც არის ინტელექტი, ნებისყოფა და მოქმედება, და არა ზნეობასა და სურვილებზე აბსტრაქტულ მსჯელობებზე. მორგენტაუს მოჰყავს რამოდენიმე ისტორიული მაგალითი. მისი აზრით, ნევილ ჩემბერლენი ბრიტანეთის სხვა პრემიერ-მინისტრებზე უფრო მეტად ისწრაფოდა მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის, ვიდრე ზრუნავდა საკუთარი ხელისუფლების გამყარებაზე. მაგრამ მისმა ბევრმა არასწორმა გათვლამ ხელი შეუწყო II მსოფლიო ომის დაწყებას. “აგრესორის მიმართ ჩემბერლენის დაშოშმინების პოლიტიკა დაფუძნებული იყო მშვიდობიან სურვილებზე”. [1,6] მეორეს მხრივ, სერ უინსტონ ჩერჩილის მოტივები საგარეო პოლიტიკაში თავისი მასშტაბებით ნაკლებად უნივერსალური და კეთილშობილური იყო. იგი ვიწროდ იყო ორიენტირებული პერსონალური ძალაუფლების შენარჩუნებაზე, სამაგიეროდ, საგარეო პოლიტიკის სფეროში ჩერჩილის მიღწევები გაცილებით აჭარბებს მისი წინამორბედის მიღწევებს.



**სერ უინსტონ ლეონარდ სპენსერ-ჩერჩილი (ინგ., Sir Winston Leonard Spencer-Churchill) (1874-1965). დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1940-1945)**

ამგვარად, ეთიკა ყურად იღებს ადამიანური მოტივების ზნეობრიობას, ხოლო პოლიტიკურ თეორიას უნდა აინტერესებდეს პოლიტიკოსის ინტელექტი, ნება და პრაქტიკული ქმედებანი.

პოლიტიკური რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ასევე გვაძლევს საშუალებას გამოვრიცხოთ კიდევ ერთი მცდარი აზრი — ლიდერის მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიურ წარმოდგენების გავლენა საგარეო პოლიტიკაზე.

მორგენტაუ წერდა:“თანამედროვე პოლიტიკოსები ძალიან ხშირად მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური სიმპატიებისათვის მსხვერპლად სწირავენ პოლიტიკურ მიზანშეწონილობას, რათა მიიღონ ხალხის მხარდაჭერა თავიანთი ქმედებებისათვის”. [1,7] იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს დემოკრატიული კონტროლი ხელისუფლების ქმედებებზე არ შეიძლება პოლიტიკური რაციონალურობა შეეწიროს მიმდინარე საგარეო პოლიტიკის მხარდამჭერ დემონსტრაციებსა და მასობრივ ემოციებს.

პოლიტიკური რეალიზმი არ ნიშნავს პოლიტიკური პრინციპებისა და იდეალების მთლიანად უარყოფას. პოლიტიკური რეალიზმის პოზიცია მოითხოვს მკვეთრ გამიჯვნას სასურველსა და სინამდვილეს შორის, დროისა და ადგილის კონკრეტულ გარემოებაში დასაშვების შეფასებას. მაშასადამე, საგარეო პოლიტიკა მორგენტაუს მიხედვით, უნდა იყოს ემოციოურად ნეიტრალური, ობიექტური და რაციონალური.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ჰან მორგენტაუმ საფუძველი დაუდო რაციონალური არჩევანის თეორიას. რაციონალურად ორიენტირებული, გათვლილი საგარეო პოლიტიკა კრისტალიზირდება პოლიტიკური გამოცდილებიდან და გამორიცხავს შეთხვევით გადახრებს. რაციონალური საგარეო პოლიტიკა მიმართულია რისკის მინიმუმამდე შემცირებაზე და სარგებელის მაქსიმუმამდე გაზრდაზე, და იგი დაქვემდებარებულია პოლიტიკურ წარმატებისა და კეთილგონიერების წესებზე.

გამოცდილების ქვეშ უნდა გავიგოთ, წარსულის მატერიალურ ან სულიერ სფეროში, ადამიანების შემეცნებული ან დაფიქსირებული მოღვაწეობა. ადამიანური მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში ისტორიული გამოცდილება წარმოადგენს თანამედროვე სოცილაური გამოცდილების საფუძველს, განსაკუთრებით კი პოლიტიკურისას, რადგანაც პოლიტიკის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მისი ისტორიულობა.

პოლიტიკური გამოცდილება – პოლიტიკური შემეცნების საფუძველი, შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადამიანთა პოლიტიკური მოღვაწეობა ან შემეცნებითი და დაფიქსირებული პოლიტიკური პრაქტიკა.

წარსულის პოლიტიკური გამოცდილება გამოიხატება ჩვეულებრივი ან მეცნიერული ცნობიერების ფორმით. თეორეტიკულ და ემპირიულ დონეზე კი ტრადიციების, ჩვევების, რელიგიური შეხედულებების, მეცნიერული ფაქტების, კანონებისა და თეორიების სახით.

პოლიტიკური ცნობიერება წარმოუდგენელია ისტორიული გამოცდილების ფართო გამოყენების გარეშე. ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში ძალაუფლების მრავალი სტრუქტურა, ძალაუფლებრივ ურთიერთობათა დაწერილი და დაუწერელი კანონები ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს ისტორიული გამოცდილების ბაზაზე.

ისტორიული გამოცდილება წინააღმდეგობრივია. იგი ერთდროულად წარმოადგენს პროცესს და განვითარების შეჯამებას, მის დასასრულს. ისტორიულ პროცესს საკუთრივ წარსული გამოცდილება აძლევს პროცესის ფორმას და არა მოვლენათა ქაოსური ერთობლიობა, რადგანაც იგი გულისხმობს საზოგადოებაში მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობებს.

თანამედროვე სოციალური გამოცდილებისაგან განსხვავებით ისტორიულმა გამოცდილებამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები. მაგრამ ამოწურა ის წარსულის პრაქტიკასთან მიმართებაში და შემოინახა თანამედროვე პოლიტიკური მოქმედებებისათვის. ამაში მდგომარეობს ისტორიის მემკვიდრეობითობის გამოვლენა და მასთან ერთად წანამძღვარი შემოქმედებისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ წარსულის შეცდომები, რომლებიც ისევე შედიან ისტორიული გამოცდილების სტრუქტურაში, როგორც მასში დაფიქსირებული მიღწევები და გამარჯვებები.

პოლიტიკოსისათვის ყველაზე ძვირფასი უნდა იყოს ისტორიულ-პოლიტიკური გამოცდილება, ანუ ის რაც პირდაპირაა დაკავშირებული წარსულის პოლიტიკასთან, და რაც წარმოადგენს ისტორიული გამოცდილების მთელი მოცულობის ბირთვს, ითვალისწინებს რა წარსული თაობების მოღვაწეობის მრავალსახეობას.

ისტორიულ-პოლიტიკური გამოცდილება, თანამედროვე სოციალურ გამოცდილებასთან შესატყვისობაში, უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური,

გამოდის, როგორც ერთობლიევი პოლიტიკური გამოცდილება და სწორედ ის შეადგენს პოლიტიკური ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის ემპირიულ საფუძველს.

ისტორიულ-პოლიტიკური გამოცდილება, როგორც მიზანი, შეისწავლება პოლიტიკური მეცნიერების მიერ არა მარტო შემეცნებითი ინტერესის გამო, არამედ თეორეტიკული და პრაქტიკული ხასიათის კონკრეტული დამუშავებისათვის, რადგანაც წარსული თავის პრაქტიკაში შეიცავს პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და მოქმედების ამა თუ იმ ნორმებს, ეტალონებს და იდეალებს.

ისტორიულ გამოცდილებაში არსი არ არის გამოყოფილი მოვლენისაგან, მიუხედავად ამისა ისტორიული გამოცდილება წარმოადგენს პოლიტიკაში სწორედ არსობრივი მხარეების გახსნის მნიშვნელოვან პირობას. იგი საშუალებას იძლევა პოლიტიკური რეალობის სხვადასხვანაირი მოვლენების უსასრულო რაოდენობის მიღმა დავინახოთ მათი შინაგანი კავშირები, განვითარების ტენდენციები და ამოვარჩიოთ მათში განსაკუთრებულად პერსპექტიულები. წარსულის გამოცდილებას თითქოს და გადმოაქვს ისტორიული შემეცნებიდან პოლიტიკურში შესაძლებლობა, უნარი – გავარჩიოთ პოლიტიკური ჭეშმარიტება და პოლიტიკური სიმართლე. პოლიტიკურ შემეცნებაში პოლიტიკური სინამდვილის სურათის მარტო გარეგანი ასახვა არ ქმნის ნამდვილ პოლიტიკურ ჭეშმარიტებას, რომელიც აიგება მიმდინარე მოვლენების ყოველმხრივი ღრმა ანალიზის საფუძველზე. პოლიტიკურ მეცნიერებაში, პოლიტიკურ ფილოსოფიაში აუცილებელია სიმართლისა და ჭეშმარიტების ცნებების განსხვავება, რადგანაც პოლიტიკურ გამოხატულებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ემოციები, ადამიანთა ინტერესები.

პოლიტიკურმა მოღვაწემ უნდა გაითვალისწინოს თუ რა დონეზე და როგორ იქნება აღქმული მეცნიერული კვლევის შედეგად შემუშავებული ესა თუ ის პროგრამები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მიერ: პოლიტიკური ჭეშმარიტების დონეზე და პოლიტიკური შემეცნების სიმართლის დონეზე. სწორედ ამაში ვლინდება პოლიტიკური შემეცნების ერთ-ერთი თავისებურება და აქვე ჩადებული იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ პოლიტიკა არის არა მარტო შემეცნება და მოღვაწეობა, არამედ ყველაზე მთავარი ყველა მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის.

პოლიტიკის ხელოვნება უწინარეს ყოვლისა, ადამიანის – მისი ბუნების, მისი ვნებების, მისი საარსებო მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის ნაირგვარ საშუალებათა ცოდნას ემყარება.

მძვინვარე ვნებები, ვნებების მძვინვარება – აი, მსწრაფლწარმავალი და ყოველწამიერად ცვალებადი ისტორიული სინამდვილის ერთადერთი მარად უცვლელი სუბსტრატი.

ჟან ბეშლერის მიხედვით „პოლიტიკოსის შეფასების კრიტერიუმი ერთია: ემსახურება თუ არა მისი კომპეტენტურობა, ენერგია, საქციელი, ხასიათი საერთო კეთილდღეობას? თუ ისინი ემსახურებიან საერთო კეთილდღეობას, მაშინ რაც უფრო ძლიერია ვნება, მით უფრო შედეგიანია ქცევები". ანუ როგორც გეორგ ჰეგელმა მართებულად შენიშნა: „არაფერი დიადი ვნებათაღელვის გარეშე არ აღსრულებულა და არც შეიძლება მის გარეშე აღსრულდესო".

პოლიტიკური მართვის ხელოვნება გულისხმობს მსოფლიოს მამოძრავებელი ურთიერთმოქიშპე ანტაგონისტური ძალების გაგებას, მათი ფარული მექანიზმის ცოდნასა და რეგულირებას.

პოლიტიკური მოღვაწეობის სფერო ეთიკის იდეალური სამყარო კი არ არის, არამედ რეალური, დროისა და სივრცის კონკრეტული პირობებში არსებული, ცოცხალი, დინამიკური და ერთთავად ცვლადი სინამდვილე.

პოლიტიკური რეალიზმის მეოთხე პრინციპი დაკავშირებულია ეროვნული ინტერესების დინამიკურ გაგებასთან. მორგენტაუ წერდა: "პოლიტიკური რეალიზმი მიიჩნევს ინტერესის კონცეფციას, გაგებულს ძალაუფლების ტერმინებში, არა როგორც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილსა და უცვლელს, არამედ სიტუაციაზე დამოკიდებულს". [1,8] ინტერესები იცვლება ისტორიული პირობებიდან გამომდინარე. აქ მორგენტაუ ეყრდნობა მ. ვებერს, რომელიც წერდა, რომ ინტერესები (მატერიალური და იდეალური), და არა იდეები განსაზღვრავენ სოციალური მოქმედების ტიპს. ინტერესის განსხვავებული სახეობები, რომლებიც პოლიტიკურ ქმედებებს განსაზღვრავენ, ყალიბდებიან კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში და კონკრეტულ პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში.

ინტერესები - ეს არის გრძელვადიანი სტანდარტები, რომელთა მიხედვით შეგვიძლია განვსაჯოთ და შევაფასოთ პოლიტიკური გადაწყვეტილებები და მოქმედებები. თანამედროვე კავშირები ინტერესებსა და ეროვნულ სახელმწიფოს შორის - ეს ისტორიული პროდუქტია და აქედან გამომდინარე შეუძლიათ შეიცვალონ თავისი კონფიგურაცია. მორგენტაუ სვამს კითხვას: როგორი ტრანსფორმაცია შეიძლება განიცადოს თანამედროვე მსოფლიომ? კავშირი ეროვნულ ინტერესებსა და მის პროდუქტს – სახელმწიფოს – შორის დროთა განმავლობაში შეიძლება გაქრეს. პოლიტიკური რეალიზმი არ უარყოფს, რომ თანამედროვე მსოფლიოს დაყოფა ეროვნულ სახელმწიფოებად, შეიძლება შეცვალოს სახელმწიფოთა კავშირებად ან რომელიმე სხვა წარმონაქმნებით.

პოლიტიკური რეალიზმის დოქტრინის თანახმად, უნივერსალური ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი პრინციპები მიუღებელია სახელმწიფოთა მოღვაწეობის შესაფასებლად. მორგენტაუ ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს მოღვაწეობა შეიძლება დაფუძნებული იყოს მხოლოდ პასუხისმგებლობის ეთიკაზე და არა დარწმუნების ეთიკაზე. ის წერს: "მაშინ როდესაც ადამიანს აქვს მორალური უფლება თავი გასწიროს, სახელმწიფოს არა აქვს უფლება დაუშვას, რომ მორალურმა დაგმობამ ან თავისუფლების ხელყოფამ ხელი შეუშალოს დასაბუთებული და გათვლილი პოლიტიკური ქმედების განხორციელებას". შემდეგ მორგენტაუ განაგრძობს "პოლიტიკური ზნეობრიობის არსებობა წარმოუდგენელია კეთილგონიერების გარეშე". [1,9] რეალიზმის თვალსაზრისის მიხედვით, კეთილგონიერება ნიშნავს შესაძლო ალტერნატიული პოლიტიკური ქმედებების შედეგების გათვალისწინებას და წარმოადგენს პოლიტიკაში უზენაეს სიკეთეს. პოლიტიკური ეთიკა უფლებას გვაძლევს განვსაჯოთ ქმედებები მათი შედეგების მიხედვით.

პოლიტიკური რეალიზმი უარყოფს რომელიმე ერის უფლებას შექმნას უნივერსალური მორალური კანონი, რომელიც ყველასათვის მისაღები იქნება. პოლიტიკური რეალიზმი ასევე უარყოფს კონკრეტული ერის მორალის გაიგივებას უნივერსალურ ზნეობრივ კანონებთან. მრავალმა ერებმა გამოსცადეს მსგავსი ცდუნება – შეეთავაზებინათ მათი საკუთარი მიზნები და ნება უნივერსალური პრინციპების სახით.

მორგენტაუ აღნიშნავს, რომ დიდი განსხვავებაა პოლიტიკურ რეალიზმსა და სხვა თეორიულ სკოლებს შორის. პოლიტიკური რეალიზმი არ ეთანხმება საერთაშორისო ურთიერთობებისადმი ლეგალისტურ და მორალისტურ მიდგომებს და მოჰყავს 1939 წელს სსრკ-ს ფინეთზე თავდასხმის მაგალითი. აგრესიის ამ ფაქტმა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მხრიდან დაიმსახურა კრიტიკა ორი პოზიციით: 1. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით და 2. პოლიტიკური პოზიციის კუთხით.

1. საერთაშორისო სამართლის პოზიციებიდან სსრკ-ს კრიტიკის დროს დაყენებული იქნა საკითხი: ნამდვილად დაარღვია თუ არა სსრკ-მ ერთა ლიგის

მიერ მიღებული კონვენცია და თუ დაარღვია რა საპასუხო ზომები უნდა მიეღოთ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს?

2. პოლიტიკურ წრიდ'ში სსრკ-ს კრიტიკის დროს დადგა საკითხი: დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის რა ეროვნული ინტერესები იქნა შელახული სსრკ-ს მოქმედებით, როგორ შეიცვალა ძალთა წონასწორობა ევროპაში, რამდენად მოახდინა სსრკ-ს მოქმედებებმა გავლენა გერმანიის პოზიციაზე?




სსრკ – ფინეთის ომი

ინგლისმა და საფრანგეთმა, როგორც ერთა ლიგის წამყვანმა წევრებმა, სსრკ-ს ქმედება შეაფასეს როგორც აგრესიის აქტი და წინადადებით შემოვიდნენ ერთა ლიგიდან სსრკ-ს გარიცხვის შესახებ. ამასთანავე მათთვის ძალიან ხელსაყრელი აღმოჩნა შვედეთის ნეიტრალური პოზიცია რამაც ხელი შეუშალა სსრკ-თან მათ ომში ჩაბმას. როგორც ცნობილია, შვედეთის მთავრობამ უარი განაცხადა მათი ქვეყნების ტერიტორიაზე ნებისმიერი უცხო ქვეყნების ჯარების შეშვებაზე. მორგენტაუ ასკვნის, რომ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო პოლიტიკის ილუსტრაციის მოცემული მაგალითი წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებათა ლეგალიზმის კლასიკურ ნიმუშს, როდესაც გამოიყენება არა იმდენად პოლიტიკური მექანიზმები რამდენადაც სამართლებრივი მექანიზმები.



მაო ძედუნი და რიჩარდ ნიქსონი

მეორე კონკრეტულ მაგალითს მორგენტაუ იყენებს საერთაშორისო ურთიერთობებში "ზნეობრივი მიდგომის" ილუსტრაციისათვის. ეს არის მაგალითი ჩინეთის კომუნისტური მთავრობის საერთაშორისო აღიარების შესახებ. მორგენტაუს აზრით, დასავლეთის ქვეყნები ხელმძღვანელობენ შემდეგი მოსაზრებებით: შეესაბამებოდა თუ არა ჩინეთის მთავრობის ქმედებანი დასავლური სამყაროს ზნეობრივ პრინციპებს? შეიძლებოდა თუ არა დასავლური ქვეყნების კონტაქტები ამგვარ მთავრობასთან? საბოლოო ჯამში გაირკვა, რომ

ორივე კითხვას ერთ საკითხამდე მიეყავდით: როგორ უნდა მიეუსადაგოთ დასავლური აზროვნების სტანდარტები და მორალი აღმოსავლეთის კულტურას. პოლიტიკური საკითხი იგნორირებული იყო: არ იყო გაანალიზებული ინტერესებისა და ძალის წონასწორობის საკითხები, ჩინეთის კომუნისტური მთავრობის არ აღიარების პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგები დასავლური ქვეყნებისათვის. დასავლეთის ლიდერებმა იგნორირება გაუკეთეს პრობლემის პოლიტიკურ ასპექტებს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი განხილვა ზნეობრივი თვალსაზრისით.

მორგენტაუს კონცეფციის შემდეგი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო პოლიტიკა განიხილება, როგორც ბრძოლა ძალაუფლებისათვის. მორგენტაუ დიდ ყურადღებას უთმობს შემდეგ საკითხს. რა არის ძალაუფლება საერთაშორისო ურთიერთოებებში? საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურაში ნებისმიერი სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკა ყოველთვის დაკავშირებულია ძალაუფლებსიათვის ბრძოლასთან. მორგენტაუ აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

1. საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს არა ყოველი ქმედება წარმოადგენს პოლიტიკურს. სახელმწიფოები ურთიერთმოქმედებენ იურიდიულ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ, კულტურულ სფეროებში.

2. სხვადასხვა სახელმწიფოები განსხვავებულ ისტორიულ ეპოქებში არა ერთგვაროვნად არიან ჩართული საერთაშორისო პოლიტიკაში. მაგალითად, ესპანეთი XVI-XVII საუკუნეში იყო მსოფლიო ბატონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი, დღეისათვის კი საერთაშორისო ურთიერთოებებში მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. ამდაგვარად, სახელმწიფოთა მონაწილეობა საერთაშორისო პოლიტიკაში წარმოადგენს დინამიურ კატეგორიას, რომელიც დამოკიდებულია ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სიტუაციაზე. ასევე კულუტურულ ტრანსფორმაციაზე, რომლებიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს დაიკავოს გაცილებით მომგებიანი პოზიცია საერთაშორისო არენაზე. [1,26]

როგორ განსაზღვრავს მორგენტაუ ცნებას "ძალაუფლება". "ძალაუფლება, მე მესმის, როგორც ძალუფლების სუბიექტის სხვადასხვა სახის კონტროლი ძალუფლების ობიექტების იდეებსა და ქმედებებზე". შემდგომ ის განაგრძობს: "პოლიტიკური ძალაუფლება – ეს არის კონტროლისა და მორჩილების ურთიერთდამოკიდებულება მათ, ვინც ფლობს საზოგადოებრივ ავტორიტეტსა და საზოგადოების დარჩენილ ნაწილს შორის".[1,26] თუმცა პოლიტიკური ძალაუფლება განსხვავდება ძალისაგან, პირდაპირი გაგებით, რაც გულისხმობს ფიზიკურ იძულებას. ძალის გამოყენების მუქარა, რომელიც გამოიხატება შინაგან საქმეთა ორგანოების მოქმედების, დაპატიმრების, სიკვდილით დასჯის ან ომის დაწყების ფორმით, წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის განუყოფელ ნიშანს. მორგენტაუ აქ აკეთებს არსებით შენიშვნას: ერთმანეთისაგან ასხვავებს პოლიტიკურ და სამხედრო ძალაუფლებას. როდესაც ძალადობის მუქარა აქტუალურად გადაიქცევა, ეს ნიშნავს პოლიტიკური ძალაუფლებიდან სამხედრო ძალაუფლებაზე თანდათანობით გადასვლას. საერთაშორისო ურთიერთობებში შეიარაღებული ძალები და მათი გამოყენების მუქარა წარმოადგენენ იმ უმნიშვნელოვანეს რესურსს, რომელიც განსაზღვრავს ერის სიძლიერეს.

განიხილავს რა პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლების განსხვავებას მორგენტაუ წერს: "სამხედრო მზადების ძირითადი მიზანი არის სხვა ერების გაფრთხილება შეიარაღებული ძალის გამოყენებისაგან თავის შეკავებაზე.

ომის პოლიტიკური მიზანი არა უბრალოდ ტერიტორიის დაპყრობა ან მოწინააღმდეგის არმიის განადგურება არის, არამედ ეს არის ზემოქმედება მოწინააღმდეგის აზროვნებაზე, გამარჯვებულთა ნებისათვის დამარცხებულების გულებისა და გონების დამორჩილება". [1,28]

მორგენტაუ ასევე განასხვავებს ერთმანეთისაგან ეკონომიკურ პოლიტიკას, როგორც თავისთავად ეკონომიკურ პოლიტიკას და ეკონომიკურ პოლიტიკას, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ინსტრუმენტს, როდესაც ეკონომიკური მიზნები ემორჩილებიან სხვა ერებზე დომინირების ან კონტროლის ამოცანებს. მას მიაჩნია, რომ მსგავს გამიჯვნას გააჩნია, როგორც თეორეტიკული ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.

ამდაგვარად, როდესაც საჯარო ხელისუფლების სხვადასხვა სახეობების მიზნები მიმართულია საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს პოზიციების განმტკიცებაზე და სხვა სახელმწიფოებზე დომინირებაზე, შეიძლება ვილაპარაკოთ ქვეყნის საგარეო პოლიტიკისადმი მის მორჩილებაზე. მორგენტაუს მიერ მოყვანილ პოლიტიკური ძალაუფლების განსაზღვრებას აგრეთვე შეიძლება დაუმატოთ, რომ პოლიტიკური ძალაუფლება ეს არის ფსიქოლოგიური ურთიერთობები მათ შორის ვინც ფლობს ძალაუფლებას და მათ შორის, ვინც მას ემორჩილება. ძალაუფლება – ეს არის მოღვაწეობაზე კონტროლი, ცნობიერებასა და გონებაზე ბატონობის მეოხებით.

საერთაშორისო არენაზე ძალაუფლებიასთვის ბრძოლა ისტორიულად გარდამავალია და დაკავშირებულია ავტოკრატიული მმართველობის არსებობასთან. აქედან გამომდინარე, ძალაუფლებისათვის ბრძოლა შეიძლება გაქრეს, ავტოკრატიული ხელისუფლების გაქრობასთან ერთად. მორგენტაუ წერს: მე-19 საუკუნის ძირითადი წარმოდგენა საერთაშორისო პოლიტიკაზე მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფოებს გააჩნიათ არჩევანი იმ საერთაშორისო პოლიტიკაზე რომელიც დაფუძნებულია ძალაზე და სხვა სახის საერთაშორისო ურთიერთობებზე, რომლებიც დამოკიდებული არ არიან ძალაუფლებრივი ნების გამოვლენასთან. [1,35]

როცა საუბრობს, ძალაუფლებისათვის ბრძოლაზე დაფუძნებულ, საერთაშორისო ურთიერთობებზე, მორგენატუ გამოყოფს მათ სამ ნაირსახეობას:

"არსებობს ნებისმიერ სახელმწიფოს როგორც საშინაო ასევე საგარეო პოლიტიკის სამი საბაზო მოდელი.

1. პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ძალაუფლების შენარჩუნებაზე, კონსერვაციაზე – Status Quo-ს შენარჩუნებაზე.

2. პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ძალაუფლებრივი უფლებამოსილების დაგროვებასა და ძალაუფლების გაფართოებაზე.

3. ძალის დემონსტრაციის პოლიტიკა.

საჯარო პოლიტიკის ეს სამი სახე შემდეგნაირად აისახება ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე:

საგარეო პოლიტიკის პირველი ტიპი დამახასიათებელია ისეთი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ესწრაფვიან თავიანთ საგარეო პოლიტიკაში შეინარჩუნონ თავისი დაკავებული პოზიციები, შეინარჩუნონ Status Quo.

მეორე ტიპი – იმპერიალისტური პოლიტიკა – დამახასიათებელია ისეთი სახელმწიფოებისათვის, რომელნიც მიისწრაფვიან საერთაშორისო არენაზე გააფართოვონ თავიანთი გავლენა ახალ რეგიონებზე, ცდილობენ შეცვალონ არსებულ ძალთა ბალანსი.

მესამე ტიპი – პრესტიჟის პოლიტიკა. მას მიმართავენ ის სახელმწიფოები, რომლებიც თავის საგარეო პოლიტიკაში უპირატესობას ანიჭებენ ძალისა და ძლიერების დემონტრაცას". [1,35]

დაწვრილებით განვიხილოთ მორგენტაუსაგან დასახელებული სამი ტიპი. Status Quo-ს შენარჩუნების პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობებში, ორიენტირებულია ჩამოყალიბებული ძალების ბალანსის შესანარჩუნებლად. მორგენტაუს მოჰყავს კონსერვატიული საგარეო პოლიტიკის ანალოგია. საგარეო

პოლიტიკის ამ ტიპის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს იმ სამშვიდობო შეთანხმებების შენარჩუნება, რომლებიც დადებული იყო რეგიონში უკანასკნელი "დიდი" ომის შემდეგ. მაგალითად: ევროპული საერთაშორისო ურთიერთობები 1815-1898 წლებში იყო შედეგი 1815 წლის იმ სამშვიდობო ხელშეკრულების, რომლითაც დასრულდა ნაპოლეონის ომები. "წმინდა კავშირის", რომელიც დაიდო 1815 წელს, მთავარ მიზანს წარმოადგენდა Status Quo-ს შენარჩუნება.

მეორე მაგალითი: რუსეთისა და გერმანიის 1919 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებებმა განამტკიცეს ძალთა ბალანსი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

მესამე მაგალითი – მონროს დოქტრინის, როგორც აშშ-ს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. 1823 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა მონრომ, კონგრესისადმი ყოველწლიურ მიმართვაში, ჩამოაყალიბა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ორი ძირითადი პრინციპი:

1. აშშ-ს საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლობა ევროპული ქვეყნების პოზიციისაგან;

2. აშშ-ს მხრიდან უკუზემოქმედება, მსოფლიოში ძალთა გადანაწილების ნებისმიერ მცდელობაზე.

1933 წელს ფრანკლინ რუზველტმა შემდეგი შეფასება მისცა მონროს დოქტრინას: ეს დოქტრინა მიზნად ისახავდა არ დაეშვა ნებისმიერი არაპროამერიკული ძალების ტერიტორიებზე კონტროლი დასავლეთ ნახევარსფეროში.

საგარეო პოლიტიკის მეორე ტიპია – იმპერიალიზმის პოლიტიკა. მორგენტაუ არ იძლევა იმპერიალიზმის საკუთარ განმარტებას და იყენებს მარქსისტულ მიდგომას. მორგენტაუს აზრით მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ფართო გავრცელება ჰპოვა საერთაშორისო ურთიერთობების ეკონომიკური თეორიებით ინტერპრეტაციამ. მორგენტაუ ეყრდნობა შუმპეტერს, რომელიც აღიარებდა მარქსისტული თეორიის ეკონომიზმს.



იოსებ ალოიზ შუმპეტერი (გერ., Joseph Alois Schumpeter) (1883-1950) ავსტრიული წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი, სოციოლოგი, ეკონომიკური აზროვნების ისტორიკოსი.

მორგენტაუმ გამოჰყო საერთაშორისო არენაზე იმპერიალისტური პოლიტიკის გატარების მიზეზები.

როდესაც სახელმწიფო იმყოფება საომარ მდგომარეობაში და გადადის მის დამასრულებელ სტადიაზე, როგორც გამარჯვებული, მისი საგარეო პოლიტიკა მიზანმიმართული იქნება ომამდელი საერთაშორისო ურთიერთობების ცვლილებისაკენ. თვით ის ომიც კი, რომელიც გამარჯვებულმა დაიწყო როგორც თავდაცვითი, თავდაპირველად მიმართული ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის და ომამდელი საერთაშორისო ურთიერთობების აღსადგენად, გარდაქმნის გამარჯვებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკას იმპერიალისტურად. იმპერიალისტური პოლიტიკის ტრანსფორმაციის თვალსაჩინო მაგალითია – გერმანიის იმპერიალისტური დაპყრობითი ომები 1935 წლიდან მეორე მსოფლიო

ომის დასრულებამდე. Status Quo-ს ურთიერთობები რომელიც ევროპაში 1914 წლის შემდეგ შეიქმნა, ხასიათდებოდა ისეთი სახელმწიფოების ბალანსით, როგორიცაა ავსტრია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია და რუსეთი. მოკავშირეების გამარჯვება II მსოფლიო ომში და შემდგომი სამშვიდობო ხელშეკრულები გახდასაფუძველი ძალთა ახალი გადანაწილებისა და Status Quo-ს ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის. [1,51]

შემდეგი ტიპიური შესაძლებლობა იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებისათვის არის – სუსტი სახელმწიფოების, ანუ როგორც მორგენტაუ წერს, "ცარიელი პოლიტიკური სივრცეების", არსებობა. ეს არის სიტუაცია, როცა შესაძლებელია წარმოიქმნას კოლონიალური იმპერიალიზმი ანდა აღმოცენდნენ ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოები (ზოგიერთი ერის სუვერენიტეტის დაკარგვის ხარჯზე).

იმ ტიპიური სიტუაციების განხილვისას, როცა შესაძლებელია იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკა, მორგენტაუ ყურადღებას უთმობს ამ საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მიზნების შესწავლას. პირველი მიზანი – ეს არის დომინირება და მსოფლიო ბატონობა. მეორე – კონტინენტის მაშტაბებით ჰეგემონია. მესამე – ლოკალური უპირატესობა ანდა რეგიონალური დომინირება [1,52]. "შეუზღუდავი იმპერიალიზმის" ისტორიული მაგალითებია – ალექსანდრე მაკედონელის, ნაპოლეონისა და ჰიტლერის ექსპანსიონისტური პოლიტიკა.



ალექსანდრე მაკედონელი( ძვ.ბერძ., Ἀλέξανδρος Μέγας) (356-323) მაკედონიის მეფე (326) დიდი მხედართმთავარი და დამპყრობელი



ნაპოლეონ ბონაპარტე (ფრან., Napoléon Bonaparte) (1769-1821) დიდი მხედართმთავარი და დამპყრობელი. საფრანგეთის იმპერატორი (1804-1815)




ადოლფ ჰიტლერი (გერ., Adolf Hitler)(1889-1945) III რაიხის ფიურერი



ნაპოლეონ III
საფრანგეთის იმპერატორი



ლუი XIV
საფრანგეთის მეფე

გეოგრაფიულად შეზღუდული იმპერიალიზმი წარმოდგენილია ევროპული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში, რომლებიც მიისწრაფოდნენ დაეკავებინათ დომინანტის პოზიცია ევროპაში: ნაპოლეონ III, ლუი XIV. XIX საუკუნის აშშ-ს საგარეო პოლიტიკა, მცდელობა აეძულებინათ კანადა და მექსიკა გამხდარიყვნენ დამოკიდებულები, ასევე გვევლინებიან კონტინენტალური იმპერიალიზმის ნიმუშებად. "რეგიონალური იმპერიალიზმის" მაგალითები – მე-18 მე-19 საუკუნეების მონარქიული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა: ფრიდრიხ დიდი, პეტრე I დიდი, ეკატერინე II.



პეტერ I დიდი (1672-1725)
რუსეთის იმპერატორი



ფრიდრიხ II დიდი (1712-1786)
პრუსიის მეფე



ეკატერინე II დიდი (1729-1796)
რუსეთის იმპერატორი

XIX საუკუნეში იმპერიალისტური პოლიტიკის აღიარებული ოსტატი გახდა ოტო ფონ ბისმარკი, რომელიც ესწრაფოდა ცენტრალურ ევროპაში გერმანული უპირატესობის დამყარებას. და რომელსაც მიაღწია მიზანდასახული, სწორად დაგეგმილი ქმედებების შედეგად.



ოტო ფონ ბისმარკი

დიდი გერმანელი ფილოსოფოსი გეორგ ფრიდრიხ ჰეგელი წერდა: "ყოველ დროს იმდენად თავისებური პირობები გააჩნია და იმდენად ინდივიდუალური ვითარება ახასიათებს, რომ მასში გადაწყვეტილებათა მიღება მხოლოდ მისგანვე

ამოსვლით უნდა მოხდეს და შესაძლებელია, რომ მოხდეს. მსოფლიოს სხვადასხვა ეითარებათა ჭიდილში ჩავარდნილებს, ვერაფერს გვიშველის რაიმე ზოგადი პრინციპი ან მსგავს ვითარებათა გახსენება, რადგან უფერხორცო გახსენებას არავითარი ძალა არ შესწევს იმ სიცოცხლისა და თავისუფლების პირისპირ, რაც აწმყოს აქვს." [გეორგ ფრიდრიხ ჰეგელი. ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე. თბილისი. 2001]

აწმყო კი რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ გერმანელები ვენის კონგრესის შემდეგ არც თუ ისე სახარბიელო იყო. 1815 წლის 8 ივნისის აქტის შესაბამისად შეიქმნა გერმანიის კავშირი (1806 წელს დაშლილი საღვთო რომის იმპერიის ნაცვლად (გერ., Heiliges Römisches Reich) [მისი ოფიციალური სახელი იყო "გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია" (გერ., Heiliges Römisches Reich Deutscher Nation]. ეს არ იყო სახელმწიფო, ეს იყო გერმანულ სახელმწიფოთა კონფედერაციული წარმონაქმნი, რომელიც აერთიანებდა 35 გერმანულ სახელმწიფოსა და 4 "თავისუფალ ქალაქს" (მცირე სახელმწიფოთა მიზანი იყო გერმანიაში სტატუს კვოს შენარჩუნება). კავშირის ყველა წევრი სარგებლობდა (ტერიტორიის მოცულობის მიუხედავად) თანაბარი უფლებებით. ამ კავშირის ძირითად ორგანოს წარმოადგენდა საკავშირო სეიმი (სრული შემადგენლობით 69 ხმა), რომელიც იკრიბებოდა ფრანკფურტში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გასაწყვეტად, როგორებიც იყო: 1. გერმანული კავშირის ძირითადი კანონები, 2. გერმანული კავშირის ძირითადი ინსტიტუტების შეცვლა, 3. სამართლებრივი საკითხები, 4. რელიგიური საკითხები. და ამ საკითხების გადასაწყვეტად საჭირო იყო საყოველთაო თანხმობა (ძირითადად კი ქვორუმი იყო სულ 17 ხმა), რომლის მიღწევაც, ინტერესთა სხვაობის გამო, ფაქტიურად შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე გერმანული კავშირი იყო მთელი ევროპის დაცინვის ობიექტი თავისი სრული უსუსურობის გამო.



**გერმანიის კავშირი (გერ., Deutscher Bund ) (1815-1866)**
**(ტერიტორია 630 000 კვ.კმ. – მოსახლეობა 29 200 000) (1839)**

ვენის კონგრესზევე დადგინდა: 1. გერმანიის ტერიტორიული გადანაწილება – ვარშავის საჰერცოგო გადაეცა რუსეთს, ხოლო ტორუნი და პოზნანი პრუსიას; კრაკოვი გახდა "თავისუფალი ქალაქი"; აღმოსავლეთ გალიცია გადაეცა ავსტრიას; 2. საქსონიის სამეფოს 2/5 გადაეცა პრუსიას. პრუსიამ მიიღო აგრეთვე დანციგი და შვედეთის პომერანია, ვესტფალია, რეინის მარცხენა სანაპირო; 3. ბავარია იღებს ტერიტორიულ დანამატებს, მაგრამ ფრანკფურტის ჰერცოგი კარგავს თავის საჰერცოგოს და ფრანკფურტი ხდება "თავისუფალი ქალაქი"; 4.

ნაპოლეონის მიერ მედიატიზირებული თავადები რჩებიან მედიატიზირებულად, მაგრამ მათ უხდიან კომპენსაციას; 5. ნიდერლანდების სამეფო იერთებს ბელგიასა და ლუქსემბურგს (თუმცა ეს უკანასკნელი ხდება გერმანული კავშირის წევრი); 6. ლომბარდია და ვენეცია გადაეცა ავსტრიას; 7. შლეზვიგი და ჰოლშტეინი (დასახლებული უპირატესად გერმანელებით) დარჩა დანიის სამეფოს შემადგენლობაში; 8. 1819 წლის აგვისტოს კარლსბადის თათბირის შემდეგ ავსტრიელებისა და რუსების (მეტერნიხის და ალექსანდრე I) მიერ გერმანელებისათვის თავს მოხვეული დრაკონული, რეაქციული კანონები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ არ დაეშვათ გერმანიის ეროვნული ერთობა და მისი ეროვნული განვითარება (საუნივერსიტეტო ავტონომიის ლიკვიდაცია, სავალდებულო წინასწარი ცენზურა პრესისათვის, ლიბერალური კონსტიტუციების გაუქმება [თუმცა მეტერნიხმა, X. 1819 – VI. 1820 ვენის თათბირის მსვლელობაში, ვერ მიაღწია იმას, რომ გაეუქმებინათ კონსტიტუციები ბავარიაში, ბადენში, ვიურტემბერგში, ჰესენ-დარმშტატში, ნასაუში, ბრაუნშვაიგში, საქსონია-ვეიმარში] და სხვა).

პრობლემის დრამატიზმი მდგომარეობდა აგრეთვე იმაში, რომ გერმანიის კავშირის თავმჯდომარეს, ავსტრიას, სავსებით აწყობდა ამ კავშირის უსუსურობა, ვინაიდან გერმნიის კავშირის უსუსურობა ნიშნავდა ავსტრიისადმი პრუსიის დაქვემდებარებას. მით უმეტეს იმიტომაც, რომ XIX საუკუნეში პრუსია გახდა სიმბოლო გერმანელების სწრაფვისა თავისუფლებისა და ეროვნული ერთიანობისაკენ. ქვეყნის პოლიტიკური-ეკონომიკური თავისუფლება და ერთიანი სუვერენული სახელმწიფოს არსებობა კი წარმოადგენს მისი ღირსეული განვითარებისა და არსებობისათვის აუცილებელ ობიექტურ პირობებს. აქედან გამომდინარე, "თავისუფლება და ერთიანობა" წარმოადგენდა იმ ორ ჯადოსნურ სიტყვას, და რა თქმა უნდა, აუცილებელ ობიექტურ პირობას, რომლესაც უნდა განესაზღვრა გერმანიისა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობა და ბედნიერება. ეს კი, თავის მხრივ, გაცნობიერებული ჰქონდათ როგორც პრუსიელებს ასევე ავსტრიელებსაც.

მეტერნიხმა ყველაფერი გააკეთა რათა ეს არ დეაშვა, მაგრამ მან ვერ შესძლო ხელი შეეშალა გერმანიაში სამოქალაქო საზოგადოებისა და ეროვნული ბურჟუაზიული ეკონომიკის განვითარებისათვის. არჩევითი საკონმდებლო ორგანოები აღმოცენდნენ ჰანოვერში, ბრაუნშვაიგში, ჰესენში, საქსონიაში. ხოლო ვიურტემბერგში, ჰესენსა და კობურგში გაუქმებული იყო ბატონყმობა და საბატონო ბეგარა შეიცვალა, უფრო პროდუქტიული, დაქირავებული მოჯამაგირის შრომით. სწრაფი ტემპებით ვითარდება სამრეწველო (განსაკუთრებით პრუსიაში, რეინის ოლქში) და საერთოდ კაპიტალისტური წარმოება, ყალიბდება საერთოგერმანული ბაზარი.

1834 წელს ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული "საბაჟო კავშირი" (გერ., Zollverein), რომელიც აერთიანებდა პრუსიას (ხელმძღვანელი), ბავარიას და კიდევ 16 გერმანულ სამთავროს (ავსტრია არ იყო ამ კვშირის წევრი). პრუსია ხდება მთელი ჩრდილოეთ გერმანიის ეკონომიკური ბირთვი. ეს აისახა ფულადი მიმოქცევის სფეროზეც. პრუსიაში, ჯერ კიდევ 1750 წელს ფილიპე გრაუმანის მიერ გატარებული რეფორმის შედეგად, ხმარებაში შემოვიდა ტალერი, რომლის წონა შეადგენდა 22,3 გრამს, ხოლო ვერცხლს (750-ე სინჯი) წონა კი 16,7 გრამს. ეს სტანდარტი პრუსიაში მოქმედებდა 1856 წლამდე. პრუსიულ ტალერებზე ამოტვიფრული იყო წარწერა "Reichsthaler" (რეჰსტალერი), თუმცა ტრადიციული "Reichsthaler"-ისაგან იგი განსხვავდებოდა როგორც წონით, ასევე ვერცხლის სინჯის ხარისხითაც [1566 წელს ლაიფციგში აღიარებული ტალერის სტანდარტი შეადგენდა: ერთ ვერცხლის (889-ე სინჯი) მონეტა იწონიდა 29,23 გრამს და სწორედ მას დაარქვეს Reichsthaler-ი; 1687 წელს ბრანდენბურგის შეთანხმების

საფუძველზე შეიცვალა Reichsthaler-ის პარამეტრები – ერთ მონეტა იწონიდა 25,9 გრამს, ხოლო სუფთა ვერცხლის (889-ე სინჯი) წონა კი შეადგენდა 19,488 გრამს].

1857 წელს, საეაჭრო ოპერაციების გამარტივების მიზნით გერმანიაში შემოიღეს ერთიანი ეგრეთ წოდებული "საკავშირო ტალერი" (Vereinstaler), რომელმაც გააუქმა მანამდე არსებული ყველა სამონეტო წესდება და გააერთიანა ჩრდილოეთ და სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოების სამონეტო სისტემები.

საფუძვლად აღებული იყო საბაჟო ფუნტი (500 გრამი), რომლისგანაც ამზადებდნენ ტალერის ღირსების 30 მონეტას (ეს თავის მხრივ ამოტვიფრული იყო მონეტებზე: XXX ein pfund fein), "საკავშირო ტალერი" იწონიდა 18,5 გრამს და შეიცავდა 16,7 გრამ ვერცხლს (900-ი სინჯი). იგი ბრუნეაში იყო 1908 წლამდე. იგი უდრიდა 90 ავსტრიულ კტეიცერს, 105 ბავარიულ კრეიცერს, 30 გროშნას ან 48 შილინგს.



"საკავშირო ტალერი" (გერ., Vereinstaler) 1855 / 1866

1857 წელს, სავაჭრო ოპერაციების გამარტივების მიზნით გერმანიაში შემოიღეს ერთიანი, ეგრეთ წოდებული "საკავშირო ტალერი" (Vereinstaler), რომელმაც გააუქმა მანამდე არსებული ყველა სამონეტო წესდება და გააერთიანა ჩრდილოეთ და სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოების სამონეტო სისტემები.

1871 წელს, გერმანიის II იმპერიის გამოცხადების შემდეგ, ტალერი, როგორც ძირითადი ფულადი ერთეული შეცვალა მარკამ (2 790 მარკა=1კგ. ოქროს) (3 მარკა=1 ტალერს), თუმცა XX საუკუნის 30-იან წლებამდე გერმანულ 3 მარკის ღირსების მონეტას კვლავაც უწოდებდნენ ტალერს.



ოქროს მარკა (გერ., Goldmark) გერმანიის II რაიხის ფულადი ერთეული 1871-1918 წლებში

იმ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებიდან, რომლებიც ამზადებდნენ ნიადაგს ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობისათვის, განსაკუთრებით აღსანიშნავია უაღრესად ნიჭიერი, პატიოსანი, ქვეყნის უსაზღვროდ ერთგული, ჭეშმარიტი პატრიოტების დიდებული გუნდის საქმიანობა. ისინი გახლდნენ სახელმწიფოს მართვისა და პოლიტიკის ინოვაციური სტრატეგული დაგეგმვის დიდოსტატები. მათ მიერ პრაქტიკულად რეალიზებული მეთოდების ერთობლიობა (დღეს მას

უწოდებენ სტატეგიული დაგეგმვის მეცნიერებას) შემდგომში საფუძვლად დაედო ბევრი ევროპული და არაევროპული ქვეყნის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას.

ამ გუნდიდან უნდა აღინიშნოს: გერჰარდ იოჰან დავიდ ფონ შარნჰორსტი (გერ., Gerhard Johann David von Scharnhorst) (1755-1813) პრუსიელი სამხედრო მოღვაწე და რეფორმატორი, პრუსიის გენერალური შტაბის I მეთაური (1807-1810); კარლ ფილიპ გოტლიბ ფონ კლაუზევიცი (გერ., Carl Philipp Gottlieb von Clausewitz) (1780-1831), გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი და მწერალი; ჰელმუტ კარლ ბერნჰარდ ფონ მოლტკე (გერ., Helmuth Karl Bernhard von Moltke) (1800-1891), გერმანელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალფელდმარშალი, სამხედრო თეორეტიკოსი, პრუსიის გენერალური შტაბის მეთაური (1857-1888); ალბერტ თეოდორ ემილ გრაფი ფონ როონი (გერ., Albrecht Theodor Emil Graf von Roon)(1803-1879), გერმანელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე; ოტო ედუარდ ლეოპოლდ ფონ ბისმარკი-შენჰაუზენი (გერ., Otto Eduard Leopold von Bismarck-Schönhausen) (1815-1898), გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, გერმანიის II რაიხის დამაარსებელი და მისი პირველი რაიხსკანცლერი (1871-1890).


ფონ შარნჰორსტი


ფონ კლაუზევიცი


ფონ მოლტკე


ფონ როონი


ფონ ბისმარკი

ამ გერმანელ პატრიოტთა თანავარსკვლავედში, ოტო ფონ ბისმარკი იყო ის ავტორიტეტი, რომელმაც თვისებითი როლი ითამაშა პოლიტიკურ პროცესებსა და სიტუაციებში. მისი, როგორც ლიდერის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პროცესი წარმოადგენდა ობიექტურ და უნივერსალურ მოვლენას. რით იყო ეს განპირობებული? ობიექტური - იმიტომ, რომ ნებისმიერი ერთობლივი მოღვაწეობა საჭიროებს ორგანიზაციას, დაგეგმვას, სტრატეგიასა და ტაქტიკას, ანუ მიზნის მისაღწევად ყველაზე რაციონალური და მისაღები გზების შემუშავებას. ძოგადად, ამ ფუნქციას ასრულებს ადამიანი, ვისიც სჯერათ, ენერგიული და მაღალი აქტიურობით გამორჩეული ავტორიტეტული პიროვნება. სწორედ ასეთი პიროვნება იყო ოტო ფონ ბისმარკი. ხოლო უნივერსალური - კი იმიტომ, რომ ლიდერი საჭიროა ადამიანთა ერთობლივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში.

ოტო ფონ ბისმარკი წარმოადგენდა თავისი ეპოქის პროდუქტს. ამ ეპოქის განვითარებისა და ცვალებადობის კანონები, თავისებურებანი აყალიბებენ მას, როგორც განსაკუთრებული ნიშან-თვისებების მქონე ფენომენს.

იგი არ შემოიფარგლებოდა მარტო ზოგადი და განსაკუთრებული ნიშნებით. მას ახასიათებდა აგრეთვე მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც მრავალი სხვადასხვაგვარი ფაქტორებით განისაზღვრებოდა. მისი ინდივიდუალური თავისებურებების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ ის ურთიერთობები, რომლებიც მისი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურ სარბიელზე ყალიბდებოდნენ.

ოტო ფონ ბისმარკი არ იყო უბრალო "ობივატელი", რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა პოლიტიკურ პროცესებს, ან ახორციელებდა ამ

პატრიოტული მოძრაობის მართვის ფუნქციებს. ბისმარკი, უპირველეს ყოვლისა, იყო ის მოღვაწე, რომელსაც შესწევდა უნარი შეეცვალა პოლიტიკური პროცესების მიმართულება და მსვლელობა.

ყოველ ისტორიულ ეპოქაში პოლიტიკური ლიდერის მიერ წარმოდგენილი პროგრამები განსაზღვრავენ საზოგადოების ისტორიული განვითარების მსვლელობას. საზოგადოებრივ პროცესებზე მისი ზეგავლენა დაფუძნებულია გარკვეული ცვლილებების განხორციელების ისტორიულ აუცილებლობაზე. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი: ფრაკლინ დელანო რუზველტი - აშშ-ს "ახალი კურსის" სულისჩამდგმელი, პიროვნება, რომელმაც გამოიყვანა ქვეყანა უმძიმესი ეკონომიკური კრიზისისა და დეპრესიის მდგომარეობიდან. მარგარეტ ტეტჩერი - "რკინის ლედი", "ტეტჩერიზმი" პოლიტიკური დოქტრინა და პოლიტიკური სტილი - ატარებს მის სახელს.

ოტო ფონ ბისმარკის, როგორც ლიდერის თვისებებიდან და მახასიათებლებიდან, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოიყოს: წარმოსახვის ძალა, სოციალურ ხდომილებათა წინასწარ განჭვრეტისა და გათვალისწინების უნარი, მოქნილობა, მრავალმხრივობა, თავშეკავების უნარი, გონივრულობა, ენთუზიაზმი, გამბედაობა, ხასიათის სიმტკიცე, შეუპოვრობა, თავდაჯერებულობა და სწორი (ადეკვატური) გადაწყვეტილების მიღების უნარი, ძლიერი ნებისყოფა, შედარებით ფართო ერუდიცია, დაჯერებულობისა და რწმენის კატონისეული ძალმოსილება, პასუხისმგებლობა და ვალდებულება.

და ბოლოს, ჩვენი აზრით, ოტო ფონ ბისმარკის, როგორც პოლიტიკური ლიდერის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი გახლდათ მისი ეროვნული ხასიათი. იგი იყო ამაღლებული სულისკვეთებით გაჟღენთილი ჭეშმარიტი ერისკაცი, გერმანული ცხოვრების წესის მედროშე და მესვეური. დიდი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მამულიშვილი, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა ჭეშმარიტება, "რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და ამიტომაც, თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელი ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე". [ილია ჭავჭავაძე. თხზ.სრ.კრებული ათ ტომად. ტომი VIII. თბილისი, 1982] პირველი ვალდებული გერმანელი ერისა და მისი მომავლის წინაშე.

ბისმარკმა შთაუნერგა გერმანელ ერს რწმენა და ოპტიმიზმი, დაეხმარა მას დაეძლია არასრულფასოვნების კომპლექსი, საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ექსტრემალურ პირობებში, როდესაც დაკარგული იყო ძველი ღირებულებითი ორიენტირები. იმ კონკრეტული ისტორიული პერიოდისათვის მოახდინა ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებების პერსონიფიცირება გერმანიის ისტორიასთან, ტრადიციებთან და ზნე-ჩვეულებებთან საბაზისო აქტუალური ინტერესების დაკავშირების გზით. მან გამოავლინა: ქცევისა და აზროვნების პრინციპულად ახალი მოდელის შექმნის ხელოვნება, რომელიც ტირაჟირებული და გავრცელებული იქნება მთელ საზოგადოებაში; ექსტრემალურ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბიუროკრატიული პროცედურების ჩარჩოებიდან გამოსვლისათვის მზადყოფნა.

ბისმარკის, როგორც ეროვნული პოლიტიკური ლიდერის ფუნქციები მრავალ წილად განპირობებული იყო იმ მიზნებით, სიტუაციითა და გარემოთი, რომელშიც მას უხდებოდა მოქმედება. სიტუაცია იყო კრიზისული, ხოლო მიზანი კი - მოქმედების პროგრამა და მისი ცხოვრებაში განხორციელება. გერმანიის კრიზისიდან გამოყვანისათვის მან შეასრულა სამი ძირითადი ფუნქცია: 1) ანალიტიკური ფუნქცია, ანუ არსებული სიტუაციის წარმომშობი მიზეზების ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებისა და რეალობის ერთობლიობის შესწავლა; 2) მოქმედების პროგრამის შემუშავება, რომლის შესრულებაში დიდ როლს თამაშობდა, მისი როგორც ლიდერის ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიცაა: ენერგიულობა, ჭკუა, ინტუიცია, სიმამაცე,

თავის თავზე მეტი პასუხისმგებლობის აღების უნარი; 3) მიღებული პროგრამის შესრულებისათვის მთელი გერმანიის მობილიზება. აქ ბევრი რამ დამოკიდებული იყო მის კომუნიკაბელობაზე, მის უნარზე დაემყარებინა კონტაქტები რაც შეიძლება უფრო ფართო პოლიტიკურ სპექტრთან, დაერწმუნებინა და თავის მხარეზე გადაებირებინა მერყევი პიროვნებები.

მან შეგნებულად შემოიტანა გერმანიის პოლიტიკური მოწყობის კონსტრუქციული იდეები, რისთვისაც შემუშავა სახელმწიფოებრივი განვითარების ახალი პოლიტიკური პროგრამები და სტრატეგიული გეგმები; განახორციელა პოლიტიკური სტრუქტურის რეორგანიზაცია და განახლება, სტრატეგიული პრიორიტეტებისა და მათი მიღწევის ტაქტიკური საშუალებებისა და მეთოდების დასაბუთება. აქ ერთ მომენტს უნდა გაესვას ხაზი: ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო ღრმად გააზრებული და სკრუპულოზურად გაანალიზებული მრავალვარიანტულობის საფუძველზე, რამეთუ პოლიტიკის სფერო წარმოადგენდა რისკ-ფაქტორის სახის მოღვაწეობას და ეხებოდა მილიონობით ადამიანის ბედს. საერთო ეროვნული მიზნებისა და პროგრამების წარმოჩინება კი მოითხოვდა სოციალური, მატერიალური, საფინანსო და პოლიტიკური რესურსების რეალიზაციის ყოველმხრივ ანალიზს. წინააღმდეგ შემთხვევაში რაიმე საკითხში ცოდნის უკმარისობას შეიძლება გამოეწვია გამიზნული საციალური მოქმედების გაუთვალისწინებელი შედეგი და ქვეყანა კვლავ აღმოჩნდებოდა უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში.

ბისმარკმა მოახერხა ერის მოთხოვნილებებისა და ინტერესების მთელი სპექტრის ასახვა არა მარტო სახელისუფლებო მანიფესტებსა და პროგრამებში, არამედ მათ პრაქტიკულ რეალიზაციაშიც. იგი იყო ეროვნული იდეებისა და განწყობის თავისებური აკუმულატორი, ერის სასიცოცხლო მისწრაფებებისა და სურვილების გამომხატველი. მისი, როგორც ლიდერის ფენომენის მთავარ აზრსა და დანიშნულებას ხომ ერის სამსახური წარმოადგენდა, ერის შემადგენელი ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესების გამოხატვა. სწორედ ამიტომ შეუძლებელი იყო პროგრესული და აწონდაწონილი პოლიტიკის გატარება ერის ინტერესებისა და მოთხოვნილებების, სამართლიანობის, მშვიდობის, უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და თავისუფლებისაკენ მისი სწრაფვის ყოველმხრივი გათვალისწინების გარეშე. იგი ყურადღებით აკვირდებოდა და სწავლობდა გარდაქმნილი ცხოვრების მუდმივად ცვალებად საზოგადოებრივ განწყობასა და აზრს, რათა არ დაეშვა გერმანელი ერის გაუცხოება ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან.

ოტო ფონ ბისმარკს უპირველეს ყოვლისა გაცნობიერებული ჰქონდა თუ ვისთვის ხორციელდებოდა ეს განახლების ინიცირება და რის ფასად. მან მშვენიერად იცოდა — იმისათვის, რომ მოახდინოს ერის ოპტიმიზმისა და სოციალური ენერგიის გენერირება, ერის წარმართვა და ორგანიზება, საკმარისი არ არის მარტო განკარგულებებისა და ბრძანებების გაცემა. საჭიროა ადეპტების დარაზმვა და ორგანიზატორული ნიჭისა და მართვის უნარის მქონე, კომპეტენტური ეროვნული კადრების ფორმირება.

კადრების საკითხი არ წყდებოდა მარტივი მექანიკური გადაადგილებებით ან უბრალო კენჭისყრით. ამიტომ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის საჭირო კადრები მოძიებული და სკრუპულოზურად იყვნენ მომზადებული მომავალი პროფესიონალური საქმიანობისათვის შესაბამის სასწავლო დაწესებულებებში. აღნიშნული პრობლემის ყურადსაღები ანალიზი მოცემული აქვს ილია ჭავჭავაძეს: “1870 წელს, როდესაც გერმანიამ თავს-ზარი დასცა მინამდე თითქმის უძლეველს საფრანგეთს და საცა შეხვდა, ბრე გაადინა, სთქვეს, რომ გერმანიის სკოლის მასწავლებელმა სძლია საფრანგეთსა და დაამარცხაო. ამით იმის თქმა უნდოდათ, რომ უხვად მოფენილმა და კარგად

მოწყობილმა სკოლებმა და სწავლა-განათლებამ გერმანიისამ მისცა ერს ის სულიერი და ხორციელი ძალ-ღონე, რომელმაც შემუსრა საფრანგეთი. მას აქეთ გერმანიამ ახლა სხვა გზაზე იჩინა თავისი ძლევამოსილება და წინსვლა იმავე ღონისძიებებით. აქაც, როგორც ეტყობა, მიზეზი ძლევამოსილებისა იგივე სკოლის მასწავლებელია, იგივე სწავლა და განათლებაა."[ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტომი IV. თბილისი, 1987]

გეორგ ფრიდრიხ ჰეგელი წერდა: "მმართველებს, სახელმწიფო მოღვაწეებს, ხალხებს, ჩვეულებრივ, ისტორიის გამოცდილებაზე მიუთითებენ ხოლმე, რათა ჭკუა მისგან ისწავლონ, მაგრამ ისტორია და მისი გამოცდილება მხოლოდ იმას გვასწავლიან, რომ არც ხალხებს და არც მათ მთავრობებს არასოდეს ისტორიისაგან რაიმე არ უსწავლიათ და არასოდეს მოქცეულან იმ მოძღვრებათა შესაბამისად, რომლებიც ისტორიული გამოცდილებიდან უნდა გამოეტანათ დასკვნების სახით..." [გეორგ ფრიდრიხ ჰეგელი. ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე. თბილისი. 2001]

და მართლაც, სულ მალე ბისმარკის ბრიყვმა მემკვიდრეებმა (II რაიხის III კაიზერმა ვილჰემ II, რომელსაც სურდა რომ „ყოველ ნათლობაზე ნათლია ყოფილიყო, ყოველ ქორწილში – ნეფე, ყოველ დაკრძალვაზე – მიცვალებული" და "ათასწლიოვანი" III რაიხის I ფიურერმა, ადოლფ ჰიტლერმა) ორ მსოფლიო ომში გაანიავეს ბისმარკის მიერ გაერთიანებული, მონოლითური გერმანული სახელმწიფოს მიწები.



გერმანიის ტერიტორიული დანაკარგები (1919-1945)

რუსული იმპერიალიზმის ტრადიციული მიზანი იყო კონტროლი ფინეთზე, აღმოსავლეთ ევროპაზე, ბალკანეთზე, დარდანელის სრუტეზე და ირანზე.

იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკა ემყარება სამი მეთოდის გამოყენებას: სამხედრო, ეკონომიურ და კულტურულ ექსპანსიონისტურს.

სამხედრო იმპერიალიზმი – იმპერიალიზმის ყველაზე აშკარა და ძველი ფორმა – ესა არის შეიარაღებული დაპყრობა. "ყველა დროის დიდი გარდამქმნელები იმავდროულად იყვნენ დიდ დამპყრობლები" [1,54], წერდა მორგენტაუ.

ეკონომიკური იმპერიალიზმი ძალაუფლების მოპოვების რაციონალურ მეთოდად გვევლინება და წარმოადგენს იმერიალისტური ეპოქის პროდუქტს. თუ სახელმწიფოს (გარკვეული მიზეზების გამო) არ შეუძლია დაიპყროს ტერიტორია, მაშინ მას შეუძლია შეეცადოს დაამყაროს ზეგავლენა იმათზე კონტროლის მეოხებით ვინც განაგებს ტერიტორიას. ამ შემთხვევაში მორგენტაუს მიერ მოყვანილი მაგალითი საკმაოდ ყურადსაღებია. ცენტრალური

ამერიკის სახელმწიფოები სუვერენულები არიან, მაგრამ მიუხედავად სუვერენიტეტის ყველა ატრიბუტების არსებობისა, რეალურად ისინი ასეთებად არ გვევლინებიან და თითქმის მთლიანად დამოკიდებულები არიან აშშ-ში ექსპორტზე. აქედან გამომდინარე, ამ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ გაატარონ არც საგარეო და არც საშინაო პოლიტიკა, რომელიც მთლიანად დამოუკიდებელი იქნება აშშ-ს პოზიციისაგან.

ეკონომიკური იმპერიალიზმის ბუნება, როგორც სხვა ერებზე დომინირების მოპოვების არაპირდაპირი და საკმაოდ ეფექტური მეთოდი, ყველაზე კარგად ვლინდება ორი დიდი სახელმწიფოს დაპირისპირების შემთხვევაში. ამის ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის პაექრობა ირანზე ზეგავლენის მოსაპოვებლად. ორივე ქვეყანა ცდილობდა ზემოქმედება მოეხდინა ირანის მთავრობაზე, იქნებოდა ეს ნავთობის წარმოების თუ ინდოეთში გზის გაყვანის საკითხი.

კულტურულ იმპერიალიზმს მორგენტაუმ ყველაზე ეფექტურ ნაირსახეობად მიიჩნევს ყველა იმ იმპერიალისტურს მეთოდებს შორის, რომელთაც ემყარება საგაერო პოლიტიკა, რადგანაც მისი მიზანი გონებაზე და ცნობიერებაზე კონტროლს ითვალისწნებს. ასეთი კონტროლი, საერთაშორისო დონეზე, ძალაუფლებრივი ურთიერთობების შეცვლის ქმედით ინსტრუმენტს წარმოადგენს. "კულტურული იმპერიალიზმის მეთოდებით შესაძლებელი ხდება ისეთი დამაჯრებელი გამარჯვების მიღწევა, რომ სხვა მეთოდები უკვე ზედმეტი ხდება. თანამედროვე პირობებში კულტურული იმპერიალიზმის როლი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით რომ შესაძლებელს ხდის შემზადდეს ნიადაგი სამხედრო დაპყრობისა და ეკონომიკური ზემოქმედებისათვის. ამ მეთოდის გამოყენების ტიპიური მაგალითია: სახელმწიფოში – ზემოქმედების სუბიექტში – მეხუთე კოლონის მხარდაჭერა". [1,57]

საქმის არსით მორგენტაუმ გააერთიანა კულტურული ზმეოქმედება იდეოლოგიურ ზეგაველენამდე. ის წერდა: "კულტურული იმპერიალიზმის ტექნიკა დიდი წარმატებით გამოიყენეობდა ტოტალიტარისტების მიერ და ეფექტურ პოლიტიკურ იარაღად იქცა მეხუთე კოლონების შექმნის მეოხებით". [1,58]

ამის ნათელი მაგალითია ნაცისტების მიერ ავსტრიაში მეხუთე კოლონის შექმნისა II მსოფლიო ომის წინ. შედეგი სახეზე იყო 1938 წელს, როდესაც ავსტრიის პრონაცისტული მთავრობა მიესალმა გერმანიის ჯარების შესვლას მის ტერიტორიაზე. ამ მეთოდის წარმატებით გამოყენება მოხდა საფრანგეთსა და ნორვეგიაში, სადაც გავლენიანმა მოქალაქეებმა, "კვისლინგელებმა", გაიზიარეს ნაცისტური მსოფლმხედველობა. კიდე ერთი მაგალითი კულტურული შეღწევისა არის კომინტერნის მოღვაწეობა.



ვიდკუნ კვისლინგი (ნორვეგ., Vidkun Abraham Lauritz Jonssøn Quisling) (1887-1945) ნორვეგიელი კოლაბორაციონისტი, ნაცისტი. მისი სახელი გახდა სიმბოლო მოღალატისა. 1945 წელს დახვრიტეს სამშობლოს ღალატისათვის

მორგენტაუ ასევე წერს რელიგიური კონფესიების როლზე საგარეო პოლიტიკაში. ტიპიური მაგალითი – ქრისტიანული რუსეთის იმპერიალისტური კულტურული პოლიტიკა, სადაც მეფე გვევლინებოდა როგორც სახელმწიფო, ასევე მართლმადიდებელი ეკლესიის ლიდერად, ამ შემთხვევაში

მართლმადიდებლობის გავრცელება შესაძლებლობას იძლეოდა ზემოქმედება მოეხდინა მასზე დამოკიდებულ და მეზობელ სახელმწიფოებზე. "მართლმადიდებლობა, – წერს მორგენტაუ, – წარმოადგენდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის იარაღს". [1]

საფრანგეთის იმპერიალიზმის იარაღად იქცა **La mission civilisatrice.** საფრანგეთის სახელმწიფოებრიობის მიმზიდველი თვისებების გამოყენება – კულტურული იმპერიალიზმის ნაირსახეობა I მსოფლიო ომის დაწყების წინ.

მორგენტაუ აღიარებს, რომ რომელიმე სახელმწიფოს საგაერო პოლიტიკის განსაზღვრება, როგორიც იმპერიალისტურის აწყდება მთელ რიგ სირთულეებს, რომელიც დაკავშირებულია, როგორც იდეოლოგიური ბრძოლის ფაქტორებთან, ასევე იმასთან, რომ არცერთი სახელმწიფოსათვის სასურველი არ არის, მის საგარეო პოლიტიკას დაერქვას იმპერიალისტური.

საგარეო პოლიტიკის მესამე მოდელის სახით მორგენტაუ გამოყოფდა პრესტიჟის პოლიტიკას. პრესტიჟის პოლიტიკა – ეს არის მესამე სახესხვაობა საგარეო პოლიტიკისა, რომელიც დამყარებულია ძალაზე. პრესტიჟის საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს სოციალური ურთიერთობის რაფინირებულ და არისტოკრატიულ ფორმას, რომელიც გამოიყენება დიპლომატიურ წრეებში. ხშირად პრესტიჟის პოლიტიკა – ეს არის **Status Quo-ს** პოლიტიკის ან იმპერიალისტური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. ან აქ კვლავ იკვეთება ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტკა, ეს არის ერთი მოვლენის ორი მხარე. ორივე სფეროში მოქმედებს სოციალური აღიარებებისათვის სწრაფვის ფაქტორი, რომელიც წარმოადგენს სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებისა და ინსტიტუტების განვითარების სტიმულატორს. "პრესტიჟი არის სახელმწიფოს ან პოლიტიკოსის მოქმედებების არეკვლა იმ "სარკეში", რომელსაც წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერება" (1,68). პრესტიჟი არის რეპუტაცია, ხელისუფლების ავტორიტეტი. პრესტიჟის პოლიტიკის მიზანი – სახელმწიფოს რეპუტაციის, მისი საგარეოპოლიტიკური იმიჯის შექმნა – შეიძლება რეალიზებული იყოს ან დიპლომატიის ან კიდევ სამხედრო ძალის დემონსტრაციით.

აფასებს რა დიპლომატიის მნიშვნელობას, მორგენტაუ წერს, რომ პატივს რომელსაც მიაგებენ დიპლომატებს, აისახება იმ სახელმწიფოებისადმი დამოკიდებულება, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. მას მოჰყავს მაგალითი: როცა თეოდორ რუზველტი პრეზიდენტი ხდებოდა, ყველა დიპლომატიური წარმომადგენლები (პირები) ერთად მიიწვიეს მიღებაზე, მისთვის პრეზიდენტობის მისალოცად. პრეზიდენტმა ტაფტმა შეცვალა ეს წესი და ბრძანა: ელჩები და მინისტრები ცალკე-ცალკე მიეღოთ.

ესპანეთის წარგზავნილი არ იყო ამის შესახებ ინფორმირებული და როდესაც იგი 1910 წლის 1 იანვარს თეთრ სახლში წეეულებაზე მივიდა, მას უარი უთხრეს მიღებაზე. შემდგომში მოვლენები ამგვარად განვითარდა: ესპანეთის მთავრობამ გაიწვია თავისი წარმოამდგენელი და პროტესტი გამოუცხადა აშშ-ს.

1946 წელს პარიზში გამარჯვებისადმი მიძღვნილ ზეიმზე, სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრს ადგილი მე-2 რიგში ერგო, მაშინ როდესაც სხვა დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლები პირველ რიგში ისხდნენ. პროტესტის ნიშნად მან ცერემონია დატოვა.

1945 წლის პოტსდამის კონფერენციაზე ჩერჩილმა, სტალინმა და რუზველტმა დიდხანს ვერ გადაწყვიტეს ვინ შევიდოდა პირველი სხდომათა დარბაზში. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ სამივე მათგანი ერთდროულად შევიდოდა სამი სხვადასხვა კარიდან. ეს სამი პოლიტიკური ლიდერი იყო სიმბოლო იმ დიდი სახელმწიფოებისა, რომლებსაც ისინი წარმოადგენდნენ.

პრესტიჟის პოლიტიკის მეორე მხარეს წარმოადგენს სამხედრო ძალის დემონსტრაცია. მაგალითად: სამხედრო მანევრებზე ხშირად იწვევენ სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რათა მოახდინოს მათთვის უახლესი სამხედრო-ტექნიკური მიღწევებისა და ქვეყნის სიძლიერის დემონსრტრირება. საგარეო პოლიტიკის ამ ნაირსახების უკიდურეს ფორმას წარმოადგენს ნაწილობრივი ან საყოველთაო მობილიზაცია. მაგალითად, 1914 წელს ავსტრიისა და გერმანიის არმიის მობილიზაციის კვალდაკვალ, საფრანგეთმა და რუსეთმა მოახდინა საკუთარი შეიარაღებული ძალების მობილიზაცია.

ჩვენი აზრით, ძალზე აქტუალურად ჟღერს მორგენტაუს გამონათქვამი იმის შესახებ, რომ პრესტიჟის პოლიტიკა თავის კულმინაციას აღწევს იქ, სადაც შესაძლებელია დაარწმუნო ერი იმაში, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა ხელს უწყობს სახელმწიფოს ავტორიტეტის ამაღლებას საერთაშორისო არენაზე.

მორგენტაუს მიაჩნია, რომ ბრძნული და გაწონასწორებული პრესტიჟის პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სწრაფვა დაარწმუნო მთელი მსოფლიო, რომ სახელმწიფოს გააჩნია საკმარისი ძლიერება, პრესტიჟი და ავტორიტეტი.

**[იხ.: Morgenthau Hans J. Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace. Second Edition, Alfred A. Knopf: New York, 1955]**

## P.S.

ჰანს მორგენტაუს პოლიტიკური რეალიზმის საბაზო პრინციპები:

1. საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში პოლიტიკური მოღვაწეობის ფარდობითი ხასიათი;
2. ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს ეროვნული ინტერესები (ძალის კატეგორიით განსაზღვრული ინტერესის კონცეფცია);
3. ფსიქოლოგიზმის თავიდან აცილების სწრაფვა: საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს არა სახელმწიფო მოღვაწეთა სურვილები და მოტივები, არამედ მათი რეალური ქმედებები;
4. ეროვნული ინტერესების დინამიური გაგება (მათი დამოკიდებულება ისტორიულ პერიოდზე, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტზე);
5. ზნეობრივად გაწონასწორებული პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს პოლიტიკური კეთილგონიერების პრინციპი და პასუხისმგებლობის ეთიკა;
6. საერთაშორისო ურთიერთობების განსაზღვრება, როგორც ბრძოლისა ძალაუფლებისათვის და გავლენისათვის საერთაშორისო არენაზე;

## თავი VI

## კლასიკური გეოპოლიტიკა

> “არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა:
> არ იხმარებ, რას ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა?”
>
> შოთა რუსთაველი



ფრიდრიხ რატცელი (გერ., Friedrich Ratzel) (1844-1904)
გერმანელი გეოგრაფი, ეტნოლოგი, სოციოლოგი.

ფრიდრიხ რატცელი (1844-1904) გერმანელი მეცნიერი, გეოლოგი, პალეონტოლოგი და ზოოლოგი. დაამთავრა კარლსრუეს პოლიტიკური უნივერსიტეტი და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი. ევოლუციონიზმისა და დარვინიზმის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის მიმდევარი. ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი. გერმანელი ნაციონალისტი, “პანგერმანისტული ლიგის წევრი”. გეოპოლიტიკის ერთერთი ფუძემდებელთაგანი, თუმცა ტერმინი “გეოპოლიტიკა” მას არ გამოუყენებია. თავის ნაშრომებში იგი იყენებდა ტერმინ “პოლიტიკურ გეოგრაფიას”.

რატცელის შეხედულებათა სისტემაზე დიდი გავლენა მოახდინა ფრანგი სოციოლოგის, პოზიტივიზმის ფუძემდებლის ოგიუსტ კონტის (1798-1857) იდეებმა: ევოლუციონიზმი, ხალხისა და სახელმწიფოს განვითარებაზე გეოგრაფიული გარემოს ზეგავლენის აღიარება, პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირებაში, ეთნოსებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში დემოგრაფიული და კოსმიური ფაქტორების როლის აღიარება.



ოგიუსტ კონტი (ფრ., Auguste Comte) (1798-1857) ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი.
პოზიტივიზმისა და სოციოლოგიის ფუძემდებელი

კონტმა სახელმწიფოს სრულიად ახლებური დასაბუთება შემოიტანა. თავისი ფილოსოფიის მთავარ მიზნად იგი მეცნიერებასა და საზოგადოებაში „გონებრივი ანარქიისა და დეზორგანიზაციის"დაძლევას მიიჩნევდა.

საზოგადოების შემსწავლელ მეცნიერებას კონტმა სოციოლოგია უწოდა და მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. თავის ფილოსოფიის უმთავრეს ამოცანად „პოზიტივიზმის" საწყისებზე საზოგადოების გადაწყობას და „ანარქიული რესპუბლიკის" შეცვლას მიიჩნევდა.

კონტის ყურადღების ცენტრში იყო საზოგადოება. მას იგი განიხილავდა როგორც ორგანულად მთლიანს. ამასთან ერთად იგი უარყოფდა დაპირისპირებულ კლასთა არსებობას და ცდილობდა სოციალურ ჯგუფთა სოლიდარობის იდეის დასაბუთებას.

კონტი ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა. იგი საერთოდ უარყოფს პიროვნების უფლებას. პოზიტიურ საზოგადოებაში პიროვნების უფლებები საჭირო აღარ იქნება, ვინაიდან თითოეულს გააჩნია ყველას მიმართ ვალდებულება, მაგრამ უფლება, როგორც ასეთი, არავის არ გააჩნია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონტის მიხედვით არავის არ გააჩნია სხვა უფლება, გარდა იმისა, რომ საკუთარი მოვალეობა შეასრულოს.



ჰერბერტ სპენსერი (ინგ., Herbert Spencer) (1820-1903)
ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი

რატცელზე გარკვეული გავლენა მოახდინა აგრეთვე ჰერბერტ სპენსერის (1820-1903) შეხედულებებმა.

სპენსერს მიაჩნდა, რომ თავისუფლება ადამიანის ის „პირველადი" ბუნებითი უფლებაა, რომელზედაც უნდა დაფუძნდეს სამოქალაქო სამართალი და მთლიანად საზოგადოების პოლიტიკური სისტემა. ეს „მეორადი" სამოქალაქო სამართალი პირად უფლებათა ფართო სისტემას მოიცავს. მასში იგულისხმება ფიზიკური ხელშეუხებლობის, მოძრაობისა და გადაადგილების თავისუფლების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, საკუთრების, მემკვიდრეობის, გაცვლისა და ხელშეკრულების, რწმენისა და სიტყვის უფლება. ამ უფლებებს საზოგადოება არ ქმნის. ისინი თავისი წარმოშობით ბუნებრივი ხასიათისაა და სახელმწიფოებრივად ორგანიზებული საზოგადოება მხოლოდ მათ იურიდიულ ფორმას განსაზღვრავს.

პოლიტიკურად ორგანიზებული საზოგადოების პირობებში თავისუფლება, სპენსერის მიხედვით, ყველა ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი თავისუფალი იმას აკეთებს, რაც სურს, მაგრამ იმ პირობით, რომ იგი არ დაარღვევს სხვათა თანასწორ უფლებებს.

ჰ.სპენსერი ხელისუფლებას და მთავრობას დროებით სოციალურ ინსტიტუტად მიიჩნევს. იგი აუცილებელია მხოლოდ ველურიდან ცივილიზებულ მდგომარეობაზე გარდამავალ პერიოდში. მაგრამ ადამიანი, სპენსერის მიხედვით, ცივილიზებულ მდგომარეობაშიც ინარჩუნებს ველურ ეგოიზმს, ამიტომ ცუდი

ადამიანისთვის მთავრობა არსებითად აუცილებელია, კარგისთვის იგი აუცილებელი არაა. მთავრობა შეზღუდვაა, რომელსაც უღირსი ხალხი საკუთარ უღლად აქცევს. იგი იმ ზომით არსებობს, რა ზომითაც უღირსია ესა თუ ის ხალხი. ხელისუფლების არსებობა დღემდე ჯერ კიდევ შემორჩენილი ველურობის დამამტკიცებელია. კანონი ეგოისტური ადამიანისათვის იგივეა, რაც გალია მხეცისთვის, ასეთი ადამიანების შეზღუდვა აუცილებელია. ხოლო სამართლიანი და კეთილშობილი ადამიანისათვის იგი სრულებით ზედმეტია. ამიტომ ეწოდება მთავრობასა და ხელისუფლებას „აუცილებელი ბოროტება". ამასთან ერთად, რამდენადაც ყველა თავისუფალი ადამიანი საკუთარი შეხედულებებით მოქმედებს, იმდენად იგი სახელმწიფოსთან საკუთარი კავშირების გადაწყვეტაში ყოველთვის თავისუფალია.

სპენსერს მიაჩნია, რომ არსებობისათვის ბრძოლის კანონის მოქმედებაში სახელმწიფოს ჩარევა ამ კანონთა უხეში და უსაფუძვლო უარყოფაა. სიღატაკე, რომელშიც იმყოფება უუნარო, შიმშილი, რომელიც ზარმაცის ხვედრია, სუსტის გასრესა ძლიერის მიერ, რაც ინდივიდის უდიდეს ტანჯვასა და უბედურებას იწვევს, არსებობისათვის ბრძოლის კანონის გამოვლენაა და ამდენად გამართლებულია. ამიტომ იგი წინააღმდეგი იყო სახელმწიფოს მიერ სუსტების, ავადმყოფების, უუნაროების დახმარებისა. თავის მოდგმის წევრებთან კონკურენციით ინდივიდი ან კვდება, ან ძლიერდება და მრავლდება. ხელოვნური ჩარევა და ამ ბუნებრივი კანონის დარღვევა დამღუპველია საზოგადოებისათვის – დაასკვნიდა სპენსერი.

ჩრდილოეთ ამერიკაში მოგზაურობის შედეგად ფრიდრიხ რატცელმა დაწერა ორი წიგნი: 1874 წელს "ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქებისა ცივილიზაციების რუკები" და 1878-1880 წელს "ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები". რატცელი აღნიშნავს, რომ ამერიკელებს უმაღლეს დონემდე აქვთ განვითარებული "სივრცის შეგრძნება" იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი აღმოჩნდნენ "ცარიელი" სივრცის ათვისების პრობლემის წინაშე და შესაბამისად, ამერიკელები შეგნებულად ანხორციელებენ იმას, რისკენაც ევროპელები მიდიან ინტუიციურად და ეტაპობრივად.

ფრიდრიხ რატცელისთვის სივრცე არის **LebensRaum** – სასიცოცხლო სივრცე, გეობიოგარემო, რომელიც სასიცოცხლო ენერგიას აძლევს ხალხს. სივრცე განიხილება როგორც ამ სივრცეში მცხოვრები ეთნოსის სასიცოცხლო უწყვეტი სხეული. ეთნოსისა და სივრცის თანაფარდობაზე იგი წერდა, რომ "სახელმწიფოს მახასიათებლები" ვითარდებიან ხალხისა და ნიადაგის მახასიათებლებიდან. ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლებს წარმოადგენენ: ზომები, ადგილმდებარეობა და საზღვრები. შემდეგ მოდიან ნიადაგის ტიპები მცენარეულ საფართან ერთად, ირიგაცია და თანაფარდობა მიწის ზედაპირის დანარჩენ კონგლომერატებთან, პირველ რიგში, მიმდებარე საზღვრებთან და დაუსახლებელ მიწებთან. მაგრამ როდესაც საუბრობენ "ჩვენს ქვეყანაზე" ამას ემატება ყოველივე ის, რაც ადამიანმა შექმნა და მიწასთან დაკავშირებული ყველა მოგონება. ამგვარად, გეოგრაფიული ცნება გადაიქცევა ქვეყნის მაცხოვრებლებისა და მათი ისტორიის სულიერ და ემოციონალურ კავშირად.

ფრიდრიხ რატცელი მკვლევართაგან პირველი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სივრცე არის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი. მას მიაჩნდა, რომ სივრცე არის არა უბრალოდ ტერიტორია, რომელიც უკავია სახელმწიფოს და წარმოადგენს მისი ძალის ერთერთ ატრიბუტს. სივრცე – თავად არის პოლიტიკური ძალა. ამგვარად, რატცელისათვის სივრცე უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ფიზიკურ-გეოგრაფიული ცნება. იგი წარმოადგენ იმ ბუნებრივ ფარგლებს, რომლებშიც მიმდინარეობს ხალხების ექსპანსია. ყოველ სახელმწიფოსა და ხალხს გააჩნია თავისი „სივრცული კონცეფცია", ანუ იდეა საკუთარი ტერიტორიული სამფლობელოების შესაძლო ზღვარზე. სახელმწიფოს

დაცემა არის დასუსტებული სივრცული კონცეფციისა და დასუსტებული სივრცული გრძნობის შედეგი. სივრცე განაპირობებს ხალხის არა მარტო ფიზიკურ ევოლუციას, არამედ აგრეთვე მის მენტალურ დამოკიდებულებას გარესამყაროსთან. ადამიანის შეხედულება სამყაროზე დამოკიდებულია სივრცეზე, რომელშიც ის ცხოვრობს.

ფრიდრიხ რატცელმა პირველმა ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური კონცეფცია **Weltmacht** – „მსოფლიო სახელმწიფოს" კონცეფცია. მან შენიშნა, რომ დიდ სახელმწიფოებს თავის განვითარებაში გააჩნია მაქსიმალური გეოგრაფიული ექსპანსიის ტენდენცია, რომელიც დროთა განმავლობაში იძენს მსოფლიო ხასიათს. მისი აზრით, სახელმწიფოს გაფართოება და შეკუმშვა წარმოადგენს ბუნებრივ პროცესს, რომელიც დაკავშირებულია სასიცოცხლო ციკლთან. რატცელმა ჩამოაყალიბა სახელმწიფოს სივრცული ზრდის შვიდი კანონი, ეს არის სახელმწიფოს სივრცული ზრდის პრინციპების ერთობლიობა:

1. სახელმწიფოს სივრცე იზრდება მისი კულტურის ზრდასთან ერთად;
2. სახელმწიფოს ზრდა გულისხმობს იდეებს, ვაჭრობის შემდგომ განვითარებას, ანუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მზარდ აქტიურობას;
3. სახელმწიფოს ზრდა მიმდინარეობს მცირე სახელმწიფოების შთანთქმის (შემოერთების) ხარჯზე;
4. საზღვარი – ეს არის სახელმწიფოს პერიფერიული ორგანო, იგი არის მისი ზრდის, ძალის ან სისუსტისა და მის ორგანიზმში ცვლილებების ნაშთი;
5. სახელმწიფო მიისწრაფის შეისრუტოს ფიზიკური გარემოცვის ყველაზე ფასეული ელემენტები: სანაპირო ზოლები, მდინარეთა აუზები, რესურსებით მდიდარი რაიონები;
6. განუვითარებელ სახელმწიფოებს ტერიტორიული ზრდის საწყისი იმპულსი მოსდით გარედან, უფრო განვითარებული (მაღალი) ცივილიზაციებიდან;
7. შემოერთებისა და შთანთქმის ტენდენცია – წარმოადგენს სახელმწიფოს დამახასიათებელ ნიშანს, რომელიც იძენს სულ უფრო და უფრო მზარდ ხასიათს;

ფრიდრიხ რატცელს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს ზრდა წარმოადგენს საყოველთაო, უნიკალურ ტენდენციას. ადამიანთა კონტაქტების განვითარება, გაცვლა, ვაჭრობა – ეს არის ახალ კოლონიზირებად ტერიტორიებზე სახელმწიფოს პოლიტიკური კონტროლის დამყარების პრელუდია. ვაჭრობა და ომი – ეს არის ორი ფორმა, ორი სტადია სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდის პროცესში.

რატცელისთვის ზღვა და „მსოფლიო სახელმწიფო" ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მან პირველმა გამოთქვა აზრი ცივილიზაციის განვითარებაში ზღვის მნიშვნელობის ზრდის შესახებ. 1900 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ზღვა ხალხთა ძლიერების სათავე" იგი აღნიშნავდა, რომ დიდმა სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა განავითაროს თავისი საზღვაო-სამხედრო ძალები, ვინაიდან ამას ითხოვს პლანეტარული მასშტაბის სრულფასოვანი ექსპანსია. მისი აზრით, იმას, რასაც ზოგიერთი სახელმწიფო (ინგლისი, ჰოლანდია, ესპანეთი და სხვ.) სპონტანურად ახორციელებდა, სახმელეთო სახელმწიფოებმა (გერმანიამ...) შეგნებულად უნდა გააკეთონ: **Weltmacht** – „მსოფლიო სახელმწიფოს" სტატუსთან მიახლოებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფლოტის განვითარება.

ფრიდრიხ რატცელის ნაშრომებში საფუძველი ჩაეყარა „ოკეანური ციკლის" პოპულარულ გეოპოლიტიკურ იდეას. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხმელთაშუა ზღვის აუზსა და ატლანტიკას, როგორც

მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ რაიონებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წყნარი ოკეანის აუზის მნიშვნელობის ანალიზი. რატცელი მას უწოდებს „მომავლის ოკეანეს" რომელიც ხელსაყრელი სტრატეგიული მდგომარეობის, უნიკალური რესურსებისა და უზარმაზარი მოცულობის გამო მალე გახდება მსოფლიოს ბევრი წამყვანი სახელმწიფოს აქტიური მოღვაწეობისა და ინტერესების შეჯახების არენა. სახელმწიფო, რომელიც მოიპოვებს პირველობას წყნარი ოკეანის აუზში, გახდება მსოფლიო დომინანტი.

რატცელი დარწმუნებული იყო, რომ მალე წყნარი ოკეანის ზოლში ძალისმიერი მეთოდებით დაიწყება ურთიერთობის გარკვევა მსოფლიოს ხუთ წამყვან სახელმწიფოს შორის. ეს სახელმწიფოებია: დიდი ბრიტანეთი, აშშ, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია. რატცელი და მისი მიმდევრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გადამწყვეტი კონფლიქტი საზღვაო და კონტინენტალურ სახელმწიფოებს შორის მოხდება სწორედ წყნარი ოკეანის ზონაში და კატასტროფული ფინალით დაამთავრებენ კაცობრიობის ისტორიის ციკლურ ევოლუციას. მიუხედავად ამ კონფლიქტში კონტინენტალურ სახელმწიფოებს, მათი მდიდარი რესურსებით, გააჩნიათ სრულიად გარკვეული უპირატესობა საზღვაო სახელმწიფოებთან შედარებით, ვინაიდან ისინი არ ფლობენ საკმარის სივრცეს გეოპოლიტიკური ბაზის სახით.



**გეორგ ვილჰემ ფრიდრიხ ჰეგელი (გერ., Georg Wilhelm Friedrich Hegel) (1770-1831) გერმანული კლასიკური ფილოსოფიის კორიფე.**

გამოჩენილ გერმანელ ფილოსოფოსს გეორგ ფრიდრიხ ჰეგელს მიაჩნდა, რომ ყოველი ადამიანი არის თავისი ეპოქის შვილი. ეს სავსებით მიესადაგება ფრიდრიხ რატცელს. იგი იყო თავისი ეპოქის და მისი პოლიტიკური მოღვაწეების წარმოდგენებისა და მიზანსწრაფულობის გამომხატველი. მას მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა ოტო ფონ ბისმარკისა (1862-1890) და ვილჰელმ II (1888-1918) ეპოქაში. 22 წლის რატცელი მოწმე გახდა სადოვოეს ბრძოლის, როდესაც ბისმარკის პრუსიამ გაანადგურა ფრანც-იოსების ავსტრია და თავის თავზე აიღო გერმანული მიწების გამაერთიანებლის მისია. 26 წლის რატცელი, როგორც მოხალისე, მონაწილეობს 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომში და თანამონაწილე ხდება მეორე რაიხის დაარსებისა.

საინტერესო და ყურადსაღებია ფილიპ მორო დე ფარჟის მიერ გაკეთებული ამ პერიოდის გერმანიის შიდა და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი. მისი აზრით რატცელის დროინდელი გერმანიის დახასიათება შეიძლება შემდეგი სამი ძირითადი ნიშნის მიხედვით:

1. ეკონომიკის განვითარება

1864-1871 წლებში პრუსია, ბისმარკის მეთაურობით, აერთიანებს გერმანიას. დამასრულებელი აკორდი იყო 1871 წლის ბრწყინვალე გამარჯვება

საფრანგეთზე, როდესაც ვერსალის სასახლის სარკეებიან დარბაზში ოტო ფონ ბისმარკმა გამოაცხადა გერმანიის იმპერიის შექმნა. ტრიუმფმა გააბრუა გერმანია. დაიწყო ჯერ კიდევ არნახული წინსვლა. გერმანიის მოსახლეობის რაოდენობა 1871 წელს არსებული 41 მილიონიდან 1914 წლისთვის გაიზარდა 68 მილიონამდე. სამრეწველო რევოლუციამ მოიცვა ეკონომიკის ყველა სფერო. გერმანიამ დაიკავა წამყვანი პოზიცია არა მარტო სანედლეულო საქონლის (ქვანახშირი, რკინის მადანი, ფოლადი და ასე შემდეგ) წარმოებით, არამედ მრეწველობის ახალ სფეროებშიც, კერძოდ ქიმიურ მრეწველობაში. პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანია აწარმოებდა ორჯერ უფრო მეტ ფოლადს ვიდრე ინგლისი. პირველი ადგილი დაიკავა ქიმიური და ელექტრომექანიკური პროდუქციის წარმოებაში.



**ოტო ედუარდ ლეოპოლდ ფონ ბისმარკი-შენჰაუზენი (გერ., Otto Eduard Leopold von Bismarck-Schönhausen) (1815-1898) გერმანიის გამაერთიანებელი. გერმანიის II რაიპის პირველი კანცლერი. "რკინის კანცლერი".**

გერმანიის წარმატებებმა შოკში ჩააგდო დიდი ბრიტანეთი, ვინაიდან სამრეწველო პროდუქციისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მზარდი მშენებლობით გერმანია ხდებოდა ყველაზე საშიში კონკურენტი.

2. „დაგვიანებული ერი",

ამ ცნების არსი მგომარეობს შემდეგში: ბისმარკის მიერ 1871 წელს გაერთიანებულმა გერმანიამ სამყაროს თავისი არსებობა ამცნო მაშინ, როდესაც დედამიწის უდიდესი ნაწილი უკვე დაკავებული და განაწილებული იყო. გერმანიამ ძალიან დაიგვიანა. გასაღების ბაზრები, ნედლეულის წყაროები, ტერიტორიები უკვე დანაწილებული იყო იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც ცენტრალური ხელისუფლების მრავალსაუკუნოვანი ძალისხმევის შედეგად ჩამოყალიბებული სტრუქტურები ჰქონდათ (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი). აშშ და რუსეთი ფლობდნენ უზარმაზარ აუთვისებელ და დაუსახლებელ სივრცეებს, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ფართო კოლონიურ იმპერიებს. თვით ესპანეთი და პორტუგალია, რომელთა დიდების მზე ჩაესვენა რამდენიმე საუკუნის წინ, ფლობდნენ მნიშვნელოვან კოლონიალურ ტერიტორიებს. და რაღა რჩებოდა გერმანიას?!

ფრუსტრაციის ეს გრძნობა ძლიერდებოდა და მწვავდებოდა იმითაც, რომ გერმანია იგუდებოდა საკუთარ საზღვრებში, დასავლურ პლუტოკრატიისა და სლავების უზარმაზარი მასების მარწუხებში მოქცეული გერმანელებისათვის აკვიატებულ იდეად იქცა გერმანიის დაუცველობა, მიწის, რესურსებისა და გასაღების ბაზრის უკმარისობა. 1873 წელს ეკონომიკურმა კრიზისმა ხელი შეუწყო გერმანელების ტერიტორიული პრეტენზიების გაძლიერებას. მართალია ოტო ფონ ბისმარკი ცდილობდა თავის მმართველობის პერიოდში შეეკავებინა

გერმანელების მზარდი აპეტიტი იმის შიშით, რომ გერმანიის წინააღმდეგ არ ჩამოყალიბებულიყო ევროპული კოალიცია (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი), მაგრამ 1888 წელს ვილჰელმ II გამეფებისა და 1890 წელს ბისმარკის კანცლერის პოსტიდან გადადგომის შემდეგ უკვე აღარაფერი აკავებდა გერმანელთა ტერიტორიულ აპეტიტებს. გერმანია აღარ აპირებდა დაკმაყოფილებულიყო იმ რამდენიმე კოლონიური სამფლობელოთი (სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკა, ტოგო, კამერუნი), რომლებიც ჯერ კიდევ ბისმარკის დროს შეიძინა გერმანიამ. მან პრეტენზია განაცხადა სრულფასოვანი კოლონიალური იმპერიის ფლობაზე. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა აუცილებელი იყო ძლიერი თანამედროვე ფლოტი, რაც თავის მხრივ გამოიწვევდა დიდი ბრიტანეთის საშიშ გაღიზიანებას.

3. გერმანია, სამეცნიერო სახელმწიფო

ერთიანი გერმანული სახელმწიფოს დაგვიანებული ფორმირება აისახა არა მარტო გარე სამყაროსთან ურთიერთობაში, არამედ მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემაზეც. მაშინ როდესაც 1871-1914 წლებში გერმანიას ახასიათებს სამეცნიერო, ტექნიკური და სამრეწველო პოტენციალის შთამბეჭდავი განვითარება, მისი პოლიტიკური სისტემა ინარჩუნებდა არქაულ ხასიათს: მთავრობაში კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის არ ქონა, სხვადასხვა კლანებისა და კასტების (იუნკერები – არისტოკრატი მიწათმფლობელები, ოფიცერთა კორპუსი, გენერალური შტაბი...), პარლამენტარიზმისა და დემოკრატიის დაუსრულებელი ხასიათი. ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის მაქს ვებერის (1864-1920) აზრით, გერმანიის წარუმატებლობა საგარეო პოლიტიკის სფეროში და უპირველეს ყოვლისა მისი დაჯახება დიდ ბრიტანეთთან აიხსნება იმპერატორ ვილჰელმ II „ჯიბის მთავრობით", მისი კაპრიზებითა და პოპულიზმით.



ვილჰელმ II ჰოჰენცოლერნი (გერ., Wilhelm II Hohenzollern) (1859-1941)
გერმანიის უკანასკნელი იმპერატორი

ჰიპერტროფირებული და თითქმის კომიკური ხასიათი მიიღო გერმანიაში რანგისა და პატივისცემის გამოელინების გარეგნულმა საკითხებმა. გერმანიას გაუჩნდა შეგრძნება, რომ მისმა ახალმა სტატუსმა არ მიიღო სათანადო აღიარება ევროპაში. შელახული ეროვნული თავმოყვარეობის კომპენსირებისათვის გერმანელებმა განაცხადეს, რომ გერმანია ეს არის უდიდესი სამეცნიერო მიღწევების ქვეყანა, რომ მას ჰყავს შესანიშნავი პროფესორები, ბრწყინვალე უნივერსიტეტები და სამეცნიერო საზოგადოებები.

სამეცნიერო ამბიციების ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენდა კარლ მარქსი. მარქსმა მიუხედავად თავისი მეამბოხური სულისა და ოფიციალური მეცნიერის სტატუსის არ ქონისა, მიზნად დაისახა შეექმნა „მეცნიერული სოციალიზმი", რომელიც დაფუძნებული იქნებოდა დიალექტიკური მატერიალიზმის „ ობიექტურ კანონებზე".

გეოგრაფია შედიოდა იმ დისციპლინათა ჩამონათვალში, რომელთაც უნდა უზრუნველყოთ გერმანიისთვის აბსოლუტური ცოდნა და სამყაროში საკუთარ ადგილზე ნათელი წარმოდგენა.

რატცელის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი იდეა:

- ჩინეთი და ჩინეთის მოსახლეობის მიგრაცია. რატცელის აზრით, „სიცოცხლისუნარიანი ხალხის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს მობილურობა, იგი წარმოადგენს ნებისმიერი ერის მახასიათებელს და ახასიათებს თვით იმ ერებსაც, რომლებიც ერთი შეხედვით იმყოფებიან უძრაობაში". ჩინური ემიგრაცია წარმოადგენს მშვიდობიანი კოლონიზაციის მაგალითს, მოკრძალებულს თავისი მასშტაბებით, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანს, თუკი გავითვალისწინებთ , რომ იგი ხორციელდება გლეხებისა და ვაჭრების მიერ. „ისტორიამ იცის უამრავი მაგალითი იმისა, თუ როგორ კარგავდა ერთი სახელმწიფო იმ ტერიტორიებს, რომლებიც წაართვა მეორე სახელმწიფოს, იმიტომ რომ დამპყრობელი ხალხი არ აცნობიერებდა ამ ტერიტორიების შემომტკიცების მნიშვნელობას სამეურნეო ათვისების გზით. არსებობს აგრეთვე უამრავი საპირისპირო მაგალითი, როდესაც მცირერიცხოვანი ადამიანების ცივილიზატორული საქმიანობა წინ უძღვის ამ ტერიტორიაზე პოლიტიკური ბატონობის დამყარებას".
- ამერიკის შეერთებული შტატები. შტატებში მოგზაურობისას რატცელი გაოცებული იყო ამერიკის დასავლეთის ახალი მიწების ათვისების გაქანებით, ენერგიული და ყოჩაღი ემიგრანტების ერთიმეორეს მიყოლებული ტალღით. რატცელისათვის აშშ იყო მომავლის სახელმწიფოს ხატება, რომელიც ვითარდებოდა ვრცელ ტერიტორიებზე. ამას ხელს უწყობდა ქვეყნის მოცულობა და ბუნებრივი სიმდიდრის მრავალფეროვნება. რატცელის აზრით, ყველაზე ხელსაყრელი პერსპექტივები იშლებოდა სახელმწიფო-კონტინენტების წინაშე, ვინაიდან სწორედ ისინი იყვნენ ყველაზე მომზადებული პლანეტარული მასშტაბის სისტემის დამყარებისთვის.
- დიდი ბრიტანეთი. რატცელის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო არც თუ ისე დიდი ინგლისის თავბრუსდამხვევმა კოლონიალურმა, სამრეწველო და სავაჭრო ექსპანსიამ. მისი აზრით „ხელსაყრელი საგარეო სტიმულების გამოყენება და სამხედრო უსაფრთხოება — არის ზრდისა და სრულყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია. ეს ეხება ნებისმიერ ორგანიზმებს, ცალკეულ ინდივიდუმებსა და ხალხებს, რომლებმაც მიაღწიეს თავიანთ სიმწიფეს იმ შემთხვევებში, როდესაც სიღიავე ერწყმის საკუთრების არსებობას". სწორედ ამით აიხსნება დიდი ბრიტანეთის ძლევამოსილება: მტრების თავდასხმისაგან ზღვებით დაცული, ევროპის უშუალო სიახლოვეს განლაგებული ინგლისი თავის გავლენას ავრცელებს ყველა ოკეანეზე და იტაცებს ვრცელ ტერიტორიებს სხვა კონტინენტებზე (ჩრდილოეთ ამერიკა, ინდოეთი ავსტრალია, აფრიკის სამხრეთი) და იმავდროულად არ კარგავს თავის თვითმყოფადობას.



იუხან რუდოლფ ჩელენი (1864–1922) შვედი მეცნიერი და პოლიტიკოსი,
იურისტი და სახელმწიფოთმცოდნე.

იუხან რუდოლფ ჩელენი (1864–1922) იურისტი და სახელმწიფოთმცოდნე. ისტორიისა და პოლიტიკური მეცნიერების პროფესორი. ასწავლიდა გეტერბოგისა (1901–1916) და უფსალას (1916–1922) უნივერსიტეტებში. იგი სწავლობდა მართვის სისტემებს რათა გამოეძებნა ძლიერი სახელმწიფოს შექმნის გზები. ცნება"გეოპოლიტიკის" ავტორი.

რუდოლფ ჩელენის ნაშრომებში წარმოჩენილია გეოპოლიტიკის ყველა პრინციპული დებულებები. მას მიაჩნდა, რომ ინდივიდუალური სახელმწიფოს ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე შეიძლება მოხდეს ზოგიერთი ყველაზე ზოგადი კანონებისა და პრინციპების დედუცირება, რომლებიც შეესატყვისება ყველა სახელმწიფოს და ყველა დროს. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს სახელმწიფოს სიძლიერე. სახელმწიფოები აღზევდებიან იმიტომ, რომ არიან ძლიერები. ჩელენს მიაჩნდა, რომ ძალა წარმოადგენს უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს სახელმწიფოს არსებობის შესანარჩუნებლად, ვიდრე კანონი, ვინაიდან თვით კანონის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ ძალით. სწორედ ძალაში პოულობს ჩელენი თავის მთავარ თეზისს, სახელმწიფო არის ცოცხალი ორგანიზმი, მტკიცებულებას. კანონს ზნეობრივ-რაციონალური ელემენტი შეაქვს სახელმწიფოში, ძალა კი აძლევს მას ბუნებრივ ორგანულ იმპულსს. ჩელენი ამტკიცებდა რომ სახელმწიფო არის მიზანი თავის თავში და არა ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნებს.

1910 წელს გამოქვეყნებულ წიგნში "დიდი სახელმწიფოები" რუდოლფ ჩელენი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მცირე ქვეყნები თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე "განწირულნი" არიან დამორჩილებულნი იყვნენ "დიდი სახელმწიფოების" მიერ, რომლებიც ისევ და ისევ თავიანთი "გეოგრაფიული ბედისწერიდან" გამომდინარე ვალდებულნი არიან გააერთიანონ ისინი დიდ გეოგრაფიულ და სამეურნო "კომპლექსებად". ჩელენი აღნიშნავდა, რომ მსგავსი სახის "კომპლექსები–კერძოდ აშშ, ბრიტანეთის იმპერია, რუსეთის იმპერია–ჩამოყალიბდნენ ჯერ კიდევ XVIII-XIX სს, მაშინ როდესაც დიდი ევროპული "კომპლექსის" ანუ ერთობის ჩამოყალიბება წარმოადგენს გერმანიის ამოცანას.

რუდოლფ ჩელენმა განავითარა რატცელის გეოპოლიტიკური პრინციპები კონკრეტული ისტორიულ სიტუაციასთან მიმართებაში. მან ლოგიკურ დასრულებამდე მიიყვანა რატცელის "კონტინენტალური სახელმწიფოს" იდეა გერმანიასთან მიმართებაში და აჩვენა, რომ ევროპის კონტექსტში გერმანია წარმოადგენს იმ სივრცეს, რომელსაც გააჩნია ღერძული დინამიზმი და რომლის მოწოდებას წარმოადგენს ევროპის დანარჩენი სახელმწიფოების სტრუქტურირება თავის გარშემო. გერმანოფილმა რუდოლფ ჩელენმა გააცნობიერა რა

სკანდინავური ქვეყნების სისუსტე პოტენციური საგარეო საფრთხის წინაშე, წამოაყენა გერმანულ-ნორიდიული კავშირის შექმნის წინადადება გერმანიის იმპერიის მეთაურობით.

საინტერესოა პირველი მსოფლიო ომის ჩელენისეული ინტერპრეტაცია. მისი აზრით ეს იყო ბუნებრივი გეოპოლიტიკური კონფლიქტი აღმოცენებული გერმანიისა და მისი მოკავშირე ღერძის სახელმწიფოების დინამიურ ექსპანსიასა და ანტანტის პერიფერიულ ევროპულ და არაევროპულ სახელმწიფოებს შორის. განსხვავებამ გეოპოლიტიკური ზრდის დინამიკაში განაპირობა ძალთა ძირითადი განლაგება (დაღმავალი ინგლისისა და საფრანგეთისათვის, აღმავალი გერმანიისათვის). მისი აზრით გერმანიის გეოპოლიტიკური გაიგივება ევროპასთან გარდაუვალია, მიუხედავად პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დროებითი დამარცხებისა.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისა და ვერსალის ხელშეკრულების დადების შემდეგ რუდოლფ ჩელენმა ჩამოაყალიბა თეზისი იმ სამ გეოგრაფიულ ფაქტორზე, რომლებიც მთავარ როლს თამაშობენ გლობალურ გეოპოლიტიკაში. ამ ფაქტორებიდან ის მიიჩნევს გაფართოებას, ტერიტორიულ მონოლითურობასა და გადაადგილების თავისუფლებას. იგი ამტკიცებდა, რომ დიდი ბრიტანეთი გამოირჩევა თავისუფალი გადაადგილების მაღალი ხარისხით, მძლავრი საზღვაო ფლოტისა და საზღვაო კომუნიკაციებზე ბატონობის წყალობით იგი ასევე ფლობს გაფართოების ფაქტორსაც, აქ ლაპარაკია უზარმაზარ კოლონიურ სამფლობელოებზე (ბრიტანეთის იმპერია განლაგებული იყო დედამიწის ზედაპირის 24%-ზე), მაგრამ დიდ ბრიტანეთს არ გააჩნია მონოლითურობა, ვინაიდან მისი კოლონიები მიმოფანტული იყო მთელ სამყაროში. სწორედ ამაში მდგომარეობდა ინგლისის პოლიტიკის სუსტი მხარე. რუსეთს გააჩნია დიდი ტერიტორია, მონოლითურობა, მაგრამ არ აქვს გადაადგილების თავისუფლება, ვინაიდან რუსეთის გასვლა თბილი ზღვებისკენ შეზღუდულია.



თევდორე დოსტოევსკი (1821-1881) რუსი მწერალი

რუდოლფ ჩელენმა განამტკიცა რატცელის გეოპოლიტიკური მაქსიმა; გერმანიის ინტერესები უპირისპირდებიან დასავლეთევროპული სახელმწიფოების (განსაკუთრებით საფრანგეთისა და ინგლისის) ინტერესებს. მაგრამ გერმანია არის "ჭაბუკი" სახელმწიფო, გერმანელები კი "ჭაბუკი ერი" [იდეა "ჭაბუკი ერების" შესახებ, რომლებსაც მიაკუთვნებდნენ გერმანელებსა და რუსებს, ეკუთნოდა თ. დოსტოევსკის. იგი იყენებდა ტერმინს "юный народ" და ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ "юный" გვეთარგმნა როგორც "ჭაბუკი", მისი მზარდი მიზანდასახული აგრესიულობის გამო, და არა როგორც "ნორჩი", "ახალგაზრდა"]. ჩელენის აზრით, "ჭაბუკი" გერმანია უნდა დაეუფლოს შუაევროპულ სივრცეს და შექმნას პლანეტარული მასშტაბის კონტინენტალური სახელმწიფო, წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანია დაიღუპება ისეთ გეოპოლიტიკურ სტრუქტურებთან ბრძოლაში, როგორიცაა რუსეთი, ინგლისი თავის კოლონიებით, საფრანგეთი და აშშ. ამისთვის ცენტრალური ევროპის

ხალხები უნდა გაერთიანდნენ ხარისხობრივად ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში, რომლის ღერძიც იქნებიან გერმანელები, ვინაიდან საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობა აიძულებს გერმანიას დაიცვას მთელი ევროპის მთავარი ინტერესები.

1916 წელს გამოქვეყნებულ თავის ძირითად ნაშრომში "სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმა", რუდოლფ ჩელენმა გაანალიზა ძალის ავტონომია და მისი გეოგრაფიული საფუძვლები. მისი აზრით, სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმათა ერთობლიობა შედგება ხუთი სასიცოცხლო ფორმისგან:

- ფიზიკურ-გეოგრაფიული (სივრცეში განფენილი ორგანიზმი – გეოპოლიტიკა);
  სამეურნეო (თავისი სპეციფიკური აქტიურობით – ეკოპოლიტიკა);
  როგორც ხალხი თავისი ეროვნული და ეთნიკური მახასიათებლებით – დემოპოლიტიკა;
  განსხვავებული კლასებისა და პროფესიების სოციალური ერთობა – სოციოპოლიტიკა;
  სახელმწიფო მართვის ფორმით მისი კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სტრუქტურებით –კრატოპოლიტიკა.

ჩელენის აზრით, ერთი და იგივე ძალის ეს ხუთივე ელემენტი, ხუთი თითის მსგავსად შრომობენ მშვიდობიან დროს და იბრძვიან ომის დროს.



პოლ ეიდალ დე ლა ბლანში(ფრ., Paul Vidal de la Blache)
(1845-1918) ფრანგი ისტორიკოსი, გეოგრაფი.

პოლ ვიდალ დე ლა ბლანში (1845–1918) ფრანგული გეოპოლიტიკური სკოლის დამაარსებელი, განათლებით ისტორიკოსი, პროფესიონალი გეოგრაფი. ერთი პერიოდი იგი გატაცებული იყო რატცელის პოლიტიკური გეოგრაფიით. დროთა განმავლობაში მისი იდეების საბოლოო სახით ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ტრადიციულმა ფრანგულმა გეოგრაფიულმა და ისტორიულმა კონცეფციებმა.

ვიდალ დე ლა ბლანშის გეოპოლიტიკური თეორიის ცენტრში დგას ადამიანი. იგი ითვლება პოლიტიკური გეოგრაფიის "ანთროპოლოგიური სკოლის" დამაარსებლად, ამ მიმართულებამ მიიღო პოსიბილიზმის სახელი (სიტყვიდან "possible" – შესაძლებელი), რომლის თანახმადაც პოლიტიკურ ისტორიას აქვს ორი ასპექტი: სივრცული (გეოგრაფიული) და დროითი (ისტორიული). გეოგრაფიული ფაქტორი ასახულია გარემოში, ისტორიული – ადამიანში, როგორც ინიციატივის მატარებელში. დე ლა ბლანშს რელიეფი არ მიაჩნდა სახელმწიფოს პოლიტიკური ისტორიის განმსაზღვრელ ფაქტორად, ვინაიდან ამ შემთხვევაში მცირდება ადამიანური თავისუფლებისა და ისტორიულობის ფაქტორი. მისი აზრით, გეოგრაფიული სივრცული მდგომარეობა უნდა განვიხილოთ "პოტენციურობად", "შესაძლებლობად", რომელიც შეიძლება განხორციელდეს და იქცეს ნამდვილ პოლიტიკურ ფაქტორად, თუმცა შეიძლება არც მოხდეს. ეს, ძირითადად, დამოკიდებულია სუბიექტურ ფაქტორზე – ადამიანზე, რომელიც სივრცეს იყენებს დასახლებისათვის.

1919 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომში "აღმოსავლეთ საფრანგეთი" ვიდალ დე ლა ბლანში ანალიზს უკეთებს საფრანგეთ – გერმანიის გეოპოლიტიკური მეტოქეობის პრობლემას – ელზასისა და ლოთარინგიის და მთლიანად აღმოსავლეთ საფრანგეთის პრობლემას. მან წამოაყენა იდეა გადაექციათ გერმანულენოვანი მიწები, რომელიც კვლავ დაუბრუნეს საფრანგეთს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ორ ქვეყანას შორის ურთიერთ თანამშრომლობის ზონად. ეს მდიდარი პროვინციები უნდა გამხდარიყვნენ რაც შეიძლება უფრო გამჭვირვალე, რათა სიკეთე მიეღო არა ვინმე მესამეს, არამედ ორივეს. თავისი არსით მან შექმნა ჯერ ფრანგულ – გერმანული სივრცის განვითარების ისტორიული მოდელი, ხოლო შემდეგ მთლიანი ევროპული გეოპოლიტიკური.

დე ლა ბლანში პირველ ადგილზე აყენებდა ადამიანის ნებასა და ინიციატივას. მისი აზრით, ადამიანი, ისევე როგორც ბუნება, შეიძლება განვიხილოთ როგორც "გეოგრაფიული ფაქტორი". ამავე დროს იგი ამ ფაქტორს ანიჭებდა ისტორიულ პროცესებზე სუბიექტის ზემოქმედების აქტიურ როლს. ამ

პირველად ქსოვილებში – საზოგადოებრივ უჯრედებში – თანდათანობით ყალიბდებიან გარკვეული "ცხოვრების წესები".

გარემოსთან ურთიერთობებისას ადამიანი იზრდება და ვითარდება. მას მიაჩნდა, რომ გეოგრაფიული ინდივიდუალურობა არ არის რაღაც ბუნების მიერ წინასწარ მოცემული; იგი არის მხოლოდ რეზერვუარი სადაც სძინავს ბუნების მიერ ჩადებულ ენერგიას, რომლის გაღვიძებაც მხოლოდ ადამიანს შეუძლია.

ეს პირველყოფილი კერები, ერთმანეთთან ურთიერთქმედების შედეგად იწყებენ იმ ცივილიზაციის ჩამოყალიბებას, რომელიც განიცდის რა ევოლუციას ფართოვდება და მოიცავს სულ უფრო და უფრო ახალ ტერიტორიებს. თუმცა გაფართოების ეს პროცესი ყოველთვის არ ვითარდება გამართულად. სტრუქტურების გაფართოების, გართულების პროცესში ცივილიზაცია განიცდის მიქცევას, ენერგიის ამოფრქვევებს ცვლიან კატასტროფები, რეგრესიული მოვლენები. თვით "პირველადი კერების" – უჯრედების ურთიერთობის ფორმები არის მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივი: მასში არის ზეგავლენა (ასიმილაცია), გადაღება და სრული განადგურებაც.

დე ლა ბლანშის თეორიის თანახმად ურთიერთმოქმედების პროცესი იწყება ჩრდილო ნახევარსფეროში ხმელთაშუა ზღვიდან ჩინეთის ზღვამდე. მისი აზრით, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ცივილიზაციის პირველადი კერების (ელემენტების) ურთიერთმქმედება მიმდინარეობდა თითქმის უწყვეტად და ერთმანეთის ცვლადი პოლიტიკური წარმონაქმნები ზედ ეფარებოდნენ ერთმანეთთან ურთიერთმოქმედ უამრავ მცირე კერას, ერთობას, ამ თავისებური მიკროკოსმოსების ამა თუ იმ კონფიგურაციას.

ამ სხვადასხვაგვაროვანი ელემენტების დაახლოება და ურთიერთმქმედება, ერთმანეთის ასიმილირებამ გამოიწვია იმპერიების, რელიგიების სახელმწიფოების წარმოქმნა, რომელთა თავზეც მეტნაკლები სიმკაცრით გადაიარა ისტორიის ქარბორბალამ. დე ლა ბლანშის აზრით, ეს პროცესი ევროპაში მიმდინარეობდა სპეციფიკური პირობების ზეგავლენით. მათი არსი კი მდგომარეობდა შემდეგში: აქ ერთიმეორის გვერდით განლაგებული იყო ყველაზე განსხვავებული გეოგრაფიული გარემო – ზღვები და მთები, სტეპები და ტყის მასივები, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი დიდი მდინარეები, განსხვავებული ლანდშაფტების ზონები, ნოყიერი ნიადაგი, ზღვის სანაპირო უბეები და ხელსაყრელი ყურეები. თბილი ზღვების ზეგავლენით განპირობებული კლიმატი არ არის მკაცრი, მაგრამ ამავდროულად არ უწყობს ხელს პარაზიტი მწერების გავითარებას და პარალიზებას არ უწევს ადამიანის მოღვაწეობას, პირიქით, იგი ხელს უწყობს მისი ენერგიის განვითარებას. ამ ფაქტორების ერთობლიობამ გამოიწვია მრავალწილად ევროპულ სივრცეში ცხოველმოქმედების ცალკეული კერების და მათი "ცხოვრების წესების" ყველაზე დიდი მრავალფეროვნების განვითარება.

სიცოცხლის ამ ელემენტების ურთიერთქმედება, გამდიდრება, ასიმილირება, გადაღებულის გამოყენების უნარი გახდა მიზეზი ევროპული ცივილიზაციის დინამიური გავითარების, მისი სიმდიდრის საფუძველი და მთავარი დამახასიათებელი ნიშანი.

ვიდალ დე ლა ბლანში სხვა გეოპოლიტიკოსებისაგან განსხვავებულად განიხილავს სახელმწიფოების, პოლიტიკური წარმონაქმნების როლს ცივილიზაციის განვითარების პროცესში. მისი აზრით სახელმწიფო უფრო წააგავს რაღაც გარეგნულს, მეორადს, დეტერმინირებულს ცივილიზაციის ლოკალური უჯრედების ურთიერთქმედების ხასიათითა და ფორმით. ეს ურთიერთქმედება მით უფრო აქტიურად მიმდინარეობს, რაც უფრო კარგადაა აწყობილი კომუნიკაციები ლოკალურ კერებს შორის: მდინარეები, ტბები, ზღვები, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები და სხვა. კომუნიკაციებს დიდი ადგილი აქვს დათმობილი დე ლა ბლანშის შრომებში. იგი ამტკიცებდა,

რომ მომავალში შესაბამისი კომუნიკაციების პირობებში, ცალკეული ცივილიზებული კერების აქტიური ურთიერთობის დროს შესაძლებელია მსოფლიო სახელმწიფოს შექმნა და ადამიანი ამ სახელმწიფოში თაეის თავს გააცნობიერებს როგორც "მსოფლიო მოქალაქე".

ვიდალ დე ლა ბლანშის თეორიაში საინტერესო ასპექტს წარმოადგენს აზრი, კონტინენტალურ და საზღვაო სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობის თანდათანობითი დარღვევა. ეს კონსოლიდაცია წარიმართება ხმელეთსა და ზღვას შორის პრინციპულად ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით. მას მიაჩნდა, რომ კონტინენტალური სივრცეები ხდებიან სულ უფრო და უფრო გამჭირვალე, ვინაიდან სრულყოფილი ხდება ყველა სახის კომუნიკაცია, ფართოვდება და მოდერნიზაციას განიცდის გზების ქსელი; საზღვაო გზები, გადაზიდვები სულ უფრო დამოკიდებული ხდება კონტინენტებთან კავშირზე. მისი აზრით, ხმელეთისა და ზღვის "ურთიერთშეღწევა" – არის უნივერსალური პროცესი.

ვიდალ დე ბლანშის მიხედვით სახელმწიფოს საზღვარი არის ცოცხალი გაცნობიერებული ფენომენი, იგი არ არის განპირობებული სახელმწიფოს "საგარეო" ჩარჩოებითა და უშუალოდ ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორებით.





**ალფრედ თაიერ მეჰენი (ინგ., Alfred Thayer Mahan)(1840-1914)**
**ამერიკელი სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, კონტრ-ადმირალი. გეოპოლიტიკის ერთ-ერთი დამაარსებელი.**

ალფრედ თაიერ მეჰენი (1840-1914) ამერიკელი ადმირალი, სამხედრო თეორეტიკოსი, ზღვის კლაუზევიცად წოდებული. ნიუ-პორტის სამხედრო-საზღვაო კოლეჯის პროფესორი და 1886 წლიდან მისი პრეზიდენტი. აშშ-ს პრეზიდენტების მაკ-კინლის და თეოდორ რუზველტის მრჩეველი. აღსანიშნავია ერთი გარემოება: თეოდორ რუზველტი თავის თავს თვლიდა მეჰენის მოწაფედ და ამით ხაზს უსვამდა მასთან სოლიდარობას. მეჰენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სივრცულ ფაქტორს.

ზღვების სპეციფიკაზე მსჯელობისას, იგი აღნიშნავს რომ ზღვას გააჩნია დიდი გზის თავისებურებები, სადაც იკვეთებიან სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი უამრავი გზები. ზოგიერთი მათგანი სხვებთან შედარებით უკეთ არის გაყვანილი და უფრო ხშირად სარგებლობენ. ამ გზებს სავაჭრო გზებს ეძახიან. ამ დებულების საფუძველზე მეჰენი იძლევა ნებისმიერი საზღვაო სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი მიზნის განსაზღვრას: საკვანძო პოზიციებზე (პორტები, ბაზები) კონტროლი. მისი აზრით, „საზღვაო სიძლიერე უპირველეს ყოვლისა ნიშნავს სტრატეგიული პუნქტების ფლობას, მაგრამ თვით სიძლიერე ვლინდება ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტის არსებობაში." ეს ფორმულირება გულისხმობს ფართო და ნათელ სივრცულ ხედვას (მაგალითად: იმ კუნძულების კონტროლის აუცილებლობა, რომელთა მახლობლად გადიან უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები, სხვადასხვა ზღვების შემაერთებელ სრუტეებზე კონტროლი და სხვა.). ამ პოზიციების ხელში ჩაგდება ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს უნდა განხორციელდეს, ხოლო მათი გამაგრება მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას. ამ ასპექტში ვლინდება მსგავსება საზღვაო სტრატეგიასა და გეოპოლიტიკას შორის: ერთიც და მეორეც გულმოდგინედ აფასებენ სივრცულ ფაქტორებს, მათ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო გავლენას.

მეჰენმა თავისი თეორიები ააგო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად წარმოშობილ საზღვაო და კოლონიალურ წინააღმდეგობებზე (საფრანგეთი-ინგლისი). იგი ბრიტანულ მიზანმიმართულებას უპირისპირებს ხშირად ცვალებად ფრანგულ პოლიტიკურ კურსს, რომელსაც არ შესწევდა უნარი თანხმობაში მოეყვანა კოლონიალური ინტერესები და პარიზის კონტინენტალური ამბიციები. XVI-XX საუკუნეებში ბრიტანეთი ახდენს თავისი პოლიტიკის შესაშური უცვლელობის დემონსტრირებას. უზრუნველყოს საკუთარი ბატონობა ზღვებსა და ოკეანეებზე, ხელი შეუშალოს ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს დაამყაროს კონტინენტზე საკუთარი განუსაზღვრელი

ზეგავლენა (ამიტომ ეომებოდა ინგლისი ლუი XIV-სა და ნაპოლეონის საფრანგეთს, ვილჰემ II-სა და ჰიტლერის გერმანიას.)

XVIII საუკუნიდან მოყოლებული (1701-1714) ომი ესპანეთის მემკვიდრეობისთვის) მეორე მსოფლიო ომამდე ინგლისი მტკიცედ მისდევდა თავის გეოპოლიტიკურ დებულებებს რომელთა მიზანი იყო ზღვაზე ბატონობის უზრუნველყოფა, ანუ კონტროლი ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საზღვაო გზაზე ბალტიიდან – ჩინეთამდე (გიბლარტარი, კეთილი იმედის კონცხი, სუეცი, ადენი, ორმუზის სრუტე, სინგაპური, ჰონკონგი) ინგლისი ყოველ ომსა და გამარჯვებას იყენებდა ამ სტრატეგიული პოზიციების გაფართოებისა და განმტკიცებისათვის. ამერიკელი მეჰენისათვის ინგლისის ზღვაზე ბატონობა წარმოადგენდა მიბაძვის საუკეთესო მაგალითს და იმ მიღწევას, რომლისთვისაც ამერიკას უნდა გაესწრო.

მეჰენი წარმოადგენს ამერიკული გეოპოლიტიკური სკოლის ფუძემდებელს, რომლის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენენ:

- პრაქტიკულ შედეგზე ორიენტირება (გაბატონებულ პოლიტიკურ ფილოსოფიას წარმოადგენდა უტილიტიზმი და პრაგმატიზმი;
  გრძელვადიანი თეორეტიკული კონსტრუქციების უარყოფა (აღიარებდნენ საერთაშორისო პოლიტიკური წონასწორობის დინამიურობას ან არასტაბილურობას);
- ფსონი – ძალის შეზღუდულ გამოყენებაზე (გეოგრაფიული სიშორის გამო მსხვილი სამხედრო ძალების გადასროლის შეუძლებლობა);
- ნამდვილი პლანეტარული მასშტაბის მოქმედების ტენდენცია (მზარდი სიძლიერე და ეკონომიკური გავლენის გავრცელება მთელს მსოფლიოში).

მსგავსი გეოპოლიტიკური სახის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგმა ნიშნებმა:

- ძირითად მეტოქეებთან მიმართებაში არსებული გეოგრაფიული დისტანცია მსოფლიო არენაზე (საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების ეპოქამდე ამერიკის შეერთებული შტატები საიმედოდ იყო დაცული საგარეო საფრთხისაგან);
- სახელმწიფოს ეკონომიკის ტექნოლოგიური ორიენტირება (ინდუსტრიალიზაცია აშშ-ში დაემთხვა საინფორმაციო და კომპიუტერულ რევოლუციებს);
- სახელმწიფო მართვის სპეციფიკური კულტების ფორმირება (ფედერალიზმმა გაათავისუფლა ცენტრალური მთავრობა მოვალეობების აბსოლუტური უმრავლესობისაგან და დაუტოვა მას საგარეო და გეოპოლიტიკური რესურსები);

მეჰენის შემოქმედების მთავარ თემას შეადგენდა "საზღვაო ძლევამოსილების" (Sea Power) თემა. მას მიაჩნდა, რომ სახელმწიფოების ბედზე და ომების ისტორიაზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ საზღვაო შეიარაღებული ძალები. აქედან გამომდინარე იგი შეეცადა დაემყარებინა უშუალო კავშირი სახელმწიფოს გეოგრაფიულ მდებარეობას, "ხალხის ხასიათსა" და 'საზღვაო ძლევამოსილებას" შორის. ". ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვანია "საზღვაო" და "სახმელეთო" ერების შეპირისპირებისას: პორტუგალიელები და ესპანელები გამოირჩეოდნენ "სასტიკი სიძუნწით", ხოლო ინგლისელები და ჰოლანდიელები კი "თავისი ბუნებით საქმიანი ადამიანები" იყვნენ; ინგლისელების "ეროვნული გენიით" აიხსნება "კოლონიების ათვისების უნარი".

მეჰენის მტკიცების თანახმად ევროპისა და ამერიკის ისტორია განპირობებული იყო უპირველეს ყოვლისა სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარებით. იგი წერდა: " პოლიტიკა იცვლებოდა, როგორც ეპოქის ხასიათის,

ასევე მმართველების ხასიათისა და შორსმჭვრეტელობის მეოხებით. მაგრამ ზღვისპირა ერების ისტორია განისაზღვრებოდა არა იმდენად მმართველების მოხერხებულობითა და წინდახედულებით, არამედ სანაპირო ზოლის მდებარეობით, განფენილობითა და მოხაზულობით, ხალხის რაოდენობითა და ხასიათით, ანუ იმ ყველაფრით, რასაც ეწოდება ბუნებრივი პირობები". ეს "ბუნებრივი პირობები" მოითხოვენ ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნას, რომელსაც თავის მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს "ეროვნული ბედისათვის".

მეჰენი ყველა ნაშრომში გულმოდგინედ ატარებს აზრს, რომ საზღვაო ძლევამოსილება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნებისა და ხალხების ისტორიულ ბედს: "ზღვების შესაბამისი გამოყენება და მათზე კონტროლი შეადგენენ მხოლოდ ერთ რგოლს გაცვლის იმ ჯაჭვში, რომლის დახმარებითაც (ქვეყნები) ახდენენ სიმდიდრის აკუმულირებას... მაგრამ ეს არის ცენტრალური რგოლი"

ალფრედ მეჰენისათვის პოლიტიკის უმთავრეს ინსტრუმენტს ვაჭრობა წარმოადგენდა, ხოლო სამხედრო მოქმედებებმა მხოლოდ ყველაზე ხელსაყრელი პირობები უნდა უზრუნველყონ პლანეტარული სავაჭრო ცივილიზაციის შესაქმნელად. იგი ეკონომიკურ ციკლს განიხილავს სამ ასპექტში:

- წარმოება (საქონლისა და მომსახურების გაცვლა სანაოსნო გზების მეშვეობით);

  ნავიგაცია (იგი ახდენს ამ გაცვლის რეალიზაციას);

  კოლონიები (რომლებიც ახორციელებენ საქონელბრუნვის ცირკულაციას მსოფლიო დონეზე).

მეჰენს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს გეოპოლიტიკური სტატუსისა და პოზიციის ანალიზი უნდა განხორციელდეს შემდეგი კრიტერიუმების საშუალებით:

- სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ზღვებზე გასასვლელი და სხვა სახელმწიფოებთან საზღვაო კომუნიკაციების შესაძლებლობა. სახმელეთო საზღვრების განფენილობა, უნარი გააკონტროლოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონი. უნარი საკუთარი ფლოტით დაემუქროს მეტოქის ტერიტორიებს. [აქ მეჰენისათვის მთავარი არის საზღვაო სანაპირო ხაზები და სახმელეთო საზღვრების არქონა, რომელიც მოითხოვს ქვეყნის კონტინენტალურ გაფართოებას ომების მეშვეობით, რაც თავის მხრივ იწვევს ქვეყნის სიმდიდრის მაქსიმალურ გამოფიტვას. ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეიძლება მოითხოვოს საზღვაო ძალების ან შეჯგუფება, ან კიდევ გაფანტვა. მისი აზრით, "ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა შეიძლება არა მარტო ხელს უწყობდეს მისი ძალების თავმოყრას, არამედ აქვს სხვა სტრატეგიული უპირატესობაც — ცენტრალური პოზიცია და კარგი ბაზა შესაძლო მტრების წინააღმდეგ საომარი ოპერაციების საწარმოებლად".]
- სახელმწიფოს "ფიზიკური კონფიგურაცია", ანუ საზღვაო სანაპიროების მოხაზულობა და მათზე განლაგებული პორტების რაოდენობა. ამაზე არის დამოკიდებული ვაჭრობის აყვავება და სტრატეგიული დაცულობა. მეჰენს მართებულად მიაჩნია, რომ ქვეყნის სანაპიროების ხაზი — არის მისი ერთ-ერთი საზღვარი, და რაც უფრო ადვილია საზღვაო საზღვრების მეშვეობით სხვა ქვეყნებში შეღწევა, მით უფრო ძლიერია ხალხის სწრაფვა მასთან ურთიერთობისათვის. ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია დიდი განფენილობის სანაპირო ზოლი, მაგრამ საერთოდ არა აქვს ნავსადგურები, ვერ განვითარდება ვერც საზღვაო ნაოსნობა, ვერც საზღვაო ვაჭრობა და ვერც სამხედრო ფლოტი. სამხედრო უშუალობით

იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ერთ გარემოებას: თუ ზღვა ქვეყანას ჰყოფს ორ ან მეტ ნაწილად, ამ ქვეყნის ფლობა არა თუ სასურველი, არამედ არსებითად აუცილებელიც არის. აშშ-ს ადგილმდებარეობის ანალიზისას იგი აღნიშნავს, რომ მის ტერიტორიაზე ცოტაა ისეთი პუნქტები, რომლებიც სუსტები არიან თავიანთი იზოლირებული მდგომარეობის გამო, შტატების საზღვრების ყველა მნიშვნელოვანი ნაწილი ადვილი მისადგომია შიდა ოლქებიდან – იაფად წყლით, სწრაფად რკინიგზით. ხოლო მისი უსუსტესი საზღვარი, წყნარი ოკეანე, ძალიან შორს არის შესაძლო მტრებს შორის ყველაზე სახიფათოსაგან.

- ტერიტორიის განფენილობა. იგი სანაპირო ხაზის სიგრძის ტოლი არის. მეჰენი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საზღვაო ძლევამოსილების განვითარებისათვის მნიშვნელობა აქვს არა ქვეყნის მიერ დაკავებული მილების რაოდენობას, არამედ მისი სანაპირო ხაზების სიგრძესა და ნავსადგურების ხასიათს;

  მოსახლეობის სტატისტიკური რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ხომალდების აგებისა და მათი მომსახურების შესაძლებლობის შეფასებისათვის. აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც იცნობს ზღვას. ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის მათ დასასაქმებლად, ხომალდებზე სამსახური, აგრეთვე ფლოტის მატერიალური ნაწილის ორგანიზაციისათვის. აქედან გამომდინარე მეჰენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ რეზერვების ფორმირებას, რომელთაც შეეძლებათ ფლოტში სამსახური.

- ეროვნული ხასიათი. ხალხის ვაჭრობის უნარიანობა, ვინაიდან საზღვაო ძლევამოსილება დაფუძნებული არის მშვიდობიან და ფართო მასშტაბიან ვაჭრობაზე. საინტერესოა ქვეყნის მოსახლეობის ეროვნული ხასიათის მეჰენისეული ანალიზი: "თუ საზღვაო ძლევამოსილება ნამდვილად ეყრდნობა მსოფლიო და ფართო ვაჭრობას, მაშინ კომერციული საქმიანობისადმი სწრაფვა უნდა იყოს იმ ერის განმასხვავებელი ნიშანი, რომლებიც ამა თუ იმ დროს დიდები იყვნენ ზღვაზე". იგი ამტკიცებს, რომ პორტუგალიელებისა და ესპანელებისათვის მომხვეჭელობის წყურვილი გადაიქცა სასტიკ სიძუნწეში. თუმცა სიმდიდრისაკენ სწრაფვაში მათ გააჩნდათ სხვა დიდი თვისებებიც: სიმამაცე, გერგილიანობა, ზომიერება, ტანჯვა-წვალების მოთმენის უნარი, განვითარებული ეროვნული გრძნობა. ეროვნული ხასიათი თავის მხრივ გავლენას ახდენს საზღვაო ძლევამოსილების განვითარებაზე, ერის უნარით დააარსოს აყვავებული კოლონიები. მეჰენს მიაჩნია, რომ კოლონისტი აიგივებს საკუთარ ინტერესებს ახალი საცხოვრებლის ინტერესებთან და თავიდანვე ზრუნავს თავისი ახალი ქვეყნის რესურსების განვითარებაზე.

- მმართველობის პოლიტიკური ხასიათი. ვინაიდან მასზე არის დამოკიდებული საუკეთესო ბუნებრივი და ადამიანური რესურსების მიზნობრივი პერეტრუბაცია საზღვაო ძლევამოსილების შესაქმნელად. მეჰენს მიაჩნია, რომ საზღვაო ძლევამოსილების განვითარება დამოკიდებულია მთავრობის სიბრძნეზე, ენერგიასა და ჟინზე. მან უნდა გაითვალისწინოს საკუთარი ხალხის ბუნებრივი მიდრეკილებები, ხელი შეუწყოს მის ყოველმხრივ ზრდასა და განვითარებას. მთავრობა მით უფრო სანდოა, რაც უფრო დიდია მის მოღვაწეობაში ხალხის ნება. დესპოტური ხელისუფლება დასახულ მიზანთან შეიძლება უფრო მალე მივიდეს და უფრო ნაკლებად გადაიხაროს დასახული გეგმიდან, ვიდრე ეს შესაძლებელია თავისუფალი ხალხის მთავრობისაგან. ბრძენი მთავრობა,

რომელიც ეყრდნობა საზღვაო ძლევამოსილებას, ადვილად დაიპყრობს ერთ ან რამდენიმე ქვეყანას.

მეჰენის აზრით, ჩამოთვლილი ფაქტორების ხელსაყრელი შეხამების შემთხვევაში, მოქმედებაში შედის ფორმულა: N+MM+NB=SP, ანუ სამხედრო ფლოტი + სავაჭრო ფლოტი + სამხედრო-საზღვაო ბაზები = საზღვაო ძლევამოსილება. ყურადსაღებია თავისი იდეის მეჰენისეული რეზიუმირება: "ერის ფინანსურ სიძლიერეს არყევს არა მოწინააღმდეგის ცალკეული ხომალდებისა და ქარავნების ხელში ჩაგდება, არამედ სრული უპირატესობა ზღვაზე, როდესაც მისი ზედაპირიდან განდევნილია მოწინააღმდეგის დროშა... ამგვარი უპირატესობა საშუალებას იძლევა დამყარდეს კონტროლი ოკეანეებზე... მსგავსი უპირატესობის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ დიდი ფლოტების მეშვეობით". მსგავს პოსტულატებზე დაყრდნობით მეჰენი ასაბუთებს აშშ-ს უძლიერეს სამხედრო-საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევის იდეას. ხოლო იმისათვის, რომ აშშ გადაიქცეს მსოფლიო სახელმწიფოდ მან უნდა:

- აქტიურად ითანამშრომლოს ბრიტანეთის საზღვაო სახელმწიფოსთან;
- წინააღმდეგობა გაუწიოს გერმანიის საზღვაო პრეტენზიებს;
- ყურადღებით უთვალთვალოს იაპონიის ექსპანსიას წყნარ ოკეანეში და წინააღმდეგობა გაუწიოს მას;

კოორდინაცია გაუკეთოს ევროპელებთან ერთად ერთობლივ მოქმედებას აზიის ხალხების წინააღმდეგ.

მეჰენის აზრით, "საზღვაო ცივილიზაციისათვის" მთავარ საფრთხეს წარმოადგენენ ევრაზიის კონტინენტალური სახელმწიფოები: რუსეთი, ჩინეთი და გერმანია. ამ სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა მთავარ გრძელვადიან სტრატეგიულ ამოცანას. ამ მიზნით მეჰენმა პლანეტარულ დონეზე გადაიტანა "ანაკონდას" პრინციპი. ["ანაკონდას" პრინციპი გამოიყენა ამერიკელმა გენერალმა მაკ-კლელანმა 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის დროს: მოწინააღმდეგის ტერიტორიების ბლოკირება ზღვიდან და სანაპირო მისადგომებიდან, რასაც მოჰყვება მოწინააღმდეგის თანდათანობითი სტრატეგიული დაუძლურება]

მეჰენისეული "ანაკონდას" არსი მდგომარეობდა შემდეგში: ნომერ პირველ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს მოწინააღმდეგის ბანაკში "საზღვაო ძლევამოსილების" არ დაშვება; მოწინააღმდეგის დასუსტება იმ ძირითადი პარამეტრების მიხედვით, რომელიც საჭიროა "საზღვაო ძლევამოსილების" მისაღწევად; მოწინააღმდეგის სანაპირო სივრცის, ნებისმიერი საშუალებით, ჩამოშორება კონტინენტალური მასისაგან; მოწინააღმდეგის ბანაკში ინტეგრაციული წარმონაქმნების შექმნის დაუშვებლობა; "ანაკონდის" საბოლოო მიზანია ევრაზიული სახელმწიფოების (რუსეთი, ჩინეთი, გერმანია) მოგუდვა ანაკონდას რკალებით, კონტინენტალური მასის გასრესვა სანაპირო ზოლების მისი კონტროლიდან გამოყვანის ხარჯზე და შეძლებისდაგვარად საზღვაო სივრცისაკენ ყველა გასასვლელის გადაკეტვა.



**სერ ჰელფორდ ჯონ მაკინდერი (ინგ., Halford John Mackinder) (1861-1947) ინგლისელი გეოგრაფი და გეოპოლიტიკოსი. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი**

სერ ჰელფორდ ჯონ მაკინდერი (1861-1947) ინგლისელი მკვლევარი და პოლიტიკური მოღვაწე. ლონდონისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი, თემთა პალატის დეპუტატი, ბრიტანეთის იმპერიის ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

მაკინდერს ეკუთვნის მსოფლიოს პოლიტიკური ისტორიის ყველაზე ორიგინალური და რევოლუციური გააზრების იდეა, რომლის სათავე მოცემულია მოხსენებაში "ისტორიის გეოგრაფიული ღერძი", გამოქვეყნდა 1904 წელს. აქ მან ჩამოაყალიბა გეოპოლიტიკის ძირითადი კანონი, რომლის ძირითადი იდეა არის გიგანტური კონტინენტალური მასისა (ევროპა, აზია, აფრიკა) და ოკეანური მასის (ანგლო-საქსონური საზღვაო სახელმწიფოები) დაპირისპირება. ამ გიგანტურ კონტინენტალურ მასას გააჩნია "შუაგული" წარმოქმნილი რუსეთის, ურალის, დასავლეთ ციმბირის, ყაზახეთის, სინცზიანისა და მონღოლეთის მიერ.

მაკინდერის მთავარი თეზისი შემდეგში მდგომარეობს: სახელმწიფოსათვის ყველაზე ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას წარმოადგენს შუაგული, ცენტრალური მდებარეობა. ცნება "ცენტრალური" – ფარდობითია. მაკინდერი ცენტრალურზე ლაპარაკობს პლანეტარული მასშტაბით. მისი ლოგიკით მსოფლიოს ცენტრში იმყოფება ევრაზიის კონტინენტი, ხოლო ამ უკანასკნელის ცენტრში კი – "მსოფლიოს გული", ანუ "Heartland" – ევრაზიის კონტინენტალური მასები, ყველაზე ხელსაყრელი ტერიტორია მსოფლიოზე კონტროლის დასამყარებლად. (ტერმინი **"Heartland"** შემოიღო არა მაკინდერმა, არამედ მისმა თანამემამულემ გეოგრაფმა ფეირგრივმა 1915 წელს).

მაკინდერი წერს: "ევრაზიის უკიდეგანო სივრცე მიუწვდომელი საზღვაო ხომალდებისათვის, ძველად ღია იყო მომთაბარეთა ურდოებისათვის. დღეს კი იგი იფარება სარკინიგზო მაგისტრალების ქსელით, – ხომ არ წარმოადგენს იგი მსოფლიო პოლიტიკის ღერძულ რეგიონს? აქ არსებობდა და დღესაც არსებობს პირობები მობილური სამხედრო და ეკონომიკური ძლიერების შესაქმნელად... რუსეთმა შეცვალა მონღოლების იმპერია. მომთაბარე ხალხების მარდი ცენტრიდანული რეიდების ადგილი დაიკავა მისმა ზეწოლამ ფინეთზე, პოლონეთზე, თურქეთზე, სპარსეთსა და ჩინეთზე. მსოფლიოში მას უკავია ცენტრალური სტრატეგიული პოზიცია, მსგავსი პოზიცია ევროპაში უკავია გერმანიას. რუსეთს შეუძლია დარტყმები განახორციელოს ყველა მიმართულებით, და ამავდროულად მიიღოს დარტყმები ყველა მხრიდან, გარდა ჩრდილოეთისა– ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე სახის სოციალურმა

რევოლუციამ შეძლოს შეცვალოს მისი ფუნდამენტალური დამოკიდებულება მისი არსებობის უკიდეგანო გეოგრაფიული არეალისადმი..."

მაკინდერის აზრით ჰართლენდის უძლეველობის მიზეზი მდგომარეობს შემდეგში: საზღვაო ფლოტს არ შეუძლია შეიჭრას ამ ზონაში, ხოლო საზღვაო სახელმწიფოების ჯარების ყველა მცდელობა (კარლოს XII, ნაპოლეონი, ჰიტლერი) დაემორჩილებინათ ევრაზიის უზარმაზარი სივრცე კრახით დამთავრდა.



კარლოს XII



ნაპოლეონი



ჰიტლერი

მაკინდერს მიაჩნდა, რომ ნებისმიერი კონტინენტური სახელმწიფო (რუსეთი, გერმანია, ჩინეთი), რომელიც დაიკავებს გაბატონებულ მდგომარეობას ღერძულ რეგიონში, შეძლებს ოკეანური სამყაროს ფლანგებიდან შემოვლას. სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე მაკინდერი აკეთებს შემდეგ დასკვნას: საზღვაო ხალხებმა და სანაპირო მიწების ხალხებმა აუცილებელია შეაკავონ "შუამდებარე მიწის" ხალხები.

მაკინდერი დედამიწას განიხილავს, როგორც ერთიან მთლიანს. მისი აზრით მთელი მსოფლიო, თვით ყველაზე მივარდნილი და ნაკლებად ცნობილი კუთხეებიც კი, უნდა განიხილებოდეს როგორც სრული პოლიტიკური მითვისების ობიექტი.

- დედამიწის ძირითადი ნაწილი (ცხრა მეთორმეტედი) უკავიათ ზღვებსა და ოკეანეებს. ატლანტიკის, ინდოეთის, წყნარი და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანეები სინამდვილეში წარმოადგენენ ერთიანი მსოფლიო ოკეანის შემადგენელ ნაწილებს.

  დედამიწის ზედაპირის სამი მეთორმეტედი უკავია ხმელეთს, რომლის ორი მეთორმეტედი მოდის მსოფლიო კუნძულზე (World Island) და რომელშიც შედის ოდითგანვე ცნობილი სივრცე: ევროპა, აზია, აფრიკა.

  დედამიწის უკანასკნელ მეთორმეტედ ნაწილს შეადგენენ პერიფერიული კუნძულები (Outlying Islands): ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა, ავსტრალია, რომლებიც მსოფლიო ისტორიისათვის ცნობილი ხდებიან XV და XVIII საუკუნეებში.

მაკინდერის მიერ პლანეტარული სივრცე სტრუქტურირებულია კონცენტრიული წრეების სისტემით. ამ სისტემის ცენტრში იმყოფება "ისტორიის გეოგრაფიული ღერძი", ანუ "ღერძული არეალი" (pivot area). ეს "ღერძული" რეალობა იწოდება "შუაგულ მიწად" (Heartland).

ამ სახმელეთო სიძლიერის ცენტრის გარშემო კონცენტრიული ნახევარწრეების სახით არის განლაგებული "შიდა", ანუ "განაპირა ნახევარმთვარე" (inner crescent), ჰართლენდის თავისებური დამცავი ზოლი, რომელშიც შედის ციმბირის უკაცრიელი სივრცე, ჰიმალაის ქედი, გობის, ტიბეტისა და ირანის უდაბნოები. აქ არის მხოლოდ ერთი სერიოზული რღვეული, ევრაზიული ბარი – გადაჭიმული ატლანტიკის ოკეანიდან აზიის

ცენტრამდე. მაკინდერის აზრით "შიდა ანუ განაპირა ნახევარმთეარე", რომელიც ემთხვევა კონტინენტის მონაპირე სივრცეებს, განიცდის ეგრეთ წოდებული "ხმელეთის ყაჩაღებისა" და "ზღვის ყაჩაღების" მუდმივ ზეწოლას. ამიტომ ეს ზონა, განიცდის რა განსხვავებულ კულტურულ ზეგავლენას, ხდება ცივილიზაციის ყველაზე დინამიური განვითარების ზონა. ისტორია ბრუნავს გეოგრაფიული, კონტინენტალური ღერძის გარშემო.

"შიდა ნახევარმთვარის" ზონის პერიფერიაში იმყოფებიან **ზღვისპირა რაიონები (coastlands)**, ნახევარკუნძულები, სადაც თავმოყრილია დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი: ევროპა, არაბეთი, ინდოეთის სუბკონტინენტი, ჩინეთის ზღვისპირა რაიონები. Coastlands-ის საზღვრებზე არის განლაგებული: დიდი ბრიტანეთი და იაპონია. "შიდა ნახევარმთვარის" შემდეგ მდებარეობს **"გარე ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარეს" (outer crescent)** ზონა, რომელიც გარეგანია მსოფლიო კუნძულის მატერიკებთან მიმართებაში არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ კულტურულადაც. ბოლო ნახევარწრეში შედიან ღია **ზღვის კუნძულები (outlying islads)**: ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა და ავსტრალია.

მაკინდერის ინტელექტუალური დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან დაამყარა კავშირი გეოგრაფიასა და ისტორიას შორის. ერთის მხრივ, ისტორიას არ შეუძლია არსებობა გეოგრაფიის გარეშე. ისტორია ვერ იარსებებს კონტინენტებისა და ოკეანეების, მთებისა და დაბლობების, მდინარეებისა და უდაბნოების მიღმა, "ადამიანების ისტორია განუყოფელია მსოფლიო ორგანიზმის სიცოცხლისაგან", ვინაიდან ადამიანური ამბიციები ექვემდებარებიან გეოგრაფიის გავლენას და იყენებენ მას. მეორე მხრივ, ისტორია მუდმივად ცვლის გეოგრაფიას ახალი ტექნიკური და ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე და ბოლოს ადამიანის ახალი ჩანაფიქრების წყალობით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სერ ჰელფორდ ჯონ მაკინდერმა შეიმუშავა საინტერესო გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომლის თანახმადაც:

- გეოგრაფიული ფაქტორები ახდენენ უშუალო ზემოქმედებას ისტორიული პროცესის მსვლელობაზე;
- გეოგრაფიული მდებარეობა მრავალწილად განსაზღვრავს სახელმწიფოს პოტენციურ სიძლიერესა და სისუსტეს;

  ტექნიკური პროგრესი ცვლის სახელმწიფოს გეოგრაფიულ გარემოს და დადებითად ან უარყოფითად ზემოქმედებს მის პოტენციალურ სიმძლავრეზე;
- ევრაზია – არის გლობალური პოლიტიკური პროცესების ცენტრი;

მაკინდერმა მსოფლიოს გეოპოლიტიკური ისტორია სამ ეტაპად დაჰყო:

- **კოლუმბამდელი ეპოქა** – "მსოფლიო კუნძულის" ხალხები (რომაელები) იმყოფებიან "შუამდებარე მიწის" ხალხების (გერმანელები, ჰუნები, ალანები, პართიელები) მხრინად დაპყრობის მუდმივი საფრთხის ქვეშ;
- **კოლუმბის ეპოქა** – "შიდა ნახევარმთვარის" ( სანაპირო ზონების) ხალხები იწყებენ დედამიწის უცნობი ტერიტორიების აღმოჩენასა და დაპყრობას. მათ ვერავინ ვერ უწევს სერიოზულ წინააღმდეგობას;
- **პოსტკოლუმბის ეპოქა** – "თავისუფალი", დაუპყრობელი მიწები აღარ არსებობენ. ცივილიზაციათა დინამიური პულსაციები განწირული არიან შეჯახებისათვის, რომლის დროსაც დედამიწის მოსახლეობა ჩათრეული აღმოჩნდება პლანეტარული მასშტაბის სამოქალაქო ომში.

მაკინდერისეული მსოფლიოს გეოპოლიტიკრი რუქა შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან:

- “ღერძული ზონა” (**Pivot Area**). იგი შეიცავს ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის მდინარეთა აუზებს და ორ ზღვას – კასპიისა და არალის ზღვებს;

  “გარე ნახევარმთვარე” (**Outer Crescent**), მასში შედის აშშ-ს, ინგლისისა და იაპონიის ტერიტორიები;

  “შიდა ნახევარმთვარე” (**Inner Crescent**), იგი მოქცეულია წინა ორ ნაწილს შორის და შეიცავს ჩინეთს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ინდოეთს და ასე შემდეგ.




მსოფლიო ჯონ მაკინდერის მიხედვით



**კარლ ჰაუსჰოფერი ( გერ., Karl Haushofer) (1869-1946) გერმანელი გეოგრაფი და სოციოლოგი. გეოპოლიტიკის გერმანული სკოლის ფუძემდებელი.**

კარლ ჰაუსჰოფერი (1869-1946) პროფესიონალი სამხედრო, არტილერიის გენერალ-მაიორი, დიპლომატი, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი. მსოფლიოში ყველაზე ცნობილი გეოპოლიტიკოსი, რომლის მოღვაწეობა უშუალოდაა დაკავშირებული გერმანიის ისტორიის სასტიკ და ტრაგიკულ პერიოდთან (1918-1945).

პირველი მსოფლიო ომის მონაწილე კარლ ჰაუსჰოფერი, საარტილერიო ბრიგადის მეთაური, დარწმუნებული იყო, რომ 1914-1918 წლებში გერმანიის წინააღმდეგ მიმდინარეობდა ომი განადგურებამდე. მისი ცხოვრების მთავარი მიზანი გახდა გერმანიის გადაქცევა დიდ სახელმწიფოდ. ამ საქმეში მას დეახმარა ჩელენის წიგნი "სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმა", რომლის გაცნობის შემდეგ, მისთვის გეოპოლიტიკა ხდება უმაღლესი მიზანი.

ჰაუსჰოფერს მიაჩნდა, რომ ბრიტანეთის იმპერია სულ მალე დაეცემა და მსოფლიოს ლიდერები თანდათანობით გახდებიან კონტინენტალური სახელმწიფოები, და პირველ რიგში, გერმანია.

1918 წლის დამარცხების შემდეგ ჰაუსჰოფერი გაორმაგებული ენერგიით ემსახურება თავის ქვეყანას: კითხულობს ლექციების კურსს მიუნხენის უნივერსიტეტში, აარსებს და გამოსცემს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე გეოპოლიტიკურ ჟურნალს **"Zeitschrift fur Geopolitik"**, გამოდის ლექციებით პანგერმანულ საზოგადებაში **Volkstum** ( ეს საზოგადოება მიზნად ისახავდა გერმანიასა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები გერმანელების გაერთიანებას), წერს უამრავ სტატიას, მოხსენებას, ანგარიშს, გამოაქვეყნა 400-ზე მეტი წიგნი, რომლებშიც ჩამოაყალიბა და განავითარა გეოპოლიტიკური იდეები. მან მოიპოვა უზარმაზარი ავტორიტეტი სამეცნიერო სამყაროში, სტუდენტები კი მას აღმერთებდნენ.

კარლ ჰაუსჰოფერის, პატრიოტისა და მეცნიერის, პოზიცია ნათლად ჩანს მისი შემდეგი გამოსვლიდან: "... გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერული პოლიტიკისა და დედამიწის ზედაპირის ნებისმიერი სივრცული გარდაქმნის საფუძველი, განსაკუთრებით მდიდარი კულტურის მქონე ხალხისათვის, რომელმაც განიცადა შემაძრწუნებელი შოკი და იმყოფება ჭარბდასახლებული კონტინენტის ცენტრში, შესაძლოა წარმოადგენს საერთო სასიცოცხლო

სივრცეში მყოფი მილიონობით ადამიანის შეხედულებათა შეთანხმების ერთერთ იშვიათ საშუალებას, თუნდაც იმ საკითხებში, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ყველასათვის.

გეოპოლიტიკური სფეროს სიღრმისეული შემეცნება თავისუფალი უნდა იყოს პარტიული წინასწარშექმნილი აზრისაგან, ერთნაირად მართებული როგორც უკიდურესი მემარცხენეებისათვის ასევე უკიდურესი მემარჯვენეებისათვის, რათა ნებისმიერმა, რომელიც ფლობს აუცილებელ გამოცდილებასა და გეოპოლიტიკურ ცოდნას, განახორციელოს სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, პოლიტიკური შეხედულებებისა და პარტიული კუთვნილების მიუხედავად..."[კარლ ჰაუსჰოფერი, 1931 წელს ბერლინის რადიოთი გამოსვლის ტექსტი].

ჰაუსჰოფერი იყო ტრაგიკული ბედის ადამიანი, რაც მრავალწილად განპირობებული იყო მისი შეხედულებებით. მისი აზრით, გერმანიის აღორძინება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როდესაც "ადამიანები ქუჩიდან ისწავლიან გეოპოლიტიკურ აზროვნებას, ხოლო ბელადები – გეოპოლიტიკურ მოქმედებას". ჰაუსჰოფერის მდგომარეობა კი ნაცისტურ გერმანიაში წარმოადგენდა იმ წინააღმდეგობის საუკეთესო ილუსტრაციას, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ეჯახება ინტელექტუალი ქვეყანაში, სადაც მმართველი რეჟიმი ვერ იტანს განსხვავებული აზრის თვით უმცირეს გამოვლინებასაც კი.

ერთის მხრივ, ჰაუსჰოფერისათვის, რომელიც ძალიან მტკივნეულად განიცდიდა 1918 წლის დამარცხებასა და გერმანიის ეროვნულ დამცირებას, ნაცისტები და ჰიტლერი განასახიერებდნენ იმ ძალას, რომელიც შეძლებდა მისი სკოლის გეოპოლიტიკური იდეების აღორძინებას და რეალიზაციას, გერმანელებისათვის "სასიცოცხლო სივრცის" მოპოვებას, გერმანელი ერის გაერთიანებას ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში (ავსტრიის ანშლუსი, გერმანელებით დასახლებული სუდეტის ოლქის მიტაცება, ვერსალის ხელშეკრულების დისკრიმინაციული პუნქტების გაუქმება და სხვა).

მეორეს მხრივ, ჰაუსჰოფერის არისტოკრატიული შეხედულებები და ბურჟუაზიული ფასეულობების იერარქიის მიმდევრობა ცუდად ეხამებოდა ჰიტლერულ სისტემას, მის პლებეურ მიდრეკილებას ძალადობისადმი, რევოლუციურ რადიკალიზმს, ანტისემიტიზმსა და რასისტულ ფანატიზმს (ჰაუსჰოფერის მეუღლე მართა მაიერ-დოსი ებრაელი იყო და რუდოლფ ჰესის, ჰიტლერის მოადგილის, მფარველობა რომ არა...). თავმოყვარეობა უშლიდა ხელს ჰაუსჰოფერს ეღიარებინა, რომ შეცდა, როდესაც მიენდო ჰიტლერს. მან ვერ გაბედა იმის გაკეთება, რაც გააკეთა მისმა დიდმა თანამემამულემ, ფილოსოფოსმა ოსვალდ შპენგლერმა, როდესაც განაცხადა, რომ: "ნაციონალ-სოციალიზმის ეგრეთ წოდებულ "იდეებში" ბევრი რამ არის მართებული, ოღონდ იმ პირობით, თუ მათ დეკლარირებას არ უწევენ ეს ბაქიები. ნაწილობრივ ისინი მე მეკუთვნიან ("პრუსიელობა და სოციალიზმი"), ნაწილობრივ კი სათავეს იღებენ უფრო ადრეულ ეპოქაში ბისმარკთან და თვით ფრიდრიხ ვილჰემ I-თან. მაგრამ მაიმუნი რომ დაუსვათ როიალთან ბეთჰოვენის დასაკრავად, ის მხოლოდ დაამსხვრევს კლავიშებს და დახევს ნოტებს... მათ ვერ გაიგეს იდეები – ამისათვის ტვინია საჭირო... მათ ისინი გათელეს, შელახეს, ჩირქი მოსცხეს და დაიყვანეს ხულიგნურ ფრაზებამდე". **[Освальд Шпенглер. Закат Европы. М., 1993, с.113-114]**

რუდოლფ ჰესის მფარველობის მიუხედავად, ჰაუსჰოფერი ვერ ასცდა ნაცისტურ წნეხს. ნაცისტები არ ერიდებოდნენ არანაირ საშუალებებს საკუთარი განუსაზღვრელი ბატონობის დასამყარებლად. მათ უხეშად გაანადგურეს ნაციონალისტური მოძრაობის კონსერვატიული ფრთა, რომელსაც ჰაუსჰოფერი ეკუთვნოდა; 1939 წელს აკრძალეს მისი წიგნი საზღვრებზე, სადაც განხილული იყო სამხრეთ ტიროლის საკითხი (ეს რაიონი 1919 წელს შეუერთეს იტალიას),

ვინაიდან ბენიტო მუსოლინი (იტალიის დუჩე) ითვლებოდა ჰიტლერული გერმანიის ძირითად მოკავშირედ; მისი ოჯახის თავზე დამოკლეს მახვილივით ეკიდა ნიურნბერგის რასისტული კანონების ამოქმედების საფრთხე (მისი ოჯახის წევრების არა "არიული" წარმოშობის გამო); მისი ვაჟი ალბრეხტი, მონაწილეობდა შეთქმულებაში ჰიტლერის წინააღმდეგ და 1944 წლის 20 ივლისის შტაუფენბერგის წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ, დააპატიმრეს და 1945 წლის აპრილში სიკვდილით დასაჯეს.



რუდოლფ ჰესი (გერ., Rudolf Heß) (1894- 1987) ადოლფ ჰიტლერის მოადგილე

ჰაუსჰოფერის ტანჯვა ამით არ დამთავრებულია. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე იგი დააპატიმრეს ამერიკელებმა, როგორც "თვალსაჩინო ნაცისტი" და გადასცეს ნიურნბერგის ტრიბუნალს. მას აუკრძალეს ლექციების კითვა მიუნხენის უნივერსიტეტში. ჰაუსჰოფერმა, დაკარგა რა ყველაფერი რისთვისაც ღირდა სიცოცხლე, 1946 წლის 10 მარტს მეუღლესთან ერთად თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

გეოპოლიტიკური პრობლემების კვლევის ცენტრმა XX საუკუნის დასაწყისში გადაინაცვლა გერმანიაში, ქვეყანაში, რომელმაც განიცადა ყველაზე დიდი დანაკარგები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

გერმანული გეოპოლიტიკა აღმოცენდა სამი ტენდენციის საფუძველზე:

- რიტერისა და რატცელის პოლიტიკურ გეოგრაფიაზე;
- ჩელენის პოლიტიკურ გეოგრაფიასა და ორგანულ პოლიტოლოგიაზე;
- მაკინდერის პოლიტიკურ გეოგრაფიაზე, მის "ისტორიის მამოძრავებელ ძალაზე" და "ხმელეთი – ზღვა"-ს დუალიზმზე.

გერმანული გეოპოლიტიკა – არის პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებისა და ვერსალის "დიქტატის" შედეგი. გერმანელი მეცნიერების წინაშე იდგა ამოცანა: შეემუშავებინათ თეორია, რომელიც დაეხმარებოდა გერმანიას დაეკავებინა სათანადო ადგილი ევროპასა და მსოფლიოში. ჰაუსჰოფერის აზრით, აუცილებელი იყო რატცელის "პოლიტიკური გეოგრაფიის" ჩარჩოებს გაცილება და მისი შეცვლა "გეოპოლიტიკით". მისი განმარტების თანახმად, პოლიტიკური გეოგრაფია სწავლობს სახელმწიფო ხელისუფლების სივრცეში განაწილებისა და ამ სივრცეში მისი განხორციელების საკითხებს, მაშინ როდესაც გეოპოლიტიკის საგანს წარმოადგენს "პოლიტიკური მოღვაწეობა ბუნებრივ სივრცეში".

ჰაუსჰოფერი წერს: "გეოპოლიტიკა არის მეცნიერება მიწისა და პოლიტიკური პროცესების ურთიერთობის შესახებ. იგი დაფუძნებულია პოლიტიკური გეოგრაფიის ფართო ფუნდამენტზე, რომელიც არის მეცნიერება სივრცეში პოლიტიკური ორგანიზმებისა და მათი სტრუქტურის შესახებ. უფრო მეტიც, გეოპოლიტიკის მიზანს წარმოადგენს შესაბამისი საშუალებებით აღჭურვოს პოლიტიკური მოქმედება და მიმართულება მისცეს პოლიტიკურ

ცხოვრებას მთლიანობაში. ამით გეოპოლიტიკა გადაიქცევა ხელოვნებად, სწორედ რომ პრაქტიკული პოლიტიკის ხელმძღვანელობის ხელოვნებად. გეოპოლიტიკა – ეს არის სახელმწიფოს გეოგრაფიული გონი".

ჰაუსჰოფერი თავის გამოკვლევებს წარმართავდა სამი მიმართულებით:

სასიცოცხლო სივრცის ცნება. მისი ღრმა რწმენით აუცილებლად უნდა აღდგენილიყო გერმანული კულტურული სივრცის ერთობა;

- მსხვილი ბლოკების ("პანგერმანიზმი", "პანსლავიზმი", "პანაზიატიზმი") აღმოცენებისა და ჩამოყალიბების დინამიკა. ჰაუსჰოფერი დარწმუნებული იყო, რომ მომავალი ეკუთვნის საერთო იდეით შეკავშირებულ მსხვილ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს. ამაში ის ხედავდა გაერთიანებისაკენ მსწრაფი ძალების კონტინენტალური და პლანეტარული მასშტაბის შეჯახებების მიზეზს. იმ დროს, როდესაც ბრიტანეთის იმპერია განწირულია დასაშლელად, პანაესტრალიური და საერთო ინდური იდეების ზემოქმედების შედეგად, სსრკ-სა და აშშ-ის სწორედ გაერთიანების იდეა წარმოადგენდა მათი სიძლიერის ფუნდამენტს: სსრკ-ში ხდება პანაზიური და ევრაზიული იდეების რეალიზაცია, ხოლო აშშ-ში პანამერიკული და პანწყნაროკეანისეული იდეების. [პანრეგიონი – დიდი, კონტინენტალური ზომის სივრცე, რომელიც გაერთიანებული და ორგანიზებულია პოლიტიკურად და ეკონომიკურად. პოლიტიკურ ასპექტში პანრეგიონი ორგანიზებულია პანიდეით, ხოლო ეკონომიკურ მიმართებაში წარმოადგენს ეკონომიკურად დაცულ სივრცეს (ავტარკიულ სივრცეს). ამ გეოპოლიტიკური ბლოკების ორგანიზაციული პრინციპი დაფუძნებულია პანიდეაზე (Panideen), რომელიც დასაბუთებული იყო ჰაუსჰოფერის მიერ 1931 წელს. იგი თავის ნაშრომებში განიხილავდა შემდეგ პანრეგიონებს: პანამერიკა, პანაფრიკა-გერმანია (ევროაფრიკა), პანაზია ("ერთობლივი აყვავების ზონა" იაპონიის მეთაურობით). პანრეგიონირების იდეა დაფუძნებული იყო ძალთა ბალანსზე და გავლენის სფეროების გაყოფაზე.
- ჰაუსჰოფერმა სიღრმისეულად შეისწავლა თავისი წინამორბედი გეოპოლიტიკოსების იდეები და ჩაწვდა პლანეტარული დუალიზმის არსს: "საზღვაო ძალები" "ხმელეთის" წინააღმდეგ.მან ჩამოაყალიბა საკუთარი გეოპოლიტიკური დოქტრინა – "კონტინენტალური ბლოკის" თეორია, რომლის არსი უბრალო და გენიალურია: უნდა შეიქმნას ბერლინი-მოსკოვი-ტოკიო-ს ღერძი, ანუ კონტინენტალური ბლოკი. ამ ბლოკში იგი ხედავდა ერთადერთ გამოსავალს საზღვაო სახელმწიფოების სტრატეგიის წინააღმდეგ. ის წერდა: "გერმანიას ბრალს სდებენ იმაში, რომ ჩვენ ვაქეზებთ ინდოეთისა და ინდოჩინეთის ფერადკანიან ხალხებს მათი "კანონიერი" ბატონების წინააღმდეგ– ჩვენ კი სინამდვილეში, ინგლისელი მაკინდერის ნაშრომზე დაყრდნობით, მთელ მსოფლიოში პროპაგანდას ვეწევით იმის იდეას, რომ მხოლოდ ღერძის სახელმწიფოების გერმანია-რუსეთი-იაპონია-ს მტკიცე კავშირი საშუალებას მოგვცემს ჩვენ ყველას ფეხზე დავდგეთ და გავხდეთ დაცულები ანგლო-საქსონური სამყაროს ანაკონდას მეთოდებისაგან... მხოლოდ ევრაზიის იდეა, პოლიტიკურად სივრცეში განსახიერებული, მოგვცემს ჩვენ, ჩვენი სასიცოცხლო სივრცის გრძელვადიან განვითარებას". [უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელი გეოგრაფებისა და გეოპოლიტიკოსებისათვის დამახასიათებელი იყო სოლიდარობა მესამე სამყაროსთან. მათ მიაჩნდათ, რომ გერმანელებსა და კოლონიალური ქვეყნების ხალხებს მსგავსი ბედი აქვთ: ისინი ერთნაირად არიან გასრესილნი ანგლო-საქსონური იმპერიალიზმის მიერ და ერთნაირად მიისწრაფიან სამყაროს უფრო სამართლიანი გადანაწილებისაკენ. ერთიანი ფრონტის (გერმანია-დამონებული ხალხები)

შექმნის ოცნება გაჩნდა გერმანულ პოლიტიკაში ცალკეული ინიციატივების სახით: ბერლინი-სტამბული-ბაღდადის რკინიგზის მშენებლობის მცდელობა 1903 წელს (ვილჰემ II-ს აღმოსავლური ოცნების შესრულებას ისახავდა მიზნად), 1941 წელს გერმანიამ მხარდაჭერა აღმოუჩინა ანტიბრიტანულ ნაციონალისტურ მთავრობას ერაყში, 1942 წელს ბერლინში პომპეზური მიღება მოუწყვეს იერუსალიმის დიდ მუფტის, როგორც სიონიზმის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლს (სიონიზმი მიიჩნეოდა მახლობელ აღმოსავლეთში ბრიტანეთის ბატონობის გამტკიცების მთავარ იარაღად).




მსოფლიო კარლ ჰაუსჰოფერის მიხედვით

ნიკოლას სპაიკმენი (ინგ., Nicholas John Spykman) (1893-1943) ამერიკელი მეცნიერი, საერთაშორისო ურთიერთობის პროფესორი, იელის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის დირექტორი. ალფრედ მეჰენის თეორიის გამგრძელებელი.

სპაიკმენი გეოპოლიტიკას განიხილავდა როგორც ეფექტური საერთაშორისო ურთიერთობების გამომუშავების მეთოდს. აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ყველა მისი გამოკვლევა ატარებდა პრაგმატულ ხასიათს.



**Fonte: Spykman N. J., *The Geography of the Peace*, 1944**

სპაიკმენს კარგად ესმოდა **"მარგინალური ნახევარმთვარის"** უპირატესობა აშშ-ს მომავალი გლობალური სტრატეგიისათვის. სპაიკმენის ძირითადი თეზისი მდგომარეობს შემდეგში: მაკინდერმა გადააფასა ჰართლენდის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. მისი აზრით, **"შიდა ნახევარმთვარის" – Rimland-ს** გეოგრაფიული ისტორია ყალიბდებოდა თავისთავად და არა **"ხმელეთის მომთაბარეების"** ზეგავლენით, როგორც მაკინდერი ამტკიცებდა.

სპაიკმენის მტკიცებით, ჰართლენდი არის სივრცე, რომელიც იღებს იმპულსებს სანაპირო ზონებიდან და არა პირიქით, შესაბამისად **Rimland – არის მსოფლიო ბატონობის გასაღები და ის ვინც დომინირებს მასზე, დომინირებს მთელ ევრაზიაზე და ხელში უჭირავს მსოფლიოს ბედ-იღბალი.**

სპაიკმენმა გამოჰყო სახელმწიფოს გეოპოლიტიკური სიმძლავრის შემდეგი კრიტერიუმები:

- ტერიტორიის ზედაპირი;
- საზღვრების ბუნება;
- მოსახლეობის მოცულობა;
- სასარგებლო წიაღისეულის არსებობა ან არარსებობა;
- ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარება;
- ფინანსური სიძლიერე,
- ეთნიკური ერთგვაროვნება;
- სოციალური ინტეგრაციის დონე;
- პოლიტიკური სტაბილურობა;
- ეროვნული სული.

თუკი რომელიმე სახელმწიფოს გეოპოლიტიკური შესაძლებლობების შედარების ჯამი ამ კრიტერიუმების მიხედვით არის მცირე, მაშინ ეს სახელმწიფო იძულებულია დათმოს საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილი.

სპაიკმენმა შემოიღო ახალი კატეგორია – "შუაგული ოკეანე" (**Midland Ocean**), ერთგვარი „შიდა ზღვა", როგორც იყო ხმელთაშუა ზღვა ძველ ისტორიასა და შუასაუკუნეებში. იგი გამოჰყოფს განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ რეალობას – „ატლანტიკის კონტინენტს", შეკავშირებულს დასავლეთევროპული წარმოშობის კულტურული ერთობით, ლიბერალ-კაპიტალიზმის იდეოლოგიით, დემოკრატიით, თავისი გვარის პოლიტიკური და ეთნიკური ბედის ერთობით.

ახალი ატლანტიკური ერთობის ტვინი ხდება დასავლეთ ევროპა და აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროს სარტყელი, კონტინენტის მთავარი ძალოვანი მექანიზმი – აშშ, რომელიც ფლობს მძლავრ სამხედრო-სამრეწველო და სავაჭრო პოტენციალს. რაც შეეხება ევროპას იგი არის აშშ-ს ეკონომიკური, სამხედრო და ინტელექტუალური დანამატი. მისი როლი და ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური სუვერენულობა უნდა შეიცვალოს. ძალაუფლება კონტინენტზე თანდათანობით გადავა საგანგებო სტრუქტურის გამგებლობაში. ეს სტრუქტურა გააერთიანებს მთელი „ატლანტიკური" ციკლის ლიდერებს. მთავარ როლს ამ სტრუქტურაში ითამაშებს აშშ.



**Fonte. Spykman N. J., *The Geography of the Peace*, 1944**

ნიკოლას სპაიკმენმა მაქსიმალურად განავითარა „ანაკონდას" იდეა. ამ იდეის არსს წარმოადგენს აზიისა და აფრიკის, არაბული ქვეყნების, ინდოეთისა და ჩინეთის სანაპირო ტერიტორიების მოგუდვა.

სპაიკმენი იყო საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების მომხრე. მისი აზრით, ნებისმიერი პოლიტიკური წესრიგის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ძალა.

სპაიკმენის გეოპოლიტიკა წარმოადგენდა კონკრეტული საერთაშორისო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, იმ ანალიტიკურ მეთოდს, და ფორმულათა სისტემას, რომელთა საშუალებითაც შეიძლება შემუშავებული იყოს ყველაზე ეფექტური სტრატეგია. იგი აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო ანარქიის სამყაროში საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს შედარებითი ძალისმიერი პოზიციის გაძლიერება თუ არა, შენარჩუნება მაინც. ძალა საბოლოო ჯამში შეადგენს უნარს აწარმოოს წარმატებული ომი, ხოლო გეოგრაფიაში ჩადებულია სამხედრო და პოლიტიკური სტრატეგიის გასაღები. სახელმწიფოს ტერიტორია – ეს არის ბაზა, საიდანაც ის

მოქმედებს ომის დროს, და სტრატეგიული პოზიცია რომელსაც იგი იკავებს დაზავების დროს, და ამ დროებით დაზავებას ეწოდება მშვიდობა. გეოგრაფია წარმოადგენს ყველაზე ფუნდამენტალურ ფაქტორს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში იმიტომ რომ ეს ფაქტორი არის ყველაზე მუდმივი. "მინისტრები მოდიან და მიდიან, კვდებიან თვით დიქტატორებიც, მაგრამ მთაგრეხილები რჩებიან ურყევად".



Fonte. Spykman N. J., *The Geography of the Peace*, 1944

მაკინდერისაგან განსხვავებით მსოფლიოს კონტროლის გასაღებად მას მიაჩნდა არა ჰართლენდი, არამედ ზღვისპირა ტერიტორიების ევრაზიული სარტყელი, ანუ „მარგინალური ნახევარმთვარე" რომელშიც შედის ევროპის, მახლობელ და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები, ინდოეთი, სამხრეთ აღმოსავლეთ აზია და ჩინეთი.

სპაიკმენის აზრით ევრაზიული ხმელეთის მასა და აფრიკისა და ავსტრალიის ჩრდილო სანაპიროები წარმოქმნიან სამ კონტინენტალურ ზონას, ისინი ფუნქციონირებენ მსოფლიო პოლიტიკაში შემდეგი გეოპოლიტიკური რეალობის ცნებებში:

- ჩრდილო ევრაზიული კონტინენტის ჰართლენდი;
- მის გარშემო მყოფი ბუფერული ზონა და მარგინალური ზღვები;
- ცენტრისაგან დაშორებული აფრიკისა და ავსტრალიის კონტინენტები;

შიდა ზონა რომლის გარშემო არიან დაჯგუფებულნი დანარჩენები – არის ევრაზიული ჰართლენდის ცენტრალური ბირთვი. ამ სახმელეთო მასის გარეშემო, დაწყებული ინგლისიდან დამთავრებული იაპონიით, ჩრდილო კონტინენტსა და ორ სამხრეთ კონტინენტს შორის გადის მსოფლიოს დიდი საზღვაო გზა. იგი იწყება დასავლეთ ევროპის შიდა და გარე ზღვებში, ბალტიის და ჩრდილოეთის ზღვა, გადის ევროპულ ხმელთაშუა ზღვასა და წითელ ზღვაზე, გადასერავს ინდოეთის ოკეანეს, გადის აზიის ხმელთაშუა ზღვებსა და შორეული აღმოსავლეთის სანაპირო ზღვებზე, აღმოსავლეთ ჩინეთისა და იაპონიის ზღვა, და ბოლოს მთავრდება ოხოტის ზღვაში. ევრაზიის კონტინენტალური მასის ცენტრსა და ამ საზღვაო გზას შორის არის დიდი კონტინენტალური ბუფერული ზონა. იგი შეიცავს დასავლეთ და ცენტრალურ ევროპას, მახლობელი აღმოსავლეთ ქვეყნების პლატოებს, თურქეთს, ირანსა და ავღანეთს; შემდეგ ტიბეტს, ჩინეთს, აღმოსავლეთ ციმბირსა და სამ ნახევარკუნძულს – არაბეთის, ინდოეთისა და ბირმა-სიამის. ევრაზიული კონტინენტის უკიდურეს დასავლეთიდან უკიდურეს აღმოსავლეთამდე გადაჭიმულ ამ ზოლს სპაიკმენმა უწოდა ევრაზიული რიმლენდი (Rimland, ინგ.

rim-ნაპირი). ამგვარად სპაიკმენმა მსოფლიო გეოპოლიტიკურად გაყო ორ ნაწილად: ჰართლენდად და რიმლენდად.




მსოფლიო ნიკოლას სპაიკმენის მიხედვით

# P.S.

„გეოპოლიტიკური სფეროს სიღრმისეული შემეცნება თავისუფალი უნდა იყოს პარტიული წინასწარშექმნილი აზრისაგან, ერთნაირად მართებული როგორც უკიდურესი მემარცხენეებისათვის ასევე უკიდურესი მემარჯვენეებისათვის, რათა ნებისმიერმა, რომელიც ფლობს აუცილებელ გამოცდილებასა და გეოპოლიტიკურ ცოდნას, განახორციელოს სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, პოლიტიკური შეხედულებებისა და პარტიული კუთვნილების მიუხედავად..."

კარლ ჰაუსჰოფერი

## თავი VII

### საქართველო და თანამედროვე პოლიტიკური პროცესი

"ვარ საქართველოს გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო,
თუ საქართველო ვერ ვიხილე თავისუფალი,
ფერფლად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!"

ყოველი ქვეყანა თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო უნიკალურია. ამ მხრივ საქართველოც გამოირჩევა თავისი უნიკალურობით, რადგან იგი მდებარეობს კონტინენტის ორი ნაწილის, ევროპისა და აზიის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა, ორი უდიდესი რელიგიის, ქრისტიანობისა და მუსულმანობის გზაგასაყარზე. კავკასია, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო გადაქცეულია არაერთი სახელმწიფოს ინტერესთა დაპირისპირების ადგილად. კავკასიის გაკონტროლებით ნებისმიერი სახელმწიფო, იქნება ეს სახმელეთო თუ საზღვაო, მომგებიან პოზიციას იკავებს რეალური თუ პოტენციური მოწინააღმდეგის მიმართ, ისტორიულად კი კავკასიას აკონტროლებდა ის, ვინც აკონტროლებდა თბილისს.

საქართველოსთვის გეოპოლიტიკური მდებარეობის პარალელურად უდიდეს მნიშვნელობას იძენს მისი გეოეკონომიკური მდებარეობა კასპიის ენერგორესურსების გამო. (მსოფლიოს გეოეკონომიკური სტრუქტურა განისაზღვრება სახელმწიფოთა ეკონომიკური წონით, რომლებიც ასახავენ მათ ეკონომიკურ პოტენციალს. ამ პოტენციალის შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე).

უნიკალურია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და შესაბამისად ის პრობლემებიც, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისას ჩნდება. ქვეყანამ ასეთი პრობლემების მოგვარების გზები მხოლოდ საკუთარ თავში, საკუთარ გამოცდილებაში უნდა ეძიოს. დასმული პრობლემის გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის განვითარების თავისებურებებისა და სპეციფიკის, ისტორიისა და კულტურის ახლებურ გააზრებას.

სადღეისოდ საქართველოში სახელმწიფოებრიობის ფორმირების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ჯერ კიდევ მისაგნებია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციის ის კონკრეტული ფორმები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ქვეყნის განვითარება საკუთარი ცხოვრების წესის შესაბამისად.

ისტორიულად საქართველოს, როგორც ერთიან და დამოუკიდებელ სახელმწიფოს ხუთ საუკუნეზე მეტია აღარ უცხოვრია, ხოლო მართვა-გამგეობის რესპუბლიკური ფორმა საერთოდ ახალია მისთვის. ისტორიული გამოცდილების არქონისა და დროის სიმცირის გამო, საქართველოს შეგნებული მიზანდასახულობით უხდება იმის მიღწევა, რაც სხვა ქვეყნებმა ბუნებრივი ევოლუციის გზით განახორციელეს.

ამას ემატება ის გარემოებაც, რომ როდესაც სახელმწიფო გადადის ერთი საზოგადოებრივი სისტემიდან მეორეზე, ამ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე უშუალოდ აისახება გადასვლის პროცესისათვის თანმდევი ნეგატიური შედეგები: კორუფცია, ჩრდილოვანი ეკონომიკა, საზოგადოების კრიმინალიზაციის მაღალი დონე და სხვა.

გარდამავალი პერიოდის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქრთველოს სახემწიფოებრივი აღმშენებლობის უზრუნველყოფის მთავარ ამოცანად უნდა ჩაითვალოს:

- საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების განსაზღვრა და შესაბამისი საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავება;
- ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და სოციალური დაძაბულობის შეჩერება;
- მმართველობითი საქმიანობის ძირეული გადრაქმნა და დახვეწა;
- საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების განმტკიცება–გაფართოება:
- არასტანდარტული და არაადეკვატური ზომების მიღება სეპარატიზმის აღსაკვეთად და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საწინდარი სწორად განსაზღვრული პრიორიტეტები და მიმართულებებია, ხოლო მათი მიღწევის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარანტიები ქმნიან საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არსებობის საფუძველს.

ზემოაღნიშნული ასპექტების მიხედვით სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესს, რომელიც განსაზღვრავს მის გეოპოლიტიკურ ორიენტირებს, სტრატეგიულ და ტაქტიკურ მიზნებს.

საქართველოსთვის კიდევ ერთ რეალურ, ღია და გრძელვადიანი პრობლემას წარმოადგენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგრძნების და კონსოლიდაციის დეფიციტი, რომელიც თავისი არსით სასიცოცხლო მნიშვნელობის საფრთხეთა კატეგორიას განეკუთვნება. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სტრატეგიის შემუშავებისას მისი არგათვალისწინება დაუშვებელია, ვინაიდან ისტორიას მრავლად ახსოვს, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს არსებობა დაუსრულებულა მხოლოდ იმიტომ, რომ არ გააჩნდა მსგავსი შეგრძნება. ამ გარემოებას არსებული პრობლემების ფონზე უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.



ილია ჭავჭავაძე (1837-1907)

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კონსოლიდაციის ნაკლებობა შეინიშნება თითქმის მთელ ერში, თითქოს მართლა ჩაწყდა ის „საერთო ძარღვი" რომელზეც საუკუნის წინ ილია ჭავჭავაძე საუბრობდა: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა. ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითოეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითოეულისათვის, საცა „მე" ხშირია, და

„ჩვენ“ — იშვიათი.“ [ი. ჭავჭავაძე — რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV. თბილისი 1987წ. გვ. 38]

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგრძნების დეფიციტს ვაწყდებით თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ეროვნული თანხმობა მიუღწეველია საზოგადოებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა დონეზე, განსაკუთრებით კი ხელისუფლებისა და ხალხის ურთიერთობისას, რაც თავის თავში უკვე დიდ საფრთხეს ატარებს სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის, რადგან იგი გვევლინება მყიფე შიდაპოლიტიკური მდგომარეობის სტიმულატორად. ყოველივე ეს განსხვავებული ღირებულებათა სისტემების არსებობით არის გამოწვეული. არა და ერში, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირება მისი თითოეული წევრის მოვალეობა არის. განსაკუთრებული როლი, ერში ურთიერთგაზიარებული ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაში ენიჭებათ საზოგადოებრივ და ინტელექტუალურ ელიტებს, არასამთავრობო სექტორს და მასმედიას, ხოლო ხელისუფლებას ამ მხრივ ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ადამიანების მთელი ცხოვრება განუყოფელად დაკავშირებული ხელისუფლებასთან, რომელიც წარმოადგენს მათი ინტერესების დემცველს, გეგმების რეალიზატორს, წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების დარეგულირების ყველაზე მძლავრ საშუალებას.

ამას გარდა, ის ფაქტი, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია არ ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ქმნის ერთგვარ დაბრკოლებას საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. არ ხერხდება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობისადმი საბოლოო სახის მიღება, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში პირდაპირაა მითითებული: „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.“

ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისას წარსულის, აწმყოსა და მომავლის პოლიტიკური ანალიზი გააადვილებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ოპტიმალური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში თეორიული მემკვიდრეობის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით გარკვეული დეფიციტი იგრძნობა. მისი საჭიროება კი დღეს განუზომლად დიდია. ჩვენი დებულების საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ კონსტანტინე კაპანელის მოსაზრება “საქართველოში ქართველი უარყოფს იმ წარსულს, რომლის შესახებ მას არა აქვს არავითარი წარმოდგენა. საქართველოში ქართველი ამბობს: მე წარსული მეზიზღებაო და თან არც კი იცის, რა ეზიზღება მას.

სურვილი შემოქმედების “ახალი” ფორმების შემოღებისა საქრთველოში იმ დროს, როდესაც ჩვენ არა გვაქვს შესწავლილი კლასიკური ფორმები ჩვენი ეროვნული სულიერი მდგომარეობისა, მიუღებელია თავისთავად: ილია ჭავჭავაძე რა მწერალია — ამბობს ქართველი ინეტელიგენტი და თან არც კი იცს, რა დაწერა ილია ჭავჭავაძემ, თითქოს აქ მართლდება პარადოქსი ოსკარ უაილდისა: კლასიკოსი ისეთი მწერალია, — ამბობს უაილდი, — რომელზეც ყველა ლაპარაკობს და რომლის ნაწერებს აღარავინ კითხულობს.” [კ. კაპანელი. ფილოსოფიური შრომები. თბ., 1989. გვ. 193-194]

ეს კი უპირველეს ყოვლისა განპირობებულია იმით, რომ ჩვენ ვერ შევძელით სრულად და ღირსეულად შეგვეფასებინა უდიდესი მემკვიდრეობა, რომელიც გამოჩენილმა მოაზროვნეებმა, მათ შორის ქართველმა, შექმნეს და დაგვიტოვეს. ეს მემკვიდრეობა არის ცოდნა. ცოდნის ამ აურაცხელ საუნჯეს კი გაფრთხილება და გონიერული გამოყენება უნდა ხალხის საკეთილდღეოდ.

წარსულში სამშობლოსათვის სიყვარულის ქართველური განცდა იყო მამულისადმი შემეცნებითი დამოკიდებულება. როდესაც მეფე დავითის შემდეგ მისი ძე, სოლომონი ავიდა სამეფო ტახტზე, უფალს მან უპირველეს ყოვლისა სიბრძნე და ცოდნა შესთხოვა. და "უთხრა უფალმა სოლომონს: რაკი გულში ეს გქონდა და არ ითხოვე სიმდიდრე, ქონება, დიდება, შენი მტრების სული და არც ხანგრძლივი სიცოცხლე ითხოვე, არამედ მხოლოდ ცოდნა გამომთხოვე სამართავად ჩემი ერისა, რომელზედაც მე გაგამეფე, გეძლევა სიბრძნე და ცოდნა. ისეთ სიმდიდრეს, ქონებასა და დიდებას მოგანიჭებ, რომლის მსგავსი არც შენს წინამორბედად მეფეებს ჰქონდათ და არც შენს შემდეგ ეღირსება ვინმეს." [ბიბლია. ძველი აღთქმა. მეორე ნეშტთა 1, 11-12. გვ. 413]

ალბათ ბიბლიური სოლომონის მსგავსად ჩვენმა წინაპრებმაც ცოდნა და სიბრძნე შესთხოვეს უფალს და უფალმაც უხვად უბოძა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილებს სიბრძნე და გონიერება, რათა მათ შესძლებოდათ დაენახათ საკუთარი თავი და სამყარო ისეთი, როგორიც ის სინამდვილეშია. დაენახათ რისი დათმობა იყო შესაძლებელი და ის, რაც მტკიცედ უნდა დაეცვათ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე და თვით სიკვდილის შემდეგაც გაეგრძელებინათ ბრძოლა შეუბღალავი ღირსებითა და ვაჟკაცური სახელით.



ნიკო ნიკოლაძე (1843-1928) ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

ჩვენმა წინაპრებმა ცოდნის მეოხებით არსებული ვითარების არსი თავიანთი ცხოვრების შინაარსად გადააქციეს. მათ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ "ქვეყნის პოლიტიკას – როგორც მისი ბუნების ნამდვილ ძალებს – ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს. პოლიტიკა ახალ მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება. სანამ შავი ზღვიდან გასასვლელი სრუტე ოსმალოს ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით – რუსეთი, ბევრიც რომ ვიწრიალოთ, იმ პოლიტიკას ვერ ავცილდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრეს გმირებს, ბევრი ცდის, ძებნის და მსხვერპლის შემდეგ. უკეთესი, რომ შესაძლო ყოფილიყო, განა დაემალებოდათ? ჩვენზე ცოტად სწყუროდათ, ვითომ, დამოუკიდებლობა, საკუთარი გვირგვინი ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ? რა ძალამ და აუცილებლობამ ეს დევები გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს." [ნიკო ნიკოლაძე. რჩეული ქართული მწერლობა. თბილისი 1997 წ. ტ., 14 გვ. 305.]

შეუძლებელია ვიმსჯელოთ საქართველოს სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებზე და არ გავითვალისწინოთ ილია ჭავჭავაძის, ვაჟა–ფშაველას, ნიკო

ნიკოლაძის, არჩილ ჯორჯაძის, მიხაკო წერეთელის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა შეხედულებები. სოციალური და პოლიტიკური აზრის ქართველ კლასიკოსთა შეხედულებების სიღრმისეული ანალიზი ეროვნულ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ოპტიმალური გზების სწორი არჩევანის შესაძლებლობას იძლევა. საერთო ნიადაგის თეორია, საქართველოს ფედერალური მოწყობის პოლიტიკური მოდელი, ერთიანი ეროვნული ცნობიერების ფორმირება, ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბება, თვითმმართველობის განვითარება-გაფართოება და დემოკრატიული კულტურის საკითხები დღესაც უაღრესად აქტუალურია და დიდი მნიშვნელობას იძენს ახალი სახელმწიფოებრიობის ფორმირების პროცესისათვის.

რა არის „ეროვნული სახელმწიფო"?
პირველ რიგში მოვახდინოთ ცნებების "ერის", „სახელმწიფოს" და "პოლიტიკის" დეფინიცია.

რა არის ერი?

ი. სტალინის მიხედვით "ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა".

ი. შჩეპანსკის განმარტებით ტერმინი "ერი", სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში იხმარება ორი ძირითადი მნიშვნელობით. დასავლეთევროპულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ინგლისურ ლიტერატურაში, ჭარბობს შეხედულება, რომ ერი არის სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობლიობა, მაშასადამე, ეს არის ხალხი, რომელმაც მიაღწია კულტურის მაღალ დონეს და პოლიტიკური ორგანიზაციის მაღალ ხარისხს, ეს არის ერთობა, რომელსაც აქვს საერთო ენა და კულტურა, მაგრამ გაერთიანებულია სახელმწიფო ორგანიზაციის ძირითადი კავშირით; ცენტრალური და აღმოსავლეთ ქვეყნების ლიტერატურაში ჭარბობს შეხედულება, რომ ერი არის საერთო კულტურით ფორმირებული ერთობა, რომელმაც გაუსწრო ხალხური კულტურის (ფოლკლორის) დონეს, შექმნა საკუთარი ლიტერატურა, ხელოვნება (სიმბოლური კულტურა) და, ამას გარდა, გაერთიანებულია ისტორიის, ტრადიციის და საერთო წარმოშობით. ყველაზე ხშირად ერის გამოყოფის საფუძვლად მიჩნეულია ენა, საერთო ტერიტორიაზე ცხოვრება, ეკონომიკური წყობა (სახალხო მეურნეობა), ეროვნული ხასიათი (ფსიქიკური წყობა), საკუთარი კულტურა. ზოგიერთი ავტორი ამას უმატებს კიდევ პოლიტიკურ ინსტიტუტებს, ხოლო ზოგჯერ რელიგიასაც..

მაგრამ აღნიშნავენ, რომ ერები შეიძლება არსებობდნენ მაშინაც კი, როდესაც მათ არ გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, როგორც მაგალითად, პოლონეთი დანაწილების პერიოდში. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ ფუნქციებს მაშინ ასრულებდნენ დამპყრობელი სახელმწიფოების ინსტიტუტები, ხოლო პოლონელები ინარჩუნებდნენ საკუთარი პოლიტიკური ინსტიტუტების ერთგვარ სუროგატებს ან შემცვლელებს, იმ გაერთიანებებისა და ორგანიზაციების სახით, რომლებიც ახორციელებდნენ არსებით პოლიტიკურ ამოცანებს. მიუთითებენ, აგრეთვე, რომ არსებობს მრავალეროვანი სახელმწიფოც, მაგრამ ისინი ქმნიან დამახასიათებელ ეროვნულ ტიპს, მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ერი იდენტიფიცირებულია სახელმწიფოსთან და ტერმინი "ნაცია" აქ იხმარება როგორც სახელმწიფოს, ისე მოქალაქეების ერთობლიობის აღსანიშნავად..

ტერმინი "ეროვნულობა" იხმარება, აგრეთვე, ორი მნიშვნელობით: როგორც ერის კუთვნილების აღმნიშვნელი (რუბრიკა პასპორტში აღნიშნავს, საკუთრივ, ერისადმი კუთვნილებას); როგორც გარკვეული ტიპის აღმნიშვნელი

ხალხის განვითარებაში, რომელიც უფრო მაღალია ხალხებისათვის დამახასიათებელ მდგომარეობაზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიუღწევია სავსებით ჩამოყალიბებული ერის საფეხურისათვის. ეროვნულობა ამ მეორე მნიშვნელობით იმ ადამიანთა ერთობაა, რომლებმაც უკვე შექმნეს საკუთარი კულტურა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობის ტრადიციები. ყოველ შემთხვევაში საკუთარი სახელმწიფოს შექმნის, მისი განმტკიცებისა და განდიდების უნარი, აღიარებულია ერის გამოცალკევების ძირითად ნიშნად...

ერის მნიშვნელობა ემყარება იმას, რომ: ერები ერთობის ძალიან მდგრადი ფორმაა, რომელიც ხშირად ასეულობით წლების მანძილზე არსებობს; ისინი ქმნიან მდგრად კულტურულ მემკვიდრეობას; აყალიბებენ ერთობებთან ინდივიდების იდენტიფიკაციის მძლავრ გრძნობას; ერისადმი კუთვნილება, რომელიც ინდივიდს აძლევს ენას, მშობლიურ მიწასთან კავშირს, ადგილს ისტორიაში და ადგილს თაობათა ჯაჭვში, — ეს არის ინდივიდების თვითგამორკვევის საფუძველი; ქმნის ერთობის წევრებს შორის სოლიდარობის ძალიან ძლიერ გრძნობას და ანტაგონიზმს უცხოთა მიმართ.

ერნსტ გელნერისათვის ერის წარმოშობა დაკავშირებულია შემთხვევითობასთან. მისთვის ერის უნივერსალური და ნორმალური იდეა მაინც წარმოადგენს ბუნდოვან ცნებას: ორი ადამიანი მიეკუთვნება ერთ ერს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აერთიანებთ ერთი კულტურა, რომელიც თავის მხრივ გაიგება როგორც იდეების, პირობითი ნიშნების, კავშირების, ქცევებისა და ურთიერთობების ხერხების სისტემა. ეს ორი ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეკუთვნება ერთ ერს, თუკი ისინი აღიარებენ ერთიმეორის კუთვნილებას ამ ერისადმი. ანუ — ერს ქმნის ადამიანი; ერი წარმოადგენს ადამიანური რწმენის, მიკერძოებისა და მიდრეკილების პროდუქტს. ადამიანთა ჩვეულებრივ ჯგუფი (მაგალითად, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი, განსაზღვრული ენის მატარებლები), ხდება ერად მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ჯგუფის წევრები მტკიცედ ცნობენ ერთიმეორის მიმართებაში გარკვეულ საერთო უფლებებსა და მოვალეობებს. სწორედ ამდაგვარი თანამეგობრობის ურთიერთ აღიარება აქცევს მათ ერად და არა სხვა ნებისმიერი ხასიათის ზოგადი თვისებები, რომლითაც ეს ჯგუფი გამოეყოფა მის გარეთ მყოფ ყველა დანარჩენებს. [ერნსტ გელნერი. ერები და ნაციონალიზმი. თბილისი, 2003]

პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორი, დომინიკ კოლა წიგნში "პოლიტიკური სოციოლოგია" [პოლიტიკური სოციოლოგია. თბილისი, 1999. თავი XII] წერს: "ერნსტ გელნერი გვთავაზობს მოსაზრებას, რომლის თანახმად, სახელმწიფო-ერი დაკავშირებულია საზოგადოების სტრუქტურის მოდიფიკაციასთან, ცვლილებასთან. სტრუქტურის მოდიფიკაცია შეიძლება გავიგოთ როგორც ისეთივე ტიპის მოდიფიკაცია, რაც ბერძნული ფალანგის მოდიფიკაციაა, რომელიც შემოიტანეს ომის ხელოვნებაში ან ის მოდიფიკაცია, რომელსაც ანბანი იწვევს ადგილობრივი ენების დამკვიდრებისას. სტრუქტურის ასეთი მოდიფიკაცია აქ არ ეხება განსაკუთრებულ სფეროს, არამედ წინანდელ სოციალურ ორგანიზაციასთან შედარებით, ის ზრდის განსხვავებას პოლიტიკურ სფეროსა და კულტურას შორის, ამკვეთრებს რა სხვადასხვა ტიპი ცოდნის თავისებურებებს, რასაც მოითხოვს სამრეწველო საზოგადოება. ერი არის შრომის ახლებურად განაწილების შედეგი, დაკავშირებული მრეწველობასთან, რომელსაც მიჰყავს წინანდელი ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორმაციის სტრუქტურა სოციალური სტრუქტურისაკენ, აგრო და სამრეწველო იმპერიების შექმნისაკენ.

სახელმწიფო-ერი კულტურული ენტროპიის პროცესის შედეგია, რომლის სპეციფიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს სკოლა: ყველა თანამედროვე სახელმწიფო ახდენს ინსტიტუციონალიზაციას და ავითარებს სასკოლო

სისტემას, რომელსაც მოაქვს იდენტურობა. ამგვარად, ერი არ უსწრებს წინ სახელმწიფო-ერს".

თვით დომინიკ კოლასისათვის ერი "წარმოადგენს განსაზღვრული სოციალური პირობების შედეგს და არა ბუნების გაგრძლებას სხვა საშუალებით. ერი არ არის სხვა რამ, ვიდრე სახელმწიფო-ერი: ქვეშევრდომებზე ტერიტორიული სუვერენიტეტის განხორციელების პოლიტიკური ფორმა და ჯგუფის კულტურული ჰეგემონიზაცია (ლინგვისტური და/ან რელიგიური) ერთად ქმნიან ერს".



მიხაკო წერეთელი (1878-1965) ქართველი ენათმეცნიერი,სოციოლოგი, ისტორიკოსი, კულტუროლოგი

მიხაკო წერეთლის აზრით "ერი არის ერთი კონკრეტული მაგალითი საზოგადოების აბსტრაქტული არსებობისა, ყველა სხვა ბუნებრივ ორგანიზმზედ უფრო ბუნებრივი და ორგანული განხორციელება სოციალობისა, მონადა, – რომელიც ყველა სხვა სოციალურ მონადაზედ უფრო მკვიდრია და სცდილობს თავის დაცვასა, – ნამდვილი და საუკეთესო ჭურჭელი საზოგადოებრივობისა; ხალხი, –სოციალური მასალა ეროვნული ორგანიზმისა; სახელმწიფო ნაყოფია ერის მოქმედებისა, პროექცია ეროვნული სოციალურ ორგანიზმის ორგანოთა".

ერის წარმოშობისათვის საჭირო ელემენტებს ავტორი შემდეგი იერარქიის მიხედვით ალაგებს: "ერი ეკუთვნის ერთ-ერთ რომელიმე რასას, ან რამოდენიმე რასის ნარევ ხალხისაგან შესდგება, ე.ი. განსაზღვრული სოციალური მასალისაგან. მჭიდრო კოჰეზიის ერი წარმომდგარია უფრო მდაბალი სოციალურ ორგანიზმთაგან დროთა ვითარებაში და დღეს ერთად ერთი ბუნებრივი სოციალური ორგანიზმია, დაფუძნებული განსაზღვრულ ტერიტორიაზედ, რომელსაც შეუძლია განვითარება, ცვალებადობა, გადაგვარება, სიკვდილი, ბრძოლა არსებობისათვის, თავის დაცვა, გამარჯვებაცა და დამრცხებაც, – მაღალ კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებაში. იგი ინდივიდუალობაა, ვინაიდან აქვს საკუთარი ენა, ლიტერატურა, სამართალი, პოლიტიკა, როდესაც სახელმწიფოს შეადგენს; აქვს თვითშეგნება, თავმოყვარეობა, სურვილი სიცოცხლისა და ყოველივე ეს არა ჰგავს ერთა იმავე თვისებათა. იგინი მისი საკუთრებანი არიან. განსაკუთრებით ენა წარმოადგენს ასეთ თავისებურებას... სამშობლო ენა, უძვირფასესი განძი, დამცველი ეროვნული სულისა".

საბოლოოდ მიხაკო წერეთელი გვათავაზობს ერის შემდეგნაირ განსაზღვრებას: "ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი ანუ ჰიპერ-ორგანიზმი... შემდგარი ერთგვარი ანუ მრავალგვარი ეთნიკური და სოციალური მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულითა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა: ენითა,

სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა, – საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრულის ინდივიდუალურობითა." [მიხაკო წერეთელი. ერი და კაცობრიობა. თბილისი. 1990]

პოლიტიკური მეცნიერების ქართული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ ირაკლი რეხვიაშვილის აზრით, ერი არის ღმერთის ქმნილება, ერთადერთი და განუმეორებელი. ერის შემოქმედებითი გენია ჰქმნის სულიერებას, რომლის გარეშეც ერს არ შეუძლია არსებობა და იგი თანდათან იღუპება. ერის არსებობის პირობას მისი სულიერება წარმოადგენს. მასთანაა დაკავშირებული სამშობლო, მამული, რწმენა. ერის კულტურაში სულიერების გამოვლინება წარმოადგენს უფლისადმი მიძღვნილ ჰიმნს. მიწიერ საქმეებში სულიწმიდის საშუალებით გადმოსული სულიერებაა სამშობლო და მამული. გაცისკროვნებული სულიერების საშუალებით ერი მარადიულობას უკავშირდება.



ნიკოლოზ ბერდიაევი (1874-1948 წწ.) რუსი ფილოსოფოსი

ნიკოლოზ ბერდიაევისათვის ერი არის უპირატესად ისტორიული, კონკრეტული-ისტორიული და არა აბსტარქტულ-სოციალური კატეგორია. იგი არის სრულიად თავისებური ისტორიული სინამდვილის წარმონაშობი... ჭეშმარიტად ერი არ ექვემდებარება რაიმე რაციონალურ განსაზღვრებას. ვერავითარი რაციონალურად მოსახელთებელი ნიშანი ვერ ამოწურავს მის ყოფას. რა რაციონალურ-ფსიქოლოგიური ან სოციალუროგიური განსაზღვრებაც არ უნდა მივუყენოთ ერს, მისი ყოფა სულ უფრო და უფრო იძირება საიდუმლოებრივ, ირაციონალურ სიღრმეში. ერის ყოფა არ განისაზღვრება არც რასით, არც ენით, არც რელიგიით, არც ტერიტორიით, არც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტით, თუმც ყველა ეს ნიშანი მეტ-ნაკლებად არსებითია ეროვნული ყოფისათვის. უფრო სწორნი არიან ისინი, ვინც ერს განსაზღვრავენ როგორც ისტორიული ბედის ერთობას, ამ ერთობის შეგნება არის სწორედ ეროვნული შეგნება. მაგრამ ისტორიული ერთობა ირაციონალური საიდუმლოც არის. აქ ეროვნული შეგნება იძირება სიცოცხლის სიღრმეში, ერთიანი და განუმეორებული ისტორიული რეალობის წიაღში.

ბერდიაევს მიაჩნია, რომ ერი არ არის ისტორიული დროის ამა თუ იმ მონაკვეთის ემპირიული მოვლენა. ერი არის მისტიური ორგანიზმი, მისტიური ნოუმენი და არა ფენომენი ისტორიულ მოვლენისა. ერი არ არის ცოცხალი თაობა, არ არის თაობათა ჯამი. ერი არ არის შედგენილი რამ, იგი არის რაღაც დასაბამიერი, ისტორიული პროცესის მარად ცოცხალი სუბიექტი. მასში არა ნაკლებად ცოცხლობენ და მყოფობენ წარსული თაობები, ვიდრე თანამედროვენი. ერი ონტოლოგიური ბირთვია. ეროვნული ყოფიერება სძლევს დრო-ჟამს. ერის სული ეწინააღმდეგება წარსულის შთანთქმას აწმყოთი და წარსულით. ერი ყოველთვის ესწრაფვის უხრწნელობას, სიკვდილის ძლევას, იგი არ გაამარჯვებინებს მომავალს წარსულზე. აი, რატომ არის ეროვნულ ყოფაში და ეროვნულ ცნობიერებაში რელიგიური საფუძველი, რელიგიური სიღრმე. რელიგია არის დამყარება კავშირისა და სიახლოვისა, დაძლევა უცხო

სხვაგვარყოფნისა, ხოლო ამ კავშირის, პირველ ყოვლისა, სამშობლოში აღწევს ადამიანი. და ყოველი მცდელობა ეროვნების მოწყვეტისა ამ რელიგიური სიღრმისაგან, ამოისვრის მას ზედაპირზე და დაშლის საფრთხეს უქმნის. [ნიკოლოზ ბერდიაევი. ერი და კაცობრიობა. თბილისი. 1993]

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის ერთიანობა ქართველი ერის, ქართული თვითშეგნების ფორმირების პრობლემატიკასთან დაკავშირებით. აზრთა სხვაობას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ერის ყველასათვის მისაღები დეფინიცია. თუმცა მკვლევართა უმეტესობა თანხმდება იმ აზრზე, რომ არსებობს რამდენიმე, სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ფაქტორი, რომლებიც ერის ჩამოყალიბებასა და მის არსებობაზე მოქმედებენ და აქ გულისხმობენ საერთო ენის, ტერიტორიის, ისტორიის, სახელმწიფოებრიობის, კულტურის, ხშირად რელიგიის და რაც მთავარია ისეთი უმნიშვნელოვანესი მოქალაქეობრივი ფასეულობის არსებობას, როგორიცაა ეროვნული თვითშეგნების გრძნობა და ცხადია ჩვენც ეროვნულში პირველ რიგში ეს ფაქტორები უნდა ვიგულისხმოთ. გარდა ამისა ხდება იმის აღიარება, რომ არსებობს დასავლური და აღმოსავლური შეხედულებები ერსა და სახელმწიფოზე. რიგ ქვეყნებში, მაგალითად აშშ-ი, "ერის' და "ქვეყნის" მნიშვნელობა გაიგივებულია. ევროპის რიგ ქვეყნებში კი, მაგალითად რუსეთი, უკრაინა, გერმანია, საქართველო, "ერის" ცნებას ადგილობრივი მოსახლეობისათვის ეთნიკური აზრი აქვს.

## რა არის სახელმწიფო?



**გეორგ ელინეკი (1851-1911) გერმანელი სამართალმცოდნე**

ყველა მეცნიერების ტერმინოლოგიის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული თავად ამ მეცნიერების ისტორიასთან. სიტყვასა და მის მნიშვნელობას შორის არსებობს განუწყვეტელი ურთიერთქმედება. სიტყვა, არცთუ იშვიათად, ხალხის ან ეპოქის მთელ მეცნიერებას უჩვენებდა გზას.

ძველ ბერძნებთან სახელმწიფოს ეწოდებოდა πολιζ (poliz), ანუ სახელმწიფო იყო ქალაქის იგივეობრივი. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იმისა, რომ სახელმწიფოს შესახებ ბერძნულმა სწავლებამ, დარჩა რა ქალაქ-სახელმწიფოს ნიადაგზე, ვერასდროს შეძლო მოეცვა მიწა-სახელმწიფო. როდესაც საუბრობდნენ ერცელ ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფოებზე, მათ აღნიშნავდნენ, როგორც მოსახლეობის ერთობლიობას (οε. Αιγυπτοι οι Περαι) (oe. Aiguptoi oi Perai), მაგრამ სახელწოდებას, რომელიც მცხოვრებთა ტერიტორიისადმი დამოკიდებულებას გამოხატავდა, არასდროს შეუძენია ამაზე უფრო ფართო მნიშვნელობა. [გამოიყენება ასევე გორა, როგორც სინონიმი poliz,

ან სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელობით, ქალაქის საწინააღმდეგოდ]. თუმცა არცთუ იშვიათად **πολιζ-ც(poliz-ც)** ამავე შინაარსით (მოსახლეობის ერთობლიობა) გამოიყენებოდა. ათენელები, თებეელები, კორინთოელები სრულიად გაიგივებულები არიან საკუთარ სახელმწიფოებთან. სახელმწიფოს, როგორც მთლიანად რომელიმე ხალხის ობიექტურ დამახასიათებელ ნიშანს, ეწოდებოდა **το χοινον (to coinon)**. ყველა ამ შეხედულებაში, საგნობრივი (ტერიტორიული) ელემენტი ბევრად ჩამორჩება პირადს (მოქალაქეობრივს). სამოქალაქო საზოგადოება იგივეა რაც სახელმწიფო. ინდივიდის საზოგადოებრივ-სამართლებრივ მდგომარეობას განაპირობებს არა მისი ქვეყნისადმი კუთვნილება, არამედ მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების წევრობისადმი იდენტობა ან მასზე დამოკიდებულება.

რომაული პოლიტიკური ტერმინოლოგიაც მსგავს ტიპს განეკუთვნება. სახელმწიფო არის **civitas**, სრულუფლებიან მოქალაქეთა საზოგადოება, ან **res publica** საერთო მთელი ხალხისათვის, შეეფარდება ბერძნულ **το χοινον**–ს (**to coinon**-ს). იტალია და პროვინციები თავდაპირველად მხოლოდ ქალაქის მოკავშირეები და მასზე დამოკიდებულები იყვნენ. მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებაში მიღებული პიროვნება იძენდა სრულფასოვან მოქალაქეობას, **civis romanus** ყოველთვის იყო და დარჩება ქალაქ რომის მოქალაქის სინონიმად. ქალაქი რომი ძველი დროის ტერიტორიით უდიდეს სახელმწიფოში გადაიზარდა. რომაულმა ტერმინოლოგიამ სრულყოფილად ვერ შეძლო აესახა ეს გარდაქმნა, ხელისუფლება რომაულ სახელმწიფოსთან გააიგივა და, ამგვარად, **res publica imperium**-ად გადააქცია. ასე რომ, სახელმწიფოს არსებითმა ელემენტმა მოქალაქეებიდან სახელმწიფო ხელისუფლებაში გადაინაცვლა. **res populi res imperantis**-ის სინონიმი გახდა.

ამ სახელწოდებებთან ერთად სახელმწიფოს აღმნიშვნელი სიტყვა, ისევე, როგორც ბერძნებთან, იყო ხალხი – **populis** და **gens**, ზოგადად, განყენებულ აზრში გამოხატავდნენ სახელმწიფოს· [გვიანდელ ლათინურ ენაში **res publica** ნაცვლად უფრო აბსტრაქტული **status respublicae** გამოიყენებოდა.]

გერმანულ სამყაროში სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ევოლუცია ზუსტად აისახება ენაში. ლათინური **regnum**-ის შესატყვისი და **regne, regno, reign**-დან წარმოებული გერმანული Reich, თავდაპირველად, აღნიშნავს ბატონობას, კერძოდ თავადურს. იგივე შეეხება ლათინურ **imperium**-იდან მომდინარე გამოთქმებს **imperio, empire**. არ არსებობს საერთო ტერმინი, რომელიც მოიცავს როგორც მონარქიას, ასევე რესპუბლიკას. მით უმეტეს, რომ სახელმწიფო-სამეცნიერო ლიტერატურა ადგილობრივ ენებზე მხოლოდ XVI საუკუნეში ჩნდება. გარდა ამისა, ხსენებული სახელწოდება მხოლოდ მნიშვნელოვან სახელმწიფოებზე ვრცელდებოდა. ლათინურ ლიტერატურაში ძველრომაული ტერმინებიც გამოიყენებოდა, მაგრამ **civitas**, როგორც წესი, აღნიშნავდა ქალაქ-სახელმწიფოს.

შუასაუკუნეობრივი ტერმინოლოგიისთვის დამახასიათებელი აღნიშვნა სახელმწიფოსი – მიწა (**Land**), **terre, terra** - მკვეთრ წინააღმდეგობაშია ანტიკურ შეხედულებებთან. სახელმწიფოს სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება მის ტერიტორიულ ელემენტში შესაბამისია იმ ეპოქაში არასაქალაქო სახელმწიფოების არსებითი გაბატონებისა და იმ მნიშვნელობისა, რაც მიწამ, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების საფუძველმა, შეიძინა.

ეს ტერმინი მიესადაგებოდა როგორც მსხვილ, ასევე მცირე სახელმწიფოებს, მაგრამ მას მაინც აკლია სრული განსაზღვრულობა, რადგან, ერთი მხრივ, არ მოიცავს ქალაქ-სახელმწიფოებს, ხოლო მეორე მხრივ, არასახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს, ადგილებსა და პროვინციებსაც

აღნიშნავს. ამ ტერმინს თავისი მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს. გერმანიაში ოფიციალურად გამოიყენება ტერმინი „მიწის კანონები" (**Landesgesetze**), ხოლო მეცნიერებაში **"Landesstaatsrecht"** საკავშირო სახელმწიფოს წევრის უფლების აღმნიშვნელ ტერმინად დამკვიდრდა. პალატის აღსანიშნავად ტერმინ „ლანდტაგი"-ს გამოყენება მიგვანიშნებს ძველ, ტერიტორიულ სახელმწიფო სამართალზე. უნგრეთში უნგრული კანონების გერმანულ გამოცემას ოფიციალურად ეწოდება **Landesgesetzsammlung**.

ყველა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მომცველ თანამედროვე ტერმინზე მოთხოვნილება პირველად იტალიაში დაკმაყოფილდა. განსხვავებულ იტალიურ სახელმწიფოებს არ შეესაბამებოდა სახელწოდებები **regno, imperio, terra**, ისევე, როგორც სიტყვა **citta** ვერ გადმოსცემდა ვენეციის, ფლორენციის, გენუის, პიზის სახელმწიფოებრივ ხასიათს. სიტყვა **stato-ს**, რომელიც თავდაპირველად დაკავშირებული იყო ქალაქის დასახელებასთან (**stato di Firenze** და ა.შ.), არსებული მრავალრიცხოვანი მნიშვნელობებიდან შემდგომ წარმოიშვება განყენებული ტერმინი, მისადაგებული ნებისმიერი სახელმწიფოსადმი, იქნება ეს მონარქიული თუ რესპუბლიკური, დიდი თუ პატარა, საქალაქო თუ სასოფლო სახელმწიფო. თავდაპირველად, **lo stato**-თი იწოდებოდნენ მმართველები მათთან დაახლოებულ პირებთან ერთად და შემდეგ ამ სახელწოდებამ თავის თავში მთელი ტერიტორიის, როგორც ერთიანის ცნება მოიცვა. [ანტიკურის საწინააღმდეგოდ, შუასაუკუნეებრივი შეხედულებისათვის, დამახასიათებელია, რომ **Stadt, Burg, iWrk** ტერიტორიული ტერმინებია და არა კომუნალური საზოგადოების პირადი აღნიშვნები. ასევე ტერიტორიული გაგების ხდება ლათინური **civitas**, საიდანაც იწარმოება თავდაპირველად **civis**, შემდეგ **ncitoyen, citadin, citadinne, citize**. უნდა გაეითვალისწინოთ, რომ ბერძნებთან **poliz**, იყო პირველადი გაგება, ხოლო polith ნაწარმოები]. უფრო სარწმუნოა, რომ ძველი status-ის მსგავსად ის აღნიშნავს მოწყობას, წესრიგს. სიტყვა **stato-ს** ამ მნიშვნელობით გამოყენება დამტკიცებულია ჯერ კიდევ XV საუკუნის დასაწყისში. [გამონაკლის შემთხვევებში **status** სახელმწიფოს მნიშვნელობით გვხვდება ინგლისში XIV საუკუნეში.]

**Stato** თავდაპირველად გამოიყენებოდა დიპლომატიურ ურთიერთობებში მუდმივი, მყარი ხელისუფლებისა და თანამდებობების, ხოლო შემდეგ თავად ტერიტორიის აღსანიშნავად. XVI საუკუნეში ის უკვე საყოველთაოდ მიღებული ტერმინია ყველა ტიპის სახელმწიფოს აღსანიშნავად. სახელმწიფოს თანამედროვე იდეის დაბადებასთან ერთად უკვე ნაპოვნია შესაბამისი სიტყვაც. ეს კარგად ჩანს იმ წინადადებაში, რომლითაც ნიკოლო მაკიაველი იწყებს თავის ტრაქტატს Il Principe: Tutti gli stati, tutti i dominj che hanno avuto et hanno imperio sopra gli nomini, sono stati e sono e republiche o principati. [ყველა სახელმწიფო, ყოველგვარი მმართველობა, რომლებსაც ჰქონდათ და აქვთ ადამიანებზე მბრძანებლობის უფლება, ან რესპუბლიკაა, ანდა სამთავრო]. ამიტომაც სრულიად საფუძვლიანია, მაკიაველის დამსახურებად ჩაითვალოს სამეცნიერო ლიტერატურაში სიტყვა „სახელმწიფოს" შემოტანა.

XVI და XVII საუკუნეების განმაველობაში ეს ტერმინი აღწევს ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებში. საფრანგეთში ბოდენი (1576) სახელმწიფოს აღსანიშნად იყენებდა სიტყვა **respublique-s, estat** მასთან აღნიშნავს სახელმწიფოს განსაზღვრულ ფორმას, რის გამოც ის ახსენებს **estat aristocratique** და **populaire-ს**. ინგლისში შექსპირი ხშირად იყენებდა სიტყვა **state-ს** სახელმწიფოს აღსანიშნავად. გერმანიაში status მნიშვნელობა დიდხანს რჩება განუსაზღვრელი. XVII საუკუნის დასაწყისში პირველად მოიხსენიება **status respublicae** მთლიანი სტატუსის აზრით, ანუ როგორც ქვეყნის ყველა საქმის საერთო მდგომარეობა

სამეფო, სამხედრო კარისა და ა.შ. (**Hofsstaat, Kriegsstaat** და ა.შ.) საწინააღმდეგოდ. ასევე გეხვდება **status publicus**. ტერმინოლოგია კიდევ დიდხანს რჩება განუსაზღვრელი, იმავე სიტყვით აღინიშნება სასახლის ან თავადის კარი. მხოლოდ XVIII საუკუნის განმავლობაში ტერმინი, როგორც ჩანს, სახელმწიფოებრივ-სამეცნიერო ლიტერატურის გავლენით, კონკრეტდება და აღნიშნავს ყოველგვარ პოლიტიკურ ერთობას. პროცესი სრულდება საერთო შეგნებაში ტერიტორიის სახელმწიფოდ გადაქცევასთან ერთად XVIII საუკუნის ბოლო ათწლეულში. სიტყვა სახელმწიფოს გაორებულ მნიშვნელობის კვალს დღემდე შეიძლება მივყვეთ. განსაკუთრებული მოწყობის პროვინციას ან მხარეს **Staat** ეწოდება. ამავე აზრით, პრუსიული სამეფო მიწები ოფიციალურად იხსენიებოდა შტატებად, როგორც მიწები ერთი თავადისა, რომელიც ამავე დროს გვევლინება პრუსიის მეფედ. პრუსიული კანონები ქვეყნდებოდა „სამეფო-პრუსიული სახელმწიფოების კანონთა კრებულში."

პოლიტიკური ერთობის აღსანიშნავად „სახელმწიფოს" გვერდით დღესაც გამოიყენება სხვა სახელწოდებები. საგარეო ურთიერთობებში დიპლომატიური ენისთვის ჩვეულ გამოთქმაზე სახელმწიფო იხსენიება ხელისუფლებად (**Macht, puissance, potenza, power**). ანტიკური სიტყვათხმარების გავლენით, სახელდობრ, **jus gentium**-ის მეშვეობით, სახელმწიფოს აღსანიშნავად გამოიყენება სიტყვა „ხალხი" (**Volk, nation, nazione**). [გეორგ ელინეკი. სახელმწიფოს ზოგადი თეორია. თავი V. 1908. www.sjl.ge/jurnali/georg%20elineki.htm]

სახელმწიფო – საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. ამას პირველ რიგში ის მდგომარეობა განაპირობებს, რომ სახელმწიფოს ხელში მაქსიმალურად კონცენტრირებულია ხელისუფლების ყველა შტო და რესურსები, რაც საშუალებას უქმნის მას ეფექტური და არსებითი გავლენა იქონიოს სოციალურ პროცესებზე.

მოკლე განმარტებით, სახელმწიფო ესაა პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც განსაკუთრებული სტრუქტურების მეშვეობით გარკვეულ ტერიტორიულ სივრცეში ახორციელებს პოლიტიკურ ხელისუფლებას და სოციალური პროცესების მართვას.

სახელმწიფოს დამახიათებელი ნიშნებია:

- საჯარო ხელისუფლება;
- პროფესიონალ მმართველთა აპარატი;
- სუვერენიტეტი;
- იძულების ლეგალური უფლება;
- პოლიტიკური საქმიანობა;
- განსაზღვრული ტერიტორია;
- საკუთარი სამართლებრივი სტრუქტურა;
- მოქალაქეობა;
- გადასახადების და მოსაკრეფების საკუთარი წესი.

სახელმწიფოსათვის ნებისმიერი ეს ნიშანი არსებითი და აქტუალურია. სახელმწიფოს საჯარო ხელისუფლება გამოყოფილია საზოგადოებისაგან, მატერიალიზებულია სპეციფიკურ იძულებით დაწესებულებებში, ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და იქ მყოფ ყველა პირზე. სახელმწიფო აუცილებელი ატრიბუტის სახით ფლობს მართვისა და იძულების აპარატს. ძალის ფიზიკური იძულების გამოყენებაზე მონოპოლია სახელმწიფოს მეტად აუცილებელი, მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ნიშანია (სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს მოქალაქეს წაართვას უმაღლესი ფასეულობა – სიცოცხლე).

წარმოშობის მომენტიდან, საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში სახელმწიფოს არსსა და ბუნებას სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ამას ის განაპირობებს, რომ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სახელმწიფოს სხვადასხვა ფუნქციები და თვისებები წამოიწევენ წინა პლანზე. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი:



არისტოტელე (ბერძ., □ριστοτέλης) (384-322 ძ.წ.) ბერძენი ფილოსოფოსი

არისტოტელეს მიაჩნდა, რომ “კარგი სახელმწიფო წარმოქმნილია არა შემთხვევით, არამედ ცოდნისა და სწორი არჩევნის საფუძველზე. მყარია ის სახელმწიფო, რომელიც იცავს თანასწორობას ღირსებაში და თითოეულს აძლევს იმას, რაც მას ეკუთვნის.” [არისტოტელე. პოლიტიკა. ნაწ. I, თბილისი 1995, გვ. 88]



მარკუს ტულიუს ციცერონი(რომ., Marcus Tullius Cicerō) (106-43 ძ.წ) რომაელი ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, ორატორი

მარკუს ტულიუს ციცერონი (106-43 ძ.წ.) სახელმწიფოს წარმოშობას ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას უკავშირებდა და მას „ხალხის საქმედ” მიიჩნევდა. სახელმწიფოს მთავარ ამოცანად კი კერძო საკუთრების დაცვა მიაჩნდა. ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფოს ფორმების კლასიფიკაციას; გამოჰყოფდა დემოკრატიულს, არისტოკრატიულსა და მონარქისტულს. ამასთან, დემოკრატიას მანკიერ ფორმად მიიჩნევდა. მისი პოლიტიკური იდეალი იყო მართვის „შერეული” ფორმა, თუმცა კი უპირატესობას მაინც მონარქიულ სახელმწიფოს ანიჭებდა.



ჟან ბოდენი (ფრ., Jean Bodin) (1530-1596) ფრანგი ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, სამართალმცოდნე. "სახელმწიფო სუვერენიტეტის" თეორიის ავტორი

ჟან ბოდენის (1530-1596) მიხედვით სახელმწიფოს უპირველესი ნიშანი სუვერენიტეტია, რომელშიც იგი აბსოლუტურ და შეზღუდულ ხელისუფლებას გულისხმობს. ასეთი ხელისუფლების სუვერენიტეტში ჟ.ბოდენი მხოლოდ თვითმპყრობელობას არ გულისხმობს, რადგან მისი აზრით, სუვერენიტეტის მფლობელი შესაძლებელია იყოს მონარქიაც და რესპუბლიკაც. შეიძლება არსებობდეს რთული სტრუქტურის ხელისუფლება (ერთპალატიანი, ორპალატიანი, კონსტიტუციური და ა.შ.), მაგრამ როგორც სუვერენიტეტული, იგი ყოველთვის ერთიანია, მთლიანია, უზენაესია და ამდენად ყოველგვარ ხელისუფლებაზე მაღლა დგას.

კერძო საკუთრებას, ოჯახურ ურთიერთობას, ზოგიერთ პირად უფლებას ჟ.ბოდენი ღვთაებრივ და ბუნებრივ უფლებათა სფეროში აქცევს. მათში სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს. ხელისუფლება, რომელიც აღნიშნულ სფეროში „შეიჭრება", ბოდენის აზრით, ტირანულია და დაღუპვის ღირსია.



იმანუილ კანტი (გერ., Immanuel Kant) (1724-1804) გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი

იმანუილ კანტი (1724-1804) სახელმწიფოებრივ ფორმებს არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მისი აზრით, პრობლემის სიმძიმის ცენტრი ხალხის მართვის უშუალო ფორმებსა და მეთოდებში მდგომარეობს. ამ თვალსაზრისით, კანტი განასხვავებს მართვის დემოკრატიულ და დესპოტურ ფორმებს. მისთვის რესპუბლიკა დემოკრატიის სინონიმს წარმოადგენს, ისევე, როგორც აბსოლუტიზმი – დესპოტიის სინონიმს.



გეორგ ფრიდრიხ ჰეგელი (გერ., Georg Wilhelm Friedrich Hegel) (1770-1831) გერმანელი ფილოსოფოსი

გეორგ ფრიდრიხ ჰეგელი (1770-1831) განასხვავებს სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს. მისი აზრით, სამოქალაქო საზოგადოება სამართლებრივ დაწესებულებათა საშუალებით უზრუნველყოფს პიროვნებისა და საკუთრების თავისუფლებას. ახორციელებს რა გარკვეულ გარეგნულ წესრიგს, იგი იცავს მათ განსაკუთრებულ, კერძო და საერთო ინტერესებს. ამას ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების სამი ინსტიტუტი – სასამართლო, პოლიცია და კორპორაციები. ჰეგელს სახელმწიფო მიაჩნია ობიექტური სულის ყველაზე უნივერსალურ ქმნილებად. ამიტომაც სამოქალაქო საზოგადოების განვითარება ლოგიკურად გულისხმობს სახელმწიფოს საჭიროებას. ჰეგელი უპირატესობას ანიჭებს კონსტიტუციურ მონარქიას. სწორედ იგი მიაჩნია ზნეობრივი იდეის არსის გამოხატვის საშუალებად. მონარქია, მისი აზრით, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის უმთავრესი პირობაა. სახელმწიფო იყოფა სამ ძირითად ხელისუფლებად: საკანონმდებლოდ, აღმასრულებელ და ხელმწიფის ხელისუფლებად.



ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშე (გერ., Friedrich Wilhelm Nietzsche) (1844-1900) გერმანელი ფილოსოფოსი

ფრიდრიხ ნიცშეს (1844-1900) მიაჩნია, რომ სახელმწიფო ძალდატანებითი ფუნქციის საშუალებით უზრუნველყოფს სოციალურ და კულტურულ პროგრესს. სახელმწიფო მისთვის ბრძნული ორგანიზაციაა, რომელიც აღმოცენდება ბუნებითი მდგომარეობიდან კულტურაზე გადასვლის პერიოდში და მთელ ამ პროცესს ძლიერთა ნების შესაბამისად წარმართავს. სახელმწიფოს გენეზისი, ესაა გამარჯვებულის პოლიტიკური ორგანიზაცია და დამარცხებულებზე მისი ბატონობის წესები.

ნიცშე მომავლის პოლიტიკას წინასწარმეტყველებს. მისი აზრით, წვრილმანი პოლიტიკის დრო უკვე დასრულდა. მომავალი საუკუნე დიდი პოლიტიკის – მსოფლიო ბატონობისათვის ჯერ არ ნახული პოლიტიკის პერიოდი იქნება. ამ ბრძოლაში დაინგრევა ძველი საზოგადოების ყველა პოლიტიკური წარმონაქმნი.

სახელმწიფოს, როგორც სპეციფიკური სოციალური ინსტიტუტის წარმოშობა, დაკავშირებულია ადამიანის ცხოველმყოფელობის გაფართოებასა და გართულებასთან, ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების ინტერესების დიფერენციასთან.

სახელმწიფოს ბუნებისა და არსის გარკვევა საკმაოდ რთული ამოცანაა, რასაც ამ სოციალური წარმონაქმნის მრავალსპექტრიანობა და კომპლექსურობა განაპირობებს. სირთულეს ზრდის ის, რომ სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ტიპის, მმართველობის განსხვავებული ფორმის სახელმწიფოები ფუნქციონირებენ და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ინტერესებს ემსახურებიან. ამიტომ სახელმწიფოს ბუნებისა და არსის გარკვევისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ორი ასპექტი:

პირველი – სახელმწიფო, ესაა პოლიტიკური ხელისუფლების ორგანო (ფორმალური მხარე);

მეორე – ვის ინტერესებს ემსახურება ეს ორგანო (შინაარსობრივი მხარე);

სახელმწიფო ხომ პოლიტიკური ხელისუფლების ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს კონკრეტული ინტერესების (კლასობრივს, ზოგადსაკაცობრიოს, რელიგიურს, ეროვნულს და ა.შ.) უპირატესად განხორციელებას.

საგანგებოდ შეიძლება გამოიყოს სახელმწიფოს არსისადმი ორი მიდგომა: კლასობრივი და ზოგადსოციალური.

კლასობრივი – სახელმწიფოს განიხილავს, როგორც იარაღს ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ხელში სხვა კლასზე (კლასებზე) პოლიტიკური ბატონობის განსახორციელებლად. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო გამოიყენება ვიწრო მიზნით – გაბატონებული კლასის (კლასების) ინტერესთა დაკმაყოფილების იარაღად. გასაგებია, რომ საზოგადოებაში ერთი რომელიმე კლასის ინტერესების უპირატესად დაკმაყოფილებამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს საზოგადოების სხვა ნაწილის წინააღმდეგობა, რასაც აუცილებელი შედეგის სახით მოჰყვება მათ მიმართ ძალადობა, დიქტატურა. ამ ვითარებაში ზოგადსაკაცობრიო ინტერესები უკანა პლანზე გადადის და წინ წამოიწევს ვიწრო კლასობრივი ინტერესები.

ზოგადსოციალური მიდგომის მიმდევრები სახელმწიფოს განიხილავენ, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციას, რომელიც სხვადასხვა კლასისა და სოციალური ჯგუფის ინტერესთა კომპრომისის პირობებს ქმნის. ამ შემთხვევაში სახელმწიფო უკვე გაცილებით ფართო მიზნებისათვის გამოიყენება. იგი ძირითადად წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებას, რომელშიც კონცენტრირებულია სხვადასხვა კლასების და ფენების, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესები. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო უპირატესად იყენებს ისეთ ეფექტურ მეთოდს, როგორიცაა კომპრომისი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სახელმწიფოს არსის გარკვევისადმი სხვა მიდგომებიც შეიძლება გამოიყოს (რელიგიური, ეროვნული, რასობრივი), რომლის ფარგლებშიც კონკრეტული სახელმწიფოს კონცეფციაში შესაბამისად დომინირებს რელიგიური, ეროვნული ან რასობრივი ინტერესები.

სახელმწიფოს არსისადმი განსხვავებული მიდგომები ურთიერთს არ გამორიცხავენ, რაც იმის შესაძლებლობას ქმნის, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის არსი და სპეციფიკა, კიდევ უფრო სრულად გამოვლინდეს. სახელმწიფო მრავალასპექტიანი ფენომენია და ამიტომაც მისი

არსის მხოლოდ კლასობრივი ან მხოლოდ ზოგადსოციალური საწყისებით შემოფარგვლა არ შეიძლება.

არანაკლებ რთულია სახელმწიფოთა ტიპოლოგიის განსაზღვრა. თანამედროვე პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში სახელმწიფოთა სპეციფიკური კლასიფიკაცია ძირითადად ორი მიდგომის (ფორმაციული და ცივილიზაციური) საფუძველზე ხდება.

ფორმაციული მიდგომისას მთავარ კრიტერიუმად მიჩნეულია სოციალურ-ეკონომიკური ნიშნები – საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ხასიათი. ამ მიდგომის თანახმად ეკონომიკური ბაზისი (წარმოებითი ურთიერთობის ტიპი) წარმოადგენს საზოგადოების განვითარების გადამწყვეტ ფაქტორს. იგი განსაზღვრავს ზედნაშენის მთელ სისტემას, მათ შორის სახელმწიფოსა და სამართლის ხასიათს. ამრიგად, ეკონომიკურ ბაზისზე დამოკიდებულების მიხედვით, ფორმაციული მიდგომის მიმდევრები საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ხასიათის შესაბამისად სახელმწიფოს შემდეგ ტიპებს გამოყოფენ: ფეოდალური, ბურჟუაზიული, სოციალისტური. ბოლო დროს აზიატური წარმოების წესზეც არის საუბარი.

ასეთი მიდგომა ნიშნავს სულიერი ფაქტორების (რელიგიური, ეროვნული, კულტურული, და სხვა.) როლის შეუფასებლობას.

ცივილიზაციური თვალსაზრისის მიმდევრები სახელმწიფოს ტიპობრივი კლასიფიკაციის საფუძვლად სულიერ მახასიათებლებს (კულტურული, რელიგიური, ეროვნული, ფსიქოლოგიური და სხვა) თვლიან. ამგვარი მიდგომის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ა. ტოინბის აზრით, ცივილიზაცია წარმოადგენს საზოგადოების კარჩაკეტილ და ლოკალურ მდგომარეობას, რომელიც გამოირჩევა რელიგიური, ეროვნული, გეოგრაფიული და სხვა ნიშნების ერთობლიობით. მათზე დამოკიდებულების მიხედვით გამოყოფენ შემდეგ ცივილიზაციებს: ეგვიპტურს, ჩინურს, დასავლურს, მართლმადიდებლურს.



**არნოლდ ჯოზეფ ტოინბი (ინგ., Arnold Joseph Toynbee) (1889-1975) ბრიტანელი ისტორიკოსი**

ამ მიდგომის განსაკუთრებით სუსტი მხარე ისაა, რომ იგი უგულვებელყოფს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების როლსა და მნიშვნელობას.

სახელმწიფოს საკმაოდ ბევრი ფუნქცია აკისრია. სახელმწიფოს ფუნქციებში მოიაზრება საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას.

სახელმწიფოს ფუნქციები შეილება დაიყოს:

მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით (მუდმივი – ფუნქცია, რომელიც ხორციელდება განვითარების ყველა ეტაპზე; დროებითი – ფუნქცია, რომელიც გარკვეული, კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ აღარ მოქმედებს);

მნიშვნელობის მიხედვით (ძირითადი და არაძირითადი).
საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში მოქმედების მიხედვით (სოციალრი, ეკონომიკური, კულტურული, ეკოლოგიური, საშინაო, საგარეო).
სახელმწიფო საშინაო ფუნქციებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:
სოციალური:
მოქალაქეთა სოციალური, დაცვა; სამართლიანი სოციალური პოლიტიკის გატარება; ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფა; შრომის სრულყოფილ უნარს მოკლებულ ადამიანთა – ინვალიდთა და პენსიონერთა, ბავშვთა და მოხუცთა პრობლემების გადაწყვეტა;
ეკონომიკური:
ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს მონაწილეობის ფარგლების განსაზღვრა; ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის სრულყოფა, მართვის ოპტიმალური მეთოდების შემუშავება; ჯანსაღი ეკონომიკური კონკურენციისადმი ხელშეწყობა; საკუთრებითი ფორმების მრავალფეროვნება;
პოლიტიკური:
ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა; ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკური ძალების კონსენსუალური ურთიერთობებისადმი ხელშეწყობა; კონფლიქტური სიტუაციების დროული და ოპერატიული დარეგულირება;
კულტურულ-საგანმანათლებლო:
აღზდისა და განათლების რაციონალური სისტემის ჩამოყალიბება; ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის შემუშავება; პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპების ვანუხრელი დაცვა;
ეკოლოგიური:
ბუნებით სარგებლობის სამართლებრივი რეჟიმის შექმნა; გარემოს დაცვა;
სახელმწიფოს საგარეო ფუნქციებიდან უნდა გამოიყოს:
ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება; სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიკური, კულტურული, ტექნოლოგიური და სავაჭრო ურთიერთობა ურთიერთხელსაყრელობის პრინციპების დაცვით. [ი.რეხვიაშვილი. პოლიტოლოგია. 2002]

## ტერიტორიული მთლიანობა და ეთნოკონფლიქტები

კონფლიქტების ძირითადი პრობლემა, ანუ ის რომ ადამიანები უკიდურესი ანტაგონიზმის პირობებშიც კი იძულებულნი არიან ერთად იცხოვრონ და გადაწყიტონ უმთავრესი საკითხი, მდგომარეობს იმაში, როგორ იცხოვრონ ერთად ისე, რომ არ დახოცონ ერთმანეთი? ეს შეუძლია გადაწყვიტოს მხოლოდ პოლიტიკამ, მეცნიერულ დონეზე გააზრებული პოლიტიკური მართვის ოპტიმალურმა მექანიზმმა.
მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში შესაძლებელია კონფლიქტი, რომელიც ცივილიზაციათა ბრძოლის ფონზე განვითარდება. ამგვარ დაპირისპირებაში ბუნებრივია გასააზრებელია საქართველოს ადგილი და მისი მშვიდობიანი პოლიტიკის განვითარების პერსპექტივა. ამ შემთხვევაში კონფლიქტის, დაპირისპირების რეგულაციის და მართვის ეფექტური მეთოდების და მიდგომების გამოყენებაა საჭირო, როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის სფეროში.
ჩვენში მიღებული პარადიგმის ჩარჩოებში კონფლიქტი მოიაზრება, როგორც ავადმყოფობა. დასავლური პარადიგმა კონფლიქტს განიხილავს, როგორც სისტემის ბუნებრივ მდგომარეობას, იგი მიჩნეულია საზოგადოების მამოძრავებელ ძალად. მხოლოდ მკვდარ სისტემაში აღარ იქნება კონფლიქტი. (იმავდროულად თვითონ მკვდარი სისტემა კონფლიქტში იმყოფება ცოცხალ

სისტემასთან). კონფლიქტების სრული მოსპობა შეუძლებელია (და არც არის საჭირო). უნდა ვისწავლოთ მათი მართვა.

რ.რუბინშტეინი კონფლიქტში განიხილავს სამ შემდეგ პარადიგმას. ეკონომიკურ ან გეოპოლიტიკურ ინტერესების პარადიგმას, ემოციონალურ ან მორალურ იდენტიფიკაციას და სტრუქტურულ როლს.

ცნობილი ავსტრალიელი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტოლოგი, კონფლიქტოლოგიის დარგიის ერთ-ერთი პიონერი, ჯონ ბარტონი აყალიბებს შემდეგნაირ თეორიას: თუ ძირეული ადამიანური მოთხოვნილებანი არ არის დაკმაყოფილი, მაშინ საზოგადოება ყოველთვის დგას ძალადობრივი კონფლიქტის საშიშროების წინაშე. ასეთ მოთხოვნილებებს შორის ასახელებს: უსაფრთხოებას (ფიზიკურს, ფსიქოლოგიურს, სოციალურს თუ ეკონომიკურს), იდენტურს (თვითგამორკვევას), პატივისცემას, ჯგუფთან კუთვნილებას. საზოგადოება მუდმივი განვითარების გზაზეა და ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე შესაძლებელია ამ მოთხოვნილებათაგან მეტის ან ნაკლების დაკმაყოფილება, როგორც ინდივიდუალურად ასევე კოლექტიურად.

არსებობს ეთნიკური და გაუცხოების კონფლიქტები, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ ყველაზე განვითარებული საზოგადოებისათვისაც კი. მათ შორის, შეერთებული შტატებისათვისაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ყოფილ საბჭოთა კავშირზე. მისი დაშლა კიდევ ერთი ნათელი მაგალითია შემდეგი ჭეშმარიტების ილუსტრირებისათვის – ინდივიდები ან ჯგუფები, რომელთა ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებები არ არის დაკმაყოფილებული, ვერ იქცევიან სოციალური გარემოს ბუნებრივ ნაწილად. ამ ტიპის კონფლიქტები არსებობს ყველა სოციალურ დონეზე, იგულისხმება სიტუაციები, როდესაც იდენტურობისა და აღიარების ონტოლოგიური მოთხოვნილებები და მათთან დაკავშირებული ადამიანის განვითარების მოთხოვნილებები ფრუსტრაციას განიცდიან. ამგვარი კონფლიქტების გაკონტროლება, დათრგუნვა ან შეკავება შეუძლებელია, უნდა მოხდეს მათი მოგვარება ან პრევენცია მოთხოვნილების დაკმაყოფილებით.

კონფლიქტში ორი მხარე მონაწილეობს, თუმცა პოლიტიკურ სფეროში ძირითადად მრავალმხრივ კონფლიქტს ეხვდებით. კონფლიქტის მიზეზი კონკრეტულ სიტუაციას უკავშირდება. დაძაბულობის ინტენსივობას ზრდის მხარეთა შორის არსებული ურთიერთაღქმა ანუ სარკისებური აღქმა. “სხვა” უარყოფითად აღიქმება, “ჩვენგან” განსხვავებულად “სხვას”, მტრის დამახასიათებელი თვისებები მიეწერება და ყალიბდება “მტრის ხატი”. მტრის ხატის არსებობა გულისხმობს “სხვის” უარყოფით აღქმას, აგრესორის, მოძალადის იმიჯს. მხარეთა დამოკიდებულებებში ცრუ შეხედულება ეხება ასევე უკიდურესობებს მოგება-წაგების პოლარულ მიმართებებს, სადაც სიტუაცია “ან-ან” პრინციპზეა აგებული. ასევე მნიშვნელოვანია თვითშეფასებებიც, სადაც საკუთარი თავი “კარგად” და სხვა “ცუდად” აღიქმება. ასეთი აღქმა და ცრუ შეხედულებები აძლიერებს კონფლიქტების ინტენსივობას.

დღევანდელ მსოფლიოში, პირდაპირი სამხედრო აგრესიის ტრადიციული ფორმა ხშირად ადგილს უთმობს დაპირისპირებულ სახელმწიფოთა შიგნით არსებული წინააღმდეგობების გარედან შეგნებულად გაღვივების ფორმას. როგორც წესი, ეს ხდება ქვეყნის შიგნით არსებული ოპოზიციური, მათ შორის ეთნიკური სეპარატისტული ძალებისათვის დახმარების გაწევის სახით. აღსანიშნავია ერთი საინტერესო გარემოება, სახელმწიფოთა შიგნით გაღვივებულ კონფლიქტებში საერთაშორისო საზოგადოების ჩარევის პერსპექტივა, ხშირ .შემთხვევაში, თავად ასტიმულირებს ეთნიკური და კონფესიურ უმცირესობათა მოძრაობების, მათ შორის ეთნიკური სეპარატიზმის გააქტიურებას.

მას ხელს უწობს აგრეთვე ის სამართლებრივი გაურკვევლობა რომელიც არსებობს სახელმწიფოთა და მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა უფლებრივ საკითხებში, საკმარისია გავისხენოთ საერთაშორისო სამართლის ნორმებით დაფიქსირებული წინააღმდეგობა ერთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის პრინციპებს შორის. ობიექტურად არსებული რეალობიდან გამომდინარე დღეისათვის ეთნიკური კონფლიქტები გადაიქცა გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე უმწვავეს პრობლემად. და დღეისათვის არსებულ შეიარაღებულ დაპირისპირებათა ლომის წილი მოდის ცალკეულ სახელმწიფოთა შიგნით არსებულ სხვადასხვა ეთნიკურ-კონფესიონალურ ჯგუფებს შორის დაპირისპირებაზე.

მრავალი ეთნიკური და კონფესიონალური კონფლიქტის უშუალო მიზეზები 'უნდა ვეძებოთ ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის პრობლემებში:

- ეროვნული შემოსავლის უთანასწორო განაწილება;
- რეგიონების ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა;
- განსხვავებები ეთნიკური ერთობლიობების ცხოვრების დონეში;
- განსხვავებები ეთნიკური ერთობლიობების პლიტიკურ მდგომარეობას შორის;
- საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენების აღქმის სხვადასხვაობა.

ყოველი ზემოთ თქმული ხელს არ უწყობს საერთო ინტერესების საკითხებზე საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევას. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას გარდამავალი სტადიის ქვეყნებისათვის, რამეთუ ამ პროცესს თან ახლავს მოსახლეობის მზარდი სოციალურ-პოლიტიკური დიფერენციაცია, რაც თავის მხრივ უკიდურესად ძაბავს სიტუაციას ქვეყანაში.

ამავე დროს, გაუმართლებელი იქნებოდა შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების დაყვანა მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური ხასიათის წინაარმდეგობებზე. ეროვნებათაშორისი და კონფესიონალური კონფლიქტები დამახასიათებელია არა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის. სოციალურ-ეკონომკურ ფაქტორებს, როგორც წესი, კონფლიქტების მხოლოდ საწყის ეტაპზე აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა.

დღეისათვის არ არსებობს ეთნიკური და კონფესიური კონფლიქების მოგვარებისა და მათი პრევენციის მეტ-ნაკლებად საიმედო რეცეპტები. თითოეულმა ქვეყანამ, საკუთარი სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა გამონახოს ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ის ფორმები, რომლებიც მაქსიმალურად აკმაყოფილებს ეთნიკური და კონფესიური უმცირესობების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების მოთხოვნილებებს და იმავდროულად, არ შეეწინააღმდეგება ერთიანი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს.

აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოსთვის რეალურ პრობლემადაა გადაქცეული და როგორც ღია, ისე ფარული ხასიათის საფრთხის მატარებელია. ქვეყნის ერთიანი ტერიტორიიდან მისი ნაწილების მოგლეჯით გამოწვეულ შედეგებს მტკივნეულად განიცდის ყველა ობიექტი:

პიროვნება – დარღვეულია იმ ადამიანთა უფლებები, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში დევნილებად არიან გადაქცეულნი და არა აქვთ საშუალება დაუბრუნდნენ საკუთარ საცხოვრებელ ადგილებს;

საზოგადოება – ცხოვრობს ომში დამარცხებულის ფსიქიკით;

სახელმწიფო – აქვს დაკარგული ტერიტორიები, დაცემულია მისი პრესტიჟი როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში, ისე საკუთარი მოსახლეობის თვალში, ითვლება არასტაბილურ სახელმწიფოდ და შესაბამისად ფერხდება მისი წინსვლა და განვითარება;

რეგიონი – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემები ჩეჩნეთთან და ყარაბაღთან ერთად კავკასიას იმაზე უფრო ნაკლებმიმზიდველს ხდის, ვიდრე მას ამის პოტენციალი აქვს, მიუღწეველია რეგიონალური უსაფრთხოება;

მსოფლიო – კავკასიით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების დაინტერესების ზრდის ფონზე აღნიშნული პრობლემა ერთგვარი მუხრუჭის როლს ასრულებს, რაც ნაკლებსასურველია როგორც განვითარებული დასავლეთისთვის, ისე თავად რეგიონის ქვეყნებისთვის.

ეთნიკური სეპარატიზმით გამოწვეული პრობლემები საკუთარ თავში კიდევ უფრო დიდი პოტენციური საფრთხეების მატარებელია. საქართველოს ტერიტორიიდან მისი ისტორიული ნაწილების დაკარგვის, როგორც ფაქტის, დაშვება არ შეიძლება, რადგან პოლიტიკაში ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და დროის სვლასთან ერთად კიდევ უფრო რთულდება დაკარგულის დაბრუნება. გარდა ამისა, ეთნიკურ ნიადაგზე არსებული ღია ხასიათის საფრთხეების პარალელურად არ უნდა გამოგვრჩეს იმ პრობლემების არსებობა, რომლებიც უფრო ფარული ხასიათის საფრთხეების მატარებელია, ანუ ჯავახეთი, სადაც მაცხოვრებელ ქართველთა რიცხვი ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე არაქართველების. (ძირითადად სომხების). [შ. თეთვაძე; ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში. თბილისი, 1998წ]

ცხრილი

| წლები | სამცხე | | ჯავახეთი | | სამცხე-ჯავახეთი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | % | სულ | % | სულ | % |
| 1917 | 6762 | 10.1 | 68592 | 73.4 | 75354 | 47 |
| 1926 | 15665 | 16.1 | 57791 | 73.2 | 73356 | 41.7 |
| 1939 | 19137 | 14.8 | 81457 | 82.1 | 100594 | 44 |
| 1959 | 29448 | 36.2 | 84299 | 88.7 | 113747 | 64.5 |
| 1970 | 29384 | 34.7 | 96353 | 89.8 | 125737 | 65.5 |
| 1979 | 27952 | 33.8 | 95923 | 90.4 | 123875 | 65.6 |
| 1989 | 27271 | 30.5 | 97056 | 90.7 | 124327 | 63.2 |

გავიხსენოთ ამ პრობლემის ვაჟა-ფშაველასეული მხატვრული ინტერპრეტაცია:

"მას აქეთია კერაზე,
საცა თამარი თბებოდა,
ქართლოსი ხმალსა ჰლესავდა,
ცოლ-შვილის მზერით სტკბებოდა,
ჰაოს-ხანუმა დაფუძნდნენ,
მათ ძენი: მიკიჩ, გალუსტა,
სულ "ვარხალალოს" მღერიან,
ბედი თავს დაჰყეფს: "ბაშუსტა"
ხოლო ქართლოსის ცოლ-შვილნი
სადღაც სოროში შემძვრალან;
თითქოს ობოლი ბღარტები
ხმელს ხის ტოტზედა შემსხდარან".

[ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. III, თბილისი 1964, გვ. 326]

მსგავსი რეალობა სამომავლოდ ეთნიკური სეპარატიზმისა და ირიდენტიზმის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს, მით უფრო რომ გარედან ზემოქმედების ალბათობა ძალზე დიდია.




რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის ისე გაგება, თითქოს ჩვენ ვინმესთან რაიმე გვქონდეს საწინააღმდეგო, მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი არ არიან ეთნიკურად ქართველები, არასწორია. პირიქით, მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ქართველი ხალხი მშვიდობიანად და კეთილმეგობრულად ცხოვრობდა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობასთან. სწორედ ეს უნდა გახდეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების მოგვარების ამოსავალი წერტილი. ქართველ ხალხს როგორც აფხაზებთან, ისე ოსებთან თანაცხოვრების დიდი ისტორიული გამოცდილება გააჩნია და არც დღეს მიმაჩნია სწორად მათგან მტრის ხატის შექმნა (ცხადია იგივეს უნდა ფიქრობდნენ როგორც აფხაზები, ისე ოსები), საჭიროა ურთიერთნდობის აღდგენა, რასაც მხოლოდ პოზიტიური შედეგების მოტანა შეუძლია. გარდა ამ პირველი ნაბიჯებისა, აუცილებელია საქართველომ მისკენ მობრუნებულ აფხაზს და ოსს რაიმე ღირებული შესთავაზოს, რაშიც პირველ რიგში ნორმალურად ფუნქციონირებადი და ჯანსაღი ეკონომიკური მდგომარეობა იგულისხმება. ვფიქრობ, რომ სწორედ ამ უკანასკნელ პირობაშია აღნიშნული კონფლიქტების შედარებით უმტკივნეულოდ მოგვარების გასაღები და საერთოდ, სწორედ მყარი ეკონომიკური კავშირები შეიძლება გახდეს სამომავლოდ ქვეყანაში მცხოვრები ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობის ადამიანების მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის საფუძველი.

ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება ყოველი სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელი ინტერესია. ცხადია ამ უდავო ჭეშმარიტებიდან გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, რადგან ჩვენი ქვეყნისგან ისტორიული მიწების ჩამოცილებით უდიდესი ზიანი ადგება მის სასიცოცხლო ინტერესებს, კეთილდღეობასა და განვითარებას. "სამშობლოს მოკლებული ერი ვერასოდეს ვერ გახდება საერთაშორისო სამართლის თვალში დამოუკიდებელ სოციალურ არსად.

ერი უსამშობლოდ, უტერიტორიოდ თითქოს სივრცის გარეშე მდგომია, უისტორიო ერი თითქოს დროის გარეშე სდგასო. ერის ისტორია – მისი შემოქმედებაა დროში, ერის სამშობლო – ნიადაგია ამ შემოქმედებისა სივრცეში; უმაგისოდ ან ერი არ არის, ან ყოვლად უბედურია... განსაზღვრული სივრციდან გაძევება ერისა მას დროშიაც არაისტორიულად ხდის, უსპობს მომავალ ისტორიას...

ამგვარად ტერიტორიის მნიშვნელობა უბრალო სიტყვა არ არის. იგი დიდია და უპირველესი. არც ისტორიულ ტერიტორიას აქვს უაზრო

მნიშვნელობა. ის ნაწილი ტერიტორიისა, რომელიც ოდნავ შეიძლება სხვა ელემენტით იყოს დასახლებული, მაინც თავის კანონიერ პატრონს ეკუთვნის მართალი სამართლის თვალთახედვით, თუ რასაკვირველია ეროვნული ელემენტი იქ საესებით არ არის აღმოფხვრილი. თუ იგი ერის ტერიტორიის ორგანული ნაწილია, დარჩენილი არის ოდნავ მაინც მისი კულტურა და ისტორიული ნაშთი, თუ ერის გულში მეხსიერება ამ ახლო წარსულისა კიდევ ოდნავ ღვივის, – ერს უფლება აქვს მისი დაბრუნებისა და თავისი კულტურის აყვავებისა, თუმცა მისი მოვალეობაა იმ ელემენტთა უფლებათა პატივისცემა, რომელნიც მას დროთა ვითარებაში ჩამოთესლებია“ [მიხაკო წერეთელი. ერი და კაცობრიობა. თბილისი. 1990]



საქართველოს ტერიტორიული დანაკარგები 1921-1931

მიხაკო წერეთლის შეშფოთება საქართველოს ტერიტორიებთან მიმართებაში არ იყო უსაფუძვლო. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ შემდეგი მონაცემები: “ძვ.წ.ა. I-ლი ათასწლეულის მეორე ნახევარში საქართველოს ტერიტორიის ფართობი შეადგენდა 140,4 ათას კმ²; I-IV საუკუნეებში – 134,2 ათას კმ²; IX –X საუკუნეებში – 131,0 ათას კმ2; XIII საუკუნის დასაწყისში – 205,3 ათას კმ²; XVII საუკუნის მეორე ნახევარში 133,1 ათას კმ²; XIX საუკუნის ბოლოსათვის – 102,0 ათას კმ². (ამჟამად, დე ფაქტო ტერიტორია 57 ათასი კმ²)

თურქეთის მიერ სხვადასხვა დროს მიტაცებული ქართული მიწების ფართობია – 16039 კმ².

1921-1936 წლებში მითვისებული იქნა:

სომხეთის მიერ – 2478 კმ²;

აზერბაიჯანის მიერ – 3627 კმ².”

[ჯანსუღ კეკელია. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბილისი. 1996; ლევან თოიძე. საქრთველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლებში) თბილისი. 1999]

სუვერენულმა სახელმწიფომ თვითონ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ფიზიკური არსებობისა და სრულფასოვანი განვითარების ყველა პირობა. ამ ვალდებულებათა აღსრულება უპირველესად მოსახლეობაში სახელმწიფოებრივი ცნობიერების განვითარებას მოითხოვს. სახელმწიფოებრიობა კი, როგორც ღირებულება გულისხმობს პიროვნებისათვის საკუთარი ქვეყნის, ერთიან მთლიანობად აღქმას და ამ მთლიანობის დაცვის ვალდებულებას; იგი ასევე გულისხმობს მოსახლეობის ყოველი ჯგუფის მიერ საკუთარი თავის მიკუთვნე-

ბას ქვეყნისადმი, როგორც ერთიანი მთლიანისადმი; სახელმწიფოებრიობის ღირებულების გათავისება ნიშნავს, რომ პიროვნება საკუთარ ბედს უკავშირებს ქვეყნის ბედს, ითავისებს ქვეყნის კულტურას, მის ისტორიას და მომავალს – ხდება ქვეყნის მოქალაქე.

ეროვნული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის საჭირო პოლიტიკური ხელისუფლების ქმედითი მოდელის შექმნაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ძალაუფლების ეროვნული ხასიათის განმაპირობებელი ფაქტორების არსებობას. ეს ფაქტორებია: ქართული ცხოვრების წესი, ისტორიული ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები, ეროვნული კულტურა და იდეოლოგია.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ხასგასმითაა აღნიშნული, რომ "საქართველოს ხელისუფლება აცნობიერებს, რომ კულტურის სფეროს განვითარება ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოების დაცვის აუცილებელი პირობაა". [საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. თბ., 2005]



**დიმიტრი უზნაძე (1886-1950) ქართველი ფსიქოლოგი. განწყობის თეორიის ავტორი**

კულტურა უცხო აბსტრაქტული ცნება არ არის. ყოველი კულტურა თვითმყოფადი ეროვნული განვითარების გზით მიდის და ეროვნულ ძალთა ერთიანი დაძაბვის შედეგია. კულტურა არის ეროვნული შემოქმედების ნაყოფი. "არსებობს სწორედ იმდენი კულტურული მიმდინარეობა, რამდენი ეროვნებაც ცოცხლობს. და ეს იმიტომ, რომ კულტურული შემოქმედების სუბიექტი შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული ეროვნული ერთეული იყოს", წერდა დიმიტრი უზნაძე [პოლიტიკა. კვინტესენცია. თბ; 1999 გვ. 152]



**ვაჟა-ფშაველა (1861-1915)**

კულტურული შემოქმედების შედეგად მიღებული სულიერების გარეშე ერს არ შეუძლია არსებობა და იგი თანდათან იღუპება "...ერის სიცოცხლე დაუსრულებელი სიცოცხლეა, თუკი კარგს ეითარებაშია, თუკი მოვლა აქვს, თუკი ერის მეთაურნი სცდილობენ აიცდინონ მომაკვდინებელი სენი და ჭირი. ღირსეული წარსულის ერი თუ კვდება, უეჭველად აწმყოს უვარგისობით უნდა

მოკვდეს, უნდა მოუვლელობა და დაუდევრობა გახდეს იმის სიკვდილის მიზეზი". [ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. ახლად გამოვლენილი მასალები. თბ., 1979. გვ. 170] ვაჟა-ფშაველას ეს დებულება დღეისათვის იძენს განსაკუთრებულ ყურადღებას.

თანამედროვე პირობებში ეროვნული ცხოვრების წესი, წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას, რომელსაც გააჩნია როგორც სამეცნიერო, ისე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ეროვნული ცხოვრების წესის ჩამოყალიბება განპირობებულია მთელი ისტორიული პროცესის მსვლელობით. კულტურის, ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების ღირებულებებით. იგი განასახიერებს ადამიანური ურთიერთობების საუკეთესო, ჰუმანურ ნიშნებსა და პრინციპებს.

ცალკეულ მოვლენებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ყალიბდებიან კომპლექსებად ყოფის ძირითადი სფეროების მიხედვით (მატერიალური კულტურა, სამეურნეო ყოფა, სოციალური ურთიერთობა, დღეობა-დღესასწაულები) და საბოლოო ჯამში ქმნიან ერთიან სისტემას ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების განვითარების დონისა და ხასიათის შესაბამისად, რომელიც საფუძვლად უდევს ცხოვრების წესს.

ეროვნული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები შეიცავენ ადამიანთა ქცევაში საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ გარკვეულ ნორმებსა და პრინციპებს, რომელთაც დღემდე შეინარჩუნეს და დაამტკიცეს თავიანთი სიცოცხლის უნარიანობა. ტრადიციების გარეშე არ არსებობს არც ეროვნული სული და არც ცივილიზაცია. ყოველი ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წეს-წყობილება ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ფსიქიკის, ზნე-ხასიათის, გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესატყვისად უნდა მოეწყოს.

ილია ჭავჭავაძე მართებულად აღნიშნავდა, რომ "ჩვენს ქვეყანას თავისი გრძელი ისტორია აქვს. ამ ისტორიამ შექმნა ჩვენის ქვეყნის საკუთარი წესნი კაცთა ერთმანეთში მოთავსებისათვის მოქალაქურად თუ ეკონომიკურად. ეს წესნი ისე გამჯდარა ჩვენი ქვეყნის ძვალსა და რბილში, რომ ჩვენის ქვეყნისავე სიტყვით, რჯულით უმტკიცესნი არიან. ამა განსაკუთრებულთა რჯულთა ზემოქმედება ისეთი ძლიერია ერის ცხოვრებაში, რომ უყურადღებოდ დაგდება მათი მაშინ, როცა ჰფიქრობ ქვეყნის წარმატებას და განკარგებას, შეცდომაზედ მეტია. მაშინ ფიქრიც და თვითმოქმედებაც უქმია, რადგანაც უნიადაგო და ფეხმოუკიდებელი; მაშინ ყოველი ჯაფა და გარჯა ტყუილად დაკარგული, ტყუილად გაფანტული ღონეა". [ილია ჭავჭავაძე. საქართველოს მატიანე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. V. თბილისი. 1987, გვ. 294-295]

საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონცეფციის არსებობა. იქ, სადაც არ არის ხალხის შემადუღებელი ეროვნული იდეა და მიზანი, არც ეროვნული სახელმწიფოა.

ეროვნული ცნობიერება შეფასებითი ცნობიერების ელემენტში ვლინდება, რაც შემდგომში თავს იჩენს და წარმოსდგება ცნობიერების ნებელობით აქტებში. შეფასებითი ცნობიერება, რომელიც ღირებულებებს ემყარება, და ღირებულებანი, რომლებიც მიზნებსა და იდეალებს ეფუძნებიან, აგრეთვე ცნობიერების ნებელობითი აქტები, წარმოადგენენ სწორედ ეროვნულ მომენტს ცნობიერებაში.

ქართული თვითშეგნების ფორმირება ჩვენ ხანგრძლივ, მრავალეტაპოვან პროცესად წარმოგვიდგება. ვფიქრობთ, რომ გენეტიკური ერთიანობის მძლავრი კოდი აძლევდა ისტორიულად ყველა ხელსაყრელ მომენტში ქვეყანას ერთ ორგანიზმად გამთლიანების უმთავრეს სტიმულს.

ქართული თვითშეგნების ფორმირების გზაზე ვხვდებით დიფერენციაა-ინტეგრაციის საკმაოდ საინტერესო სურათს, რომლის თავისებურება შეიძლება ამგვარად გადმოიცეს: ქართველური სამყაროს ტომობრივი თუ დიალექტური

დიფერენციაციის ყოველი ახალი ეტაპი ხდება მისი ინტეგრაციის ახალი ფორმის ჩამოყალიბების საფუძველი. ამ გზაზე უმთავრეს მაკოორდინირებელ მოვლენად მიგვაჩნია:

ა) ლეგენდარული კოლხეთის გაერთიანება, რომელიც დიფერენციაციის პირველი ეტაპის, ანუ საერთო ქართველური ორ შტოდ დაშლის შემდგომ, ინტეგრაციის პირველი, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება. ვფიქრობთ, რომ ამ გაერთაინების სახელმა და მასშტაბებმა ბევრად განსაზღვრა ქართველთა შტოს გენეტიკური ერთიანობის მკაფიოდ გამოკვეთილი შეგრძნების ფორმირება.

ბ) ფარნავაზის სახელმწიფო დიფრენციაციის მეორე ეტაპის, ანუ ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლის შემდგომ, ინტეგრაციის ახალ, არსებით ფაქტორად მოგვევლინა. ამ დონეზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ენის მიერ ზედიალექტური, საერთო ნორმის სტატუსის მოპოვებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

გ) რომაული იმპერიის ჰეგემონობის პერიოდი, როდესაც საქართველოში შემდგომი დიფერენციაციისა და ჩვენი ტერიტორიის სხვადასხვა ძალებს შორის გადანაწილების ახალი საფრთხე შეიქმნა. იბერია იქცევა ინტეგრაციის მძლავრ ფაქტორად. ამ დონეზე ეროვნული კონსოლიდაციის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იბერიის გამოსვლას მსოფლიოს დიდი პოლიტიკის ასპარეზზე, რაც ეროვნული ღირსების შეგრძნების გამძაფრების მძალვარი სტიმული ხდება, ასევე ქრისტიანული სარწმუნოების მიღებასა და ეროვნული მწიგნობრული ლიტერატურის განვითარებას.

დ) ვახტანგ გორგასლის ეპოქა არსებითად საფუძველს უყრის ქრისტიანული ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ყველა წინაპირობას და თავიდან იცილებს საქართველოს ევროპულ და აზიურ ორიენტაციათა, ქრისტიანული და არაქრისტიანული იდეოლოგიის მქონე ქვეყნებს შორის დანაწილების საფრთხეს. არსებითად ამ ეპოქაში დაფიქსირდა საბოლოოდ ის იდეა, რამაც ქართველთა მთელი ისტორიის განმავლობაში ევოლუციის ხანგრძლივი გზა განვლო – იდეა ქართველთა განუყოფელობისა, რაც შემდგომ ერთიანი, ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველი ხდება. [რისმაგ გორდეზიანი. ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა. თბილისი. 1993]



ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) ქართველი ისტორიკოსი

ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ "ეროვნული თვითშემეცნების გამოღვიძებისა და გაღვივებისათვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოებს და იმავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს". [ივანე ჯავახიშვილი. ისტორიული რარიტეტები. თბილისი. 1989]

არჩილ ჯორჯაძე ნაშრომში "სამშობლო და მამულიშვილობა" ეროვნული ცნობიერების წარმოშობის საკითხს უკავშირებს სახელმწიფოს წარმოშობას.

"...ქართული ეროვნული შემეცნება და ქართული სახელმწიფოებრიობის შემეცნება არა მარტო ვიწროდ არიან დაკავშირებული ერთი მეორესთან, არამედ ერთიმეორესთან ფაქტიურად და ლოგიკურად შესისხლხორცებულნი არიან, ქართულმა სახელმწიფომ შექმნა ქართული ეროვნება და ეროვნული შემეცნება. ეს შემეცნება ძლიერი იყო ქართული სახელმწიფოს ძლიერების ხანაში, ხოლო სუსტი ამ სახელმწიფოს დასუსტების დროს. მეტსაც ვიტყვით, ჩვენი ეროვნული თვითშემეცნება ძალადობით იყო შექმნილი სწორედ ისე, როგორც ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია". [არჩილ ჯორჯაძე. სამშობლო და მამულიშვილობა. თბ; 1990]

წამოყენებული დებულების დასამტკიცებლად იგი იშველიებს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომს "საქართველოს მეფე და მისი უფლებრივი ისტორია". ისტორიული ფაქტების ანალიზის შემდეგ იგი აკეთებს დასკვნას. "...ძალა და დაპყრობა ჰქმნიდა ქართულ სახელმწიფოს. ამ სახელმწიფომ გააერთიანა განცალკევებულად მცხოვრები ქართველთა ტომნი. ქართული ეროვნება პირმშო შვილი ხდებოდა ქართული სახელმწიფოებრივობისა".

ა. ჯორჯაძის აზრით გაერთიანების უპირატესობის შეგნება ჩნდებოდა და იზრდებოდა იმ ტომებში, რომლებიც ერთგვაროვანი იყვნენ ეთნოგრაფიულად და სარწმუნოებრივად. პირისპირ დაყენებული ერთ ენაზე მოსაუბრე და ერთი სალოცავის მლოცველი ერთნაირი ჯგუფები თანდათან ითვისებდნენ ნათესაობის შეგნებას და ეს ნათესაობის შეგნება დასაწყისია ხოლმე ეროვნული თვითშემეცნებისა.



არჩილ ჯორჯაძე (1872-1913) ქართველი ფილოსოფოსი,სოციოლოგი, პუბლიცისტი

ქართული ეროვნების შემოქმედებითი მთავარი ფაქტორი – "სამეფოა" და ამ სამეფოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია რომ უფრო ძლიერი გამომდგარიყო, ადვილი შესაძლებელია, რომ დღეს ქართული არსებობის თვით შემეცნებით მთელი ამიერკავკასია ყოფილიყო გამსჭვალული. მაგრამ ჩვენი სახელმწიფო, მისი ცენტრალური ორგანოები სუსტნი იყვნენ და მან ქართველ ტომთა გარეშე ვერ დაამკვიდრა ეროვნული შემეცნების აზრი. თვით-ქართველ ტომთა ფარგლებშიაც ეს შემეცნება ხშირად დიდს განსაცდელსა და რყევაში იყო ხოლმე. ქართული სამეფოს ეროვნების შექმნის პროცესში ხელს უწყობდა – ენა, მწერლობა, ეკლესია, ადებ-მიცემობა, მაგრამ ქართული ეროვნული შემეცნება სუსტი იყო იმ ხანაში, როდესაც დასუსტებული იყო სახელმწიფოებრიობა – ეგ მთავარი ფაქტორი ეროვნების ჩასახვის, ზრდისა და გაძლიერებისა.

სახელმწიფო ნაყოფია უმცირესობის მიერ უმრავლესობის დაპყრობისა, ხოლო ეგ უმცირესობა ყოველთვის არ განირჩეოდა ეთნიურად უმრავლესობისაგან: ასეთია პოლიტიკური საზოგადოების სტრუქტურა. ეროვნება ჩნდება სწორედ ამგვარი ხასიათის პოლიტიკური საზოგადოების ნიადაგზე.

ამიტომაც არის, რომ პოლიტიკური საზოგადოების განმსაზღვრელი ევოლუცია არის ამავე დროს ევოლუცია ეროვნებისა.

ხანგრძლივი დამორჩილება ხალხს ღრმა ბეჭედს აკრავს მის სულიერ ვითარებაზე. ხალხი თანდათან ეგუება ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას და მის მიერ დაკანონებულ სოციალურ წყობილებას. ამიტომ იყო, რომ ქართულ სამეფოს ჩარჩოებში ბატონყმობის ინსტიტუტიც მკვიდრდებოდა და მასთან ეროვნული შემეცნების არსიც ვითარდებოდა.

სახელმწიფოებრივმა ორგანიზაციამ, რომელიც ბატონყმობისა და პატრონყმობის ნიადაგზე განტკიცდა, წარმოშვა ჩვენი ქართული ეროვნული თვითშეგნება. ამ ეროვნულ თვითშეგნების შინაარსს მარტოოდენ პოლიტიკური მთლიანობის აზრი კი არ შეადგენდა, არამედ ღმერთისა და ბატონის წინაშე დამორჩილების გრძნობებიც.

ეროვნული თვითშემეცნების წარმოშობის პროცესში ერთი მთავარი ელემენტია – მეფეების თაყვანისცემა და გაღმერთება. მეფობა ნიშნავს საგვარეულო წყობილების დაძლევას, ახალი პოლიტიკური ორგანიზმის შექმნას და ამ ორგანიზმის მეოხებით მტერზე თავდასხმას ან მისგან თავის მოგერიებას.

ეროვნული შემეცნების საქმეში ასევე დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ომიანობასაც, რადგან ერი შვა სახელმწიფომ, ხოლო სახელმწიფო არის ძალდატანებითი ორგანიზაცია უმცირესობის ბატონობისა უმრავლესობაზე და რადგან ეს ბატონობა მით უფრო მტკიცეა, რაც უფრო ძლიერია და დიდი ბატონების სამფლობელო. ამიტომ სახელმწიფოს აზრი და მისწრაფება საზღვრების გაფართოვებაა და ახალ ერთა და ქვეყანათა დაპყრობა. ამ პროცესის ძალით ხალხის ეროვნული თვითშემეცნება იკვებება გმირული ამბების გადმოცემით და მოთხრობებით და როგორც სახელმწიფოა აგრესიული, ისე ეროვნული შემეცნებაც ხდება აგრესიული. ასე იყო ჩვენშიაც 1122 წლიდან 1226 წლამდე, ე.ი. 104 წლის განმავლობაში საქართველოს საზღვრებად შეიქმნა: კასპიის ზღვა, დარუბანდი, ჩაჩანი, ყიზჩაღეთი, ჩრდილო ოსეთი, ჩერქესი, ჯიქეთი, ტრაპიზუნდი, რაც თამარმა დაარსა ცალკე იმპერია და მისცა იგი ალექსი კომნენს, კარნუ (არზერუმი), კარი (კარისი), დვინი, ანისი და არეზის მარცხენა მხარე კასპიის ზღვამდე. ასე რომ ამ საზღვრებში ქართველთა მეფეებმა შემოჰკრიბეს მრავალი სამეფო-სამთავროები, რომელნიც ბაგრატ მესამემდე ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და ამ გაუქმებულ სამთავრო-სამეფოების გვირგვინოსანთა უფლება თავიანთ ხელმწიფეებს შეჰმატეს.

იტყვიან, ყოველივე ეს საჭიროა იყო ბუნებრივ საზღვრების გამაგრებისათვის, მაგრამ რა არის "ბუნებრივი საზღვარი"? ერთ შემთხვევაში იგი ერთგვარ ეთნოგრაფიულ ელემენტებისაგან დასახლების ფარგალია, მეორე შემთხვევაში იგია მთა, ზღვა და უფრო კი ხშირად იგია უსაზღვრო ლტოლვილება. სიგანე-სივრცეში, ლტოლვილება, რომელიც ჩერდება და დგება მხოლოდ იქ, სადაც მას წინ ეღობებიან და გასაქანის იერიშს უკეეცავენ. ბუნებრივი საზღვარი მაშინ ამ "ძალადობის" ზღუდესთან სწყდება და იქით გასვლას ვეღარ ჰბედავს.

სახელმწიფოს გამაგრებამ, ფეოდალთა ძალების შესუსტებამ და თვითმპყრობელობის განმტკიცებამ საბოლოოდ ხელი შეუწყო ეროვნული შემცნების დამწიფებას. ხოლო უცხოელებთან შეტაკებამ ქართველების ეროვნული გრძნობა გამოაღვიძა, მჭიდროდ შეაერთა და თვითშემეცნება უმაღლეს წერტილამდე აიყვანა.

ამრიგად, – აკეთებს დასკვნას არჩილ ჯორჯაძე, – თუ გვინდა კონკრეტულად შევისწავლოთ ეროვნების ჩასახვისა და განვითარების პროცესი, სახელმწიფოსკენ უნდა მივაპყროთ გულისყური და ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაში ვპოვებთ იმ მოძრავ ძალას, რომელიც, სრულიად შეუგნებლივ, საუკუნეთა განმავლობაში თავის ფარგლებში და თავის ორგანოების

დახმარებით ამუშავებდა ეროვნულ შემეცნების გრძნობას, როდესაც ეს შემეცნება სხვადასხვა ძალთა ხანგრძლივ მუშაობის ნაყოფად გამოერკვა, აღმოჩნდა, რომ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მობინადრე ტომები, ხშირად სხვადასხვა რასული ელემენტებისაგან შემდგარნი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაახლოვებულან და უცვნიათ სოლიდარობა თავიანთის ინტერესების.

ამ ნიადაგზე განვითარდა კულტურა, რომელსაც ეროვნული კულტურის სახელი დაერქვა. მაგრამ თანდათან აღმოჩნდა ეროვნული ცხოვრების სხვა მხარეც. გამოჩნდნენ "ერთობის" და "სოლიდარობის" დამარღვეველი ძალები. გამოაშკარავდა ის წინააღმდეგობა, რომელიც უკვე ძველი დროის იყო ჩასახული საზოგადოების საძირკველში. გამოაშკარავდა ერის შემადგენელ ნაწილთა შორის ანტაგონიზმი და ბრძოლა.

საერთო საკაცობრიო და ზოგადად ადამიანური იდეალები და ღირებულებანი არ გამორიცხავენ ეროვნული იდეალებისა და ღირებულებათა არსებობას. ყოველი ერი სულდგმულობს, არსებობს, ცოცხლობს და მოღვაწეობს თავისი საკუთარი, გამოკვეთილი იდეალებით და ღირებულებებით.

ჭეშმარიტად ეროვნული ცნობიერება სიღრმისეული ცნობიერება, იგი განამტკიცებს არა გამანადგურებელ და მომაკვდინებელ ძალას ისტორიული პროცესისას, არამედ ყოველი ცოცხალის შემნახველ და მის აღმდგენელ ძალას. ერის ცხოვრება, ეროვნული ცხოვრობა არის უწყვეტი კავშირი წინაპრებთან და პატივისცემა მათი ანდერძებისა...

ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ არა მარტო ერის მოწინავე ცოცხალი წარმომადგენლები, არამედ დიდი ხნის წინ გარდაცვლილი თაობებიც. მათ მიერ შექმნილი ტაძართა, სასახლეთა, საცხოვრებელ სახლთა და ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები, წინაპართა საფლავების ლოდები და მათზე ამოკვეთილი წარწერები, ძველი ხელნაწერებისა და წიგნების გაცრეცილი ფურცლები. [ნიკოლოზ ბერძიაევი. ერი და კაცობრიობა. თბ; 1993]

ეროვნული პოლიტიკური ცნობიერება და თვითცნობიერება ერის სოციალურ-კულტურული და პოლიტკური განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშობა. მისი თავისებურებანი კონკრეტული ეროვნულ-ისტორიული პოლიტიკური პირობებით განისაზღვრება.

მასში ძირითადად ასახულია:

- ეროვნული პოლიტიკური ინტერესები, შეფასებები და ორიენტაციები, რომლებიც ეროვნული განსაკუთრებულობასა და თავსებადობას ემყარებიან;
- ეროვნული პოლიტიკური კულტურის თვითმყოფადობა და მისი ეროვნულ-ტრადიციული ფორმები;
- ეროვნული პოლიტიკური თანაცხოვრების ღირებულებები და ნორმები; ეროვნული პოლიტიკური ხასიათი და სტერეოტიპები;
- ეროვნულ-ფსიქიკური თავისებურებანი;
- გლობალური პოლიტიკურ ცნობიერებასთან ეროვნული ცნობიერების შესაბამისობის დონე.

ეროვნული პოლიტიკური ცნობიერების უმაღლეს საფეხურზე იწყება ეროვნული თვითდამკვიდრებისა და თავისთავადობის გაცნობიერება, რასაც ეროვნული პოლიტიკურ თვითცნობიერებას უწოდებენ.

ეროვნული პოლიტიკური თვითცნობიერება ეროვნული ერთობის პოლიტიკური სოციალიზაციის ისეთი პროცესია, როდესაც იწყება საკუთარი თვითგამორკვევა და თვითშეფასება.

მასში ვლინდება ეროვნული პოლიტიკური სოციალიზაციის თავისთავადობა და თავისებურებანი, ეროვნული პოლიტიკური თვითმყოფადობა, პოლიტიკური ხასიათი და ეროვნულ-პოლიტიკური ორიენატციები.

პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში ეროვნული პოლიტიკური ცნობიერება და თვითცნობიერება ხელს უწყობს ინდივიდთა პოლიტიკურ შეკავშირებას, ინტეგრაციას, ეროვნულ სულიერ პოლიტიკურ კონსოლიდაციას, საერთო ინტერესებისა და მიზნებისათვის პოლიტიკურ მობილიზაციას, ეროვნულ სრულყოფილებას, პოლიტიკურ სტაბილურობას. იგი გვევლინება შიდაეროვნული პოლიტიკური კონფლიქტების დაძლევის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპებზე. [გურამ აბესაძე. პოლიტიკური სოციალიზაცია. თბილისი, 1996]

რა შეიძლება ითქვას ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე?

რა თავისებურებებითა და სპეციფიკით გამოირჩევა იგი?

ქართული ეროვნული ცნობიერების ღირებულებათა ცხრილის სათავეშია სამშობლო. აქ სამშობლო არის "მე"-ს გენერალიზაცია. ყველა სხვა ღირებულება ეფუძნება სამშობლოს, მისგან გამომდინარეობს და მისითაა პირობადებული. სამშობლო არის აბსოლუტური ღირებულება. სწორედ ამ გრძნობებიდან ამოსვლით არის შემუშავებული ქართული მენტალიტეტი. თვით სიცოცხლის საზრისის გააზრება მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშობლოს ფენომენთან.

სამშობლოს ინტერესების დონეზე აზროვნება, საკუთარი ნების და ცნობიერების ნებელობითი აქტების დაქვემდებარება სამშობლოს ინტერესებისადმი, სამშობლოსათვის თავგანწირვა, საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანა სამშობლოს საკურთხეველზე – ქართული ეროვნული ცნობიერების მიერ გაიაზრებოდა, როგორც პიროვნების მოქალაქეობრივი და ზნეობრივი ვალის პირნათელი აღსრულება. [ჯანსულ კორძაია. ეროვნული ცნობიერების რაობის შესახებ. რანი ვართ ქართველნი?! №2, 1997].



საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია

ქართული ცნობიერების საფუძველია ქრისტიანულ ღირებულებათა პრიორიტეტი, სულიერის მატერიალურზე მაღლა დაყენება, ღვთისა და ერისათვის თავგანწირვა და მარტვილობა, ქრისტიანული რაინდობა. ამ მახასიათებლების მიხედვით უწოდეს უცხოელებმა ძველ ქართველებს გეორგიანნი, რამეთუ საქართველოს აღიქვამდნენ, როგორც წმინდა გიორგის ერთიან ორდენს.




ქართული ცნობიერების ხატია წმინდა გიორგი, ბოროტების ძალთა წინააღმდეგ ამხედრებული, ამიტომ არის იგი გერბი საქართველოსი.

## რა არის პოლიტიკა?

ძველი აღმოსავლეთში პოლიტიკური აზროვნება არ იყო გამოყოფილი, როგორც ცოდნის დამოუკიდებელი სფერო და ძირითადად გამოიხატებოდა მითოლოგიური ფორმით; გაბატონებული იყო ხელისუფლების ღვთიური წარმოშობის გაგება.

ძველ საბერძნეთსა და რომში ეტაპობრივად მიმდინარეობს პოლიტიკური შეხედულებების განთავისუფლება მითოლოგიური ფორმებისაგან; ძირითადი ყურადღება ექცევა სახელმწიფოს მოწყობის ანალიზს, მისი ფორმების კლასიფიკაციას, მართვის საუკეთესო ფორმის განსაზღვრას.



**პლატონი (ბერძ., Πλάτων) (428-348 ძ.წ.) ბერძენი ფილოსოფოსი**

**პლატონის აზრით პოლიტიკა არის სპეციფიკური ცოდნა, კერძოდ, ადამიანებზე ხელისუფლების გავრცელების ცოდნა, ხალხის მართვის ცოდნა. სახელმწიფოს მართვა მისთვის პოლიტიკური ხელოვნებაა.**

შუა საუკუნეებში მიმდინარეობს სოციალურ-პოლიტიკური აზრის განვითარება ძირითადად საეკლესიო მოღვაწეების მეოხებით; პოლიტიკური ხელისუფლების თეოლოგიური თეორიის დასაბუთება; პოლიტიკაში რელიგიისა და სახელმწიფოს როლი.

აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქაში ხდება პოლიტიკური თეორიის განთავისუფლება თეოლოგიისაგან და პოლიტიკურ თეორიაში ჰუმანისტური საწყისების განვითარება; მიმდინარეობს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონისა და სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიული მოწყობის პრობლემების ანალიზი.

ახალი ისტორიისათვის დამახასიათებელია ლიბერალური პოლიტიკური იდეოლოგიის ჩამოყალიბება; ხელისუფლების დანაწილების აუცილებლობის დასაბუთება; სამართლებრივი სახელმწიფოს დახასიათება; ბურჟუაზიული დემოკრატიის ფუნქციონირების მექანიზმისა და ღირებულებების ანალიზი; ადამიანისა და მოქალაქის უფლებების კონცეფციის ჩამოყალიბება.

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბებას საფუძველი ეყრება უახლეს ისტორიაში (XIX საუკუნის დასასრული – XX საუკუნის 40-იანი წლები). ამ პერიოდში მთავარი ყურადღება ექცევა პოლიტიკური ხელისუფლებისა და მისი სოციალური საფუძვლების პრობლემების კვლევას: დაინტერესებული ჯგუფების თეორია (ა. ბენტლი); ელიტის (მმართველი კლასის) თეორია (გ.მოსკა, ვ.პარეტო); სახელმწიფოს სოციოლოგიური თეორია (მ.ვებერი); ხელისუფლების ოლიგარქიზაციის თეორია (რ.მიხელსი); ხელისუფლების ფსიქოლოგიური თეორია (ჰ.ლასუელი).

პოლიტიკური კვლევების აქტიური გაფართოება იწყება XX საუკუნის 40იან - 70-იანი წლებში. მოხდა პოლიტიკური ცხოვრების, დემოკრატიის, სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ლიბერალიზაციის პრობლემებისადმი შემობრუნება: დემოკრატიის ახალი თეორია (ა.შუმპეტერი); დემოკრატიის პლურალისტური თეორია (რ.დალი); პარტისიპატორული დემოკრატიის თეორია – (კ.მაკფერსონი, ჯ.ვოლფი, ბ.ბარბერი); სახელმწიფო კეთილდღეობისა და სამომხმარებლო საზოგადოების კონცეფცია.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩვენი დღევანდელობის ჩათვლით ადგილი აქვს პოლიტიკური მეცნიერების ახალი პარადიგმების ძიებას. მიმდინარეობს დასავლური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის ხელისუფლების ადეკვატური თეორეტიკული მოდელებისა და კონცეფციების დასაბუთება: ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს ფუტუროლოგიური კონცეფცია (უ. კლარკი, პ. სონი); პოსტინდუსტრიალური საზოგადოების კონცეფცია (ა. ბელი, რ.არონი, ჯ.გელბრეიტი, ზ.ბჟეზინსკი); ინფორმაციული საზოგადოების კონცეფცია (ო. ტოფლერი); ეროვნული ინტერესის კონცეფცია – (ჰ. მორგენტაუ); ელიტარული დემოკრატიის თეორია; ხელისუფლების ძალისმიერი კონცეფცია.

პოლიტიკის ახსნის ძირითადი პარადიგმებია: თეოლოგიური (პოლიტიკისა და ხელისუფლების ზებუნებრივი ინტერპრეტაცია); ნატურალისტური (პოლიტიკის ბუნება გამომდინარეობს ბუნებრივი გარემოს ზემოქმედების შედეგად – გეოგრაფიული პარადიგმა, ცოცხალი ბუნების ზემოქმედების შედეგად – ბიოლოგიური პარადიგმა, ადამიანის თვისებების ზემოქმედების შედეგად – ფსიქოლოგიური პარადიგმა; სოციალური (პოლიტიკა ხასიათდება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების, პოლიტიკური სუბიექტის სოციოკულტურული თვისებების ზემოქმედების კუთხით); კრიტიკულ-რაციონალური (პოლიტიკა გაიგება არა მასთან მიმართებაში არსებული გარე ფაქტორებით, არამედ შინაგანი მიზეზებით, თვისებებით, ელემენტებით).

პოლიტიკის სტრუქტურაში შედის: პოლიტიკური ინტერესი (წარმოადგენს პოლიტიკური ქცევის გაცნობიერებულ შინაგან წყაროს, რომელიც უბიძგებს ადამიანებს წამოაყენონ განსაზღვრული პოლიტიკური მიზნები და

განახორციელონ კონკრეტული პოლიტიკური მოქმედებები მათ მისაღწევად); **პოლიტიკური ურთიერთობები (გამოხატავენ საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობის მდგრად ხასიათს ერთმანეთსა და ხელისუფლების ინსტიტუტებს შორის); პოლიტიკური ორგანიზაცია (ასახავს საჯარო ხელისუფლების ინსტიტუტების, როგორც საზოგადოებრივი პროცესების მართვისა და რეგულირების ცენტრების, როლს); პოლიტიკური ცნობიერება (ასახავს პოლიტიკური ცხოვრების დამოკიდებულებას ადამიანების მიერ თავიანთი ძალაუფლებრივ-მნიშვნელოვანი ინტერესებისადმი გაცნობიერებული დამოკიდებულებას); პოლიტიკური მოღვაწეობა წარმოადგენს იმ სუბიექტების სოციალური აქტიურობის ნაირსახეობას, რომელთა მოქმედებები გამოხატავენ მათ მიერ საკუთარი პოლიტიკური სტატუსების რეალიზაციას).**

პოლიტიკის ძირითადი ფუნქციებია საზოგადოების ყველა ჯგუფისა და ფენის ძალაუფლებრივ მნიშვნელოვანი ინტერესების გამოხატულება; მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ინტეგრაცია, სტაბილურობისა და წესრიგის საზოგადოებრივი სისტემის ერთიანობის მხარდაჭერა; ადამიანისა და საზოგადოების სოციალური განვითარების ინოვაციურობის უზრუნველყოფა, ხალხებს შორის, ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთობების სფეროს გაფართოება; საზოგადოებრივი პროცესების მართვა და ხელმძღვანელობა, წარმოშობილი წინააღმდეგობების რაციონალიზაცია, მოქალაქისა და სახელმწიფოს ცივილიზებული დიალოგის უზრუნველყოფა; პიროვნების სოციალიზაცია.

ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოაზროვნის ალექსანდრე ამილახვარის აზრით "პოლიტიკა არსებობს ადამიანის გაჩენის შემდეგ და ყოველგვარი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, არის შედეგი პოლიტიკისა. პოლიტიკა იმდენად მძლავრი მოვლენაა, რომ სატანასაც კი მან შთააგონა ღმერთის წინააღმდეგ აჯანყება." [ი.რეხვიაშვილი. პოლიტოლოგია. თბილისი, 2002]

სიტყვა პოლიტიკა ბერძნული „პოლისიდან" მომდინარეობს. სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში „პოლისი" სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ზოგან იგი ნიშნავს „ქალაქს", „ქალაქ სახელმწიფოს", „სახლმწიფო და საზოგადოებრივ საქმეს". დროთა განმავლობაში მოხდა ამ ცნების ტრანსფორმირება იმგვარად, რომ პოლიტიკა გაიგება, როგორც სახელმწიფო საქმეების მართვის მეცნიერება და ხელოვნება.

პოლიტიკის ასეთი განმარტება სწორია, თუმცა არასაკმარისია ამ ფენომენის შინაარსობრივი მრავალფეროვნების სრული გარკვევისათვის. ამიტომაც დღეს პოლიტიკის ცნების განმარტებისადმი სხვადასხვა მიდგომა არსებობს. მაგალითად, სამართლებრივი კონცეფციების მიხედვით პოლიტიკისა და სახელმწიფოს პირველსაწყისია ადამიანის ბუნებრივი უფლება სიცოცხლეზე, თვითრეალიზაციის პირობებზე და ა.შ. სხვა მიდგომის თანახმად პოლიტიკა განიხილება, როგორც ხელისუფლების მოპოვებისათვის მისწრაფება და მოქმედება.

პლატონის აზრით პოლიტიკა არის სპეციფიკური ცოდნა, კერძოდ, ადამიანებზე ხელისუფლების გავრცელების ცოდნა, ხალხის მართვის ცოდნა. სახელმწიფოს მართვა მისთვის პოლიტიკური ხელოვნებაა.

მეცნიერულ ლიტერატურაში უფრო აღიარებული და გავრცელებულია პოლიტიკურ-ანთროპოლოგიური განმარტება, რომელიც არისტოტელეს მოძღვრებასთან არის დაკავშირებული და რომლის თანახმადაც პოლიტიკა ადამიანთა ურთიერთობის ფორმა, მათი კოლექტიური არსებობის აუცილებელი პირობა და საშუალებაა.

პოლიტიკის გარეშე არ არსებობს ადამიანი. რომელიც თავისთავად არის საზოგადოებრივი, კოლექტიური და კიდევ უფრო მეტად – პოლიტიკური არსება.

მხოლოდ და მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში შეუძლია ადამიანს მოიპოვოს არსებობისათვის ყოველივე აუცილებელი და შეძლოს თვითრეალიზაცია. არისტოტელეს მტკიცებით პოლიტიკა ადამიანის ცხოველმყოფელობის უმაღლესი ფორმაა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება საყოველთაო კეთილდღეობისა და სამართლიანობის მიღწევა.

პოლიტიკის უმაღლესი ზნეობრიობა გამოიხატება სამართლიანობის სულისკვეთებაში.

სამართლიანობის სულისკვეთება, რომელიც პასუხობს სახელშეკრულებო ურთიერთობების, დასჯის და ზარალის ანაზღაურების სამართლიანობას, არ მოითხოვს ახსნას. ვინაიდან გასაგებია, რომ მოსამართლემ უნდა გამოიტანოს აბსოლუტურად სამართლიანი განაჩენი.

სამართლიანობის პრობლემა რთულდება განაწილების დროს. დემოკრატიულ საზოგადოებაში განაწილება არ არის პოლიტიკოსების ან მოქალქეების საქმე. ეს არის აგორიული პროცესების საქმე. ნეოლოგიზმი „აგორია"-ს ჟან ბეშლერი იყენებს სიტყვა „ბაზრის" თავიდან ასაცილებლად მისი ეკონომიკური ჟღერადობის გამო. [აგორია არის, - თავისი ბუნებით და დეფინიციით, - მოწესრიგებული ე. ი. ძალადობის და მზაკვრობისაგან თავისუფალი საზოგადოებრივი სივრცე, რომელშიც სულ ცოტა ერთი მოთხოვნა და ერთი შეთავაზება გვხვდება, ესენია „მოთხოვნა" და „მიწოდება" – ო.ქ.] და თუ ეს პროცედურები არ აწყდება დაბრკოლებას და ზეწოლისაგან არის დაცული, მაშინ ხდება ძალაუფლების, პრესტიჟისა და სიმდიდრის სამართლიანი განაწილება. პოლიტიკოსის ზნეობრიობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ აგორიულმა სტრუქტურებმა არ დაკარგოს იმუნიტეტი საგარეო გავლენის მიმართ.

პოლიტიკოსები შეიძლება ჩაერთენენ განაწილებაში, განსაკუთრებით სიმდიდრის, როდესაც საქმე ეხება უზენაეს სამართლიანობას:

- როცა სამართლიანი განაწილების შემთხვევაშიც კი მოქალაქეების ნაწილი იმდენად უმნიშვნელო წილს ღებულობს, რომ საერთო თანხმობა საფრთხეში აღმოჩნდება;
- ან როცა რიგი მოქალაქეებისა საერთოდ არაფერს არ იღებს.

ასეთ შეთხვევაში სოლიდარობის მიზნით ხდება რესურსების განაწილება, ამასთან შეიძლება საჭირო გახდეს სახელმწიფო არხების გამოყენება. ამ დროს ზნეობრიობა პოლიტიკოსებისაგან მოითხოვს რესურსების განაწილებას არა მარტო იმიტომ, რომ არსებობს შური მდიდრების მიმართ, არამედ უაღრესად გაჭირვებულთა დასახმარებლად და საერთო თანხმობის შესანარჩუნებლად. [ჟან ბეშლერი. დემოკრატია. თბილისი. 1998]

პოლიტიკის უპირატესი მიზანი არის უმაღლესი სიკეთე, სამართლიანობა, ანუ ის, რაც ემსახურება საერთო სამართლიანობას.

არისტოტელე პოლიტიკას, როგორც მეცნიერებას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მას მიაჩნდა, რომ იგი უშუალოდ შეისწავლიდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა საოჯახო ურთიერთობები, სათნოება, სიკეთე, ბოროტება, სახელმწიფო სამართალი და სხვა. მას პოლიტიკის უმთავრეს და საბოლოო მიზნად სიკეთის უზრუნველყოფა მიაჩნდა და ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ „უმაღლესი სიკეთე არის უპირატესი მიზანი ყველა მეცნიერებიდან და ხელოვნებიდან ყველაზე მთავრისა – კერძოდ, პოლიტიკისა". უმაღლეს სიკეთედ კი არისტოტელე ისეთი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობას გულისხმობს, რომელიც ადამიანთა სიამესა და დოვლათიან არსებობას უზრუნველყოფს.

არისტოტელე აღნიშნავდა, პოლიტიკა ყველაზე მთავარი მეცნიერება და ხელოვნებაა ყველა მეცნიერებასა და ყველა ხელოვნებას შორის. იგი

ხელოვნებაა, რომელიც ხელისუფლების, სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში ელინდება. ამიტომ, ვიდრე ხელს მოჰკიდებდნენ ამ საქმეს, უნდა დაეუფლონ მართვის ხელოვნებას, მიიღონ სათანადო პროფესიონალური მომზადება, შეიძინონ გამოცდილება.

ძალზე საყურადღებოა ნიკოლო მაკიაველის შეხედულებანი პოლიტიკაზე. იგი ურთიერთისაგან მიჯნავს პოლიტიკასა და მორალს. მისი აზრით პოლიტიკა ამორალური, ცბიერების, მზაკვრობის და დაუნდობლობის სფეროა. სწორედ ამის გამო პოლიტიკური მოქმედება – პრინციპით „მიზანი ამართლებს საშუალებას", მაკიაველიზმად იწოდება.

გავარკვიოთ პოლიტიკისა და მორალის ურთიერთმიმართების საკითხი. ეს ფრიად დელიკატური პრობლემა გახლავთ, რომელიც არსებითად ძალისა და სამართლიანობის თანაფარდობამდე დაიყვანება. ფილოსოფიური აზრის ისტორიაში, ალბათ იშვიათად თუ ვინმეს გამოუთქვამს უფრო ცხადად და სხარტად ამ თანაფარდობის არსი, ვიდრე ეს მოახერხა ბლეზ პასკალმა: „მართებულია დაემორჩილო სამართლიანობას, შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას. სამართლიანობა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა, უძლურია; ძალა რომლის ზურგს უკან არ დგას სამართლიანობა, ტირანულია. უძლურ სამართლიანობას ყოველთვის ფეხქვეშ გაიგებენ, იმიტომ რომ ამქვეყნად არ დაილევიან უკეთურნი; უსამართლო ძალა ყოველთვის აღაშფოთებს კეთილთ. მაშასადამე, საჭიროა ძალისა და სამართლიანობის შერწყმა. ამიტომ ან სამართლიანობა უნდა გახდეს ძლიერი, ან ძალა – სამართლიანი". [პოლიტიკა. კვინტესენცია. თბილისი. 1999]



**ბლეზ პასკალი (ფრ., Blaise Pascal)(1623-1662) ფრანგი მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ფილოსოფოსი, ლიტერატორი**

ძლიერი სამართლიანობა, სამართლიანი ძალა, – აი, სახელმწიფოებრივი სიბრძნისა და ზნეობის მარადიული იდეალი. დიახ, მხოლოდ იმ სახელმწიფოს პოლიტიკაა მორალური, რომელიც კანონიერებისა და ძალაუფლების ჰარმონიული თანამშრომლობის მეშვეობით სამართლიანობის განხორციელებასა და დამკვიდრებას ისახავს მიზნად,ვინაიდან იქ, სადაც სამართლიანობას არავითარ ანგარიშს აღარ უწევენ, ცხოვრება მთელ თავის აზრსა თუ ღირებულებას კარგავს და ცივილიზებული საზოგადოებისათვის აშკარად უღირსი ბარბაროსობის, ცხოველური არსებობის დონემდე ეშვება.

ერთია მორალისტური თეორიები და მეორე - პრაქტიკული პოლიტიკა, რომელსაც განაპირობებენ ინტერესები და არა იდეები: სახელმწიფოს საშინაო ცხოვრებაში – მოქალაქეების, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების ასპარეზზე – სახელმწიფოთა ინტერესები, რომელთა ტოტალური ძალმოსილებისა და პოლიტიკაზე მათი გადამწყვეტი ზემოქმედების უარყოფა თვით ყველაზე მკაცრ მორალისტსაც არ შეუძლია, თუკი ეს უკანასკნელი თამამად უსწორებს თვალს სინამდვილეს. აი, რატომაა, რომ პასკალი

შემდეგნაირად ამთავრებს ზემოთ ციტირებულ ფრაგმენტს; „სამართლიანობა ხშირად სადავოა და საკამათოა, ძალა კი უდავო და აუცილებელი. ამიტომაც სამართლიანობა ვერ იქნა და ვერ გახდა ძლიერი: ძალა არ სცნობდა მას და ამბობდა, რომ სამართლიანობა – უსამართლოა, და რომ მხოლოდ თვითონაა სამართლიანი. და რაკი სამართლიანობა ვერასდიდებით ვერ იქცა ძალად, ხალხმა საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ძალაა სამართლიანი". [პოლიტიკა. კვინტესენცია. თბილისი. 1999]

იმანუილ კანტი ორნაირად წყვეტს მორალისა და პოლიტიკის თანაფარდობის პრობლემას, იმის მიხედვით, თუ ამ ორი ფაქტორიდან რომელია განმსაზღვრელი: პოლიტიკა შეიძლება ექვემდებარებოდეს მორალს, ანდა, პირიქით, თვითონ ექვემდებარებოდეს მას. პირველ შემთხვევაში პოლიტიკა მორალურია, მეორეში კი თვით მორალი ხდება პოლიტიკური. მორალური პოლიტიკა თავისი მოქმედებისას პატიოსნებისა და სამართლიანობის პრინციპებით ხელმძღვანელობს, მაშინ როდესაც პოლიტიკური მორალი უკვე აღარ არის მორალი, ვინაიდან მთლიანად ექვემდებარება პოლიტიკურ ეგოიზმს, რომელიც მხოლოდ იმას ცდილობს, რომ ნებისმიერი საშუალებით მიაღწიოს თავის ერთადერთ მიზანს: განამტკიცოს სახელმწიფოს ძლიერება და დესპოტური ძალაუფლება. ამ პოლიტიკის არსი კლასიკური ლაკონიზმით გამოხატა იტალიელმა ისტორიკოსმა პაოლო საპრიმ: „მთავრის უპირველესი სამართლიანობა ის არის, რომ მთავრად დარჩეს". [ნიკოლო მაკიაველი. მთავარი. თბლისი. 1984]

პოლიტიკა ყოვლისმომცველი ფენომენია. იგი განჭვალავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს – ეკონომიურს, სოციალურს, ეროვნულს, სულიერს და სხვ. გავლენას ახდენს არა მარტო ამ სფეროებზე, არამედ თავადაც განიცდის ზეგავლენას მათგან.

კაცობრიობა არ იცნობს პოლიტიკაზე უფრო ძლიერ ფენომენს, რომელშიც ადამიანი ყოველდღიურადაა ჩართული.



**ოსვალდ შპენგლერი (გერ.,Oswald Spengler) (1880-1936)**
**გერმანელი ფილოსოფოსი და კულტუროლოგი**

გერმანელმა მეცნიერმა ოსვალდ შპენგლერმა ლაკონური განმარტებით უაღრესად მკაფიოდ გამოხატა ეს ფაქტი: ყველაზე მაღალი გაგებით "პოლიტიკა... არის ცხოვრება და ცხოვრება არის პოლიტიკა". მართლაც, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ უშუალო და გაშუალებული ურთიერთობა გვაქვს პოლიტიკის რომელიმე სფეროსთან, როგორიცაა "საშინაო პოლიტიკა", "საგარეო პოლიტიკა", "ეკონომიკური პოლიტიკა," "სოციალური პოლიტიკა", "დემოგრაფიული პოლიტიკა", "ეკოლოგიური", "საფინანსო", "ეროვნული" და ა.შ. ასევე ყოველდღიურია ჩვენი ურთიერთობა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემასთან, პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, პოლიტიკურ მოვლენებთან და პროცესებთან.

პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, არის მოღვაწეობის განსაკუთრებული სფერო და წესრიგის განსაკუთრებული სახე.

პოლიტიკა, როგორც წესრიგის ნაირსახეობა სათავეს იღებს ადამიანური კონფლიქტების პრობლემებიდან, მისი მიზანია სამართლიანობაზე დაფუძნებული მშვიდობა; უფრო ფართო გაგებით, პოლიტიკა წარმოადგენს იმ ჩარჩოებს, რომელთა შიგნითაც მოღვაწეობს ადამიანი.

პოლიტიკური მდგომარეობა უპირისპირდება ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას, რომლისათვისაც დამახასიათებელია ძალადობა და სადაც ყველა ყველას წინააღმდეგია. ადამიანური ყოფიერება – ეს უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური ყოფიერებაა, ამასთან დასაბამიდან (ვინაიდან მდგომარეობას აქვს არა ქრონოლოგიური, არამედ ონტოლოგიური აზრი) იგი მუდმივად უქმნის საფრთხეს პოლიტიკურ მდგომარეობას როგორც ამ უკანასკნელის დამახინჯების ან გადაგვარების შედეგი.

პოლიტიკა არის სტრატეგიულ ძალისხმევათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

პოლიტიკის ხელოვნება უწინარეს ყოვლისა, ადამიანის – მისი ბუნების, მისი ვნებების მისი საარსებო მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის ნაირგვარ საშუალებათა ცოდნას ემყარება.

პოლიტიკური მართვის ხელოვნება გულისხმობს მსოფლიოს მამოძრავებელი ურთიერთმოქიშპე ანტაგონისტური ძალების გაგებას, მათი ფარული მექანიზმის ცოდნასა და რეგულირებას.

პოლიტიკური მოღვაწეობის სფერო ეთიკის იდეალური სამყარო კი არ არის, არამედ რეალური, დროსა და სივრცის კონკრეტულ პირობებში არსებული, ცოცხალი, დინამიური და ერთთავად ცვლადი სინამდვილე.

პოლიტიკური სფერო განისაზღვრება, როგორც სხვადასხვა საზოგადოებების, სახელმწიფოებისა თუ რეგიონების ურთიერთობათა თანაკვეთა, სადაც თავს იყრიან ამ სუბიექტთა მიზნები და ამ მიზნების რეალიზებისათვის აუცილებელი (სუბიექტთა წარმოდგენით) საქმიანობები.

პოლიტიკა უნდა იყოს ემოციურად ნეიტრალური, ობიექტური და რაციონალური. ეს კი მოითხოვს მკვეთრ გამიჯვნას სასურველსა და სინამდვილეს შორის, დროისა და ადგილის კონკრეტულ გარემოებაში დასაშვების შეფასებას. რაციონალური არჩევანის თეორიის თანახმად, რაციონალურად ორიენტირებული, გათვლილი პოლიტიკა კრისტალიზირდება პოლიტიკური გამოცდილებიდან და გამორიცხავს შემთხვევით გადახრებს. რაციონალური პოლიტიკა მიმართულია რისკის მინიმუმამდე შემცირებაზე და სარგებელის მაქსიმუმამდე გაზრდაზე, და იგი დაქვემდებარებულია პოლიტიკური წარმატებისა და კეთილგონიერების წესებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკა არის:

სახელმწიფოს საქმეებში მონაწილეობა, მისი მოღვაწეობის შინაარსის, ამოცანებისა და ფორმების განსაზღვრა;

სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებისა და მოვლენების ერთობლიობა;

მოქმედების წესების დახასიათება, რომლებიც მიმართულია გარკვეული მიზნების მისაღწევად ადამიანთაშორის ურთიერთობებში;

მოღვაწეობა დიდ სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების სფეროში, რომელიც დაკავშირებულია ინტერესების რეგულირებასთან პოლიტიკური ხელისუფლების გამოყენების გზით: უნივერსალურობა და უნარი შეგნებულად გაზარდოს ან შეამციროს სახელმწიფოებრივ - ძალაუფლებრივი რეგულირების ობიექტები;

უნარი შეაღწიოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში;

უნარი შეეხამოს არაპოლიტიკურ საზოგადოებრივ მოვლენებსა და სფეროებს.



"გვეყო ბატონებო, ჩვენი აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერებაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენი ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ...

წუთისოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავისი საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური. ამაების იქით ხსნა არ არის და ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომ ეხლანდელ დროში სხვისით რჩენა შეიძლებოდეს. წავიდა ის დრო სამუდამოდ და დღეს ვინც თვითონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა, იმისია და მარტო იმისი".

ილია ჭავჭავაძე

# ა

**აბოლიციონიზმი** – საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლის მიზანია რომელიმე კანონის გაუქმება. ტერმინი პოლიტიკურ მეცნიერებაში დამკვიდრდა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში შეერთებულ შტატებში გავრცელებული მოძრაობის გავლენით, რომელიც მიზნათ ისახავდა მონებით ვაჭრობისა და საერთოდ მონობის აკრძალვას. აბოლიციონისტურმა მოძრაობამ ფაქტობრივად სამოქალაქო ომი გამოიწვია განვითარებული მრეწველების მქონე ჩრდილოეთ და მონურ შრომაზე დამოკიდებულ ფერმერულ სამხრეთ შტატების შორის (1861-1865). სამხრეთის მარცხმა ხელი შეუწყო შეერთებული შტატების კონსტიტუციაში მონობის გაუქმების ასახვას.

**აბსორბცია** (ლათ., absorptio ← absorbere) – შთანთქმა.

**აგრესია** (aggression) - საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის წინააღმდეგ ძალის უკანონო გამოყენება ტერიტორიის დაპყრობის, დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის, პოლიტიკური წყობილების შეცვლის და ა.შ. მიზნით. მძიმე საერთაშორისო დანაშაული. ყოველი სახელმწიფო, რომელიც პირველი გამოიყენებს შეიარაღებულ ძალებს, ჩაითვლება აგრესორად, თუკი გაეროს უშიშროების საბჭო სხვა გვარად არ შეაფასებს ამ ქმედებას.

**ადამიანური განვითარების ინექსი** (Human development index – HDI) – ინდექსი შეიცავს სიცოცხლის ხანგრძლივობის, წიგნიერების დონის, შემოსავლების დონის და სხვა სახის მაჩვენებლებს. ადამიანის ფიზიკური ცხოვრების ხარისხის ინდექსთან (PQLI) ერთად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხის განსაზღვრისათვის. ორივე ინდექსი ინარჩუნებს ავტონომიურობას თავად ამ მოთხოვნილებებისადმი (განსხვავებულები არიან სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემებში).

**ადამსი, ბრუკს** – (1848 –1927) ამერიკელი ისტორიკოსი.

**ადამსი, ჯონ კუინსი** (ინგ., John Quincy Adams) (1767-1848) აშშ-ს სახელმწიფო მდივანი (1817-1825) აშშ-ს მეექვსე პრეზიდენტი (1825-1829)

**ადგილგანვითარება** (месторазвитие) - პეტრე სავიცკის ტერმინი. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ხარისხობრივი სივრცე ან უბრალოდ სივრცე.

**ადგილგანვითარების ფაქტორები** – ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ გეოპოლიტიკაზე. ესენის: ანკლავები, ექსკლავები, ბუფერული მდებარეობა, განაპირა მდებარეობა, საზღვრისპირა მდებარეობა, ძლიერი მეზობლები, სუსტი მეზობლები, ტრანზიტული მდებარეობა, ცენტრალური მდებარეობა.

**ავსტრიელი, დონ ხუან** (ესპ., Don Juan de Austria) (1547-1578) ესპანელი მხედართმთავარი, კარლოს V და ბარბარა ბლომბერგის უკანონო ძვეი.

**ავტონომია** (autonomy) – თვითმმართველობა

**ადმინისტრაცია** – 1. მართვის სუბიექტი; 2. სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოების, უმაღლესი თანამდებობის პირებისა და საშემსრულებლო ორგანოების ერთობლიობა (მაგ., აშშ-ს ადმინისტრაცია).

**ალბა, ფერნანდო ალვარეს დე ტოლედო, III ჰერცოგი** (ესპ., Fernando Álvarez de Toledo, III Duque de Alba) (1508-1582) უწარჩინებულესი კასტილიელი გრანდი, ესპანელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი.

**ალექსანდრე I რომანოვი** (რუს., Алекса́ндр I Романов) (1777-1825) რუსეთის იმპერატორი (1801-1825).

**ალექსანდრე II რომანოვი** (რუს., Алекса́ндр II Романов) (1818-1881) რუსეთის იმპერატორი (1855-1881)

**ალტერნატივა** (ფრანგ., alternative) – ურთიერთგამომრიცხავი შესაძლებლობებიდან ერთადერთის არჩევის აუცილებლობა. ალტერნატიული არჩევანი გულისხმობს ვარიანტების (ალტერნატივების) განსაზღვრულობას და მათ ერთმანეთს შორის თანაფარდობის პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი.

**ალბათობრივი გადაწყვეტილება** - გადაწყვეტილება მიღებული რისკის ან გაურკვევლობის ვითარებაში, რომლის შედეგი შეიძლება იყოს რამდენიმე სავარაუდო მოვლენა.

**ალიანსი** (ფრანგ., alliance ) – 1. ფორმალური შეთანხმება ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რომელიც უსაფრთხოების სფეროში საერთო ინტერესების შესრულება ისახავს მიზნად. 2. კავშირი, რომელიც აერთიანებს ცალკეულ პირებს, პოლიტიკურ პარტიებს ან სახელმწიფოებს საერთო მიზნების მისაღწევად წინასწარ შეთანხმებული ვალდებულებების საფუძველზე. ხშირად გამოიყენება ფართო სახელმწიფოთაშორისი სამოკავშირეო შეთანხმებების აღსანიშნავად.

**ამოცანა** – მიზანი, ან მთავარი, სტრატეგიული მიზნის მიღწევის ქვემექანიზმები, რომლის მიღწევაც გვსურს. ფინიში, რომლისაკენაც მიმართულია ქმედება. წერტილი დროსა და სივრცეში, რომლის მიღწევასაც ვცდილობთ რიგი მოქმედებისა და სამუშაოების შედეგად.

**ანაკონდას სტრატეგია** – ატლანტიზმის გეოპოლიტიკური ხაზი, რომლის მიზანს წარმოადგენს: ჩამოაცილოს ევრაზიას სანაპირო ტერიტორიების მაქსიმალურად დიდი მოცულობა, რათა შეაკავოს მისი გეოპოლიტიკური ექსპანსია.

**ატლანტიზმი** – (მისი მონათესავე ტერმინებია: წყალი, ზღვა, თალასოკრატია, sea power) რთული გეოპოლიტიკური ცნება; თავის თავში მოიცავს: საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორიულ დასავლეთ სექტორს; დასავლეთის ქვეყნების სტრატეგიულ კავშირს, სადაც გაბატონებულია ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგია; ნატოს სამხედრო-სტრატეგიულ წევრ-ქვეყნებს; "საბაზრო ღირებულებების" სოციალურ ორიენტაციას. ევრაზიულობის საწინააღმდეგო ცნება.

**აეროკრატია** (ბერძნულად "ძალაუფლება ჰაერის მეოხებით"). სტრატეგიის ძალისმიერი კომპონენტი, დაფუძნებული საჰაერო სივრცის ათვისებაზე და მის გამოყენებაზე გეოპოლიტიკური ექსპანსიისათვის. ავიაციის განვითარებამ, ზღვაოსნობის განვითარებისაგან განსხვავებით, არ წარმოშვა საკუთარი ნომოსი. იგი წარმოადგენს მხოლოდ თალასოკრატიული პრინციპის განვითარებას.

**ავტარქია** (ბერძ. autarkeia – თვითდაკმაყოფილება, დამოუკიდებლობა) - ქვეყნის მეურნეობრივი იზოლირების, ჩაკეტილი და თვითუზრუნველყოფადი ეკონომიკური სისტემის შექმნის პოლიტიკა.

**ავტონომია** (autonomy) - თვითმმართველობა, ამა თუ იმ სახელმწიფოს ნაწილის საშინაო საკითხების დამოუკიდებლად მოგვარების უფლება.

**ავტორიტარიზმი** (autoritarism) - პოლიტიკური სისტემის ფორმა, როდესაც უმაღლესი ხელისუფლება ყოველგვარი იურიდიული პასუხისმგებლობის გარეშე კონცენტრირებულია ერთი "ლიდერის" ხელში; მმართველობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის აბსოლუტურ მორჩილებას.

**ანალიზი** – წარმოშობილია ბერძნული სიტყვიდან analysis, რაც ნიშნავს დაშლას. ერთი მთლიანის ნაწილებად დაშლა მათი პრინციპების, ელემენტებისა და ამ შემადგენელ ელემენტებს შორის ურთიერთობების დასადგენად. ანალიზი გულისხმობს შესწავლისა და გააზრების სისტემატიზებული მეთოდის გამოყენებას ფენომენის, პროცესის, ან სინამდვილის რაიმე ნაწილის უმნიშვნელოვანესი ასპექტების გასაცნობად.

**ანარქია** – ცალკეული პირების, ადამიანთა ჯგუფების მიერ ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობით გამოწვეული უწესრიგობა და მასობრივი არეულობა.

**ანარქიზმი** (anarchism) – პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს სახელმწიფო წყობილებას და ორგანიზებულ პოლიტიკურ ბრძოლას. მთავარ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს მოსპობა და იძულებითი ძალაუფლების შეცვლა მოქალაქეთა ნებისმიერი ფორმის თავისუფალი და ნებაყოფლობითი ასოციაციით.

ანექსია (annexation) – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის კუთვნილი ტერიტორიის დაპყრობა, ძალის გამოყენებით მიერთება, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად ითვლება.

ანკლავი (ფრან.enclave –ლათ.inclavare - ჩაკეტვა ) – სახელმწიფოს ნაწილი, რომელიც მეორე სახელმწიფოს (ან რამოდენიმე სხვა სახელმწიფოს) სახმელეთო ტერიტორიით არის გარშემორტყმული. (მაგ.: ვატიკანი და სან-მარინო იტალიაში, ლესოტო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. თუ ანკლავს ზღვაზე გასასვლელი აქვს მას ეძახიან ნახევრად ანკლავს. მაგ: მონაკო.

ანტანტა (entente) – "სამთა შეთანხმება", სამხედრო კავშირი ინგლისს, საფრანგეთსა და მეფის რუსეთს შორის; შეიქმნა 1904-07 წლებში გერმანიის, იტალიისა და ავსტრო-უნგრეთის ბლოკის წინააღმდეგ.

ანტისემიტიზმი (anti-semitism) – ეროვნული და რელიგიური შუღლის ნაირსახეობა, მიმართული ებრაელთა იურიდიული და სოციალური დისკრიმინაციისაკენ.

აპართეიდი (aparteid) – რასისტული პოლიტიკა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რომლის მიზანი იყო თეთრკანიანი, ფერადკანიანი და შავკანიანი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გეოგრაფიული განცალკევება.

აპოლიტიკურობა – პოლიტიკური მოვლენების, აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ უარყოფითი ან უგულებელყოფითი დამოკიდებულება. ა-ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა მოსახლეობის მასობრივი უარი არჩევნებში მონაწილეობაზე. თუმცა, თუკი ამგვარ უარს ორგანიზებული სახე მიეცა, ის შეიძლება გადაიზარდოს აქტიურ პოლიტიკურ პოზიციაში, ბოიკოტში.

არაძალადობა (nonviolence) – პოლიტიკა, რომლის დროსაც ოპოზიცია უარს ამბობს ძალისმიერ მეთოდებზე და სამოქმედო პრინციპად ბრძოლის მხოლოდ მშვიდობიანი ფორმების გამოყენებას აღიარებს.

არხები – გეოგრაფიული ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს გეოპოლიტიკაზე. ხელოვნური

წარმონაქმნები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ ოკეანეებს, ზღვებს ან მდინარეებს. წარმოადგენენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სატრანსპორტო კომუნიკაციებს. შიდა არხები, როგორც წესი, ვერ უზრუნველყოფენ საგარეოპოლიტიკურ უპირატესობებს, მაგრამ საშუალებას იძლევიან მოახდინონ საკუთარი ეკონომიკის სტრუქტურირება წყლის მაგისტრალების გასწვრივ და მოაქციონ სხვადასხვა ეკონომიკური რაიონები ერთ არეალში.

ასიმილაცია (assimilation) – ერთი ხალხის მეორესთან შერწყმა ენის, ჩვევების და სხვ. შეთვისებით და საკუთარი ენის, კულტურის და ეროვნული თვითშეგნების დაკარგვით. არჩევენ ბუნებრივ და ძალდატანებით ასიმილაციას.

ასოციაცია – ადამიანთა იმგვარი გაერთიანება, რომელსაც საფუძვლად უდევს საერთო მიზნები ან სხვა სახის საერთო იდენტობები.

აქტორი – ნებისმიერი ერთეული, რომელიც ინდივიდუალურ როლს თამაშობს ურთიერთობებში და წარმოდგენილია დამოუკიდებელ მონაწილედ (სუბიექტად).

აღმასრულებელი ხელისუფლება – ხელისუფლების ერთ-ერთი შტო, რომელიც არსებული კონსტიტუციისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე ახორციელებს ქვეყნის მართვას. ა. ხ. ქვეყნის, სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი დანაყოფია. მიუხედავად იმისა, რომ ა. ხ. ყველა სახელმწიფოში არსებობს, იგი სხვადასხვა სახისაა იმის მიხედვით, თუ როგორიაროგორია პოლიტიკური რეჟიმი ქვეყანაში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ავტორიტარულ რეჟიმებს, სადაც ხელისუფლების დანაწილება დამოუკიდებელ ერთეულებად არასაკმარისად ხორციელდება ან საერთოდ არ ხორციელდება, დემოკრატიულ ქვეყნებში ა. ხ. ორი ძირითადი სახით არის წარმოდგენილი: ერთი მათგანის ტიპიური ნიმუშია შეერთებული შტატების ა. ხ., რომელსაც პრეზიდენტი მეთაურობს. საპრეზიდენტო ა. ხ. შედგება მინისტრებისა და სხვა უმაღლესი სახელმწიფო მოხელეებისაგან, რომელთაც პრეზიდენტი ნიშნავს და ხელმძღვანელობს. პრეზიდენტი ასევე განსაზღვრავს ძირითად პოლიტიკურ კურსს, რომელსაც ახორციელებს ადმინისტრაცია. ამასთან, საპრეზიდენტო ხელისუფლება შეერთებულ შტატებში შეზღუდულია კონგრესით და დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოებით, რომელთა ერთ – ერთი ფუნქცია იმის ზედამხედველობაა, რომ ა. ხ. – ის მოქმედება არ გასცდეს კონსტიტუციის ფარგლებს.

ა. ხ. – ის მეორე ტიპის ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო ხელისუფლება. აქ ა. ხ. წარმოდგენილია მინისტრთა კაბინეტით, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს და რომლის წევრებიც აირჩევიან პარლამენტართა რიგებიდან. კაბინეტური ა. ხ. – ის უმნიშვნელოვანეს სპეციფიკას შეადგენს კაბინეტის წევრთა მიერ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა კოლეგიური მიღება და კოლექტიური პასუხისმგებლობა მათზე.

**აღმოსავლეთი** – იგივეა რაც მეორე სამყარო.

**აღქმა** – ფუნდამენტური ფსიქოლოგიური პროცესი, რომელიც გადაწყვეტილების მიმღების გარემოსადმი მიმართებას ახასიათებს.

**ახალი მსოფლიო წესრიგი** – იგივეა რაც მონდიალიზმი და მსოფლიო მთავრობის შექმნის პროექტები.

**ახალი წესრიგი** – მასშტაბური გეოპოლიტიკური რეორგანიზაციის პროექტი.

## ბ

**ბაზარი** – XIV და XV სს. სიტყვა ბაზარი აღნიშნავდა საცაჭროდ გამოყოფილ ადგილს. ბაზრის ტერმინის განმარტებასთან დაკავშირებით დიდი აზრთა სხვადასხვაობაა. ჰაიეკის აზრით ბაზარი აღნიშნავს მრავლისმომცველელ მექანიზმს (თვითწარმომქმნელი მქანიზმი და თვითმაორგანიზებელი სტრუქტურა) სადაც მყარდება პიროვნებათაშორისი თანამშრომლობის ურთიერთობები და პრაქტიკა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ბაზარი შეიძლება გავიგოთ, როგორც თვითმოწესრიგებისა და სპონტანური ჩამოყალიბებების პროცესის შედეგი, რომელიც, როგორც ადამიანთა ურთიერთქმედების რთული სტრუქტურა, შეიძლება მივაკუთვნოთ „თვითორგანიზებადი მრავლისმომცველი სოციალური მექანიზმების“ ფუნქციონირების კატეგორიას. საბაზრო ეკონომიკა არის სამოქალაქო საზოგადოების ავტონომია სახელმწიფოსთან მიმართებაში, რაც სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საჭირო არ არის სოციალური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება. ცნება ბაზარი ასევე, გამოიყენება რეალურად არსებული ბაზრების აღსანიშნავად, მაგალითად: სავალუტო ბირჟა, შრომის ბირჟა, საქონლისა და მომსახურეობის ბირჟა, მიწის რესურსების ბაზარი, საფონდო ბირჟა და სხვა.

**ბაზისი და ზედნაშენი** – ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიები, რომელიც შეიმუშავა კ.მარქსმა. ბ. წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიკურ წყობას მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, საზოგადოებრივ საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობას. ყოველ ბ-ს აქვს თავისი შესაფერისი ზედნაშენი - პოლიტიკური, რელიგიური, ფილოსოფიური, სამართლებრივი და სხვ. შეხედულებებისა და მათი შესაბამისი დაწესებულებების ერთობლიობა. ბ. პირველადი და განმსაზღვრელია ზ-ის მიმართ. ეს უკანასკნელი ემსახურება გაბატონებული ბ-ის განმტკიცებას.

**ბალკანიზაცია** – წინასწარი განსაზღვრით გატარებული პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის დანაწევრებას დამოუკიდებელ, ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ ძალათა ცენტრებად. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში ეს ცნება 1992 - 96 წლებში ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მომდინარე ომებსა და ეთნიკურ წმენდას უკავშირდება.

**ბატონობა და მორჩილება** – ძალაუფლების განხორციელება ინსტიტუციონლური ფორმებით, რაც გულისხმობს სპეციალური მართვის აპარატის არსებობას და, შესაბამისად, საზოგადოების დანაწილებას გაბატონებულ და დაქვემდებარებულ ჯგუფებად. ბ-ის სოციოლოგიური თეორია მაქს ვებერს ეკუთვნის.

**ბერლინი** – შუა ევროპის ბუნებრივი დედაქალაქი.

**ბეჰემოთი** – ძვ. ებრ. „მხეცი“, „ხმელეთის ურჩხული“ (ბიბლიაში), კარლ შმიტის ტერმინი. იგივეა რაც კონტინენტი, კონტინენტალიზმი, ევრაზიულობა:

**ბენილუქსის ქვეყნები (BENELUX)** –1944 წ. ლონდონში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე

შექმნილი ეკონომიკური კავშირი ბელგიას, ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგს შორის.

ბისმარკი, ოტო ედუარდ ლეოპოლდ ფონ ბისმარკ-შენჰაუზენი (გერ., Otto Eduard Leopold von Bismarck-Schönhausen) (1815-1898), გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, გერმანიის II რაიხის დამაარსებელი და მისი პირველი რაიხსკანცლერი (1871-1890).

ბიპოლარული მსოფლიო (ბიპოლარიზმი ანუ ორპოლარობა) – ბუნებრივი გეოპოლიტიკური კონსტრუქცია, რომელიც მსოფლიო მასშტაბში ასახავს ძირითად გეოპოლიტიკურ დუალიზმს – თალასოკრატია თელუროკრატიის წინააღმდეგ.

ბიპოლარულობა – ტერმინი დაკავშირებულია ცივი ომის პერიოდთან, როცა საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაში ორი აშკარა პოლუსი – ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი იყო გამოკვეთილი.

ბიუროკრატია – სახელმწიფო აპარატის საშუალო რგოლის ჩინოვნიკური სისტემა. ტერმინი თავდაპირველად გაჩნდა XVIII ს.-ის საფრანგეთში, ხოლო 1918 წელს – ინგლისში. დასაწყისში ამ ტერმინს უარყოფითი, დამამცირებელი ელფერი ჰქონდა, რომელიც მას დღესაც ახლავს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხმარებისას. პირველი, ვინც ამ ტერმინში დადებითი შინაარსი მოიაზრა, იყო მაქს ვებერი.

ბლოკი – რამოდენიმე სახელმწიფოს გაერთიანება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის მათ სტრატეგიულ და გეოპოლიტიკურ თვისებას და გადაჰყავს ისინი მსოფლიო მოღვაწეობის უფრო მაღალ საფეხურზე. „სივრცული პროგრესიის" კანონის მიხედვით ბლოკების წარმოშობა გარდაუვალი პროცესია.

ბოიკოტი – ზეწოლის ან წინააღმდეგობის ორგანიზებული ფორმა, რომლის მიზანია პოლიტიკის, პოზიციის ან მოქმედების ცვლილება. ტერმინი დამკვიდრდა ირლანდიელი მიწათმფლობელის, ბოიკოტის გვარის მიხედვით, რომლის მიმართაც პირველად განხორციელდა ამგვარი ქმედება (შდრ. აბსენტეიზმი)

ბონაპარტე, ნაპოლეონ I (ფრ., Napoléon I Bonaparte) (1776-1821) საფრანგეთის რევოლუციური არმიის გენერალი, საფრანგეთის რესპუბლიკის პირველი კონსული, საფრანგეთის იმპერატორი 1804-1815 წლებში.

ბონაპარტე, ნაპოლეონ III (ფრ., Napoléon III Bonaparte) (1808-1873) საფრანგეთის I პრეზიდენტი (1848) საფრანგეთის იმპერატორი (1852-1870)

ბრიტანეთის თანამეგობრობა (British commonwealth) – ქვეყნების გაერთიანება ბრიტანეთის მეთაურობით. არც სახელმწიფოა, არც სახელმწიფოს ფედერაცია. მის შემადგენლობაშია: 11 დამოუკიდებელი ტერიტორია – დიდი ბრიტანეთი, ჩრდილოეთ ირლანდია და დომინიონები, აგრეთვე, 41 დამოუკიდებელი ტერიტორია.

ბუდიზმი (buddism) – ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია, რომელიც ჩვ. წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში წარმოიშვა ინდოეთში.

ლუი XIV დე ბურბონი, "მეფე მზე" (ფრ., Louis XIV Le Roi Soleil) (1638-1715) საფრანგეთისა და ნავარის მეფე

ბურბონი, ლუი XVI (ფრ., Louis XVI) (1754-1793) საფრანგეთის მეფე. 1793 წლის 21 იანვარს რევოლუციის მოედანზე კონვენტის განაჩენის საფუძველზე გილიოტინით თავი მოჰკვეთეს ლუი კაპეტის სახელით, ხოლო ოქტომბერში კი დედოფალ მარია ანტუანეტას.

ბუფერული სახელმწიფო (buffer state) – სტრატეგიული მდებარეობის მქონე მცირე სახელმწიფო, რომელიც ორ დიდ ერთმანეთთან მოქიშპე სახელმწიფოს შორის მდებარეობს და ამ უკანასკნელთა შორის ურთიერთობებში ერთგვარი შემაკავებელი ზონის, ანუ „ბალიშის" ფუნქციას ასრულებს.

# ბ

**გადაწყვეტილებების მიღების პროცესი** - ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტისათვის მართვის სუბიექტის თანმიმდევრული ქმედება, რომელიც შემდეგ ეტაპებს შეიცავს: სიტუაციის ანალიზი, ალტერნატივის შემუშავება, ოპტიმალური ალტერნატივის შერჩევა და განხორციელების ორგანიზაცია.

**გამოყენებითი გეოპოლიტიკა** – ივ ლაკოსტას ტერმინი. გეოპოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენება რეგიონალური დონის მიკროპრობლემებისადმი, ფუძემდებლური პრინციპების გაუთვალისწინებლად. იხილეთ აგრეთვე მინიმალური გეოპოლიტიკა.

**გამოწვევა** „პირდაპირი დემოკრატიის" განხორციელების საშუალება და სიმბოლო. გ-ის პროცედურა ითვალისწინებს არჩევითი სახელმწიფო თანამდებობიდან პიროვნების გადაყენებასა და დამატებითი არჩევნების ჩატარებას იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლების დაწესებული რაოდენობა (ან პროცენტი) ხელს მოაწერს პეტიციას ასეთი არჩევნების ჩატარების შესახებ.

**განედური ინტეგრაცია** (ინტეგრაცია პარალელის გასწვრივ) – ყველაზე სუსტი და რთული მომენტი ცენტრისადმი დაქვემდებარებული გეოპოლიტიკური სივრცეების დაკავშირების საქმეში, უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად მშვიდობიანი და დიპლომატიური გზებით. ეფუძნება სხვადასხვა რეგიონების თანდათანობით შეერთებას ცენტრალურ ნაწილთან, ცენტრისადმი უფრო ლოიალურად განწყობილი სექტორების სივრცობრივი იერარქიის საშუალებით.

**განედური ექსპანსია** (ექსპანსია პარალელის გასწვრივ) – აგრესიული გეოპოლიტიკური მისწრაფება, აუცილებლად წარმოშობს კონფლიქტურ ვითარებებს. შემტევი ხასიათის გეოპოლიტიკური სტრატეგია. თითქმის ყოველთვის მოსდევს საომარი მოქმედებები. განხორციელდება მხოლოდ მერიდიანული ექსპანსიის დასრულების შემდეგ.

**განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა** – ზღვის სივრცე, რომელიც შეიძლება მოითხოვოს სახელმწიფომ მისი ტერიტორიული ზღვის გარეთ და მის მიმდებარედ, საწყისი ხაზებიდან 200 საზღვაო მილით დაშორებულ ხაზამდე. ამ ზონაში სანაპირო სახელმწიფო ადგენს ხელოვნური კუნძულებისა და ნაგებობების აგების, სამეცნიერო კვლევებისა და გარემოს დაცვის ზღვის ყველა ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების წესებს.
1971 წელს კენიამ გააკეთა პირველი განაცხადი განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაზე. დღეისათვის ყველაზე დიდი ზონები აქვს აშშ-ს, საფრანგეთს, ავსტრალიას და რუსეთს.

**გარე ნახევარმთვარე** (ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარე) – მაკინდერის ტერმინი, რომელიც თალასოკრატიული გავლენის ზონაში შემავალი ტერიტორიების ერთობლიობას აღნიშნავს. კონტინენტების ნაწილები და კუნძულები, რომლებიც „საზღვაო არსებობისკენ" მიისწრაფვიან. აგრეთვე. სტრატეგიულად მთლიანად ატლანტიზმს დაქვემდებარებული ზონა.

**გეგმა** – ნებისმიერი პროექტი რაღაც გარკვეული დროისათვის. სტრატეგიული და/ან ინსტრუმენტალური დოკუმენტი, რომელიც გვეხმარება წინასწარ დასახული ამოცანების აღნუსხვასა და შესრულებაში. გეგმა არის განსჯის, ფიქრის ინსტრუმენტი, რომელიც შეიცავს სახელმძღვანელო ნიმუშებს, ორიენტაციებსა და მოდელების მოქმედებისა და განჭვრეტისსათვის და გამოიყენება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურების, ინდივიდების საქმიანობაში.

**გენდერი** – სქესის სოციალური კატეგორია. ქალსა და კაცს შორის სოციალური ურთიერთობების ორგანიზებული მოდელი, რომელიც ახასიათებს არამარტო მათ პიროვნებათშორის ურთიერთობებს, არამედ განსაზღვრავს მათ სოციალურ ურთიერთობებს ძირითად საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, მაგ., სოციალურ კლასებში, მსხვილი ორგანიზაციების იერარქიაში, დასაქმების სტრუქტურის ფორმირებისას და სხვა. გ. როგორც პროცესი და მოვლენა გულისხმობს სქესობრივი განსხვავების ნიადაგზე მამაკაცის მხრიდან ქალის ყოველგვარი ჩაგვრის ლიკვიდაციას. ფაქტობრივად, ტერმინი ასახავს სოციალურ – ეკონომიკურ ფონზე ქალთა და კაცთა ურთიერთობის ფენომენს და შესაბამისად მსოფლიოში დამკვიდრდა როგორც გარკვეული დირექტიული მიმართულება ქალთა უფლებების დაცვის სფეროში. მისი მიზანია ადამიანის სექსიზმისაგან დაცვა, რაც სქესობრივ დისკრიმინაციას – ერთი სქესის მეორეზე ბატონობას ნიშნავს.

**გენოციდი (genocide)** – მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მთლიანად ან ნაწილობრივი განადგურება რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური მოტივებით; საერთაშორისო დანაშაული, ითვლება ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად კაცობრიობის წინაშე.

გეოეკონომიკა — ატლანტური გეოპოლიტიკის განშტოება. სივრცეს განიხილავს უტილიტარულ-ეკონომიკური თვალსაზრისით. „თალასოკრატიული" ანალიზის ერთ-ერთი პრიორიტეტული დისციპლინა.

გეოპოლიტიკა – ეს ტერმინი თანამედროვე ლიტერატურაში იხმარება სამი სხვადასხვა გაგებით: 1. რეაქციული პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც არახელსაყრელი გეოგრაფიული პირობების გაუმჯობესების მიზნით ამართლებს და ასაბუთებს ექსპანსიურ პოლიტიკასა და ტერიტორიულ დაპყრობებს, ხელსაყრელი, ე.წ. „სასიცოცხლო სივრცის" შექმნის აუცილებლობას სხვა სუსტი და „არასრულფასოვანი" ქვეყნების ტერიტორიების ხარჯზე. ასეთი გ. გაიგივებულია იმ ოფიციალურ პოლიტიკურ იდეოლოგიასა და პრაქტიკასთან, რასაც ახორციელებდა ნაცისტური გერმანია და რაც ამჟამად საყოველთაოდ არის უარყოფილი. 2. მოძღვრება, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებსა და სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ ქცევას საფუძვლად უდებს გეოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: გეოგრაფიული მდებარეობა, ტერიტორიისა და მოსახლეობის სიდიდე, კლიმატი, რელიეფი, ბუნებრივი რესურსები და, ყოველივე აქედან გამომდინარე, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პოტენციალი. გ-ის ასეთი გაგება ყალიბდება, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. 3. სახელმწიფოთა კონკრეტული საგარეო – პოლიტიკური ქმედებანი თავიანთი როლისა და გავლენის გაძლიერებისათვის სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებში.

ტერმინი „გეოპოლიტიკა" პირველად იხმარა შვედმა მეცნიერმა რუდოლფ ჩელენმა XX ს-ის დასაწყისში. იგი აცხადებდა, რომ გერმანიისათვის აუცილებელია მისი შესაფერისი სასიცოცხლო სივრცის შექმნა, რაც მეზობელი პატარ-პატარა და სუსტი ერების ხარჯზე უნდა მოხდეს. ეს თეზისი დაედო საფუძვლად გერმანულ გ-ს, რომლის მამამთავარი კარლ ჰაუსჰოფერი იყო და რაც ჰიტლერული გერმანიის ოფიციალურ სახელმწიფო დოქტრინად იქცა.

პარალელურად გ. განვითარდა დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც, ძირითადად ინგლისსა და აშშ – ში. ამერიკელი ადმირალის ა.მეჰენის აზრით, იმის გამო, რომ მსოფლიო ოკეანე ერთიანი და უწყვეტი სივრცეა, ხოლო ზღვის ტრანსპორტი – ყველაზე უფრო იაფი და ეფექტური, ზღვაზე გაბატონებული მდგომარეობა მსოფლიოზე ბატონობას მოასწავებდა, ოღონდ საამისოდ უნდა შექმნილიყო უძლიერესი სამხედრო – საზღვაო ფლოტი და სამხედრო- საზღვაო ბაზების ხშირი ქსელი. ამ თეზისმა დიდი გავლენა იქონია აშშ- ის პოლიტიკაზე, კერძოდ, მისი სამხედრო-საზღვაო ძალების განვითარებაზე.

ინგლისელი გეოგრაფი ჰ.მაკინდერი ავტორია ე.წ. ჰართლენდის თეორიისა, რომლის მიხედვით ზღვაზე ბატონობა მართლაც ნიშნავდა მსოფლიოზე ბატონობას XV-XIX სს-ებში, მაგრამ XIX ს-ის ბოლოს ისტორიის საყრდენი წერტილი, ანუ ჰარტლენდი, კვლავ ხდება ცენტრალური აზია (სივრცე ურალიდან თითქმის წყნარ ოკეანემდე). ამიტომ ის სახელმწიფო, რომელიც გააკონტროლებს ტერიტორიას გერმანიიდან ციმბირამდე, იქნება კიდეც მსოფლიოს ჰეგემონი. ეს იდეა მხედველობაში მიიღეს ვერსალის კონფერენციაზე (1919), სადაც გათვალისწინებული იყო ბუფერული სახელმწიფოების შექმნა გერმანიასა და რუსეთს შორის, რათა არ მომხდარიყო გერმანიისა და რუსეთის დაახლოება და მათ მიერ ჰარტლენდის კონტროლი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმების გამარჯვება და საბჭოთა კავშირის გაძლიერება ფაქტობრივად ნიშნავდა ჰარტლენდზე საბჭოთა კავშირის კონტროლის დამყარებას. ამერიკული გ-ური სკოლის მეორე წარმომადგენლის ნ.სპაიკმენის თეორიით, ჰარტლენდის ნეიტრალიზაციის ერთადერთი საშუალება იყო მის გარშემო არსებული რკალის – ე.წ. შიდა ნახევარმთვარის, ანუ რიმლანდის (დასავლეთ ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია) კონტროლი აშშ-ისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების მიერ, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა საბჭოთა, ანუ კომუნისტური საფრთხის ექსპანსიის შეჩერებას (შეკავების პოლიტიკა). ჰართლენდ-რიმლანდის თეორია იყო ომის შემდგომი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალური ბაზა, ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელების იარაღს წარმოადგენდა ნატოს, სენტოს და სეატოს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნა. სწორედ რიმლანდთან დაკავშირებით იჩინა თავი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის უმთავრესმა დაპირისპირებებმა (ბერლინი–კორეა–ახლო აღმოსავლეთი–ვიეტნამი).

სხვა ამერიკული გ-ური თეორიებიდან აღსანიშნავია ს.კოენის გეოსტრატეგიული არეალებისა და გ-ური რეგიონების თეორია, ი.გალტუნგის პანრეგიონებისა და ზესახელმწიფოების თეორია, ს. ჰანტინგტონის ცივილიზაციათა შეჯახების თეორია და სხვ. ალტერნატიულ გ-ურ თეორიებს მიეკუთვნება საფრანგეთის პრეზიდენტის შარლ დე გოლის გაერთიანებული ევროპის თეზისი ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს მიუმხრობლობის მოძრაობის თეზისი. რუსულ გ-ურ აზროვნებაში უკანასკნელ დროს განსაკუთრებით პოპულარულია ევრაზიანიზმის თეორია.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა ლიბერალიზაციას მოჰყვა მსოფლიო პოლიტიკაზე სამხედრო ფაქტორის განმსაზღვრელი როლის შედარებით შესუსტება და წინა

პლანზე წამოიწია ეკონომიკური კეთილდღეობისა და სახელმწიფოთა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორებმა. ამიტომ, ზოგიერთი მკვლევარი დაასკვნის, რომ გ. იცვლება გეოეკონომიკითა და გეოინფორმაციით. თუმცა კომპოზიტის დასაწყისში ნაწილი „გეო" მიგვანიშნებს, რომ გეოგრაფიულ ფაქტორს კვლავ დიდი როლი აკისრია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.

**გეოპოლიტიკური დუალიზმი** – გეოპოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც ისტორიული პროცესის მამოძრავებელ ძალად საზღვაო (თალასოკრატიისა) და სახმელეთო (თელუროკრატიის) მმართველობის წინააღმდეგობას განიხილავს.

**გეოპოლიტიკური მონაკვეთი** – სტრატეგიული დედაქალაქისა (ან გეოპოლიტიკური პოლუსის) და პერიფერიული რეგიონების ურთიერთობათა ერთობლიობა, კონკრეტულ ისტორიულ მომენტში განხილული, პოლიტიკური პროცესების საერთო დინამიკის გაუთვალისწინებლად. იხილეთ, აგრეთვე, გეოპოლიტიკური სხივი.

**გეოპოლიტიკური საყრდენი წერტილი** – ტერიტორია, რომელიც იმყოფება ტოტალური ველის მიღმა, რომელსაც აკონტროლებს რომელიმე სახელმწიფო, მაგრამ ამ ტერიტორიისაკენ მიმავალ კომუნიკაციებს აკონტროლებს სხვა სახელმწიფო ან სახელმწიფოები.

**გეოპოლიტიკური სხივი** – პერიფერიულ რეგიონებზე გეოპოლიტიკური პოლუსის ზემოქმედების ძალისმიერი ვექტორი (ეკონომიკური, სტრატეგიული, კულტურული, სამეურნეო, ადმინისტრაციული და ა.შ.). მსოფლიოს რეალური პოლიტიკური სურათი სტატიკურ მდგომარეობაში ოპერირებს გეოპოლიტიკურ მონაკვეთებთან. გეოპოლიტიკაში მიღებულია საუბარი სხივების შესახებ, როგორც მუდმივად განგრძობადი იმპულსის ღია დინამიურ პროცესზე.

**გეოპოლიტიკური მუდმივა** – გეოპოლიტიკური რეალობა, რომელიც მუდმივად არსებობს და არ არის დამოკიდებული სახელმწიფოთა, ეთნოსთა და ა.შ. ვინაობასა და მათ პოლიტიკურ თუ სხვა შეხედულებებზე, რადგან განპირობებულია გეოპოლიტიკური (სტიქიების, კონტინენტების და ა.შ.) და არა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაპირისპირებით.

**გეოსტრატეგია** – 1. გეოპოლიტიკით დასაბუთებული სახელმწიფო მოღვაწეობის მიმართულება საერთაშორისო არენაზე. 2. გეოპოლიტიკური ანალიზის სამხედრო ასპექტები.

**გეოფაქტორები** - გეოგრაფიული ფაქტორები, რომელიც ზეგავლენას ახდენენ გეოპოლიტიკაზე. ესენია: არხები, მთები, ტყეები, ზღვები, ტბები, ოკეანეები, კუნძულები, სავარგულები, სანაპიროები, ნახევარკუნძულები, სრუტეები, უდაბნოები, მდინარეები, რესურსები, სტეპები.

**გერბი (სახელმწიფო)** განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ოფიციალური ემბლემაა. გერბი გამოისახება შენობებზე, დროშებზე, ფულად ერთეულებზე, დოკუმენტებზე და ა.შ. გერბის შინაარსის დადგენა ხდება კონსტიტუციის ან სხვა სპეციალური კანონის საფუძველზე. **გლობალური პრობლემები** – თანამედროვეობის ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, რომლებიც საერთოა მთელი მსოფლიოსათვის, ყველა რეგიონისა და ქვეყნისათვის და მათი გადაჭრა მხოლოდ მთელი კაცობრიობის ძალისხმევით არის შესაძლებელი.

**გრევი, ჟიულ** (ფრ., Jules Grévy) (1807-1891) საფრანგეთის III რესპუბლიკის პრეზიდენტი (1879-1887).

**გრინპისი (Greenpeace)** – პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ჩამოყალიბდა 1971 წელს ჩრდილოამერიკელი აქტივისტების მიერ. ისინი მცირე ზომის ხომალდით შევიდნენ აშშ-ს ატომური ბომბების გამოცდის ზონაში ალიასკის ნაპირებთან. იგი არის გარემოს დაცვის მიზნით საერთაშორისო კამპანიების ყველაზე დიდი ორგანიზატორი მსოფლიოში. ეს მოძრაობა აერთიანებს 4,5 მილიონ ადამიანს 158 ქვეყანაში, აქვს საერთაშორისო ცენტრები 31 ქვეყანაში.

დასავლეთი – თალასოკრატიისა და ატლანტიზმის სინონიმი.

დახურული ზღვა (ლათ., Mare clausum) – დოქტრინა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ინგლისელმა იურისტმა ჯონ სელდენმა 1635 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "Mare clausum", სადაც იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ზღვას პრაქტიკაში ახასიათებს სახმელეთო ტერიტორიისათვის დამახასიათებელი თვისებები. შესაბამისად ზღვაზე ნაოსნობის ექსკლუზიური უფლება ეკუთვნის იმ სახელმწიფოს, რომელიც ძალზე დაყრდნობით რეალურად აკონტროლებს მას.

დე იურე (de jure) – იურიდიულად, ფორმალურად, სამართლებრივად.

დეკრეტი – საკანონმდებლო აქტის ნაირსახეობა, რომელიც გამოცემულია სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრიეს, ან სხვა მაღალი რანგის მოხელის მიერ და რომელსაც არ გაუვლია განხილვა პარლამენტში.

დემარში – ერთი სახელმწიფოს ხელისუფლების ან დიპლომატიური წარმომადგენლობის დემონსტრაციული დიპლომატიური ქმედება მეორე სახელმწიფოს ხელისუფლების მიმართ.

დემოკრატია – საზოგადოების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სახელმწიფოსა და ხელისუფლების, პოლიტიკური რეჟიმის პროგრესული ფორმა. რადგანაც ხალხი იშვიათად გამოხატავს ერთნაირ იდეას, ამიტომ „დემოკრატია", როგორც აღწერითი ტერმინი, შეიძლება ჩავთვალოთ „უმრავლესობის მმართველობის" სინონიმად.

დენ სიაოპინი (Dèng Xiǎoping) (1904-1997) ჩინეთის კომპარტიის მოღვაწე. ჩინეთის ფაქტიური ხელმძღვანელი (1970-1990)

დემონოპოლიზაცია (demonopolization) – სახელმწიფო ან სხვა მონოპოლიის საშუალების მოსპობა პროდუქციის ერთი მწარმოებლისათვის, რომელიც მომხმარებელს თავის პირობებს უკარნახებს.

დემოპოლიტიკა – ჩელენის ტერმინი. დემოგრაფიული პარამეტრების ზემოქმედება სახელმწიფოს სტრუქტურაზე. ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა.

დემპინგი (dumping) – საქონლის გაყიდვა საგარეო ბაზარზე საშინაო ბაზრის ფასზე იაფად წარმოების სტაბილიზაციის მიზნით.

დეპორტაცია (deportation) – სახელმწიფოდან პირის იძულებითი გასახლება, განდევნა, გაძევება სხვა სახელმწიფოში.

დესპოტიზმი (despotism) – თვითმპყრობელური ხელისუფლების ფორმა, შეუზღუდავი მონარქია.

დესეკულარიზაცია (ლათინურად de თავსართი – მოცილება, დაშორება, შეცვლა, saecularis საერო) – ადამიანების სულიერი ღირებულებების მიმართ ინტერესის გააქტიურება. საერო, სამოქალაქო გავლენიდან საეკლესიო, ხასულიერო გავლენის ქვეშ გადასვლა.

დეტანტი (detente) – დაძაბულობის შენელება საერთაშორისო ურთიერთობაში.

დეტერმინირებული გადაწყვეტილება - გადაწყვეტილება მიღებული განსაზღვრულ პირობებში, რომლის შედეგს წარმოადგენს ერთადერთი სავარაუდო გადაწყვეტილება.

დე ფაქტო (de facto) - ფაქტიურად, სინამდვილეში.

დე ფაქტო-დე იურე – განსხვავება რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის არსებობაში ან პოლიტიკური ნორმის ფაქტობრივი და სამართლებრივი სახით რეალიზაციაში.

დიასპორა (diaspora) - ხალხის (ეთნიკური ერთობის) მნიშვნელოვანი ნაწილის ყოფნა თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

დიდი სივრცე (Grossraum) – შმიტის ტერმინი. რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანება ერთ სტრატეგიულ წარმონაქმნში. დიდი სივრცეების წარმოშობა განპირობებულია „სივრცული პროგრესიის" თეორიით.

**"დიდი შვიდეული"** (great seven, G-7) ეკონომიკურად შეიდი ყველაზე განვითარებული სახელმწიფოს (აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, კანადა) მეთაურთა რეგულარული შეხვედრები, რომლის დროსაც ხდება საერთო ინტერესებში შემავალი სტრატეგიული და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება. 1997 წლიდან აღნიშნულ შეხვედრებში რუსეთიც მონაწილეობს.

**დიზრაელი, ბენჟამენ** (1804-1881) დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1868)

**დინამიკა** – მოდის ძველბერძნული სიტყვიდან „dynamikos", რაც ძალას უკავშირდება. ძალა, რომელიც იწვევს მოძრაობას. შესამჩნევი, საგრძნობი მოქმედება, რომელიც დიდი ძლიერებით გამოირჩევა და თანაბარზომიერად ხორციელდება დროსა და სივრცეში. აგრეთვე ნიშნავს ცვლილებებისა და მოძრაობა-განვითარების უნარს (მაგალითად, სოციალური დინამიკა, ეკონომიკური დინამიკა, პოლიტიკური დინამიკა და სხვა.).

**დინასტია** – დ-ს ქმნიან ერთი და იმავე გვარის მონარქი მმართველები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან ტახტზე მემკვიდრეობის უფლებით.

**დიპლომატია** (diplomacy) – მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების და მოლაპარაკების დროს. ფართო გაგებით – სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა საგარეო პოლიტიკის სფეროში; სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების სისტემა.

**დისკრიმინაცია** (სოციალურ-პოლიტიკური) – მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიისათვის რასობრივი, ნაციონალური, სოციალური წარმოშობის, სქესის, პოლიტიკური შეხედულების, ან სხვა ნიშნის მიხედვით უფლებების შეზღუდვა ან ჩამორთმევა.

**დისტანცია** – მიესადაგება რეალურ, ფიზიკურ მანძილს, რომელიც მოვლენათა (საგანთა) არაერთგვაროვნების ან გათიშულობის აზრობრივი გაზომვის ფუნქციას ასრულებს.

**დისკონტინუალური** (ინგ. discount) – პროცენტი, რომელსაც იკავებენ თამასუქის განაღდების დროს.

**დისკონტინუალური სარტყელი** – კოენის ტერმინი. დანაწევრებული სანაპირო ზონები გაურკვეველი ვარიაბელური ორიენტაციით, რომელთაც შეუძლიათ წაიდნენ როგორც თელუროკრატიული ხმელეთის, ასევე თალასოკრატიული მიმართულებით.

**დიქტატურა** (dictatorship) - ცალკეული პირის, ჯგუფის, კლასის შეუზღუდავი ხელისუფლება.

**დიხოტომია** (ბერძ., διχο – ორ ნაწილად + τομία - კვეთა) – თანამიმდევრობრივი დაყოფა ორ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული.

**დოგმა** (dogma) - დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება, რომელსაც მიიჩნევენ ურყევ ჭეშმარიტებად ყველა დროისა და ისტორიული პირობებისადმი.

**დოგმატიზმი** – ცალმხრივი, სქემატური, უცვლელი აზროვნება, ეყრდნობა განყენებულ დებულებებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ კონკრეტულ პირობებსა და პრაქტიკას.

**დრაკონული კანონები** ამ ტერმინით აღინიშნება მკაცრი, დამთრგუნველი კანონების ერთობლიობა.

**დრეიკი, სერ ფრენსის** (ინგ., Francis Drake) (1540-1596). ელისაბედ I ეპოქის დროინდელი ზღვაოსანი და კორსარი. პირველი ინგლისელი, რომელმაც (1577-1580) შემოუარა დედამიწას. ამ გმირობისათვის დედოფალმა მას უბოძა რაინდის ტიტული და ბაკლენდ-ების მამული იელვერტონში. 1588 წელს გრაველინის საზღვაო ბრძოლაში გაანადგურა ესპანეთის "უძლეველი არმადა" (ესპ., "Grande y Felicísima Armada" "დიდი და ყველაზე ბედნიერი არმადა", უფრო ცნობილია, როგორც "უძლეველი", "Armada invencible"). (1586-1588) ესპანეთის მიერ, ინგლისის დასაპყრობად, შექმნილი ფლოტი (130 სახაზო გემი). არმადას ხემძღვანელობდა ალონსო პერეს დე გუსმანი, ჰერცოგი მედინა-სიდონია.

**დომინიონი** (dominion) - თვითმმართველი კოლონია ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში (მაგალითად, კანადა, ავსტრალიის კავშირი).

**დოქტრინა** (doctrine) მოძღვრება, მეცნიერული ან ფილოსოფიური თეორია, პოლიტიკური სისტემა, წარმმართველი თეორიული ან პოლიტიკური პრინციპი.

## ე

**ევოლუცია** 1. მოვლენის (ან პროცესის) თანდათანობითი, ერთმანეთში გარდამავალი განუწყვეტელი ცვლილებების შედეგად, ნახტომებისა და შესვენებების გარეშე, თვისებრივი განსაზღვრულობის შენარჩუნებით (განსხვავებით რევოლუციისაგან). 2. სხვადასხვა გვარის მოძრაობა, რომელიც დაკავშირებულია გადაადგილებასთან, გარკვეული კომპონენტების გადაწყობასთან. 3. ცვლილებების, განვითარების პროცესი.

**ევრაზია** – იგივეა რაც კონტინენტი, heartland, ხმელეთი, მიწა, თელუროკრატია. უფრო ვიწრო გაგებით გეოპოლიტიკურ რუსეთს აღნიშნავს.

**ევრაზიულობა** – რთული გეოპოლიტიკური ცნება. თავის თავში მოიცავს: ისტორიულად – კაცობრიობის ცივილიზაციის აღმოსავლეთ სექტორს; სტრატეგიულად – სახელმწიფოებისა და ერების არსებულ ან შესაძლო ბლოკს, რომლებიც არ ცნობენ ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის იმპერატივს; სტრატეგიულად – სამხედრო ალიანსში გაერთიანებულ აღმოსავლეთ, „თელუროკრატიული" ქვეყნების არსებულ ან შესაძლო ბლოკს; სოციალურად – „იდეოკრატიაზე" ორიენტაციას, სოციალურ სახელმწიფოს, არაკაპიტალისტურ ეკონომიკურ წყობას.

**ეთეროკრატია** – ბერძ. „ძალაუფლება ზეატმოსფერული შრეების მეოხებით". კოსმოსური იარაღის გაბატონება. თალასოკრატული და აეროკრატული მისწრაფებების განვითარება.

**ეთიკა** (პოლიტიკური) – პოლიტიკურ მეცნიერებათა შემადგენელი ნაწილი, რომელიც ცდილობს განსაზღვროს პოლიტიკური ქცევის მორალური მხარე. კონკრეტული ორგანიზაციის პერსონალისა და ხელმძღვანელის ფორმალური (დაწერილი) და არაფორმალური (დაუწერელი) ქცევის ნორმები.

**ეთნიკური წმენდა** – ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური ჯგუფის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ამა თუ იმ გეოგრაფიული რეგიონიდან განდევნოს სხვა ასეთი ჯგუფების სამოქალაქო მოსახლეობა ძალადობისა და ტერორის მეთოდების გამოყენებით (მკვლელობა, წამება, თვითნებური დაპატიმრება და დაკავება, გაუპატიურება და სხვა სექსუალური ძალადობა, სამოქალაქო მოსახლეობის ძალმომრეობით განდევნა, გადაადგილება და დეპორტაცია, სამოქალაქო მოსახლეობასა და რაიონებზე მიზანმიმართული სამხედრო თავდასხმები თუ ამ თავდასხმებით მუქარა და ა.შ.). ე.წ.-ის პრაქტიკა გენოციდის სახეს იღებს.

**ეთნოგრაფიული ფაქტორები** – ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს გეოპოლიტიკაზე. ესენია: ავტონომიები, ქალაქ-სახელმწიფოები, ქვეყნ-სახელმწიფოები, დიასპორები, კომპლიმენტარული ეთნოსები, კონურბაციები, ლინგვისტურად ახლობელი, ლინგვისტურად განსხვავებული, ეროვნული უმცირესობები, არაკომპლიმენტარული ეთნოსები, გაყოფილი ეთნოსები, რელიგიური უმცირესობები, სეპარატისტები, ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება, სუსტი აღმასრულებელი ხელისუფლება, ტერორისტული აქტივობა.

**ეკლესია** – 1. ძველ საბერძნეთში სახალხო კრების ყველაზე უფრო გავრცელებული სახელწოდება. დემოკრატიულ პოლისებში (მაგ. ათენში, ძვ.წ. V ს.) სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო იყო. ას ჰქონდა სრული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ძალაუფლება, ირჩევდა თანამდებობის პირებს და ახორციელებდა მათზე მუდმივ კონტროლს. 2. რელიგიური ორგანიზაცია, სარწმუნოებისა და კულტის ერთიანობაზე დამყარებული ამა თუ იმ რელიგიის მიმდევართა გაერთიანება, ადგილი სადაც სრულდება რელიგიური რიტუალები. მისი ძირითადი განმსხვავებელი ნიშნებია: მეტ-ნაკლებად დამუშავებული დოგმატური და საკულტო სისტემა, იერარქიული ხასიათი და მმართველობის ცენტრალიზაცია, მორწმუნეთა დაყოფა კულტის პროფესიულ მსახურებად (სამღვდელოება) და რიგით მორწმუნე ერისკაცებად (მრევლი).
ზოგადსაკაცობრიო პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტად იზრდება ე-ის როლი როგორც ცალკეული ქვეყნების შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

ეკოლოგია – ცოცხალი არსებების გარემოსთან ურთიერთქმედების შესწავლა.

ეკონომიკა – 1. მატერიალური და ადამიანური რესურსების ორგანიზებულად მართვა დოვლათის წარმოების პროცესში. 2. დოვლათის წარმოებასთან, განაწილებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული სოციალური დაწესებულებებისა და ინსტიტუტების სისტემა. 3. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოებაში მწირი რესურსებისათვის კონკურენციის, მათი წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების პროცესებს.

ეკონომიკური ზონა (economic zone) - ტერიტორიული წყლების მიმდებარე აკვატორია, რომელიც ნაპირიდან 200 საზღვაო მილზე ვრცელდება და რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო გარკვეულ სუვერენულ უფლებებს ახორციელებს.

ეკოპოლიტიკა – რუდოლფ ჩელენის ტერმინი. სახელმწიფოს განხილვა ეკონომიკურ ძალად. ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა.

ეკუმენიზმი – მოძრაობა, რომლის მიზანია რელიგიური კონფესიების გაერთიანება. ქრისტიანულ ე-ს საფუძველი ჩაეყარა 1910 წელს ედინბურგში გამართულ მსოფლიო მისიონერულ კონფერენციაზე. ე., სულ ცოტა, სამ მიმართულებას ითვალისწინებს: 1. ქრისტრიანული კონფესიების გაერთიანებას; 2. არაქრისტიანული რელიგიების ინტეგრაციულ პროცესებსა და 3. ქრისტიანული ეკუმენისტური ორგანიზაციების არაქრისტიამულ ორგანიზაციებთან შეთანხმებულ მოქმედებებს. უკანასკნელთა შორის გამოირჩევა ბუდისტების მსოფლიო საძმო, მსოფლიო ისლამური კონგრესი, ალ-ახზარესთან (კაიროში) არსებული ისლამური კვლევების ცენტრი და სხვა. ქრისტიანობაში ეკუმენისტური პროცესების კოორდინატორია მსოფლიო საეკლესიო საბჭო, რომელიც 1948 წელს შეიქმნა. მასში გაერთიანებულია პროტესტანტული, მართლმადიდებლური, სომხურ-ბერძნული და სხვ. კონფესიების უმრავლესობა.

ელექტორატი – 1. ფართო მნიშვნელობით – ყველა ის ადამიანი, რომელიც ფლობს საარჩევნო უფლებას და შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ამა თუ იმ დონისა და ტიპის არჩევნებში. 2. ამომრჩეველთა ის ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ ხმას აძლევს ამა თუ იმ პარტიას, ორგანიზაციას, მის წარმომადგენლებს ან რომელიმე დამოუკიდებელ დეპუტატს. ე-ის რაოდენობა პირველ შემთხვევაში დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რომელ არჩევნებზეა საუბარი – საერთო სახელმწიფოებრივ, ფედერაციის სუბიექტებისა თუ ადგილობრივი ორგანოების; საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ მუნიციპალურზე. მეორე შემთხვევაში მისი რაოდენობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის თუ პიროვნების ამომრჩეველთა გავლენაზე და ამომრჩევლების მზადყოფნაზე – მხარი დაუჭირონ შესაბამის კანდიდატებს. ე-ის გაზრდა დეპუტატების კანდიდატების, მათი პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების მთავარი მიზანია.

ელიტა – მცირერიცხოვანი სოციალური ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებსაც უკავიათ წამყვანი და პრივილეგირებული პოზიციები საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, თავდაცვა და სხვ. და ახორციელებენ მასების მართვისა და კონტროლის ფუნქციებს. ე-ის განსაზღვრება სოციოლოგიაში არაერთმნიშვნელოვანია, რაც ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე განსაზღვრებიდანაც ჩანს: ე. ესაა ადამიანთა ერთობლიობა, რომლებსაც აქვთ უმაღლესი ინდექსი მათი მოღვაწეობის სფეროში (პარეტო), პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე აქტიური ადამიანები, ძალაუფლებაზე ორიენტირებული საზოგადოების ორგანიზებული უმცირესობა (მოსკა), ადამიანები, რომლებიც საზოგადოებაში სარგებლობენ უმაღლესი პრესტიჟით, სტატუსით, სიმდიდრით. ადამიანები, რომლებსაც აქვთ ინტელექტუალური ან მორალური უპირატესობა მასაზე, ასევე პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობა (ხ. ორტეგა ი გასეტი). ადამიანები, რომლებსაც უკავიათ ძალაუფლების პოზიციები (ეტციონი), აქვთ ფორმალური ძალაუფლება იმ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში, რომლებიც განსაზღვრავს სოციალურ ცხოვრებას (თ. დაი), ღვთივშთაგონებული ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ ქარტიზმა (ლ. ფროინდი). საზოგადოების შემოქმედებითი უმცირესობა არაშემოქმედებითი უმრავლესობის საპირისპიროდ (ტოინბი), შედარებით მცირე ჯგუფები, რომლებიც შედგება იმ პირთაგან, ვისაც უკავიათ წამყვანი მდგომარეობა საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებაში (ე-თა პლურალიზმის თეორიის მომხრეები), ბიუროკრატიული მართვის სისტემაში ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტები, მენეჯერები და უმაღლესი მოხელეები (ტექნოლოგიური დეტერმინიზმის მიმდევრები).

ე-ის განსაზღვრებისადმი ყველა არსებული მიდგომა შეიძლება დავიყვანოთ ორ ძირითადზე: ღირებულებაზე (ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ადამიანის ფსიქოლოგიურ-

მორალურ მახასიათებლებზე) და ფუნქციონალურზე (სადაც ყურადღება გამახვილებულია სოციალურ სტატუსებსა და პოზიციებზე).

ე-თა კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმითაა შესაძლებელი. საზოგადოებრივი ფუნქციების მიხედვით, ე. შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ინტელექტუალური, სამხედრო, ადმინისტრაციული და სხვა; პოლიტიკურ სისტემაში ადგილის მიხედვით – მმართველი და ოპოზიციური; ცირკულაციის ინტენსიურობისა და ახალ წევრთა რეკრუტირების ხერხების მიხედვით – ღია და დახურული; სტრუქტურული თვალსაზრისით – ინტეგრირებული და არაინტეგრირებული; წარმომადგენლობითობის თვალსაზრისით – მაღალი და დაბალი ხარისხით წარმომადგენლობითი და სხვა.

ემანსიპაცია – რომელიმე პიროვნების ან სოციალური ჯგუფის გათავისუფლება, ვისიმე ან რისამე დაქვემდებარებიდან, მფლობელობიდან გამოსვლა და შედეგად დამოუკიდებლობისა და თანასწორი უფლებების მიღება.

ემბარგო (embargo) -1) სახელმწიფოს მიერ ოქროს, საქონლის, ფასიანი ქაღალდების ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, როგორც კონკრეტული ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული აქტი; 2) სახელმწიფოს მიერ საკუთარ პორტებში სხვა ქვეყნის (ან ქვეყნების) გემების მიღების შეჩერება.

ემიგრაცია – პოლიტიკური, ეკონომიკური ან პირადი მიზეზებით უცხო ქვეყანაში მცირე ხნით ან მუდმივად საცხოვრებლად წასვლა.

ენდემური ველი (ბერძნული – endemos-ადგილობრივი) – სივრცე, რომელსაც სახელმწიფო აკონტროლებს დიდი ხნის განმავლობაში. ამ ტერიტორიის კუთვნილება მოცემული ეროვნული ერთობის მიერ აღიარებულია მეზობლების მიერ.

ერთიანი მსოფლიო (One World – ინგ.) – იხილეთ მონდიალიზმი.

ერი (Nation) – მკვლევართა უმეტესობა თანხმდება იმ აზრზე, რომ არსებობს რამდენიმე, ერის ჩამოყალიბებასა და მის სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ფაქტორი, რომლებიც ერის არსებობაზე მოქმედებენ. აქ გულისხმობენ საერთო ენის, ტერიტორიის, ისტორიის, სახელმწიფოებრიობის, კულტურის, ხშირად რელიგიის და რაც მთავარია ისეთი უმნიშვნელოვანესი მოქალაქეობრივი ფასეულობის არსებობას, როგორიცაა ეროვნული თვითშეგნების გრძნობა.

დღემდე არ არსებობს ერთიანი მიდგომა ამ ურთულესი მოვლენისადმი, ვინაიდან ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ერის ყველასათვის მისაღები დეფინიცია:

იოსებ სტალინი "ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა".

იან შჩეპანსკი "ტერმინი "ერი", სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში იხმარება ორი ძირითადი მნიშვნელობით. დასავლეთევროპულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ინგლისურ ლიტერატურაში, ჭარბობს შეხედულება, რომ ერი არის სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობლიობა, მაშასადამე, ეს არის ხალხი, რომელმაც მიაღწია კულტურის მაღალ დონეს და პოლიტიკური ორგანიზაციის მაღალ ხარისხს, ეს არის ერთობა, რომელსაც აქვს საერთო ენა და კულტურა, მაგრამ გაერთიანებულია სახელმწიფო ორგანიზაციის ძირითადი კავშირით; ცენტრალური და აღმოსავლეთ ქვეყნების ლიტერატურაში ჭარბობს შეხედულება, რომ ერი არის საერთო კულტურით ფორმირებული ერთობა, რომელმაც გაუსწრო ხალხური კულტურის (ფოლკლორის) დონეს, შექმნა საკუთარი ლიტერატურა, ხელოვნება (სიმბოლური კულტურა) და, ამას გარდა, გაერთიანებულია ისტორიის, ტრადიციის და საერთო წარმოშობით. ყველაზე ხშირად ერის გამოყოფის საფუძვლად მიჩნეულია ენა, საერთო ტერიტორიაზე ცხოვრება, ეკონომიკური წყობა (სახალხო მეურნეობა), ეროვნული ხასიათი (ფსიქიკური წყობა), საკუთარი კულტურა. ზოგიერთი ავტორი ამას უმატებს კიდევ პოლიტიკურ ინსტიტუტებს, ხოლო ზოგჯერ რელიგიასაც..."

ერნსტ გელნერი „ერის წარმოშობა დაკავშირებულია შემთხვევითობასთან. მისთვის ერის უნივერსალური და ნორმალური იდეა მაინც წარმოადგენს ბუნდოვან ცნებას: ორი ადამიანი მიეკუთვნება ერთ ერს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აერთიანებთ ერთი კულტურა, რომელიც თავის მხრივ გაიგება როგორც იდეების, პირობითი ნიშნების, კავშირების, ქცევებისა და ურთიერთობების ხერხების სისტემა. ეს ორი ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეკუთვნება ერთ ერს, თუკი ისინი აღიარებენ ერთიმეორის კუთვნილებას ამ ერისადმი. ანუ –

ერს ქმნის ადამიანი; ერი წარმოადგენს ადამიანური რწმენის, მიკერძოებისა და მიდრეკილების პროდუქტს. ადამიანთა ჩვეულებრივ ჯგუფი (მაგალითად, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი, განსაზღვრული ენის მატარებლები), ხდება ერად მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ჯგუფის წევრები მტკიცედ ცნობენ ერთიმეორის მიმართებაში გარკვეულ საერთო უფლებებსა და მოვალეობებს. სწორედ ამდაგვარი თანამეგობრობის ურთიერთ აღიარება აქცევს მათ ერად და არა სხვა ნებისმიერი ხასიათის ზოგადი თვისებები, რომლითაც ეს ჯგუფი გამოეყოფა მის გარეთ მყოფ ყველა დანარჩენებს".

დომინიკ კოლა „ერი წარმოადგენს განსაზღვრული სოციალური პირობების შედეგს და არა ბუნების გაგრძლებას სხვა საშუალებით. ერი არ არის სხვა რამ, ვიდრე სახელმწიფო-ერი: ქვეშევრდომებზე ტერიტორიული სუვერენიტეტის განხორციელების პოლიტიკური ფორმა და ჯგუფის კულტურული ჰეგემონიზაცია (ლინგვისტური და/ან რელიგიური) ერთად ქმნიან ერს".

მიხაკო წერეთელი "ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი ანუ ჰიპერ-ორგანიზმი— შემდგარი ერთვარი ანუ მრავალგვარი ეთნიკური და სოციალური მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულითა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა: ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა, — საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრული ინდივიდუალურობითა."

ნიკოლოზ ბერდიაევი „ერი არის უპირატესად ისტორიული, კონკრეტული-ისტორიული და არა აბსტარქტულ-სოციალური კატეგორია. იგი არის სრულიად თავისებური ისტორიული სინამდვილის წარმონაშობი— ჭეშმარიტად ერი არ ექვემდებარება რაიმე რაციონალურ განსაზღვრებას. ვერავითარი რაციონალურად მოსახელთებელი ნიშანი ვერ ამოწურავს მის ყოფას. რა რაციონალურ-ფსიქოლოგიური ან სოციალუროგიური განსაზღვრებაც არ უნდა მივუყენოთ ერს, მისი ყოფა სულ უფრო და უფრო იძირება საიდუმლოებრივ, ირაციონალურ სიღრმეში. ერის ყოფა არ განისაზღვრება არც რასით, არც ენით, არც რელიგიით, არც ტერიტორიით, არც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტით, თუმც ყველა ეს ნიშანი მეტ-ნაკლებად არსებითია ეროვნული ყოფისათვის. უფრო სწორნი არიან ისინი, ვინც ერს განსაზღვრავენ როგორც ისტორიული ბედის ერთობას, ამ ერთობის შეგნება არის სწორედ ეროვნული შეგნება. მაგრამ ისტორიული ერთობა ირაციონალური საიდუმლოც არის. აქ ეროვნული შეგნება იძირება სიცოცხლის სიღრმეში, ერთიანი და განუმეორებული ისტორიული რეალობის წიაღში".

ირაკლი რეხვიაშვილი „ერი არის ღმერთის ქმნილება, ერთადერთი და განუმეორებელი. ერის შემოქმედებითი გენია ჰქმნის სულიერებას, რომლის გარეშეც ერს არ შეუძლია არსებობა და იგი თანდათან იღუპება. ერის არსებობის პირობას მისი სულიერება წარმოადგენს. მასთანაა დაკავშირებული სამშობლო, მამული, რწმენა. ერის კულტურაში სულიერების გამოვლინება წარმოადგენს უფლისადმი მიძღვნილ ჰიმნს. მიწიერ საქმეებში სულიწმიდის საშუალებით გადმოსული სულიერებაა სამშობლო და მამული. გაცისკროვნებული სულიერების საშუალებით ერი მარადიულობას უკავშირდება".

ერი-სახელმწიფო – საერო სახელმწიფო, მკვეთრად გამოხატული ცენტრალიზმით. პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელშიც სახელმწიფო ფორმებს, ეთნოსისა და მისი კულტურის წარმოშობამდე მივყევართ. განსხვავდება ეთნიკური წარმონაქმნისა (თემი, ხალხი) და იმპერიისგან.

ერთპოლარული მსოფლიო – საბჭოთა კავშირის „ცივ ომში" დამარცხების შემდეგ ჩამოყალიბებული გეოპოლიტიკური მოდელი. ერთადერთ გაბატონებულ პოლუსს წარმოადგენდა ატლანტიზმი და აშშ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა – დაპყრობილი და კოლონიზებული ხალხების ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავს უცხოეთის ბატონობის მოსპობასა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას, კოლონიური ჩაგვრისა და ექსპლუატაციის ლიკვიდაციას, ხალხის მიერ თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების განხორციელებას.

ეროვნილ-განმათავისუფლებელი მოძრაობა – ხალხების ბრძოლა, მიაღწიონ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და კულტურულ იდენტიფიკაციას.

ეროვნული თვითგამორკვევა – ეთნიკური ჯგუფის (რომელიც თავს განსაკუთრებულ,გამორჩეულ ერთობად აღიქვამს) უფლება ან მისწრაფება, თვითონ მართოს საკუთარი თავი და განსაზღვროს იმ ტერიტორიის პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსი, რომელიც უკავია. პოლიტიკური მნიშვნელობით იგი გამოხატავს პროცესსაც და იდეასაც.

ეროვნული უსაფრთხოება – დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა.

ეროვნული ცნობიერება – ეროვნული იდენტურობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. გარდა საერთო ისტორიული მეხსიერებისა, ფსიქოლოგიური განწყობებისა, ენობრივ-მენტალური კოდების სისტემისა და ა. შ., ეც. შეიცავს ეროვნული თვითცნობიერების მომენტს, რომლის გარეშეც შეუძლებელია განისაზღვროს კონკრეტული პიროვნების ეროვნული მიკუთვნილობა.

ესკალაცია – სამხედრო კონფლიქტის გამწვავება, როდესაც ორი მხარე ერთმანეთის მიმართ სულ უფრო ინტენსიურ საპასუხო დარტყმებს ახორციელებს.

ეტატიზმი (ფრანგ. etat – სახელმწიფო) – მიმდინარეობა პოლიტიკურ აზროვნებაში, რომელიც სახელმწიფოს განიხილავს, როგორც საზოგადოების განვითარების უმაღლეს შედეგსა და მიზანს; სახელმწიფოს ჩარევა საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, სამეცნიერო და სხვ. საქმიანობაში. ე. საზოგადოების პოლიტიზაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა, როდესაც პოლიტიკა რაციონალური ურთიერთქმედების ზღვარს სცილდება და ცდილობს განსაზღვროს ცხოვრების თითოეული სფეროს ფუნქციონირება, რის შედეგადაც ზღუდავს და აფერხებს მას.

ეტლი, კლემენტ რიჩარდ (ინგ., Clement Richard Attlee) (1883-1967 წწ.) ბრიტანელი პოლიტიკური მოღვაწე. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1945 წ.)

ეფექტი – მოდის ლათინურიდან „effectus" მოქმედება; რაიმეს შედეგი, ძლიერი შთაბეჭდილება; აქტორის მოქცევის ფორმაზე, ან სისტემის (ეკონომიკური, სოციალური და სხვა) ფუნქციონირებაზე მოხდენილი ზემოქმედება, გავლენა რაიმე გარე მოქმედებათა შედეგად.

ექსკლავი (ლათ. ex - გარე + clavis – გასაღები) – სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც არა აქვს საერთო საზღვარი ძირითად ნაწილთან და გარშემორტყმული სხვისი ტერიტორიით. მაგ.: კალინინგრადის ოლქი (რუსეთი), ალიასკა (აშშ), კაბინდა (ანგოლა).

ექსპერტული შეფასებების მეთოდები - სპეციალისტ-ექსპერტთა განზოგადებული შეხედულებების გამოყენებაზე დამყარებული გადაწყვეტილებების შემუშავებასა და დაფუძნების საშუალებები.

ექსპლუატაცია – 1. სხვა ადამიანის, ან რაიმე რესურსის გამოყენება და ამის შედეგად მიღება მოგებისა, რომელიც არ შეესაბამება საკუთარ შრომით წვლილს. 2. ხალხის, მათი თვისებებისა თუ იმ მდგომარეობის უსამართლო გამოყენება, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ.

ექსპროპრიაცია – სახელმწიფოს მიერ საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან გასხვისება.

ექსტრემიზმი – პოლიტიკური პრობლემების უკიდურესი გზებითა და საშუალებებით გადაჭრისაკენ მიდრეკილება.

## ვ

ვებერი, მაქს (გერმ., Max Weber) (1864-1920) გერმანელი სოციოლოგი, ეკონომისტი, ისტორიკოსი.

ველინგტონი, არტურ უესლი, I ჰერცოგი ინგ., (Arthur Wellesley, 1st Duke of Wellington) (1769-1852) ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1828-1830)

ვეტო (veto) - 1. სახელმწიფოს მეთაურის ან პარლამენტის ზედა პალატის უფლება, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონის ძალაში შესვლა (საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით ეს უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს პრეზიდენტს). შეერთებული შტატების კონსტიტუციით, წარმომადგენელთა პალტის ან სენატის მიერ მიღებულ კანონპროექტზე პრეზიდენტმა შეიძლება წააწეროს სიტყვა ვ. („ვკრძალავ"), რის შედეგადაც დოკუმენტი აკრძალვის სათანადო მოტივაციით საკანონმდებლო ინსტიტუტებს უბრუნდება. ამის შემდეგ კონგრესს მაინც შეუძლია გაიტანოს თავისი კანონპროექტი, თუ მისი წევრები მოაგროვებენ ორივე პალატაში ხმების 2/3-იან უმრავლესობას. თუ პრეზიდენტი კვლავ ვ-ს დაადებს კანონპროექტს, ვ. ავტომატურად ძალაში შედის ათი დღის ვადაში, თუ ამ პერიოდში კონგრესი არ შეწყვეტს სხდომებს. 2. საერთაშორისო ასპარეზზე ვ-ს უფლება აქვთ

გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს (აშშ-ს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს). 3. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთაგან შემდგარი კოლეგიური ორგანოს ერთ-ერთი წევრის განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი წინააღმდეგია უმრავლესობის გადაწყვეტილებისა; ხორციელდება ხმის მიცემით.

ვერტიკალური კომუნიკაციები - ინფორმაციის გაცვლა მართვის სხვა და სხვა დონეებს შორის

ვილსონი, თომას ვუდრო (ინგ., Thomas Woodrow Wilson) (1856-1924) აშშ-ს 28-ე პრეზიდენტი (1913-1921) აღიარებული ისტორიკოსი და პოლიტოლოგი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1919)

ვიზიტი – ამა თუ იმ სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობის ან დიპლომატიური წარმომადგენლის სტუმრობა მეორე ქვეყნის ოფიციალურ პირთან, სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან საქმიან წრეებთან. ტერმინი ასევე გამოიყენება ერთი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ესკადრის მეორე ქვეყნის პორტში შესვლის აღსანიშნავად, როდესაც ამგვარ სტუმრობას ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების მანიფესტაცია უდევს საფუძლად.

ვიტე, გრაფი სერგეი (1849-1915) რუსეთის იმპერიის პრემიერ-მინისტრი (1905)

ვოლუნტარიზმი – იდეოლოგიისა და ფსიქოლოგიის, პოლიტიკისა და პრაქტიკის თვისება, რომელიც მომდინარეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნების გადამწყვეტ ფაქტორად აღიარებიდან და ამ ნების გონებისა და საზოგადოებრივი კანონებისადმი დაპირისპირებიდან.

ვოტუმი – ინგლისურენოვან პოლიტიკურ ლიტერატურაში ზოგადად კენჭისყრის აღსანიშნავად გამოიყენება. ქართულ პოლიტიკურ პრაქტიკაში იგი დამკვიდრდა უფრო ვიწრო მნიშვნელობით, რაც გულისხმობს მთავრობის ან მისი რომელიმე წევრის პოლიტიკისადმი ნდობის ან უნდობლობის გამოცხადებას კენჭისყრის საშუალებით. უნდობლობის ვ-ის გამოტანას მთავრობის გადადგომა მოსდევს. კენჭისყრა შეიძლება განხორციელდეს ხელის აწევით ან ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. პროცედურის კონკრეტული სახე დამოკიდებულია ქვეყნის საპარლამენტო ტრადიციასა და რეგლამენტზე.

ვიქტორია (ინგ., Victoria) (1819-1901) დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალი (1837), ინდოეთის იმპერატორი (1876). ჰანოვერის დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი

## ზ

ზავი (armistice) - მეომარ მხარეებს შორის საომარ მოქმედებათა შეწყვეტის თაობაზე მიღებული შეთანხმება.

ზღვა – იგივეა რაც თალასოკრატია, წყალი..

ზღვა – მსოფლიო ოკეანის ნაწილი, გამოყოფილი ხმელეთით ან შემაღლებული წყალქვეშა რელიეფით. ზღვები ოკეანეების მიხედვით: წყნარი ოკეანე – ბანდის ზღვა, ბერინგის ზღვა, აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვა, ყვითელი ზღვა, მარჯნის ზღვა, მინდანაოს ზღვა, ოხოტის ზღვა, სულავესის ზღვა, სულუს ზღვა, ტასმანის ზღვა, ფიჯის ზღვა, ფილიპინის ზღვა, სამხრეთ ჩინეთის ზღვა, იავის ზღვა, იაპონიის ზღვა. ატლანტიკის ოკეანე – აზოვის ზღვა, ბალტიის ზღვა, ირლანდიის ზღვა, კარიბის ზღვა, სარგასის ზღვა, ჩრდილოეთის ზღვა, ხმელთაშუა ზღვა, ადრიატიკის ზღვა, ალბორანის ზღვა, ბალეარის ზღვა, იონიის ზღვა, კვიპროსის ზღვა, ლევანტის ზღვა, ლიგურიის ზღვა, მარმარილოს ზღვა, ტირენიის ზღვა, ეგეოსის ზღვა, კრეტის ზღვა, შავი ზღვა, შოტლანდიის ზღვა. ინდოეთის ოკეანე – ანდამანის ზღვა, არაბეთის ზღვა, არაფურის ზღვა, წითელი ზღვა, ტიმორის ზღვა. ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე – ბარენცის ზღვა, პეჩორის ზღვა, ბაფინის ზღვა, თეთრი ზღვა, ბოფორტის ზღვა, აღმოსავლეთ-ციმბირის ზღვა, გრენლანდიის ზღვა, ლაპტევების ზღვა, ნორვეგიის ზღვა, ჩუკოტკის ზღვა. სამხრეთის ოკეანე – ამუნდსენის ზღვა, რისის ზღვა, უედელის ზღვა, სკოტის ზღვა, ლაზარევის ზღვა, დევისის ზღვა, ბელინსჰაუზენის ზღვა.

ზღვები - გეოგრაფიული ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს გეოპოლიტიკაზე. ზღვები არიან შიდაკონტინენტალური და გარე. გარე ზღვები (რომლებიც არ წარმოადგენენ კონტინენტალურ შელფს) თავისუფლები არიან ცალკეული სახელმწიფოების კონტროლისაგან, შიდა ზღვებს გააჩნიათ საერთაშორისოდ გადაქცევის ტენდენცია, რაც იწვევს ამ ზღვების

მფლობელი სახელმწიფოების დასუსტებას. საკუთრივ შიდა ზღვები, გეოპოლიტიკური კუთხით, არ განიხილებიან როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორები.

## თ

თავისუფალი ზღვა (ლათ., Mare Liberum) – დოქტრინა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჰოლანდიელმა იურისტმა ჰუგო გროციუსმა 1609 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "Mare Liberum", სადაც მან ბუნებითი სამართლის კონცეფციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა თავისუფალი ნაოსნობის შემდეგი პრინციპი: "როგორც ჰაერია საერთო, რადგან იგი არ შეიძლება იყოს ვინმეს მიერ მითვისებული და რადგან იგი არ ამოიწურება მოუწესრიგებელი სარგებლობის შედეგად და შესაბამისად იგი ეკუთვნის მთელ კაცობრიობას, ასევე ზღვაა საერთო ყველასათვის".

თალასოკრატია – ბერძ. „ძალაუფლება ზღვის მეოხებით" ან „საზღვაო ძლევამოსილება". განვითარებული საზღვაო სახელმწიფოების დახასიათება.

თვითგამორკვევა – ყოველი ხალხის (ეთნოსის) საერთაშორისოდ აღიარებული უფლება დამოუკიდებლად და თავისუფლად განსაზღვროს თავისი ბედი, მათ შორის თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმა.

თვითმმართველობა – ძალზე ზოგადი გაგებით გულისხმობს რომელიმე ორგანიზაციის ან ქვეყნის ამა თუ იმ ოლქის უნარს, თავადვე მოაგვარის საკუთარი საქმეები. უფრო კონკრეტულად კი, სახელმწიფოებრივ დონეზე, თ-ში ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ორი ფორმა: რეგიონალიზმი და ფედერალიზმი. ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელია მმართველობის დაბალ დონეებზე იმგვარი სფეროების არსებობა, რომლებიც მთლიანად დაცულია ცენტრალური ხელისუფლების ჩარევისგან, რადგან ცენტრალური ხელისუფლება ადგილებზე ახდენს საკუთარი უფლებამოსილების ოლქების ხელისუფლებისადმი დელეგირებას.

თელუროკრატია – ბერძ. „ძალაუფლება მიწის მეოხებით" ან „სახმელეთო ძლევამოსილება". აშკარა სახმელეთო გეოპოლიტიკური ორიენტაციის მქონე სახელმწიფოების დახასიათება. იხილეთ ევრაზია, Heartland, იდეოკრატია.

თემი – ორგანულად დაკავშირებული ადამიანების არსებობის ბუნებრივი ფორმა. საზოგადოების (რომელშიც ორგანული კავშირების ნაცვლად, მძლავრობენ ინდივიდუმებს შორის ფორმალიზებულ ხელშეკრულებათა ნორმატივები) ცნების საწინააღმდეგო. თემი ტრადიციებით რეგულირდება.

თეოკრატია (theocracy) - სახელმწიფო მმართველობის ფორმა, როდესაც ხელისუფლება თავმოყრილია სასულიერო პირთა ხელში. ან სახელმწიფოს მეთაური ერთდროულად უმაღლესი რელიგიური პირიც არის.

თურანი – ევრაზიული კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარეები, ევრაზიის სტეპური სივრცეები.

## ი

იდენტობა – თავისთავადობის შეგრძნება, რომელიც ბავშვს უყალიბდება ზრდის პროცესში; „მე"-ს შედარებით მყარი, უწყვეტი განცდა საკუთარი თავისა; ესაა ინდივიდის თვითცნობიერების მნიშვნელოვანი კომპონენტი – წარმოდგენების სისტემა საკუთარი თავსა და თვისებებზე, უნარებზე, გარეგნობაზე, სოციალურ ღირებულებაზე. ამ წარმოდგენების საფუძველზე ადამიანი აგებს ურთიერთობებს თავის თავთანაც და სხვებთანაც.

იდეოლოგია – 1. იდეათა სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს სოციალურ და პოლიტიკურ მოღვაწეობას; 2. უფრო ვიწრო მნიშვნელობით, იდეათა სისტემა, რომელიც ერთი ჯგუფის მეორეზე ბატონობას აკანონებს ან ამართლებს; 3. ყოვლისმომცველი ენციკლოპედიური ცოდნა, რომელსაც უნარი შესწევს დაანგრიოს ცრურწმენები და გამოყენებულ იქნეს სოციალურ რეფორმებში. თავდაპირველად, ტერმინი ი. სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენა ანტუან დესტიუ დე ტრასმა. დღეს ტერმინი ი. ძირითადად პირველი და მეორე მნიშვნელობით გამოიყენება.

იდეოკრატია – ბერძ. „იდეის, იდეალების ძალაუფლება." რუსი ევრაზიელების ტერმინი (ნ.ტრუბეცკოი, პ.სავიცკი). საპირისპიროა „მატერიის ძალაუფლების", „საბაზრო სისტემის", „სავაჭრო წყობის" ცნებებისა. იდეოკრატიის დროს საზოგადოების იერარქია და შრომის სტიმულაცია არაეკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარეობს.

იერარქია – მთელის ნაწილების გაშლა ზემოდან ქვემოთ მომაევალი რიგით. ტერმინი პირველად გამოიყენებოდა ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაციის დასახასიათებლად. თანამედროვე ლიტერატურაში ტერმინი იმავე მნიშვნელობით იხმარება სახელმწიფოს ბიუროკრატიული სტრუქტურის დასახასიათებლად.

იმიჯი - პიროვნების ან ორგანიზაციის სახე მიზანმიმართულად დამუშავებული და პროპაგანდირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებითა და რეკლამით.

იმპერია – 1. მონარქიული სახელმწიფო, რომლის სათავეშიც იმპერატორი დგას. ცალკეული ტერიტორიების კოლონიური გაერთიანება, რომელზედაც ქვეყანა-მეტროპოლიის უფლებამოსილება ვრცელდება. ი-ისთვის, როგორც სახელმწიფოებრივი ფორმისათვის, დამახასიათებელია მონარქის მმართველობის მბრძანებლური ხასიათი, მეტროპოლის, ცენტრის, გაბატონებული ერის პრივილეგირებული მდგომარეობა კოლონიებთან, პროვინციებთან, სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან შედარებით, რომელთაც ხშირად უარს უცხადებენ თვითგამორკვევისა და თვითმმართველობის უფლებაზე; მკაცრი და უკიდურესი ცენტრალიზაცია, ი-ის იდეოლოგიის ოფიციალური ქადაგება, რომელიც შოვინიზმს, ნაციონალიზმსა და სხვ. ემყარება. ი-ის ყველაზე უფრო ფართო გაგება გამოიყენებოდა რომის, ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთისა და სხვ. კოლონიალური სახელმწიფოების აღსანიშნავად. 2. ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც აერთიანებს ხალხებსა და სახელმწიფოებს რელიგიური, ეთნიკური და იდეოლოგიური ხასიათის უნივერსალური იდეის საფუძველზე.

იმპერიალიზმი – ჰეგემონური სახელმწიფოს დაქვემდებარებულ ქვეყნებთან ან ხალხებთან ურთიერთობების სისტემა.

იმპიჩმენტი – რიგი ქვეყნების კონსტიტუციური კანონმდებლობით გათვალისწინებული უმაღლესი თანამდებობის პირების პასუხისგებაში მიცემის, კონსტიტუციის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის ბრალდებით მათი საქმეების პარლამენტში სასამართლო განხილვის განსაკუთრებული წესი – პროცედურა.

იმუნიტეტი (პოლიტიკური) – ფეოდალურ ეპოქაში ფეოდალის უფლება, ცენტრალური ხელისუფლების დაუკითხავად გაემართა სასამართლო ან მოეკრიბა გადასახადი. მოგვიანებით ი. უწოდეს ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი რომელიმე სხვა ქვეყნის მოქალაქის ან ორგანიზაციის უფლებას, ყოფილიყო უცხო ქვეყნის იურისდიქციისაგან თავისუფალი. ი. არის თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძალზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. იმავე ტერმინს რიგ შემთხვევებში იყენებენ წარმომადგენლობითი პოლიტიკური ორგანოს, პარლამენტის წევრთა პიროვნული ხელშეუხებლობის დასაფიქსირებლად, როდესაც პარლამენტის წევრი არ შეიძლება დაკავებულ იქნას და წარსდგეს სასამართლოს წინაშე პარლამენტის თანხმობის გარეშე.

ინაუგურაცია – ძველ რომში თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკავების საზეიმო აქტი, რიტუალური დღისთვის, განსაზღვრული დასახლებული პუნქტისათვის გარკვეული დანიშნულების მინიჭება. დღეს იგი აღნიშნავს რომელიმე თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის დაკავების საზეიმო აქტს.

ინდივიდუალიზმი – მსოფლმხედველობრივი პოზიცია, ქცევის პრინციპი, რომელიც ინდივიდს აბსოლუტური ღირებულების სახით გამოარჩევს. ხასიათდება ინდივიდუალური ინტერესების პრიმატით კოლექტივისტურთან მიმართებაში.

ინდუსტრიალიზაცია – ტერმინი პირველად შემოიტანა სენ-სიმონმა. იგი გამოიყენება იმ სოციალური პროცესის დასახასიათებლად, რომელიც გულისხმობს აგრარულ და კუსტარულ მრეწველობაზე ორიენტირებული ეკონომიკებისა და საზოგადოებების გადაქცევას ისეთ ეკონომიკებად, რომლებშიც წამყვანია მსხვილი, ავტომატიზაციაზე დამყარებული მრეწველობა.

ინდუსტრიული საზოგადოება – ტერმინი გამოიყენება ეკონომიკური ორგანიზაციისა და სოციალური წესრიგის განსაკუთრებული ფორმის აღსაწერად. ი.ს-ის მახასიათებლებია:

წარმოების პროცესის ავტომატიზაცია და კომერციალიზაცია; აგრარულ სექტორში დასაქმებული მოსახლეობის წილის სწრაფი შემცირება; შინამეურნეობის გამოყოფა წარმოებისაგან; ერთიან ბაზაარს და მონეტარულ სისტემაზე დაფუძნებული ეროვნულ – ლიბერალური სახელმწიფოების წარმოშობა; ურბანიზაცია; სტრატიფიკაციის ტრადიციული სქემების რღვევა და სწრაფი სოციალური მობილურობა; კლასობრივი კონფლიქტების ინსტიტუციონალიზაცია; მოხმარებისა და სოციალური კეთილდღეობის ზრდა; მასობრივი განათლების გავრცელება; ოჯახისა და ნათესაური კავშირების, როგორც სოციალური ორგანიზაციის საფუძვლის როლის შემცირება.

ინკვიზიცია – კათოლიკური ეკლესიის ტრიბუნალი, რომელიც XIII ს-ში შეიქმნა ერესთან საბრძოლველად.

ინსტრუმენტი – იარაღი; საშუალებებისა და მექანიზმების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება რაიმე მოქმედების სესასრულებლად.

ინტეგრაცია – სახელმწიფოთა გაერთიანების პროცესი, პოლიტიკური თანამეგობრობის შექმნის მიზნით. ი. ნებაყოფლობითი პროცესია და კონსესუსს ემყარება. მას ახასიათებს ისეთი გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურებისა და პოლიტიკური პროცესების არსებობა, რომლებიც თავიანთი ხასიათით უფრო ზეეროვნულია, ვიდრე სახელმწიფოთაშორისი. ი-ის პროცესის წარმატებისთვის აუცილებელია უსაფრთხოების, თანამეგობრობისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების არსებობა. ტრადიციული (ევროპული) სქემით ი-ის საფეხურებია საბაჟო კავშირის, საერთო ბაზრის, საერთო პოლიტიკური სტრუქტურებისა და იდენტურობის შექმნა. ი., როგორც წესი, რეგიონალიზმის საფუძველზე ვითარდება. დღევანდელ მსოფლიოში რეგიონონული ი-ის ყველაზე წარმატებული მაგალითი ევროპის კავშირია.

ინტეგრაცია – გეოპოლიტიკაში, რამოდენიმე სივრცული სექტორის გაერთიანების მრავალფეროვანი ფორმების აღმნიშვნელი ტერმინი. ინტეგრაცია შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც სამხედრო ექსპანსიით, ასევე მშვიდობიანი გზით. არსებობს გეოპოლიტიკური ინტეგრაციის რამოდენიმე გზა: ეკონომიკური, კულტურული, ენობრივი, სტრატეგიული, პოლიტიკური, რელიგიური და ა.შ. ყველას მივყევართ ერთ საბოლოო შედეგამდე – ბლოკის სტრატეგიული და სივრცობრივი მოცულობის გაზრდამდე.

ინტერესი – 1. სუბიექტის მიმართება მისთვის მნიშვნელოვან ობიექტთან, დაკავშირებული მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან, სარგებლობასთან. 2. სოციალური სუბიექტების მოღვაწეობის რეალური მიზეზი, მიმართული განსაზღვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისკენ, რაც უშუალო მისწრაფებების, მოტივების, იდეების და ა.შ. საფუძველია, განსაზღვრულია ამ სუბიექტების მდგომარეობითა და როლით საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში. ი. შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი, ესტეთიკური, ეთიკური და სხვა.

ინტერვენცია (intervention) - ერთი ან რამოდენიმე სახელმწიფოს ძალადობრივი ჩარევა (ღია ან ფარული) მეორე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში, რაც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ან პოლიტიკური წყობის შეცვლას, ტერიტორიის დაპყრობას, ეკონომიკურ დაკაბალებას, პრივილეგიების მიღებას და სხვა.

ინფორმაციული ტექნოლოგია - ტექნიკური მეთოდებისა და საშუალებების კომპლექსი ინფორნმაციის მიღების, შენახვის, გადამუშავებისა და გამოყენებისათვის

ინფრასტრუქტურა – საზოგადოების ან ორგანიზაციის საბაზისო ფიზიკური სტრუქტურა, დაგროვილი კაპიტალური აღჭურვილობის ფონდი. ეს შეიძლება იყოს ტრანსპორტის საშუალებები, სკოლები, ფაბრიკები და ა.შ.

ისლამი – მსოფლიო რელიგიებიდან სიდიდით მეორე, რომელიც მომდინარეობს წინასწარმეტყველ მუჰამედის მოძღვრებიდან. ჩაისახა VII ს- ის დასაწყისში, არაბეთში, როცა პატრიარქალურ-თემური წყობილება შეიცვალა კლასობრივი სახელმწიფოს შექმნით. IX-X სს-ში ი. უკვე წარმოადგენდა რთულ სისტემას დახვეწილი ფილოსოფიურ-რელიგიური (ქალამი) და სამართლებრივი (შარიათი) საფუძვლებით. ი-ის ძირითადი პრინციპები თავმოყრილია ყურანში და შეიცავს 7 დოგმას: რწმენა ერთიანი ღმერთისა (ალაჰისა) და ანგელოზებისა, ყველა საღვთო წიგნისა, ალაჰის ყველა წარმოგზავნილისა, ქვეყნის აღსასრულისა, განგებისა და მკვდრეთით აღდგომისა. ყველაფერი, რაც მოხდა და მოხდება, ალაჰის ნებაა. მთელი ი. ხუთ მცნებას, „რწმენის სვეტს“ წარმოთქვამს: ფორმულა „არა არს ღმერთი ალაჰის კიდევან, ხოლო მუჰამედი წინასწარმეტყველია მისი“, ყოველდღე ხუთგზის ლოცვა; ურაზა: რამაზანის თვეში მარხვის

დაცვა; აუცილებელია ქველმოქმედება (ზაქიათი); მექაში მოლოცვა (ჰაჯი). ი-ის დღესასწაულებია: ყურბან-ბაირამი, ურაზა-ბაირამი, მაულუდი და სხვ. მორწმუნეთათვის სავალდებულოა აგრეთვე ბრძოლა სარწმუნოებისათვის, საღვთო ომი- ჯიჰათი ან ჰაზავათი. მუსლიმანთა ძირითადი საკულტო ნაგებობებია მეჩეთი (ღმერთის თაყვანისცემის ადგილი), მინარეთი, მედრესე (სკოლა), და მაზარი (მავზოლეუმი). ქრისტიანობის მსგავსად ი. დაიყო პოლიტიკურ და თეოლოგიურ მიმდინარეობებად, ძირითადად სუნიტურ- უფრო ლიბერალურ და შიიტურ- უფრო ავტორიტარულ ფორმებად.

ისლამური ფუნდამენტალიზმი – გაერცელებული მოძრაობა ისლამურ ქვეყნებში, რომელთა უმრაელესობაში სეკულარიზებული ხელისუფლებაა.

ისტებლიშმენტი (ინგ. establishment) - საზოგადოების პრივილეგირებული ჯგუფი, აგრეთვე მთლიანად ხელისუფლებისა და მმართველობის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მმართველობა. ი. გადამწყვეტ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე, იდეოლოგიისა და სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაზე. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ხელისუფლებისა და მმართველობის მთელი სისტემა, საზოგადოების მმართველი, პრივილეგირებული ჯგუფები.

ისტორიის აღსასრული – ფრენსის ფუკუიამას ტერმინი. თალასოკრატიისა და ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელის, მთელ პლანეტაზე ტოტალური გამარჯვების მონდიალური თეზისი. იხილეთ მონდიალიზმი, ერთიანი მსოფლიო.

ისტორიის გეოგრაფიული ღერძი (ან ღერძული არეალი, ან Heartland) – მაკინდერის ტერმინი. ევრაზიის შიდაკონტინენტური ტერიტორიები, რომელთა გარშემო მიმდინარეობს ისტორიული განვითარების სივრცული დინამიკა. ემთხვევა რუსეთის ტერიტორიას.

იუდაიზმი – მსოფლიო მონოთეისტური რელიგიებიდან ერთ-ერთი, ებრაელი ხალხის რელიგია, რომლის მთავარი პრინციპია ერთიანი ღმერთის – იაჰვეს რწმენა, მესიის (ციური მხსნელი) მოლოდინი, ძველი აღთქმისა და თალმუდის აღიარება წმინდა წიგნებად. აღმოცენდა პოლითეისტური კულტურებიდან ძველებრაელთა მომთაბარე ტომებში. ძვ. წ. XIII ს-დან დაპყრობილ პალესტინაში თანდათან ჩამოყალიბდა იაჰვეს კულტი, რამაც საერთო სახელმძღვანელო რელიგიის სახე მიიღო (ძვ. წ. X ს-დან). ამ დროისათვის იქმნება ძველი აღთქმის კანონიერი ტექსტი, რომლის ბირთვს წარმოადგენს თორა – 5 წიგნი (რომლის ავტორობასაც მოსეს მიაწერენ). ი-ის ძირითადი დოგმატებია: მონოთეიზმი – იაჰვეს აღიარება ერთადერთ ღმერთად; იაჰვეს და ებრაელთა შორის დადებული აღთქმის რწმენა; ისრაელის ძეთა მიჩნევა ღმერთის რჩეულ ერად. ებრაელებმა შეიცნეს თავი ისეთი ყოვლისშემძლე ღმერთის „რჩეულ ხალხად", რომელიც თავის ხალხსაც კი სჯის ზნეობრივი მანკიერების გამო. მრავალი წლის შემდეგ ი. გადაიქცა თვითმყოფად რელიგიად მიუხედავად იმ ფაქტორისა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ არსებობდა ებრაელთა სახელმწიფო.

იურისდიქცია (jurisdiction) - ტერიტორიული ან სხვა ფარგლები, რომლის შიგნითაც ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება.

## კ

კაბინეტი – აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მინისტრები და პრემიერ-მინისტრი ან პრეზიდენტი.
კ-ის შემადგენლობაში შემავალი მინისტრები პრემიერ-მინისტრის ან პრეზიდენტის მრჩევლებად ითვლებიან. ამ პოლიტიკური ინსტიტუტის მეორე გავრცელებული სახელწოდება მთავრობაა.

კაბოტი, ჯონ (ინგ., John Cabot) (1450-1499) იტალიური წარმოშობის ინგლისელი ვაჭარი და ზღვაოსანი. კანადის პირველი მკვლევარი.

კავური, გრაფი ემილიო ბენზო დი (1810-1861) იტალიის სამეფოს I პრემიერ-მინისტრი (1861).

კაზუისტიკა – კანონის ამა თუ იმ მუხლის მიყენება კონკრეტული ქმედებისათვის. კ-ის აღნიშნული მნიშვნელობა ემყარება შუა საუკუნეებში ღვთისმეტყველებაში გავრცელებულ პრაქტიკას, როდესაც ცალკეული რელიგიური საკითხი შესაბამისი დოგმის საფუძველზე

აიხსნებოდა. ქართულ სიტყვათხმარებაში ფართოდაა გავრცელებული ტერმინის ვიწრო მნიშვნელობაც, რომელიც გულისხმობს საეჭვო დებულებების სხვადასხვა ხრიკებით გამართლებას.

კაზუს ბელი (casus belli) - სახელმწიფოთა შორის საომარი მოქმედებების დაწყების უშუალო ფორმალური საბაბი.

კანონი – მოვლენებს შორის არსებითი, აუცილებელი, მყარი და განმეორებადი კავშირურთიერთობების ფორმა. პოლიტიკურ ურთიერთობებში კ-ებს ნორმატიული ხასიათი აქვს. სახელმწიფოებისათვის უმაღლესი კ. არის კონსტიტუცია, რომელსაც მოსდევს რანგით უფრო დაბალი, კონსტიტრუციით განსაზღვრული წესით უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ სამუშაო რეჟიმში მიღებული ნორმატიული აქტები. ვიდრე ნორმატიული აქტი კ-ის სტატუსს მიიღებდეს, რასაც, როგორც წესი ეძღვნება საპარლამენტო დებატების დიდი დრო, ის მხოლოდ კანონპროექტია. ყოველი კანონპროექტი ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე კონკრეტულ სფეროს და მისი შემუშავება ხდება შესაბამისი (ვთქვათ განათლების ან სოციალური უზრუნველყოფის) საპარლამენტო კომიტეტში ან ქვეკომიტეტში, რის შემდეგაც ხდება მისი გატანა საპარლამენტო განხილვაზე. ქვეყნებში, სადაც უმაღლესი კ. კონსტიტუციაა, ყველა სხვა კანონი მას უნდა შეესაბამებოდეს, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს.

"კარიბჭე-ქვეყანა" – ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, ფუნქციებისა და სტრუქტურის მიხედვით გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, რომელიც იმყოფება დიდი ქვეყნებისა და მათი ბლოკების პირისპირ და შეუძლია ითამაშოს შუამავლის როლი თავისი მსხვილი პარტნიორების დაახლოებაში.

კასლრი, რობერტ სტიუარტი, ვიკონტი მარკიზი ლონდონდერი (ინგ., Robert Stewart, Viscount Castlereagh, 2nd Marquess of Londonderry) (1769-1822) დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (1812-1822).

კეთილდღეობის საზოგადოება – ტერმინი გამოიყენება ინდუსტრიულად განვითარებული საზოგადოებების აღსანიშნავად, სადაც მოსახლეობის მეტი ნაწილი ეკონომიკურად და სოციალურად უზრუნველყოფილია (დაახ. 1960 წლიდან), რაც ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებაში ინდივიდებს არამარტო ხელი მიუწვდებათ საქონლის მოხმარებაზე, არამედ შეუძლიათ დანაზოგის გადარახვაც, სახლის ყიდვა, მოხუცებულობის დაზღვევა და ა.შ. კ.ს-ს სიუხვის საზოგადოებას, ზოგჯერ სიჭარბის საზოგადოებასაც უწოდებენ. (გოლბრაიტი 1958).

კენჭისყრა – არჩევნების ჩატარების ამ მეთოდს ხანგრძლივი ისტორია აქვს და მკაფიოდ პირველად დაფიქსირებულია ჯერ ძველ საბერძნეთში და შემდეგ ძველ რომში. კ-ის ინსტიტუტის განვითარების შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი შუა საუკუნეების იტალიურ ქალაქ-რესპუბლიკებს უკავშირდება. არსებობდა ვენეციის დოჟის საარჩევნო კ-ის ძალზე დეტალური განაწესი. ბოლოს არჩევნებში კ-ის წესი კონსტიტუციურად განისაზღვრა შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში.

პოლიტიკურ მეცნიერებებში არჩევნები სამი ძირითადი მიმართულებით შეისწავლება: ა) ხმის მიცემის პროცედურეს სპეციფიკა; ბ) ამომრჩეველთა ქცევა ხმის მიცემის პერიოდში, დაბოლოს, გ) კონკრეტული სახის არჩევნების (მაგ., არჩევნები საკანონმდებლო ორგანოში) სპეციფიკის შესწავლა.

კერზონი, ლორდი ჯორჯ ნატანიელ (ინგ., George Nathaniel Curzon) (1859-1925) ინგლისელი პუბლიცისტი, მოგზაური, სახელმწიფო მოღვაწე.

კისინჯერი, ჰენრი ალფრედ (ინგ., Henry Alfred Kissinger) (1923) ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, საერთაშორისო ურთიერთობის სფეროს ექსპერტი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1973).

კლანი – ცენტრალიზებული სოციალური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა ლოიალობას და არა იძულების ინსტიტუტს.

კლაუზევიცი, კარლ ფილიპ გოტლიბ ფონ (გერ., Carl Philipp Gottlieb von Clausewitz) (1780-1831), გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი და მწერალი.

კლაუზევიცის დოქტრინა – დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ომის წარმართვას პოლიტიკისა და საზოგადოების მოთხოვნილებები უნდა განაპირობებდეს.

კლერიკალიზმი – პოლიტიკური მიმართულება, რომელიც ცდილობს რელიგიის და ეკლესიის როლის გაზრდას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

კოალიცია – (პოლიტიკური) ერთობლივი მოქმედების გატარების მიზნით რამდენიმე პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ან მოძრაობის გაერთიანება. ასეთი გაერთიანება შეიძლება მოხდეს, მაგალითად, არჩევნების დროს, უფრო ხშირად კი მათი წარმომადგენლებისგან ყალიბდება კოალიციური მთავრობა.

კოლაბორაციონიზმი – თანამშრომლობა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის. ტერმინმა ნეგატიური მნიშვნელობა შეიძინა მეორე მსოფლიო ომის დროს და მომდევნო წლებში. საფრანგეთში კ-ისტებს უწოდებენ იმ პირებს, რომლებიც ევროპაში ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე 1939-1945 წლებში თანამშრომლობდნენ ნაცისტებთან.

კოლბერი, ჟან-ბატისტ (ფრ., Jean-Baptiste Colbert) (1619-1683 წწ.) ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე.

კოლექტივიზმი – ტერმინი შეესატყვისება ნებისმიერ დოქტრინას, რომელიც ამტკიცებს საზოგადოებრივი ინტერესების პრიორიტეტს კერძო ინტერესებზე. ამ აზრით, კ. უკავშირდება ყველა მოქალაქის თანასწორობის იდეას. კონკრეტულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან მიმართებით ტერმინი გამოიყენება „კოლექტიური პასუხისმგებლობის" კონტექსტში, რომლითაც ახასიათებენ ბრიტანეთის აღმასრულებელი ხელისუფლების სამუშაო პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება არა ცალკეული მინისტრების, მინისტრთა მთელი კაბინეტის მიერ.

კოლინზი, რენდალ (1941) ამერიკელი სოციოლოგი, ფილოსოფოსი, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი.

კოლონია (colony) – 1. ქვეყანა ან ტერიტორია, რომელსაც დაკარგული აქვს დამოუკიდებლობა და იმყოფება უცხო სახელმწიფოს (მეტროპოლიის) დაქვემდებარებაში. 2. წყლის სივრცით გამოყოფილი ძალის დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორია. განიხილება როგორც მეტროპოლიის საერთო გეოპოლიტიკური სივრციდან გამოყოფილი დროებითი და საგარეო ბაზა. საპირისპიროა პროვინციის ცნებისა.

კოლონიალიზმი – იმპერიალიზმის სახეობა, რომელიც გულისხმობს უცხო მიწაზე დასახლებასა და ადგილობრივი მოსახლეობისა და ტერიტორიის დამორჩილებას.

კომუნიკაციური პროცესი ინფორმაციული გაცვლისათვის აუცილებელი, ერთმანეთთან დაკავშირებული ეტაპების თანმიმდევრულობა: იდეის ფორმულირება, ინფორმაციის კოდირება, კავშირის არხის შერჩევა და შეტყობინების გადაცემა, შეტყობინების დეკოდირება, პასუხის ფორმირება და მისი გამომგზავნისათვის გადაცემა.

კომპრომისი – ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით მხარეები შეთანხმებას აღწევენ ურთიერთდათმობის ხარჯზე. საკითხების ფართო სპექტრზე მხარეთა შეთანხმება თითქმის ყოველთვის კ-ის ხარჯზე ხორციელდება.

კონგლომერატი (ლათ., conglomeratus) – შემჭიდროვებული

კონდომინიუმი (condominium) - მოცემულ ტერიტორიაზე ორი ან რამდენიმე ქვეყნის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ერთობლივი განხორციელება. მაგ., 1953 წლამდე სუდანი წარმოადგენდა ეგვიპტისა და დიდი ბრიტანეთის კონდომინიუმს.

კონვერგენცია – (ლათ. convergens) – ინტეგრაცია, გაერთიანება.

კონიუქტურა – პირობების ერთობლიობა, მდგომარეობა, გარკვეულ სფეროში კონკრეტული მომენტისათვის არსებული სიტუაცია.

კონკისტადორები (ესპ., conquistador) - XV-XVI სს. ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ესპანელი და პორტუგალიელი დამპყრობლები. გაღარიბებული იდალგოები და კაბალეროები

(თავადები და აზნაურები). ყველაზე სახელგანთქმული კონკისტადორები იყვნენ: ერნან კორტესი (მექსიკა), ფრანსისკო პისარო (ინკები), დიეგო ველასკეს დე კუელიარი (კუბა).

კონკორდატი – რომის პაპის, როგორც კათოლიკური ეკლესიის მეთაურის ხელშეკრულება რომელიმე სახელმწიფოსთან, რომელიც არეგულირებს კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობას მოცემულ სახელმწიფოში და მის მიმართებას ვატიკანთან. ეს ტერმინი სხვა კონტექსტში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძირითადად „შეთანხმების" აღსანიშნავად. ასეთია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებული კ., რომელშიც განსაზღვრულია მათი ურთიერთდამოკიდებულების უმნიშვნელოვანესი საკითხები. კ. შეიძლება არა ეკლესიასა და პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობის აღმნიშვნელად, არამედ წმინდა პოლიტიკური მნიშვნელობითაც. ასე მაგ., მოიხსენიებენ შვიდი შვეიცარიული კანტონის კ-ს (1832), რომელსაც მიზნად ჰქონდა ლიბერალური და დემოკრატიული რეფორმების გატარება ქვეყნის პოლიტიკურ მმართველობაში, ქვეყნის ცენტრალიზაცია და ა.შ.

კონსესუსი (consensus) – გადაწყვეტილებების ან დოკუმენტების მომზადებისა და მიღების სახე, რომლის დროსაც განსახილველი დებულება მიიღება არა კენჭისყრით, არამედ შეთანხმებით. კ-ის დროს რომელიმე მხარე, რომელიც თანახმა არ არის დოკუმენტის ამა თუ იმ კონკრეტული დებულების მიღებაზე, მაინც მხარს უჭერს მთელი დოკუმენტის, გადაწყვეტილების მიღებას მისი ზოგადი ხასიათიდან ან მიზნებიდან გამომდინარე. კ. მჭიდროდ უკავშირდება საკითხების „პაკეტში" მიღების მეთოდს, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება არა დოკუმენტის ცალკეული პუნქტების მიხედვით, არამედ მთლიანად. დასავლურ პოლიტიკურ პრაქტიკაში კ. განსაკუთრებით ხშირად ფიგურირებს პარტიათა შორის ურთიერთობებში, როდესაც რომელიმე პრობლემის მიმართ მიღწეულია ზოგადი თანხმობა; საერთაშორისო კონფერენციებზე, თათბირებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ფორმალური კენჭისყრის გარეშე მონაწილეთა საერთო თანხმობით მიღებული გადაწყვეტილება ან ხელშეკრულების ტექსტი, თუკი მოცემული ფორუმის არცერთი მონაწილე არ არის ამის წინააღმდეგი.

კონსერვატიზმი – იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლის მიზანია შეინარჩუნოს მდგრადი ტრადიციები და წინ აღუდგეს რადიკალურ ცვლილებებს.

კონსტიტუცია – სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც მოიცავს ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივი მოწყობის საფუძვლებს, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, განათლებისა და სახელმწიფოებრივი ორგანოების ფუნქციონირების სისტემას, პრინციპებსა და მექანიზმს, საარჩევნო სისტემის საფუძვლებსა და სხვ.

კონტინენტი – ევრაზია, ხმელეთი, თელუროკრატიული პრინციპი.

კონტინენტალიზმი – ვიწრო სტრატეგიული ასპექტით ევრაზიულობის სინონიმი. იგი ახლოსაა ხმელეთის, მიწის ცნებასთან. მსოფლიოში გეოპოლიტიკის ერთერთი კონტინენტალისტური სკოლა რუსეთშია. საპირისპიროა ატლანტიზმის ცნებისა.

კონტროლი მმართველობითი ფუნქცია, რომელიც მოიცავს მმართველობითი ობიექტის საქმიანობის ყველა ელემენტსა და ფორმაზე სისტემატიურ დაკვირვებას იმისათვის, რომ გამოვლენილ იქნეს ორგანიზაციის ფუნქციონირებაში წარმოშობილი საეჭვო გადახრები.

კონტროლის სტადიები - მართვის ობიექტის დროებითი მახასიათებლები, განისაზღვრება კალენდარული რიცხვით ან ცხოვრების ციკლის სტადიების მიხედვით.

კონურბაციები – (იგივე რაც საქალაქო აგლომერაცია – ლათ. agglomero – ვუერთებ) – საქალაქო ტიპის დასახლებების კომპაქტური თავმოყრა, გაერთიანებული რთულ მრავალკომპონენტიან დინამიურ სისტემად, საკუთარი ინტენსიური სამრეწველო, სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო კავშირებით.

კონურბაცია – მსხვილი საქალაქო აგლომერაცია, რომელიც, როგორც წესი, ყალიბდება ერთმანეთთან მეტნაკლებად ახლოს განლაგებული მსხვილი ქალაქებისა და მათი გარეუბნების განვითარების საფუძველზე. ევროპაში ყველაზე მნიშვნელოვანი კონურბაციები (პოლიცენტრისტული აგლომერაციები) ჩამოყალიბდნენ გერმანიაში – რურის ოლქი (11,5 მილიონი მცხოვრები) და ნიდერლანდებში – რანდსტად ჰოლანდი (დაახლოებით 7 მილიონი მცხოვრები), იაპონიაში – ტოკაიდო (დაახლოებით 60 მილიონი მცხოვრები) და სხვა.

კონფედერაცია (confederation) - სუვერენულ სახელმწიფოთა ლიგა ან ასოციაცია, რომელსაც, როგორც წესი, ცენტრალური პოლიტიკური და ადმინისტრაციული ორგანო ჰყავს. ამ ორგანოში კონფედერაციის სუბიექტები საკუთარი ნებით ახდენენ ხელისუფლების დელეგირებას და, ამით, ერთობლივად წყვეტენ საერთო საკითხებს.

კონფლიქტი – ზოგადად, შეხედულებების დაპირისპირება – შეჯახება, ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების, მისწრაფებების შეჯახება

კონფორმიზმი – კ. პოლიტიკაში გულისხმობს შემგუებლობის არსებულ რეჟიმთან, გაბატონებულ შეხედულებებთან პასიურ შეგუებას; ხასიათდება საკუთარ საკუთარი თვალსაზრისის, პოზიციის არარსებობით, იმით, რომ ის არაპრინციპულად მიჰყვება ნებისმიერ, სულ უფრო მზარდი ძალით თავსმოხვეულ შეხედულებებს.

კონფუცი (ჩვ. წ. 551-479) ჩინელი მოაზროვნე და ფილოსოფოსი. მისმა მოძღვრება დიდი გავლენა მოახდინა ჩინურ ცივილიზაციაზე.

კორუფცია – ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ქცევის სტანდარტების უარყოფა არაკანონიერი პირადი სარგებლის მიღების მიზნით.

კოსმოპოლიტიზმი – მსოფლიო მოქალაქეობის იდეოლოგია.

კრატოპოლიტიკა – ჩელენის ტერმინი. სახელმწიფოს განხილვა მისი ძალისმიერი პოტენციალის თვალსაზრისით. ფართო გავრცელება ვერ პოვა.

ოლივერ კრომველი (ინგ., Oliver Cromwell) (1599-1658) ინგლისის რევოლუციის ბელადი, მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე.

კრიზისი – უეცრად წარმოშობილი მასობრივი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა შეუძლებელია დიდი ძალისხმევის (სიძნელეების გადალახვის) გარეშე.

კულტი (პიროვნების) – პოლიტიკური მოღვაწის როლის გადაჭარბებული გაზვიადება, მისთვის ისტორიის მსვლელობაზე გადამწყვეტი ზეგავლენის მიწერა.

კულტურა – წარმოდგება ლათინური ზმნიდან "colo", რაც (ნიადაგის) მოვლას, დამუშავებას, ზრუნვას ნიშნავს. კ-ის ცნების განსაზღვრებაში არ არსებობს ერთსულოვნება. საკმარისია ითქვას, რომ დღეისათვის ოთხასამდე დეფინიციას ითვლიან. თუმცა შეიძლება გამოიყოს კ-ის ცნების განსაზღვრების სამი ძირითადი ელემენტი: 1. კ. ისაა, რაც გადაეცემა. ის სოციალური მემკვიდრეობა, ანუ სოციალური ტრადიციაა. ამ ნიშნით კ. განსხვავდება სოციალური სისტემისაგან, რამდენადაც კ. შეიძლება ვრცელდებოდეს ერთი სოციალური სისტემიდან მეორეზე; 2. კ. ისაა, რასაც სწავლობენ. კ. არაა ადამიანის გენეტიკური ბუნების გამოვლენა, ის სოციალიზაციის პროცესში შეძენილი ნორმების ერთობლიობაა; 3. კ. საყოველთაოდ მიღებულია, ანუ ის საზოგადოებისათვის საერთო ნორმებისა და ღირებულებების სისტემაა. ამრიგად, კ. ერთი მხრივ, სოციალური ურთიერთქმედების პროდუქტია, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ურთიერთქმედებათა სახეების დეტერმინანტი. გუდენაფ გამოყოფს კ.-ის შემადგენელ ოთხ ელემენტს: 1. ენობრივი ფენომენები (ცნებები, კონცეპტები), რომლებიც ადამიანის (ჯგუფის) გამოცდების რელევანტურია, რამდენადაც ამ გამოცდილების მოწესრიგებასა და ორგანიზებას ახდენს; 2. ცნებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი და ფუნქციონალური კავშირების გამომხატველი ურთიერთობები; 3. ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მიზნებთან, რისი მიღწევისკენაც საზოგადოება მიისწრაფის; 4. წესები და ნორმები, რომლებიც არეგულირებს ადამიანთა ქცევას ღირებულებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. წესებთან დაკავშირებულია სანქციები, რომლებიც ითვალისწინებს დასჯას ან წახალისებას ნორმების დარღვევის ან შესრულების შემთხვევაში.

## ლ

ლავირება – რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ოსტატური მანევრირება, წინააღმდეგობების გადალახვის უნარი. ტერმინი აგრეთვე გულისხმობს პოლიტიკოსის თვისებას, თავი აარიდოს საპირისპირო პოლიტიკურ ძალასთან შეჯახებას, კონფრონტაციულ მოქმედებებს.

ლეგალობა – ამ ცნებით ვებერთან აღინიშნება ლეგიტიმური (კანონიერი) წესრიგის ერთ- ერთი ფორმა, დანარჩენ ორთან- ტრადიციულსა და ქარიზმატულთან ერთად.

ლეგიტიმაცია – მმართველობის ამა თუ ინ სისტემის მიერ შემოღებული კანონიერების დამკვიდრებისა და აღსრულების ისეთი ფორმა, რომელიც მისაღებია მოცემული ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

ლეგიტიმურობა – ფართო აზრით, ნიშნავს სოციალური წესრიგის, მოქმედების, მოქმედი პირის ან ხდომილების აღიარებასა და გამართლებას, უფრო ზუსტად, მათი კანონიერების რწმენას.

ლევიათანი – ძვ. ებრ. „ზღვის ურჩხული" (ბიბლიაში). შმიტის ტერმინი. იგივეა რაც ატლანტიზმი, ზღვა და ასე შემდეგ.

ლიბერალიზმი – მსოფლმხედველობა, რომელიც აერთიანებს მემარცხენე კომპონენტებს პოლიტიკის დარგში (მინიმალისტური ჰუმანიზმი, ინდივიდუალიზმი, ეთნიკური და კულტურული ეგალიტარიზმი) და მემარჯვენე პრინციპებს ეკონომიკის დარგში (ბაზარი, პრივატიზაცია, კერძო საკუთრება, კაპიტალიზმი). ატლანტური ბანაკის მმართველი იდეოლოგია. ლიბერალიზმის პოლიტიკურ გამოვლინებას ლიბერალ-დემოკრატია წარმოადგენს.

ლიბერალური დემოკრატია – პოლიტიკური კულტურის ლიბერალურ- დემოკრატიული მოდელის ფაქტორები, ფორმირების ეტაპები და ევოლუცია, ძირითადად სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და ევოლუციის ეტაპებს ემთხვევა.

ლიდერი – პიროვნება, რომელსაც მოცემული ჯგუფის ინტერესების დასაკმაყოფილებლად ერთობლივი მოქმედებებისათვის, ინტეგრაციის მიზნით, ძალუძს სხვაზე ზემოქმედების მოხდენა. პოლიტიკაში მოქმედების მასშტაბისა და ხასიათის მიხედვით ასხვავებენ სამი ტიპის ლ-ს: 1. მცირე ჯგუფის ლ., 2. საზოგადოებრივი მოძრაობის (ორგანიზაციის, პარტიის) ლ., 3. პოლიტიკოსი, რომელიც მოქმედებს ძალაუფლების ურთიერთობის სისტემაში, სადაც პოლიტიკური ლიდერობა სოციალური ინსტიტუტის სახით არის წარმოდგენილი.

ლიდერობა – ჯგუფურ პიროვნებათაშორის ურთიერთობათა სისტემაში დომინირება-დაქვემდებარების, გავლენა- მიმდევრობის მიმართებები. ორგანიზაციის მიზნების განსაზღვრის თვისება და მისი რეალიზაციისათვის ძალაუფლების ყველა წყაროს ეფექტური გამოყენება; ჯგუფური მოღვაწეობის ინტეგრაციის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი

ლობი (lobby) – აშშ-ს კონგრესის შენობის მთავარი კორიდორი, სადაც კანონმდებლობით დაინტერესებული პირები იკრიბებიან.

ლობიზმი – გულისხმობს საკანონდებლო ორგანოსა და სახელმწიფოს მაღალი რანგის ჩინოვნიკებზე ზემოქმედების პრაქტიკას, რომლის მიზანია შესაბამისი ჯგუფების ინტერესების კვალად სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა (გარკვეული კანონპროექტების, სახელმწიფო შეკვეთების, სუბსიდიების მიღება, რელიგიური ან ქალთა ინტერესების დაცვა და ა.შ.)

ლოზუნგი – მოწოდება, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ პოლიტიკური მოძრაობის სახელმძღვანელო იდეის შინაარსს, ამოცანას, მოთხოვნას. ტერმინი შეიძლება გამოიყენებოდეს სხვა მნიშვნელობითაც. XXს-მდე აღნიშნავდა პირობით საიდუმლო სიტყვას, რომელსაც ახმიანებდნენ საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე.

ლუსტრაცია (ლათ., lustratio – განწმენდა მსხვერპლთშეწირვის მეოხებით) – პოლიტიკური პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს გარკვეული კატეგორიის პირების (მათი შერჩევა შეიძლება მოხდეს პროფესიონალური საქმიანობის, რელიგიური მრწამსის, პარტიული კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით) უფლებების საკანონმდებლო შეზღუდვას: სახელმწიფო თანამდებობების დაკავება; პროფესიონალური პრაქტიკა; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

## მ

მაკიაველი, ნიკოლო (იტალ., Niccolò Machiavelli) (1469-1527) იტალიელი მოაზროვნე, მწერალი, სახელმწიფო მოღვაწე.

მაკიაველიზმი – პოლიტიკური ქცევის ნაირსახეობა, რომელიც დასახული მიზნების მისაღწევად მიზანშეწონილად და გამართლებულად მიიჩნევს პოლიტიკოსის ხელთ არსებულ ყველა, მათ შორის უკიდურესად მკაცრი და ვერაგული საშუალების გამოყენებას. მ-ის ამგვარი ინტერპრეტაცია უკავშირდება ფლორენციელი პოილიტიკური მოღვაწისა და თეორეტიკოსის ნიკოლო მაკიაველის (1469-1527) სახელს, რომლის პოლიტიკური შრომები დასავლეთის პოლიტიკურ მეცნიერებაში არაერთგვაროვნად, ხოლო საბჭოთა ლიტერატურაში უაღრესად ნეგატიურად იყო შეფასებული. დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებაში უფრო გავრცელებულია აზრი, რომელიც მაკიაველის პოლიტიკური მეცნიერების პიონერად მოიხსენიებს. საამისოდ რამდენიმე მიზეზი არსებობს. აკიაველის დამსახურებაა, უპირველეს ყოვლისა ის, რომ მან პოლიტიკური მეცნიერება ჯერარსობის ფორმიდან არსებულისაკენ შემოაბრუნა. სხვაგვარად რომ ითქვას, პლატონიდან წამოსული ტრადიციის საპირისპიროდ, მაკიაველი იკვლევდა არა იმას, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფო და პოლიტიკური ცხოვრება, არამედ იმას, თუ როგორია ის რეალურად. გარდა ამისა, მაკიაველის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამსახურებაა პოლიტიკური ეთიკის (და არა მორალურობის პრინციპისა პოლიტიკაში), როგორც პოლიტიკურ მეცნიერებათა სრულუფლებიანი წევრის დაფუძნება. განსხვავებით სტანდარტული ეთიკური თეორიებისაგან, რომლებიც ადამიანის ქცევის შეფასებისას ხელმძღვანელობს ქცევის მოტივებით, მაკიაველის პოლიტიკური ეთიკა ქცევას აფასებს პოლიტიკური შედეგებიდან გამომდინარე. მაკიაველიმ აღადგინა ძველი რომაელების კლასიკური წარმოდგენები პოილიტიკური ღირსების (ვირტუ), როგორც ადამიანთა სოციალური და პოლიტიკური აქტივობის განმსაზღვრელი ერთ- ერთი ძირითადი ფენომენის შესახებ. მისი პოლიტიკური შეხედულებები გადმოცემულია უმთავრესად ორ ნაშრომში - „მთავარში", რომელიც მონარქიულ სახელმწიფოს ეხება და „ტრაქტატებში", სადაც განხილვის საგანია რესპუბლიკა.

მაზარინი, კარდინალი ჯულიო რაიმონდო (იტალ., Giulio Raimondo Maz(z)arino) (1602-1661) საფრანგეთის სამეფოს პირველი მინისტრი, კარდინალი.

მანდატი (იმპერატიული) – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი წარმომადგენლის გარკვეულ უფლებებს, უფლებამოსილებას.

მანიფესტი – დოკუმენტი, რომელიც ასახავს პოლიტიკური პარტიის პროგრამას, რომლის განხორციელებასაც პარტია აპირებს ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში. როგორც წესი, მ. უფრო შიდაპარტიული ფრაქციების კომპრომისს ასახავს, ვიდრე მათი მოქმედების შეთანხმებულ პროგრამას.

მაჟორიტარული სისტემა – საარჩევნო სამართალში კენჭისყრის შედეგების განსაზღვრის წესი, რომლის მიხედვითაც არჩეულად ითვლება ის კანდიდატი (ან კანდიდატები), რომელმაც საარჩევნო ოლქში ხმათა უმრავლესობა მიიღო. იხ. საარჩევნო სისტემა

მარგინალები – ადამიანთა ერთობა, ამა თუ იმ სოცოალური ჯგუფის ან ქვეჯგუფის წარმომადგენლები რომელთა ცნობიერება, მოქმედება და სტატუსი ზღვარზე, შუალედურ მდგომარეობაში იმყოფება. აღნიშნული შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ მ-მა არ იციან, როგორ (ან სურვილი არ აქვთ) მოხდეს მათი ადაპტირება რომელიმე სოციალურ ჯგუფთან ან კულტურასთან. ჩვეულებრივ, მ-ები ის ადამიანები არიან, რომლებიც მოწყვეტილი აღმოჩნდნენ წარსული სოციალურ- კულტურული სისტემიდან და ვერ შეძლეს ახალში- არსებულში ჩართვა, ამიტომაც მათი სტატუსი შუალედურ, გარდამავალ ხასიათს ატარებს და ერთგვაროვან თვითიდენტიფიკაციას არ ექვემდებარება. ასეთი სიტუაცია ხშირად კონფლიქტამდე მიდის საზოგადოებაში დომინირებულ ჯგუფსა (კულტურასა) და დაქვემდებარებულ სუბჯგუფს (სუბკულტურას, მაგ.: ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებსა და მათ კულტურათა) შორის, რასაც კონტრკულტურის გაჩენამდე მიეყავართ. თუმცა აღსანიშნავია, რომ მ-ის, როგორც სუბკულტურის წარმომადგენლების ურთიერთქმედება სხვა კულტურათა წარმომადგენლებთან ხშირად ხელს უწყობს ამ კულტურათა გადააზრებასა და მათში ახლებურ ხედვათა ჩამოყალიბებას. (იხ. მარგინალობა).

მარგინალობა – ტერმინი პირველად გამოიყენა რ. პარკმა 1982 წელს „კულტურული ჰიბრიდის" აღსანიშნავად, რომელიც ორი განსხვავებული ჯგუფის ცხოვრების წესსა და ტრადიციებს მისდევს. მ. ჩვეულ გარემოს და ცხოვრების წესს მოწყვეტილი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის

მდგომარეობაა, რომელთაც დაკარგეს წინანდელი სოციალური კავშირები, ვერ (ან არ) შეეგუენ ცხოვრების ახალ პირობებს და რამდენიმე სოციალური ჯგუფის გამყოფი (შემაერთებელი), სასაზღვრო მდგომარეობა უჭირავთ. მარგინალთა (ჯგუფებისა თუ ცალკეული პიროვნებების) განწყობები, ღირებულებითი ორიენტაციები, ქცევის მოდელები ერთდროულად შეესატყვისება რამდენიმე განსხვავებულ კულტურულ სისტემას, მაგრამ სრულიად ინტეგრირებული არცერთში არ არის. მ. ჩნდება მაშინ, როცა ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები ცხოვრობენ წინააღმდეგობრივი სოციალურ- კულტურული მოთხოვნების კონტექსტის პირობებში.

მართვის პრინციპები - მართვის კანონზომიერებები, ნორმები და წესები გამომდინარე საზოგადოებისა და მისი საწარმო ძალების არსისა და განვითარებისაგან.

მართვის ტექნოლოგია - პროცესი, რომლის დროსაც მმართველობითი შრომის (ხელმძღვანელის ცოდნა და გამოცდილება) გამოყენების საშუალებით, მიმდინარეობს მართველობითი შრომის საგნის (გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის) გარდაქმნა მმართველობითი შრომის პროდუქტად (მართველობითი გადაწყვეტილება).

მართვის ეფექტიანობა - ადამიანების საქმიანობის ეფექტურობა ორგანიზაციის საქმიანობის პროცესში. განისაზღვრება, როგორც თანაფარდობა მმართველობითი საქმიანობის განხორციელების შედეგსა და მისი მიღწევისათვის დახარჯულ რესურსებს შორის. მართვის ეფექტიანობა განუყოფელია მთელი ორგანიზაციის ეფექტიანობისაგან და წარმოადგენს მის ორგანულ ნაწილს.

მარშალი, ჯორჯ კეტლეტ (1880-1959) აშშ-ს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი (1953) ხიროსიმასა და ნაგასაკიზე ატომური იერიშის ინიციატორი

მმართველობითი პოტენციალი - ყველა რესურსების ერთობლიობა, რომელსაც მმართველობითი სისტემა ფლობს.

მარშალის გეგმა (Marshal plan) - დასავლეთ ევროპისათვის გამიზნული მეორე მსოფლიო ომის შედეგების ლიკვიდაციის დახმარების გეგმა, რომლის ინიციატორი იყო აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯორჯ მარშალი. გეგმის მიხედვით დასავლეთ ევროპის ქვეყნებს თავად უნდა შეეფასებინათ (ერთმანეთთან თანამშრომლობითა და საჯაროდ) გასაწევი დახმარების მოცულობა და შემდეგ წარედგინათ აშშ-სთვის. მარშალის გეგმით, რომელმაც 1948-52 წლების პერიოდი მოიცვა და 21 მლრდ დოლარი შეადგინა, ევროპის 17 ქვეყანამ ისარგებლა.

მასმედია – 1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (ბეჭდვითი, რადიო, ტელევიზია, კინო, რეკლამა და ა.შ.) 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ინფორმაციის სისტემატური გავრცელების პროცესი (ანუ მასობრივი კომუნიკაცია) მრავალრიცხოვან და გაშორიშებულ აუდიტორიაში. მ. გაჩნდა ბეჭდვითი პრესის დაბადებასთან ერთად XIXს-ში. მისი შემდგომი განვითარება დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან. მ-ს სპეციფიკური თავისებურებები აქვს: ურთიერთობაში მყოფ მხარეთა კონტაქტების არაპირდაპირი ხასიათი, უკუკავშირის თავისებურება, სხვადასხვაგვარ აუდიტორიაზე ერთდროული ზემოქმედება, ინფორმაციის გადაცემის სიხშირე და რეგულარულობა, შეტყობინების შინაარსის უნივერსალურობა სტერეოტიპიზაციის ელემენტებით, მრავალგვარი ტექნიკური შესაძლებლობების, აგრეთვე ინფორმაციის მომპოვებელ, გადამამუშავებელ და გამავრცელებელ სპეციალურ ორგანიზაციათა გამოყენება; თანამედროვე ეტაპზე მ-ის საშუალებები ტელეგრაფ-ტელეფონთან ერთად, მოიცავს უახლესი ტექნოლოგიის ფართო სპექტრს კომპიუტერების, ვიდეო-საშუალებების, თანამგზავრული ტელევიზიისა და ინტერნეტის ჩათვლით. მათი გავლენა ადამიანებსა და საზოგადოებაზე მ-ის სოციოლოგიის შესწავლის საგანია. (იხ. მასმედიის (მასობრივი კომუნიკაციის) სოციოლოგია).

მასონობა – რელიგიურ-ეთიკური მიმდინარეობა და მოძრაობა (საზოგადოება), რომელიც XIII ს-ის დასაწყისში წარმოიშვა, მოგვიანებით კი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. იგი მიზნად ისახავდა მსოფლიო ფარული ორგანიზაციის შექმნას და კაცობრიობის ერთიან რელიგიურ-ეთიკურ საძმოში მშვიდობიან გაერთიანებას. ისი დასახელება, ორგანიზაცია, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები გადმოღებულ იქნა შუა საუკუნეების საამქროებიდან (მათ შორის ქვის მჭრელების), საძმოებიდან და ორდენებიდან.

მდიდარი ჩრდილოეთი – იგივეა რაც ატლანტიზმი, დასავლეთი და ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლიო.

მეგაპოლისი – (ბერძ., μεγάλου – დიდი + πόλις – ქალაქი) მისი წარმოშობა უკავშირდება ძველბერძნულ ქალაქ მეგალოპოლის, რომელიც აღმოცენდა აკადიის 35-ზე მეტი დასახლების გაერთიანების შედეგად. სუპერაგლომერაცია ანუ განსახლების ყველაზე მსხვილი ფორმა. ზოგჯერ მეგაპოლისებს უწოდებენ 1 მილიონზე მეტი მოსახლეობის მქონე ქალაქებს. ეს არის უკიდურესად ურბანიზებული, სტიქიურად ჩამოყალიბებადი ქალაქური განსახლების ფორმა მთელ რიგ მაღალ განვითარებულ ქვეყნებში. მის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ხაზური განსახლება, ძირითადად სატრანსპორტო მაგისტრალების გასწვრივ. ეს ტერმინი პირველად გამოყენებული იქნა აშშ-ში მისი ატლანტიკის სანაპიროს გასწვრივ არსებული ერთიანი საქალაქო გაშენების აღსანიშნავად, რომელიც აერთიანებდა ბოსტონის, ნიუ-იორკის, ფილადელფიის, ბალტიმორის და ვაშინგტონის აგლომერაციებს (1000 კმ-ზე მეტი სიგრძის და 200 კმ-დე სიგანის – 40 მილიონი მცხოვრები). ყველაზე დიდი მეგაპოლისებია: იაპონია – ტოკაიდო (ტოკიო, ოსაკა); გერმანია – რეინი-რური (მდინარეების რეინისა და რურის შეერთების ადგილი); აშშ და კანადა – დიდი ტბების რაიონი; აშშ – სანსანი ანუ სამხრეთ კალიფორნიის (სან-ფრანცისკოდან სან-დიეგომდე); აშშ – ბოსვაში(ბოსტონიდან ვაშინგტონამდე).

მეგობარი (amicus – ლათ.) – შმიტის ტერმინი. წმინდა პოლიტიკური ცნება. აღნიშნავს სახელმწიფოებრივ, სოციალურ, ეთნიკურ ან რელიგიურ წარმონაქმნებს, რომელთა პოზიციები ემთხვევა სტრატეგიული დედაქალაქის პოზიციებს. არ გააჩნია მორალური დატვირთვა და დინამიურად შეიძლება გავრცელდეს სხვადასხვა წარმონაქმნებზე. მოძრავი კატეგორია. იხილეთ მტერი.

მედიატიზირება (გერ., Mediatisierung) – ფართო გადებით ერთი მონარქიის მიერ მეორე მონარქიის ანექსია, რომლის დროსაც ანექსირებული სახელმწიფოს მმართველი საგვარეულო ინარჩუნებს თავის ტიტულებს. ეს ტერმინი პირველად გამოყენებული იყო XIX საუკუნის დასაწყისში გერმანული სახელმწიფოების რეორგანიზაციის დროს.

მეთოდი – მოდის ბერძნული სიტყვიდან „methodos“ გამოკვლევა; რაციონალური საშუალება თუ მოქმედებათა თანმიმდევრული პროცედურა, რომელიც იძლევა გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალებას.

მეთოდოლოგია – მოდის ბერძნულიდან „methodos“(გამოკვლევა) და „logos“ (მოძღვრება) კვლევის მეთოდოლოგია კვლევის სტრატეგიაა, რომელიც იყენებს სხვადასხვა ტექნიკასა და თვისებრივ ანალიზს ადამიანური თუ სოციალური ფენომენის განმარტებისა და გაგების მიზნით. მეთოდოლოგიური განსჯისა და თვისებრივი გამოკვლევის საფუძველზედ ხდება ინსტრუმენტების, ტექნიკისა და რაოდენობრივი ანალიზის გამოყენების პროგრამის შედგენა. მეთოდოლოგია არის მოქმედების, კეთების წესი, მიდგომა, ფორმა, რომელიც გააჩნია გარკვეულ ძირითად ფორმალურ სტრუქტურას, რომელიც თავის საქმიანობას საკუტარი სპეციფიური ნორმებით წარმართავს.

მემკვიდრეობითობა – ცოცხალი სისტემებისათვის დამახასიათებალი თვითსება თავისივე მსგავსის კვლავწარმოქმნისა, რაც გულისხმობს თაობიდან თაობაში ფიზიოლოგიურ მახასიათებელთა გადაცემას.

მემორანდუმი – დიპლომატიური დოკუმენტი ან მიმოწერის ფორმა, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე სახელმწიფოს, პოლიტიკური მხარის პოზიციას.

მეორე მსოფლიო – სოციალისტური ბანაკის სახელწოდება „ცივი ომის“ პერიოდში. მისი დასასრულის შემდეგ არნიშნავს ევრაზიას.

მერიდიანული ექსპანსია (ექსპანსია ჩრდილოეთი-სამხრეთის ღერძის გასწვრივ) – გავლენის სფეროების გაფართოება (სამხედრო, სტრატეგიული, კულტურული ან ეკონომიკური) მერიდიანის გასწვრივ (აგრეთვე გრძედული ექსპანსია). სახელმწიფოს ტერიტორიული და სტრატეგიული სტაბილურობის მთავარი პირობა.

მერიდიანული ორიენტაცია (ორიენტაცია ჩრდილოეთი-სამხრეთი ღერძის გასწვრივ) – დაშორებული სივრცული სექტორების დაკავშირება ერთ მთლიანობაში მერიდიანის გასწვრივ (აგრეთვე გრძედული ინტეგრაცია). პოზიტიურია, ჩრდილო და ცენტრალური მხარეების მტკიცე კონტროლის შემთხვევაში. ნეგატიურია, იმ შემთხვევაში თუკი ჩრდილოეთში ან ცენტრში იმყოფება ისეთი გეოპოლიტიკური წარმონაქმნი, რომლის ლოიალობა სტრატეგიული დედაქალაქის მიმართ საეჭვოა ან სუსტი.

მერკანტილიზმი – XV ს-დან ევროპაში გავრცელებული ეკონომიკური თეორია, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობის საფუძვლად თვლიდა არა მრეწველობის განვითარებას, არამედ სასაქონლო და ფულადი საშუალებების ბრუნვას. ერკანტილისტური დოქტრინა მიიჩნევდა, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო ვაჭრობის იმგვარ რეგულირებას, როდესაც საქონლის გატანა სჭარბობს მის შემოტანას, ხოლო ქვეყანაში შემოტანილი დოვლათი გროვდება ფულადი კაპიტალის სახით. ტერმინის აღნიშნული გაგება საფუძვლად დაედო უფრო ფართო მნიშვნელობას ყოველდღიურ სიტყვათგამოყენებაში, როდესაც მერკანტილურად ითვლება ანგარიშიანობასა და სარგებლიანობაზე დამყარებული ქცევა.

მესამე მსოფლიო – ძირითადად, გეოპოლიტიკური სამხრეთის სუსტად განვითარებული სახელმწიფოები, რომლებიც უპირატესად გეოპოლიტიკური სამხრეთის რეგიონებს მიეკუთვნებიან.

მეტაველი – სივრცე, რომელსაც ერთდროულად რამოდენიმე სახელმწიფო ითვისებს. ხშირ შემთხვევაში მსგავსი ათვისება მიმდინარეობს გარედან გეოპოლიტიკური ზეწოლის პირობებში.

მეტროპოლია (metropoly) - სახელმწიფო, რომელიც ფლობს დაპყრობილ ქვეყნებს.

მეტერნიხი, კლემენტ ვენცელ ლოთარ ფონ (გერ., Klemens Wenzel Lothar von Metternich) 1773-1859) ავსტრიელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი

მეხუთე კოლონა (fifth column) - ნეგატიური მნიშვნელობის ტერმინი. აღნიშნავს მტრის ფართო ფარულ აგენტურულ და დივერსიულ ქსელს, რომელიც დაკავებულია ზურგისა და კომუნიკაციების მოშლით ქვეყანაში. ფრაზა ეკუთვნის ესპანეთის სამოქალაქო ომში (1936–1939) მებრძოლ გენერალ ე.მოლას, რომელმაც 1936 წლის ოქტომბერში თავის რადიო გამოსვლაში აღნიშნა, რომ მეამბოხეები მადრიდის უტევდნენ ხუთი კოლონით, აქედან ოთხი სამხედრო კოლონა გარედან, ხოლო მეხუთე იყო ქალაქში მოქმედი მათი მხარდამჭერები. "მეხუთე კოლონას" მოღალატეებსა და მტრის მხარდამჭერებს უწოდებენ.

მეჰენი, ალფრედ თაიერ (1840-1914) ამერიკელი ადმირალი, სამხედრო თეორეტიკოსი,ზღვის კლაუზევიცად წოდებული. ნიუ-პორტის სამხედრო-საზღვაო კოლეჯის პროფესორი და 1886 წლიდან მისი პრეზიდენტი. აშშ-ს პრეზიდენტების მაკ-კინლის და თეოდორ რუზველტის მრჩეველი. აღსანიშნავია ერთი გარემოება: თეოდორ რუზველტი თავის თავს თვლიდა მეჰენის მოწაფედ და ამით ხაზს უსვამდა მასთან სოლიდარობას. მეჰენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიერცულ ფაქტორს.

მთები - გეოგრაფიული ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს გეოპოლიტიკაზე. წარმოადგენენ ბუნებრივ საზღვარს, რომლებიც იცავენ სახელმწიფოს მეზობელი სახელმწიფოების ექსპანსიისაგან. სიმაღლეებზე კონტროლი უზრუნველყოფს ნებისმიერი სახელმწიფოს გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას.

მიგრაცია – ადამიანების გადასვლა ერთი რეგიონიდან მეორეში (შიდა მ.), ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში (გარემ.) ან კიდევ მოსახლეობის პერიოდული გადინება-შემოდინება ერთი რეგიონიდან მეორეში (ქანქარისებური მ.). სიკვდილიანობის და შობადობის კოეფიციენტთან ერთად მ-ის კოეფიციენტის საშუალებით განისაზღვრება მოსახლეობის ზრდა-შემცირების დინამიკა. (იხ. აგრ. მიგრაცია, საერთაშორისო მიგრაცია).

მიზნობრივი მართვა - კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებული მართვა.
მილიტარიზმი (militarism) - შეიარაღებისა და ომისათვის მზადების პოლიტიკა.

მინიმალური გეოპოლიტიკა – გამოყენებითი დისციპლინა, რომელმაც ნამდვილი გეოპოლიტიკისაგან გადმოიღო ზოგიერთი ტერმინი და მეთოდიკა, ხოლო ძირეული გეოპოლიტიკური დუალიზმი გვერდზე მოიტოვა.
მისია – ძალზე ფართო მნიშვნელობით ტერმინი აღნიშნავს ვინმეს (პიროვნების, ხალხის) მოწოდებას, გარკვეულ ვალდებულებას, რომლის აღსასრულებლადაც ეს სუბიექტია მოვლენილი ქვეყნად. უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი აღნიშნავს რომელიმე ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, რომალსაც სათავეში უდგას სპეციალური რწმუნებული ან დესპანი. ტერმინი ასევე შეიაძლება შევხვდეს რამდენიმე სხვა მნიშვნელობით. ერთი, როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ მეორე ქვეყანაში სპეციალური (სამხედრო, ეკონომიკური) დავალებით წარგზავნილ ადამიანთა ჯგუფის აღმნიშვნელი. მეორე, როგორც საერთაშორისო ფორუმებსა და

კონფერენციებზე სახელმწიფოს მიერ წარგზავნილი დელეგაცია. დაბოლოს, ტერმინი გამოიყენება იმ იმ რელიგიური ორგანიზაციის აღსანიშნავად, რომელიც მიელენილია რომელიმე ქვეყანაში საკუთარი კონფესიის ინტერესების შესაბამისად.

მიუმხრობლობა (ნეიტრალიზმი) – ამ ტერმინში იგულისხმება იმ სახელმწიფოთა პოლიტიკა, რომლებმაც სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ძირითად პრინციპად ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს.

მიწა (ან ხმელეთი) – სპეციალური ტერმინი გეოპოლიტიკაში, „თელულოკრატიის“ აღმნიშვნელი. განსაკუთრებით დაწერილებით „მიწის“ თეორია განავითარა შმიტმა.

მოდელი – მოდის იტალიურიდა „modello“ ნიმუში. კონკრეტული რეალობის სქემატური, სისტემატიზირებული და გამარტივებული აღწერა ნიშნების, გეომეტრიული და გრაფიკული სიმბოლოებისა და სიტყვების საშუალებით. მოდელი მარტივად, მაგრამ არა ბანალურად წარმოგვიდგენს ცალკეული ფენომენის ტიპს მისი აღქმის გასაიოლებლად. ანუ მოდელის საშუალებით ხდება შესასწავლი საგნის დაყვანა მის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლებამდე.

მოდელირება – 1. საქმიანობა მოდელის ან რაიმე ასლის შესაქმნელად, ჩვეულებრივ მიმართავენ ანალოგიას. შეიძლება მიმართული იყოს ნექანიკურ მოვლენაზე, მათემატიკური საშუალებებით რაიმე მოვლენის ან ისეთი ინტელექტუალური პროცესების ანალოგიის შექმნაზე, რომელმაც შეიძლება პროცესების ამსახველი მინითეორიის ფუნქცია შეასრულოს, კომპიუტერული გზით მოვლენათა რთული ურთიერთკავშირის დამუშავებასა და სოციალური ურთიერთქმედების სქემების გამოყვანაზე და სხვ. ხშირად ახდენენ სოციალური სოციალური ფენომენებისა და პროცესების მ-ს. ასეთ შემთხვევაში მ-ის შედეგის ღირებულება და სარგებლიანობა განისაზღვრება წინასწარმეტყველების (პროგნოზირების) უნარით. 2. იმ იდეალის, სტანდარტის, ნიმუშის მ., რომელიც საზოგადოებაში მიბაძვის ღირსად მიიჩნევა. მ. მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური დასწავლის თეორიაში, რამდენადაც მიჩნეულია, რომ სოციალიზაცია, ძირითადად, სწორედ ქცევის რეალური მოდელის იმიტაციით ხდება. მ-ის ტექნიკას მიმართავენ ქცევით თერაპიაშიც.

მოდელირების მეთოდები - ოპტიმალური გადაწყვეტილებების შემუშავების საშუალებები დაყრდნობილი მათემატიკური მოდელების გამოყენებაზე

მოდერნიზაცია (პოლიტიკური) – არსებული პოლიტიკური სტრუქტურებისა და პრაქტიკის მიზანდასახული განახლება და შეცვლა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

მოდუს ვივენდი (modus vivendi) - ამა თუ იმ საერთაშორისო საკითხებზე მიღწეული დროებითი შეთანხმება, რომელსაც მხარეები დებენ მომავალში საბოლოო მოწესრიგების იმედით.

მოლტკე, ჰელმუტ კარლ ბერნჰარდ ფონ (გერ., Helmuth Karl Bernhard von Moltke) (1800-1891), გერმანელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალფელდმარშალი, სამხედრო თეორეტიკოსი, პრუსიის გენერალური შტაბის მეთაური (1857-1888).

მონარქია – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება მთლიანად ან ნაწილობრივ (რეალურად ან ფორმალურად) სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს – მონარქს (ხელმწიფეს, მეფეს, იმპერატორს, შაჰს, სულთანს და ა.შ.) ეკუთვნის.

მონიტორინგი – (სოციალურ-პოლიტიკური) მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით ინფორმაციის მუდმივი, სისტემატური შეგროვება, რომლის მიზანია სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის ან პროცესის განვითარებაზე დაკვირვება, კონტროლი და პროგნოზირება.

მონოპოლია (monopoly) - წარმოების, ვაჭრობის, რეწვის განსაკუთრებული უფლება, რომელიც ერთ პირს, გარკვეულ ჯგუფს, ან სახელმწიფოს ეკუთვნის; რომელიმე სახელმწიფოს ან ჯგუფის გამორჩეული უფლება. მ-ური შეიძლება ვრცელდებოდეს სრულიად სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე, ვთქვათ, საგარეო ვაჭრობაზე, მიწაზე ან რაიმეს წარმოებაზე. მ-ს საბაზრო ეკონომიკაში კონკრეტულმა ეკონომიკურმა სუბიექტმა ან სუბიექტების ჯგუფმა შეიძლება მიაღწიოს კაპიტალისა და წარმოების მაღალი კონცენტრაციის შედეგად, რაც, თავის მხრივ, მიიღწევა კომპანიების შორის დადებული გარიგებით ან შერწყმით.

მონრო, ჯეიმს (ინგ., James Monroe) (1758- 1831) აშშ-ს მეხუთე პრეზიდენტი (1817-1825) ლუიზიანის ყიდვის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მონროს დოქტრინის ავტორი

მორალი – სოციალური ინსტიტუტი, ნორმების, სანქციების, შეფასებების, დანაწესების ქცევის ნიმუშთა სისტემა, რომელიც ასრულებს სოციალური კონტროლისა და სოციალური ურთიერთობის რეგულირების ფუნქციებს ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში, მთლიანად საზოგადოებაში.

მორატორიუმი (moratorium) – საგარეო ან საშინაო ვალდებულებების შესრულების შეჩერება; სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების გადავადება. "მორატორიუმის" ცნება ხშირად სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ ქმედებაზე უარის თქმის დროსაც იხმარება (მაგ., მორატორიუმი ბირთვული იარაღის გამოცდაზე).

მორისკები – ესპანეთსა და პორტუგალიაში ძალით გაქრისტიანებული მუსლიმები.

მონდიალიზმი – ( ფრანგ. monde – მსოფლიო) – იდეოლოგია, რომელიც გულისხმობს მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებას, ყველა სახელმწიფოსა და ხალხების შერწყმას ერთ მსოფლიო წარმონაქმნში, რომლის თანმხვედრი პროცესი იქნება რასობრივი, რელიგიური, ეროვნული და კულტურული საზღვრების მოსპობა.

მონდიალიზმი – ფრ. monde –დან „მსოფლიო" („world"-ის და არა „space"-ის მნიშვნელობით). განსაკუთრებული იდეოლოგია, რომელიც ყველა სახელმწიფოსა და ხალხების ერთ მსოფლიო წარმონაქმნში შერწყმას გულისხმობს მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებით, რომელსაც თან ახლავს რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური, ნაციონალური და კულტურული საზღვრების განადგურება, არსებობს „მემარჯვენე" და „მემარცხენე" მონდიალიზმი. მემარჯვენე ატლანტიზმის გლობალიზაციას წარმოადგენს. მემარცხენე აუცილებლად მიიჩნევს ევრაზიული სექტორის ჩართვას (ამა თუ იმ საფუძველზე) ერთიან სახელმწიფოში.

მოსკოვი – ა. დუგინის აზრით ევრაზიის ბუნებრივი სტრატეგიული დედაქალაქი. ყველა კონტინენტური ინტეგრაციის საფუძველი. იხილეთ ევრაზია.

მოტივაცია - მმართველობითი ფუნქცია, რომელიც იყენებს ადამიანის ქცევის მოტივებს ორგანიზაციის წარმატებული და ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

მოტივაციის ამოცანები - განსაზღვრული ადამინის კონკრეტული მოთხოვნილებების გამოვლენა იმისთვის, რომ შერჩეულ იქნეს მასზე მასტიმულიერებელი ზემოქმედების ოპტიმალური ვარიანტი მისი აქტიურობის ამაღლებისათვის ორგანიზაციისა და პირადი მიზნების მისაღწევად.

მრავალპარტიული სისტემა – პოლიტიკური სისტემა, რომლის დროსაც არსებობს ისეთი პოლიტიკური პარტიების ფართო სპექტრი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის საშუალებით ზეგავლენას იქონიებს მთავრობისა და შესაბამისად, პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე.

მრავალპოლარული მსოფლიო – თანამედროვე ეტაპზე მხოლოდ თეორიული კონცეფცია, რომელიც რამოდენიმე დიდი სივრცის თანაარსებობას ვარაუდობს. მისი განხორციელება შესაძლებელია, მხოლოდ ერთპოლარული მსოფლიო წყობის გადალახვის შემდეგ.

მსოფლიო კუნძული – მაკინდერის ტერმინი. მაკინდერი ამ ტერმინით ევრაზიასა და ისტორიის გეოგრაფიულ ღერძს მოიხსენიებდა. ამ განმარტებამ, სპაიკმენთან რადიკალურად შეიცვალა თავისი მნიშვნელობა და აღნიშნავდა თალასოკრატიული ზონების (გარე ნახევარმთვარის ზონები) ერთობლიობას. ორაზროვნებისაგან თავის დასაცავად, ამ ტერმინის ხშირი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

მსოფლიო ომი – ომის განსაკუთრებული სახე, როცა შეიარაღებულ დაპირისპირებაში ჩაბმული აღმოჩნდება ყველა დიდი სახელმწიფო და მათი სატელიტები მსოფლიოს ყველა კონტინენტზე.

მტერი (hostis – ლათ.) – შმიტის ტერმინი. წმინდა პოლიტიკური ცნება. აღნიშნავს სახელმწიფოებრივ, სოციალურ, ეთნიკურ და რელიგიურ წარმონაქმნებს, რომლებიც დგანან სტრატეგიული დედაქალაქის პოზიციების საწინააღმდეგოდ. არ გააჩნია მორალური დატვირთვა და შეიძლება დინამიურად გავრცელდეს სხვადასხვა წარმონაქმნებზე. მოძრავი კატეგორია. იხილეთ მეგობარი.

მშვიდობა – ერთ-ერთი სამი ძირითადი მდგომარეობიდან მსოფლიო პოლიტიკაში: ომი, „არაომი“ და მშვიდობა.

## ნ

ნარცისიზმი – ტერმინი მოდის ძველბერძნული მითიდან თავის თავზე შეყვარებული ახალგაზრდა კაცის – ნარცისის უბედური ემოციური განცდების შესახებ. ყველაზე ზოგადი გაგებით, ტერმინი გამოიყენება უზომო თვითტკბობის, საკუთარი ხატის, საკუთარი თავის მიმართ ავადმყოფური სიყვარულის აღსანიშნავად, მაგრამ ავტორის ორიენტაციის შესაბამისად, შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა მიიღოს.

ნაციონალიზაცია – მიწასა და ნაციონალური მეურნეობის მნიშვნელოვანი ნაწილის (მრეწველობა,ბანკები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სხვ.) კერძო საკუთრებიდან სახელმწიფო მფლობელობაში გადაცემის პოლიტიკა და პრაქტიკა.

ნაციონალიზმი (nationalism) - რწმენა ან თეორია იმის შესახებ, რომ ყოველ ხალხს, რომელიც ცალკე ერს წარმოადგენს, აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

ნაციონალ-სოციალიზმი (nationam socialism) - გერმანული ფაშიზმის ავტორიტარული, ტოტალიტარული და იმპერიალისტური დოქტრინა, რომლის ავტორია ადოლფ ჰიტლერი და მისი მიმდევრები.

ნეიტრალიტეტი (neutrality) - სახელმწიფოს ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი, როდესაც იგი არ ერევა სხვა ქვეყნებს შორის ომში და ინარჩუნებს მათთან მშვიდობიან ურთიერთობებს, ან იღებს ვალდებულებას არ მიემხროს რომელიმე მათგანს. ნეიტრალიზმისგან (მიუმხრობლობისგან) განსხვავებით სახელმწიფოს სამართლებრივი სტატუსია, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ვალდებულებებსა და უფლებებს. ნ. გულისხმობს საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომელიც გამორიცხავს შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩარევასა და სამხედრო პოლიტიკურ კავშირებში შესვლას. იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც ომის პირობებში, ასევე მშვიდობიან დროს.

ნეოატლანტიზმი – ატლანტიზმის თანამედროვე ვერსია. უარყოფს მონდიალიზმს (მის მემარჯვენე მიმართულებასაც კი), როგორც მოცემულ პირობებში ნაადრევ და განუხორციელებელ პროექტს. მიაჩნია, რომ ერთიანი მსოფლიოს ნაცვლად ცივილიზაციათა შეჯახება მოხდება.

ნომოსი (წესრიგი) – შმიტის ტერმინი. ნებისმიერი სივრცის (გეოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ.) ჩამოყალიბების საბაზისო პრინციპი. სინონიმურია ცნებებისა: „წესრიგი“, „კანონი“, „წყობა“. ხმელეთის ნომოსი = თელულოკრატია, წყლის (ან ზღვის) ნომოსი = თალასოკრატია.

ნეპოტიზმი თანამდებობის პირთა მხრიდან თავიანთი ნათესავებისა და ახლობლების მფარველობა.

ნომენკლატურა – 1. საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში კომუნისტური პარტიის მიერ სახელმწიფო, პარტიულ და საზოგადოებრივ თანამდებობებზე ვაკანსიის დასაკავებლად შერჩეული ადამიანების სია. 2. ადამიანები, რომელთაც ეჭირათ მაღალი თანამდებობები ან კიდევ დასანიშნ სიაში იყვნენ შეტანილნი. ზოგიერთ თანამედროვე პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ძველი პარტიული (სოციალისტური) ნ-ის წარმომადგენლები კვლავ მნიშვნელოვან სახელმწიფო პოსტებზე რჩებიან.

ნოტა – ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი.

## ო

ობსტრუქცია – რაიმე ღონისძიების ჩაშლისაკენ მიმართული ღია სახის მოქმედებები. ო. პარლამენტში საპარლამენტო ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს ოპოზიციური ძალის მიერ განხორციელებული ქმედებების ერთობლიობას (დარბაზის

დემონსტრაციულ დატოვებას, სხდომებზე არგამოცხადებასა და ა.შ.), მიმართულს შემოტანილი კანონპროექტის მოსმენის საწინააღმდეგოდ და მის ჩასაგდებად.

ოიკუმენე (ბერძნულად oikumene<oikeo – ებინადრობ, დავასახლებ, ჩავასახლებ) – დედამიწის იმ არეალების ერთობლიობა, რომლებიც ძველი ბერძნების წარმოდგენით დასახლებული იყო ადამიანებით. ასეთებად მიაჩნდათ ევროპა (ჩრდილოეთის გამოკლებით), წინა აზია, ინდოეთი და ჩრდილოეთი აფრიკა.

ოკეანე – ("ოკიანე"-ფინიკიურად "უნაპირო", Okeanos – ბერძ., მდინარე) გლობალური ერთმანეთთან დაკავშირებული მლაშე წყალი, იგივე მსოფლიო ოკეანე უკავია დედამიწის ზედაპირის თითქმის 3/4 (71%), იყოფა კონტინენტებითა და არქიპელაგებით შემდეგ ნაწილებად: წყნარი ოკეაკე, ატლანტიკის ოკეანე, ინდოეთის ოაკეანე, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე და სამხრეთ ოკეანე. ოკეანის მცირე ნაწილებს უწოდებენ ზღვებს, ყურეებს, სრუტეებს და სხვა.

ოკუპაცია – საარეისო მიწის (terra nullius) დკავება (ათვისება), ანუ ისეთი ტერიტორიის დაკავება, რომელიც არცერთი სხვა სახელმწიფოს საკუთრებას არ წარმოადგენს.

ოლიგარქია – ადამიანთა მცირე ჯგუფის ხელისუფლება. ამგვარადვე შეიძლებოდა განგვესაზღვრა არისტოკრატიაც, მაგრამ ო-ს განსხვავებული მნიშვნელობა დაუმკვიდრა არისტოტელემ და არისტოტელურმა ტრადიციამ პოლიტიკურ ფილოსოფიაში. კერძოდ, არისტოტელემ გამიჯნა მმართველთა მცირე ჯგუფი, რომელსაც მიზნად აქვთ საერთო კეთილდღეობა და ჯგუფი, რომლის მიზანსაც პირადი გამორჩენა წარმოადგენს. პოლიტიკურ სოციოლოგიაში არსებობს მოსაზრება (მისი გამტარებელიო იყო მოხელსი), რომ სახელმწიფო ორგანიზაციულ, ბიუროკრატიულ სტრუქტურებს აქვთ მისწრაფება გახდნენ ოლიგარქიულნი.

ომი – ორგანიზებული შეიარაღებული ბრძოლა, რომელსაც შეიძლება აწარმოებდნენ სახელმწიფოები, ეროვნულ- განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილე ხალხები, ასევე სახელმწიფოა შიგნით მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ოპოზიცია – 1. საზოგადოების შიგნით მეტ-ნაკლებად ორგანიზებული ხალხის ჯგუფი, სოციალური ჯგუფები, პარტიები ან ორგანიზაციები, რომლებიც გაბატონებული უმრავლესობის პოლიტიკური და პრაქტიკული შეხედულებების საწინააღმდეგო ქმედების, დაპირისპირების, წინააღმდეგობის საკუთარ ხაზს ატარებენ. 2. ერთი საპირისპირო შეხედულებებისა და პოლიტიკის მეორისადმი დაპირისპირების პროცესი. ო-ის არსებობა დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობაა დამ ის იდეურ-პოლიტიკურ შეუწყნარებლობაზე, პლურალიზმზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამოუკიდებლობასა და ა.შ. მეტყველებს.

ოპორტუნიზმი – საბჭოთა პოლიტიკურ ლიტერატურაში გავრცელებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავდა მუშათა მოძრაობის პოლიტიკური და იდეოლოგიური ლიდერების შემგუებლობას ბურჟუაზიის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიმართ. საბჭოთა იდეოლოგია ოპორტუნისტულ გარიგებას კლასობრივ მტრებთან განასხვავებდა ტაქტიკური კომპრომისებისაგან, რომლებიც შეიძლება საჭირო გამხდარიყო პოლიტიკური ბრძოლის მსვლელობისას. კომპარტიის თეორეტიკოსები გამოყოფდნენ გარკვეულ კრიტერიუმებს, რომლებიც საშუალებას იძლეოდაგამიჯნულიყო ოპორტუნისტული და ტაქტიკურ-დროებითი შეთანხმება ბურჟუაზიასთან ერთად. კერძოდ, ო. ცდილობდა საბოლოო ჯამში მუშათა მოძრაობა დაეყვანა კერძო მოთხოვნების რეალიზაციასა ან ცალკეულ რეფორმებზე და თავს არიდებდა მუშათა მოძრაობის ძირითადი მიზნისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ წაყვანას. ამგვარი კრიტერიუმების არსებობის მიუხედავად, პრაქტიკაში სავსებით შესაძლებელი იყო ოპორტუნისტის იარლიყი მიეწებებინათ შიდაპოლიტიკურ ბრძოლებში ნებისმიერ დამარცხებული თანაპარტიელისათვის.

ოპტიმალური გადაწყვეტილება - მისაღები მართვითი გადაწყვეტილების ერთი ან რამდენიმე ალტერნატივა, რომელიც საშუალებას იძლევა მინიმალური დანახარჯებით მიღწეულ იქნეს მაქსიმალური ეფექტი.

ორანის პრინცი, უილიამ III, (ნიდ., Willem III, Prins van Oranje) (1650-1702) ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის მეფე (1689).

ო'სალივენი, ჯონ – (1813 – 1895) ამერიკელი გამომცემელი, რომელმაც გამოიყენა ტერმინი "გაცხადებული ბედისწერა" შეერთებული შტატების მიერ ტეხასისა და ორეგონის ანექსიის

გასამართლებლად. იყო გაელენიანი პოლიტიკური მწერალი და იმდროინდელი დემოკრატიული პარტიის აქტიური მხარდამჭერი.

ოფიციოზი – მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ ხელისუფლებასთან, გამოხატავენ მის ოფიციალურ პოლიტიკურ კურსს, თუმცა, ამავე დროს, ფორმალურად არ უკავშირდებიან ხელისუფლებას.

ოხლოკრატია – ძველბერძნულ პოლიტიკურ ტეორიებში ტერმინი აღნიშნავდა ბრბოს ბატონობას. თანამედროვე პოლიტიკურ ლიტერატურაში ტერმინი შეიძლება იხმარებოდეს ნეგატიური ფორმით, რომელიმე პოლიტიკური რეჟიმის გასაკრიტიკებლად.

## პ

პარადიგმა – იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობა; აყალიბებს კონსენსუსურ ჩარჩოს ან მოდელს, რომლის შიგნითაც მეცნიერები ოპერირებენ. პ-ს საფუძველზე განისაზღვრება არსებული ცოდნის მოცულობა, საკვლევი პრობლემის ბუნება, კვლევის შესაფერისი მეთოდების არჩევა, შედეგების ანალიზისა და ინტერპრეტაციის გზები.

პარიტეტი – გულისხმობს პოლიტიკურ ძალთა ან სახელმწიფოთა შორის თანასწორ მდგომარეობას, ორძალოვან ამოსავალ პუნქტს.

პარლამენტი – ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო, რომელიც, როგორც წესი, არჩევნების საფუძველზე იქნება, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება ნაწილობრივ დაინიშნოს კიდეც.

პარტია – ერთნაირად მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ინტერესებს გამოხატავს და მიზნად ისახავს ამ ინტერესების რეალიზაციის სახელმწიფო მმართველობის დაუფლების ან მასში მონაწილეობის გზით.

პარტიზანი – შმიტის ტერმინი. ხმელეთის „ნომოსის" სიმბოლური დამცველის ფიგურა, საპირისპირო გეოპოლიტიკური ძალის ტრიუმფის დროს.

პარტიზანული ომი (guerilla warfare) - ცალკეულ პირთა ან ჯგუფის მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციები, რაზედაც, როგორც წესი, ოფიციალური სამხედრო ხელისუფლება პასუხს არ აგებს.

პასიონარობა – ლევ გუმილიოვის ტერმინი. ეთნოსის შიდა ენერგია. კულტურული, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური შემოქმედების მამოძრავებელი ძალა.

პასიური – მოდის ლათინური სიტყვიდან „passivus" უმოქმედო. აქტორი, რომელიც უშვებს მესამე პირის მოქმედებას ისე, რომ თავად უმოქმედოდ რჩება ან არ პასუხობს. აქტორი, რომელიც არ ურთიერთმოქმედებს სხვებთან, არ, ან არაარსებითად რეაგირებს კონკრეტულ მოვლენებზე, ფაქტებზე, პროცესებზე, რის შედეგადაც შეიძლება იგი ამოიღონ სცენარიდან.

პასიური – მოდის ლათინური სიტყვიდან „passivus" უმოქმედო. აქტორი, რომელიც უშვებს მესამე პირის მოქმედებას ისე, რომ თავად უმოქმედოდ რჩება ან არ პასუხობს. აქტორი, რომელიც არ ურთიერთმოქმედებს სხვებთან, არ, ან არაარსებითად რეაგირებს კონკრეტულ მოვლენებზე, ფაქტებზე, პროცესებზე, რის შედეგადაც შეიძლება იგი ამოიღონ სცენარიდან.

პატრიმონიალიზმი – მემკვიდრეობითი, გვაროვნული ფასეულობების აღიარება.

პატრიოტიზმი - საკუთარი სამშობლოს, მამულის სიყვარული მზადყოფნა მისი ერთგული სამსახურისა და დაცვისათვის, ზოგჯერ – პირადი და ჯგუფური ინტერესების საერთო, საქვეყნო ინტერესებისათვის სრულად დაქვემდებარების ხარჯზე.

პატრონაჟი – მფარველობა, დაცვა. შუა საუკუნეებში ამ ტერმინმა ახალი - საეკლესიო სამწყსოში მღვდლის დანიშვნის უფლების მნიშვნელობა მიიღო. ორივე მნიშვნელობა სრულიად თავსდება პოლიტიკური პ-ის კონტექსტში.

პაქტი (pact) - ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიზანია ისეთი საკითხების რეგულირება, რიგორებიცაა ორმხრივი ან კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ურთიერთდახმარება, თავდაუსხმელობა და სხვა.

პაციფიზმი (ლათ. pacifikus – დამაწყნარებელი, დამამშვიდებელი) – მიმდინარეობა, რომელიც ილაშქრებს ყოველგვარი ომების წინააღმდეგ. ომზე, როგორც სადავო საკთხების გადაწყვეტის საშუალებაზე, უარის თქმა ამ ომის ხასიათისა და მიზნების გაუთვალისწინებლად

პერიფერია – 1. სივრცეები და მიწები, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი გეოპოლიტიკური ორიენტაცია, დაშორებულნი არიან სტრატეგიული დედაქალაქიდან, რომლის ხელითაც ხდება ძირითადი გეოპოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. 2. ამ ტერმინით ლიტერატურაში გამოხატავენ მესამე სამყაროს ანუ განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც უპირისპირდებიან "ბირთვს" - განვითარებულ ქვეყნებს.

პლატფორმა – პოლიტიკურ დებულებათა ერთობლობა, რომელსაც რომელიმე პიროვნება ან პარტია წამოაყენებს არჩევნების წინ. პარტიის პ., როგორც წესი, ყალიბდება პარტიალ კონფერენციაზე, რომლებზედაც მიღწეულია საჭრო კონვენცია. პ-ს ელემენტები ყალიბდება როგორც შიდა პარტიული ჯგუფების კონსენსუსის, ასევე ინტერეს-ჯგუფების ზეწოლის შედეგად. პარტიის წინასაარჩევნო პ-ს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საარჩევნო სისტემებში, სადაც ამომრჩეველი თავის სოციალურ სტატუს რომელიმე პარტიასთან აკავშირებს.

პლებისციტი – საერთო სახალხო კენჭისყრის ნაირსახეობა. ტერმინი მომდინარეობს ძველი რომაული პოლიტიკური პრაქტიკიდან, სადაც იგი აღნიშნავდა მდაბიოების მიერ გამართული კენჭისყრას ამა თუ იმ საკითხზე. ახალ დროში ტერმინი კვლავ გამოიყენა ვოლტერმა, როდესაც იგი ახასიათებდა შვეიცარიაში გამართულ რეფერენდუმს. ინგლისურენოვან პოლიტიკურ ლიტერატურაში პ. შეიძლება შეგვხდეს ნეგატიურ მნიშვნელობით, როგორც სახელდახელოდ მოწყობილი რეფერენდუმის აღმნიშვნელი ტერმინი, რომელთა საშუალებით დიქტატორები ცდილობდნენ გაემართლებინათ საკუთარი ხელისუფლება.

პლურალიზმი – ცხოვრების იდეური და საზოგადოებრივ-პოლიტკური მოწყობის ძირითადი პრინციპი, რომლის ფარგლებშიც დაშვებული, უზრუნველყოფილი და აღიარებულია სხვადასხვა იდეური, სოციალური და პოლიტიკური მიმდინარეობის მრავლობითობა.

პოლარიზაცია - სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების პოზიციებში სხვაობია გაზრდა, დაპირისპირება პოლარურობა) პ. შეიძლება გამოვლინდეს როგორც დაპირისპირების ფორმა სხვადასხვა კლასებს, ფენებს, სოციალურ ჯგუფებს, პარტიებისა და ა.შ. შორის.

პოლიტიკა – ბერძნულიდან „politika"- სახელმწიფოს მართვის ხელოვნება; ტრადიციულად პ. აღნიშნავს საქმის მართვის ხელოვნებას მიზნის მისაღწევად. პ. არის ორიენტაციები და დირექტივები, რომლებიც წარმართავენ მთავრობის საქმიანობას განსაზღვრულ სფეროსა და საკითხში

პოლიტიკური გეოგრაფია – ფრიდრიხ რატცელის ტერმინი. აღნიშნავს იგივეს, რასაც ჩელენის შემდეგ „გეოპოლიტიკა" ეწოდა.

პოლიტიკური პროცესი (Political processus) - ნიშნავს გარკვეული მიმართულებით მოძრაობას, თანმიმდევრულ ცვლილებებს, ევოლუციას, სტადიების გავლას, ერთობლივ მოქმედებას რაიმე შედეგის მიღწევის მიზნით) საკმაოდ გავრცელებულია და გამოიყენება საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში მიმდინარე ყოველგვარი ცვლილებების, დროსა და .სივრცეში მისი განვითარების დინამიკის აღსანიშნავად. პოლიტიკური პროცესი შეიძლება განხორციელდეს რევოლუციის, აჯანყების, ამბოხების, მოდერნიზაციის, რეფორმების, კრიზისების, კონფლიქტების სახით.

პოლიტიკური ფსიქოლოგია - პოლიტიკური ცნობიერების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ავარაყებს და აფიქსირებს პოლიტიკურ ურთიერთობებსა და ინტერესებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაში და ეხმარება სუბიექტს პოლიტიკური ქცევის უშუალო მოტივებისა და დებულებების გამომუშავებაში

**პოლიტიკური ცნობიერება** - თეორეტიკული და ჩვეულებრივი ცოდნის, შეფასებების, განწყობებისა და გრძნობების ერთობლიობა, რომელთა მეოხებითაც სოციალური სუბიექტები (ინდივიდები, ჯგუფები, კლასები, ერთობები) შეიცნობენ პოლიტიკის სფეროს

**პოსიბილიზმი** — (ფრ. Possible-დან „შესაძლებელი"). ეიდალ დე ლა ბლაშის ტერმინი. მოწოდებულია გეოპოლიტიკისათვის ნაწილობრივ დამახასიათებელი გეოგრაფიული დეტერმინიზმის ნიუანსირებისაკენ. პოსიბილიზმის თეორია ამტკიცებს, რომ სივრცე არ განსაზღვრავს ისტორიას, ის მხოლოდ თავის სასარგებლოდ განაწყობს მის ამა თუ იმ მიმდინარეობას.

**პოტამიხტური თეორია** — თეორია, რომელიც შეისწავლის მდინარეებს და მათი მდებარეობის, სიდიდის, სიჩქარისა და მიმართულების მიხედვით განსაზღვრავს ამა თუ იმ რეგიონის განვითარების დადებით და უარყოფით მხარეებს.

**პრაგმატიზმი** – (პოლტიკური) ზოგადად წარმოადგენს ფილოსოფიურ მიმდინარეობას, რომელიც უარყოფს ჭეშმარიტების ობიექტურობას და ასეთად მიიჩნევს მხოლოდ იმას, რასაც პრაქტიკული შედეგები აქვს.

**პრევენციურ პოლტიკური ზომები** – ზომები, რომლების მიმართულია პოლიტიკური მოვლენებს სახიფათოდ განვითარების თავიდან აცილებისაკენ.

**პრესტიჟი** – საზოგადოების ან მის წევრთა ჯგუფის მიერ სხვადასხვა ობიექტების, მოვლენების და პოზიციების დადებითი ან უარყოფითი შეფასება.

**პრეფერენცია** - ზომა, რომელიც რომელიმე პირის, სახელმწიფოს ან ორგანიზაციას ანიჭებს ეკონომიკურ ან რაიმე სხვა სახის უპირატესობას. არსებობს პრეფერენციული გადასახადები საქონლის (რომელიმე ან ყველა სახის) შემოტანაზე რომელიმე ქვეყნის მიმართ, რომელიც სხვა დანარჩენ ქვეყნებზე არ ვცელდება. ასეთი გადასახადები ხშირად წესდებოდა კოლონიური სახელწიფოების მიერ კოლონიებთან და დამოკიდებულ ქვეყნებთან ვაჭრობისას.

**პროგნოზირება** (ბერძ., prognōsis) – მომავლის განჭვრეტა

**პროგრესი** – საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების აღმავალი მოძრაობა დაბალი ფორმებიდან უფრო მაღალი ფორმებისაკენ.

**პრობლემა** - მართვის ობიექტის სასურეელი და რეალლური მდგომარეობის სხვადასხვაობა.

**პროპაგანდა** – პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი, მიზნად ისახავს შექმნას და განამტკიცოს ისეთი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ხელსაყრელი იქნება პროპაგანდისტისათვის და ხელს შეუწყობს მისი პოლიტიკის განხორციელებას.

**პროტესტი** – 1. გაბედული გალაშქრება რაიმეს წინააღმდეგ, განაცხადის გაკეთება თანხმობაზე უარის შესახებ; 2. სასამართლო ან პროკურატურის ორგანების მიერ წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტი განაჩენისა და გადაწყვეტილების გადახედვის შესახებ.

**პროტექციონიზმი** - შიდა ბაზრის იმპორტისაგან დაცვის პოლიტიკა, რომელიც ამ მიზნით იყენებს ტარიფებს, კვოტებს, სუბსიდიებსა და სხვა საშუალებებს.

**პრევენციული ომი** (ლათ. praeventus) – ომი, რომელსაც მიმართავენ აგრესორები ვითომდა მოწინააღმდეგე მხარის თავდასხმისაგან თავის დაცვის, მისთვის დასწრების მიზნით.

**პრობლემა** - მართვის ობიექტის სასურველი და რეალლური მდგომარეობის სხვადასხვაობა.

**პროვინცია** – პერიფერიული ტერიტორიები, რომლებიც შედიან ძირითადი გეოპოლიტიკური წარმონაქმნის შემადგენლობაში და განიხილებიან ორგანული მთლიანობის განუყოფელ ნაწილად. საპირისპიროა კოლონიის ცნებისა.

**პროზელიტიზმი** – საკუთარ სარწმუნოებაზე ახვების მოქცევის მისწრაფება.

**პროფანაცია** (ლათ. profanatio) – შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება საყოველთაოდ აღიარებული მოვლენის მიმართ, მისი დამახინჯება, შებღალვა.

პუბლიკა – საუბრისა და გამონათქვამების, ასევე სიგნალების მიმღებ ადამიანთა ერთობლიობა (მსმენელები, მკითხველები). სოციოლოგიაში პ. შეიძლება ნიშნავდეს ფორმალურად არაორგანიზებულ ჯგუფს, რომლის წევრებს საერთო ინტერესები აქვთ. სოციოლოგიაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ მასას, ბრბოსა და პ-ს. ადამიანთა ამგვარ გაერთიანებას იკვლევდნენ ფრანგი სოციოლოგები - ლებონი და ტარდი.

პუტჩი - შეთქმულთა მცირე ჯგუფის მიერ ინიცირებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა; განხორციელებული გადატრიალება პ-ად ალიქმნება მხოლოდ მისი მოწინააღმდეგეების მიერ, რომლებიც დროებით ან საბოლოოდ დამარცხდნენ.

## რ

რატცელი, ფრიდრიხ (1844-1904) გერმანელი მეცნიერი, გეოგრაფი, სოციოლოგი, პალეონტოლოგი და ზოოლოგი. დაამთავრა კარლსრუეს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი. ევოლუციონიზმისა და დარვინიზმის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის მიმდევარი. ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი. გერმანელი ნაციონალისტი, "პანგერმანისტული ლიგის წევრი". გეოპოლიტიკის ერთერთი ფუძემდებელთაგანი, თუმცა ტერმინი "გეოპოლიტიკა" მას არ გამოუყენებია. თავის ნაშრომებში იგი იყენებდა ტერმინ "პოლიტიკურ გეოგრაფიას".

რაციონალიზაცია - პროცესი, რომლის მეშვეობითაც თანამედროვე საზოგადოებაში სოციალური პრობლემების გააზრება და გადაჭრა ხდება ლოგიკისა და რაციონალობის საფუძველზე

რეგალია – სამეფო ხელისუფლების გამოსარჩევი გარე სიმბოლიკა-გვირგვინი, სკიპტრა და სხვ. შემდგომში ტერმინის ამ მნიშვნელობიდან გავრცელდა მონათესავე გაგებაც, რომელიც რ-დ თვლიდა საერთოდ წარჩინებისნ სიმბოლიკას, ორდენს, მედალსა და ა.შ ტერმინის საზრისი შუა საუკუნეების ევროპაში კვლავ მეფეებს უკავშირდებოდა და გულისხმობდა მათი განსაკუთრებული სახის პრივილეგიებსა და მათი განკარგვის უფლებას.

რეგიონალიზმი – 1. ორიენტაცია პერიფერიული სივრცეების ავტონომიურობისაკენ. გააჩნია რამოდენიმე ფორმა: ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სტრატეგიული. 2. შეხედულებებისა და იდეების კომპლექსი, რომელიც მოსახლეობას შიდა სახელწიფოებრივ ან საერთაშორისო დონეზე არსებული რეგიონის მიმართ აქვს. რეგიონები, ძირითადად გეოგრაფული სიახლოვისა და სოციალური ერთგვარობის, პრინციპებით განისაზღვრება.

რეგლამენტი – სახელმწიფო ორგანიზაციის, დაწესებულების საქმიანობის განმსაზღვრელი წესების ერთობლიობა. მსგავსი მნიშვნელობით ტერმინი შეიძლება შეგვხდეს როგორც სხდომის, კონფერენციის ან ყრილობის სესიათა წარმართვის სესების აღმნიშვნელი. დაბოლოს, რ-ებად იწოდება ზოგიერთი საერთაშორისო კონგრესა და კონფერენციის დასკვნითი აქტები.

რეგულირება მართველობითი ფუნქცია ორგანიზაციის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი გადახრების ლიკვიდაციის მიზნით.

რევიზიონიზმი – ფართო მნიშვნელობით ამჟამად ტერმინი გამოიყენება იმ პოლიტიკურ შეხედულებების აღსანიშნავად, რომლებიც მიმართულია ადრე აღიარებული შეხედულებების წინაარმდეგ.

რევოლუცია – ხელისუფლების დამხობის გზით არსებული პოლიტიკური სისტემის ან რეჟიმის ძირეული, ხარისხობრივი შეცვლა, რომელსაც თან ახლავს საზოგადოებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების რადიკალური გარდაქმნა.

რეილი, სერ უოლტერ (ინგ., Sir Walter Raleigh) (1552-1618). ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, კარისკაცი, კორსარი და პოეტი. სახელი გაითქვა ესპანეთის ფლოტზე კორსარული თავდასხმებით, რისთვისაც ელისაბედ I მას, 1585 წელს, მიანიჭა რაინდის ტიტული.

რეკონკისტა (ესპ., Rekonquista) - VIII-XV სს. პირინეის ნახევარკუნძულის ხალხების მიერ არაბებისაგან დაპყრობილი ტერიტორიების ბრძოლით უკან დაბრუნება.

რელიგია – 1. რწმენისა და პრაქტიკის უნიფიცირებული სისტემა საკრალურ (წმინდა) საგნებთან მიმართებაში. მოწიწებით დაცულ და განცალკევებულ საგანთა ერთობლიობა, რომელიც მის მომხრეებს აერთიანებს მორალურ თემში ან კიდევ ეკლესიაში (დიურკგეიმი). სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით, არ არსებობს მკვეთრი განსხვავება რ-სა (რომელიც აღიარებს სულის და ზებუნებრივი ძალების არსებობას) და სხვა სოციალურად გამაერთანებელ იდეას, მაგ., ნაციონალიზმს შორის. ეს უკანასკნელი შეიძლება განიხილებოდეს როგორც რ-ის ფუნქციონალური ალტერნატივა ან კიდევ მისი ფუნქციონალური ეკვივალენტი. ამას გარდა, ზოგი რ. და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა, რომელიც ტრადიციულად რ-დ ითვლება (მაგ., კონფუციანელობა და ბუდიზმი), რ-ის სტანდარტულ განსაზღვრებაში (სულებისა და ღმერთების თაყვანისცემა) ძნელი მოსაქცევია; 2. გელნერის თანახმად, რ-დ შეიძლება იწოდებოდეს დოქტრინა, რომელიც ამომწურავ პასუხს იძლევა იმ ძირითად და ეგზისტენციალურ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა ემპირიულად შეუძლებელია; 3. ტაილორის (Tylor E.B.) თანახმად, სულების არსებობის რწმენა და მასთან დაკავშირებული წესები და პრაქტიკა.

რელიგიათა დმაარსებლები: აბრაამი – მონოთეიზმი (დაახლოებით 1850 ძე.წ.); მოსე – იუდაიზმი (დაახლოებით 1250 ძვ.წ.); ზოროასტრი – ზოროასტრიზმი (650- 583 ძვ.წ.); ლაო ძი – დაოსიზმი (605-520 ძე.წ.) ბუდა გაუტამა – ბუდიზმი (563-483 ძვ.წ.); კონფუცი – კონფუციანელობა (551-479 ძე.წ.); ჯინო მაჰავირა – ჯაინიზმი (540-468 ძე.წ.); იესო ქრისტე – ქრისტიანობა (4 ძე.წ. – 30 წ.); მუჰამედი – ისლამი (570 წ. – 632 წ.). რელიგიის დამაარსებლემბა ადამიანებს მისცეს ახალი მსოფლმხედველობა და მორალი, რომელთა ნიადაგზეც აღმოცენდნენ თეითმყოფადი კულტურები.

რელიგიათა რეფორმატორები: ნიტირენი – ნიტირენ სიუ [იაპონური ბუდიზმი] (1222 წ. – 1282 წ.); ნანაკი – სიქხიზმი (1469 წ. – 1539 წ.); მარტინ ლუთერი – ლუთერანობა (1483 წ. – 1546 წ.); ჰენრი VIII ტიუდორი – ანგლიკანობა (1491 წ. – 1547 წ.); ჟან კალეინი – კალეინიზმი (1509 წ. – 1564 წ.); ჟოზეფ სმიტი – მორმონები (1805 წ. – 1844 წ.); სიიდ ალი მუჰამედი შირაზი (არაბ., محمد علی سید شیرازی) (ბაბ)(არაბ., ბაბ - الباب - ჭიშკარი) – ბაჰაიზმი (1819 წ. – 1850 წ.); ჩარლზ თეიზ რასელი – იელოეას მოწმეები (1852 წ. – 1916 წ.); სიმონ კიმბანგუ – კიმბანგუიზმი (1887 წ. – 1951 წ.). რელიგიის რეფორმატორები, უკვე შექმნილი კულტურიდან გამოსულები, ცდილობდნენ მის დაღმავალ შტოზე მოეხდინათ იმ მსოფლმხედველობის რეკონსტრუირება, რომელმაც ამოწურა თავისი სოციალური პოტენციალი, და მიესადაგებინათ იგი ახალი რეალიებისადმი.

რეიგანი, რონალდ (ინგ., Ronald Reagan) (1911-2004) აშშ-ს მე-40 პრეზიდენტი

რეპატრიაცია – იმ პირთა დაბრუნება სამშობლოში, რომლებიც სხვადასხვა იძულებითი გარემოების გამო სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ.

რესპოდენტი – პირი, რომელიც სოციოლოგიურ გამოკითხვაში (ანკეტირებაში ან ინტერვიუში) მონაწილეობს და ინფორმაციის წყაროს ან კომუნიკატორს წარმოადგენს.

რესპუბლიკა – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც მმართველობის ყველა უმაღლესი ინსტიტუტი ან არჩევითია, ან ყალიბდება საერთო სახალხო წარმომადგენლობითი დაწესებულებების (პარლამენტების) მიერ. რ-ში გარანტირებულია მოქალაქეთა პირადი პოლიტიკური უფლებების დაცვა.

რესტიტუცია (ლათ. restitucio- ძე. უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა) – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის იმ ქონების დაბრუნება, რომელიც ომის დროს უკანონოდ იყო მიტაცებული.

რეფერენდუმი – სახელმწიფო ცხოვრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხზე მოწყობილი საერთო სახალხო კენჭისყრა.

რეფორმა – საზოგადოების რომელიმე პოლიტიკური ინსტიტუტის, პოლიტიკურ სუბიექტთა ურთიერთობების ისეთი გარდაქმნა, რომელიც ხორციელდება მოცემული სისტემის ფარგლებში.

რისკის დივერსიფიკაცია - ერთმანეთთან კავშირში არ მყოფ ობიექტებს შორის სახსრების, ინვესტირების განაწილება რისკის დონის შემცირების მიზნით

რიტუალი – ცერემონიული ხასიათის სტანდარტული და მყარი თანმიმდევრობა.

რიშელიე, არმან ჟან დიუ პლესი, ჰერცოგი (ფრ., Armand-Jean du Plessis, duc de Richelieu) (1585-1642) საფრანგეთის სამეფოს პირველი მინისტრი, კარდინალი. ვესტფალიის სისტემის ჭეშმარიტი შემოქმედი.

რიხტჰოფენი, ბარონი ფერდინანდ პაულ ვილჰელმ ფონ (გერ., Ferdinand Freiherr von Richthofen)(1833-1905) გერმანელი გეოლოგი და მოგზაური, ბერლინის გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი (1873), ტერმინ "აბრეშუმის დიდი გზა"-ს ავტორი (1877).

რუზველტი, ფრანკლინ დელანო (ინგ., Franklin Delano Roosevelt) (1882-1945) აშშ-ს 32-ე პრეზიდენტი.

რუიტერი, მიხაილ ადრიანსზონ დე (ნიდ., Michiel Adriaenszoon de Ruyter)(1607-1676) სახელგანთქმული ჰოლანდიელი ადმირალი

## ს

საარჩევნო სისტემა – ნორმების, წესებისა და მეთოდების მოწესრიგებული ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების არჩევითი და სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების წარმოქმნის გზებს, ფორმებსა და მეთოდებს.

საბაზრო ეკონომიკა – ეკონომიკური სისტემა, რომელშიც სახელმწიფოს მონაწილეობა მინიმუმამდეა დაყვანილი. ამგვარ ეკონომიკაში მოთხოვნილება საქონელზე, ფასწარმოქმნა და ა.შ. განპირობებულია ბაზრის სტიქიის პრინციპებით. ს.ე., რომელიც ლიბერალიზმის იდეოლოგიას ერგება, უპირისპირდება სახელმწიფოს მიერ რეგულირებად, ცენტრალიზებულ დაგეგმარებაზე დამყარებულ ეკონომიკურ სისტემებს, რომელთა ტიპურ ნიმუშებსაც კომუნისტური რეჟიმების ქვეყნების ეკონომიკა წარმოადგენდა. ს.ე.-ის, როგორც ეკონომიკური ლიბერალიზმის გამოხატულების თეორიული პრინციპები პირველად შოტლანდიელმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა დაამუშავა. ამგვარი ეკონომიკური სისტემის ძირითად მექანიზმს სმიტი „უჩინარ ხელს" (invisible hand) უწოდებდა. იმავე მექანიზმის აღსანიშნავად ლიტერატურაში ზოგჯერ შეიძლება ფრანგული გამოთქმა laissez faire შეგხვდეს.

საგარეო პოლიტიკა – სახელმწიფოს მხრიდან სხვა სახელმწიფოებთან ქმედებებისა და უუქმედებების ერთობლიობა, რომელიც შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო პროცესების გაელენით ყალიბდება.

საერთაშორისო ორგანიზაციები – მუდმივმოქმედი საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი (მთავრობათშორისი) და საერთაშორისო არასამთავრობოთშორისი დაწესებულებანი, რომლებიც შეიქმნა პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიზნების განსახორციელებლად.

საერთაშორისო პოლიტიკა – ერთი მნიშვნელობით იგივეა, რაც საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები და ამდენად, საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საერთაშორისო ეკონომიკურ, სამართლებრივ, იდეოლოგიურ, კულტურულ და სხვა ურთიერთობებთან ერთად.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია – საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო კვლევის ძირითადი დისციპლინა, შეისწავლის სახელმწიფოებსა და სხვა სუბიექტებს შორის მიმდინარე პროცესებს, რომლებიც საზღვრების გადაკვეთით ხორციელდება.

საერთაშორისო სამართალი (international law) კანონთა სისტემა, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს.

საერთაშორისო ხელშეკრულება – ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ან სხვა სუბიექტების შეთანხმება უფლებათა და ვალდებულებათა ჩამოყალიბების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ.

სავაჭრო წყობა – საზოგადოების ტიპი, რომლის იერარქია და შრომის სტიმულაციაეკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარეობენ. საბაზრო, ლიბერალ-დემოკრატიული სისტემა. იდეოკრატიის საწინააღმდეგო.

**საზოგადოება** – 1. თემობრივი წარმონაქმნების დაშლის შედეგი. თემისაგან განსხვავებით პრინციპულად იყოფა ერთეულ წევრებად (ინდივიდუუმი). 2. სოციოლოგიის ძირითადი ცნება, აღწერს მყარად მოწესრიგებულ ერთობას, გარკვეულ სივრცეზე განფენილ (გარკვეულ ტერიტორიაზე მოქცეულ) ადამიანთა თანაცხოვრებას, რომელსაც სტრუქტურირებული მთლიანობის სახე აქვს.

**საზოგადოებრივი აზრი** – ქვეყნის მოსახლეობის, დიდი სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებისადმი, გამოხატული მსჯელობებში, შეფასებებში, ემოციებში, განწყობებსა და სხვ.

**საზოგადოებრივი მოძრაობები** – გულისხმობს არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების, არამედ ცალკეული ინდივიდების მოღვაწეობას, რომლებიც არ შედიან არავითარ ოფიციალურ სტრუქტურებში და ერთიანდებიან მხოლოდ იდეურ საფუძვლებზე.

**ხაზოგადოებრივი საქონელი** – არის ისეთი საქონელი, "რომლითაც ყველა ერთნაირად სარგებლობს, ანუ საქონლის მოხმარება თითოეული ინდივიდის მიერ არ იწვევს ნებისმიერი სხვა ინდივიდის მიერ ამ საქონლის მოხმარების შემცირებას"(სამუელსონი, 1954, გვ.387)

**საზღვაო მილი** – განსხვავდება ინგლისური მილისაგან და უდრის 1853 მეტრს.

**ხაზღვარი** – გეოპოლიტიკაში არსებობს საზღვრის ორი სახე: ხაზი-საზღვარი და ზოლი-საზღვარი. ხაზი-საზღვარი წარმოადგენს საზღვაო საზღვარს, ხოლო ზოლი-საზღვარი – სახმელეთო საზღვარს. მსოფლიო მასშტაბში მოქმედების პრეტენზიის მქონე ყოველი გეოპოლიტიკური ბლოკის მიზანია გადააქციოს ხაზი-საზღვარი თავისთვის მაქსიმალურად, ხოლო მოწინააღმდეგისთვის მინიმალურად და პირიქით.

**საკანონმდებლო ხელისუფლება** ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო დემოკრატიულ ქვეყნებში, რომლის ძირითადი ფუნქციაა კანონშემოქმედება პარლამენტში არჩეული დეპუტატების მეშვეობით.

**საკრალური გეოგრაფია** – ხარისხობრივი სივრცის შესახებ ძველი ხალხების წარმოდგენების ერთობლიობა. თანამედროვე გეოპოლიტიკა, ხელმძღვანელობს სივრცის მსგავსი ტიპოლოგიური გაგებით, მხოლოდ ამას რაციონალური საბუნებისმეტყველო ფორმით გამოხატავს.

**სამართლებრივი სახელმწიფო** – დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმის სახეობა, რომელიც კანონის სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ ბუნებრივ, განუყოფელ, ადამიანისა და ხალხების საყოველთაო უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელ დაცვას ემყარება.

**სამოქალაქო დაუმორჩილებლობა** – მორალური პრინციპების საფუძველზე დამყარებული ხელისუფლებისათვის დაუმორჩილებლობის პოლიტიკური აქცია. ტერმინი პირველად გამოიყენა ჰენრი ტორომ პამფლეტში „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მოვალეობის შესახებ" (1849), მაჰათმა განდის მიერ შემუშავებული ს.დ.- ის კამპანია პასიური წინააღმდეგობის ტაქტიკის გათვალისწინებით აქტიურად გამოიყენებოდა ინდოეთში ბრიტანული მმართველობის წინააღმდეგ.

**სამოქალაქო საზოგადოება** – განვითარებული სოციალურ- ეკონომიკური, პოლიტიკური, სულიერ-ზნეობრივი ურთიერთობების საზოგადოება, რომელსაც ახასიათებს მაღალი საერთო და სოციალურ- პოლიტიკური კულტურა.

**სამხრეთი** – საკრალურ გეოგრაფიაში უწესრიგობის აღრევისა და გადაგვარების რეგიონები. თანამედროვე გეოპოლიტიკაში – მესამე მსოფლიო, სუსტად განვითარებული ქვეყნები, სადაც ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპები არ დამკვიდრებულა.

**სანიტარული კორდონი** – ხელოვნური გეოპოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც განკუთვნილია იმ ორ მსხვილ მეზობელ ქვეყნებს შორის დესტაბილიზაციისთვის, რომლებსაც შეუძლიათ ჩამოაყალიბონ სერიოზული ბლოკი, რაც თავის მხრივ საშიშროებას მესამე მხარეს. ევრაზიის ატლანტისტების სტრატეგიაში კლასიკურ ნაბიჯს წარმოადგენს ევრაზიის კონტინენტური ინტეგრაციის წინააღმდეგ სვლა.

სანქცია – ზომების ერთიბლიობა, რომელიც გამოხატულია პოზიტიური (წახალისების) ან ნეგატიური (დასჯის) ფორმებით და ემსახურება საზოგადოებაში სოციალური ნორმების დაცვასა და მხარდაჭერას.

საპარლამენტო პარტია – ისეთი პარტია, რომელიც თავისი პროგრამის განხორციელებასა და საამისოდ ხელისუფლების სათავეში მოსვლას მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების გზით ცდილობს.

სასაზღვრო ველი – ტერიტორია, რომელიც იმყოფება მოცემული სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, მაგრამ არ არის სათანადოდ ათვისებული დემოგრაფიულად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად. ხშირ შემთხვევაში ამდაგვარ ველს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობებით დასახლებული სივრცე. მოსაზღვრე სახელმწიფოები საეჭვოდ მიიჩნევენ ამ ტერიტორიების კუთვნილების საკითხს, მაგრამ არ განიხილავენ მათ, როგორც საკუთარ ტერიტორიებს.

სასიცოცხლო სივრცე – ჰაუსჰოფერის ტერმინი. ტერიტორიის მინიმალური მოცულობა, რომელიც ხალხს საშუალებას აძლევს მიაღწიოს საკუთარი ისტორიული და პოლიტიკური მისწრაფებების რეალიზებას.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა (civil disobedience) – ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის პოლიტიკური აქცია. ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ჰენრი ტორომ პამფლეტში "სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ვალდებულებაზე" (1849). სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანია პასიური წინააღმდეგობის ტაქტიკის გამოყენებით (შეიმუშავა მოჰანდას კარამჩანდ განდიმ – მაჰათმა განდი) ფართოდ გამოიყენებოდა ინდოეთში ბრიტანელების კოლონიალური ბატონობის წინააღმდეგ. განდიმ განაცხადა, რომ ბრიტანეთის უარი ინდოელებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ – ზნეობრივი პრობლემაა. იგი ცდილობდა მიემართა საზოგადოებრივი აზრი კოლონიალიზმის წინააღმდეგ. მისი აზრით გადაწყვეტილება კოლონიალური ხელისუფლების კანონებისადმი დაუმორჩილებლობის შესახებ უნდა ყოფილიყო პირადული, ისევე როგორც მზადყოფნა მსგავსი გადაწყვეტილების მიღების შედეგებზე პასუხისმგებლობისათვის. სამოქალაქო დაუმორჩილებლობა იყო აგრეთვე საშუალება საპროტესტო აქციებისა და სატიაგრაჰის (სიმტკიცე ჭეშმარიტებაში) კონცეფციის გასაერთიანებლად. სოციოლოგების გარკვეული ნაწილის აზრით ინდივიდუალური პასიური პროტესტი (მორალური და სულიერი სიმტკიცე) – განიხილება, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების არადასავლური ფორმა.

სამოქალაქო ომი (civil war) - შეიარაღებული კონფლიქტი სახელმწიფოს შიგნით, რომლისდროსაც მხარეები ესწრაფვიან მთავრობაზე კონტროლის მოპოვებას, ან ერთ-ერთი მხარე იბრძვის რომელიმე ეროვნული თემის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

სახელმწიფო – პოლიტიკური ინსტიტუტების სისტემა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ცხოვრებას ამა თუ იმ განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

სახელმწიფო ადმინისტრაცია – საზოგადოებრივი მომსახურების სახელმწიფო ორგანიზაციული სტრუქტურები და დაწესებულებები, უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო სამსახური, სადაც შედის რეგიონალური და ადგილობრივი დონის სახელმწიფო ორგანოები.

სახელმწიფო გადატრიალება – სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი და არაკანონიერი შეცვლა, რომელიც ხორციელდება სამხედრო, პოლიციური თუ პარამილიტარიტული დაჯგუფებების გამოყენებით. რევოლუციისაგან განსხვავებით (რომელიც შესაძლოა თავად შეიცავდეს ს.გ.- ს, როგორც ელემენტს), ს.გ.- ის შედეგი ერთი მმართველი დაჯგუფების მეორით შეცვლაა ერთი და იმავე პოლიტიკური სისტემის ფარგლებში.

სახელმწიფო ინტერესები (ფრანგ., raison d'etat) – საერთაშორისო სამართლის სფეროს ტერმინი, რომელიც წარმოიშვა თანამედროვე სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბების პერიოდში (XVII საუკუნე). ეს ნიშნავს, რომ შეიძლება არსებობდეს მოქმედების ისეთი მოტივები (ძირითადად საგარეო პოლიტიკის სფეროში, იშვიათად – საშინაო პოლიტიკაში), რომლებიც უკანა პლანზე გადასწევენ სამართლებრივი და მორალური ხასიათის ყველა დანარჩენ მოსაზრებას.

სახელმწიფოს მეთაური – სახელმწიფოს მთლიანობის გამოხატულება და ცერემონიალური ლიდერი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე.

სახელმწიფო სამსახური – სახელმწიფოს მიერ დაქირავებული მოხელეები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო პოლიტიკას. ტერმინს საფუძვლად უდევს ბრიტანული ბიუროკრატიული ტრადიცია, რომელიც განასხვავებდა სახელმწიფოს სამსახურში მყოფ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს. ეს სამოქალაქო მოხელეები, როგორც წესი, წარმოადგენდნენ სამინისტროებსა და მათ დაქვემდებარებულ აღმასრულებელ ინსტიტუტებს. მთლიანობაში მოსამსახურეთა ეს კორპუსი, რომელთა შრომის ანაზღაურება საზოგადოების სახსრებით უნდა განხორციელდეს ყველა ქვეყანაში წარმოადგენს ამ ქვეყნის სახელმწიფო ბიუროკრატიას. მოხელეთა ასეთი ერთიანობის ერთერთი ყველაზე სპეციფიკურ ნიშანს განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში მათი პოლიტიკური ნეიტრალობა წარმოადგენს. მმართველობის ასეთი სტრუქტურა ემორჩილება არჩეულ მთავრობას, განურჩევლად მისი პარტიულობისა.

სახელმწიფოს შიდა წყლები – სახელმწიფოს საზღვრებში მთლიანად მოქცეული ზღვები, ტბები, მდინარეები და საერთაშორისო ზღვების ის ნაწილი, რომელიც ამ სახელმწიფოს საწყისი ხაზების შიგნით (ხმელეთისაკენ) არის განლაგებული. იგი იმყოფება სახელმწიფოს აბსოლუტური იურისდიქციის ქვეშ.

საწყისი ხაზები – სანაპიროსა და ზღვის გამყოფი წირი. საზღვარი სახელმწიფოს შიდა წყლებსა და ტერიტორიულ ზღვას შორის. საწყისი ხაზებიდა იწყება ტერიტორიული ზღვის, საგანგებო ეკონომიკური ზონის და სხვა საზღვაო ზონების აზომვა.

საქალაქო აგლომერაცია (ლათ., agglomero) – დასახლებული პუნქტების, ძირითადად საქალაქოს, კომპაქტური გროვა, რომლებიც ცალკეულ ადგილებში შერწყმულნი არიან. ისინი გაერთიანებული არიან რთულ, მრავალ კომპონენტებიან დინამიურ სისტემად ინტენსიური საწარმოო, სატრანსპორტო და კულტურული კავშირებით. არსებობს ორი ტიპის აგლომერაციები: 1. მონოცენტრისტული (გაერთიანებული ერთი მსხვილი ქალაქ-ბირთვისის გარეშემო, მაგალითად მოსკოვი) და პოლიცენტრისტული (რამოდენიმე ქალაქ-ბირთვისის გარეშემო შეგროვილი ქალაქები. მაგალითად რურის აუზი გერმანიაში). უმსხვილესი აგლომერაციები (10 მილიონზე მეტი მცხოვრებით 2007 წლის 21 აპრილის მონაცემებით) – იაპონია: ტოკიო – 33,4 მილიონი (იოკოჰამა, კავასაკი, საიტამა); სამხრეთ კორეა: სეული – 23,2 მილიონი (პუჩხონი, კოიანი, ინჩხონი, სონამი, სოუვონი); მექსიკა: მეხიკო – 22,1 მილიონი (ნესახუალკოიოტლი, ეკატეპეკი, ნაუკალპანი); აშშ: ნიუ-იორკი – 21,8 მილიონი (ნიუარკი, პატერსონი); ინდოეთი: მუმბაი – 21,3 მილიონი (კალიანი, თხანე, იულჰასნაგარი); ინდოეთი: დელი – 21,1 მილიონი (ფარიდაბადი, გაზიაბადი); ბრაზილია: სან-პაულუ – 20,4 მილიონი (გუარულიუსი); აშშ: ლოს-ანჯელესი – 17,9 მლიონი (რივერსაიდი, ანაჰეიმი); ჩინეთი: შანხაი – 17,3 მილიონი; იაპონია: ოსაკა – 16,6 მილიონი (კობე, კიოტო); ეგვიპტე: ქაირო – 15,9 მილიონი (გიზა, შუბრა ალ-ხაიმა); რუსეთი: მოსკოვი – 15,8 მილიონი; ინდოეთი: კალკუტა – 15,5 მილიონი (ჰაურა); ფილიპინები: მანილა – 15,4 მილიონი (კალოოკანი, კესონი); ინდონეზია: ჯაკარტა – 14,9 მილიონი (ბეკასი, ბოგორი, დეპოკი, ტანგერანგი); პაკისტანი: კარაჩი – 14,8 მილიონი; ჩინეთი: გუანჯოუ – 14,5 მილიონი (ფოშანი); ბანგლადეში: დაკა – 13,8 მილიონი; არგენტინა: ბუენოს-აირესი – 13,5 მილიონი (სან-ხუსტო, ლა-პლატა); ჩინეთი: პეკინი – 12,7 მილიონი; ბრაზილია: რიო-დე-ჟანეირო – 12,2 მილიონი (ნოვა-იგუასი, სან გონსალო); ირანი: თეირანი – 12,1 მილიონი; ინგლისი: ლონდონი – 12,0 მილიონი; თურქეთი: სტამბოლი – 11,7; ნიგერია: ლაგოსი – 10,0 მილიონი.

სეგმენტი – საგნის, სივრცის, ელემენტის ან რაღაც მთლიანის ნაწილი, ნაჭერი, მონაკვეთი.

სეკულარიზაცია (ლათინურად saecularis -საერო) – 1. საეკლესიო და სამონასტრო საკუთრების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად; 2. ეკლესიის სასულიერო გავლენისაგან გათავისუფლება.

სემანტიური ბარიერი - სიძნელეები, რომლებიც წარმოიქმნება კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა ნაციონალური კულტურის, განათლების დონის, სოციალური წარმოშობისა და სხვა, ადამიანებისათვის სიტყვების სხვადასხვა მნიშვნელობის გამო.

სეპარატიზმი – ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ან ფართო ავტონომიური სტატუსის მიღების მიზნით სახელმწიფოს ტერიტორიის გამოყოფის თეორია, პოლიტიკა და პრაქტიკა.

სივრცე – გეოპოლიტიკის ძირითადი ცნება. წარმოადგენს არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ კატეგორიას. სივრცის სტრუქტურა წინასწარ განსაზღვრავს ისტორიის (პირველ

რიგში პოლიტიკური ისტორიის) სტრუქტურას. ასეთია გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების ძირითადი თეზისი.

სივრცობრივი აზრი – რატცელის ტერმინი. ხარისხობრივ სივრცეში ჩადებული ისტორიული წინასწარგანსაზღვრულობის სისტემა. იხილეთ სივრცე.

სივრცული პროგრესიის კანონი – ჟან ტირიარის მიერაა ჩამოყალიბებული. იგი შემდეგნაირად ჟღერს: „ქალაქ-სახელმწიფოებიდან, ტერიტორია-სახელმწიფოების გავლით კონტინენტ-სახელმწიფოებამდე". პოლიტიკური ისტორიის გეოგრაფიული დინამიკა შეუჩერებლად მიემართება მინიმალური სოციალური წარმონაქმნების მასშტაბების გაზრდისაკენ. იხილეთ აგრეთვე „სასიცოცხლო სივრცე".

სიონიზმი - ებრაელი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანია პალესტინაში, "აღთქმილ მიწაზე" ებრაული სახელმწიფოს დაარსება.

სისტემა – მომდინარეობს ბერძნული სიტყვა „sistema"-დან – მთლიანი, ნაწილებისაგან შემდგარი; ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი კომპონენტების იერარქიული წყობა, რომელიც მოქმედებს დროსა და სივრცეში. ნებისმიერი ორგანული რამ, გაერთიანებული არსებითი ნიშანთვისებით, ურთიერთმოქმედებებით, შესაბამისობით.

სისტემური ანალიზი – მეცნიერულ კვლევეში მეთოდოლოგიური მიმართულება, რომელიც რთულ ობიექტს განიხილავს მისი შემადგენელი ელემენტებისა და მათ შორის კავშირების ერთიან მთლიანობად. ს.ა. პოლიტიკის ანალიზის ერთ- ერთი მეთოდია, რომელიც საშუალებას იძლევა პოლიტიკა განვიხილოთ როგორც გარკვეული თვითრეგულირებადი სოციალური ერთობა, რომელიც სისტემატურად ურთიერთქმედებს გარემოსთან. მისი გარემოსთან შეხების წერტილები, ე.წ. „შემავალი" და „გამომავალი" ქვესისტემები აფიქსირებს მოქალაქეების ქცევის თავისებურებებს მათ მიერ ხელისუფლებისადმი მოთხოვნების გამოხატვისას, ასევე მისი გადაწყვეტილებების შესრულებისას.

სოფელი – შედარებით მცირერიცხოვანი და მეტ-ნაკლებად ჩაკეტილი დასახლება.

სოციალური სტრატიფიკაცია – საზოგადოების ისეთი ორგანიზაცია, სადაც ორი ან მეტი იერარქიული ჯგუფი დაკავშირებულია ერთმანეთთან ბატონობისა და მორჩილების ურთიერთობებით.

სოციალური პასუხისმგებლლობა ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც მიმართულია საზოგადოების კეთილდღეობისაკენ და ხორციელდება ადმინისტრაციის ინიციატივით და არა კანონის მოთხოვნით.

სოციალური პასუხისმგებლობა იზომება, ორგანოს სოციალური მნიშვნელობით და ხასიათდება შემდეგი მთავარი ნიშანთვისებებით: მნიშვნელოვანი სოციალური მოქმედებებით, სტაბილური კომუნიკაციებით და ინოვაციური მოქმედებებით.

სოციალური სამართლიანობა – რესურსების სამართლიანი განაწილება საზოგადოებაში. ტერმინი ძირითადად გამოიყენება იმ კონტექსტში, როდესაც საქმე ეხება ადამიანთა თანაცხოვრების თანმხლებ საზოგადოებრივ სიძნელეებსა და სარგებელს. ს.ს- ის თანამედროვე გაგება გადმოცემულია ჯონ როლსის ფუნდამენტურ ნაშრომში „სოციალური სამართლიანობა", რომელიც ნეოლიბერალიზმის მნიშვნელოვან შენაძენად ითვლება. როლსი ცდილობდა ესვენებინა სოციალური სამართლიანობის დისტრიბუციული ხასიათი და იმავდროულად განემტკიცებინა აზრი, რომ საზოგადოებაში სამართლიანი თანამშრომლობის მოთხოვნა ლიბერალიზმის განუყრელი ნიშანია.

სოციალური სახელმწიფო – დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ფართო სოციალურ საფუძველს ემყარება და აქტიურ, ძლიერ სოციალურ პოლიტიკას ატარებს, რომლის მიზანსაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება ან მისი სტაბილურად შენარჩუნება, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და რეალიზება, ჯანდაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემების შექმნა, სოციალური კონფლიქტების თავიდან აცილება, წარმატებით მოგვარება და ა.შ. წარმოადგენს.

სოციოპოლიტიკა – ჩელენის ტერმინი. სახელმწიფოს სოციალური ასპექტების შესწავლა.

სპაიკმენი, ნიკოლას ჯონ (ინგ., Nicholas John Spykman) (1893-1943) ჰოლანდიური წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი, საერთაშორისო ურთიერთობის პროფესორი, იელის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის დირექტორი. ალფრედ მეჰენის თეორიის გამგრძელებელი

სპიკერი – საკანონმდებლო ორგანოს სხდომების წარმმართველი.

სტატუსი (status) – 1. სამართლებლივი მდგომარეობა (ორგანიზაციის, ხელმძღვანელის ან მუშაკის), რომელიც განსაზღვრავს უფლებების და მოვალეობის ერთობლიობას. 2. საერთაშორისო სამართალში ფიზიკური ან იურიდიული პირის სამართლებრივი მდგომარეობა.

სტატუს-კვო (status quo) გარკვეულ მომენტში არსებული ფაქტიური ან სამართლებრივი მდგომარეობა.

სტიუარტი, ჩარლზ I (ინგ., Charles I) (1600-1649) ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის მეფე.

სტრატეგია (ბერძ., stratēgicos) – პოლიტიკურმა მეცნიერებამ ტერმინი სამხედრო მეცნიერებებიდან შემოიტანა (კარლ ფონ კლაუზევიცი). სიტყვასიტყვით ნიშნავს ომის მზადებისა და სამხედრო ოპერაციების ჩატარების ხელოვნებას, ჯარების მართვას. ს. ცნება გამოიყენება, როგორც ორგანიზებულ მოქმედებათა ურთიერთშესაბამისი და შეთანხმებული ერთობლიობა, რომელიც უნდა შესრულდეს თანმიმდევრულად და სათანადო ხარისხით განსაზღვრულ ადგილას, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში და რომლის საბოლოო შედეგმაც უნდა მოგვცეს გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალება.

სტრატეგიული დედაქალაქი (გეოპოლიტიკური პოლუსი ან გეოპოლიტიკური სხივის წყარო) – გეოპოლიტიკური ინტეგრაციის ცენტრი და მასშტაბური გეოპოლიტიკური პროცესის აქტიური შემოქმედი. სტრატეგიულ დედაქალაქებს შორის კავშირები გეოპოლიტიკურ ღერძებს ქმნიან.

სტრონგი, ჯოსაია – (1847-1916) პროტესტანტი ღვთისმსახური და ავტორი. დამაარსებელი სოციალური ალთქმის მოძრაობისა, რომელიც ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციისა და იმიგრაციის გამო გაჩენილი სოციალური პრობლემების გადასაჭრელად პროტესტანტულ რელიგიურ პრინციპებს ეყრდნობოდა. იგი 1886-1898 წლებში შეერთებული შტატების ევანგელისტური ალიანსის, პროტესტანტული მისიონერული ჯგუფების კოალიციის, გენერალური მდივანი იყო. მისივე ჯგუფის მიერ იძულებული გადადგომის შემდეგ სათავეში ჩაუდგა სოციალური მომსახურების ლიგას (1898-1916) და გამოსცა მისი ჟურნალი "სამეფოს ალთქმა". მისი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი ნაშრომი იყო 1885 წ. გამოცემული "ჩვენი ქვეყანა: მისი შესაძლო მომავალი და ახლანდელი კრიზისი", რომელიც ემსახურებოდა შიდა მისიონერული მოღვაწეობის წახალისებას ამერიკის დასავლეთისაკენ. ისტორიკოსები ირწმუნებიან, რომ ამან გამოიწვია შეერთებული შტატების იმპერიალისტური პოლიტიკის აქტიური მხარდაჭერა ამერიკელ პროტესტანტებში. იგი მოუწოდებდა მეტი მისიონერული მუშაობისაკენ ქვეყნის ქალაქებში, და რასობრივი კონფლიქტის გადაწყვეტას. იგი ერთ-ერთი პირველი აფრთხილებდა პროტესტანტებს, რომლებიც იმ პერიოდში სოფლურ ცხოვრებას ეწეოდნენ, არ უგულებელეყოთ დიდი ქალაქებისა და მუშა კლასების პრობლემები და ინტერესები.

სჯეროდა, რომ ყველა რასა გაუმჯობესდებოდა და ქრისტეს მიუახლოვდებოდა ამტკიცებდა, რომ ანგლო-საქსების რასას ეკისრა პასუხისმგებლობა, "ცივილიზაცია შეეტანა და გაექრისტიანებინა" მსოფლიო. წიგნის "კრიზისულ" ნაწილში კი განიხილავდა ამერიკაში არსებულ მრავალ ჯგუფსა და მიმართულებას – მორმონიზმს, სოციალიზმს, კათოლიკობას, ურბანიზაციას, იმიგრაციას. პროტესტრანტები ამტკიცებდნენ, რომ მისიონერებს ალთქმა უნდა ექადაგად; დაშვებული იყო საქველმოქმედო საქმიანობა, მაგრამ ამტკიცებდნენ რომ ამას სულის გადარჩენა არ შეეძლო.

სტრუქტურა – გამოხატავს ობიექტის ელემენტთა შორის შედარებით მყარი, სტანდარტიზებული მიმართებების არსებობას. ობიექტის ს-ის განსაზღვრა ნიშნავს, მოვიხსენიოთ მისი ნაწილები და ის წესები, რომელთა გზითაც ეს ნაწილები ურთიერთქმედებაში (ურთიერთობაში) მოდიან.

სუვერენიტეტი – უფლება სრულ პოლიტიკურ უზენაესობაზე.

სუნ ძი (ჩინ., 孫子) (ძ.წ. VI ან IV საუკუნე) - ჩინელი მხედართმთავარი, სტრატეგი და მოაზროვნე. ავტორი ტრაქტატისა "ომის ხელოვნების"(ჩინ., 孫子兵法,).

# ტ

ტაბუ – 1. ტერმინი წარმოდგება პოლინეზიური სიტყვიდან ტაბუ (tabu), რაც ნიშნავს წმინდას, ხელშეუხებელს. დაკავშირებულია პირველყოფილ კულტურასთან და აღნიშნავს მკაცრ კატეგორიულ ნიშნურ აკრძალვას განსაკუთრებით გამოყოფილი საგნების, ქცევისა და სიტყვების მიმართ, რის დარღვევასაც კოლექტივის მხრიდან მკაცრი სასჯელი მოსდევს, ამასთან, თვით დამრღვევმაც შეიძლება საკუთარი თავი დაუნდობლად დასაჯოს. ტ-ს აკრძალვა სხვა აკრძალვებისგან იმით განსხვავდება, რომ არაფრით მოტივირდება და სავევ არაფრით საბუთდება. თავდაპირველად უკავშირდებოდა ყოველდღიური მოხმარებისთვის აკრძალულ რელიგიურ, საწესჩვეულებო და საცერემონიო ობიექტებს, შემდგომში ასეთი აკრძალვა განივრცო ნებისმიერი სახის აქტზე, ადგილზე, ობიექტზე, ქცევის მოდელზე; ეს უკანასკნელი ყველაზე ხშირად ფიგურირებს ინცესტთან მიმართებაში, რის შესახებაც ბევრი გამოკვლევაა ანთროპოლოგიის სფეროში; ფუნქციონალისტები ტ-ს ხსნიან ჯგუფური სოლიდარობის პოზიციიდან, სტრუქტურალისტებს კი აინტერესებთ როგორც ბინალურობის (ორაზროვნების) პრობლემა. თანამედროვე ეტაპზე ტერმინი ფართოდ გამოიყენება. 2. აკრძალვის აქტი თავისთავად.

ტალეირან-პერიგორი, შარლ მორის დე (ფრ., Charles Maurice de Talleyrand-Périgord) (1754-1838) ფრანგი პოლიტიკოსი, დიპლომატი.

ტაქტიკა – რაიმე მიზნის მისაღწევად გამოყენებული ხერხები, თეორია, პრაქტიკა, მეთოდი და ოსტატობა; კარგი სისტემა რაღაცის შესასრულებლად; გზები, რომლებსაც ვიყენებთ მიზნის მისაღწევად.

ტერიტორიული ზღვა – ტერიტორიული წყლების სანაპიროს მიმდებარე ზოლი ზღვაში. მისი სიგანე არ აღემატება 12 საზღვაო მილს და აითვლება საწყისი ხაზებიდან. იგი არის სანაპირო სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორია. უცხო სახელმწიფოს გემებს აქვთ მასში მშვიდობიანი გავლის უფლება საზღვაო სამართლის ნორმების შესაბამისად.

ტერიტორიული წყლები (territorial waters) -12 საზღვაო მილის სიგანის წყლის სივრცე, რომელიც გასდევს სახელმწიფოს სანაპირო ზოლს.

ტექნოკრატია – მართვის უმაღლეს ფუნქციონერთა შემადგენლობაში მყოფ ტექნიკურ სპეციალისტთა ფენა.

ტექნოკრატიზმი – 1. ტექნოკრატიული მმართველობის პოსტულატთა პრაქტიკულად მარეალიზებელი პოლიტიკური რეჟიმი; 2. თეორიული კონცეფცია (ან იდეოლოგია), რომელიც საზოგადოების ცხოვრებაში წამყვან როლს ანიჭებს ტექნიკას, ტექნიკურ სპეციალისტებს და მიიჩნევს მათ თანამედროვე მრეწველობის საფუძვლად.

ტირანია – კლასიკურ ფილოსოფიაში - მონარქიის დამახინჯებული ფორმა, როდესაც მონარქი სახელმწიფოს საკუთარი ინტერესების შესაბამისად მართავს.

ტიუდორი, ელისაბედ I (ინგ., Elisabeth I ) (1533-1603) ინგლისისა და ირლანდიის დედოფალი.

ტიუდორი, ჰენრი VII (ინგ., Henry .VII) (1457-1509) ინგლისისა და ირლანდიის მეფე (1485-1509) ტიუდორების დინასტიის პირველი წარმომადგენელი.

ტოკიო — წყნარი ოკეანის სივრცის ბუნებრივი სტრატეგიული დედაქალაქი.

ტოლერანტობა – სხვისი ქცევებისა და შეხედულებების შეწყნარება.

ტოტალიტარიზმი – ანტიდემოკრატიული პოლიტიკური წყობა, რეჟიმი, რომლის დროსაც სახელმწიფო სრულად არის გაბატონებული საზოგადოებასა და პიროვნებაზე.

ტოტალური ველი — ეროვნული ერთობის კონტროლის ქვეშ მყოფი უწყვეტი სივრცე.

ტოტალიტარული სახელმწიფო (totalitarian state) - დიქტატორული ან ავტორიტარული მმართველობის სხვა ფორმის მქონე სახელმწიფო, სადაც უკიდურესად არის შეზღუდული პიროვნების თავისუფლება.

ტრადიცია – ტერმინი აღნიშნავს იმ იდეებს, პოლიტიკურ პრაქტიკასა და ინსტიტუტებს, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს და საზოგადოებას წინა ეპოქებიდან გადმოეცა მემკვიდრეობით. ამასთან, იოლი არ არის გაერკვეოთ, თუ რამდენად გამძლე უნდა იყოს ესა თუ ის მოვლენა საიმისოდ, რომ იგი ტ-დ ჩაითვალოს.

ტრამბლე, ფრანსუა დიუ, მამა ჟოზეფი (ფრ., François Leclerc du Tremblay, le père Joseph) (1577-1638) კაპუცინების ორდენის ბერი, ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, "რუხი კარდინალი" ("Eminence grise ").

ტროას ცხენი (trojan horse) - ბერძნული მითოლოგიის მიხედვით უზარმაზარი ხის ცხენი, რომლის მეშვეობითაც მტრის ჯარისკაცები გამაგრებულ ქალაქ ტროაში მოხვდნენ. გადატანითი მნიშვნელობით "ტროას ცხენი" ნიშნავს საჩუქარს, რომელსაც დაღუპვის მიზნით ჩუქნიან მტერს.

ტრუმენი, ჰარი ს. (ინგ., Harry S. Truman) (1884-1972) აშშ-ს 33-ე პრეზიდენტი

ტყეები – საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის გარდა ტყეს არა აქვს სერიოზულ გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. ტყეზე გამავალი საზღვრის დაცვა უფრო რთულია, განსაკუთრებით იმ რეგიონებში სადაც მოსახლეობა მეჩხერადაა დასახლებული.

# უ

ულბრიხტი, ვალტერ (1893-1973) აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტური ლიდერი (1950-1971) ბერლინის კედელი-ს "მამა".

ულტიმატუმი – საერთაშორისო სამართალში ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსადმი გაგზავნილი მოკლე დიპლომატიური ნოტა, რომელიც შეიცავს კონკრეტულ ვადაში კონკრეტული პრობლემის გადაჭრის კატეგორიულ მოთხოვნას. უ-ის თემა არ შეიძლება იყოს განხილვის, დისკუსიის საგანი. უ-ის შეუსრულებლობას ავტომატურად მოყვება დიპლომატიურ ურთიერთობათა შეწყვეტა ან, უარეს შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენება, რისი შესაძლებლობაც დაფიქსირებულია თავად უ-ის ტექსტში, რომელიც შეიცავს მუქარას.

უნია (ლათ. unio – გაერთიანება, კავშირი) – კათოლიკური და ზოგიერთი მართლმადიდებელი ეკლესიის გაერთიანება რომის პაპის მეთაურობით.

უნიტარიზმი – ფედერალიზმის საპირისპირო, თანამედროვე მსოფლიოში ძალზე გავრცელებული, სახელმწიფოს კონსტიტუციონალური მოწყობა, რომლის დროსაც ცენტრალურ ხელისუფლებას არა აქვს ავტონომიური პოლიტიკური ძალის მქონე სახელისუფლებო ქვედანაყოფები. ეს ნიშანი უნიტარული ქვეყნისათვის განმსაზღვრელია, რადგან ფედერალიზმის სხვა ისეთი დამახასიათებელი თვისებები, როგორიცაა კონსტიტუციის, ან უზენაესი ან კონსტიტუციური სასამართლოს არსებობა სავსებით შესაძლებელია უნიტარული მოწყობის სახელმწიფოშიც.

უნიფიკაცია (ლათ. unus – ერთი და facio – ვაკეთებ) – საერთო ნორმაზე დაყვანა, გაერთიანება.

ურბან VIII (ლათ., Urbanus PP. VIII) (1568-1644) ერისკაცობაში მაფეო ბარბერინი (იტალ., Maffeo Barberini) რომის პაპი (1623-1644)

ურბანიზაცია – ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების რთული შერწყმა, რაც გამოწვეულია ქალაქების მზარდი როლით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. უ-ის პროცესისათვის დამახასიათებელია ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა უპირატესად მიგრაციის ხარჯზე, ამიტომაც მის ერთ- ერთ ძირითად მახასიათებლად ითვლება სტატისტიკური ზომა ქვეყნის მოსახლეობის წილისა,

რომელიც ცხოვრობს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში. უ-სათვის დამახასიათებელია მოსახლეობის კონცენტრაცია ქალაქად, რეგლამენტირებული ცხოვრების წესი, რაც ხასიათდება ანონიმურობითა და ფორმალური კავშირ-ურთიერთობებით, შრომის რთული საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე საქონლის წარმოების, მოხმარებისა და მომსახურების ინტენსიური ზრდით, ცხოვრების ქალაქური წესის სტანდარტების დაჩქარებული გადატანით სოფლად.

ურთიერთ გარანტირებული განადგურება (mutual assured destruction - MAD) — წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ორ ბირთვულ სახელმწიფოს შეუძლიათ დაამყარონ ხანგრძლივი სტაბილური ურთიერთობები იქიდან გამომდინარე, რომ თითოეულ მათგანმა იცის მას შეუძლია გაანადგუროს მოწინააღმდეგე ან თავად იქნეს განადგურებული მოწინააღმდეგის მიერ. ამ ტერმინის წარმოშობა დაკავშირებულია შეკავების თეორიასთან, რომელიც წარმოიშვა იმ დროს როდესაც დაიწყო ბირთვული პარიტეტის დამყარება აშშ-სა და სსრკ-ს შორის. მისი არსი მარტივია: თითოეული მხარე ფლობდა იმ დონის ბირთვულ პოტენციალს, რომელიც საკმარისი იყო გამანადგურებელი საპასუხო დარტყმის განსახორციელებლად; მსგავსი დარტყმის ნახორციელების გარდაუვალობა აკავებდა მხარეებს ინიციატივის გამოჩენისაგან. აქედან იღებს დასაწყისს ცნება "ზესახელმწიფო" — სახელმწიფო, რომელსაც არ შეუძლია წააგოს ომი.

უსაფრთხოება — ძირითადი ფასეულობების მიმართ საფრთხის არარსებობა.

უტოპიზმი — შეხედულებები ალტერნატიულ საზოგადოებრივ მოწყობაზე, რომელშიც მოსპობილია ყველა საზოგადოებრივი ბოროტება და დამყარებულია საყოველთაო კეთილდღეობა, თავისუფლება და თანასწორობა.

უტილიტარული (ლათ. utilitas – სარგებლობა) — პრაქტიკული, გამოყენებითი.

უფლებამოსილებათა დელეგირება განსაზღვრული პირისათვის ამოცანებისა და უფლებამოსილების გადაცემა, რომელიც ღებულობს ვალდებულებას მათ შესრულებაზე

# ფ

ფარნეზე, ალესანდრო (იტ., Alessandro Farnese) (1545-1592) ესპანელი მხედართმთავარი, ნიდერლანდების მეფისნაცვალი (1578), პარმისა და პიაჩენცოს ჰერცოგი (1586).

ფაშიზმი (fascism) - ავტორიტარული პოლიტიკური სისტემა და ტოტალიტარული სოციალური რეჟიმი, რომელსაც 1922 წელს ჩაეყარა საფუძველი იტალიაში ბენიტო მუსოლინისა და ფაშისტური პარტიის სხვა წევრთა მიერ. ფაშიზმად ითვლება აგრეთვე ფრანსისკო ფრანკოს (ესპანეთი) და ანტონიუ სალაზარის (პორტუგალია) მიერ შექმნილი პოლიტიკური სისტემები.

ფედერაცია (federation) — 1. სახელმწიფო წყობილების ფორმა, რომლის დროსაც ორი ან რამდენიმე სახელმწიფოსაგან იქმნება ერთი სახელმწიფო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებითა და ერთიანი კონსტიტუციით. 2. ცალკეული საზოგადოებების, ორგანიზაციების კავშირი.

ფემინიზმი — ქალთა და მამაკაცთა უფლებების გათანაბრებისათვის წარმოებული ფართო პოლიტიკური მოძრაობის საერთო სახელწოდება.

ფეტიში — 1. პირველყოფილ კულტურაში საგანი, რომელიც სულის განხორციელებად მიიჩნევა. ასეთი საგნები, ჩვეულებრივ, რელიგიური და მაგიური რიტუალების აუცილებელი ატრიბუტია; ხშირად მაგიასთან ერთად მოიხსენიება. 2. უფრო ფართო გაგებით (ძირითადად ფსიქოლოგიაში, ფსიქოანალიზში), არაეროტული ობიექტისადმი (მაგ. ტანსაცმლის) აკვიატებული ერთგულება ან ინტერესი. არსებობს ე.წ. სასაქონლო ფეტიშიზმი (მარქსიზმში), რაც გულისხმობს კაპიტალიზმში ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური ობიექტების შემოსვას „ბუნებრიობით", რაც სინამდვილეში სოციალური პროცესების შედეგია. მარქსი მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური ეკონომიის დიდი ნაწილი დამნაშავეა ეკონომიკის ფეტიშიზაციაში და ასე ფარავს ფუნდამენტურ-ეკონომიკურ და სოციალურ- მიმართებებს.

**ფორს-მაჟორი (force-majeure)** - გადაულახავი ძალა, საგანგებო ვითარება, რომელიც სტიქიური უბედურებებისა და საომარი მოქმედებების დროს იქმნება. საერთაშორისო სამართალში ფორს-მაჟორი აღნიშნავს ისეთ ვითარებას, რომელიც სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს.

**ფრირაიდერი** – ინდივიდი, რომელიც საქონელს მოიხმარს პირადი დანახარჯების გარეშე ან მცირე დანახარჯებით.

**ფრუსტრაცია** (ლათ., frustratio - ტყუილი, წარუმატებლობა ) - ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც წარმოიშვება ადამიანისათვის მნიშვნელოვანი რაიმე მიზნის, მოთხოვნილების განუხორციელებლობის შემთხვევაში. ვლინდება დამთრგუნველი დაძაბულობაში, შეშფოთებულობაში, გამოუვალობის შეგრძნებაში. მის თანმხლებ პროცესს წარმოადგენს ცნობიერების მეტნაკლები დავიწროვება. რეაქცია ფრუსტრაციაზე: ფანტაზიებისა და ხილვების სამყაროში წასვლა, ქცევის აგრესიულობა.

**ფუნდამენტალიზმი** – რელიგიური პოზიცია, რომელიც მოცემული რელიგიის ბაზისური მცნებების უპირობო მხარდაჭერას მოითხოვს და მათ პირდაპირ რეალიზაციას ისახავს მიზნად.

## ქ

**ქალაქი** – საზოგადოების არსებობის ისტორიულად კონკრეტული სოციალურ- სივრცობრივი ფორმა, რომელიც აღმოცენდა შრომის დანაწილების, კერძოდ მეურნეობისაგან ხელოსნობის გამოყოფისა და საქონელგაცვლის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ჯგუფის ხელში თავმოყრის შედეგად.

**ქალაქი-სახელმწიფო** – როგორც წესი პატარა რეგიონი, რომელსაც მართავს ქალაქი, და რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს. მაგ.: ვატიკანი, მონაკო, სინგაპური. აგრეთვე თვითმართვადი ტერიტორიები: გიბრალტარი, სიანგანი (ჰონკონგი), აომინი (მაკაო) და თავისუფალი ქალაქი ქრისტიანია (კოპენჰაგენის კვარტალი).

**ქარიზმა** – თეოლოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებული სულიერი თვისება, რომელიც ღვთიურია, ღვთისგან ბოძებულია. სოციოლოგიაში ქ. გაანალიზა მაქს ვებერმა ბატონობის ლეგიტიმური ტიპების შესახებ კონცეფციაში, როდესაც ქ. გამოაცხადა საზოგადოებაში ძალაუფლების ერთ- ერთ წყაროდ. ქ- ული ბატონობა დაფუძნებულია ბელადის განსაკუთრებულ თვისებებზე, რომლებიც მას არამიწიერ მიმზიდველობას ანიჭებს. ბელადს მიეწერება „დიადი მისიის" შესრულება. მის მიმართ მასის დამოკიდებულება ემოციურ-მისტიკური ხასიათისაა, რაც გულისხმობს მასის, ადამიანის მიერ საკუთარი თავის სრულ მიძღვნას, ბელადის მიმართ ბრმა რწმენას. თავად ბელადი დგას სამართლებრივი და ინსტიტუციური წესრიგის გარეთ.

**ქსენოფობია** – მტრობის გაძლიერებული განცდა ან შიში უცხოთა თუ სხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანთა მიმართ, რაც ხშირად ვლინდება არა მარტო ამგვარ ჯგუფთა მიუღებლობაში, არამედ ყოველგვარი უცხოს - ენის, ცხოვრების წესის, აზროვნების სტილისა და ა.შ.- მიუღებლობაშიც.

## ღ

**ღერძი** — ერთი ან რამოდენიმე გეოპოლიტიკური დედაქალაქის გეოპოლიტიკური კავშირი.

## შ

**შედარებითი პოლიტოლოგია** - წარმოადგენს პოლიტოლოგიის ცალკეულ ნაწილს, რომელშიც პოლიტიკური ცოდნის სფეროში დაგროვებული მდიდარი ფაქტობრივი მასალის განზოგადებისა და შედარების საფუძველზე გამოიკვლევა საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური სფეროს განვითარების ზოგადი კანონზომიერებები და ტენდენციები, პოლიტიკური სისტემების სტაბილური ფუნქციონირების პირობები და ფაქტორები, რომელთა მეოხებით ხდება ხელისუფლებისა და მართვის ეფექტურობის ამაღლება.

**შელფი** (ინგ., shelf ) – კონტინენტალური შელფი, მატერიკული მეჩეჩი – მატერიკის წყალქვეშა სანაპიროს გასწორებული განფენილობა, რომელიც ხმელეთს ეკვრის და მასთან საერთო

გეოლოგიური აგებულებით ხასიათდება. შელფების საერთო მოცულობა შეადგენს დაახლოებით 32 მილიონ კვ.კმ-ს. ყველაზე დიდი შელფი გააჩნია ევრაზიის ჩრდილოეთ სანაპიროს, სადაც მისი სიგანე აღწევს 1,5 ათას კილომეტრს. ასევე დიდი შელფი აქვს ბერინგის ზღვას, ჰუძონის ყურეს, სამხრეთ-ჩინეთის ზღვას, ავსტრალიის ჩრდილოეთ სანაპიროს.

შიდა ზღვა (mare internun – ლათ.) – 1. ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება გაუმდინარე დიდი მლაშე ტბებისა და ხელოვნური წყალსაცავების აღსანიშნავად (არალის ზღვა, კასპიის ზღვა, მკვდარი ზღვა, თბილისის ზღვა). 2. ტერმინი, რომელიც აღნიშნავს სახმელეთო თელუროკრატიული სივრცით შემოსაზღვრულ წყლის სივრცეს. იგი არ წარმოადგენს სტრატეგიულ ან კულტურულ საზღვარს.

შიდა ნახევარმთვარე (ან კონტინენტური ნახევარმთვარე, ან Rimland -ი) – მაკინდერის ტერმინი. აღნიშნავს „გარე ნახევარმთვარესა“ და „ღერძულ არეალს“ შორის მდებარე ევრაზიის სანაპირო ტერიტორიებს.

შიდა ოკეანე – ტერმინი, რომელიც იგივეს აღნიშნავს რასაც „შიდა ზღვა“, მხოლოდ მსოფლიო მასშტაბში. აგრეთვე, შუაგული ოკეანე.

შიდა ღერძი – ერთიან სტრატეგიულ (ან პოლიტიკურ) სივრცეში, ცენტრსა და პერიფერიას შორის გეოპოლიტიკური კავშირის ხარისხი. იხილეთ გეოპოლიტიკური სხივი და გეოპოლიტიკური მონაკვეთი.

შმიტი, კარლ (გერ., Carl Schmitt) (1888-1985) გერმანელი პოლიტოლოგი, იურისტი, სოციოლოგი, სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკური მოაზროვნე.

შოვინიზმი (chauvinism) - ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმა, პოლიტიკა, რომელიც ეროვნული განსაკუთრებულობის იდეით საზრდოობს და მიმართულია ეროვნული შუღლის გაღვივებისაკენ. ტერმინი პოლიტიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა ნაპოლეონის დაპყრობითი ომების აპოლოგეტის, ვინმე შოვენის სახელიდან. როგორც წესი, შოვინისტები ერთი ერის გამორჩეულობის ან მისი „მსოფლიო ისტორიული მისიის“ მტკიცების საფუძველზე ამართლებენ ამ ერის მიერ სხვა „არასრულყოფილი“ ერების დამორჩილებას. შ-ს შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ შიდასახელმწიფოებრივი ხასიათიც, როდესაც მრავალეროვნულ სახელმწიფოში „სატიტულო“ ერი იწყებს სხვა ეთნოსებთან შედარებით თავისი გამორჩეული როლის მტკიცებას.

შრომა – ადამიანის გაცნობიერებული, გამიზნული ფიზიკური ან გონებრივი საქმიანობა, რომლის შედეგადაც მატერიალური ან არამატერიალური პროდუქტი იქმნება და რომელიც ადამიანის სულიერი და ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას ემსახურება.

შრომის საზოგადოებრივი განაწილება – ამ კატეგორიას აქვს ორი მნიშვნელობა: 1. პირველი მნიშვნელობა დაკავშირებულია ეკონომიკურ ეფექტურობასთან და წარმოების პროცესში შესასრულებელი ოპერაციების განაწილებასთან. შ.ს.გ წარმოების პროცესში ოპერაციების ტექნიკური განაწილება, რის შედეგადაც შრომა ხდება უფრო სპეციალიზებული. კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები (ა.სმიტი) შ.ს.გ-ის კატეგორიას სწორედ ამ მნიშვნელობით იყენებდნენ. ასეთი განაწილება ზრდის წარმოების პროცესის ეფექტურობასა და შრომის ნაყოფიერებას. ეკონომიკური თეორიის თანახმად, შ.ს.გ-მ გამოიწვიასაერთაშორისო ვაჭრობის განვითარება (შედარებითი უპირატესობების თეორია); 2. შ.ს.გ.-ის კატეგორია სოციოლოგიაში მოვლენათა უფრო ფართო სპექტრს აღწერს. ესაა საზოგადოებაში პროფესიული სპეციალიზაციის და ზოგადად, საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროებად და ინსტიტუტებად (ოჯახი, სახელმწიფო, ეკლესია და ა.შ.) დიფერენცირება.

შ.ს.გ.-ის კატეგორიას ცენტრალური როლი მიენიჭა ფუნქციონალისტურ პარადიგმებში (ჰ.სპენსერი, ე.დიურკგეიმი, ტ.პარსონსი). ე. დიურკგეიმის თეორიაში შ.ს.გ.-ის ფორმა მიჩნეულია საზოგადოებათა კლასიფიკაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად. პირველყოფილი და თანამედროვე საზოგადოებები სწორედ იმით განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ პირველყოფილი საზოგადოება, ხასიათდება შრომის განაწილების დაბალი ხარისხით, რაც დაკავშირებულია ძლიერ კოლექტიურ ცნობიერებასთან და საზოგადოების სეგმენტურ სტრუქტურასთან. რაც შეეხება თანამედროვე საზოგადოებას, მისთვის დამახასიათებელია სოლიდარობის ორგანული ტიპი, რაც გამოწვეულია შ.ს.გ.-ისა და საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს შორის ურთიერთდამოკიდებულების მაღალი ხარისხით.

თანამედროვე სოციოლოგიურ თეორიებში შ.ს.გ-ის ანალიზი ხდება სოციალური სტრატიფიკაციისა და მობილურობის თეორიის ფარგლებში. არდა ამისა, ინდუსტრიული სოციოლოგიის წარმომადგენლები იკვლევენ შრომის პროცესის სპეციალიზაციას, ავტომატიზაციისა და რაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებულ სოციალურ და ფსიქოლოგიურ დაძაბულობას, უკიდურესად სპეციალიზებული შრომის პროცესში მოტივაციისა და ანომიის პრობლემებს.

შუა ევროპა – შუალედური სივრცე რუსეთსა და ევროპის ატლანტიკურ სანაპიროს შორის. ტრადიციულად განიხილება, როგორც გერმანიის გავლენის უპირატესი ზონა.

შუაგული ოკეანე (Midland Ocean) – სპაიკმენის ტერმინი. ატლანტის ოკეანე, თუ ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპას ერთიან გეოპოლიტიკურ სივრცედ განვიხილავთ.

## ჩ

ჩაურევლობა – თანამედროვე საერთაშორისო სისტემის მთავარი პრინციპი, რომელიც სახელმწიფოთა დამოუკიდებლობასა და სუვერენულ თანასწორობას ეფუძნება.

ჩელენი, იუხან რუდოლფ (1864–1922) იურისტი და სახელმწიფოთმცოდნე. ისტორიისა და პოლიტიკური მეცნიერების პროფესორი. ასწავლიდა გეტერბოგისა (1901–1916) და უფსალას (1916–1922) უნივერსიტეტებში. იგი სწავლობდა მართვის სისტემებს რათა გამოევლინა ძლიერი სახელმწიფოს შექმნის გზები. ცნება"გეოპოლიტიკის" ავტორი.

ჩერჩილი, სერ უინსტონ ლეონარდ სპენსერ (ინგ., Sir Winston Leonard Spencer-Churchill) (1874-1965) დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1940-1945), ნობელის პრემიის ლაურეატი (1953).

ჩრდილოვანი კაბინეტი – ალტერნატიული მთავრობა, რომელიც ჩამოყალიბებულია არსებული მთავრობის საპირისპიროდ ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ლიდერების მიერ.

ჩრდილოეთი – საკრალურ გეოგრაფიაში (დოიბლერთანაც) სულის და იდეალური წესრიგის სიმბოლო. თანამედროვე გეოპოლიტიკაში მისი სინონიმია „მდიდარი ჩრდილოეთი", რაც სრულიად საწინააღმდეგოს წარმოადგენს ანუ ატლანტიზმსა და ლიბერალიზმს.

## ც

ცენტრალიზმი – მმართველობისა და ორგანიზაციის სისტემა, რომლის დროსაც სტრუქტურული ელემენტები ურთიერთდაქვემდებარებულია იმგვარად, რომ ყოველი ელემენტი ერთმნიშვნელოვნადაა განსაზღვრული ზემდგომი ინსტანციით და ასევე სახით განსაზღვრავს ქვემდგომს. ამასთან, ც-ის აუცილებელ პირობას ის წარმოადგენს, რომ მთელი სისტემა იმართება ერთი ცენტრიდან. მმართველობისა და ორგანიზაციის მსგავსი პოლიტიკური სისტემის ყველაზე ნათელი ნიმუში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იყო.

ცეცხლი – სიმბოლურად სულიწმინდას გამომხატველი ელემენტი. ტრანსცენდენტული პრინციპი.

ცივი ომი (cold war) - საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებს, ერთის მხრივ, და აშშ-სა და მის მოკავშირეებს შორის, მეორეს მხრივ, დაძაბულობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა.

ცივილიზაციათა შეჯახება – ჰანთინგტონის ტერმინი. ცივილიზაციურ დონეზე გეოპოლიტიკური კონფლიქტების პერმამენტულობისა და მუდმივობის თეორია.

ციკლი – მოვლენებისა და პროცესების განვითარების დროს სხვადასხვა ხანგრძლივობის პერიოდი, რომელიც დასრულებისას თავიდან მეორდება.

## ძ

ძალაუფლება – ერთგვარი უნარი, აიძულო სხვა, გააკეთოს ის, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა.

ძალთა ბალანსი (balance of power) — 1. საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი უძველესი კონცეფცია, დასაბამს იღებს თუკიდიდესთან. მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკური რეალიზმის სკოლასთან და ეყრდნობა საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურის იდეებს. საერთაშორისო თანამეგობრობის არსებობის პირობებში ძალთა ბალანსი არის გარკვეული პოლიტიკური კურსი, რომელსაც მისდევს და რომლის საფუძველზეც აგებს თავის ურთიერთობებს სახელმწიფოთა ჯგუფი. 2. დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების მიერ გატარებული პოლიტიკა, რომლის მიზანია კონტინენტზე ჰეგემონის აღმოცენების შესაძლებლობის აღმოფხვრა.

## წ

წყალი (ან ზღვა) — თალასოკრატიის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი. შმიტისა (das Meer) და მეჰენის (sea, sea power) მიერ დაწვრილებით განხილული.

## ხ

ხელმძღვანელი - მართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზების სფეროში უფლებამოსილი პირი.

ხელმძღვანელობა - მართველობითი ფუნქცია, რომელიც შედგება გადაწყვეტილების მიღებაში, მართვის სტრატეგიისა და მიზნების შემუშავებაში ორგანიზაციის ყველა სტრუქტურული ერთეულის მუშაობის კოორდინაციაში, პერსონალის საერთო მართვასა და კონტროლში.

ხელმძღვანელობის სტილი - ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელსაც იყენებს ხელმძღვანელი. მართველობითი გადაწყვეტილებების ხერხების შესაბამისად განასხვავებენ ხელმძღვანელობის სამ სტილს: ავტოკრატიული (გადაწყვეტილებას იღებს ხელმძღვანელი ერთპიროვნულად); დემოკრატიული (გადაწყვეტილების მიღება ხდება კოლეგიალურად ხელმძღვანელისა და მასზე დაქვემდებარებული მუშაკების მიერ) და ლიბერალური (ხელმძღვანელი მუშა ჯგუფის წინაშე სვამს საერთო მიზნებსა და ახორციელებს მიმდინარე კონტროლს, გადაწყვეტილებებს კი უშუალოდ მუშაკები იღებენ).

ხიროხიტო (1901-1989) იაპონიის 124-ე იმპერატორი (1926-1989)

## ჯ

ჯაშუში — პირი, რომელიც მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ფარულად მოქმედებს და ცდილობს შეაგროვოს ცნობები მოწინააღმდეგის გეგმებისა და მისი ძალების შესახებ, რათა აცნობოს თავის მხარეს.

ჯგუფი - ადამიანების ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ინტერესების ერთობლიობით და ახორციელებენ ერთობლივ საქმიანობას

ჯვარედინი ველი — სივრცე, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს რამოდენიმე მოსაზღვრე სახელმწიფო.

ჯენტლმენური შეთანხმება (gentlmen's agreement) - არაფორმალური დიპლომატიური მორიგება სახელმწიფოთა შორის ნოტების გაცვლის ან სახელმწიფო მეთაურთა (ან მათ ემისართა) შორის ზეპირი ურთიერთობების დროს.

## ჰ

ჰაბსბურგი, კარლოს V (ლათ., Carolus V) (1500-1558) საღმრთო რომის იმპერიის იმპერატორი.

ჰაბსბურგი, ფილიპე II (ესპ., Felipe II) (1527-1598) ესპანეთის მეფე, კარლოს V ვაჟი.

**ჰაბსბურგი, ფრანც იოსებ I** (გერ., Franz Josef I) (1830-1916) ავსტრიის იმპერატორი (1848) ავსტრია-უნგრეთის დუალისტური მონარქიის იმპერატორი (1867-1916).

**ჰანთინგტონი, სამუელ ფილიპს** (ინგ., Samuel Phillips Huntington) (1927) ამერიკელი სოციოლოგი და პოლიტოლოგი. ჟურნალ "Foreign Affairs" დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი.

**ჰანოვერელი, ვიქტორია** (ინგ., Victoria) (1819-1901) დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალი (1837), ინდოეთის იმპერატორი (1876), ჰანოვერის დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი.

**ჰეგემონია** (hegemony) - ერთი სახელმწიფოს მეორეს მიმართ გაბატონებული მდგომარეობა, რომელიც მიიღწევა დიპლომატიის ან სამხედრო გამარჯვები გზით. ტერმინს ხშირად იყენებდნენ ნეომარქსისტები და საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის სპეციალისტები. ასე მიაწერდა, მაგ., ა. გრამში ბურჟუაზიას ჰეგემონის მდგომარეობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რისი უტყუარი ნიშანიც იყო ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის გაბატონება.

**ჰეგემონიზმი** – სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიო ან რეგიონალურ ბატონობას, სხვა ქვეყნების დამორჩილებასა და მათთვის საკუთარი ნება-სურვილის თავს მოხვევას.

**ჰიპოთეზა** – მეცნიერული ვარაუდი, რომელიც წამოყენებულია გარკვეული მოვლენების ახსნისათვის და მოითხოვს ვერიფიცირებას (დამოწმებას).

**ჰიტლერი, ადოლფ** (გერ., Adolf Hitler) (1889-1945) გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის ფიურერი (ბელადი) (29.07.1921), გერმანული ნაციზმის ფუძემდებელი, გერმანიის ფიურერი და რაიხსკანცლერი (02.08.1934), გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი II მსოფლიო ომის დროს.

**ჰორიზონტალური კომუნიკაციები** - ინფორმაციული გაცვლები ორგანიზაციის მართვის ერთნაირი დონის ქვედანაყოფებს შორის

**ჰოჰენცოლერი, ვილჰელმ I** (გერ., Wilhelm I) (1797-1888) პრუსიის მეფე (1861) გერმანიის იმპერატორი (1871).

**ჰუმანიტარული დახმარება** – დროებითი ბუნებრივი და სოციალური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით სახელმწიფოების მიერ გაწეული და მიღებული დახმარება. ჰ.დ. საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული არ არის და მხოლოდ სახელმწიფოების კეთილი ნების გამოვლინებად განიხილება.

**ჰუმანიტარული ინტერვენცია** – ადამიანის უფლებათა უხეში და მასობრივი დარღვევების ჩამდენი სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო ორგანიზაციის (ორგანიზაციების) მიერ სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა სახის ძალის გამოყენება.

## უცხო ტერმინები

**cuius regia eius religio** – "ვისიც არის ხელისუფლება, იმისია რწმენა".

**«terrae nullius sedit primo occupanti»** _ "უპატრონო მიწები ეკუთვნის იმათ, ვინც მათ პირველი ჩაიგდებს ხელში"

**raison d'eatat** – სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის გამართლებულია ნებისმიერი საშუალებების გამოყენება ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად (იგი ცვლიდა შუასაუკუნებრივ უნივერსალურ მორალს).

**raison d'etre** – არსებობის აზრი.

**Heartland** – (ინგ., "შუაგული მიწა") მაკინდერის ტერმინი. იხილეთ "ისტორიის გეოგრაფიული ღერძი".

**Hinterland** – (გერმ., "უკანა მიწა") სანაპირო ხაზიდან კონტინენტის სიღრმეში განვრცობილი ტერიტორია. ტერმინი დამახასიათებლი სივრცის თალასოკრატიული ანალიზისათვის.

**Jus Publicum Europeum** – (ლათ., "საერთო ევროპული კანონი"). იურიდიული დებულებების ისტორიული კრებული, რომელიც რეგლამენტირებას უწევდა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს ევროპაში.

**Jus Publicum Euroasiasticum** – (ლათ., "საერთო ევრაზიული კანონი") საერთაშორისო კანონის პროექტი, რომესაც შეეძლო დაერეგულირებინა ევრაზიული ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთობები კონტინენტალური თელუროკრატიული ფასეულობების პრიორიტეტის აღიარების საფუძველზე.

**Lenaland** – (ინგ., "მდინარე ლენას აუზის მიმდებარე მიწა") – მაკინდერის ტერმინი. აღნიშნავს ყველა ჩრდილო-ევრაზიულ ტერიტორიებს, რომლებიც მდებარეობენ მდინარე ენისეის აღმოსავლეთით, წყნარი ოკეანის სანაპირომდე. თავის გვიანდელ ნაშრომებში მაკინდერი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ამ ოლქს, მას მიაჩნდა, რომ ეს მიწები ეკუთვნიან თელულოკრატიულ და არა თაალსოკრატიული გავლენის ზონებს.

**Linkade** – გენრი კისინჯერის ტერმინი. ატლანტისტური სტრატეგია, რომელიც გულისხმობს დასავლეთის მიერ კონტროლირებადი ერთიანი ევრაზიული დისკონტინუალური სარტყელის შექმნას.

**Mitteleuropa** – გარმანულად იგივე, რაც შუაგული ევროპა.

**One World** – ერთიანი სამყაროს მონდეალისტური თეორია.

**Pax Americana** – ლათ. "ამერიკული მსოფლიო". იგივე რაც ატლანტიზმი.

**Pax Euroasiatica** – ლათ., " ევრაზიული მსოფლიო". იგივე რაც ევრაზიულობა.

**Pax Persica** – ლათ., "ირანული მსოფლიო". ირანისა და რუსეთის ეგიდით, შუა აზიის სივრცის გეოპოლიტიკური რეორგანიზაციის პროექტი.

**Rimland** – ინგლ., "სანაპირო მიწები". მაკინდერის ტერმინი. იხილეთ "შიდა ნახევარმთვარე".

**Paris vaut bien une messe** (ფრან., )("პარიზი ღირს მესად" ) – ანრი IV ცნობილი ფრაზა.


გეოპოლიტიკის ლექსიკონის მომზადებისას გამოყენებულ იქნა:

1. შოთა დოლონაძე. სახელმწიფო მართვის თეორიის საკითხები. გამომცემლობა "ცის ნამი". თბილისი. 2007
2. ალექსანდრე დუგინი. გეოპოლიტიკის საფუძვლები. გამომცემლობა "მთაწმინდელი". თბილისი. 1999
3. Антология мировой политической мысли: В 5-ти томах-: М., Мысль, 1997
4. Нартов Н.А. Геополитика: Учебник для вузов. - М.: ЮНИТИ, 2000

## გამოყენებული ლიტერატურა:


არისტოტელე. პოლიტიკა I-II ნაწ. თბ. 1995-96
ნ. ბერდიაევი. ერი და კაცობრიობა. თბ; 1993
ბეშლერი ჟან. დემოკრატია. თბ; 1998
ზ. ბჟეზინსკი. დიდი ცვლილებები. საზოგადოება და პოლიტიკა. I. 1996
ე. გელნერი. ერები და ნაციონალიზმი. თბილისი .2003
მ. გოგიბერიძე. რჩ. ფილ. თხზ. ტ. IV. თბ; 1978
რ. გორდეზიანი. ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა. თბ; 1993
დომინიკ კოლა. პოლიტიკური სოციოლოგია. თბ; 1999
პ. ვალერი. რჩეული პროზა. თბილისი. 1983
ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. თბილისი 1964
ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი (ახლად გამოვლენილი მასალები), თბ., 1979
ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი, პუბლიცისტიკა. თბ., 1986
მ. ვებერი; ხარიზმული ბატონობა". თბ; 1995
ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-23წწ.). თბ. 1999
შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე. სომხები საქართველოში. თბილისი. 1998
გ. ინწკირველი. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბილისი 1997
კ. კაპანელი. ფილოსოფიური შრომები, თბ., 1989
ჯ. კორძაია. ეროვნული ცნობიერების რაობის შესახებ. რანი ვართ ქართველნი?! №2, 1997
ჯ. კეკელია. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბ; 1996
მაკიაველი ნ. მთავარი. თბ; 1984
ჰ. მორგენთაუ. პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი. //საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბ., 2004
გ. მურმანიშვილი. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მართვა. თბილისი. 2006. (სამაგისტრო დისერტაცია)
ნ. ნათაძე. ერი და ეროვნული კულტურა.ლ თბ; 1988
ნიკო ნიკოლაძე. რჩეული თხზულებანი. ქართული მწერლობა. ტ. 14. თბ; 1997
პოლიტიკა. კვინტესენცია. თბ; 1999
ი. რეხვიაშვილი. პოლიტოლოგია. თბილისი. 2002
რეხვიაშვილი ი., ჯალიაშვილი ჯ., ხოჭოლავა ვ. პოლიტოლოგია. თბ; 1991.
ა. რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი. 1996
საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 2005
საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. თბ., 2005
ვ.შუბითიძე, ო.ქოჩორაძე. პოლიტოლოგია. თბ; 2001
ო.ქოჩორაძე. გეოპოლიტიკა. ESM-თბილისი 2007
ჯ. ღვინჯილია. ქართველი კაცის სინამდვილე. თბ; 1992
გ. ყორანაშვილი. ეროვნული საკითხი. თბ; 1997
ი. შჩეპანსკი. სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები. თბ; 1997
ა. უოლფერსი. ეროვნული უსაფრთხოება, როგორც ორაზროვანი სიმბოლო. //საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბ., 2004
რ. ჯერვისი. თანამშრომლობა უსაფრთხოების დილემის პირობებში. //საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბ., 2004
ნ.ფხაკაძე. თავისუფლების გაკვეთილები. თბილისი. 2007. (სამაგისტრო დისერტაცია)
ო. შპენგლერი. პოლიტიკის ფილოსოფია. თბილისი. 1995
თ. შელინგი. ძალადობის დიპლომატია. //საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბ., 2004
გ. ხომერიკი. გეოპოლიტიკა. თბ., ESM-თბილისის გამომც., 2004

მ. წერეთელი. ერი და კაცობრიობა. თბ; 1990
ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი 10 ტომად. პ.ინგოროყვას რედაქციით. თბ; 1982
ილია ჭავჭავაძე. საქართველოს მატიანე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად ტ. V. თბ. საბჭოთა საქართველო. 1987
ი. ჯავახიშვილი. ისტორიული რარიტეტები. თბ; 1989
ა. ჯორჯაძე. სამშობლო და მამულიშვილობა. თბ; 1990
ს. ჰანთინგტონი. ცივილიზაციათა შეხლა. საზოგადოება და პოლიტიკა. II, 1999

Johann Wolfgang von Goethe. http://www.wissen-im-netz.info/literatur/goethe/faust/2teil/05.htm
www.cia.gov/ cia/publications/factbook
Morgenthau Hans J.Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace. Second Edition, Alfred a. Knopt New York, 1955.
Spykman N.J. America's Strategy in World Politics. The United States and the Balance of Power. - New York, 1942.
Spykman N.J. The Geography of the Peace. - New York, 1944. P.43.
Walter A. McDougall. Back to Bedrock.// Foreign Affairs. – Vol. 76, N.2, March/April 1997.
Моро-Дефарж Ф. Введение в геополитику. - М.: Конкорд, 1996
Тихонравов Ю.В. Геополитика./Учебное пособие. - М.: ЗАО "Бизнес - школа "Интел - Синтез", 1998.
Нартов Н.А. Геополитика: Учебник для вузов. - М.: ЮНИТИ, 2000.
Гаджиев К.С. Введение в геополитику. Учебник для вузов. М.: Издательская корпорация "Логос", 1998.
Киссинджер. Г. Дипломатия. М., 1995
Парнсон Т. Система современных обществ. М; 1998.
Макс Вебер. Избранние произведения. М; 1990.
Платон. Государство. Соч. в 3-х т.,т.3., ч.1., М., 1971
Антология мировой политической мысли: В 5-ти томах-: М., Мысль, 1997.
Тойнби А.Дж. Постижение истории. - М., 1991.
Мэхэн А.Т. Влияние морской силы на историю 1660-1793. - М.-Л., 1941
Ратцель Ф. Народоведение. Т.1. - М., 1893.
Макиндер Х.Дж. Георафическая ось истории. // Полис. - 1995.
Гегель Г.В.Ф. Лекции по философии истории. - СПб, 1993.
Щетинин В.Д. Экономическая дипломатия. М.,2001
Освальд Шпенглер. Закат Европы. М., 1993
Шлезингер А. М. «Циклы американской истории», Москва, 1992

**Otar Kochoradze**
**Doctor of Historical Sciences, Professor**

**The Bases of Geopolitics**

## Summary

There is no Politics without knowledge. Politics is both science and arts – that gives evidence in authority while dealing with it you should master management art. In order to find it's own place in the field of modern global geopolitical and economic processes facts and phenomena Georgia should estimate and analyze the new realities. Historical experience and the style of nation's living are of crucial importance. Hence national interests represent socio-historical phenomena which can't exist separately from nation's awareness.

According to the principles of political realities the influence of political leader's outlook and ideology is an unacceptable factor. Politics should be emotionally balanced, objective and rational. This requires difference between the desired and the actual estimation of the degree of the acceptability in time and space.

Dynamics of a political reality and creation will of the political figures constantly change everything. In world politics there are numerous successful and unsuccessful attempts proceeding from national interests to change the world.

The success depends on creative management that in its turn unites values of political tactics and scientific methodology.

We consider the method of scientific management means a method of spatial thinking: the systematic analysis of the political, economic, geographical, military factors and projecting potential of state on a global scale.

Major factors of the control above space are authority and economy.

The philosophical consideration of authority is mostly general, it does not mention private displays and due to a powerful semantic field allows to consider it on a high level of abstraction, avoiding private definitions and concepts.

Power is an anthological category and its perception is possible only through profound research of fundamental foundation of the society, all the sides of its existence, its structure principles and natural development. The structure of power is substantially mobile and dynamic is an alive organism. It should comprise constantly changeable conditions and targets.

Political power should have distinctly expressed national disposition and should serve to defend essential values of the nation.

National character of power is revealed in its correspondence with national culture and historical traditions. National character of power requires interdependence between political power and way of life providing eradication of antinational events in economy and politics. Social reform focused on the novelty must begin first of all in moral aspect, as political and economic reforms should rely on solid moral basis.

New social life should originate from cultural inheritance of our nation, created and refined in severe conditions by our ancestors. By means of those traditions, customs, morals and manners we were able to preserve our habits and "Georgianship".

The Rule of national life represents the universal and unique form of unity in social relations. Everything must be national in Social relations.

Man doesn't exist without a nation. People that loose its national habits, appears to be non-definite mass.

The knowledge of the last experience helps to realize specificity of modern global geopolitical and develops aspiration to expect the future.

Comparative analysis of historical-political experience enables us to develop the methodology of analyzing national political situation occurring in the country. It comprises the following parameters: Determination of subjects in political relations, research of quality and amount of members/components of the subjects, analyzing targets and tasks of political subjects, analyzing and researching development trends in different fields of social life (research of economical situation, analysis of national and social-classic relations, national consciousness and cultural life, criminal conditions existing in the country, inner military-political analysis, analysis of legitimacy of the political government), evaluation of political situation in the country, predicting possible development of political situation.

Geopolitic is important for the Georgian scientists dealing with theoristy and practice of management. These scientists face the task of creating national model of management. Therefore special attention should be given to the study of a geopolitic in our country.

The geopolitics studies the relations between space and politics: what influence renders the spatial factor on politics and behaviour of the political figures? And how spatial factor by the political figures is used? How should they from passive contemplate character of geographical space proceed to geopolitical and even to geostrategic aspect of a role of space?

People should realise, that the space is fundamental concept managing the public relations. The state, develops successfully then, when its political figures and its population has "feeling of space". Concept "Feeling of space" identically to concept "talent for management" on this the politics should develop at themselves feeling of space.

In geopolitics the category of space has the specific features and meaning

The category of space is much wider, than category of territory. She includes not only territory of the state, but also external communications of the states as subjects of the international politics and right.

In the spatial factor of the international politics we mean unity of political, economic and cultural - historical aspects.

The analysis of influence of space on the political relations assumes preliminary study of major mechanisms, by means of which the people develop their understanding of space. There is a flexible dialectic relation between a person and space: if the space promotes formation of a person's character, in its turn the person, his opinions, actions and work continuously change the space.

A person exists in space and time, and both these factors are closely interrelated. Space is the "objective" reality, but people and their communities perceive it through their "subjective feelings". Space is an element of the external environment from which a man can not abstract himself, however this element influences each specific situation in a different way.